ი. სტალინი

თხზულებანი

10

იბეჭდება
ს ა ქ ა ვ შ ი რ ო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И. В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1949

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი · 1950

ი. ბ. სტალინი

ტომი

10

1927

ავტორ-დეპოზიტარი

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი შეიცავს 1927 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

1927 წლის დამლევისათვის მიღწეულ იქნა გადამწყვეტი წარმატებანი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაში. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დადგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე გადასვლის საარსებო ამოცანა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობისათვის წარდგენილ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში ი. ბ. სტალინი ანალიზს უკეთებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობას, რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობას მთელ მსოფლიოში; უჩვენებს სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში; განსაზღვრავს სოციალისტურ მბრძანებელ მალლობათა გაფართოებისა და განმტკიცების და სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის ამოცანებს. ი. ბ. სტალინი ასაბუთებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს, რომელიც მოიწონა და მიიღო ყრილობამ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში და ამ მოხსენების გამო წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში, სიტყვებში «რუსული ოპოზიციის პოლიტიკური ფიზიონომია», «ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა», «პარტია და ოპოზიცია» და სხვა ნაწარმოე-

ბებში ი. ბ. სტალინი ამთავრებს ტროცკიზმის იდეურ განადგურებას და პარტიის წინაშე აყენებს ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტისაბჭოთა ბლოკის სრული ორგანიზაციული განადგურებისა და ლიკვიდაციის ამოცანას, ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია დაუღალავი ბრძოლა ერთიანობისა და რკინისებური დისციპლინისათვის ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი», «საუბარი უცხოელ მუშათა დელეგაციებთან», «საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის თავდაცვა» ცხადყოფენ, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც ნიშნავს ძირეულ შებრუნებას კაცობრიობის ისტორიაში კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე. ი. ბ. სტალინი ხაზს უსვამს სსრ კავშირის როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზის მნიშვნელობას და იმპერიალიზმის თავდასხმებისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის აუცილებლობას.

«საუბარში ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან» ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს მარქსიზმისა და ლენინიზმის განუყრელ ერთიანობას და ცხადყოფს იმ ახალს, რაც შეიტანა ლენინმა მარქსიზმის საერთო საგანძურში, განავითარა რა მარქს-ენგელსის მოძღვრება ახალ ეპოქასთან — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქასთან შეფარდებით.

მეათე ტომში პირველად ქვეყნდება წერილი «ამხანაგ მ. ი. ულიანოვას. პასუხი ამხანაგ ლ. მიხელსონს» და «კონსპექტი სტატიისა «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი»».

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1927

ალმანახი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი [1]

1927 წ. 29 ივლისი — 9 აგვისტო

ი. სტალინი. ოპოზიციის შესახებ.
1921 — 1927 წწ. სტატიები და სიტყვები.
მ. — ლ., 1928.

საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის თავდაცვა

1 აგვისტოს სიტყვა

I

ოპოზიციის გამოსვლები კომინტერნის სექციების წინააღმდეგ

ამხანაგებო! მე მინდა უწინარეს ყოვლისა შევჩერდე იმ საკითხზე, რომელიც ეხება კამენევის, ზინოვიევისა და ტროცკის გალაშქრებას კომინტერნის სექციების წინააღმდეგ, კომინტერნის პოლონური სექციის წინააღმდეგ, ავსტრიული სექციის წინააღმდეგ, ინგლისური სექციის წინააღმდეგ, ჩინური სექციის წინააღმდეგ. მე მინდა ამ საკითხს შევეხო იმიტომ, რომ მათ, ოპოზიციონერებმა, აქ წყალი აამღვრიეს, კორიანტელი დააყენეს მოძმე პარტიების გამო, ამავე დროს კი ჩვენთვის აქ საჭიროა სიცხადე, და არა ოპოზიციური ლაყბობა.

პოლონეთის პარტიის საკითხი. ზინოვიევმა აქ მამაცურად განაცხადა, რომ თუ იქ, პოლონეთის პარტიაში, არის მემარჯვენე გადახრა ვარსკის სახით, ამაში დამნაშავეა კომუნისტური ინტერნაციონალი, კომინტერნის არსებული ხელმძღვანელობაო. ის ამბობდა, რომ თუ ვარსკი ერთ დროს იდგა — ის, მართლაც, იდგა — პილსუდსკის ჯარების მხარდაჭერის თვალსაზრისზე, ამაში კომინტერნია დამნაშავეო.

ეს სრულიადაც არ არის მართალი. მე მინდა დავიმოწმო ფაქტები, თქვენთვის ცნობილი ადგილები ცენტრალუ-

რი კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გასული წლის ივლისის პლენუმის სტენოგრამიდან, დავიმოწმო და მოვიყვანო ისეთი კაცის ჩვენება, როგორიც არის ამხ. ძერჟინსკი, რომელმაც მაშინ განაცხადა, რომ თუ პოლონეთის პარტიაში იყო მემარჯვენე გადახრა, მას სწორედ ზინოვიევი ნერგავდაო.

ეს იყო პილსუდსკის ეგრეთწოდებული აჯანყების დღეებში [2], როცა ჩვენ, კომინტერნის აღმასკომისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლონური კომისიის წევრებმა, სადაც შევდიოდით ძერჟინსკი, უშლიხტი, მე, ზინოვიევი და სხვები, შევიმუშავეთ გადაწყვეტილებანი პოლონეთის კომუნისტური პარტიისათვის. ზინოვიევმა, როგორც კომინტერნის თავმჯდომარემ, მაშინ შემოიტანა თავის წინადადებათა პროექტი, სადაც ის, სხვათა შორის, ამბობდა, რომ ახლა პოლონეთში, როცა პილსუდსკის მომხრე ძალებისა და პოლონეთის ვიტოსის მთავრობის მომხრე ძალების ბრძოლა ჩაღდება, რომ ახლა ნეიტრალობის პოლიტიკა კომუნისტური პარტიის მხრივ დაუშვებელია, და რომ **ჯერჯერობით არ უნდა მოეწყოს მწვავე გამოსვლები პილსუდსკის წინააღმდეგ.**

ჩვენ, რამდენიმე კაცი, მათ შორის ძერჟინსკი, მაშინ ამის საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამდით და ვამბობდით, რომ ეს დირექტივა სწორი არ არის, რომ იგი მხოლოდ თავგზას აუბნევს პოლონეთის კომუნისტურ პარტიას. უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია არა მარტო ნეიტრალობის პოლიტიკა, არამედ პილსუდსკის მხარდაჭერის პოლიტიკაც. ზოგ რამეში შემოდავების შემდეგ, ეს დირექტივა მიღებულ იქნა ჩვენი შესწორებებით.

ამით მე მინდა ვთქვა, რომ ვერაფერი-მამაცობაა — გამოხვიდე ვარსკის წინააღმდეგ, რომელმაც მაშინ შეცდომა დაუშვა და რომელიც ამისათვის ჯეროვნად დატუქსეს, მაგრამ შენი ცოდვა სხვას რომ აჰკიდო, შენი ბრალი პო-

ლონეთის პარტიაში მემარჯვენე გადახრის დანერგვაში, ზინოვიევის ბრალი რომ კომინტერნს, კომინტერნის ახლანდელ ხელმძღვანელებს დააკისრო — ეს კომინტერნის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას ნიშნავს.

თქვენ იტყვით, ეს წვრილმანია და ტყუილად აქცევთ ამას ყურადღებასო. არა, ამხანაგებო, ეს წვრილმანი არ არის. პოლონეთის პარტიაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება და კიდევ გაგრძელდება. ზინოვიევს შესწევს, — როგორ ვთქვა უფრო რბილად, — შესწევს გამბედაობა ამტკიცოს, რომ მემარჯვენე გადახრას მხარს უჭერს კომინტერნის ახლანდელი ხელმძღვანელობა. მაგრამ ფაქტები ამის საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ისინი მეტყველებენ, რომ ზინოვიევი ცილს სწამებს კომინტერნს, როცა თავის ცოდვას მას ჰკიდებს ზურგზე. სწორედ მას, ზინოვიევს, სჩვევია ეს, ამაში მისთვის არაფერია ახალი. მაგრამ ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ მისი ეს ცილისმწამებლური მანერა ყოველთვის ვამხილოთ.

ავსტრიის შესახებ. ზინოვიევი აქ ამტკიცებდა, რომ ავსტრიის კომუნისტური პარტია სუსტია, რომ მან ვერ შესძლო ეკისრნა იმ გამოსვლის ხელმძღვანელობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა ვენაში [3]. ეს მართალიცაა და არც არის მართალი. ავსტრიის კომპარტია რომ სუსტია, ეს მართალია. მაგრამ იმის უარყოფა, რომ ის სწორად მოქმედებდა, ნიშნავს მისთვის ცილის დაწამებას. დიახ, იგი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ სუსტია, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არის კაპიტალიზმის ის ღრმა რევოლუციური კრიზისი, რომელიც არევოლუციურებს მასებს, რომელიც არღვევს სოციალ-დემოკრატიის რიგებს და სწრაფად ადიდებს კომუნიზმის შანსებს, სუსტია იმიტომ, რომ ის ახალგაზრდაა, იმიტომ, რომ ავსტრიაში უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია ბატონობა სოციალ-დემოკრატიის

«მემარცხენე» ფრთისა[4], რომელსაც შეუძლია მემარცხენე ფრაზას ამოეფაროს და ისე გაატაროს მემარჯვენე, ოპორტუნისტული საქმე, იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიის დამარცხება ერთი დაკვრით შეუძლებელია. მაგრამ, სწორედ რომ ვთქვათ, რა სურს ზინოვიევს? მან სიტყვა გადაჰკრა, მაგრამ ვერ გაბედა პირდაპირ ეთქვა, რომ თუ ავსტრიის კომპარტია სუსტია, ამაში დამნაშავეა კომინტერნი. ცხადია, მას ამის თქმა უნდოდა. მაგრამ ეს თავდასხმაა დასაძრახ საშუალებათა გამოყენებით. ეს ცილისწამებაა. პირიქით, სწორედ მას შემდეგ, რაც ზინოვიევი აღარაა კომინტერნის თავმჯდომარე, ავსტრიის კომპარტია განთავისუფლდა **მუდმივი ჩხიკინისაგან,** მის შინაურ საქმეებში უთავბოლო ჩარევისაგან და, ამრიგად, მიიღო მან შესაძლებლობა წინ წაიწიოს, განვითარდეს. განა ის ფაქტი, რომ მან მოიპოვა მუშათა მასების თანაგრძნობა და შესძლო ფრიად აქტიური მონაწილეობა მიეღო ვენის ამბებში, — განა ეს არ მოწმობს, რომ ავსტრიის კომპარტია იზრდება და მასობრივ პარტიად იქცევა? როგორ შეიძლება ამ აშკარა ფაქტების უარყოფა?

გალაშქრება ინგლისის კომპარტიის წინააღმდეგ. ზინოვიევი ირწმუნებოდა, რომ ინგლისის კომპარტიას არაფერი მოუგია საყოველთაო და ქვანახშირის მრეწველობის მუშების გაფიცვით[5], რომ ის ბრძოლიდან თითქოს დასუსტებულიც კი გამოვიდა. ეს არ არის მართალი. არ არის მართალი იმიტომ, რომ ინგლისის კომუნისტური პარტიის ხვედრითი წონა დღითი-დღე იზრდება. ამის უარყოფა მხოლოდ ბრმებს თუ შეუძლიათ. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თუ წინათ ინგლისის ბურჟუაზია მას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა იგი, პირიქით, გააფთრებით დევნის ინგლისის კომპარტიას, და არა მარტო ის, არამედ გენერალური საბჭოც[6], ინგლისის ლეიბორისტული პარტიაც აწყობენ «თავიანთი» კომუნისტების წინააღმდეგ გააფთრებულ ლაშქრო-

ბას. რატომ იყო, რომ დღემდე ასე თუ ისე ითმენდნენ ინგლისელ კომუნისტებს? იმიტომ, რომ ისინი სუსტნი იყვნენ, მათი გავლენა მასებში სუსტი იყო. რატომ ახლა აღარ ითმენენ მათ, რატომ ესხმიან თავს მათ ახლა გააფთრებით? იმიტომ, რომ ეშინიათ კომპარტიისა, როგორც ძალისა, იმიტომ, რომ ინგლისის ლეიბორისტული პარტიისა და გენერალური საბჭოს ლიდერებს ეშინიათ მისი, როგორც თავიანთი მესაფლავისა. ზინოვიევი ამას ივიწყებს.

მე არ უარვყოფ, რომ საერთოდ კომინტერნის დასავლეთური სექციები ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად სუსტი არიან. ამის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ სადაა მიზეზები? ამ მიზეზთაგან მთავარია:

ჯერ-ერთი, ის, რომ არ არსებობს ის ღრმა რევოლუციური კრიზისი, რომელიც არევოლუციურებს მასებს, ფეხზე აყენებს მათ და მძაფრად შემოაბრუნებს კომუნიზმისაკენ;

მეორეც, ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში უპირატეს ძალას მუშებს შორის ჯერჯერობით წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიული პარტიები, უფრო ძველნი, ვიდრე კომპარტიები არიან, რომლებიც ახლახან გაჩნდნენ და რომლებისაგან არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მათ ერთი დაკვრით გაანადგურონ სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

და განა ფაქტი არ არის, რომ, ამ გარემოებათა მიუხედავად, დასავლეთის კომპარტიები იზრდებიან, რომ მათი პოპულარობა მუშათა მასებში ძლიერდება, რომ ზოგი მათგანი უკვე გახდა, ზოგი კი ხდება პროლეტარიატის ნამდვილად მასობრივ პარტიად?

მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის დასავლეთში კომპარტიების სწრაფ ზრდას. ეს არის გამთიშველი მუშაობა ოპოზიციისა, სწორედ იმ ოპოზიციისა, რომელიც აქ, ამ დარბაზში, ზის. რა არის საჭირო იმისათვის, რომ კომპარტიები სწრაფი ტემპით იზრდებოდნენ?

კომინტერნის რკინისებური ერთიანობა, მის სექციებში გათიშვის არარსებობა. მაგრამ რას შვრება ოპოზიცია? მან შექმნა მეორე პარტია გერმანიაში, მასლოვისა და რუთ ფიშერის პარტია. იგი ცდილობს შექმნას ასეთივე გამთიშველი ჯგუფები ევროპის სხვა ქვეყნებში. მან, ჩვენმა ოპოზიციამ, შექმნა მეორე პარტია გერმანიაში ცენტრალური კომიტეტით, ცენტრალური ორგანოთი, საპარლამენტო ფრაქციით, მან მოაწყო კომინტერნში გათიშვა, თუმცა კარგად იცის, რომ გათიშვას ამ შემთხვევაში არ შეუძლია არ შეაფერხოს კომპარტიების ზრდა, — და ახლა იგი კომინტერნზე გვანიშნებს და თვითონვე გაჰყვირის, კომპარტიები დასავლეთში ნელა იზრდებიანო! აი მართლაც უტიფრობა, რომელსაც საზღვარი არა აქვს...

ჩინეთის კომუნისტური პარტიის შესახებ. ოპოზიციონერები გაჰყვირიან, რომ მას, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, სახელდობრ — მის ხელმძღვანელობას, აქვს სოციალ-დემოკრატიული, მენშევიკური შეცდომები. ეს მართალია. ამას უსაყვედურებენ კომინტერნის ხელმძღვანელობას. ეს კი სრულიად არ არის სწორი. პირიქით, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის შეცდომებს კომინტერნი სისტემატურად ასწორებდა. ამის უარყოფა მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ. თქვენ ეს იცით პრესიდან, «პრავდიდან», «კომუნისტური ინტერნაციონალიდან» [7], თქვენ ეს იცით კომინტერნის დადგენილებებიდან. კომინტერნის არც ერთი დირექტივა, არც ერთი რეზოლუცია, რომელსაც შეეძლოს მენშევიკური გადახრის წარმოშობა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ოპოზიციას არასოდეს არ დაუსახელებია და ვერც დაასახელებს, ვინაიდან ასეთი დირექტივები ბუნებაში არ არსებობს. სისულელეა იმის ფიქრი, რომ თუ მენშევიკური გადახრა ჩაისახა სადმე კომპარტიაში ან მის ცენტრალურ კომიტეტში, უეჭველად კომინტერნი იყოს ამაში დამნაშავე.

კამენევი კითხვას აყენებს, — საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო მენშევიკური შეცდომები ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში, და უპასუხებს, ეს შეცდომები შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ კომინტერნის არასწორი ხელმძღვანელობის მეოხებითო. მე კი გეკითხებით: საიდან გაჩნდა მენშევიკური შეცდომები გერმანიის კომპარტიაში 1923 წლის რევოლუციის დროს? საიდან გაჩნდა ბრანდლერელობა[8]? ვინ უჭერდა მას მხარს? განა ფაქტი არ არის ის, რომ გერმანიის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მენშევიკურ შეცდომებს მხარს უჭერდა ოპოზიციის ახლანდელი ლიდერი ტროცკი? რატომ არაფერს ამბობდა მაშინ კამენევი, რომ ბრანდლერელობის გაჩენა კომინტერნის არასწორი ხელმძღვანელობით აიხსნება? კამენევსა და ტროცკის დავიწყებიათ პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გაკვეთილები. მათ დავიწყებიათ, რომ რევოლუციის აღმავლობისას აუცილებლად უნდა გაჩნდეს კომპარტიებში მემარჯვენე და მემარცხენე გადახრანი, რომელთაგან პირველს არ სურს გამოეთხოვოს წარსულს, ხოლო მეორეს არ სურს ანგარიში გაუწიოს აწმყოს. მათ დავიწყებიათ, რომ ეს გადახრები აუცილებლად თან სდევენ რევოლუციებს.

აბა რა იყო ჩვენთან 1917 წლის ოქტომბერში, განა მაშინ არ იყო ჩვენს პარტიაში მემარჯვენე და მემარცხენე გადახრა? ნუთუ კამენევსა და ზინოვიევს დაავიწყდათ ეს? გახსოვთ თუ არა, ამხანაგებო, კამენევისა და ზინოვიევის ოქტომბრის მენშევიკური შეცდომების ისტორია? საიდან გაჩნდა მაშინ ეს შეცდომები? ვის მიუძღოდა ამაში ბრალი? განა შეიძლებოდა ბრალი დაგვედო ამაში ლენინისათვის ან ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის? როგორ შეეძლო «დაევიწყებინა» ოპოზიციას ეს და მსგავსი ფაქტები? როგორ შეეძლო მას «დაევიწყებინა», რომ ყოველთვის რევოლუციის აღმავლობისას ჩნდება პარტიების შიგნით მემარჯვენე და მემარცხენე გადახრები მარქსიზმი-

საგან? ხოლო რაში მდგომარეობს ამ დროს მარქსისტების ამოცანა, ლენინელების ამოცანა? იმაში, რომ დასცხონ როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე უკლონისტებს.

მე მაოცებს ტროცკის ქედმაღლობა; მას, თურმე ნუ იტყვით, არ შეუძლია მოითმინოს დასავლეთის თუ აღმოსავლეთის კომპარტიათა სულ მცირედი შეცდომები. იგი, თურმე, გაოცებულია, რომ იქ, ჩინეთში, სადაც არის ახალგაზრდა პარტია, რომელიც ძლივს თუ ითვლის არსებობის ორ წელს, რომ იქ შეიძლებოდა გაჩენილიყო მენშევიკური შეცდომები. ხოლო რამდენ წელს დაყიალობდა თვითონ ტროცკი მენშევიკებს შორის? ეს მას დაავიწყდა? ის ხომ მენშევიკებს შორის დაყიალობდა მთელ 14 წელს — 1903 წლიდან 1917 წლამდე. რატომ აძლევს ის თავის თავს 14 წლის ვადას იმისათვის, რომ, ყოველგვარ ანტილენინურ «მიმდინარეობებში» ყიალის შემდეგ, მიუახლოვდეს ბოლშევიკებს, ამავე დროს კი არ სურს თუნდაც 4 წლის ვადა მისცეს ახალგაზრდა ჩინელ კომუნისტებს? რატომ არის ის ასე ქედმაღალი სხვების მიმართ და რატომ ივიწყებს თავის საკუთარ ყიალს? რატომ? სად არის აქ, ასე ვთქვათ, «საშართლიანობა»?

II

ჩინეთის შესახებ

გადავიდეთ ჩინეთის საკითხზე.

მე დიდხანს არ ვილაპარაკებ ოპოზიციის შეცდომებზე ჩინეთის რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხში. არ ვილაპარაკებ, რადგან ამაზე საკმაოდ ბევრი და საკმაოდ დამარწმუნებლად ითქვა, და განმეორება აქ არ ღირს. არ ვილაპარაკებ დიდხანს იმაზე, რომ ჩინეთის რევოლუცია ახლანდელ სტადიაზე თითქოს წარმოადგენდეს რევოლუციას საბაჟო ავტონომიისათვის (ტროცკი). არ ღირს აგრეთვე დიდხანს ლაპარაკი იმაზე, რომ ჩინეთში

ვითომ არ არსებობდეს ფეოდალური გადმონაშთები, ხოლო თუ არსებობს, მათ არ ჰქონდეთ რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობა, ამასთან აგრარული რევოლუცია ჩინეთში, ამრიგად, სრულიად გაუგებარი ხდებოდეს (ტროცკი და რადეკი). ოპოზიციის ამ და მსგავს შეცდომებს ჩინეთის საკითხში თქვენ, ალბათ, უკვე გაცნობილი ხართ ჩვენი პარტიული პრესიდან.

გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორია ლენინიზმის ძირითადი გამოსავალი პუნქტები კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციის საკითხების გადაწყვეტისას.

რაში მდგომარეობს კომინტერნისა და საერთოდ კომუნისტური პარტიების გამოსავალი პუნქტი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის საკითხებისადმი მიდგომისას?

იგი მდგომარეობს იმაში, რომ მკვეთრად უნდა **განვასხვავებდეთ** ერთიმეორისაგან რევოლუციას იმპერიალისტურ ქვეყნებში, სხვა ხალხთა მჩაგვრელ ქვეყნებში, და რევოლუციას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა იმპერიალისტურ ჩაგვრას განიცდიან. რევოლუცია იმპერიალისტურ ქვეყნებში — ეს ერთი რამ არის, იქ ბურჟუაზია სხვა ხალხთა მჩაგვრელია, იქ იგი კონტრრევოლუციურია რევოლუციის ყველა სტადიაზე, იქ ნაციონალური მომენტი, როგორც განმათავისუფლებელი ბრძოლის მომენტი, არ არსებობს. რევოლუცია კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში — ეს სხვა რამეა, იქ სხვა სახელმწიფოთა იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრა რევოლუციის ერთი ფაქტორთაგანია, იქ ამ ჩაგვრას არ შეუძლია ნაციონალური ბურჟუაზიაც არ შელახოს, იქ ნაციონალურ ბურჟუაზიას განსაზღვრულ სტადიაზე და განსაზღვრული ვადით შეუძლია მხარი დაუჭიროს თავისი ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობას იმპერია-

ლიზმის წინააღმდეგ, იქ ნაციონალური მომენტი, როგორც განთავისუფლებისათვის ბრძოლის მომენტი, რევოლუციის ფაქტორს წარმოადგენს.

ეს რომ არ განასხვაო, ეს განსხვავება რომ არ გესმოდეს, იმპერიალისტური ქვეყნების რევოლუცია რომ გააიგივეო კოლონიური ქვეყნების რევოლუციასთან, — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოშორდე მარქსიზმის გზას, ლენინიზმის გზას, დაადგე II ინტერნაციონალის მომხრეთა გზას.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი თავის მოხსენებაში ნაციონალური და კოლონიური საკითხების გამო კომინტერნის II კონგრესზე:

«რა წარმოადგენს ჩვენი თეზისების **ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად იდეას? განსხვავება ჩაგრულ** და **მჩაგვრელ** ხალხებს შორის. **ჩვენ** ხაზს ვუსვამთ ამ განსხვავებას — II ინტერნაციონალისა. და **ბურჟუაზიული** დემოკრატიის საპირდაპიროდ» * (ტ. XXV, გვ. 351).

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ეს განსხვავება, რომ ის არ ცნობს ამ განსხვავებას ერთი ტიპის რევოლუციასა და მეორე ტიპის რევოლუციას შორის.

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი **აიგივებს** რუსეთის, იმპერიალისტური, სხვა ხალხთა მჩაგრავი ქვეყნის, 1905 წლის რევოლუციას და ჩინეთის, ჩაგრული, ნახევრად-კოლონიური ქვეყნის, ისეთი ქვეყნის რევოლუციას, რომელიც იძულებულია იბრძოლოს სხვა სახელმწიფოთა მხრივ იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ჩვენში, რუსეთში, 1905 წელს რევოლუცია მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო. რატომ? იმიტომ, **რომ იმპერიალისტური** ქვეყნის ლიბერალური ბურჟუაზია არ

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

შეიძლება არ იყოს კონტრრევოლუციური. სწორედ ამიტომ ბოლშევიკებში მაშინ არ იყო და არც შეიძლებოდა ლაპარაკი დროებით ბლოკებსა და შეთანხმებებზე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. ამის საფუძველზე ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ესევე უნდა გატარდეს ჩინეთში რევოლუციური მოძრაობის ყველა სტადიაზე, რომ დროებითი შეთანხმებანი და ბლოკები ნაციონალურ ბურჟუაზიასთან არასოდეს და არავითარ პირობებში არ არის დასაშვები ჩინეთშიო. მაგრამ ოპოზიცია ივიწყებს, რომ ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ ესმით განსხვავება, რომლებიც არ ცნობენ განსხვავებას ჩაგრული ქვეყნების რევოლუციასა და მჩაგვრელი ქვეყნების რევოლუციას შორის, რომ ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც კავშირს წყვეტენ ლენინიზმთან და II ინტერნაციონალის მომხრეებისაკენ ეშვებიან.

აი რას ამბობს ლენინი იმაზე, დასაშვებია თუ არა დროებითი შეთანხმებანი და ბლოკები **ბურჟუაზიულ**-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კოლონიურ ქვეყნებში:

«კომუნისტური ინტერნაციონალი **დროებით კავშირში*** უნდა იყოს კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, მაგრამ მთლიანად არ უნდა შეუერთდეს მას და უეჭველად უნდა ინარჩუნებდეს პროლეტარული მოძრაობის დამოუკიდებლობას ამ მოძრაობის სულ ჩანასახ ფორმაშიც კი» (ტ. XXV, გვ. 290)... «ჩვენ, როგორც კომუნისტები, მხოლოდ იმ შემთხვევებში უნდა ვუჭერდეთ მხარს და **დავუჭერთ მხარს ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ*** მოძრაობას კოლონიურ ქვეყნებში, როცა ეს მოძრაობა ნამდვილად რევოლუციურია, როცა მისი წარმომადგენლები ხელს არ შეგვიშლიან რევოლუციური სულისკვეთებით აღვზარდოთ და დავრაზმოთ გლეხობა და ექსპლოატირებულთა ფართო მასები» (ტ. XXV, გვ. 353).

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

როგორ შეიძლებოდა «მომხდარიყო», რომ ლენინი, რომელიც სასტიკად ილაშქრებდა **რუსეთში** ბურჟუაზიასთან შეთანხმებათა წინააღმდეგ, დასაშვებად თვლის ასეთ შეთანხმებებსა და ბლოკებს **ჩინეთში?** იქნებ, ლენინი შეცდა? იქნებ, იგი რევოლუციური ტაქტიკიდან ოპორტუნისტული ტაქტიკისაკენ შებრუნდა? რა თქმა უნდა, არა! «მოხდა» ეს იმიტომ, რომ ლენინს ესმოდა განსხვავება ჩაგრული ქვეყნის რევოლუციასა და მჩაგვრელი ქვეყნის რევოლუციას შორის. «მოხდა» ეს იმიტომ, რომ ლენინს ესმოდა, რომ თავისი განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ნაციონალურმა ბურჟუაზიამ შეიძლება მხარი დაუჭიროს თავისი ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობას იმპერიალიზმის უღლის წინააღმდეგ. ამის გაგება არ სურს ოპოზიციას, მაგრამ ამის გაგება მას არ სურს იმიტომ, რომ იგი კავშირს წყვეტს ლენინის რევოლუციურ ტაქტიკასთან, კავშირს წყვეტს ლენინიზმის რევოლუციურ ტაქტიკასთან.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება იმას, თუ ოპოზიციის ლიდერები თავიანთ სიტყვებში რა გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს ლენინის ამ მითითებებს და შიშობდნენ მათ შეხებოდნენ? რატომ უვლიან ისინი გვერდს ლენინის ამ ყველასათვის ცნობილ ტაქტიკურ მითითებებს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისათვის? რატომ ეშინიათ მათ ამ მითითებებისა? იმიტომ, რომ მათ ეშინიათ სიმართლისა. იმიტომ, რომ ლენინის ტაქტიკური მითითებანი აცამტვერებენ ტროცკიზმის მთელ იდეურ-პოლიტიკურ გეზს ჩინეთის რევოლუციის საკითხებში.

ჩინეთის რევოლუციის ეტაპების შესახებ. ოპოზიცია იმდენად დაიბნა, რომ იგი ახლა უარყოფს რაიმე ეტაპების არსებობას ჩინეთის რევოლუციის განვითარებაში. მაგრამ განა შეიძლება იყოს რევოლუცია, რომელსაც არა აქვს თა-

ვისი განვითარების განსაზღვრული ეტაპები? განა ჩვენს რევოლუციას არა ჰქონდა თავისი განვითარების ეტაპები? აიღეთ ლენინის აპრილის თეზისები* და დაინახავთ, რომ ლენინი ჩვენს რევოლუციაში ცნობდა ორ ეტაპს: პირველი ეტაპი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და აგრარული მოძრაობა, როგორც მისი მთავარი ღერძი; მეორე ეტაპი — ოქტომბრის რევოლუცია და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობა, როგორც მისი მთავარი ღერძი.

როგორია ჩინეთის რევოლუციის ეტაპები?

ჩემი აზრით, ასეთი ეტაპი უნდა იყოს სამი:

პირველი ეტაპი — საერთო-ნაციონალური **გაერთიანებული** ფრონტის რევოლუცია, კანტონის პერიოდი, როცა რევოლუცია თავის მახვილს მიმართავდა უპირატესად უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხოლო ნაციონალური ბურჟუაზია მხარს უჭერდა რევოლუციურ მოძრაობას;

მეორე ეტაპი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ნაციონალური ჯარების მდინარე იანძიზე გასვლის შემდეგ, როცა ნაციონალური ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლუციას, ხოლო აგრარული მოძრაობა გაიზარდა ათეული მილიონობით გლეხობის მძლავრ რევოლუციად (ახლა ჩინეთის რევოლუცია თავისი განვითარების მეორე ეტაპზეა);

მესამე ეტაპი — საბჭოთა რევოლუცია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ რომელიც იქნება.

ვისაც ვერ გაუგია, რომ არ შეიძლება იყოს ისეთი რევოლუცია, რომელსაც თავისი განვითარების განსაზღვრული ეტაპები არა აქვს, ვისაც ვერ გაუგია, რომ ჩინეთის რევოლუციას თავის განვითარებაში სამი ეტაპი აქვს, მას ვერაფერი გაუგია ვერც მარქსიზმისა, ვერც ჩინეთის საკითხისა.

რა არის ჩინეთის რევოლუციის პირველი ეტაპის დამახასიათებელი ნიშანი?

ჩინეთის რევოლუციის პირველი ეტაპის დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ იგი, ჯერ-ერთი, იყო საერთო-ნაციონალური გაერთიანებული ფრონტის რევოლუცია, მეორეც, რომ იგი მიმართული იყო, უმთავრესად, გარეიმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ (ჰონკონგის გაფიცვა [10] და სხვ.). იყო თუ არა მაშინ კანტონი ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი, პლაცდარმი? უეჭველია, იყო. ამის უარყოფა ახლა მხოლოდ ბრმებს თუ შეუძლიათ.

მართალია თუ არა, რომ კოლონიური რევოლუციის პირველი ეტაპი უნდა ატარებდეს სწორედ ასეთ ხასიათს? მე ვფიქრობ, რომ მართალია. კომინტერნის II კონგრესის «დამატებით თეზისებში», სადაც ლაპარაკია ჩინეთისა და ინდოეთის რევოლუციაზე, პირდაპირ ნათქვამია, რომ ამ ქვეყნებში «უცხოელთა მომძლავრება მუდამ აფერხებს სოციალური ცხოვრების თავისუფალ განვითარებას», რომ «ამიტომ კოლონიებში რევოლუციის **პირველი ნაბიჯი** * უნდა იყოს უცხოეთის კაპიტალიზმის დამხობა» (იხ. კომინტერნის II კონგრესის სტენოგრ. ანგარიში, გვ. 605).

ჩინეთის რევოლუციის დამახასიათებელი ნიშანია ის ფაქტი, რომ მან გაიარა ეს «პირველი ნაბიჯი», თავისი განვითარების პირველი ეტაპი, გაიარა საერთო-ნაციონალური გაერთიანებული ფრონტის რევოლუციის პერიოდი და ფეხი შედგა თავისი განვითარების მეორე ეტაპში, აგრარულ რევოლუციის პერიოდში.

დამახასიათებელი ნიშანი, მაგალითად, თურქეთის რევოლუციისა (ქემალისტები), პირიქით, არის ის ფაქტი, რომ იგი გაიჩხირა «პირველ ნაბიჯზე», თავისი განვითარების

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

პირველ ეტაპზე, ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპზე და არც კი ცდილობს გადავიდეს თავისი განვითარების მეორე ეტაპში, აგრარული რევოლუციის ეტაპში.

რას წარმოადგენდნენ გომინდანი[11] და მისი მთავრობა რევოლუციის პირველ ეტაპზე, კანტონის პერიოდში? ისინი მაშინ წარმოადგენდნენ მუშების, გლეხების, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ბლოკს. იყო თუ არა მაშინ კანტონი რევოლუციური მოძრაობის ცენტრი, რევოლუციის პლაცდარმი? სწორი იყო თუ არა მაშინ კანტონის გომინდანის, როგორც იმპერიალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავრობის, მხარდაჭერის პოლიტიკა? მართალი ვიყავით თუ არა ჩვენ, დახმარებას რომ ვუწევდით კანტონს ჩინეთში და, ვთქვათ, ანგორას თურქეთში, როცა კანტონი და ანგორა ბრძოლას აწარმოებდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ? დიახ, ჩვენ მართალი ვიყავით. ჩვენ მართალი ვიყავით, და ჩვენ მაშინ მივდიოდით ლენინის გზით, ვინაიდან კანტონისა და ანგორის ბრძოლა ქსაქსავდა იმპერიალიზმის ძალებს, ასუსტებდა, სახელს უტეხდა იმპერიალიზმს და ამით აადვილებდა მსოფლიო რევოლუციის კერის განვითარების საქმეს, სსრ კავშირის განვითარების საქმეს. მართალია თუ არა, რომ ჩვენი ოპოზიციის ახლანდელი ლიდერები მაშინ მხარს უჭერდნენ ჩვენთან ერთად კანტონსაც და ანგორასაც, გარკვეულ დახმარებას უწევდნენ მათ? დიახ, მართალია. დაე სცადოს ვინმემ ამის უარყოფა.

მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ერთიანი ფრონტი ნაციონალურ ბურჟუაზიასთან კოლონიური რევოლუციის პირველ ეტაპზე? ნიშნავს თუ არა ეს, რომ კომუნისტებმა არ უნდა გაამახვილონ მუშათა და გლეხთა ბრძოლა მემამულეებისა და ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ,

რომ პროლეტარიატმა უნდა დათმოს, თუნდაც ოდნავად, თუნდაც ერთი წუთით, თავისი დამოუკიდებლობა? არა, არ ნიშნავს. ერთიან ფრონტს შეიძლება ჰქონდეს რევოლუციური მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ხელს არ უშლის კომპარტიას გასწიოს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, დარაზმოს პროლეტარიატი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, აამხედროს გლეხობა მემამულეთა წინააღმდეგ, აშკარად მოაწყოს მუშათა და გლეხთა რევოლუცია და, ამრიგად, მოამზადოს პირობები პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის. მე ვფიქრობ, მომხსენებელმა, ყველასათვის ცნობილი დოკუმენტების საფუძველზე, სავსებით დაამტკიცა, რომ კომინტერნი ერთიანი ფრონტის სწორედ ასეთ გაგებას შთააგონებდა ჩინეთის კომპარტიას.

კამენევი და ზინოვიევი აქ იმოწმებდნენ ერთადერთ დეპეშას, რომელიც გაგზავნილი იყო შანხაიში 1926 წლის ოქტომბერში; ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ ჯერჯერობით, შანხაის ალებამდე, არ უნდა გამწვავდეს აგრარული მოძრაობა. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს დეპეშა სწორად ვალიარო. მე არასოდეს არ მიმაჩნდა და არ მიმაჩნია კომინტერნი უცოდველად. ცალკეული შეცდომები არის ხოლმე, და ეს დეპეშა, უდავოდ, მცდარია. მაგრამ, ჯერერთი, ეს დეპეშა **გააუქმა თვითონ კომინტერნმა,** რამდენიმე კვირის შემდეგ (1926 წ. ნოემბერში), ისე რომ ოპოზიციის მხრივ არავითარი განცხადება თუ სიგნალი არ ყოფილა. მეორეც, რატომ დღემდე დუმდა ამაზე ოპოზიცია, რატომ გაიხსენა მან ეს დეპეშა მხოლოდ **ცხრა თვის შემდეგ** და რატომ უმალავს იგი პარტიას, რომ ეს დეპეშა გააუქმა კომინტერნმა **ცხრა თვის წინათ?** ამიტომ ბოროტი ცილისწამება იქნებოდა იმის ფიქრი, რომ იგი, ეს დეპეშა, განსაზღვრავდა ჩვენი ხელმძღვანელობის ხაზს. ნამდ-

ვილად კი ეს იყო ცალკეული ეპიზოდური დეპეშა, რომელიც სრულიადაც არ არის დამახასიათებელი კომინტერნის ხაზისათვის, ჩვენი ხელმძღვანელობის ხაზისათვის. ეს ჩანს, ვიმეორებ, თუნდაც იქიდან, რომ იგი გაუქმებულ იქნა რამდენიმე კვირის შემდეგ მთელი რიგი დოკუმენტებით, რომლებიც იძლევიან ხაზს და უეჭველად დამახასიათებელი არიან ჩვენი ხელმძღვანელობისათვის.

ნება მომეცით დავიმოწმო ეს დოკუმენტები.

აი, მაგალითად, ამონაწერი კომინტერნის VII პლენუმის მიერ **1926 წლის ნოემბერში,** ე. ი. ზემოხსენებული დეპეშის გაგზავნის ერთი თვის შემდეგ მიღებული რეზოლუციიდან:

«ახლანდელი მდგომარეობის ორიგინალურ თავისებურებას წარმოადგენს მისი გარდამავალი ხასიათი, როცა პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს არჩევანი ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ფენებთან ბლოკის პერსპექტივასა და გლეხობასთან თავისი კავშირის შემდგომი განმტკიცების პერსპექტივას შორის. **თუ პროლეტარიატი არ წამოაყენებს რადიკალურ აგრარულ პროგრამას, იგი ვერ შესძლებს ჩააბას გლეხობა რევოლუციურ ბრძოლაში და დაკარგავს ჰეგემონიას ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში»** *.

და შემდეგ:

«კანტონის სახალხო მთავრობა ვერ შესძლებს შეინარჩუნოს ძალაუფლება რევოლუციაში, ვერ შესძლებს მიაღწიოს სრულ გამარჯვებას უცხოეთის იმპერიალიზმზე და ადგილობრივ რეაქციაზე, სანამ ნაციონალური განთავისუფლების საქმე არ იქნება **გაიგივებული აგრარულ რევოლუციასთან»** * (იხ. კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია).

აი დოკუმენტი, რომელიც ნამდვილად განსაზღვრავს კომინტერნის ხელმძღვანელობის **ხაზს.**

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

მეტისმეტად უცნაურია, რომ ოპოზიციის ლიდერები გვერდს უვლიან კომინტერნის ამ ყველასათვის ცნობილ დოკუმენტს.

იქნებ, კადნიერება არ იყოს, თუ დავიმოწმებ ჩემს სიტყვას, წარმოთქმულს **იმავე 1926 წლის ნოემბერში** კომინტერნის ჩინეთის კომისიაში, რომელმაც, რა თქმა უნდა, ჩემი მონაწილეობითაც, შეიმუშავა VII გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია ჩინეთის საკითხზე. იგი, ეს სიტყვა, შემდეგ გამოვიდა ცალკე ბროშურად სათაურით «ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ». აი ზოგიერთი ადგილი ამ სიტყვიდან:

«მე ვიცი, რომ გომინდანელებს შორის და ჩინელ კომუნისტებს შორისაც კი არიან ადამიანები, რომლებსაც შესაძლებლად არ მიაჩნიათ რევოლუციის გაჩაღება სოფლად, რადგან შიშობენ, რომ გლეხობის ჩაბმა რევოლუციაში ძირს გამოუთხრის ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტს. ეს უდიდესი შეცდომაა, ამხანაგებო. **ანტიიმპერიალისტური ფრონტი ჩინეთში მით უფრო ძლიერი და მძლავრი იქნება, რაც უფრო მალე და საფუძვლიანად ჩაებმება ჩინეთის გლეხობა რევოლუციაში».**

და შემდეგ:

«მე ვიცი, რომ ჩინეთის კომუნისტებს შორის არიან ამხანაგები, რომლებსაც არასასურველად მიაჩნიათ მუშების გაფიცვები თავიანთი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ურჩევენ მუშებს არ მიმართონ გაფიცვებს. (ხმა: «ეს იყო კანტონსა და შანხაიში»). ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. ეს ჩინეთის პროლეტარიატის როლისა და ხვედრითი წონის უაღრესად სერიოზული შეუფასებლობაა. ეს თეზისებში უნდა აღინიშნოს, როგორც უთუოდ უარყოფითი მოვლენა. დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩინეთის კომუნისტები ახლანდელ ხელსაყრელ ვითარებას არ გამოიყენებდნენ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ მუშებს გაეუმჯობესებინათ თავიანთი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, თუნდაც გაფიცვების საშუალებით. მაშინ რაღა საჭიროა რევოლუცია ჩინეთში?» (იხ. **სტალინი,** «ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ» [12]).

აი კიდევ მესამე დოკუმენტი, **1926 წლის დეკემბრისა,** მოცემული იმ მომენტში, როცა კომინტერნს ჩინეთის ყველა ქალაქიდან მოსვენებას არ აძლევდნენ და არწმუნებდნენ, რომ მუშების ბრძოლის გაჩაღება იწვევს კრიზისს, უმუშევრობას, ფაბრიკა-ქარხნების დახურვასო:

«საერთო პოლიტიკა ქალაქებში უკანდახევისა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მებრძოლი მუშების ბრძოლის შეკვეცისა **სწორი არის.** სოფლად ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა გამოვიყენოთ ხელსაყრელი მომენტი მუშების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თანაც ყოველნაირად ვეცადოთ მივცეთ მუშების ბრძოლას ორგანიზებული ხასიათი, რომელიც გამორიცხავს ექსცესებს და მეტისმეტად წინწახტომას. განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ, რათა ბრძოლა ქალაქებში წარიმართოს ბურჟუაზიის მსხვილი ფენების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტების წინააღმდეგ, იმ ანგარიშით, რომ ჩინეთის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია შეძლებისამებრ შეკავებულ იქნას საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ფარგლებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისტემა მომრიგებელი კამერებისა, სამედიატორო სასამართლოებისა და სხვ., ოღონდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორი მუშური პოლიტიკა ამ ინსტიტუტებში. ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ დეკრეტები გაფიცვების, მუშათა კრებების თავისუფლების და სხვ. წინააღმდეგ აბსოლუტურად დაუშვებელია».

მეოთხე დოკუმენტი, მოცემული ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებამდე [13] თვენახევრით ადრე:

«აუცილებელია გაძლიერდეს არმიაში გომინდანური და კომუნისტური უჯრედების მუშაობა, შეიქმნას ეს უჯრედები იქ, სადაც არ არის და სადაც მათი მოწყობა შესაძლებელია; იქ კი, სადაც კომუნისტური უჯრედების მოწყობა შეუძლებელია, საჭიროა გავწიოთ ჯაძლიერებული მუშაობა ფარული კომუნისტების დახმარებით.

აუცილებელია ავიღოთ კურსი იქითკენ, რომ **შევაიარაღოთ მუშები და გლეხები, გადავაქციოთ ადგილობრივი გლეხთა კომიტეტები ხელისუფლების ფაქტიურ ორგანოებად, რომლებსაც ეყოლებათ შეიარაღებული თავდაცვითი ძალა,** და ა. შ.

«აუცილებელია, რომ კომპარტია **ყველგან** გამოდიოდეს როგორც **ასეთი;** დაუშვებელია ნებაყოფლობითი **ნახევარლეგალობის პოლიტიკა;**

კომპარტიას არ შეუძლია მასობრივი მოძრაობის შემაფერხებლად გამოდიოდეს; **კომპარტია არ უნდა მალავდეს მემარჯვენე გომინდანელების მოღალატურ და რეაქციულ პოლიტიკას; აუცილებელია მათ სამხილებლად დავრაზმოთ მასები გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის გარშემო.**

აუცილებელია რევოლუციის ერთგული ყველა მუშაკის ყურადღება მიექცეს იმას, რომ ამჟამად ჩინეთის რევოლუცია, კლასობრივი ძალების გადაჯგუფებასა და იმპერიალისტური არმიების კონცენტრაციასთან დაკავშირებით, კრიტიკულ პერიოდს განიცდის და რომ მისი შემდგომი გამარჯვებანი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ აღებული იქნება გადამწყვეტი კურსი მასობრივი მოძრაობის განვითარებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციას უდიდესი საფრთხე ემუქრება. ამიტომ დირექტივების განხორციელება უფრო აუცილებელია, ვიდრე როდისმე იყო».

ხოლო უფრო ადრე, ჯერ კიდევ **1926 წლის აპრილში**, მემარჯვენე გომინდანელებისა და ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებამდე ერთი წლით ადრე, კომინტერნი აფრთხილებდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და მიუთითებდა მას, «საჭიროა საქმის ისე წარმართვა, რომ მემარჯვენენი გავიდნენ ან გაირიცხონ გომინდანიდანო».

აი როგორ ესმოდა და ახლაც ესმის კომინტერნს ტაქტიკა ერთიანი ფრონტისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიური რევოლუციის პირველ ეტაპზე.

იცნობს თუ არა ამ სახელმძღვანელო დოკუმენტებს ოპოზიცია? რა თქმა უნდა, იცნობს. მაშ რატომ დუმს იგი ამ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე? იმიტომ, რომ იგი კინკლაობას ეტანება და არა სიმართლეს.

იყო კი დრო, როცა ოპოზიციის ახლანდელ ლიდერებს, განსაკუთრებით ზინოვიევსა და კამენევს, ცოტა რამ გაეგებოდათ ლენინიზმისა, და როცა ისინი იცავდნენ ძირითადად იმავე პოლიტიკას ჩინეთის რევოლუციურ მოძრაობაში, რომელსაც ატარებდა კომინტერნი და რომელიც დაგვისახა თავის თეზისებში ამხ. ლენინმა[14]. მე მხედველობაში

მაქვს კომუნისტური ინტერნაციონალის **1926 წლის თებერვალ-მარტის** VI პლენუმი, როცა კომინტერნის თავმჯდომარედ იყო ზინოვიევი, როცა ის ჯერ კიდევ ლენინელი იყო და ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ტროცკის ბანაკში გადაბარგება. კომუნისტური ინტერნაციონალის VI პლენუმზე მე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ არსებობს ამ პლენუმის რეზოლუცია ჩინეთის რევოლუციის შესახებ[15], ერთხმად მიღებული 1926 წლის თებერვალ-მარტში, სადაც მოცემულია ჩინეთის რევოლუციის პირველი ეტაპის, კანტონის გომინდანისა და კანტონის მთავრობის დაახლოებით ისეთივე შეფასება, როგორსაც იძლევიან კომინტერნი და საკავშირო კ. პ. (ბ) და რომელსაც ახლა ემიჯნება ოპოზიცია. ამ რეზოლუციაზე მე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მას ხმა მისცა მაშინ ზინოვიევმა და მის წინააღმდეგ არ გამოსულა ცენტრალური კომიტეტის არც ერთი წევრი, მათ შორის ტროცკი, კამენევი და ახლანდელი ოპოზიციის სხვა ლიდერები.

ნება მომეცით მოვიყვანო ამ რეზოლუციის ზოგიერთი ადგილი.

აი რა არის ნათქვამი ამ რეზოლუციაში **გომინდანის შესახებ:**

«შანხაისა და ჰონკონგში მომხდარმა ჩინელი მუშების პოლიტიკურმა გაფიცვებმა (1925 წ. ივნისი — სექტემბერი) შექმნეს გარდატეხის მომენტი ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ... პროლეტარიატის პოლიტიკურმა გამოსვლამ მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის ყველა რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაციის და, პირველ რიგში, გომინდანის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და კანტონის რევოლუციური მთავრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. გომინდანის პარტია, რომელიც თავისი ძირითადი ბირთვით გამოდიოდა ჩინელ კომუნისტებთან შეკავშირებული, წარმოადგენს **მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და ქალაქის დემოკრატიის რევოლუციურ ბლოკს**» იმ ნიადაგზე, რომ

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

საერთოა ამ ფენების კლასობრივი ინტერესები უცხოელი იმპერიალისტებისა და ცხოვრების მთელი სამხედრო-ფეოდალური წყობის წინააღმდეგ, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლებისათვის ბრძოლაში» (იხ. კომინტერნის აღმასკომის VI პლენუმის რეზოლუცია).

ამრიგად, კანტონის გომინდანი, როგორც ოთხი «კლასის» კავშირი. თქვენ ხედავთ, — ეს თითქმის «მარტინოველობაა» [16], მოწონებული არა სხვა ვინმეს, არამედ კომინტერნის მაშინდელი თავმჯდომარის ზინოვიევის მიერ.

კანტონის გომინდანური მთავრობის შესახებ:

«გომინდანის პარტიის მიერ კანტონში შექმნილმა რევოლუციურმა მთავრობამ * უკვე მოასწრო დაკავშირებოდა მუშების, გლეხებისა და ქალაქის დემოკრატიის უფართოეს მასებს და, მათზე დაყრდნობით, დაამარცხა იმპერიალისტების მიერ ზურგგამაგრებული კონტრრევოლუციური ბანდები (და ატარებს მუშაობას გუანდუნის პროვინციის მთელი პოლიტიკური ცხოვრების რადიკალური დემოკრატიზაციისათვის). ●რის რა, ამრიგად, ავანგარდი ჩინელი ხალხის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის, **კანტონის მთავრობა წარმოადგენს ქვეყნის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული მშენებლობის ნიმუშს»** * (იხ. ოქვე).

მაშასადამე, კანტონის გომინდანური მთავრობა, წარმოადგენდა რა ოთხი **«კლასის»** ბლოკს, იყო **რევოლუციური** მთავრობა, და არა მარტო რევოლუციური, არამედ ჩინეთის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობის **ნიმუშიც** კი.

მუშების, გლეხებისა და ბურჟუაზიის ერთიანი ფრონტის შესახებ:

«ახალ საშიშროებათა წინაშე ჩინეთის კომპარტიამ და გომინდანმა უნდა განავითარონ უაღრესად ფართო პოლიტიკური მუშაობა, — მოაწყონ მასობრივი გამოსვლები სახალხო არმიების ბრძოლის მხარდასაჭერად, გამოიყენონ იმპერიალისტთა ბანაკის შინაგანი წინააღმდეგობანი და დაუპირისპირონ მათ **მოსახლეობის უფართოესი ფენების** (მუშების, გლეხების, **ბურჟუაზიის) ერთიანი ნაციონალურ-რევოლუ-**

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ციური ფრონტი რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით» * (იხ. იქვე).

გამოდის, რომ დროებითი ბლოკები და შეთანხმებანი **ბურჟუაზიასთან** კოლონიურ ქვეყნებში კოლონიური რევოლუციის განსაზღვრულ ეტაპზე არა თუ დასაშვებია, არამედ პირდაპირ აუცილებელიცაა.

ხომ მართალია, ეს ძალიან ჰგავს იმას, რასაც გვეუბნება ლენინი თავის ცნობილ მითითებებში კომუნისტების ტაქტიკაზე კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზინოვიევს უკვე მოუსწრია ამის დავიწყება.

გომინდანიდან გასვლის საკითხი:

«ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზიის ცალკეული ფენები, რომლებიც დროებით დაჯგუფდნენ გომინდანის პარტიის გარშემო, უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩამოშორდნენ მას, რამაც გამოიწვია ის, რომ გომინდანის მარჯვენა ფრთაზე შეიქმნა მცირე ჯგუფი, რომელიც აშკარად გამოდიოდა მშრომელთა მასებთან გომინდანის მჭიდრო კავშირის წინააღმდეგ, გომინდანიდან კომუნისტების გარიცხვისათვის, და ქანტონის მთავრობის რევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ. **ამ მარჯვენა ფრთის გაკიცხვა გომინდანის II კონგრესზე** (1926 წ. იანვარი) **და კომუნისტებთან გომინდანის საბრძოლო კავშირის აუცილებლობის დადასტურება განამტკიცებს გომინდანისა და კანტონის მთავრობის მოღვაწეობის რევოლუციურ მიმართულებას და უზრუნველყოფს გომინდანისათვის პროლეტარიატის რევოლუციურ მხარდაჭერას»** * (იხ. იქვე).

მაშასადამე, კომუნისტების გასვლა გომინდანიდან ჩინეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე სერიოზული შეცდომა იქნებოდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზინოვიევს, რომელმაც ხმა მისცა ამ რეზოლუციას, უკვე მოუსწრია ამის დავიწყება რაღაც ერთი თვის შემდეგ. ვინაიდან სწორედ 1926 წლის აპრილში (ერთი თვის შემდეგ) მოითხოვ-

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

და ზინოვიევი კომუნისტების დაუყოვნებლივ გასვლას გომინდანიდან.

ჩინეთის კომპარტიაში გადახრებისა და იმის შესახებ, რომ დაუშვებელია რევოლუციის გომინდანური ფაზის თავზე გადახტომა:

«ჩინელი კომუნისტების პოლიტიკური თვითგამორკვევა განვითარდება ბრძოლაში ორი თანაბრად მავნე გადახრის წინააღმდეგ: **მემარჯვენე** ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, რომელიც უგულებელყოფს ჩინეთის პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასობრივ ამოცანებს და იწვევს უფორმო შეერთებას საერთო დემოკრატიულ ნაციონალურ მოძრაობასთან, და უკიდურეს მემარცხენე განწყობილებათა წინააღმდეგ, რომელნიც ისწრაფიან **თავს გადაახტნენ მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ეტაპს** და გადავიდნენ უშუალოდ პროლეტარული დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებზე, ამასთან **ივიწყებენ გლეხობას,** ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ძირითად და გადამწყვეტ ფაქტორს» * (იხ. იქვე).

აქ, როგორც ხედავთ, ყველაფერია იმისათვის, რომ ვამხილოთ ახლა ოპოზიცია ჩინეთის განვითარების გომინდანური ფაზის თავზე გადახტომაშიც, გლეხთა მოძრაობის შეუფასებლობაშიც, საბჭოებისაკენ წინ გადახტომაშიც. პირდაპირ გულში მოხვდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

იცნობენ თუ არა ამ რეზოლუციას ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი?

უნდა ვიფიქროთ, რომ იცნობენ. ყოველ შემთხვევაში, მას არ შეიძლება არ იცნობდეს ზინოვიევი, რომლის თავმჯდომარეობითაც ტარდებოდა ეს რეზოლუცია კომინტერნის VI პლენუმზე და რომელმაც თვითონ მისცა მას ხმა. მაშ რატომ უვლიან ახლა გვერდს ოპოზიციის ლიდერები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უმაღლესი ინსტანციის ამ რეზოლუციას? რატომ ჩქმალავენ ისინი ამ რეზოლუციას? იმიტომ, რომ იგი მიმართულია მათ წინააღმდეგ ჩინეთის რევოლუციის ყველა საკითხში. იმიტომ, რომ

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

იგი აცამტვერებს ოპოზიციის მთელ ახლანდელ ტროცკისტულ გეზს. იმიტომ, რომ ისინი ჩამოშორდნენ კომინტერნს, ჩამოშორდნენ ლენინიზმს, და ახლა, თავისი წარსულის შიშით, თავისი აჩრდილის შიშით, იძულებული არიან ლაჩრულად აუაროთ გვერდი კომინტერნის VI პლენუმის რეზოლუციას.

ამნაირადაა ჩინეთის რევოლუციის პირველი ეტაპის საქმე.

გადავიდეთ ახლა ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპზე.

თუ პირველი ეტაპი იმით განირჩეოდა, რომ რევოლუციის მახვილი მიმართული იყო უმთავრესად უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მეორე ეტაპის დამახასიათებელი ნიშანია ის ფაქტი, რომ რევოლუცია თავის მახვილს მიმართავს უმთავრესად შინაური მტრების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა ფეოდალების წინააღმდეგ, ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა თუ არა პირველმა ეტაპმა თავისი ამოცანა — უცხოეთის იმპერიალიზმის დამხობის ამოცანა? ვერა, ვერ გადაწყვიტა. ამ ამოცანის შესრულება მან მემკვიდრეობად გადასცა ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპს. მან მხოლოდ პირველად აამოძრავა რევოლუციური მასები იმპერიალიზმის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დაემთავრებინა თავისი სრბოლა და მომავლისათვის გადაეცა ეს საქმე.

უნდა ვიფიქროთ, რომ რევოლუციის მეორე ეტაპიც ვერ შესძლებს სავსებით გადაჭრას იმპერიალისტების განდევნის ამოცანა. იგი შემდგომ აამოძრავებს ჩინელი მუშებისა და გლეხების ფართო მასებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამას მოიმოქმედებს იმისათვის, რომ ამ საქმის დამთავრება გადასცეს ჩინეთის რევოლუციის შემდგომ ეტაპს, საბჭოთა ეტაპს.

და ამაში არაფერია გასაკვირველი. განა ცნობილი არ არის, რომ ჩვენი რევოლუციის ისტორიაში იყო ანალოგი-

ური ფაქტები, თუმცა სხვა ვითარებაში და სხვა გარემოებებში? განა ცნობილი არ არის, რომ ჩვენი რევოლუციის პირველმა ეტაპმა მთლიანად ვერ გადაწყვიტა თავისი ამოცანა აგრარული რევოლუციის დამთავრებისა, არამედ ეს ამოცანა გადასცა რევოლუციის შემდგომ ეტაპს, ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც სავსებით და მთლიანად გადაწყვიტა ფეოდალური გადმონაშთების აღმოფხვრის ამოცანა. ამიტომ არაფერი იქნება გასაკვირველი, თუ ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპზე ვერ მოხერხდება აგრარული რევოლუციის მთლიანად დამთავრება და თუ რევოლუციის მეორე ეტაპი, რომელიც აამოძრავებს გლეხობის მილიონიან მასებს და აამხედრებს მათ ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ, ამ საქმის დამთავრებას გადასცემს რევოლუციის შემდგომ ეტაპს, საბჭოთა ეტაპს. და ეს იქნება მხოლოდ პლუსი ჩინეთის მომავალი საბჭოთა რევოლუციისათვის.

რა შეადგენდა კომუნისტების ამოცანას ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპზე, როცა რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა აშკარად გადაინაცვლა კანტონიდან უხანში და როცა, უხანის რევოლუციურ ცენტრთან ერთად, შეიქმნა ნანკინის კონტრრევოლუციური ცენტრი?

ის, რომ სავსებით გამოეყენებინათ პარტიის, პროლეტარიატის (პროფკავშირები), გლეხობის (გლეხთა კავშირები) ღია ორგანიზაციის, საერთოდ რევოლუციის შესაძლებლობა.

ის, რომ მარცხნივ, აგრარული რევოლუციისაკენ, წაებიძგებინათ უხანელი გომინდანელებისათვის.

ის, რომ გადაექციათ უხანის გომინდანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად და პროლეტარიატისა და გლეხობის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად.

სწორი იყო თუ არა ეს პოლიტიკა?

ფაქტებმა ცხადყვეს, რომ იგი იყო ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელსაც შეეძლო აღეზარდა მუშათა და გლეხთა ფართო მასები რევოლუციის შემდგომი განვითარების სულისკვეთებით.

ოპოზიცია მაშინ მოითხოვდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას. მაგრამ ეს იყო ავანტიურიზმი, ავანტიურისტული ნახტომი წინ, ვინაიდან საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნა მაშინ იქნებოდა განვითარების მემარცხენე-გომინდანური ფაზის თავზე გადახტომა.

რატომ?

იმიტომ, რომ უხანის გომინდანს, რომელსაც კავშირი ჰქონდა დამყარებული კომუნისტებთან, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გაეტეხა თავისთვის სახელი და ემხილებინა თავი მუშათა და გლეხთა ფართო მასების თვალში, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ამოეწურა თავისი თავი, როგორც ბურჟუაზიულ-რევოლუციურ ორგანიზაციას.

იმიტომ, რომ საბჭოების შექმნისა და უხანის მთავრობის დამხობის ლოზუნგის წამოყენება იმ მომენტში, როცა მასები თავისი საკუთარი გამოცდილებით ჯერ კიდევ არ დარწმუნებულან ამ მთავრობის უვარგისობაში, მისი დამხობის აუცილებლობაში, — ნიშნავს გადახტე წინ, მოსწყდე მასებს, დაჰკარგო მასების მხარდაჭერა და, ამრიგად, ჩაფუშო დაწყებული საქმე.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ თუ მან გაიგო უხანის გომინდანის არასაიმედობა, უმყარობა, არასაკმაო რევოლუციურობა (ამის გაგება კი ადვილია ყოველი პოლიტიკურად კვალიფიციური მუშაკისათვის), ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ყოველივე ეს გაიგონ მასებმაც, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ შეცვალო გომინდანი საბჭოებით და გაიყოლიო მასები. მაგრამ ეს არის ჩვეულებ-

რივი «ულტრამემარცხენე» შეცდომა ოპოზიციისა, რომელიც თავის საკუთარ შეგნებასა და გაგებას მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების შეგნებად და გაგებად, თვლის.

ოპოზიცია მართალია, როცა ამბობს, რომ პარტია წინ უნდა მიდიოდეს. ეს ჩვეულებრივი მარქსისტული დებულებაა, რომლის დაუცველად არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი კომპარტია. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია ჭეშმარიტებისა. მთელი ჭეშმარიტება ის არის, რომ პარტია არა მარტო წინ მიდიოდეს, არამედ აგრეთვე **მიუძღოდეს** მილიონიან მასებს. იარო წინ ისე, რომ თან არ გაიყოლიო მილიონიანი მასები, ეს ნიშნავს ნამდვილად მოსწყდე მოძრაობას. იარო წინ და ამავე დროს მოსწყდე არიერგარდს, არ შეგეძლოს თან გაიყოლიო არიერგარდი, ეს ნიშნავს გააკეთო ნახტომი, რომელსაც შეუძლია განსაზღვრული დროით ჩაფუშოს მასების წინსვლა. ლენინური ხელმძღვანელობა, ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავანგარდს შეეძლოს **თან გაიყოლიოს** არიერგარდი, რომ ავანგარდი წინ მიდიოდეს მასებისაგან **მოუწყვეტლად.** მაგრამ ავანგარდი რომ არ მოსწყდეს მასებს, ავანგარდს რომ მართლაც შეეძლოს თან გაიყოლიოს მილიონიანი მასები, ამისათვის საჭიროა ერთი გადამწყვეტი პირობა, სახელდობრ, რომ **თვითონ მასები დარწმუნდნენ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით ავანგარდის მითითებების, დირექტივების, ლოზუნგების სისწორეში.**

ოპოზიციის უბედურება სწორედ ის არის, რომ იგი არა ცნობს მილიონიანი მასების ხელმძღვანელობის ამ უბრალო ლენინურ წესს, ვინაიდან მას არ ესმის, რომ მარტო პარტიას, მარტო მოწინავე ჯგუფს, მილიონიანი მასების მხარდაუჭერლად, არ ძალუძს განახორციელოს რევოლუცია, რომ რევოლუციას საბოლოო ანგარიშით «აკეთებენ» მშრომელთა მილიონიანი მასები.

რატომ იყო, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, 1917 წლის აპრილში არ წამოვაყენეთ რუსეთში დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პრაქტიკული ლოზუნგი, თუმცა დარწმუნებული ვიყავით, რომ უახლოეს მომავალში აღმოვჩნდებოდით დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობის წინაშე?

იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები როგორც ზურგში, ისე ფრონტზე, ბოლოს, თვითონ საბჭოები ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ ასეთი ლოზუნგის შესათვისებლად, მათ ჯერ კიდევ სწამდათ დროებითი მთავრობის რევოლუციურობა.

იმიტომ, რომ დროებით მთავრობას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო თავი შეერცხვინა და თავისთვის სახელი გაეტეხა კონტრრევოლუციის მხარდაჭერით ზურგში და ფრონტზე.

რატომ გაიცხა ლენინმა 1917 წლის აპრილს პეტროგრადში ბაგდატიევის ჯგუფი, რომელმაც წამოაყენა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგი?

იმიტომ, რომ ბაგდატიევის ცდა იქნებოდა სახიფათო გადახტომა წინ, რაც ქმნიდა მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასებისაგან ბოლშევიკური პარტიის მოწყვეტის საფრთხეს.

ავანტიურიზმი პოლიტიკაში, ბაგდატიეველობა ჩინეთის რევოლუციის საკითხებში, — აი რა ანადგურებს ახლა ჩვენს ტროცკისტულ ოპოზიციას.

ზინოვიევი აცხადებს, რომ, როდესაც ბაგდატიეველობაზე ვლაპარაკობ, ჩინეთის ახლანდელ რევოლუციას მე ვაიგივებ ოქტომბრის რევოლუციასთან. ეს, რა თქმა უნდა, ფუჭი ლაყბობაა. ჯერ-ერთი, მე თვითონვე წინასწარ ვთქვი ჩემს სტატიაში «შენიშვნები თანამედროვე თემებზე», რომ «ეს ანალოგია პირობითია», რომ «იგი დასაშვებად მიმაჩნია

მხოლოდ ყველა იმ შენიშვნით, რომლებიც საჭიროა, თუ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელი ჩინეთისა და 1917 წლის რუსეთის სიტუაციის სხვადასხვაობას»[17]. მეორეც, სისულელე იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს საერთოდ არ შეიძლებოდეს მოიყვანო ანალოგიები სხვა ქვეყნების რევოლუციებიდან მოცემული ქვეყნის რევოლუციაში არსებული ამა თუ იმ მიმდინარეობის, ამა თუ იმ შეცდომის დახასიათების დროს. განა ერთი ქვეყნის რევოლუცია არ სწავლობს სხვა ქვეყნების რევოლუციებისაგან, თუნდაც ეს რევოლუციები არაერთნაირი ტიპისა იყვნენ? რაში მდგომარეობს მაშინ რევოლუციის მეცნიერება?

ზინოვიევი, არსებითად, უარყოფს რევოლუციის მეცნიერების შესაძლებლობას. განა ფაქტი არ არის, რომ ლენინი ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში ბრალად სდებდა ჩხეიძეს, წერეთელს, სტეკლოვს და სხვებს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის «ლუიბლანელობას»? ნახეთ ლენინის სტატია «ლუიბლანელობა» [18] და გაიგებთ, რომ ლენინი ფართოდ სარგებლობდა ანალოგიით საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციიდან ოქტომბრის წინახანებში ამა თუ იმ მოღვაწის შეცდომათა დახასიათებისას, თუმცა ლენინმა კარგად იცოდა, რომ საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია და ჩვენი ოქტომბრის რევოლუცია ერთნაირი ტიპისა არ არიან. და თუ შეიძლება ლაპარაკი ჩხეიძისა და წერეთლის «ლუიბლანელობაზე» ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში, რატომ არ შეიძლება ლაპარაკი ზინოვიევისა და ტროცკის «ბაგდატიეველობაზე» ჩინეთის აგრარული რევოლუციის პერიოდში?

ოპოზიცია ირწმუნება, უხანი რევოლუციური მოძრაობის ცენტრი არ იყოო. მაგრამ რატომ ამტკიცებდა მაშინ ზინოვიევი, რომ «საჭიროა ყოველნაირი დახმარება გაეწიოს» უხანის გომინდანს, რათა იგი ჩინელი კავენიაკების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გავხადოთო? რატომ უხანის

ტერიტორია, და არა რომელიმე სხვა ადგილი, იქცა აგრარული მოძრაობის მაქსიმალური განვითარების ცენტრად? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ უხანის ტერიტორია (ხუნანი, ხუბეი) იყო ამა წლის დასაწყისში აგრარული მოძრაობის მაქსიმალური განვითარების ცენტრი? რატომ კანტონისათვის, სადაც მასობრივი აგრარული მოძრაობა არ ყოფილა, შეიძლებოდა ეწოდებინათ «რევოლუციის პლაცდარმი» (ტროცკი), ხოლო უხანი, რომლის ტერიტორიაზე დაიწყო და განვითარდა აგრარული რევოლუცია, არ შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრად, «პლაცდარმად»? რით აიხსნება ასეთ შემთხვევაში, რომ ოპოზიცია მოითხოვდა კომპარტიის **დატოვებას** უხანის გომინდანისა და უხანის მთავრობის შემადგენლობაში? ნუთუ ოპოზიცია 1927 წლის აპრილში მხარს უჭერდა «კონტრრევოლუციურ» უხანის გომინდანთან ბლოკს? საიდანაა ოპოზიციის ასეთი «გულმავიწყობა» და დაბნეულობა?

ოპოზიცია ღვარძლიანად ხარობს, რომ ბლოკი უხანის გომინდანთან ხანმოკლე აღმოჩნდა, ამასთან ამტკიცებს, რომ კომინტერნს არ გაუფრთხილებია ჩინელი კომუნისტები უხანის გომინდანის დამარცხების შესაძლებლობის შესახებ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ოპოზიციის ღვარძლიანი სიხარული მხოლოდ მის პოლიტიკურ სიკოტრეს მოწმობს. ოპოზიცია, ეტყობა, ფიქრობს, რომ ბლოკები ნაციონალურ ბურჟუაზიასთან კოლონიურ ქვეყნებში ხანგრძლივი უნდა იყოს. მაგრამ ასე ფიქრი მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ლენინიზმის უკანასკნელი ნაშთები დაუკარგავთ. თუ ფეოდალები და იმპერიალიზმი ჩინეთში ამ სტადიაზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე რევოლუცია, თუ ამ მტრული ძალების ზემოქმედებას მოჰყვა უხანის გომინდანის მარჯვნივ შებრუნება და ჩინეთის რევოლუციის დროებითი დამარცხება, ამის

გამო მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ მიეცნენ ღვარძლიან სიხარულს, რომელნიც დამარცხების სულისკვეთებით არიან დაავადებულნი. რაც შეეხება ოპოზიციის მტკიცებას, თითქოს კომინტერნს არ გაუფრთხილებია ჩინეთის კომპარტია უხანის გომინდანის შესაძლო მარცხის შესახებ, ეს ერთი იმ ჩვეულებრივი ჭორთაგანია, რომლებითაც სავსეა ახლა ოპოზიციის არსენალი.

ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე დოკუმენტი ოპოზიციური ჭორების გასაბათილებლად.

დოკუმენტი პირველი, 1927 წლის მაისისა:

«თავიდათავი ახლა გომინდანის საშინაო პოლიტიკაში ისაა, რომ სისტემატურად გაიშალოს აგრარული რევოლუცია ყველა პროვინციაში, მათ შორის და განსაკუთრებით გუანდუნში ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება გლეხთა კავშირებს და სოფლის კომიტეტებს». **ეს არის რევოლუციისა და გომინდანის წარმატებათა საფუძველი.** ეს არის საფუძველი იმისა, რომ შეიქმნას ჩინეთში ფართო და მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო არმია იმპერიალიზმისა და მისი აგენტების წინააღმდეგ. პრაქტიკულად მიწების კონფისკაციის ლოზუნგი სავსებით დროულია პროვინციებისათვის, სადაც გაჩაღებულია ძლიერი აგრარული მოძრაობა, როგორიცაა ხუნანი, გუანდუნი და ა. შ. **უამისოდ შეუძლებელია აგრარული რევოლუციის გაშლა** *...

საჭიროა ახლავე დაიწყოს რვა თუ ათი დივიზიის შედგენა რევოლუციური გლეხებისა და მუშებისაგან, რომლებსაც ეყოლებათ აბსოლუტურად საიმედო მეთაურთა შემადგენლობა. ეს იქნება უხანის გვარდია როგორც ფრონტებზე, ისე ზურგში არასაიმედო ნაწილების განსაიარაღებლად. ამის დაყოვნება არ შეიძლება.

უნდა გაძლიერდეს დამრღვევი მუშაობა ჩან კაი-შის ზურგსა და ჯარის ნაწილებში და გაეწიოს დახმარება აჯანყებულ გლეხებს გუანდუნში, სადაც მემამულეთა ბატონობა განსაკუთრებით აუტანელია».

დოკუმენტი მეორე, 1927 წლის მაისისა:

«აგრარული რევოლუციის მოუხდენლად გამარჯვება შეუძლებელია. უამისოდ გომინდანის ცენტრალური კომიტეტი არასაიმედო გენერლების უბადრუკ ხათამაშოდ გადაიქცევა. ექსცესებს უნდა ებრ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ძოლოთ, მაგრამ არა ჯარებით, არამედ გლეხთა კავშირების საშუალებით. ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მიწა ქვემოდან იქნას ფაქტიურად ხელში ჩაგდებული. შიშს ტან პინ-სიანის გამგზავრების გამო ერთგვარი ნიადაგი აქვს. კი არ უნდა მოსწყდეთ მუშურ-გლეხურ მოძრაობას, არამედ ყოველნაირად შეუწყოთ მას ხელი. **წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპავთ საქმეს.**

გომინდანის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ ძველ ლიდერს ეშინია მოვლენებისა; ისინი მერყეობენ, შემთანხმებლობას იჩენენ. უნდა ჩააბათ გომინდანის ცენტრალურ კომიტეტში რაც შეიძლება მეტი გლეხი და მუშა ლიდერი ქვემოდან. **მათი მტკიცე ხმა გაბედულს გახდის მოხუცებს, ან ზედმეტ ბარგად აქცევს მათ.** გომინდანის ახლანდელი აგებულება უნდა შეიცვალოს. გომინდანის ზედაფენა აუცილებლად უნდა განახლდეს და შეივსოს აგრარულ რევოლუციაში დაწინაურებული ახალი ლიდერებით, ხოლო პერიფერია უნდა გაფართოვდეს მუშათა და გლეხთა კავშირებში მყოფი მილიონების ანგარიშზე. **უამისოდ გომინდანს საფრთხე მოელის, რომ იგი ცხოვრებას მოსწყდება და ყოველგვარ ავტორიტეტს დაკარგავს.**

უნდა მოისპოს არასაიმედო გენერლებზე დამოკიდებულება. მობილიზაცია უყავით ოცი ათასამდე კომუნისტს, მიუმატეთ ორმოცდაათი ათასამდე რევოლუციური მუშა და გლეხი ხუნან-ხუბეიდან, შეადგინეთ რამდენიმე ახალი კორპუსი, გამოიყენეთ სკოლის კურსანტები მეთაურთა შემადგენლობისათვის და **შექმენით, ვიდრე გვიან არ არის, საკუთარი საიმედო არმია. უამისოდ მარცხისაგან გარანტია არ არის.** ეს ძნელი საქმეა, მაგრამ სხვა გზები არაა.

შექმენით რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალი ცნობილი გომინდანელების, არა-კომუნისტების მეთაურობით. **დასჯეთ ოფიცრები, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩან კაი-შისთან, ან ჯარისკაცებს ამხედრებენ ხალხის წინააღმდეგ, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.** არ შეიძლება მხოლოდ ჩაგონებას დასჯერდეთ. დროა დაიწყოთ მოქმედება. **უნდა დასაჯოთ არამზადები. თუ გომინდანელები ვერ ისწავლიან რევოლუციური იაკობინელები იყვნენ, ისინი დაიკარგებიან ხალხისთვისაც და რევოლუციისთვისაც»** *.

თქვენ ხედავთ, რომ კომინტერნი ითვალისწინებდა მოვლენებს, დროზე იძლეოდა სიგნალებს საშიშროებათა გამო და აფრთხილებდა ჩინელ კომუნისტებს უხანის გო-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მინდანის დაღუპვის შესახებ, თუ გომინდანელები ვერ შესძლებდნენ რევოლუციური იაკობინელები გამხდარიყვნენ.

კამენევი ამბობდა, რომ ჩინეთის რევოლუციის დამარცხებაში კომინტერნის პოლიტიკას მიუძღვის ბრალი, რომ ჩვენ «ჩინეთში კავენიაკები გამოვზარდეთ». ამხანაგებო, ჩვენი პარტიის შესახებ ასე ლაპარაკი მხოლოდ ისეთ კაცს შეუძლია, რომელიც მზად არის დანაშაული ჩაიდინოს პარტიის წინააღმდეგ. ასე ლაპარაკობდნენ ბოლშევიკების შესახებ მენშევიკები 1917 წლის ივლისის დამარცხების პერიოდში, როცა სცენაზე გამოჩნდნენ რუსი კავენიაკები. ლენინი თავის სტატიაში «ლოზუნგებისათვის» [19] წერდა, ივლისის დამარცხება «კავენიაკების გამარჯვება» არისო. მენშევიკები მაშინ ღვარძლიანობდნენ და ამტკიცებდნენ, რუსი კავენიაკების გაჩენაში ლენინის პოლიტიკას მიუძღვის ბრალიო. ხომ არ ფიქრობს კამენევი, რომ 1917 წლის ივლისის დამარცხების პერიოდში რუსი კავენიაკების გაჩენაში ბრალი მიუძღვის ლენინის პოლიტიკას, ჩვენი პარტიის პოლიტიკას, და არა სხვა რაიმეს? შეჰფერის თუ არა კამენევს მიჰბაძოს ამ შემთხვევაში ბატონ მენშევიკებს? (ს ი ც ი ლ ი). მე არ მეგონა, რომ ოპოზიციაში მყოფი ამხანაგები ასე საზიზღრად დაეცემოდნენ...

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, ამასთან ეს დამარცხება უფრო ღრმა იყო, ვიდრე ჩინეთის რევოლუციის ახლანდელი დამარცხება. მენშევიკები მაშინ ამბობდნენ, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხებაში ბრალი მიუძღვის ბოლშევიკების უკიდურეს რევოლუციურ ტაქტიკას. ხომ არ ფიქრობს კამენევი აქაც ნიმუშად აიღოს ჩვენი რევოლუციის ისტორიის მენშევიკური განმარტება და ქვა ესროლოს ბოლშევიკებს?

მაგრამ რით აიხსნება ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ღამარცხება? იქნებ, ლენინის პოლიტიკით, და არა კლასობრივ ძალთა თანაფარდობით?

რით აიხსნება უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხება? იქნებ, კომინტერნის პოლიტიკით, და არა კლასობრივ ძალთა თანაფარდობით?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამა თუ იმ პარტიის ტაქტიკას შეუძლია გააუქმოს ან გადააყირავოს კლასობრივ ძალთა თანაფარდობა? სწორი იყო თუ არა ჩვენი პოლიტიკა 1905 წელს? რატომ დავმარცხდით ჩვენ მაშინ? განა ფაქტები არ მოწმობენ, რომ ოპოზიციის პოლიტიკის დროს რევოლუცია ჩინეთში უფრო სწრაფი ტემპით დამარცხდებოდა, ვიდრე ნამდვილად ჰქონდა ამას ადგილი? რა ვუწოდოთ ადამიანებს, რომლებიც ივიწყებენ კლასობრივ ძალთა თანაფარდობას რევოლუციის დროს და ცდილობენ ყველაფერი და ყოველივე ახსნან მხოლოდ ამა თუ იმ პარტიის ტაქტიკით? ამ ადამიანებზე მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას, — რომ მათ კავშირი გაუწყვეტიათ მარქსიზმთან.

დასკვნები. ოპოზიციის უმთავრესი შეცდომები:

1) ოპოზიციას არ ესმის ჩინეთის რევოლუციის ხასიათი და პერსპექტივები.

2) ოპოზიცია ვერ ხედავს განსხვავებას ჩინეთის რევოლუციასა და რუსეთის რევოლუციას შორის, კოლონიური ქვეყნების რევოლუციასა და იმპერიალისტური ქვეყნების რევოლუციას შორის.

3) ოპოზიცია კავშირს წყვეტს ლენინურ ტაქტიკასთან კოლონიურ ქვეყნებში რევოლუციის პირველ ეტაპზე ნაციონალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში.

4) ოპოზიციას არ ესმის გომინდანში კომუნისტების მონაწილეობის საკითხი.

5) ოპოზიცია არღვევს ლენინური ტაქტიკის საფუძვლებს ავანგარდისა (პარტიის) და არიერგარდის (მშრომელთა მილიონიანი მასების) თანაფარდობის საკითხში.

6) ოპოზიცია კავშირს წყვეტს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის VI და VII პლენუმების რეზოლუციებთან.

ოპოზიცია დიდი ამბით ხოტბას ასხამს თავის პოლიტიკას ჩინეთის საკითხში და გაიძახის, ამ პოლიტიკის დროს ჩინეთში ახლა საქმე უკეთ იქნებოდაო. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ იმ მეტად უხეში შეცდომების დროს, რომლებიც ჩაიდინა ოპოზიციამ, ჩინეთის კომპარტია საბოლოოდ მოიმწყვდევდა თავს ჩიხში, მას რომ ოპოზიციის ანტილენინური, ავანტიურისტული პოლიტიკა შეეთვისებინა.

თუ ჩინეთის კომუნისტური პარტია მოკლე ხანში 5 — 6 ათასი კაცისაგან შემდგარი მცირე ჯგუფიდან 60 ათასი წევრის მყოლ მასობრივ პარტიად გაიზარდა; თუ ჩინეთის კომპარტიამ ამ ხნის განმავლობაში შესძლო დაეარაზმა პროფკავშირებად 3 მილიონამდე პროლეტარი; თუ ჩინეთის კომპარტიამ შესძლო საღათას ძილისაგან გამოეღვიძებინა მრავალმილიონიანი გლეხობა და ჩაება ათეული მილიონობით გლეხი გლეხთა რევოლუციურ კავშირებში; თუ ჩინეთის კომპარტიამ შესძლო ამ ხნის განმავლობაში თავის მხარეზე გადაეყვანა მთელი პოლკები და დივიზიები ნაციონალური ჯარების შემადგენლობიდან; თუ ჩინეთის კომპარტიამ შესძლო ამ ხნის განმავლობაში გადაექცია პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა სურვილიდან ფაქტად, — თუ ჩინეთის კომპარტიამ შესძლო მოკლე ვადაში მიეღწია ყველა ამ მონაპოვრისათვის, ეს აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ იგი მიდიოდა ლენინის მიერ დასახული გზით, კომინტერნის მიერ ნაჩვენები გზით.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ოპოზიციის პოლიტიკის დროს, მისი შეცდომების დროს, კოლონიური რევოლუციის საკითხებში მისი ანტილენინური კურსის დროს, ჩინეთის რევოლუციის ეს მონაპოვარნი ან სულაც არ გვექნებოდა, ან ისინი მინიმუმამდე იქნებოდნენ დაყვანილი.

ამაში ეჭვის შეტანა მხოლოდ «ულტრამემარცხენე» რენეგატებს და ავანტიურისტებს თუ შეუძლიათ.

III

ინგლის-საბჭოთა ერთიანობის კომიტეტის შესახებ

ინგლის-საბჭოთა კომიტეტის საკითხი. ოპოზიცია ირწმუნება, თითქოს ჩვენ იმედს ვამყარებდით ინგლის-საბჭოთა კომიტეტზე. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს ერთი იმ ჭორთაგანია, რომლებსაც ასე ხშირად მიმართავს გაკოტრებული ოპოზიცია. მთელმა მსოფლიომ იცის, მაშასადამე, ოპოზიციამაც უნდა იცოდეს, რომ ჩვენ იმედს ვამყარებთ არა ინგლის-საბჭოთა კომიტეტზე, არამედ მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაზე და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე. ოპოზიცია ატყუებს პარტიას, როცა ამბობს, რომ ჩვენ იმედს ვამყარებდით ან ვამყარებთ ინგლის-საბჭოთა კომიტეტზე.

მაშ რას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში, ინგლის-საბჭოთა კომიტეტი? ინგლის-საბჭოთა კომიტეტი წარმოადგენს ინგლისის პროფკავშირებთან, რეფორმისტულ პროფკავშირებთან, რეაქციულ პროფკავშირებთან ჩვენი პროფკავშირების ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას. ევროპის მუშათა კლასის გარევოლუციურების მუშაობას ამჟამად ჩვენ ვეწევით სამი კალაპოტით:

ა) კომინტერნის კალაპოტით, კომუნისტური სექციების მეშვეობით, რომელნიც უახლოეს ამოცანად ისახავენ რე-

ფორმისტული პოლიტიკური ხელმძღვანელობის ლიკვიდაციას მუშათა მოძრაობაში;

ბ) პროფინტერნის კალაპოტით, რევოლუციურ პროფკავშირულ უმცირესობათა მეშვეობით, რომელნიც უახლოეს ამოცანად ისახავენ რეაქციული მუშათა არისტოკრატიის დაძლევას პროფკავშირებში;

გ) ინგლის-საბჭოთა ერთიანობის კომიტეტის კალაპოტით, როგორც ერთ-ერთი საშუალებისა, რომელსაც შეუძლია გაუადვილოს პროფინტერნს და მის სექციებს ბრძოლა მუშათა არისტოკრატიის იზოლაციისათვის პროფკავშირებში.

პირველი ორი კალაპოტი ძირითადი და მუდმივია, სავალდებულოა კომუნისტებისათვის, ვიდრე არსებობენ კლასები და კლასობრივი საზოგადოება. მესამე კალაპოტი არის მხოლოდ დროებითი, დამხმარე, ეპიზოდური და ამიტომ არამტკიცე, არა ყოველთვის საიმედო, ზოგჯერ კი სულაც არასაიმედო. მესამე კალაპოტი რომ გაუთანაბრო ორ პირველ კალაპოტს, — ეს ნიშნავს წახვიდე მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ, კომუნიზმის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ ილაყბონ, რომ ჩვენ იმედს ვამყარებდით ინგლის-საბჭოთა კომიტეტზე?

ინგლის-საბჭოთა კომიტეტის შექმნას რომ ვთანხმდებოდით, ჩვენ ვცდილობდით მოგვეგვარებინა აშკარა კავშირურთიერთობა ინგლისის პროფესიულად ორგანიზებულ მუშათა მასებთან.

რისთვის?

ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ გაგვეადვილებინა მუშების ერთიანი ფრონტის შექმნა კაპიტალის წინააღმდეგ ან, ყოველ შემთხვევაში, გაგვეძნელებინა პროფესიული მოძრაობის რეაქციული ლიდერების ბრძოლა ასეთი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ.

მეორეც, იმისათვის, რომ გაგვეადვილებინა მუშების ერთიანი ფრონტის შექმნა საერთოდ იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ინტერვენციის საფრთხის წინააღმდეგ ან, ყოველ შემთხვევაში, გაგვეძნელებინა პროფკავშირთა რეაქციული ლიდერების ბრძოლა ასეთი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ.

დასაშვებია თუ არა საერთოდ კომუნისტების მუშაობა რეაქციულ პროფკავშირებში?

არა თუ დასაშვებია, არამედ ზოგჯერ პირდაპირ სავალდებულოცაა, ვინაიდან რეაქციულ პროფკავშირებში არიან მილიონობით მუშები, ხოლო კომუნისტებს უფლება არა აქვთ უარი თქვან იმაზე, რომ შევიდნენ ამ პროფკავშირებში, იპოვონ გზა მასებისაკენ და გადაიყვანონ ისინი კომუნიზმის მხარეზე.

წაიკითხეთ ლენინის წიგნი ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» [21], და თქვენ დაინახავთ, რომ ლენინური ტაქტიკა ავალებს კომუნისტებს უარი არ თქვან რეაქციულ პროფკავშირებში მუშაობაზე.

დასაშვებია თუ არა საერთოდ დროებითი შეთანხმებანი რეაქციულ პროფკავშირებთან, შეთანხმებანი პროფკავშირული ხაზით ან შეთანხმებანი პოლიტიკური ხაზით?

არა თუ დასაშვებია, არამედ ზოგჯერ პირდაპირ სავალდებულოცაა. პროფკავშირები დასავლეთში რომ მეტწილად რეაქციული არიან, ეს ყველამ იცის. მაგრამ საქმე ეს როდია. საქმე ის არის, რომ ეს კავშირები **მასობრივ** კავშირებს წარმოადგენენ. საქმე ის არის, რომ ამ პროფკავშირების მეშვეობით შეგიძლიათ გზა გაიკვლიოთ მასებისაკენ. საკითხი ის არის, რომ ასეთი შეთანხმებანი არ ბოჭავდნენ, არ ზღუდავდნენ კომუნისტების რევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდის თავისუფლებას, რომ ასეთი შეთანხმებანი აადვილებდნენ რეფორმისტების გახრწნას და იმ მუშათა მასების

გარევოლუციურებას, რომლებიც ჯერჯერობით მიჰყვებიან რეაქციულ ლიდერებს. ამ პირობებში დროებითი შეთანხმებანი მასობრივ რეაქციულ პროფკავშირებთან არა თუ დასაშვებია, არამედ ზოგჯერ პირდაპირ სავალდებულოცაა.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, «წმინდა წყლის» პროლეტარიატს გარს რომ არ ეხვიოს უამრავი უაღრესად ჭრელი გარდამავალი ტიპები პროლეტარიდან ნახევრად-პროლეტარისაკენ (იმისაკენ, ვინც საარსებო საშუალებებს სანახევროდ შოულობს სამუშაო ძალის გაყიდვით), ნახევრად-პროლეტარიდან წვრილი გლეხისაკენ (და წვრილი ხელოსნისა, შინამრეწველისა და საერთოდ წვრილი მეპატრონისაკენ), წვრილი გლეხიდან საშუალო გლეხისაკენ და ა. შ.; — თვით პროლეტარიატის შიგნით რომ არ იყოს დაყოფა მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ფენებად, დაყოფა თვისტომობის, პროფესიის, ზოგჯერ რელიგიის მიხედვით და სხვ. **ყოველივე აქედან კი აბსოლუტური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის ავანგარდისათვის, მისი შეგნებული ნაწილისათვის, კომუნისტური პარტიისათვის საჭიროა, აუცილებლად საჭიროა მიმართავდეს მანევრირებას, შემთანხმებლობას, კომპრომისებს პროლეტართა სხვადასხვა ჯგუფებთან, მუშათა და წვრილ მეპატრონეთა სხვადასხვა პარტიებთან** *. ოღონდ საქმე ის არის, რომ **შეგეძლოს** გამოიყენო ეს ტაქტიკა პროლეტარული შეგნებულობის, რევოლუციურობის, ბრძოლისა და გამარჯვების უნარის **საერთო** დონის **ასამაღლებლად** და არა დასაწევად» (ტ. XXV, გვ. 213).

და შემდეგ:

«ჰენდერსონები, კლაინსები, მაკდონალდები, სნოუდენები რომ გამოუსწორებელი რეაქციონერები არიან, ეს მართალია. ისიც მართალია, რომ მათ სურთ ხელში აიღონ ძალაუფლება (თუმცაღა, ბურჟუაზიასთან კოალიციას ამჯობინებენ), რომ მათ სურთ იმავე ძველის-ძველი ბურჟუაზიული წესებით «მართონ», რომ ისინი, როცა ხელისუფლების სათავეში იქნებიან, აუცილებლად ისევე მოიქცევიან, როგორც შეიდემანები და ნოსკეები. ყოველივე ეს ასეა. **მაგრამ აქედან გამომდინარეობს სრულიადაც არა ის, რომ მათთვის მხარდაჭერა რევოლუციის**

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ღალატია, არამედ ის, რომ რევოლუციის ინტერესებისათვის მუშათა კლასის რევოლუციონერებმა ამ ვაუბატონებს ერთგვარი საპარლამენტო დახმარება უნდა გაუწიონ» * (იქვე, გვ. 218 — 219).

ოპოზიციის უბედურება სწორედ ის არის, რომ მას არ ესმის ლენინის ეს მითითებანი, რომ იგი არა ცნობს მათ და ამჯობინებს «ულტრამემარცხენე» ლაქლაქს პროფკავშირთა რეაქციულობაზე, ვიდრე ლენინურ პოლიტიკას.

ბოჭავს თუ არა ჩვენს აგიტაციასა და პროპაგანდას ინგლის-საბჭოთა კომიტეტი, შეუძლია თუ არა მას შებოჭოს იგი? არა, არ შეუძლია. ჩვენ ყოველთვის ვაკრიტიკებდით და კვლავაც გავაკრიტიკებთ ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერების რეაქციულობას, ვამხილებთ ინგლისის მუშათა კლასის მასების წინაშე ამ ლიდერების ღალატსა და გამცემლობას. აბა სცადოს ოპოზიციამ იმ ფაქტის უარყოფა, რომ ჩვენ ყოველთვის ვეწეოდით გენერალური საბჭოს რეაქციული მუშაობის აშკარა, ულმობელ კრიტიკას.

გვეუბნებიან, ამ კრიტიკას შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ ინგლისელები ააფეთქებენ ინგლის-საბჭოთა კომიტეტსო. მერე რა ვუყოთ, დაე ააფეთქონ. საქმე ის როდია, მოხდება თუ არა განხეთქილება. საქმე ის არის, რა საკითხის გამო მოხდება განხეთქილება, რა იდეას ცხადყოფს განხეთქილება. ახლა საქმე ეხება საერთოდ ომის საფრთხეს, განსაკუთრებით — ინტერვენციას. თუ ინგლისელები კავშირს გაწყვეტენ, მუშათა კლასს ეცოდინება, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობის რეაქციულმა ლიდერებმა კავშირი გაწყვიტეს იმის გამო, რომ მათ **არ სურთ წინააღუდგნენ** თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობას ომის გაჩაღების საქმეში. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ამ პირობებში ინგლისელთა მიერ კავშირის გაწყვეტა კომუნისტებს გაუადვილებს გენერა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლური საბჭოს მხილების საქმეს, ვინაიდან ომის საკითხი ახლა თანადროულობის ძირითადი საკითხია.

შესაძლებელია, რომ ისინი ვერ გაბედავენ კავშირის გაწყვეტას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ განვიმტკიცეთ კრიტიკის თავისუფლება, თავისუფლება — განვაგრძოთ ინგლისის მუშათა მოძრაობის რეაქციული ლიდერების კრიტიკა, ვამხილოთ მათი გამცემლობა და სოციალ-იმპერიალიზმი ფართო მასებში. კარგი იქნება თუ არა ეს მუშათა მოძრაობისათვის? ვფიქრობ, რომ ცუდი არ იქნება.

აი როგორია, ამხანაგებო, ჩვენი დამოკიდებულება ინგლის-საბჭოთა კომიტეტის საკითხისადმი.

IV

ომის საფრთხისა და სსრ კავშირის თავდაცვის შესახებ

ომის საკითხი. მე, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავაბათილო ზინოვიევისა და ტროცკის სრულიად არასწორი, სინამდვილესთან შეუსაბამო განცხადება, თითქოს მე ვეკუთვნოდი ეგრეთწოდებულ «სამხედრო ოპოზიციას» ჩვენი პარტიის VIII ყრილობაზე. ეს სრულიად არ არის მართალი, ამხანაგებო. ეს არის ჭორი, შეთხზული ზინოვიევისა და ტროცკის მიერ მოცლილობის გამო. მე ხელთ მაქვს სტენოგრამა, რომლიდანაც ჩანს, რომ მე მაშინ გამოვდიოდი ლენინთან ერთად ეგრეთწოდებული «სამხედრო ოპოზიციის» წინააღმდეგ. ბოლოს, აქ არიან პარტიის VIII ყრილობის მონაწილენი, რომელნიც დაადასტურებენ, რომ მაშინ, VIII ყრილობაზე, მე გამოვდიოდი «სამხედრო ოპოზიციის» წინააღმდეგ. მე ისე მტრულად არ გამოვსულვარ «სამხედრო ოპოზიციის» წინააღმდეგ, როგორც ეს, იქნებ, ნებავდა ტროცკის, რადგან მიმაჩნდა, რომ სამხედრო ოპოზიციონერებს შორის მოიპოვებოდნენ საუცხოო მუშაკები, რომლებსაც ვერ შეველეოდით ფრონტზე, მაგრამ მე რომ უეჭველად გამოვდიოდი და ვიბრ-

ძოდი სამხედრო ოპოზიციონერების წინააღმდეგ — ეს **ფაქტია,** რომლის წინააღმდეგ დავა მხოლოდ ისეთ წყალწაღებულ ადამიანებს თუ შეუძლიათ, როგორიც არიან ზინოვიევი და ტროცკი.

რაზე იყო მაშინ დავა VIII ყრილობაზე? იმაზე, რომ აუცილებელია ბოლო მოვუღოთ მოხალისეობასა და პარტიზანულობას, იმაზე, რომ აუცილებელია შევქმნათ ნამდვილი რეგულარული, რკინისებური დისციპლინით შეკრული მუშურ-გლეხური არმია, იმაზე, რომ აუცილებელია ამ საქმეში ჩავაბათ სამხედრო სპეციალისტები.

იყო რეზოლუციის ერთი პროექტი, წარმოდგენილი რეგულარული არმიისა და რკინისებური დისციპლინის მომხრეთა მიერ. მას იცავდნენ ლენინი, სოკოლნიკოვი, სტალინი და სხვ. იყო მეორე პროექტი, ვ. სმირნოვის პროექტი, წარმოდგენილი არმიაში პარტიზანულობის ელემენტთა შენარჩუნების მომხრეების მიერ. მას იცავდნენ ვ. სმირნოვი, საფაროვი, ვოროშილოვი, პიატაკოვი და სხვ.

აი ამონაწერები ჩემი სიტყვიდან:

«ყველა საკითხი, რომლებსაც აქ ვეხებით, არსებითად ერთ საკითხს წარმოადგენს: რუსეთში მკაცრად დისციპლინირებული რეგულარული არმიის ყოფნა-არყოფნის საკითხს.

ნახევარი წლის წინათ ჩვენ გვყავდა ახალი არმია, მას შემდეგ, რაც დაიშალა ძველი, მეფის არმია, — გვყავდა მოხალისე, ცუდად ორგანიზებული არმია, კოლექტიური მმართველობით, და ეს არმია ყოველთვის როდი ემორჩილებოდა ბრძანებებს. ეს იყო პერიოდი, როდესაც დაისახა ანტანტის შემოტევა. არმია უმთავრესად, თუ მთლიანად არა, მუშებისაგან შესდგებოდა. ამ მოხალისე არმიაში დისციპლინის უქონლობის გამო, იმის გამო, რომ ბრძანებანი ყოველთვის როდი სრულდებოდა, არმიის მმართველობაში დეზორგანიზაციის გამო, ჩვენ ვმარცხდებოდით, მოწინააღმდეგეს დავუთმეთ ყაზანი, ხოლო სამხრეთიდან წარმატებით გვიტევდა კრასნოვი... ფაქტები მეტყველებენ, რომ მოხალისე არმია კრიტიკას ვერ უძლებს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის დაცვას, თუ არ შევქმნით სხვა არმიას,

რეგულარულ არმიას, დისციპლინის სულისკვეთებით გამსჭვალულს, კარგად დაყენებული პოლიტიკური განყოფილების მქონე არმიას, რომელსაც უნარი ექნება და შეეძლება პირველი ბრძანებისთანავე ფეხზე დადგეს და მტრის წინააღმდეგ გაილაშქროს.

უნდა ვთქვა, რომ ის ელემენტები, არამუშური ელემენტები, რომლებიც ჩვენი არმიის უმრავლესობას შეადგენენ — გლეხები, ნებაყოფლობით არ იბრძოლებენ სოციალიზმისათვის. ამას მთელი რიგი ფაქტები გვიჩვენებს. მთელი რიგი ჯანყი ზურგში, ფრონტებზე, მთელი რიგი ექსცესები ფრონტებზე ცხადყოფენ, რომ არაპროლეტარულ ელემენტებს, რომლებიც ჩვენი არმიის უმრავლესობას შეადგენენ, კომუნიზმისათვის ნებაყოფლობით ბრძოლა არ უნდათ. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა — ეს ელემენტები აღვზარდოთ რკინისებური დისციპლინის სულისკვეთებით, გავაყოლოთ ისინი პროლეტარიატს არა მარტო ზურგში, არამედ ფრონტებზეც, ვაიძულოთ იომონ ჩვენი საერთო სოციალისტური საქმისათვის და ომის მსვლელობაში დავამთავროთ შეშენებლობა ნამდვილი რეგულარული არმიისა, რომელსაც ერთადერთს ექნება უნარი დაიცვას ჩვენი ქვეყანა.

ასე დგას საკითხი.

...ან შევქმნით ნამდვილ მუშურ-გლეხურ, მკაცრად დისციპლინირებულ რეგულარულ არმიას და დავიცავთ რესპუბლიკას, ან ამას არ გავაკეთებთ და მაშინ საქმე დაიღუპება.

...სმირნოვის მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებელია, ვინაიდან მას მხოლოდ შეუძლია ძირი გამოუთხაროს დისციპლინას არმიაში და იგი გამორიცხავს რეგულარული არმიის შექმნის შესაძლებლობას»[11].

ასეთია, ამხანაგებო, ფაქტები.

თქვენ ხედავთ, რომ ტროცკიმ და ზინოვიევმა ისევ ცილი დამწამეს.

შემდეგ. კამენევი აქ ამტკიცებდა, რომ ჩვენ უკანასკნელ პერიოდში, ამ ორი წლის განმავლობაში გავფლანგეთ ის მორალური კაპიტალი, რომელიც წინათ გვქონდა საერთაშორისო მასშტაბით. მართალია თუ არა ეს? რა თქმა უნდა, არ არის მართალი! სრულიადაც არ არის მართალი!

მოსახლეობის რა ფენები ჰყავს მხედველობაში კამენევს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოსახლეობის რომელ ფე-

ნებში დავკარგეთ ჩვენ ან მოვიპოვეთ გავლენა, — ეს კამენევს არ უთქვამს. ამავე დროს კი ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, სწორედ ეს საკითხია გადამწყვეტი. ავიღოთ, მაგალითად, ჩინეთი. შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ჩვენ დავკარგეთ ჩვენი მორალური კაპიტალი ჩინელ მუშებსა და გლეხებში? ცხადია, არ შეიძლება. უკანასკნელ დრომდე ჩვენ ნაკლებად გვიცნობდნენ ჩინეთის მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასები. უკანასკნელ დრომდე სსრ კავშირის ავტორიტეტი იფარგლებოდა ჩინელი საზოგადოების ზედაფენის ვიწრო წრით, გომინდანის ლიბერალური ინტელიგენციის, ფინ იუი-სიანისთანა მოღვაწეების, კანტონელი გენერლების და სხვათა ვიწრო წრით. ახლა ეს ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა სსრ კავშირი ისეთი ავტორიტეტით სარგებლობს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების თვალში, როგორიც მსოფლიოს ყოველ ძალას, ყოველ პოლიტიკურ პარტიას შეჰშურდებოდა. სამაგიეროდ სსრ კავშირის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შემცირდა ჩინეთის ლიბერალური ინტელიგენციის, ყოველგვარი გენერლების და სხვ. თვალში, ხოლო ზოგიერთნი ამ უკანასკნელთაგან ბრძოლასაც კი იწყებენ სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი და რა არის აქ ცუდი? განა შეიძლება მოეთხოვოს სსრ კავშირს, საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს პარტიას, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს მორალური ავტორიტეტი ჩინელი საზოგადოების **ყველა ფენაში?** ვის შეუძლია, გარდა ფუქსავატი ლიბერალებისა, მოსთხოვოს ეს ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას? რა სჯობია ჩვენთვის: ავტორიტეტი ჩინეთის ლიბერალურ ინტელიგენციაში და ყოველგვარ რეაქციულ გენერლებს შორის თუ ავტორიტეტი ჩინეთის მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებში? რა არის გადამწყვეტი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში რევოლუციის განვითარების თვალსაზრისით: სსრ კავშირის

ავტორიტეტის ზრდა მშრომელთა მილიონიან მასებში და **ამავე დროს სსრ კავშირის ავტორიტეტის უეჭველი დაცემა ჩინელი საზოგადოების ლიბერალურ-რეაქციულ წრეებში** თუ ავტორიტეტი ამ უკანასკნელ ლიბერალურ-რეაქციულ წრეებს შორის და **ამავე დროს მორალური წონის დაცემა მოსახლეობის ფართო მასებში?** საკმარისია დასვათ ეს კითხვა, რათა მიხვდეთ, თუ როგორ შეეშალა კამენევს ნახტომი...

დასავლეთში კი? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ გავფლანგეთ მორალური კაპიტალი დასავლეთის პროლეტარულ ფენებში? ცხადია, არ შეიძლება. რას მოწმობენ, მაგალითად, პროლეტარიატის უკანასკნელი გამოსვლები ვენაში, საერთო გაფიცვა და ქვანახშირის მრეწველობის მუშების გაფიცვა ინგლისში, მუშების მრავალათასიანი დემონსტრაციები სსრ კავშირის დასაცავად გერმანიაში, საფრანგეთში? განა მოწმობენ ისინი, რომ პროლეტარული დიქტატურის მორალური წონა კლებულობს მუშათა კლასის მილიონიანი მასების თვალში? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, ისინი მოწმობენ, რომ სსრ კავშირის მორალური წონა იზრდება და მტკიცდება დასავლეთის მუშებს შორის, რომ დასავლეთის მუშები «რუსულად» იწყებენ ბრძოლას თავის ბურჟუაზიასთან.

უეჭველია, რომ პაციფისტური და ლიბერალურ-რეაქციული ბურჟუაზიის განსაზღვრულ ფენებში იზრდება მტრობა სსრ კავშირის წინააღმდეგ, განსაკუთრებით 20 «უბრწყინვალესი» ტერორისტისა და ცეცხლწამკიდებლის დახვრეტასთან დაკავშირებით [23]. მაგრამ ნუთუ კამენევი უფრო აფასებს ბურჟუაზიის ლიბერალურ-რეაქციული პაციფისტური წრეების აზრს, ვიდრე დასავლეთის მრავალმილიონიანი პროლეტარული მასების აზრს? ვინ გაბედავს იმ ფაქტის უარყოფას, რომ 20 «უბრწყინვალესის» დახვრეტამ უღრმესი თანაგრძნობითი გამოხმაურება გამოიწვია

მუშების მრავალმილიონიან მასებს შორის როგორც ჩვენში, სსრ კავშირში, ისე დასავლეთში? «ახია მათზე, მაგ არამზადებზე!», — აი რა შეძახილით შეხვდნენ 20 «უბრწყინვალესის» დახვრეტას მუშათა უბნები.

მე ვიცი, ჩვენში არიან განსაზღვრული ჯურის ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რაც უფრო მშვიდად მოვიქცევით, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენთვის. ისინი, ეს ადამიანები, გვეუბნებიან: «კარგად იყო სსრ კავშირის საქმე, როცა მასთან კავშირი გაწყვიტა ინგლისმა; კიდევ უკეთ შეიქნა სსრ კავშირის საქმე, როცა მოკლეს ვოიკოვი; მაგრამ სსრ კავშირის საქმე გაუარესდა, როცა ჩვენ ვოიკოვის მკვლელობაზე საკადრისი პასუხი გავეცით და დავხვრიტეთ 20 «უბრწყინვალესი» კონტრრევოლუციონერი; 20-ის დახვრეტამდე ჩვენ ვებრალებოდით ევროპაში და თანაგვიგრძნობდნენ; დახვრეტის შემდეგ, პირიქით, თანაგრძნობა გაქრა, და ჩვენ ბრალს გვდებდნენ, რომ არც თუ ისეთი ჭკვიანი ბიჭები ვართ, როგორნიც ევროპის საზოგადოებრივ აზრს სურს ვიყოთ».

რა უნდა ითქვას ამ რეაქციულ-ლიბერალურ ფილოსოფიაზე? ამაზე შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ მის ავტორებს უნდათ იხილონ უკბილო, უიარაღო სსრ კავშირი, რომელიც პირქვე ემხობა მტრების წინაშე, იარაღს ყრის მათ წინაშე. იყო «გასისხლიანებული» ბელგია, რომლის გამოსახულებაც ერთ დროს ძალიან ხშირად თვალში გეჩრებოდათ პაპიროსის კოლოფის ეტიკეტებზე. რატომ არ უნდა იყოს სსრ კავშირი «გასისხლიანებული», — მაშინ ყველანი მისი თანამგრძნობნი იქნებოდნენ, მაშინ იგი ყველას შეებრალებოდა. არა, ამხანაგებო! ჩვენ ამის თანახმა არა ვართ. ჯანდაბაში დაკარგულა ყველა ეს ლიბერალ-პაციფისტი ფილოსოფოსი და მათი «თანაგრძნობა» სსრ კავშირისადმი. ოღონდ გვქონდეს ჩვენ მშრომელთა მილიონიანი მასების თანაგრძნობა, — დანარჩენი მოეწყობა. და თუ

მაინცდამაინც საჭიროა, რომ ვინმე «გასისხლიანებული» გახდეს, ჩვენ მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ თავპირდამტვრეული და «გასისხლიანებული» აღმოჩნდეს რომელიმე ბურჟუაზიული ქვეყანა, და არა სსრ კავშირი.

ომის გარდუვალობის საკითხი. ზინოვიევი აქ ბაქიბუქობდა და ამტკიცებდა, რომ ბუხარინის თეზისებში ლაპარაკია ომის «მოსალოდნელობასა» და «გარდუვალობაზე», და არა მის უეჭველ გარდუვალობაზე. ის ირწმუნებოდა, ასეთ ფორმულირებას შეუძლია დააბნიოს პარტიაო. მე ავიღე და გადავათვალიერე ზინოვიევის სტატია «მომავალი ომის კონტურები». და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ზინოვიევის სტატიაში არ არის არც ერთი, პირდაპირ არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ომი გარდუვალი გახდა. ზინოვიევის სტატიაში ლაპარაკია ახალი ომის **შესაძლებლობაზე**. იქ არის მთელი თავი, რომელიც ამტკიცებს, რომ ომი **შესაძლებელია**. ეს თავი ბოლოვდება ფრაზით: «აი რატომ არის, რომ ბოლშევიკ-ლენინელებისათვის კანონიერი და აუცილებელია ახლა იფიქრონ ახალი ომის შესაძლებლობაზე». (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). **ყურადღება** მიაქციეთ, **ამხანაგებო, — «იფიქრონ»** ახალი ომის **შესაძლებლობაზე**. ზინოვიევის სტატიაში ერთ ადგილას ლაპარაკია იმაზე, რომ ომი გარდუვალი **«ხდება»**, მაგრამ არც ერთი, პირდაპირ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმაზე, რომ ომი უკვე **გახდა** გარდუვალი. და ამ კაცს შესწევს — როგორ უნდა ითქვას უფრო რბილად — გამბედაობა გაილაშქროს ბუხარინის **თეზისების** წინააღმდეგ, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ომი **მოსალოდნელი** და გარდუვალი გახდა.

რას ნიშნავს ახლა ლაპარაკი ომის «შესაძლებლობაზე»? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, სულ ცოტა, შვიდი წლით დაგვწიონ უკან, ვინაიდან ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ ლენინი ამბობდა, რომ ომი სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის შესაძლებელია. ღირდა თუ არა, რომ

ზინოვიევს ძველის ღეჭვა დაეწყო და ამავე დროს თავისი უკუსვლა ახალ სიტყვად გაესაღებინა?

რას ნიშნავს ახლა ლაპარაკი, რომ ომი გარდუვალი **ხდება?** ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, სულ ცოტა, ოთხი წლით დაგვწიონ უკან, ვინაიდან ჯერ კიდევ კერზონის ულტიმატუმის [23] პერიოდში ჩვენ ვამბობდით, რომ ომი გარდუვალი ხდება.

როგორ მოხდა, რომ ზინოვიევი, რომელმაც გუშინ დაწერა ასეთი დაბნეული და სრულიად შეუსაბამო სტატია ომის შესახებ, სადაც არც ერთი სიტყვაც არ არის იმაზე, რომ ომი გარდუვალი გახდა, როგორ მოხდა, რომ ეს კაცი ბედავს თავს დაესხას ბუხარინის ნათელ და გარკვეულ თეზისებს ომის გარდუვალობის შესახებ? ეს მოხდა იმიტომ, რომ ზინოვიევს დავიწყებია ის, რასაც გუშინ წერდა. საქმე ის არის, რომ ზინოვიევი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც იმისთვის წერენ, რომ მეორე დღესვე დაივიწყონ დაწერილი. (ს ი ც ი ლ ი).

ზინოვიევი აქ ამტკიცებდა, რომ ბუხარინი **ამბ.** ჩიჩერინმა «შეაგულიანა» დაეწერა თავისი თეზისები ომის მოსალოდნელობისა და გარდუვალობის თვალსაზრისით. მე ვეკითხები: ვინ «შეაგულიანა» ზინოვიევი დაეწერა სტატია ომის **შესაძლებლობაზე** ახლა, როცა ომი უკვე გარდუვალი გახდა? (ს ი ც ი ლ ი).

კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი. ზინოვიევი აქ თავს ესხმოდა ბუხარინის თეზისებს და ირწმუნებოდა, რომ სტაბილიზაციის საკითხში თეზისები შორდებიან კომინტერნის პოზიციას. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ამით ზინოვიევმა მხოლოდ ცხადყო თავისი უმეცრება სტაბილიზაციის საკითხში, მსოფლიო კაპიტალიზმის საკითხში. ზინოვიევი ფიქრობს, რომ თუ სტაბილიზაციაა, მაშასადამე, რევოლუციის საქმეც დაიღუპაო. მას არ ესმის, რომ კაპიტალიზმის

კრიზისი და მისი დაღუპვის მომზადება სტაბილიზაციიდან აღმოცენდება. განა ფაქტი არ არის, რომ კაპიტალიზმმა ამ ბოლო დროს გააუმჯობესა თავისი ტექნიკა და მოახდინა მისი რაციონალიზაცია, რომ იგი ქმნის დიდძალ საქონელს, რომლის გასაღება შეუძლებელია? განა ფაქტი არ არის, რომ კაპიტალისტური მთავრობანი სულ უფრო და უფრო ფაშისტური ხდებიან, უტევენ მუშათა კლასს და დროებით განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს? გამოდის თუ არა ამ ფაქტებიდან, რომ სტაბილიზაცია მტკიცე გახდა? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, სწორედ ეს ფაქტები იწვევენ მსოფლიო კაპიტალიზმის იმ კრიზისის გამწვავებას, რომელიც შეუდარებლად უფრო ღრმაა, ვიდრე უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინახანის კრიზისი.

სწორედ ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური მთავრობანი ფაშისტური ხდებიან, სწორედ ეს ფაქტი იწვევს შინაური მდგომარეობის გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებში და მუშების რევოლუციურ გამოსვლებს (ვენა, ინგლისი).

სწორედ ის ფაქტი, რომ კაპიტალიზმი ახდენს ტექნიკის რაციონალიზაციას და აწარმოებს დიდძალ საქონელს, რომლის შთანთქმაც ბაზარს არ შეუძლია, სწორედ ეს ფაქტი იწვევს ბრძოლის გამწვავებას იმპერიალისტების ბანაკში გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გაზიდვის ბაზრებისათვის, წარმოშობს ახალი ომის, მსოფლიოს ახალი გადანაწილების პირობებს.

განა ძნელია იმის გაგება, რომ კაპიტალიზმის საწარმოო შესაძლებლობათა უზომო ზრდა მსოფლიო ბაზრის ერთგვარი შეზღუდულობისა და «გავლენის სფეროთა» სტაბილურობის პირობებში აძლიერებს ბრძოლას ბაზრებისათვის და აღრმავებს კაპიტალიზმის კრიზისს?

კაპიტალიზმს შეეძლო გადაეჭრა ეს კრიზისი, მას რომ შეეძლოს რამდენჯერმე გაადიდოს მუშების ხელფასი, მას

რომ შეეძლოს სერიოზულად გააუმჯობესოს გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, მას რომ, ამრიგად, შეეძლოს სერიოზულად ასწიოს მილიონობით მშრომელთა მყიდველობითი უნარი და გააფართოოს საშინაო ბაზრის ტევადობა. მაგრამ მაშინ კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი. სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია ეს მოიმოქმედოს, სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალიზმი თავის «შემოსავალს» იყენებს არა მშრომელთა უმრავლესობის კეთილდღეობის ასამაღლებლად, არამედ მათი ექსპლოატაციის გასაძლიერებლად და კიდევ უფრო დიდი «შემოსავლის» მიღების მიზნით ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის გასატანად, — სწორედ ამიტომ ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, ბრძოლა კაპიტალის გატანის ბაზრებისათვის წარმოშობს გააფთრებულ ბრძოლას მსოფლიოს და გავლენის სფეროების ახალი გადანაწილებისათვის, ბრძოლას, რომელმაც უკვე აუცილებელი გახადა ახალი იმპერიალისტური ომი.

რატომ არის, რომ გარკვეული იმპერიალისტური წრეები ალმაცერად უყურებენ სსრ კავშირს და აწყობენ მის წინააღმდეგ ერთიან ფრონტს? იმიტომ, რომ სსრ კავშირი გასაღებისა და კაპიტალის გატანის უმდიდრეს ბაზარს წარმოადგენს. რატომ არის, რომ იგივე იმპერიალისტური წრეები ახდენენ ინტერვენციას ჩინეთში? იმიტომ, რომ ჩინეთი გასაღებისა და კაპიტალის გატანის უმდიდრეს ბაზარს წარმოადგენს. და ასე შემდეგ და ამგვარად.

აი სად არის ახალი ომის გარდუვალობის საფუძველი და წყარო, სულ ერთია — გაჩაღდება იგი ცალკეულ იმპერიალისტურ კოალიციებს შორის თუ სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ მას არ ესმის ეს უბრალო, ელემენტარული რამეები.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხი. ახლა კი ნება მომეცით შევჩერდე უკანასკნელ საკითხზე, იმ საკითხზე, თუ როგორ აპირებს ჩვენი ოპოზიცია დაიცვას სსრ კავშირი.

ამხანაგებო! ამა თუ იმ ჯგუფის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, ამა თუ იმ პარტიის რევოლუციურობა იმით კი არ მოწმდება, თუ რა განცხადებებითა ან დეკლარაციებით გამოვლენ ისინი. რევოლუციურობა მოწმდება ამა თუ იმ ჯგუფის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, ამა თუ იმ პარტიის საქმით, პრაქტიკით, პრაქტიკული გეგმებით. არ შეიძლება დავუჯეროთ ადამიანთა განცხადებებს თუ დეკლარაციებს, რაც უნდა ეფექტურნი იყვნენ ისინი, თუ ეს განცხადებები და დეკლარაციები საქმით არ დასტურდება, თუ ისინი ცხოვრებაში არ ტარდება.

არის ერთი საკითხი, რომელიც ზღვარს სდებს ყველა შესაძლო ჯგუფსა, მიმდინარეობასა და პარტიას შორის და ამოწმებს მათს რევოლუციურობას ან ანტირევოლუციურობას. ახლა ეს საკითხია სსრ კავშირის თავდაცვის საკითხი, იმპერიალიზმის თავდასხმებისაგან სსრ კავშირის უეჭველი, უცილობელი დაცვის საკითხი.

რევოლუციონერი ის არის, ვინც უსიტყვოდ, უეჭველად, აშკარად და პატიოსნად, ფარული სამხედრო თათბირების გაუმართავად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი, ვინაიდან სსრ კავშირი არის მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციური სახელმწიფო, რომელიც აშენებს სოციალიზმს. **ინტერნაციონალისტი** ის არის, ვინც უსიტყვოდ, უყოყმანოდ, პირობების წამოუყენებლად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი იმიტომ, რომ სსრ კავშირი არის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა, ხოლო ამ რევოლუციური მოძრაობის დაცვა, წინწაწევა შეუძლებელია, თუ სსრ კავშირი არ დაიცავი. ვინაიდან ვინც ფიქრობს დაიცვას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა სსრ კავშირის გვერდის ავლით და მის წინააღმდეგ, ის რევოლუციის წინააღმდეგ

მიდის, ის აუცილებლად ეჭანება რევოლუციის მტრების ბანაკისაკენ.

ორი ბანაკი შეიქმნა ახლა ომის საფრთხის გამო და ამასთან დაკავშირებით — ორი პოზიცია: სსრ კავშირის უეჭველი დაცვის პოზიცია და სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიცია. აქ უნდა მოვახდინოთ არჩევანი, ვინაიდან არ არის და არც შეიძლება იყოს მესამე პოზიცია. ნეიტრალობა ამ საქმეში, ყოყმანი, მიკიბ-მოკიბვა, მესამე პოზიციის ძებნა — წარმოადგენენ ცდას — გაექცე პასუხისმგებლობას, თავი აარიდო უეჭველ ბრძოლას სსრ კავშირის დასაცავად, განზე გადგე სსრ კავშირის თავდაცვის უაღრესად პასუხსაგებ მომენტში. ხოლო რას ნიშნავს პასუხისმგებლობისაგან გაქცევა? ეს იმას ნიშნავს, რომ შეუმჩნევლად ჩასრიალდე სსრ კავშირის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ასე დგას ახლა საკითხი.

როგორია ოპოზიციის საქმე სსრ კავშირის თავდაცვის, მისი დაცვის თვალსაზრისით?

წება მომეცით დავიმოწმო, თუ საქმე ამაზე მიდგა, ტროცკის ცნობილი წერილი ცენტრალური საკონტროლო კომისიისადმი, რათა თქვენს წინაშე ცხადვყო თავდაცვის ის «თეორია», თავდაცვის ის ლოზუნგი, რომელსაც მარაგად, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევისათვის, ინახავს ტროცკი. ციტატა ამ წერილიდან უკვე მოიყვანა თავის სიტყვაში ამხ. მოლოტოვმა, მაგრამ მას მთელი ციტატა არ მოუყვანია. ნება მომეცით მთლიანად მოვიყვანო იგი.

აი როგორ ესმის ტროცკის დამარცხებითი განწყობილება და ობორონცობა:

«რა არის დამარცხებითი განწყობილება? პოლიტიკა, მიმართული იქითკენ, რომ ხელი შეუწყო მტრული კლასის ხელში მყოფი «შენი» სახელმწიფოს დამარცხებას. დამარცხებითი განწყობილების ყოველი სხვა გაგება და განმარტება ფალსიფიკაცია იქნება. ასე, მაგალითად, თუ ვინმე იტყვის, რომ უმეცარი და უსინდისო თუთიყუში ადამიანების პო-

ლიტიკური ხაზი ნაგავსავით უნდა გამოიხვეტოს, სწორედ მუშათა სახელმწიფოს გამარჯვების ინტერესებისათვის, იგი ამით ჯერ კიდევ სრულიადაც არ ხდება «დამარცხების მომხრე». პირიქით, მოცემულ კონკრეტულ პირობებში სწორედ ის არის რევოლუციური ობორონცობის ნამდვილი გამომხატველი: იდეური ნაგავი გამარჯვებას არ იძლევა!

მაგალითებს, და ფრიად საგულისხმო მაგალითებს, ვიპოვიდით სხვა კლასების ისტორიაში. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი. საფრანგეთის ბურჟუაზიას იმპერიალისტური ომის დაწყებისას სათავეში ედგა სუსტი, მერყევი მთავრობა. კლემანსოს ჯგუფი ოპოზიციაში იყო ამ მთავრობის მიმართ. ომისა და სამხედრო ცენზურის მიუხედავად, იმის მიუხედავადაც კი, რომ გერმანელები პარიზიდან 80 კილომეტრზე იდგნენ (კლემანსო ამბობდა: **«სწორედ ამიტომ»**), ის გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა წვრილბურჟუაზიული მოდუნებულობისა და გაუბედაობის წინააღმდეგ — იმპერიალისტური სისასტიკისა და ულმობელობისათვის. კლემანსო არ ღალატობდა თავის კლასს, ბურჟუაზიას, პირიქით, ის უფრო ერთგულად, უფრო მტკიცედ, უფრო გაბედულად, უფრო ჭკვიანურად ემსახურებოდა მას, ვიდრე ვივიანი, პენლევე და კომპანია. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაამტკიცა ეს. კლემანსოს ჯგუფი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას და უფრო თანმიმდევრული, უფრო ავანტაკური იმპერიალისტური პოლიტიკით უზრუნველყო საფრანგეთის ბურჟუაზიის გამარჯვება. იყვნენ თუ არა ისეთი ფრანგი მეგობრები, რომლებსაც კლემანსოს ჯგუფისათვის დამარცხების მომხრეები ეწოდებინათ? ალბათ, იყვნენ: ბრიყვები და ცილისმწამებლები ყველა კლასს მისჩანჩალებენ უკან. მაგრამ მათ ყოველთვის როდი აქვთ შესაძლებლობა თანაბრად მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ» (ტროცკის 1927 წ. 11 ივლისის წერილიდან ამხ. ორჯონიკიძისადმი).

აი ესეც, უკაცრავად ნუ ვიქნები, «თეორია» სსრ კავშირის თავდაცვისა, რომელსაც ტროცკი გვთავაზობს.

«წვრილბურჟუაზიული მოდუნებულობა და გაუბედაობა» — ეს, თურმე, არის ჩვენი პარტიის უმრავლესობა, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, ჩვენი მთავრობის უმრავლესობა. კლემანსო — ეს არის ტროცკი თავისი ჯგუფითურთ. (ს ი ც ი ლ ი). თუ მტერი 80 კილომეტრზე მოადგება კრემლის კედლებს, ეს ახლადმოვლენილი კლემანსო, ეს ოპერეტული კლემანსო, თურმე, შეეცდება ჯერ

დაამხოს ახლანდელი უმრავლესობა სწორედ იმიტომ, რომ მტერი კრემლიდან 80 კილომეტრზე დგას, ხოლო შემდეგ ხელი მოჰკიდოს თავდაცვას. და თუ ამას მოახერხებს ჩვენი ოპერეტული კლემანსო, სწორედ ეს იქნება, თურმე, სსრ კავშირის ნამდვილი და უთუო თავდაცვა.

ხოლო იმისათვის, რომ ეს გააკეთოს, ის, ტროცკი, ე. ი. კლემანსო, შეეცდება წინასწარ «გამოხვეტოს» ეს «ნაგავი» «მუშათა სახელმწიფოს გამარჯვების ინტერესებისათვის». მერე რა «ნაგავია» ეს? ეს, თურმე, არის პარტიის უმრავლესობა, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, მთავრობის უმრავლესობა.

და აი, თურმე, როცა მტერი 80 კილომეტრის მანძილზე მოადგება კრემლს, ეს ოპერეტული კლემანსო იმას კი არ ეცდება, რომ დაიცვას სსრ კავშირი, არამედ იმას, რომ დაამხოს პარტიის ახლანდელი უმრავლესობა. და ამას უწოდებს იგი თავდაცვას!

რა თქმა უნდა, ცოტა არ იყოს სასაცილოა, როცა ეს პატარა დონკიხოტური ჯგუფი, რომელმაც ოთხი თვის განმავლობაში ძლივს შეაგროვა ათასამდე ხმა, თუ ეს პატარა ჯგუფი ემუქრება მილიონიან პარტიას: «მე შენ გამოგხვეტო». შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რაოდენ სავალალოა ტროცკის ჯგუფის მდგომარეობა, თუ მან, ოთხი თვის ჭაპანწყვეტის მიუხედავად, ძლივს შესძლო შეეგროვებინა ათასამდე ხელმოწერა. ვფიქრობ, ოპოზიციონერთა ყოველ ჯგუფს შეეძლო რამდენიმე ათასი ხელმოწერა შეეგროვებინა, მას რომ მუშაობის უნარი ჰქონოდა. ვიმეორებ: სასაცილოა, როცა ეს პატარა ჯგუფი, სადაც ლიდერები მეტია, ვიდრე არმია (ს ი ც ი ლ ი), რომელმაც მთელი ოთხი თვე იმუშავა და ძლივს შეაგროვა ათასამდე ხელმოწერა, თუ ეს ჯგუფი ემუქრება მილიონიან პარტიას: «მე შენ გამოგხვეტო». (ს ი ც ი ლ ი).

მერე როგორ უნდა მოხდეს ეს, რომ პატარა ფრაქციულ ჯგუფს შეეძლოს მილიონიანი არმიის «გამოხვეტა»? ხომ არ ფიქრობენ ოპოზიციაში მყოფი ამხანაგები, რომ პარტიის ახლანდელი უმრავლესობა, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა შემთხვევითია, რომ მას ფესვები არა აქვს პარტიაში, რომ მას ფესვები არა აქვს მუშათა კლასში, რომ ის ნებაყოფლობით «გამოახვეტინებს» თავს ოპერეტულ კლემანსოებს? არა, ეს უმრავლესობა შემთხვევითი როდია. იგი შეირჩა წლითი-წლობით, ჩვენი პარტიის განვითარების მსვლელობით, იგი შემოწმებულია ბრძოლის ცეცხლში, ოქტომბრის დროს, ოქტომბრის შემდეგ, სამოქალაქო ომის დროს, სოციალიზმის მშენებლობის დროს.

ასეთი უმრავლესობა რომ «გამოხვეტო», უნდა დაიწყო სამოქალაქო ომი პარტიაში. და აი, ტროცკი ფიქრობს ატეხოს პარტიაში სამოქალაქო ომი იმ მომენტში, როცა მტერი კრემლიდან 80 კილომეტრზე იდგომება. მგონი, ამაზე შორს კაცი ვერ წავა...

მერე ოპოზიციის ახლანდელი ლიდერები? განა ისინი შემოწმებული არ არიან? განა შემთხვევითი ამბავია, რომ ისინი, რომელთაც ერთ დროს უმნიშვნელოვანესი პოსტები ეკავათ ჩვენს პარტიაში, შემდეგ გარიყულები აღმოჩნდნენ? განა კიდევ საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს გარემოება შემთხვევით რამედ ვერ ჩაითვლება? და აი, ტროცკის სურს პატარა ჯგუფის დახმარებით, რომელმაც ხელი მოაწერა ოპოზიციის პლატფორმას, უკან შეატრიალოს ჩვენი პარტიის ისტორიის ჩარხი იმ მომენტში, როცა მტერი კრემლიდან 80 კილომეტრზე იდგომება, ამასთან ამბობენ, ამხანაგების ერთმა ნაწილმა ოპოზიციის პლატფორმას იმიტომ მოაწერა ხელი, რომ ფიქრობდა, უკეთუ ხელს მოვაწერთ — ომში არ წაგვიყვანენო. (ს ი ც ი ლ ი).

არა, დიდად პატივცემულო ტროცკი, სჯობდა კი არ გელაპარაკნათ «ნაგვის გამოხვეტაზე». სჯობდა არ გელაპარაკ-

ნათ, რადგან ეს სიტყვები მაცთუნებელია. თუ უმრავლესობა «ცთუნებული იქნება» თქვენგან ნაგვის გამოხვეტის მეთოდით, მე არ ვიცი, კარგი გამოდგება თუ არა ეს ოპოზიციისათვის. ის კი გამორიცხული არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა შეიძლება «აცთუნოს» ამ მეთოდმა და რომ მან ზოგი ვინმე «გამოხვეტოს».

ყოველთვის სასურველი და უსაშიშრო როდია სიტყვები გამოხვეტის შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ «აცთუნონ» ჩვენი ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა და აიძულონ იგი «გამოხვეტოს» ზოგი ვინმე. და თუ ტროცკი ფიქრობს მიმართოს ცოცხი პარტიისა და მისი უმრავლესობის წინააღმდეგ, რაღა გასაკვირალი იქნება, თუ პარტია ამ ცოცხს შეაბრუნებს და ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართავს?

ახლა ჩვენ ვიცით, თუ როგორ ფიქრობს ოპოზიცია დაცვას სსრ კავშირი. ტროცკის არსებითად დამარცხებითი თეორია კლემანსოს შესახებ, რასაც მთელმა ოპოზიციამ დაუჭირა მხარი, საკმაოდ ნათლად გვეუბნება ამას.

ამრიგად, გამოდის, რომ სსრ კავშირის თავდაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, კლემანსისტური ექსპერიმენტის მოხდენა.

ეს არის ოპოზიციის, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯი სსრ კავშირის «უთუო» თავდაცვისაკენ.

მეორე ნაბიჯს სსრ კავშირის თავდაცვისაკენ, თურმე, ის წარმოადგენს, რომ გამოაცხადონ ჩვენი პარტია ცენტრისტულ პარტიად. იმ ფაქტს, რომ ჩვენი პარტია აწარმოებს ბრძოლას კომუნიზმისაგან მემარცხენე გადახრასთანაც (ტროცკი — ზინოვიევი) და კომუნიზმისაგან მემარჯვენე გადახრასთანაც (სმირნოვი — საპრონოვი), ამ ფაქტს ჩვენი უმეცარი ოპოზიცია აფასებს, თურმე, როგორც ცენტრიზმს.

ამ ახირებულ ადამიანებს, ეტყობა, დავიწყებიათ, რომ ჩვენ, ორივე გადახრას რომ ვებრძვით, ამით ვახორციელებთ მხოლოდ ლენინის ანდერძს; ლენინი უეჭველად მოითხოვდა

გადამწყვეტ ბრძოლას როგორც «მემარცხენე დოქტრინიორობის» წინააღმდეგ, ისე «მემარჯვენე ოპორტუნიზმის» წინააღმდეგაც.

ოპოზიციის ლიდერებმა კავშირი გაწყვიტეს ლენინიზმთან, დავიწყებას მისცეს ლენინის ანდერძი. ოპოზიციის ლიდერებს არ უნდათ აღიარონ, რომ მათი ბლოკი, ოპოზიციური ბლოკი, წარმოადგენს კომუნიზმისაგან მარცხნივ და მარჯვნივ გადახრილთა ბლოკს. მათ არ უნდათ აღიარონ, რომ მათი ახლანდელი ბლოკი წარმოადგენს ტროცკის ცნობილი, ავად სახსენებელი, აგვისტოს ბლოკის აღდგენას ახალ საფუძველზე. მათ არ უნდათ გაიგონ, რომ სწორედ ეს ბლოკი შეიცავს გადაგვარების საფრთხეს. მათ არ უნდათ აღიარონ, რომ ერთ ბანაკში გაერთიანება «ულტრამემარცხენეებისა», როგორიც არიან გაიძვერები და კონტრრევოლუციონერები მასლოვი და რუთ ფიშერი, და ქართველი უკლონისტ-ნაციონალისტებისა ლიკვიდატორული აგვისტოს ბლოკის უცუდეს ასლს წარმოადგენს.

მაშ, თავდაცვა რომ მოაგვარო, საჭიროა, თურმე, გამოაცხადო ჩვენი პარტია ცენტრისტულ პარტიად და შეეცადო წაართვა მას ის მიმზიდველობა, რომლითაც იგი სარგებლობს მუშებში.

ეს არის ოპოზიციის, ასე ვთქვათ, მეორე ნაბიჯი სსრ კავშირის «უთუო» თავდაცვისაკენ.

მესამე ნაბიჯს სსრ კავშირის თავდაცვისაკენ, თურმე, ის წარმოადგენს, რომ ჩვენი პარტია არარსებულად გამოაცხადო და დასახო იგი «სტალინის ფრაქციად». რის თქმა უნდათ ამით ოპოზიციონერებს? მათ უნდათ ამით თქვან, რომ არ არის პარტია, არამედ არის «სტალინის ფრაქცია». მათ უნდათ ამით თქვან, რომ პარტიის გადაწყვეტილებანი სავალდებულო არაა მათთვის და რომ მათ ყოველთვის და ყოველ პირობებში შეუძლიათ უკუაგდონ ეს გადაწყვეტილებანი. მათ უნდათ ამით გაიადვილონ ბრძოლა ჩვენი პარტიის წი-

ნააღმდეგ. მართალია, ეს იარაღი მათ აიღეს მენშევიკური «სოციალისტიჩესკი ვესტნიკის» [23] და ბურჟუაზიული «რულის» [20] არსენალიდან. მართალია, მენშევიკებისა და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერებისაგან იარაღის აღება შეუფერებელია კომუნისტებისათვის. მაგრამ რა ესაქმებათ მათ ამასთან? ოპოზიციისათვის ყველა საშუალება კარგია, ოღონდ კი წარმოებდეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ.

მაშ, სსრ კავშირის თავდაცვა რომ მოამზადო, საჭიროა, თურმე, არარსებულად გამოაცხადო პარტია, სწორედ ის პარტია, ურომლისოდ არავითარი თავდაცვა არ არის წარმოსადგენი.

ეს არის ოპოზიციის, ასე ვთქვათ, მესამე ნაბიჯი სსრ კავშირის «უთუო» თავდაცვისაკენ.

მეოთხე ნაბიჯს სსრ კავშირის თავდაცვისაკენ, თურმე, ის წარმოადგენს, რომ გათიშო კომინტერნი, მოაწყო ახალი პარტია გერმანიაში, გაიძვერებისა და კონტრრევოლუციონერების რუთ ფიშერისა და მასლოვის მეთაურობით, და ამით გააძნელო სსრ კავშირისათვის მხარდაჭერა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისაგან.

მაშ, სსრ კავშირის თავდაცვა რომ მოამზადო, საჭიროა, თურმე, გათიშო კომინტერნი.

ეს არის ოპოზიციის, ასე ვთქვათ, მეოთხე ნაბიჯი სსრ კავშირის «უთუო» თავდაცვისაკენ.

მეხუთე ნაბიჯს სსრ კავშირის თავდაცვისაკენ, თურმე, ის წარმოადგენს, რომ მიაწერო ჩვენს პარტიას თერმიდორული ტენდენციები, გათიშო იგი და დაიწყო ახალი პარტიის შენება. ვინაიდან თუ ჩვენ არა გვყავს პარტია, თუ არის მხოლოდ «სტალინის ფრაქცია», რომლის გადაწყვეტილებანი სავალდებულო არაა პარტიის წევრებისათვის, თუ ეს ფრაქცია თერმიდორულია, — თუმცა სისულელე და უმეცრებაა

ილაპარაკო ჩვენი პარტიის თერმიდორულობაზე, — მაშინ რაღა რჩება?

მაშ, სსრ კავშირის თავდაცვა რომ მოაგვარო, საჭიროა, თურმე, გათიშო ჩვენი პარტია და ხელი მიჰყო ახალი პარტიის შექმნას.

ეს არის ოპოზიციის, ასე ვთქვათ, მეხუთე ნაბიჯი სსრ კავშირის «უთუო» თავდაცვისაკენ.

აი ის ხუთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომლებსაც გვთავაზობს ოპოზიცია სსრ კავშირის დასაცავად.

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ოპოზიციის ყველა ამ ღონისძიებას არაფერი აქვს საერთო ჩვენი ქვეყნის თავდაცვასთან, მსოფლიო რევოლუციის კერის თავდაცვასთან?

და ამ ადამიანებს სურთ, რომ ჩვენ ვბეჭდოთ მათი დამარცხებითი, ნახევრად-მენშევიკური სტატიები ჩვენს პარტიულ პრესაში! ვინ ვგონივართ ჩვენ მათ? განა ჩვენში უკვე არის პრესის «თავისუფლება» «ანარქისტებიდან მონარქისტებამდე»? იგი არ არის და არც იქნება. რატომ არ ვბეჭდავთ მენშევიკურ სტატიებს? იმიტომ, რომ ჩვენში არ არის პრესის «თავისუფლება» ანტილენინური, ანტისაბჭოთა მიმდინარეობებისათვის «ანარქისტებიდან მონარქისტებამდე».

რა უნდათ ოპოზიციონერებს, როცა ისინი მოითხოვენ თავიანთი ნახევრად-მენშევიკური, დამარცხებითი სტატიების დაბეჭდვას? მათ უნდათ გაუღონ სარკმელი პრესის ბურჟუაზიულ «თავისუფლებას», ამასთან ისინი ვერ ხედავენ, რომ ამით აცოცხლებენ ანტისაბჭოთა ელემენტებს, აძლიერებენ მათს მოძალებას პროლეტარიატის დიქტატურაზე და გზას უხსნიან ბურჟუაზიულ «დემოკრატიას». ერთ კარში უკაკუნებენ, აღებენ კი მეორეს.

აი რას წერს ოპოზიციის შესახებ ბატონი დანი:

«რუსი სოციალ-დემოკრატები მხურვალედ მიესალმებოდნენ ოპოზიციის ასეთ ლეგალიზაციას, თუმცა მათ საერთო არაფერი აქვთ მის დადებითს პროგრამასთან. ისინი მიესალმებოდნენ პოლიტიკური ბრძოლის ლეგალობას, დიქტატურის აშკარა თვითლიკვიდაციას და გადასვლას ახალ პოლიტიკურ ფორმებზე, რომლებშიც გადაიშლება გასაქანი ფართო მუშათა მოძრაობისათვის» («სოც. ვესტნიკ» № 13, 1927 წ. ივლისი).

«დიქტატურის აშკარა თვითლიკვიდაცია», — აი რას მოელიან თქვენგან სსრ კავშირის მტრები, და აი საით მივყავართ თქვენს პოლიტიკას, ამხანაგო ოპოზიციონერებო.

ამხანაგებო! ჩვენს წინაშეა ორი საფრთხე: ომის საფრთხე, რომელიც ომის მუქარად იქცა, და ჩვენი პარტიის ზოგიერთი რგოლის გადაგვარების საფრთხე. თავდაცვის მომზადებას რომ ვიწყებთ, ჩვენ უნდა შევქმნათ რკინისებური დისციპლინა ჩვენს პარტიაში. უამდისციპლინოდ თავდაცვა შეუძლებელია. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ პარტიული დისციპლინა, ჩვენ უნდა ავლაგმოთ ყველა ის, ვისაც დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს პარტიაში. ჩვენ უნდა ავლაგმოთ ყველა ის, ვინც თიშავს ჩვენს მოძმე პარტიებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში. (ტ ა შ ი). ჩვენ უნდა ავლაგმოთ ყველა ის, ვინც თიშავს ჩვენს მოძმე პარტიებს დასავლეთში და ვისაც ამაში მხარს უჭერენ ყალთაბანდები სუვარინი, რუთ ფიშერი, მასლოვი, თავგზააბნეული ტრენი.

მხოლოდ ასე, და მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია ჩვენ სავსებით შეიარაღებულნი შევხვდეთ ომს, ვეცდებით რა ამავე დროს ერთგვარი მატერიალური მსხვერპლი გავიღოთ, რათა გადავდოთ ომი, მოვიგოთ დრო, თავი დავიხსნათ კაპიტალიზმისაგან.

ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ და ამას გავაკეთებთ კიდევაც.

მეორე საფრთხეა გადაგვარების საფრთხე.

საიდან მომდინარეობს იგი? აი საიდან (მ ი უ თ ი თ ე ბ ს ო პ ო ზ ი ც ი ა ზ ე). ეს საფრთხე უნდა მოვსპოთ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

5 აგვისტოს სიტყვა

ამხანაგებო! ზინოვიევი უხეშად არალოიალურად მოიქცა ამ პლენუმის მიმართ, თავის სიტყვაში რომ დაუბრუნდა უკვე გადაწყვეტილ საკითხს — საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს.

ახლა ჩვენ ვიხილავთ დღის წესრიგის მე-4 პუნქტს — «ტროცკისა და ზინოვიევის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ». ზინოვიევი კი გვერდს უვლის განსახილველ პუნქტს, უბრუნდება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს და ცდილობს კვლავ განხილვის საგნად აქციოს უკვე გადაწყვეტილი საკითხი. ამასთან თავის სიტყვაში იგი ამახვილებს საკითხს სტალინის წინააღმდეგ და ივიწყებს, რომ ჩვენ ვიხილავთ არა სტალინის საკითხს, არამედ ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხს.

ამიტომ მე იძულებული ვარ ჩემს სიტყვაში დავუბრუნდე უკვე გადაწყვეტილი საკითხის ზოგიერთ მხარეს, რათა ცხადვყო ზინოვიევის გამოსვლის უსაფუძვლობა.

ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მაგრამ მე მომიხდება აგრეთვე რამდენიმე სიტყვა ვთქვა ზინოვიევის გამოლაშქრებაზე სტალინის წინააღმდეგ. (ხ მ ე ბ ი: «გთხოვთ!»).

პირველი. ზინოვიევმა თავის სიტყვაში რატომღაც გაიხსენა სტალინის მერყეობა 1917 წლის მარტში, ამასთან მოჩმახა უამრავი ტყუილი. მე არასოდეს არ უარმიყვია, რომ 1917 წლის მარტში ერთგვარ მერყეობას ვიჩენდი, რომ ჩემი ეს მერყეობა გრძელდებოდა სულ ერთ-ორ კვირას, რომ

1917 წლის აპრილში ლენინის ჩამოსვლის შემდეგ ეს მერყეობა გაქრა, და 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე მე გვერდში ვუდექი ამხ. ლენინს კამენევისა და მისი ოპოზიციური ჯგუფის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მე რამდენიმეჯერ მითქვამს ჩვენს პარტიულ პრესაში (იხ. «ოქტომბრის გზებზე», «ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?» და სხვ.).

მე არასოდეს არ მიმაჩნდა და არც მიმაჩნია თავი უცოდველად. მე არასოდეს არ დამიმალავს არა თუ ჩემი შეცდომები, არამედ წუთიერი მერყეობაც. მაგრამ არ შეიძლება იმის დამალვაც, რომ მე არასოდეს არ დამიჟინია ჩემი შეცდომები და არასოდეს არ შემიქმნია ჩემი წამიერი მერყეობიდან პლატფორმა, განსაკუთრებული ჯგუფი და ა. შ.

მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხს განსახილველ საკითხთან — ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხთან? რისთვისაა, რომ ზინოვიევი გვერდს უვლის განსახილველ საკითხს და უბრუნდება 1917 წლის მარტის მოგონებებს? ნუთუ მას დაავიწყდა თავისი საკუთარი შეცდომები, თავისი ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ და თავისი განსაკუთრებული პლატფორმა ლენინის წინააღმდეგ 1917 წლის აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში? ან, იქნებ, ზინოვიევი ფიქრობს წარსულის მოგონებებით უკანა რიგში მოაქციოს ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხი, რომელსაც ახლა ვიხილავთ? არა, ეს ოინი ზინოვიევს არ გაუვა.

მეორე. შემდეგ, ზინოვიევმა მოიყვანა ციტატა ჩემი წერილიდან მისდამი, რაც დაწერილი იყო 1923 წლის ზაფხულში, გერმანიის 1923 წლის რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე. არ მახსოვს ამ წერილის ისტორია. ამ წერილის ასლი არა მაქვს და ამიტომ არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ზინოვიევმა სწორად მოიყვანა იქიდან ციტატა. ეს წერილი მე, მგონი, 1923 წლის ივლისის დამლევს თუ აგვისტოს

5 აგვისტოს სიტყვა

ამხანაგებო! ზინოვიევი უხეშად არალოიალურად მოიქცა ამ პლენუმის მიმართ, თავის სიტყვაში რომ დაუბრუნდა უკვე გადაწყვეტილ საკითხს — საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს.

ახლა ჩვენ ვიხილავთ დღის წესრიგის მე-4 პუნქტს — «ტროცკისა და ზინოვიევის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ». ზინოვიევი კი გვერდს უვლის განსახილველ პუნქტს, უბრუნდება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს და ცდილობს კვლავ განხილვის საგნად აქციოს უკვე გადაწყვეტილი საკითხი. ამასთან თავის სიტყვაში იგი ამახვილებს საკითხს სტალინის წინააღმდეგ და ივიწყებს, რომ ჩვენ ვიხილავთ არა სტალინის საკითხს, არამედ ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხს.

ამიტომ მე იძულებული ვარ ჩემს სიტყვაში დავუბრუნდე უკვე გადაწყვეტილი საკითხის ზოგიერთ მხარეს, რათა ცხადვყო ზინოვიევის გამოსვლის უსაფუძვლობა.

ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მაგრამ მე მომიხდება აგრეთვე რამდენიმე სიტყვა ვთქვა ზინოვიევის გამოლაშქრებაზე სტალინის წინააღმდეგ. (ხმები: «გთხოვთ!»).

პირველი. ზინოვიევმა თავის სიტყვაში რატომღაც გაიხსენა სტალინის მერყეობა 1917 წლის მარტში, ამასთან მოჩმახა უამრავი ტყუილი. მე არასოდეს არ უარმიყვია, რომ 1917 წლის მარტში ერთგვარ მერყეობას ვიჩენდი, რომ ჩემი ეს მერყეობა გრძელდებოდა სულ ერთ-ორ კვირას, რომ

1917 წლის აპრილში ლენინის ჩამოსვლის შემდეგ ეს მერყეობა გაქრა, და 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე მე გვერდში ვუდექი ამხ. ლენინს კამენევისა და მისი ოპოზიციური ჯგუფის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მე რამდენიმეჯერ მითქვამს ჩვენს პარტიულ პრესაში (იხ. «ოქტომბრის გზებზე», «ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?» და სხვ.).

მე არასოდეს არ მიმაჩნდა და არც მიმაჩნია თავი უცოდველად. მე არასოდეს არ დამიმალავს არა თუ ჩემი შეცდომები, არამედ წუთიერი მერყეობაც. მაგრამ არ შეიძლება იმის დამალვაც, რომ მე არასოდეს არ დამიჟინია ჩემი შეცდომები და არასოდეს არ შემიქმნია ჩემი წამიერი მერყეობიდან პლატფორმა, განსაკუთრებული ჯგუფი და ა. შ.

მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხს განსახილველ საკითხთან — ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხთან? რისთვისაა, რომ ზინოვიევი გვერდს უვლის განსახილველ საკითხს და უბრუნდება 1917 წლის მარტის მოგონებებს? ნუთუ მას დაავიწყდა თავისი საკუთარი შეცდომები, თავისი ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ და თავისი განსაკუთრებული პლატფორმა ლენინის წინააღმდეგ 1917 წლის აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში? ან, იქნებ, ზინოვიევი ფიქრობს წარსულის მოგონებებით უკანა რიგში მოაქციოს ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტდისციპლინის დარღვევის საკითხი, რომელსაც ახლა ვიხილავთ? არა, ეს ოინი ზინოვიევს არ გაუვა.

მეორე. შემდეგ, ზინოვიევმა მოიყვანა ციტატა ჩემი წერილიდან მისდამი, რაც დაწერილი იყო 1923 წლის ზაფხულში, გერმანიის 1923 წლის რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე. არ მახსოვს ამ წერილის ისტორია. ამ წერილის ასლი არა მაქვს და ამიტომ არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ზინოვიევმა სწორად მოიყვანა იქიდან ციტატა. ეს წერილი მე, მგონი, 1923 წლის ივლისის დამლევს თუ აგვისტოს

დამდეგს დავწერე. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იგი თავიდან ბოლომდე უეჭველად სწორია. ამ წერილს რომ იმოწმებს, ზინოვიევს, ეტყობა, სურს თქვას, რომ მე საზოგადოდ სკეპტიკურად ვუყურებდი გერმანიის 1923 წლის რევოლუციას. ვს, რა თქმა უნდა, მიქარვაა.

წერილში, უწინარეს ყოვლისა, წამოყენებული იყო კომუნისტების მიერ ძალაუფლების დაუყოვნებლივ დაპყრობის საკითხი. 1923 წლის ივლისში თუ აგვისტოს დამდეგს გერმანიაში ჯერ კიდევ არ იყო ის ღრმა რევოლუციური კრიზისი, რომელიც ფეხზე აყენებს მილიონიან მასებს, ამხილებს სოციალ-დემოკრატიის შემთანხმებლობას, საკუთარ თავს აბნევს ბურჟუაზიას და აყენებს კომუნისტების მიერ ძალაუფლების დაუყოვნებლივ აღების საკითხს. ბუნებრივია, რომ ივლის-აგვისტოს ვითარებაში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა გერმანიაში ძალაუფლების **დაუყოვნებლივ** დაპყრობაზე კომუნისტების მიერ, რომლებსაც ამასთან **უმცირესობა ჰყავდათ** მუშათა კლასის რიგებში.

სწორია თუ არა ასეთი პოზიცია? ვფიქრობ, რომ სწორია. ამავე პოზიციაზე იდგა მაშინ პოლიტბიურო.

მეორე საკითხი, რომელიც წამოყენებულია წერილში, ეხება კომუნისტი მუშების დემონსტრაციას იმ მომენტში, როცა შეიარაღებული ფაშისტები ცდილობდნენ პროვოკაციულად გამოეწვიათ კომუნისტების ნაადრევი გამოსვლა. მე მაშინ იმ აზრისა ვიყავი, რომ კომუნისტები პროვოკაციას არ აჰყოლოდნენ. და არა მარტო მე, არამედ მთელი პოლიტბიუროც იზიარებდა ამ პოზიციას.

მაგრამ ორი თვის შემდეგ ვითარება გერმანიაში მძაფრად იცვლება რევოლუციური კრიზისის გამწვავების მიმართულებით. პუანკარე იწყებს სამხედრო შეტევას გერმანიაზე; ფინანსური კრიზისი გერმანიაში კატასტროფულ ხასიათს იღებს; გერმანიის მთავრობის წიაღში იწყება დაშლა და მინისტრების ოთურმა; რევოლუციის ტალღა ზვირთდე-

ბა და აფეთქებს სოციალ-დემოკრატიას; იწყება მუშების მასობრივი გადასვლა სოციალ-დემოკრატიიდან კომუნისტებისაკენ; კომუნისტების მიერ ძალაუფლების აღების საკითხი დღის წესრიგში დგება. ამ ვითარებაში მე, ისევე როგორც კომინტერნის კომისიის სხვა წევრები, გადაჭრით და გარკვევით ვადექი იმ აზრს, რომ კომუნისტებს დაუყოვნებლივ აეღოთ ძალაუფლება.

ცნობილია, რომ კომინტერნის გერმანულ კომისიას, რომელიც მაშინ შეიქმნა ზინოვიევის, ბუხარინის, სტალინის, ტროცკის, რადეკისა და მთელი რიგი გერმანელი ამხანაგების შემადგენლობით, მთელი რიგი კონკრეტული გადაწყვეტილებანი ჰქონდა ძალაუფლების დაპყრობის საქმეში გერმანელი ამხანაგებისათვის პირდაპირი დახმარების გაწევის შესახებ.

იყვნენ თუ არა მაშინ ამ კომისიის წევრები ყველაფერში სოლიდარულნი ერთმანეთს შორის? არა, არ ყოფილან. უთანხმოება მაშინ იყო გერმანიაში საბჭოების შექმნის საკითხის გამო. მე და ბუხარინი ვამტკიცებდით, რომ ფაბრიკკომებს არ შეუძლიათ შეცვალონ საბჭოები, და წინადადებას ვიძლეოდით დაუყოვნებლივ მოწყობილიყო პროლეტარული საბჭოები გერმანიაში. ტროცკი და რადეკი, აგრეთვე ზოგიერთი გერმანელი ამხანაგი საბჭოების მოწყობის წინააღმდეგი იყვნენ და ფიქრობდნენ, რომ ფაბრიკკომები საკმარისი იქნებოდნენ ძალაუფლების ასაღებად. ზინოვიევი მერყეობდა ამ ორ ჯგუფს შორის.

მხედველობაში იქონიეთ, ამხანაგებო, რომ მაშინ საქმე ეხებოდა არა ჩინეთს, სადაც მხოლოდ რამდენიმე მილიონი პროლეტარია, არამედ გერმანიას, მაღალსამრეწველო ქვეყანას, სადაც მაშინ 15 მილიონამდე პროლეტარი იყო.

რით გათავდა მაშინ ეს უთანხმოება? იმით, რომ ზინოვიევი გადავიდა ტროცკისა და რადეკის მხარეზე, და საბჭოების საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

მართალია, ზინოვიევი შემდეგ ინანიებდა ამ თავის ცოდვებს. მაგრამ ეს ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ზინოვიევი მაშინ იდგა მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ფლანგზე გერმანიის რევოლუციის ერთ-ერთ ძირითად საკითხში, ხოლო ბუხარინი და სტალინი რევოლუციურ, კომუნისტურ ფლანგზე იდგნენ.

აი რას ამბობდა ამის შესახებ შემდეგ ზინოვიევი:

«საბჭოების საკითხში (გერმანიაში. ი. სტ.) ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ იმით, რომ დავუთმეთ ტროცკის და რადეკს. ყოველთვის, როცა ამ საკითხებში უთმობენ, რწმუნდები, რომ შეცდომას სჩადიხარ. მუშათა საბჭოების შექმნა მაშინ არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს იყო სასინჯი იმის გამოსაშკარავებლად, სოციალ-დემოკრატიულია თუ კომუნისტურია გეზი. ამ საკითხში ჩვენ არ უნდა დაგვეთმო. დათმობა შეცდომა იყო ჩვენი მხრით. ასეა, ამხანაგებო, ეს საქმე» (სტენოგრამა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წ. 19 იანვრის მე-5 სხდომისა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებთან ერთად, გვ. 70).

ზინოვიევი ამ ციტატაში ამბობს, «ჩვენ შევცდითო». მაგრამ ვინ «ჩვენ»? არავითარი «ჩვენ» არ ყოფილა და არც შეიძლებოდა მაშინ ყოფილიყო. შეცდა, ნამდვილად, ზინოვიევი, რომელიც ტროცკისა და რადეკის მხარეზე გადავიდა და მათს მცდარ პოზიციაზე დადგა.

ასეთია ფაქტები.

ბარემ სჯობდა ზინოვიევს არ მოეგონებინა გერმანიის 1923 წლის რევოლუცია და თავი არ შეერცხვინა პლენუმის წინაშე, მით უფრო, რომ მის მიერ აღძრულ საკითხს — გერმანიის რევოლუციის შესახებ, როგორც ხედავთ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პლენუმის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტთან, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ.

ჩინეთის საკითხი. ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ სტალინი თავის მოხსენებაში პარტიის XIV ყრილობაზე, თურმე, აიგივებდა ჩინეთს ამერიკასთან. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ჩინეთის არავითარ გაიგივებაზე ამერიკასთან

არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი ჩემს მოხსენებაში. ნამდვილად კი ჩემს მოხსენებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ ჩინელი ხალხის ნაციონალური გაერთიანებისა და უცხოელთა უღლისაგან ნაციონალური განთავისუფლების უფლებაზე. მე ვამახვილებდი საკითხს იმპერიალისტური პრესის წინააღმდეგ და ვამბობდი, რომ თუ თქვენ, ბატონო იმპერიალისტებო, მართებულად მიგაჩნიათ, სიტყვით მაინც, იტალიის ნაციონალური ომი, ამერიკის ნაციონალური ომი, გერმანიის ნაციონალური ომი გაერთიანებისა და უცხოელთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, მაშინ რითაა ჩინეთი ამ ქვეყნებზე უარესი და რატომ არა აქვს ჩინელ ხალხს თავისი ნაციონალური გაერთიანებისა და განთავისუფლების უფლება-მეთქი.

აი რას ვამბობდი ჩემს მოხსენებაში, ამასთან სრულიად არ შევხებივარ იმ საკითხს, თუ როგორია ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივები და ამოცანები კომუნიზმის თვალსაზრისით.

მართებულია თუ არა საკითხის ასე დასმა ბურჟუაზიული პრესის წინააღმდეგ ბრძოლაში? ცხადია, მართებულია. ზინოვიევს ეს უბრალოდ რამ არ ესმის, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის მის შეუსმენლობას და არა სხვა რაიმეს.

ზინოვიევს, თურმე, არასწორად მიაჩნია ის პოლიტიკა, რომ უხანის გომინდანი, როცა იგი რევოლუციური იყო, გადაქცეული ყოფილიყო პროლეტარიატისა და გლეხობის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად. კითხვა ისმება, რა არის აქ არასწორი? განა ფაქტი არ არის, რომ უხანის გომინდანი ამა წლის დასაწყისს რევოლუციური იყო? რატომღა გაჰყვიროდა ზინოვიევი უხანის გომინდანისათვის «ყოველნაირ მხარდაჭერაზე», თუ უხანის გომინდანი რევოლუციური არ იყო? რატომღა ფიცულობდა ოპოზიცია, რომ ის მომხრეა კომპარტიის დატოვებისა უხანის გომინდანის შემადგენლობაში, თუ ეს გომინდანი

მაშინ რევოლუციური არ იყო? რად ეღირებოდნენ კომუნისტები, რომლებიც, შედიოდნენ რა უხანის გომინდანში და იქ გავლენით სარგებლობდნენ, არ შეეცდებოდნენ გაეყოლიებინათ გომინდანელი თანამგზავრები და გადაექციათ უხანის გომინდანი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად? მე ვიტყოდი, რომ ასეთი კომუნისტები გროშად არ ეღირებოდნენ.

მართალია, ეს ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან იმპერიალისტები და ჩინეთის ფეოდალები ამ სტადიაში უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე რევოლუცია, და ჩინეთის რევოლუციამ ამასთან დაკავშირებით დროებითი დამარცხება განიცადა. მაგრამ განა აქედან გამომდინარეობს, რომ კომპარტიის პოლიტიკა სწორი არ იყო?

1905 წელს რუსი კომუნისტებიც ცდილობდნენ გადაექციათ მაშინ არსებული საბჭოები პროლეტარიატისა და გლეხობის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად. მაგრამ ეს ცდაც მაშინ მარცხით დამთავრდა კლასობრივ ძალთა არახელსაყრელი თანაფარდობის გამო, იმის გამო, რომ ცარიზმი და ფეოდალები რევოლუციაზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. განა გამომდინარეობს აქედან, რომ ბოლშევიკების პოლიტიკა სწორი არ იყო? ცხადია, არ გამომდინარეობს.

შემდეგ, ზინოვიევი ირწმუნება, რომ ლენინი მომხრე იყო ჩინეთში **მუშათა** დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივი შექმნისა. ამასთან ზინოვიევი იმოწმებს ლენინის თეზისებს კოლონიურ საკითხზე, რომლებიც მიღებულ იქნა კომინტერნის II კონგრესზე. მაგრამ აქ ზინოვიევს პირდაპირ შეცდომაში შეჰყავს პარტია.

რამდენიმეჯერ ითქვა პრესაში და იძულებული ვართ აქაც გავიმეოროთ, რომ ლენინის თეზისებში არც ერთი სიტყვა არაა **მუშათა** დეპუტატების საბჭოებზე ჩინეთში.

რამდენიმეჯერ ითქვა პრესაში და აქაც იძულებული ვართ გავიმეოროთ, რომ ლენინი თავის თეზისებში გულისხმობდა არა **მუშათა** დეპუტატების საბჭოებს, არამედ «გლეხთა საბჭოებს», «სახალხო საბჭოებს», «მშრომელთა საბჭოებს», ამასთან სპეციალურად აღნიშნავდა, რომ ლაპარაკია ისეთ ქვეყნებზე, **«სადაც არ არის** ან **თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი»**.

შეიძლება თუ არა ჩინეთი მივაკუთვნოთ იმ ქვეყნების ჯგუფს, სადაც «არ არის ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი»? ცხადია, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა შეიქმნეს ჩინეთში გლეხთა საბჭოები, მშრომელთა საბჭოები, სახალხო საბჭოები, თუ **წინასწარ** არ შეიქმნა **მუშათა კლასის** კლასობრივი საბჭოები? ცხადია, არ შეიძლება. მაშ რად ატყუებს პარტიას ოპოზიცია ლენინის თეზისებზე მითითებით?

შესვენების საკითხი. ლენინი ამბობდა 1921 წელს, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, რომ ჩვენ ახლა გვაქვს ერთგვარი შესვენება ომისაგან, რა შესვენებაც უნდა გამოვიყენოთ სოციალიზმის მშენებლობისათვისო. ზინოვიევი ახლა შარსა სდებს სტალინს და ამტკიცებს, რომ მან ეს შესვენება გადააქციაო შესვენების პერიოდად, რაც თითქოს ეწინააღმდეგება სსრ კავშირსა და იმპერიალისტებს შორის ომის მუქარის თეზისს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ზინოვიევი აქ სულელურ და სასაცილო შარს მიმართავს. განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ სამხედრო შეტაკებანი არა გვაქვს იმპერიალისტებსა და სსრ კავშირს შორის აი უკვე შვიდი წელიწადია? შეგვიძლია თუ არა ამ შვიდწლიან პერიოდს შესვენების **პერიოდი** ვუწოდოთ? ცხადია, შეგვიძლია და საჭიროცაა ვუწოდოთ. ლენინს არა ერთხელ ულაპარაკნია ბრესტის ზავის **პერიოდზე,** მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პერიოდი ერთ წელზე მეტ ხანს **არ** გაგრძელებულა. რატომ არის, რომ

ბრესტის ზავის ერთწლიან პერიოდს შეიძლება პერიოდი ეწოდოს, ხოლო შესვენების შვიდწლიან პერიოდს არ შეიძლება შესვენების პერიოდი ეწოდოს? როგორ შეიძლება მოაცდინო ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ასეთი სასაცილო და სულელური შარით?

პარტიის დიქტატურის შესახებ. რამდენიმეჯერ ითქვა ჩვენს პარტიულ პრესაში, რომ ზინოვიევი ამახინჯებს პარტიის «დიქტატურის» ლენინურ ცნებას, როცა პროლეტარიატის დიქტატურას აიგივებს პარტიის დიქტატურასთან. რამდენიმეჯერ ითქვა ჩვენს პარტიულ პრესაში, რომ პარტიის «დიქტატურად» ლენინი გულისხმობდა პარტიის ხელმძღვანელობას **მუშათა კლასის მიმართ**, ესე იგი არა პარტიის ძალდატანებას მუშათა კლასის მიმართ, არამედ ხელმძღვანელობას დარწმუნების წესით, მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის წესით, სახელდობრ, ხელმძღვანელობას **ერთი** პარტიისას, რომელიც ამ ხელმძღვანელობას არ უზიარებს სხვა პარტიებს და არც სურს გაუზიაროს.

ზინოვიევს ეს არ ესმის, ის ამახინჯებს ლენინურ გაგებას. ხოლო, **ამახინჯებს რა პარტიის «დიქტატურის» ლენინურ გაგებას**, ზინოვიევი, იქნებ თავისდა შეუგნებლადაც, გზას უხსნის «არაკჩეეველობის» დანერგვას პარტიაში, ლენინის წინააღმდეგ კაუცკის იმ ცილისწამების გამართლებას, რომ ლენინი ვითომ ატარებს «პარტიის დიქტატურას მუშათა კლასის მიმართ». კარგია ეს? ცხადია, არ არის კარგი. ვინღა არის აქ დამნაშავე, თუ ზინოვიევს არ ესმის ეს უბრალო რამეები?

ნაციონალური კულტურის შესახებ. ის, რაც აქ ზინოვიევმა ნაციონალური კულტურის შესახებ მოჩმახა, უნდა უკვდავყოფილიყო, რათა პარტიას სცოდნოდა, რომ ზინოვიევი წინააღმდეგია სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური

კულტურის განვითარებისა საბჭოთა საფუძველზე, რომ ის ნამდვილად კოლონიზატორობის მომხრეა.

ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის დროს მრავალეროვან სახელმწიფოში ჩვენ ბურჟუაზიულ ლოზუნგად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ასეთ სახელმწიფოში ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში ნიშნავს ყველა ეროვნების მშრომელი მასების სულიერ დამორჩილებას ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისადმი, მისი ბატონობისადმი, მისი დიქტატურისადმი.

პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ ჩვენ გამოვაცხადეთ ლოზუნგი სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის განვითარებისა **საბჭოების საფუძველზე**. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სსრ კავშირის ხალხთა შორის ნაციონალური კულტურის განვითარებას ვუფარდებთ სოციალიზმის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ახლა საზოგადოდ ნაციონალური კულტურის წინააღმდეგი ვართ? არა, არ ნიშნავს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა ვიცავთ სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ნაციონალური ენის, სკოლის, პრესის და სხვათა განვითარებას **საბჭოების საფუძველზე**. ხოლო რას ნიშნავს დათქმა «საბჭოების საფუძველზე»? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის ხალხთა კულტურა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ავითარებს, **თავისი შინაარსით** უნდა იყოს ყველა მშრომელთათვის საერთო კულტურა, სოციალისტური კულტურა, თავისი **ფორმით** კი იგი არის და იქნება სსრ კავშირის ყველა ხალხთათვის არაერთნაირი კულტურა, ნაციონალური კულტურა, სსრ კავშირის ხალხთათვის სხვადასხვანაირი კულტურა ენისა და

ნაციონალურ თავისებურებათა განსხვავების შესაბამისად. აი ამაზე ვილაპარაკე მე აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში სამი წლის წინათ წარმოთქმულ სიტყვაში [27]. სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებდა ყოველთვის ჩვენი პარტია, როცა ხელს უწყობდა **ნაციონალური** საბჭოთა სკოლების, **ნაციონალური** საბჭოთა პრესისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა განვითარებას, პარტიული აპარატის **«ნაციონალიზაციას»**, საბჭოთა აპარატის **«ნაციონალიზაციას»** და სხვ. და ა. შ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენინი თავის წერილებში ამხანაგებისადმი, რომლებიც ნაციონალურ ოლქებსა და რესპუბლიკებში მუშაობენ, მოუწოდებდა განევითარებინათ **ამ** ოლქებისა და რესპუბლიკების ნაციონალური კულტურა საბჭოების საფუძველზე.

სწორედ იმიტომ, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ ჩვენ ყოველთვის მივდიოდით **ამ** გზით, სწორედ ამიტომ შევძელით შეგვექმნა მსოფლიოში არნახული ინტერნაციონალური შენობა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდება.

და აი ზინოვიევი, ომს უცხადებს რა ნაციონალურ კულტურას, ფიქრობს ახლა გადააყირავოს ყოველივე ეს, წაშალოს, დამარხოს. და ამ კოლონიზატორულ ჩმახვას ნაციონალურ საკითხზე უწოდებს ის ლენინიზმს! განა სასაცილო არ არის ეს, ამხანაგებო!

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. ზინოვიევი და საერთოდ ოპოზიცია (ტროცკი, კამენევი), მიუხედავად მთელი რიგი სასტიკი დამარცხებისა ამ საკითხში, კვლავ და კვლავ ებღაუჭებიან ამ საკითხს და დროს ართმევენ პლენუმს. ისინი ცდილობენ საქმე ისე დახატონ, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეზისი იყოს თითქოს არა ლენინის თეორია, არამედ სტალინის «თეორია».

არა გვგონია საჭირო იყოს იმის დასაბუთება, რომ ოპოზიციის ასეთი მტკიცება წარმოადგენს ოპოზიციის ცდას — მოატყუოს პარტია. განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ლენინმა, და არა სხვა ვინმემ, ჯერ კიდევ 1915 წელს განაცხადა, შესაძლებელია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაო [28]? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ტროცკი, და არა სხვა ვინმე, შეედავა **მაშინვე** ლენინს და «ნაციონალური შეზღუდულობა» უწოდა ლენინის განცხადებას? რაღა შუაშია აქ სტალინის «თეორია»?

განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ კამენევი და ზინოვიევი, და არა ვინმე სხვა, კუდში აედევნენ ტროცკის 1925 წელს და «ნაციონალურ შეზღუდულობად» გამოაცხადეს ლენინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენმა პარტიამ თავისი XIV კონფერენციის სახით მიიღო სპეციალური რეზოლუცია სსრ კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ [29], წინააღმდეგ ტროცკის ნახევრად-მენშევიკური თეორიისა?

რატომ უვლიან გვერდს ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი XIV კონფერენციის ამ რეზოლუციას?

განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენმა პარტიამ თავისი XIV ყრილობის სახით დაამტკიცა XIV კონფერენციის გადაწყვეტილება და გაამახვილა თავისი მტკიცება კამენევისა და ზინოვიევის წინააღმდეგ [30]?

განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენი პარტიის XV კონფერენციამ მიიღო დაწვრილებით დასაბუთებული გადაწყვეტილება სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ [31] და გაამახვილა იგი ოპოზიციური ბლოკისა და მისი მეთაურის, ტროცკის წინააღმდეგ?

განა ფაქტი არ არის, რომ კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულმა პლენუმმა დაამტკიცა საკავშირო კ. პ. (ბ)

XV კონფერენციის ეს რეზოლუცია და ამხილა ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი სოციალ-დემოკრატიულ გადახრაში [32]?

კითხვა ისმება, რა შუაშია აქ სტალინის «თეორია»?

განა სტალინს როდისმე მოუთხოვია ოპოზიციისაგან სხვა რაიმე, გარდა იმისა, რომ ოპოზიციას ეცნო ჩვენი პარტიისა და კომინტერნის უმაღლესი ინსტანციების ამ გადაწყვეტილებათა სისწორე?

რატომ უვლიან გვერდს ოპოზიციის ლიდერები ყველა ამ ფაქტს, თუ მათი სინდისი სუფთაა? რის იმედი აქვთ მათ? პარტიის მოტყუებისა? მაგრამ განა ძნელია იმის მიხვედრა, რომ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მოტყუებას ვერავინ ვერ შესძლებს.

აი, ამხანაგებო, ის საკითხები, რომლებსაც, ნამდვილი რომ ითქვას, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ განსახილველ პუნქტთან — ტროცკისა და ზინოვიევის მიერ პარტდისციპლინის დარღვევასთან, მაგრამ რომლებიც მაინც გამოათრია დღის სინათლეზე ზინოვიევმა, რათა კორიანტელი დაეყენებინა და მიეჩქმალა განსახილველი საკითხი.

ერთხელ კიდევ ბოდიშს ვიხდი, რომ დრო წაგართვით და ამ საკითხების გარჩევას შევუდექი. მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი, ვინაიდან სხვა გზები არ არსებობს იმისათვის, რომ ჩვენს ოპოზიციონერებს პარტიის მოტყუების ხალისი დავუკარგოთ.

ახლა კი, ამხანაგებო, ნება მომეცით გადავიდე «თავდაცვიდან» თავდასხმაზე.

ოპოზიციის ძირითადი უბედურება ის არის, რომ მას დღევანდლამდეც ვერ გაუგია, თუ რატომ «მივიდა ასეთ ყოფამდე».

მართლაც, რატომ მოხდა, რომ მისი ლიდერები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ პარტიის ლიდერების რიცხვში იყვნენ, «უცებ» გარიყული აღმოჩნდნენ? რით აიხსნება ეს? თვითონ ოპოზიცია მზად არის ეს ფაქტი პირადი ხასიათის მიზეზებით

ახსნას: სტალინი «არ დაეხმარა», ბუხარინმა «უმუხთლა», რიკოვმა «მხარი არ დაუჭირა», ტროცკის «გამოეპარა», ზინოვიევს «მხედველობიდან გამორჩა» და სხვა. მაგრამ ეს იაფფასიანი «ახსნა» არ წარმოადგენს ახსნის ნასახსაც კი. პარტიისაგან ოპოზიციის ახლანდელი ლიდერების იზოლაციის ფაქტი მცირემნიშვნელოვანი ფაქტი როდია. მას, მით უფრო, არ შეიძლება შემთხვევითობა ეწოდოს. პარტიისაგან ოპოზიციის ახლანდელი ლიდერების ჩამოშორების ფაქტს თავისი ღრმა მიზეზები აქვს. აშკარაა, ზინოვიევმა, ტროცკიმ, კამენევმა რაღაცაზე მოიტეხეს კისერი, რაღაცაში სერიოზულად შესცოდეს; — თორემ პარტია ზურგს არ შეაქცევდა მათ, როგორც გარიყულთ. და აი კითხვა: რაზე მოიტეხეს კისერი ახლანდელი ოპოზიციის ლიდერებმა, რით დაიმსახურეს ის, რომ «ასეთ ყოფამდე მივიდნენ»?

პირველი ძირითადი საკითხი, რაზედაც მათ კისერი მოიტეხეს, არის ლენინიზმის საკითხი, ჩვენი პარტიის ლენინური იდეოლოგიის საკითხი. მათ კისერი მოიტეხეს იმაზე, **რომ** შეეცადნენ და კვლავ ცდილობენ **შეავსონ** ლენინიზმი ტროცკიზმით, **შეცვალონ**, არსებითად, ლენინიზმი ტროცკიზმით. მაგრამ ეს, ამხანაგებო, ოპოზიციის ლიდერების უმძიმესი დანაშაულია, რომელსაც მათ ვერ აპატიებდა და ვერც აპატიებს პარტია. ცხადია, პარტია ვერ გაჰყვებოდა მათ ლენინიზმიდან ტროცკიზმისაკენ მობრუნების ამ ცდაში, და ოპოზიციის ლიდერები, ამის გამო, პარტიისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ.

რა არის ტროცკისტების ახლანდელი ბლოკი ოპოზიციაში მოკალათებულ ყოფილ ლენინელებთან? მათი ახლანდელი ბლოკი არის მატერიალური გამოხატულება იმ ცდისა, რომ ლენინიზმი ტროცკიზმით შეავსონ. სიტყვა «ტროცკიზმი» ჩემი გამოგონილი არ არის. იგი პირველად იხმარა ამხ. ლენინმა, როგორც ლენინიზმის საპირდაპირო რამ.

რა წარმოადგენს ტროცკიზმის ძირითად ცოდვას? ტროცკიზმის ძირითად ცოდვას წარმოადგენს ის, რომ მას არა სწამს სსრ კავშირის პროლეტარიატის ძალღონე და უნარი — გაიყოლიოს გლეხობა, გლეხობის ძირითადი მასები, როგორც პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ისე, განსაკუთრებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ტროცკიზმის ძირითად ცოდვას წარმოადგენს ის, რომ მას არ ესმის და, არსებითად, არ სურს იცნოს ლენინური იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა (გლეხობის მიმართ) პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და განმტკიცების საქმეში, ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

იცოდნენ თუ არა ტროცკიზმის ეს ორგანული ნაკლოვანებანი ყოფილმა ლენინელებმა — ზინოვიევმა და კამენევმა? დიახ, იცოდნენ. ისინი ჯერ კიდევ გუშინ გაჰყვიროდნენ ყოველ გზაჯვარედინზე, რომ ერთია ლენინიზმი და სულ სხვაა ტროცკიზმი. ისინი ჯერ კიდევ გუშინ გაჰყვიროდნენ, რომ არ შეიძლება ტროცკიზმის შეთავსება ლენინიზმთან. მაგრამ როგორც კი ისინი პარტიასთან კონფლიქტში აღმოჩნდნენ და უმცირესობაში დარჩნენ, მათ მყისვე დაივიწყეს ყოველივე ეს და შებრუნდნენ ტროცკიზმისაკენ, რათა ერთობლივად ებრძოლნათ ლენინური პარტიის წინააღმდეგ, მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ, ლენინიზმის წინააღმდეგ.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ ჩვენი დავა XIV ყრილობაზე. რაზე ვედავებოდით ჩვენ მაშინ ეგრეთწოდებულ «ახალ ოპოზიციას»? საშუალო გლეხის როლსა და მნიშვნელობაზე, გლეხობის ძირითადი მასების როლსა და მნიშვნელობაზე, იმაზე, შეუძლია თუ არა პროლეტარიატს გაიყოლიოს გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობისა.

სხვანაირად რომ ითქვას: ჩვენ მათ ვედავებოდით იმაზე-ვე, რაზედაც დიდი ხანია ედავება ჩვენი პარტია ტროცკიზმს. მოგეხსენებათ, რომ XIV ყრილობაზე წარმოებული დავის შედეგი სავალალო აღმოჩნდა «ახალი ოპოზიციისათვის». მოგეხსენებათ, რომ ამ დავის შედეგად «ახალი ოპოზიცია» ტროცკიზმის ბანაკში გადაბარგდა ძირითადი საკითხის გამო — პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური იდეის საკითხის გამო. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ტროცკისტების ეგრეთწოდებული ოპოზიციური ბლოკი ოპოზიციაში მოკალათებულ ყოფილ ლენინელებთან.

იცოდა თუ არა «ახალმა ოპოზიციამ», რომ კომინტერნის V კონგრესმა განსაზღვრა ტროცკიზმი როგორც **წვრილბურჟუაზიული გადახრა** [38]? რა თქმა უნდა, იცოდა. უფრო მეტი, იგი თვითონ ატარებდა სათანადო რეზოლუციას კომინტერნის V კონგრესზე. იცოდა თუ არა «ახალმა ოპოზიციამ», რომ ლენინიზმი და წვრილბურჟუაზიული გადახრა შეუთავსებელია? რა თქმა უნდა, იცოდა. უფრო მეტი, იგი ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვიროდა ამას მთელი პარტიის თვალწინ.

ახლა თვითონ განსაჯეთ: შეეძლო თუ არა პარტიას ზურგი არ შეექცია ასეთი ლიდერებისათვის, რომლებიც დღეს წვავენ იმას, რასაც გუშინ ეთაყვანებოდნენ, რომლებიც დღეს უარყოფენ იმას, რისკენაც გუშინ ხმამაღლა მოუწოდებდნენ პარტიას, რომლებიც ცდილობენ შეავსონ ლენინიზმი ტროცკიზმით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გუშინ ასეთ ცდას ისინი ლენინიზმისადმი ღალატს უწოდებდნენ? ცხადია, პარტიას ზურგი უნდა შეექცია ასეთი ლიდერებისათვის.

შეპყრობილი მისწრაფებით — ყველაფერი ყირამალა გადაებრუნებინა, ოპოზიცია იქამდეც კი მივიდა, რომ უარყოფს ფაქტს, რომ ტროცკი მენშევიკებს ეკუთვნოდა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. ნუ გაგიკვირდებათ, ამხანაგებო, — ოპოზიცია პირდაპირ ამბობს, რომ 1904 წლი-

დან ტროცკი არასოდეს არ ყოფილა მენშევიკი. ასეა კი ნამდვილად? მივმართოთ ლენინს.

აი რას ამბობდა ლენინი 1914 წელს, ოქტომბრის რევოლუციამდე სამნახევარი წლით ადრე, ტროცკის შესახებ:

«რუსეთის მარქსისტული მოძრაობის ძველი მონაწილენი კარგად იცნობენ ტროცკის ფიგურას, და მათთვის არ ღირს ლაპარაკი მის შესახებ. მაგრამ ახალგაზრდა მუშათა თაობა მას არ იცნობს, და გვიხდება ლაპარაკი, ვინაიდან ეს ტიპიური ფიგურაა ყველა იმ ხუთი საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფისათვის, რომელნიც ფაქტიურად აგრეთვე მერყეობენ ლიკვიდატორებსა და პარტიას შორის.

ძველი «ისკრის» დროს (1901 — 1903) ამ მერყევთა და «ეკონომისტებიდან» «ისკრელებისაკენ» და უკან გადამრბენთათვის შემოღებული იყო მეტსახელი: «ტუშინოელი ფრენია» (ასე უწოდებდნენ შფოთიან დროს რუსეთში მეომრებს, რომლებიც ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბოდნენ)....

«ტუშინოელი ფრენიები» ფრაქციებზე მაღლა მდგომად აცხადებენ თავს იმ ერთადერთი საბუთით, რომ ისინი დღეს ერთის, ხვალ მეორე ფრაქციის იდეებს «სესხულობენ». ტროცკი თავგამოდებული «ისკრელი» იყო 1901 — 3 წლებში, და რიაზანოვმა მის როლს 1903 წ. ყრილობაზე «ლენინის კეტის» როლი უწოდა. **1903 წლის დამლევს ტროცკი თავგამოდებული მენშევიკია** *, ე. ი. ისკრელებისაგან «ეკონომისტების» მხარეზე გადარბენილი; ის აცხადებს, რომ «ძველ და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევს». 1904 — 5 წელს იგი ჩამოშორდება მენშევიკებს და მერყევ მდგომარეობას იკავებს, ხან თანამშრომლობს მარტინოვთან («ეკონომისტთან»), ხან აცხადებს უაზრომემარცხენე «პერმანენტულ რევოლუციას». 1906 — 7 წელს ის უახლოვდება ბოლშევიკებს და 1907 წლის გაზაფხულზე აცხადებს, რომ სოლიდარულია როზა ლუქსემბურგთან.

დაშლის ეპოქაში, ხანგრძლივ «არაფრაქციულ» მერყეობათა შემდეგ, ის კვლავ **მარჯვნივ მიდის და 1912 წლის აგვისტოში ბლოკს ჰკრავს ლიკვიდატორებთან. ახლა ისევ შორდება მათ, მაგრამ არსებითად იმეორებს მათსავე უბადრუკ იდეებს** *.

ასეთი ტიპები დამახასიათებელია, როგორც ნამსხვრევი გუშინდელ ისტორიულ წარმონაქმნთა და ფორმაციათა, როცა მუშათა მასობრივ მოძრაობას რუსეთში ჯერ კიდევ ეძინა და ყოველ პაწაწა ჯგუფს «გასა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ქანი» ჰქონდა გაესაღებინა თავი მიმდინარეობად, ჯგუფად, ფრაქციად, — ერთი სიტყვით, «სახელმწიფოდ», რომელიც ლაპარაკობს სხვებთან გაერთიანებაზე.

საჭიროა, რომ ახალგაზრდა მუშათა თაობამ კარგად იცოდეს, თუ ვისთან აქვს საქმე, როცა წარმოუდგენელი პრეტენზიებით გამოდიან ადამიანები, რომელთაც სრულიად არა სურთ **არც** იმ პარტიულ გადაწყვეტილებებს გაუწიონ ანგარიში, რომლებმაც 1908 წლიდან განსაზღვრეს და დააწესეს დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი, **არც** რუსეთის თანამედროვე მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, რომელმაც ნამდვილად შექმნა უმრავლესობის **ერთიანობა** აღნიშნულ გადაწყვეტილებათა სრული აღიარების ნიადაგზე» (იხ. ტ. XVII, გვ. 393 — 394).

ამრიგად, გამოდის, რომ ტროცკი 1903 წლის შემდეგ სულ მუდამ იმყოფებოდა ბოლშევიკური ბანაკის გარეთ, ხან გადაირბენდა მენშევიკების ბანაკში, ხან ჩამოშორდებოდა მათ, მაგრამ არასოდეს არ ემხრობოდა ბოლშევიკებს, ხოლო 1912 წლიდან მოაწყო ბლოკი მენშევიკ ლიკვიდატორებთან ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ და რჩებოდა ერთ ბანაკში მენშევიკებთან.

რაღაა აქ გასაკვირალი, თუ ასეთი «ფიგურა» ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ნდობას ვერ იმსახურებს?

რაღაა აქ გასაკვირალი იმაში, რომ ოპოზიციური ბლოკი, რომელსაც სწორედ ეს «ფიგურა» მეთაურობს, პარტიისაგან გარიყული და უკუგდებული აღმოჩნდა?

მეორე ძირითადი საკითხი, რაზედაც კისერი მოიტეხეს ოპოზიციის ლიდერებმა, არის საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა იმპერიალიზმის პერიოდში. ოპოზიციის შეცდომა ის არის, რომ იგი შეეცადა შეუმჩნევლად მოესპო ლენინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

არავისთვის არ შეადგენს ახლა საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წელს, ოქტომბრის რევოლუციამდე ორი წლით ადრე, იმპერიალიზმის პირობებში

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონის საფუძველზე, გამოაცხადა თეზისი, რომ «სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» **(ლენინი,** ტ. XVIII, გვ. 232).

არავისთვის არ შეადგენს ახლა საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ სწორედ ტროცკი, და არა სხვა ვინმე, იმავე 1915 წელს გამოვიდა პრესაში ლენინის ამ თეზისის **წინააღმდეგ** და განაცხადა, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის აღიარება «ნიშნავს გახდე მსხვერპლი სწორედ იმ **ნაციონალური შეზღუდულობისა** *, რომელიც სოციალ-პატრიოტიზმის არსს შეადგენს» (ტროცკი, «1917», ტ. III, ნაწ. 1, გვ. 89 — 90).

საიდუმლოებას არ შეადგენს აგრეთვე ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ შემდეგ ეს პოლემიკა ლენინსა და ტროცკის შორის არსებითად არ შეწყვეტილა თვით იმ დრომდე, როცა 1923 წელს გამოვიდა ლენინის უკანასკნელი ბროშურა «კოოპერაციის შესახებ» [34], სადაც მან კიდევ და კიდევ ერთხელ გამოაცხადა ჩვენს ქვეყანაში «სრული სოციალისტური საზოგადოების» აშენების შესაძლებლობა.

რა ცვლილებები მოხდა ჩვენი პარტიის ისტორიაში ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით? 1925 წელს ჩვენი პარტიის XIV კონფერენციაზე კამენევმა და ზინოვიევმა, მთელ რიგ მერყეობათა შემდეგ, სცნეს ლენინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და პარტიასთან ერთად გაემიჯნენ ტროცკიზმს ამ საკითხში. ხოლო ამის მერე რამდენიმე თვის შემდეგ, XIV ყრილობის წინ, როცა ისინი უმცირესობაში დარჩნენ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

და იძულებული აღმოჩნდნენ ბლოკი შეეკრათ ტროცკისთან, — «უცებ» ტროცკიზმისაკენ შებრუნდნენ, უკუაგდეს ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის რეზოლუცია და დაშორდნენ ლენინის მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ამის შედეგად, ტროცკის ნახევრად-მენშევიკური ლაყბობა ლენინის თეორიის ნაციონალური შეზღუდულობის შესახებ ის საბურველი ხდება ოპოზიციის ხელში, რომლითაც იგი ცდილობს დაფაროს თავისი მუშაობა ლენინიზმის ლიკვიდაციისათვის სოციალისტური მშენებლობის საკითხში.

კითხვა ისმება: რა არის აქ გასაკვირალი, თუ პარტიამ, ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდილმა და გამოწრთობილმა, აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია ზურგი შეექცია ყოველივე ამის შემდეგ ასეთი ლიკვიდატორებისათვის, ხოლო ოპოზიციის ლიდერები პარტიისაგან გარიყულნი აღმოჩნდნენ?

მესამე ძირითადი საკითხი, რაზედაც კისერი მოიტეხეს ოპოზიციის ლიდერებმა, არის ჩვენი პარტიის საკითხი, მისი მონოლითურობის საკითხი, მისი რკინისებური დისციპლინის საკითხი.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის პარტია უნდა იყოს ერთიანი და მონოლითური, უფრაქციებოდ, ფრაქციულ ცენტრებს მოკლებული, ერთიანი პარტიული ცენტრის, ერთიანი ნებისყოფის მქონე. ლენინიზმი გვასწავლის, რომ პროლეტარული პარტიის ინტერესები მოითხოვენ პარტიული პოლიტიკის საკითხების შეგნებულად განხილვას, პარტიული მასების შეგნებულ დამოკიდებულებას პარტიის ხელმძღვანელობისადმი, პარტიის ნაკლოვანებათა კრიტიკას, მისი შეცდომების კრიტიკას. მაგრამ ლენინიზმი ამასთან ერთად მოითხოვს, რათა პარტიის გადაწყვეტილებებს სიტყვაშეუბრუნებლად ატარებდეს პარტიის ყველა წევრი, რაკი ეს გადაწყვეტილებანი მიღებული

და მოწონებულია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

სხვანაირად უყურებს საქმეს ტროცკიზმი. ტროცკიზმისათვის პარტია არის ცალკეული ფრაქციული ცენტრების მჭონე ფრაქციულ ჯგუფთა ფედერაციის მსგავსი რამ. ტროცკიზმისათვის აუტანელია პარტიის პროლეტარული დისციპლინა. ტროცკიზმი ვერ ითმენს პროლეტარულ რეჟიმს პარტიაში. ტროცკიზმს არ ესმის, რომ თუ პარტიას რკინისებური დისციპლინა არა აქვს, ისე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის გატარება.

იცოდნენ თუ არა ტროცკიზმის ეს ორგანული დეფექტები ოპოზიციაში მოკალათებულმა ყოფილმა ლენინელებმა? რა თქმა უნდა, იცოდნენ. უფრო მეტი, ისინი ყოველი ბანიდან გაჰყვიროდნენ, რომ ტროცკიზმის «ორგანიზაციული სქემა» შეუთავსებელია ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებთან. ის ფაქტი, რომ ოპოზიციამ თავის 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადებაში უარყო თავისი გაგება პარტიისა, როგორც ჯგუფების ფედერაციისა,—ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ოპოზიცია ორივე ფეხით კოჭლობდა და კვლავ კოჭლობს ამ დარგში. მაგრამ ეს უარყოფა სიტყვიერი იყო, არაგულწრფელი. ნამდვილად კი ტროცკისტებს არასოდეს არ აუღიათ ხელი თავიანთ ცდებზე — თავს მოახვიონ ჩვენს პარტიას ტროცკისტული ორგანიზაციული ხაზი, ხოლო ზინოვიევი და კამენევი ეხმარებიან მათ ამ საძრახის საქმეში. საკმარისი იყო, რომ ზინოვიევი და კამენევი უმცირესობაში დარჩენილიყვნენ თავიანთ ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ, რათა შებრუნებულიყვნენ ტროცკისტული, ნახევრად-მენშევიკური ორგანიზაციული გეგმისაკენ და ტროცკისტებთან ერთად გამოეცხადებინათ ბრძოლა პროლეტარულ რეჟიმთან პარტიაში, როგორც სადღეისო ლოზუნგი.

რაღაა აქ გასაკვირალი, თუ ჩვენმა პარტიამ შესაძლებლად არ მიიჩნია დაესამარებინა ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპები და შორს უკუაგდო ოპოზიციის ახლანდელი ლიდერები.

აი, ამხანაგებო, სამი ძირითადი საკითხი, რომლებზედაც კისერი მოიტეხეს ოპოზიციის ახლანდელმა ლიდერებმა, კავშირი რომ გაწყვიტეს ლენინიზმთან.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ გვიკვირდეს, რომ ლენინურმა პარტიამ თავის მხრივ კავშირი გაწყვიტა ამ ლიდერებთან?

მაგრამ ოპოზიციის დაცემა, სამწუხაროდ, ამაზე არ შეჩერებულა. ოპოზიცია უფრო მეტად დაეცა, რამაც იგი იმ მიჯნამდე მიიყვანა, რომლის იქით წასვლა შეუძლებელია, თუ არ გინდა, რომ პარტიის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდე.

თვითონ განსაჯეთ.

დღემდე ძნელი იყო წარმოგვედგინა, რომ ოპოზიცია, რაც უნდა დაცემულიყო იგი, მერყეობას გამოიჩენდა ჩვენი ქვეყნის უთუო თავდაცვის საკითხში. ახლა კი იძულებული ვართ არა თუ წარმოვიდგინოთ, არამედ ვამტკიცოთ კიდეც, რომ ოპოზიციის ახლანდელი ლიდერების პოზიცია დამარცხებითია. მაშ სხვანაირად როგორ გავიგოთ ტროცკის სულელური და შეუსაბამო თეზისი კლემანსისტური ექსპერიმენტის შესახებ სსრ კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის შემთხვევაში? განა შეიძლება დავეჭვდეთ, რომ ეს ოპოზიციის შემდგომი დაცემის ნიშანია?

დღემდე ძნელი იყო წარმოგვედგინა, რომ ოპოზიცია ჩვენს პარტიას როდისმე წაუყენებდა სულელურ და შეუსაბამო ბრალდებას თერმიდორულობაში. 1925 წელს, როცა ზალუცკი პირველად ალაპარაკდა თერმიდორულ ტენდენციებზე ჩვენს პარტიაში, ოპოზიციის ახლანდელი ლიდერები გადაჭრით გაემიჯნენ მას. ახლა კი ოპოზიცია ისე დაეცა, რომ იგი ზალუცკიზე უფრო შორს მიდის და

პარტიას ბრალსა სდებს თერმიდორულობაში. ოღონდ არ მესმის, როგორ შეუძლიათ ჩვენს პარტიაში რჩებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პარტია თერმიდორული გახდა.

დღემდე ოპოზიცია ცდილობდა «მხოლოდ» შეექმნა ცალკეული ფრაქციული დაჯგუფებანი კომინტერნის სექციებში. ახლა კი იგი იქამდე მივიდა, რომ ყველას თვალწინ შექმნა ახალი პარტია გერმანიაში, კონტრრევოლუციური გაიძვერების მასლოვისა და რუთ ფიშერის პარტია, იქ არსებული გერმანული კომუნისტური პარტიის საპირდაპიროდ. მაგრამ ეს არის კომინტერნის პირდაპირი გათიშვის პოზიცია. კომინტერნის სექციებში შექმნილ ფრაქციულ დაჯგუფებათაგან კომინტერნის გათიშვისაკენ, — ასეთია ოპოზიციის ლიდერების დაცემის გზა.

დამახასიათებელია, რომ ზინოვიევს თავის სიტყვაში არ უარუყვია გერმანიაში გათიშვის არსებობის ფაქტი. ხოლო იგი, სწორედ ეს ანტიკომუნისტური პარტია, ჩვენი ოპოზიციის მიერ რომ არის შექმნილი, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენი ოპოზიციის ლიდერების ანტიპარტიულ სტატიებსა და სიტყვებს ცალკეული ბროშურების სახით ბეჭდავენ და ავრცელებენ მასლოვი და რუთ ფიშერი. (ხ მ ა: «სირცხვილი!»).

ხოლო რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ოპოზიციურმა ბლოკმა ჩვენს პრესაში გამოუშვა ვუიოვიჩი გერმანიის ამ მეორე, მასლოვ — რუთ ფიშერის პარტიის პოლიტიკური დაცვისათვის? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ოპოზიცია **აშკარად** უჭერს მხარს მასლოვსა და რუთ ფიშერს, მხარს უჭერს კომინტერნის **წინააღმდეგ,** მისი პროლეტარული სექციების წინააღმდეგ. მაგრამ ეს უკვე უბრალო ფრაქციულობა როდია, ამხანაგებო. ეს არის კომინტერნის **აშკარა გათიშვის** პოლიტიკა. (ხ მ ე ბ ი: «მართალია!»).

წინათ ოპოზიცია ცდილობდა მოეპოვებინა ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლება ჩვენს პარტიაში. ახლა ეს, თურმე, ცოტაა მისთვის. ახლა იგი **პირდაპირი გათიშვის** გზას ადგება და ქმნის ახალ პარტიას სსრ კავშირში თავისი ცენტრალური კომიტეტით, თავისი ადგილობრივი ორგანიზაციებით. ფრაქციულობის პოლიტიკიდან პირდაპირი გათიშვის პოლიტიკისაკენ, ახალი პარტიის შექმნის პოლიტიკისაკენ, «ოსოვსკელობის [35]» პოლიტიკისაკენ, — აი სადამდე დაეცნენ ჩვენი ოპოზიციის ლიდერები.

ასეთია პარტიისა და კომინტერნისაგან ჩამოშორების გზაზე, კომინტერნსა და საკავშირო კომპარტიაში (ბ) გათიშვის პოლიტიკის გზაზე ოპოზიციის შემდგომი დაცემის ძირითადი ნიშანსვეტები.

შეიძლება თუ არა შემდგომ მოვითმინოთ ასეთი მდგომარეობა? ცხადია, არ შეიძლება. არ შეიძლება დავუშვათ გათიშვის პოლიტიკა არც კომინტერნში, არც საკავშირო კომპარტიაში (ბ). ეს ბოროტება დაუყოვნებლივ უნდა აღმოვფხვრათ, თუ ჩვენ ვუფრთხილდებით პარტიისა და კომინტერნის ინტერესებს, მათი ერთიანობის ინტერესებს.

ასეთია გარემოებანი, რომლებმაც აიძულეს ცენტრალური კომიტეტი დაესვა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის საკითხი.

სად არის გამოსავალი? — შეგვეკითხებით თქვენ.

ოპოზიციამ ჩიხში მოიმწყვდია თავი. ამოცანა ის არის, რომ **უკანასკნელად** ვცადოთ და დავეხმაროთ ოპოზიციას თავი დააღწიოს ამ ჩიხს. ის, რაც აქ ცენტრალური საკონტროლო კომისიის სახელით წამოაყენა ამხ. ორჯონიკიძემ, არის დათმობათა ის წესი და ის მაქსიმუმი, რაზედაც შეეძლო პარტიას წასვლა, რათა გაეადვილებინა მშვიდობის საქმე პარტიაში.

ჯერ-ერთი, ოპოზიციამ გადაჭრით და საბოლოოდ უარი უნდა თქვას «თერმიდორულ» ლაყბობაზე და შეუსაბამო ლოზუნგზე კლემანსისტური ექსპერიმენტის შესახებ. ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ ასეთი შეხედულებებითა და ასეთი ტენდენციებით არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის დაცვა მოახლოებული ომის საშიშროების წინაშე. ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ ასეთი შეხედულებებითა და ასეთი ტენდენციებით არ შეიძლება კვლავაც იჯდე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. (ხმები: «მართალია!»).

მეორეც, ოპოზიციამ აშკარად და პირდაპირ უნდა დაგმოს მასლოვ — რუთ ფიშერის გამთიშველი ანტილენინური ჯგუფი გერმანიაში და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს მასთან. არ შეიძლება კვლავაც მოვითმინოთ კომინტერნში გათიშვის პოლიტიკის მხარდაჭერა. (ხმები: «მართალია!»).

არ შეიძლება სსრ კავშირის დაცვა, თუ მხარს უჭერ გათიშვას კომინტერნში და ახდენ კომინტერნის სექციების დეზორგანიზაციას.

მესამეც, ოპოზიციამ გადაჭრით და საბოლოოდ უნდა უარყოს ყოველგვარი ფრაქციულობა და ყველა ის გზა, რომლებიც იწვევენ ახალი პარტიის შექმნას საკავშირო კომპარტიაში (ბ). გათიშვის პოლიტიკა არ უნდა იქნას დაშვებული ჩვენს პარტიაში არც ორი თვით ადრე, არც ორი საათით ადრე ჩვენი პარტიის ყრილობამდე. (ხმები: «მართალია!»).

აი, ამხანაგებო, სამი ძირითადი პირობა, რომელთა მიუღებლად ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ ტროცკისა და ზინოვიევის შემდგომი ყოფნა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

იტყვიან, ეს რეპრესია არისო. დიახ, ეს რეპრესიაა. ჩვენი პარტიის არსენალში რეპრესია არასოდეს არ ითვლებოდა გამორიცხულად. ჩვენ აქ ვმოქმედებთ ჩვენი პარტიის

X ყრილობის ცნობილი რეზოლუციის საფუძველზე, იმ რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც დაწერა და X ყრილობაზე გაატარა ამხ. ლენინმა [36]. აი ამ რეზოლუციის 6 და 7 პუნქტები:

პუნქტი მე-6: «ყრილობა მოითხოვს დაუყოვნებლივ დაშლილ იქნას **ამა** თუ იმ პლატფორმის ნიადაგზე წარმოშობილი ყველა ჯგუფი უკლებლივ და ავალებს ყველა ორგანიზაციას უსასტიკესად ადევნონ თვალ**ყური იმას**, რომ არ იქნას დაშვებული რაიმე ფრაქციული გამოსვლები. ყრილობის ამ დადგენილების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს უთუო **და** დაუყოვნებლივი გარიცხვა პარტიიდან».

პუნქტი მე-7: «რათა განხორციელდეს მკაცრი დისციპლინა პარტიის შიგნით და მთელ საბჭოთა მუშაობაში და მიღწეულ იქნას რაც შეიძლება მეტი ერთიანობა ყოველგვარი ფრაქციულობის თავიდან აცილებით, ყრილობა აძლევს ცენტრალურ კომიტეტს რწმუნებას — დისციპლინის დარღვევის ან ფრაქციულობის განახლების თუ დაშვე**ბის შემთხვევაში** (— ვებში) გამოიყენოს პარტიული სასჯელის ყველა ღონისძიება, თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ — მათი გადაყვანა კანდიდატებად და, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პარტიიდან გარიცხვაც კი. ასეთი უკიდურესი ღონისძიების გამოყენების (ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებისა და საკონტროლო კომისიის წევრების მიმართ) პირობა უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა ცენტრალური კომიტეტის წევრობის ყველა კანდიდატისა და საკონტროლო კომისიის ყველა წევრის მიწვევით. თუ პარტიის ყველაზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ასეთი საერთო კრება ორი მესამედი ხმებით აუცილებლად ცნობს ცენტრალური კომიტეტის წევრის გადაყვანას კანდიდატად ან პარტიიდან გარიცხვას, ასეთი ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს».

ხმები. ეს ახლავე უნდა განხორციელდეს.

სტალინი. მოიცადეთ, ამხანაგებო, ნუ ჩქარობთ. ეს დაწერა და გვიანდერძა ლენინმა, ვინაიდან მან იცოდა, თუ რა არის პარტიის რკინისებური დისციპლინა, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა. ვინაიდან მან იცოდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ტარდება პარტიის მეშვეო-

ბით, რომ თუ არ არის პარტია, ერთიანი და მონოლითური, ისე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია.

ასეთია ის პირობები, რომელთა მიუღებლად შეუძლებელია ტროცკისა და ზინოვიევის შემდგომი ყოფნა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მიიღებს ამ პირობებს ოპოზიცია — ხომ კარგი. არ მიიღებს და — მით უარესი მისთვის. (ტ ა შ ი).

ოპოზიციის 1927 წ. 8 აგვისტოს «განცხადების» გამო

9 აგვისტოს სიტყვა

ამხანაგებო! ის, რასაც ოპოზიცია გვთავაზობს, არ შეიძლება ჩაითვალოს ზავად პარტიაში. არ უნდა მივეცეთ ილუზიებს. ის, რასაც ოპოზიცია გვთავაზობს, ეს არის დროებითი დაზავება. (ხმა: «დროებითიც კი არ არის!»). ეს არის დროებითი დაზავება, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს ერთგვარი ნაბიჯი წინ, მაგრამ შეიძლება არც იყოს. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ. იმ შემთხვევაშიც, თუ ოპოზიცია შემდგომ დათმობებზე წავა, და იმ შემთხვევაშიც, თუ ოპოზიცია არ წავა შემდგომ დათმობებზე, ეს უნდა გვახსოვდეს.

პარტიისათვის წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ ოპოზიციამ ჩვენს მიერ დასმულ სამივე საკითხში რამდენადმე უკან დაიხია. რამდენადმე. მაგრამ უკან დაიხია ისეთი შენიშვნებით, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ნიადაგი მომავალი კიდევ უფრო მწვავე ბრძოლისათვის. (ხმები: «სწორია!». «სწორია, აი ეს მართალია!»).

სსრ კავშირის თავდაცვის საკითხი ჩვენთვის ძირითადი საკითხია ომის შექმნილი საშიშროების გამო. ოპოზიცია თავის განცხადებაში დადებითი ფორმით ამბობს, რომ იგი სსრ კავშირის აუცილებელი და უთუო დაცვის მომხრეა, მაგრამ უარს აცხადებს დაგმოს ტროცკის ცნობილი ფორ-

მულა, ცნობილი ლოზუნგი კლემანსოს შესახებ. ტროცკის უნდა შესწევდეს მამაცობა — აღიაროს ის, რაც არის.

ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მთელი პლენუმი ერთსულოვანია იმაში, რომ კაცი, რომელიც სულითა და გულით, საქმით და არა მარტო სიტყვით, მომხრეა ჩვენი ქვეყნის უთუო დაცვისა, არ დაწერს იმას, რაც დაწერა ტროცკიმ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ამხ. ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ წერილში.

ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მთელი პლენუმი დარწმუნებულია იმაში, რომ ამ ლოზუნგს, ამ ფორმულას კლემანსოს შესახებ, მოცემულს ტროცკის მიერ, შეუძლია წარმოშვას მხოლოდ ეჭვი ტროცკის გულწრფელობაში სსრ კავშირის თავდაცვის შესახებ. უფრო მეტი, — იგი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ტროცკი უარყოფითად ეკიდება ჩვენი ქვეყნის უთუო თავდაცვის საკითხებს. (ხ მ ე ბ ი: «სწორია, სავსებით სწორია!»).

ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მთელი პლენუმი უაღრესად დარწმუნებულია, რომ ტროცკი, იძლეოდა რა ამ ლოზუნგს, ამ ფორმულას კლემანსოს შესახებ, სსრ კავშირის თავდაცვას განაპირობებდა გარკვეული პუნქტით ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. მხოლოდ ბრმები ვერ მიხვდებიან ამას. თუ ტროცკის არ ჰყოფნის მამაცობა, ელემენტარული მამაცობა — აღიაროს თავისი შეცდომა, ამაში თვითონ იქნება დამნაშავე.

თუ ოპოზიცია თავის დოკუმენტში არ გმობს ტროცკის ამ შეცდომას, ცხადია, მას სურს მარაგად შეინარჩუნოს იარაღი, რათა მომავალშიც თავს დაესხას პარტიას ქვეყნის თავდაცვის ხაზით, იმ ხაზით, რომელსაც პარტია ატარებს.

ცხადია, ის ინარჩუნებს იარაღის ერთგვარ მარაგს იმისათვის, რომ იგი მოიხმაროს.

აი რატომ არის, რომ ამ ძირითად პუნქტში ოპოზიცია თანხმდება არა ზავს, არამედ დროებით დაზავებას ისეთი შენიშვნით, რომელსაც შეუძლია მომავალში კიდევ უფრო გაამწვავოს ბრძოლა. (ხ მ ა: «ჩვენ არ გვინდა დაზავება, ჩვენ გვჭირდება ზავი»).

არა, ამხანაგებო, ჩვენ დაზავება გვჭირდება, აქ თქვენ სცდებით. თუ კი მაგალითს ავიღებთ, სჯობია ავიღოთ მაგალითი გოგოლის ოსიპისაგან, რომელიც ამბობდა: «ბაწარი? — მოიტათ, ბაწარიც გამოგვადგება». სჯობია მოვიქცეთ ისე, როგორც გოგოლის ოსიპი იქცეოდა. ჩვენ არც ისე მდიდარნი ვართ რესურსებით და არც ისე ძლიერნი, რომ ბაწარი არად მივიჩნიოთ. ჩვენ ბაწარიც კი არ უნდა დავიწუნოთ. კარგად ჩაუფიქრდით და მიხვდებით, რომ ჩვენს არსენალში ბაწარიც უნდა გვქონდეს.

მეორე საკითხში, თერმიდორის საკითხში, უეჭველია, რომ ოპოზიციამ უკან დაიხია, რამდენადმე უკან დაიხია ამ მხრივ, იმასთან შედარებით, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ასეთი უკანდახევის შემდეგ აღარ შეიძლება იყოს (თუ, რა თქმა უნდა, ლოგიკურად მოიქცევი) ის სულელური აგიტაცია პარტიის «თერმიდორული გადაგვარების» შესახებ, რასაც აწარმოებდა ოპოზიციის ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით კი მისი ზოგიერთი ნახევრად-მენშევიკი წევრი.

მაგრამ ამ დათმობას ოპოზიცია თან ურთავს ისეთ შენიშვნას, რომელსაც შეუძლია მოსპოს მომავალში ყოველგვარი დაზავებისა და ყოველგვარი ზავის შესაძლებლობა. ისინი ამბობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთ ელემენტს აქვს რესტავრაციის ტენდენცია, თერმიდორის ტენდენცია. მაგრამ ამას არავინ არასოდეს არ უარყოფდა. რაკი არიან ანტაგონისტური კლასები, რაკი კლასები მოსპობილი არ

არიან, რა თქმა უნდა, ძველი წესწყობილების რესტავრირების ცდები ყოველთვის იქნება. მაგრამ ამის გამო კი არ იყო ჩვენში დავა. დავა წარმოებს იმაზე, რომ ოპოზიცია თავის დოკუმენტებში ილაშქრებს ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, მაშასადამე, პარტიის წინააღმდეგაც, თერმიდორულობის გამო. არ შეიძლება გამოვაცალკევოთ ცენტრალური კომიტეტი პარტიისაგან. არ შეიძლება. ეს სისულელეა. მხოლოდ ანტიპარტიულ ადამიანებს, რომლებსაც ვერ გაუგიათ ლენინის ორგანიზაციული მშენებლობის ძირითადი ელემენტარული წანამძღვრები, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ შეიძლება გამოვაცალკევო ცენტრალური კომიტეტი, ისიც ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, პარტიისაგან.

მაგრამ ოპოზიცია თავის დათმობებს თან ურთავს შენიშვნებს, რომლებზეც მე ვილაპარაკე. ასეთი შენიშვნები კი ოპოზიციას ხელთ აძლევენ ერთგვარ სამარაგო იარაღს, რომელსაც იგი ხელსაყრელ შემთხვევაში გამოიყენებს ახალი თავდასხმებისათვის პარტიაზე.

რა თქმა უნდა, სასაცილოა ლაპარაკი ცენტრალური კომიტეტის თერმიდორულობაზე. მეტსაც ვიტყვი: ეს სისულელეა. ვფიქრობ, რომ ეს სისულელე თვითონ ოპოზიციასაც არა სჯერა. მაგრამ ეს სჭირდება მას, როგორც საფრთხობელა. ვინაიდან, ოპოზიციას რომ ეს სჯეროდეს, მას, რა თქმა უნდა, პირდაპირი ომი უნდა გამოეცხადებინა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ცენტრალური კომიტეტისათვის, ამავე დროს კი ოპოზიცია ირწმუნება, რომ სურს ზავი პარტიაში.

მაშ ასე, მეორე პუნქტის გამოც ოპოზიციას ხელთ აქვს სამარაგო იარაღი იმისათვის, რომ შემდეგ ახალი თავდასხმა მოახდინოს ცენტრალურ კომიტეტზე. ესეც უნდა დავიხსომოთ, ამხანაგებო, ყოველგვარ პირობებში. გამოვიყვანთ ჩვენ ოპოზიციის ლიდერებს ცენტრალური კომიტეტიდან, თუ არ გამოვიყვანთ, სულ ერთია, ეს სამარაგო იარაღი ძი-

რითად საკითხში — თერმიდორის საკითხში — მათ ხელთ რჩებათ, და პარტიამ ახლავე უნდა მიიღოს ყოველი ზომა იმისათვის, რომ ლიკვიდაცია უყოს ოპოზიციას, თუ იგი კვლავ მოჰკიდებს ხელს ამ ანტიპარტიულ იარაღს.

მესამე საკითხი — გერმანიის კომპარტიის გათიშვის შესახებ, რუთ ფიშერისა და მასლოვის ანტილენინური და გამთიშველი ჯგუფის შესახებ.

უცნაური საუბარი გვქონდა ჩვენ გუშინ კომისიაში. დიდი, — დიდი, — გაჭირვებით, მთელი რიგი სიტყვების შემდეგ, ოპოზიციონერებმა მამაცობა გამოიჩინეს და თქვეს, რომ, ემორჩილებიან რა კომინტერნის გადაწყვეტილებას, — არა რწმენით, არამედ, ემორჩილებიან რა კომინტერნის გადაწყვეტილებას, — ისინი თანახმანი არიან აღიარონ, რომ დაუშვებელია ორგანიზაციული კავშირი ამ ანტიპარტიულ ჯგუფთან. მე წინადადებას ვიძლეოდი: «ორგანიზაციული კავშირი ამ ჯგუფთან და მისთვის მხარდაჭერა». ტროცკი ამბობდა: «აი ეს კი საჭირო არ არის, ჩვენ ამის მიღება არ შეგვიძლია; სწორი არ იყო კომინტერნის გადაწყვეტილება, როცა ისინი გარიცხეს; მე ვეცდები, რათა ისინი კვლავ მიიღონ პარტიაში, — სწორედ ეს რუთ ფიშერი და მასლოვი».

რას ნიშნავს ეს? თვითონ განსაჯეთ. რაოდენ გამოფიტვიათ ამ ადამიანებს თავიდან პარტიულობის ელემენტარული ცნება!

დღეს, ვთქვათ, საკავშირო კ. პ. (ბ) გარიცხავს პარტიიდან მიასნიკოვს, ყველა თქვენგანისათვის ცნობილს თავისი ანტიპარტიულობით. ხვალ ტროცკი მოდის და ამბობს: «მე არ შემიძლია უარი ვთქვა მიასნიკოვისათვის მხარდაჭერაზე, იმიტომ რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სწორი არ არის, მაგრამ მე მზად ვარ გავწყვიტო მასთან ორგანიზაციული კავშირი, როგორც თქვენ მიბრძანეთო».

ხვალ გარიცხავენ «მუშათა სიმართლის» ჯგუფს [37], თქვენთვის აგრეთვე ცნობილს თავისი ანტიპარტიულობით. ტროცკი გამოდის და აცხადებს: «მე არ შემიძლია უარი ვთქვა ამ ანტიპარტიული ჯგუფისათვის მხარდაჭერაზე, იმიტომ რომ თქვენ იგი უმართებულოდ გარიცხეთო».

ზეგ ცენტრალური კომიტეტი გარიცხავს ოსოვსკის, რადგან ის პარტიის მტერია, — ეს თქვენ კარგად იცით. ტროცკი გვიცხადებს, რომ ეს გარიცხვა უმართებულოა, და მას არ შეუძლია უარი თქვას ოსოვსკისათვის მხარდაჭერაზე.

მაგრამ თუ პარტია, თუ კომინტერნი, დაწვრილებით განიხილავენ რა ამა თუ იმ პირთა, მათ შორის რუთ ფიშერისა და მასლოვის საკითხს, თუ პროლეტარიატის ეს მაღალი დაწესებულებანი წყვეტენ იმ საკითხს, რომ ასეთი ადამიანები გარიცხული უნდა იქნან, ხოლო ტროცკი, მიუხედავად ამისა, ხელს არ იღებს იმაზე, რომ გარიცხულთ შემდეგაც დაუჭიროს მხარი, — რაღა გამოდის აქ? სადა გვყავს ჩვენ პარტია, კომინტერნი? გვყავს თუ არა ისინი? გამოდის, რომ ტროცკისათვის არ არსებობს არც პარტია, არც კომინტერნი, — არსებობს მხოლოდ ტროცკის პირადი აზრი.

ახლა რა გამოვა, რომ არა მარტო ტროცკიმ, არამედ პარტიის სხვა წევრებმაც მოინდომონ ისევე მოიქცნენ, როგორც ტროცკი იქცევა? ცხადია, ეს პარტიზანულობა, ეს ატამანურობა გამოიწვევს მხოლოდ პარტიულობის მოსპობას. აღარ იქნება პარტია. არამედ იქნება ცალკეული ატამანების პირადი აზრები. აი რის გაგება არ სურს ტროცკის.

რატომ არ დათანხმდა ოპოზიცია ხელი აეღო მასლოვ — რუთ ფიშერის ანტიკომუნისტური ჯგუფის მხარდაჭერაზე? რატომ არ დათანხმდნენ ოპოზიციის ლიდერები მიეღოთ ჩვენი შესწორება ამის გამო? იმიტომ, რომ მათ უნდათ დაიტოვონ მესამე სამარაგო იარაღი კომინტერნზე თავდასასხმელად. ესეც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

გვექნება ჩვენ მათთან შეთანხმება თუ არ გვექნება, გამოვიყვანთ მათ ცენტრალური კომიტეტიდან თუ არ გამოვიყვანთ, — სულ ერთია, ეს სამარაგო იარაღი ხელთ რჩებათ კომინტერნზე მომავალი თავდასხმისათვის.

მეოთხე საკითხი — ფრაქციების დაშლის შესახებ. ჩვენ წინადადებას ვიძლევით თქვან, პატიოსნად და პირდაპირ თქვან: «ფრაქცია უეჭველად იშლება». ოპოზიციის ლიდერები უარს ამბობენ ეს თქვან. ამის ნაცვლად ისინი ამბობენ: «მოისპოს ფრაქციულობის ელემენტები», მაგრამ დასძენენ: «ფრაქციულობის ელემენტები, რომლებიც შეიქმნა შინაპარტიული რეჟიმის საფუძველზე».

აი მეოთხე დათქმაც. ესეც სამარაგო იარაღია ჩვენი პარტიისა და მისი ერთიანობის წინააღმდეგ.

რის თქმა უნდოდათ ოპოზიციონერებს, როცა ისინი არ თანხმდებოდნენ მიეღოთ ფორმულირება, რომელიც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიშალოს ფრაქცია, რომელიც მათ ჰყავთ და რომელიც აპირებს ამ დღეებში მოიწვიოს თავისი არალეგალური კონფერენცია აქ, მოსკოვში? ეს ნიშნავს, რომ მათ უნდათ დაიტოვონ უფლება — კვლავაც მოაწყონ დემონსტრაციები ვაგზალში, — აქაო-და, რეჟიმია დამნაშავე, ჩვენ იძულებული ვიყავით მოგვეწყო კიდევ ერთი დემონსტრაციაო. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდათ შეინარჩუნონ უფლება — შემდგომაც დაესხან თავს პარტიას, — აქაო-და, რეჟიმი გვაიძულებს თავს დავესხათო. აი ესეც კიდევ ერთი სამარაგო იარაღი, რომელსაც ისინი იტოვებენ.

ყოველივე ეს უნდა იცოდეს და ახსოვდეს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმს.

საუბარი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან

1927 წ. 9 სექტემბერი

I

დელეგაციის კითხვები და ამხ. სტალინის პასუხი

1-ლი კითხვა. **რა ახალი პრინციპები მიუმატეს პრაქტიკულად ლენინმა და კომპარტიამ მარქსიზმს? სწორი იქნებოდა თუ არა გვეთქვა, რომ ლენინს «შემოქმედებითი რევოლუცია» სწამდა, მაშინ როდესაც მარქსი უფრო იქითკენ იხრებოდა, რომ დავლოდებოდით ეკონომიურ ძალთა კულმინაციურ განვითარებას?**

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ ლენინს არავითარი «ახალი პრინციპი» არ «მიუმატებია» მარქსიზმისათვის, ისევე როგორც ლენინს არ გაუუქმებია მარქსიზმის არც ერთი «ძველი» პრინციპი. ლენინი იყო და არის მარქსისა და ენგელსის ყველაზე ერთგული და თანმიმდევარი მოწაფე, რომელიც სავსებით და მთლიანად ემყარება მარქსიზმის პრინციპებს.

მაგრამ ლენინი მარტოოდენ შემსრულებელი როდი იყო მარქს-ენგელსის მოძღვრებისა. ის ამასთან ერთად იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების განმგრძობი.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ მან შემდგომ განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება განვითარების ახალ პირობებთან შე-

ფარდებით, კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან შეფარდებით, იმპერიალიზმთან შეფარდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ, შემდგომ განავითარა რა მარქსის მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, ლენინმა ახალი რამ შეიტანა მარქსიზმის საერთო საგანძურში იმასთან შედარებით, რაც მარქსისა და ენგელსის მიერ არის მოცემული, იმასთან შედარებით, რის მოცემაც შეიძლებოდა წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში, ამასთან ეს ახალი, რაც ლენინმა მარქსიზმის საგანძურში შეიტანა, მთლიანად და სავსებით ემყარება მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ პრინციპებს.

სწორედ ამ აზრით ლაპარაკობენ ჩვენში ლენინიზმზე, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმზე.

აი რამდენიმე საკითხი, რომელთა დარგშიც ლენინმა მოგვცა ახალი რამ, შემდგომ განავითარა რა მარქსის მოძღვრება.

ჯერ-ერთი, მონოპოლისტური კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ახალი ფაზის, საკითხი. მარქსმა და ენგელსმა «კაპიტალში» მოგვცეს კაპიტალიზმის საფუძველთა ანალიზი. მაგრამ მარქსი და ენგელსი ცხოვრობდნენ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში, კაპიტალიზმის შეუფერხებელი ევოლუციისა და მთელ დედამიწის ზურგზე მისი «მშვიდობიანი» გავრცელების პერიოდში.

ეს ძველი ფაზა დასრულდა XIX საუკუნის დამლევისათვის და XX საუკუნის დამდეგისათვის, როცა მარქსი და ენგელსი ცოცხალი აღარ იყვნენ. გასაგებია, რომ მარქსსა და ენგელსს შეეძლოთ მხოლოდ ევარაუდნათ კაპიტალიზმის განვითარების ის ახალი პირობები, რომლებიც შეიქმნა კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან დაკავშირებით, რამაც შეცვალა ძველი ფაზა, განვითარების იმპერიალისტურ, მონოპო-

ლისტურ ფაზასთან დაკავშირებით, როცა კაპიტალიზმის შეუფერხებელი ევოლუცია შეიცვალა კაპიტალიზმის ნახტომისებური, კატასტროფული განვითარებით, როცა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობამ და კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა განსაკუთრებული სიძლიერით იჩინეს თავი, როცა ბრძოლამ გასაღებისა და კაპიტალის გატანის ბაზრებისათვის განვითარების უკიდურესი უთანაბრობის პირობებში გარდუვალი გახადა პერიოდული იმპერიალისტური ომები მსოფლიოს და გავლენის სფეროთა პერიოდული გადანაწილებისათვის.

ლენინის დამსახურება და, მაშასადამე, ახალი, რაც ლენინმა აქ შექმნა, ის არის, რომ მან, «კაპიტალის» ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, გამოააშკარავა კაპიტალიზმის იარები და მისი გარდუვალი დაღუპვის პირობები. ამ ანალიზის საფუძველზე წარმოიშვა ლენინის ცნობილი დებულება, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მეორეც, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი.

ძირითადი იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობისა და როგორც ძალდატანების გზით კაპიტალის ძალაუფლების დამხობისა, მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს.

ლენინმა ამ დარგში ახალი მოგვცა ის, რომ:

ა) მან აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო სახელმწიფოებრივი ფორმა, რისთვისაც გამოიყენა პარიზის კომუნისა და რუსეთის რევოლუციის გამოცდილება;

ბ) მან გახსნა ფრჩხილები პროლეტარიატის დიქტატურის ფორმულისა პროლეტარიატის მოკავშირეთა პრობლე-

მის თვალსაზრისით და განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც განსაკუთრებული ფორმის კლასობრივი კავშირი პროლეტარიატისა, რომელიც ხელმძღვანელია, არაპროლეტარული კლასების (გლეხობის და სხვ.) ექსპლოატირებულ მასებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობა ეწევა;

გ) მან განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი საზოგადოების დროს წარმოადგენს დემოკრატიის უმაღლეს ტიპს, **პროლეტარული** დემოკრატიის ფორმას, რომელიც გამოხატავს უმრავლესობის (ექსპლოატირებულთა) ინტერესებს, — წინააღმდეგ **კაპიტალისტური** დემოკრატიისა, რომელიც გამოხატავს უმცირესობის (ექსპლოატატორთა) ინტერესებს.

მესამეც, საკითხი სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ფორმებისა და საშუალებებისა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის პერიოდში, კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ ქვეყანაში.

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდს უყურებდნენ, როგორც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდს, რევოლუციური შეტაკებებითა და სამოქალაქო ომებით აღსავსე პერიოდს, რომლის განმავლობაშიც პროლეტარიატი, ხელისუფლების სათავეში რომ დგას, ატარებს ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ძველი კაპიტალისტური საზოგადოების ნაცვლად შექმნას ახალი სოციალისტური საზოგადოება, უკლასო საზოგადოება, უსახელმწიფო საზოგადოება. ლენინი სავსებით და მთლიანად იდგა მარქსისა და ენგელსის ამ ძირითად დებულებათა ნიადაგზე.

ლენინმა ამ დარგში ახალი მოგვცა ის, რომ:

ა) მან დაასაბუთა სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, რომელიც გარემოცულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით, იმ პირობით, თუ ეს ქვეყანა მოხრჩობილი არ იქნება გარშემო არსებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ინტერვენციით;

ბ) მან დასახა ეკონომიური პოლიტიკის კონკრეტული გზები («ახალი ეკონომიური პოლიტიკა»), რომელთა საშუალებით პროლეტარიატი, ფლობს რა მბრძანებელ ეკონომიურ მწვერვალებს (მრეწველობა, მიწა, ტრანსპორტი, ბანკები და სხვ.), აკავშირებს სოციალიზებულ ინდუსტრიას სოფლის მეურნეობასთან («ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან») და, ამრიგად, მთელ სახალხო მეურნეობას წარმართავს სოციალიზმისაკენ;

გ) მან დასახა კონკრეტული გზები იმისა, რომ გლეხობის ძირითადი მასები თანდათანობით მიყვანილი და ჩაბმული იქნან სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში კოოპერაციის საშუალებით, რომელიც პროლეტარული დიქტატურის ხელში წარმოადგენს წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნისა და გლეხობის ძირითადი მასების სოციალისტურად აღზრდის უდიდეს საშუალებას.

მეოთხეც, საკითხი პროლეტარიატის ჰეგემონიისა რევოლუციაში, ყოველ სახალხო რევოლუციაში, როგორც რევოლუციაში ცარიზმის წინააღმდეგ, ისე რევოლუციაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის ძირითადი მონასახები. ახ ლენინმა ახალი მოგვცა ის, რომ მან ეს მონასახები შემდგომ განავითარა და გაშალა პროლეტარიატის ჰეგემონიის მწყობრ სისტემად, მწყობრ სისტემად პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა ქალაქის და სოფლის მშრომელი მასების მიმართ არა

მარტო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობის საქმეში, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის დროს სოციალისტური მშენებლობის საქმეშიც.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეამ, ლენინისა და მისი პარტიის მეოხებით, ოსტატური გამოყენება პოვა რუსეთში. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რუსეთში რევოლუციამ პროლეტარიატის ძალაუფლებამდე მიგვიყვანა.

წინათ ჩვეულებრივ იმგვარად ხდებოდა, რომ რევოლუციის დროს მუშები იბრძოდნენ ბარიკადებზე, ისინი ღვრიდნენ სისხლს, ისინი ამხობდნენ ძველს, ხოლო ძალაუფლება ხელთ უვარდებოდათ ბურჟუებს, რომლებიც შემდეგ ჩაგრავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ მუშებს. ასე იყო საქმე ინგლისსა და საფრანგეთში. ასე იყო საქმე გერმანიაში. ჩვენში კი, რუსეთში, საქმე სხვანაირად დატრიალდა. ჩვენში მუშები რევოლუციის მარტო დამკვრელ ძალას როდი წარმოადგენდნენ. იყო რა რევოლუციის დამკვრელი ძალა, რუსეთის პროლეტარიატი ამასთან ერთად ცდილობდა გამხდარიყო ქალაქისა და სოფლის მთელი ექსპლოატირებული მასების ჰეგემონი, პოლიტიკური ხელმძღვანელი, რისთვისაც რაზმავდა მათ თავის გარშემო, წყვეტდა მათ ბურჟუაზიისაგან, პოლიტიკურად განამარტოებდა ბურჟუაზიას. ხოლო როგორც ექსპლოატირებული მასების ჰეგემონი, რუსეთის პროლეტარიატი იბრძოდა იმისათვის, რომ ხელთ ეგდო ძალაუფლება და გამოეყენებინა იგი თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამით აიხსნება, არსებითად, ის, რომ რევოლუციის ყოველ მძლავრ აზვირთებას რუსეთში, როგორც 1905 წლის ოქტომბერში, ისე 1917 წლის თებერვალში, ასპარეზზე გამოჰყავდა მუშათა დეპუტატების საბჭოები, როგორც ხელისუფლების იმ ახალი აპარატის ჩანასახები, რომელიც მოწოდებულია დათრგუ-

ნოს ბურჟუაზია, — წინააღმდეგ ბურჟუაზიული პარლამენტისა, როგორც ხელისუფლების ძველი აპარატისა, რომელიც მოწოდებულია დათრგუნოს პროლეტარიატი.

ორჯერ შეეცადა ჩვენში ბურჟუაზია აღედგინა ბურჟუაზიული პარლამენტი და ბოლო მოეღო საბჭოებისათვის: 1917 წლის სექტემბერში, წინაპარლამენტის დროს, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღებამდე, და 1918 წლის იანვარში, დამფუძნებელი კრების დროს, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, — და ორივეჯერ დამარცხდა. რატომ? იმიტომ, რომ ბურჟუაზია პოლიტიკურად უკვე იზოლირებული იყო, მშრომელთა მილიონიან მასებს პროლეტარიატი მიაჩნდათ რევოლუციის ერთადერთ ბელადად, ხოლო საბჭოები უკვე შემოწმებული და ნაცადი იყო მასების მიერ, როგორც თავისი მუშური ხელისუფლება, რომლის გაცვლა ბურჟუაზიულ პარლამენტზე თვითმკვლელობა იქნებოდა პროლეტარიატისათვის. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბურჟუაზიულმა პარლამენტარიზმმა ჩვენში ვერ იხეირა. აი რატომ მიგვიყვანა რევოლუციამ რუსეთში პროლეტარიატის ძალაუფლებამდე.

ასეთია რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური სისტემის განხორციელების შედეგები.

მეხუთეც, ნაციონალურ-კოლონიური საკითხი.

მარქსმა და ენგელსმა ანალიზი გაუკეთეს თავის დროზე ირლანდიის, ინდოეთის, ჩინეთის, ცენტრალური ევროპის ქვეყნების, პოლონეთის, უნგრეთის ამბებს და მოგვცეს ძირითადი, გამოსავალი იდეები ნაციონალურ-კოლონიური საკითხის შესახებ. თავის შრომებში ლენინი ამ იდეებს ეყრდნობოდა.

ლენინმა ამ დარგში ახალი მოგვცა ის, რომ:

ა) მან ეს იდეები ერთად შეკონა შეხედულებათა მწყობრ სისტემად ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციების შესახებ იმპერიალიზმის ეპოქაში;

ბ) დაუკავშირა ნაციონალურ-კოლონიური საკითხი იმპერიალიზმის დამხობის საკითხს;

გ) გამოაცხადა ნაციონალურ-კოლონიური საკითხი საერთო საკითხის — საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის საკითხის შემადგენელ ნაწილად.

დასასრულ, პროლეტარიატის პარტიის საკითხი.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ძირითადი მონასახები პარტიის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის შესახებ, ურომლისოდ (უპარტიოდ) პროლეტარიატს არ შეუძლია მიაღწიოს თავის განთავისუფლებას არც ძალაუფლების აღების აზრით, არც კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის აზრით.

ლენინმა ამ დარგში ახალი მოგვცა ის, რომ მან შემდგომ განავითარა ეს მონასახები იმპერიალიზმის პერიოდში პროლეტარიატის ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით და ცხადყო, რომ:

ა) პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა პროლეტარიატის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით (პროფკავშირები, კოოპერაცია, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია), რომელთა მუშაობა მან უნდა განაზოგადოს და წარმართოს;

ბ) პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ პარტიის, როგორც ამ დიქტატურის წარმმართავი ძალის, მეშვეობით;

გ) პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება სრული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელმძღვანელობს ერთი პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც ხელმძღვანელობას არ უნაწილებს და არც უნდა უნაწილებდეს სხვა პარტიებს;

დ) პარტიაში რკინისებური დისციპლინის გარეშე არ შეიძლება განხორციელდეს პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები — ექსპლოატატორთა დათრგუნვისა

და კლასობრივი საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნის ამოცანები.

აი ძირითადად ის ახალი, რაც მოგვცა ლენინმა თავის შრომებში, როცა კონკრეტულად დააზუსტა და შემდგომ განავითარა მარქსის მოძღვრება იმპერიალიზმის პერიოდში პროლეტარიატის ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით.

ამიტომაც ამბობენ ჩვენში, რომ ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი.

აქედან ჩანს, რომ ლენინიზმი არ შეიძლება არც გავაცალკევოთ მარქსიზმისაგან და არც — მით უმეტეს — დავუპირისპიროთ მარქსიზმს.

დელეგაციის მიერ დასმულ კითხვაში შემდეგ ნათქვამია:

«სწორი იქნებოდა თუ არა გვეთქვა, რომ ლენინს «შემოქმედებითი რევოლუცია» სწამდა, მაშინ როდესაც მარქსი უფრო იქითკენ იხრებოდა, რომ დავლოდებოდით ეკონომიურ ძალთა კულმინაციურ განვითარებას?».

ვფიქრობ, რომ ამის თქმა სრულიად უმართებულო იქნებოდა. ვფიქრობ, რომ ყოველი სახალხო რევოლუცია, თუ იგი მართლაც სახალხო რევოლუციას წარმოადგენს, არის შემოქმედებითი რევოლუცია, ვინაიდან იგი ამსხვრევს ძველ წყობას და ქმნის, აშენებს ახალ წყობას.

რა თქმა უნდა, არავითარი შემოქმედებითი რამ არ შეიძლება იყოს ისეთ, უკაცრავად პასუხია, «რევოლუციებში», როგორიც ზოგჯერ ხდება ზოგიერთ ჩამორჩენილ ქვეყანაში ერთი ტომის წინააღმდეგ მეორე ტომის სათამაშო **«აჯანყებათა»** სახით. მაგრამ ასეთი სათამაშო **«აჯანყებანი»** მარქსისტებს არასოდეს არ მიაჩნდათ რევოლუციად. ლაპარაკია, ალბათ, არა ასეთ «აჯანყებებზე», **არამედ მასობრივ** სახალხო **რევოლუციაზე**, რომელიც ჩაგრულ კლასებს ამხედრებს მჩაგვრელი კლასების წინა-

აღმდეგ. ასეთი რევოლუცია კი არ შეიძლება შემოქმედებითი არ იყოს. მარქსი და ლენინი სწორედ ასეთი რევოლუციის მომხრენი იყვნენ, — და მხოლოდ ასეთისა. ამასთან გასაგებია, რომ ასეთი რევოლუცია არ შეიძლება წარმოიშვას ყოველგვარ პირობებში, რომ იგი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის განსაზღვრულ ხელსაყრელ პირობებში.

მე-2 კითხვა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კომპარტია კონტროლს უწევს მთავრობას?

პასუხი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის კონტროლი. კაპიტალისტურ ქვეყნებში კონტროლი რამდენადმე თავისებურად ესმით. მე ვიცი, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ მთავრობებს, «დემოკრატიულ» პარლამენტების არსებობის მიუხედავად, კონტროლს უწევენ უდიდესი ბანკები. პარლამენტები ირწმუნებიან, რომ სწორედ ისინი უწევენ კონტროლს მთავრობებს. ნამდვილად კი ისე გამოდის, რომ მთავრობათა შემადგენლობას წინასწარ განსაზღვრავენ და მათს მოქმედებას კონტროლს უწევენ უდიდესი ფინანსური კონსორციუმები. ვინ არ იცის, რომ არც ერთ კაპიტალისტურ «სახელმწიფოში» არ შეიძლება შედგენილ იქნას კაბინეტი უდიდესი ფინანსური ბობოლების ნება-სურვილის წინააღმდეგ: საკმარისია მხოლოდ მოახდინონ ფინანსური ზემოქმედება, რომ მინისტრები დამთხვეულებივით გადმოცვივდნენ თავიანთი პოსტებიდან. ეს ნამდვილად არის ბანკების კონტროლი მთავრობების მიმართ, პარლამენტების მოჩვენებითი კონტროლის წინააღმდეგ.

თუ ასეთ კონტროლზეა ლაპარაკი, მაშინ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენში ფულის ტომრების კონტროლი მთავრობის მიმართ წარმოუდგენელი და სრულიად გამორიცხულია, თუნდაც იმიტომ, რომ ბანკები ჩვენში უკვე დიდი

ხანია ნაციონალიზებულია, ხოლო ფულის ტომრები განდევნილი არიან სსრ კავშირიდან.

იქნებ, დელეგაციას უნდოდა ეკითხნა პარტიის არა კონტროლის შესახებ, არამედ მთავრობის მიმართ მისი ხელმძღვანელობის შესახებ? თუ დელეგაციას უნდოდა ეს ეკითხნა, მაშინ მე ვუპასუხებ: დიახ, პარტია ჩვენში ხელმძღვანელობს მთავრობას. ხოლო ეს ხელმძღვანელობა იმიტომ ხერხდება, რომ პარტია ჩვენში სარგებლობს მუშათა და საერთოდ მშრომელთა უმრავლესობის ნდობით და მას უფლება აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს მთავრობის ორგანოებს ამ უმრავლესობის სახელით.

რაში გამოიხატება ხელმძღვანელობა, რასაც მთავრობას უწევს სსრ კავშირის მუშათა პარტია, სსრ კავშირის კომუნისტური პარტია?

უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ კომპარტია ცდილობს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მუშაობის ძირითად პოსტებზე საბჭოებისა და მათი ყრილობების მეშვეობით გაიყვანოს თავისი კანდიდატები, თავისი საუკეთესო მუშაკები, რომლებიც ერთგული არიან პროლეტარიატის საქმისა და მზად არიან ალალმართლად ემსახურონ პროლეტარიატს. და ამას იგი ახერხებს უმრავლეს შემთხვევაში, რადგან მუშები და გლეხები ნდობით ეპყრობიან პარტიას. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები ჩვენში კომუნისტები არიან, რომ ისინი, ეს ხელმძღვანელები, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში.

მეორეც, იმაში, რომ პარტია ამოწმებს მმართველობის ორგანოთა მუშაობას, ხელისუფლების ორგანოთა მუშაობას, ასწორებს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც, ცხადია, გვხვდება მუშაობაში, ეხმარება მათ გაატარონ მთავრობის გადაწყვეტილებანი და ცდილობს უზრუნველყოს მასების მხარდაჭერა მათთვის, ამასთან ამ

ორგანოებს არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ გამოაქვთ პარტიის სათანადო მითითებათა გარეშე.

მესამეც, იმაში, რომ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს მუშაობის გეგმის შემუშავებისას, ეხება ეს მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, თუ ვაჭრობასა და კულტურულ მშენებლობას, პარტია იძლევა ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანოთა მუშაობის ხასიათსა და მიმართულებას ამ გეგმების მოქმედების დროის განმავლობაში.

ბურჟუაზიული პრესა ჩვეულებრივ გამოთქვამს «გაკვირვებას» სახელმწიფოს საქმეებში პარტიის ასეთი «ჩარევის» გამო. მაგრამ ეს «გაკვირვება» თავიდან ბოლომდე ყალბია. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში სწორედ ასევე «ერევიან» სახელმწიფოს საქმეებში ბურჟუაზიული პარტიები და ხელმძღვანელობენ მთავრობებს, ამასთან ხელმძღვანელობა იქ თავმოყრილია იმ პირთა ვიწრო წრის ხელში, რომელნიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან მსხვილ ბანკებთან და, ამის გამო, ცდილობენ დაფარონ მოსახლეობისაგან თავიანთი როლი.

ვინ არ იცის, რომ ინგლისში ან სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში თვითეულ ბურჟუაზიულ პარტიას ჰყავს თავისი ფარული კაბინეტი, შემდგარი ადამიანთა ვიწრო წრისაგან, რომელთა ხელშიც თავმოყრილია ხელმძღვანელობა? გაიხსენეთ თუნდაც ლოიდ-ჯორჯის ცნობილი სიტყვა ლიბერალური პარტიის «ფარული» კაბინეტის შესახებ. განსხვავება ამ მხრივ საბჭოების ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ:

ა) კაპიტალიზმის ქვეყნებში ბურჟუაზიული პარტიები სახელმწიფოს ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის და პროლეტარიატის წინააღმდეგ, მაშინ როცა სსრ კავშირში კომპარტია სახელმწიფოს ხელმძღვანელობს

პროლეტარიატის ინტერესებისათვის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ;

ბ) ბურჟუაზიული პარტიები უმალავენ ხალხს თავიანთ ხელმძღვანელ როლს, რისთვისაც მიმართავენ საეჭვო ფარული კაბინეტების დახმარებას, მაშინ როცა კომპარტიას სსრ კავშირში არავითარი ფარული კაბინეტი არ სჭირდება, ის გმობს ფარული კაბინეტების პოლიტიკასა და პრაქტიკას და აშკარად აცხადებს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ის კისრულობს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის.

ერთი დელეგატთაგანი. ამავე საფუძველზე ხელმძღვანელობს პარტია პროფკავშირებს?

სტალინი. ძირითადად — კი. ფორმალურად პარტიას არ შეუძლია რაიმე დირექტივები მისცეს პროფკავშირებს. მაგრამ პარტია დირექტივებს აძლევს პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტებს. ცნობილია, რომ პროფკავშირებში არიან კომუნისტების ფრაქციები, ისევე როგორც საბჭოებში, კოოპერაციაში და ა. შ. ამ კომუნისტური ფრაქციების მოვალეობაა დარწმუნების გზით ეცადონ, რათა პროფკავშირების, საბჭოების, კოოპერაციის და სხვათა ორგანოებმა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელნიც შეესაბამებიან პარტიის დირექტივებს. და ამის განხორციელებას ისინი ახერხებენ უმრავლეს შემთხვევაში, რადგან პარტიას უდიდესი გავლენა აქვს მასებში, იგი ღიდი ნდობით სარგებლობს მასებში. ამ გზით ვაღწევთ პროლეტარიატის მეტად მრავალნაირი ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობას. უამისოდ მუშათა კლასის ამ ორგანიზაციების მუშაობაში არევდარევა და შეუთანხმებლობა გვექნებოდა.

მე-3 კითხვა. რამდენადაც რუსეთში მხოლოდ ერთი პარტია არის ლეგალური, საიდან იცით, რომ მასები თანაუგრძნობენ კომუნიზმს?

პასუხი. ეს მართალია, რომ სსრ კავშირში არ არის ლეგალური ბურჟუაზიული პარტიები, რომ ლეგალობით აქ მხოლოდ ერთი პარტია სარგებლობს, მუშების პარტია, კომუნისტების პარტია. მაგრამ გვაქვს თუ არა ჩვენ გზები და საშუალებანი დავრწმუნდეთ იმაში, რომ მუშების უმრავლესობა, მშრომელი მასების უმრავლესობა თანაუგრძნობს კომუნისტებს? რა თქმა უნდა, ლაპარაკია მუშათა და გლეხთა მასებზე, და არა ახალ ბურჟუაზიაზე, არა იმ ძველი ექსპლოატატორული კლასების ნამსხვრევებზე, რომლებიც უკვე დაამარცხა პროლეტარიატმა. დიახ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენ გვაქვს გზები და საშუალებანი გავიგოთ — თანაუგრძნობენ კომუნისტებს მუშათა და გლეხთა მასები თუ არ თანაუგრძნობენ.

ავიღოთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები და ვნახოთ, გვაქვს თუ არა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მასები მართლაც თანაუგრძნობენ კომუნისტებს.

ავიღოთ, უწინარეს ყოვლისა, ისეთი დიდმნიშვნელოვანი მომენტი, როგორიც არის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების პერიოდი, როცა კომუნისტების პარტია, სწორედ როგორც პარტია, აშკარად მოუწოდებდა მუშებს და გლეხებს დაემხოთ ბურჟუაზიის ძალაუფლება და როცა მას, ამ პარტიას, მხარი დაუჭირა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა უდიდესმა უმრავლესობამ.

რანაირი ვითარება იყო მაშინ? ხელისუფლების სათავეში იდგნენ სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) და სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), რომლებსაც ბლოკი ჰქონდათ ბურჟუაზიასთან. ძალაუფლების აპარატი ცენტრში და ადგილებზე, ისევე როგორც თორმეტმილიონიანი არმიის სარდლობის აპარატი, ამ პარტიების ხელში, მთავრობის ხელში იყო. კომუნისტების პარტია ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველა ქვეყნის

ბურჟუები წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკების პარტიის გარდუვალ მარცხს. ანტანტა მთლიანად და სავსებით მხარს უჭერდა კერენსკის მთავრობას. მიუხედავად ამისა, კომუნისტების პარტია, ბოლშევიკების პარტია, შეუწყვეტლივ მოუწოდებდა პროლეტარიატს დაემხო ეს მთავრობა და დაემყარებინა პროლეტარიატის დიქტატურა. და მერე? მშრომელი მასების უდიდესმა უმრავლესობამ ზურგში და ფრონტზე სრულიად გადაჭრით დაუჭირა მხარი ბოლშევიკების პარტიას, — და დამხობილ იქნა კერენსკის მთავრობა, დამყარებულ იქნა პროლეტარიატის ძალაუფლება.

როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკები მაშინ გამარჯვებულნი გამოვიდნენ, მიუხედავად ყველა ქვეყნის ბურჟუების მტრული წინასწარმეტყველებისა — ბოლშევიკების პარტია დაიღუპებაო? განა არ ამტკიცებს ეს გარემოება, რომ მშრომელთა ფართო მასები თანაუგრძნობენ ბოლშევიკების პარტიას? ვფიქრობ, რომ ამტკიცებს.

აი პირველი შემოწმება კომუნისტების პარტიის ავტორიტეტისა და გავლენისა მოსახლეობის ფართო მასებში.

ავიღოთ შემდეგი პერიოდი, ინტერვენციის პერიოდი, სამოქალაქო ომის პერიოდი, როცა ინგლისელმა კაპიტალისტებმა მოახდინეს რუსეთის ჩრდილოეთის ნაწილის, არხანგელსკისა და მურმანსკის რაიონის ოკუპაცია, როცა ამერიკელმა, ინგლისელმა, იაპონელმა და ფრანგმა კაპიტალისტებმა მოახდინეს ციმბირის ოკუპაცია და წინ წამოსწიეს კოლჩაკი, როცა ფრანგმა და ინგლისელმა კაპიტალისტებმა გადადგეს ნაბიჯები «სამხრეთ რუსეთის» საოკუპაციოდ და ყოველმხრივ შეუწყეს ხელი დენიკინსა და ვრანგელს.

ეს იყო ანტანტისა და რუსეთის კონტრრევოლუციური გენერლების ომი მოსკოვის კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენი რევოლუციის ოქტომბრის მონაპოვართა წინააღმდეგ. ეს იყო მუშათა და გლეხთა ფართო მასებში

კომუნისტების პარტიის ძალისა და სიმტკიცის უდიდესი შემოწმების პერიოდი.

და რა მოხდა? განა ცნობილი არ არის, რომ სამოქალაქო ომის შედეგად ოკუპანტები განდევნილ იქნენ რუსეთიდან, ხოლო კონტრრევოლუციური გენერლები გაანადგურა წითელმა არმიამ.

აი სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ ომის ბედს, საბოლოო ანგარიშით, წყვეტს არა ტექნიკა, რასაც უხვად აწვდიდნენ კოლჩაკსა და დენიკინს სსრ კავშირის მტრები, არამედ სწორი პოლიტიკა, მოსახლეობის მილიონიანი მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

შემთხვევითია თუ არა, რომ ბოლშევიკური პარტია მაშინ გამარჯვებული აღმოჩნდა? რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. განა არ მეტყველებს ეს გარემოება იმას, რომ კომუნისტების პარტია ჩვენში მშრომელთა ფართო მასების თანაგრძნობით სარგებლობს? ვფიქრობ, რომ მეტყველებს.

აი მეორე შემოწმება კომუნისტური პარტიის ძალისა და სიმტკიცისა სსრ კავშირში.

გადავიდეთ ახლანდელ პერიოდზე, ომისშემდგომ პერიოდზე, როცა დღის წესრიგში დადგა მშვიდობიანი მშენებლობის საკითხები, როცა სამეურნეო ნგრევის ხანა შეცვალა ინდუსტრიის აღდგენის ხანამ, ბოლოს, ახალ ტექნიკურ ბაზაზე მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ხანამ. გვაქვს თუ არა ახლა ჩვენ გზები და საშუალებანი კომუნისტების პარტიის ძალისა და სიმტკიცის შესამოწმებლად, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად თანაუგრძნობენ მშრომელთა ფართო მასები ამ პარტიას? ვფიქრობ, რომ გვაქვს.

ავიღოთ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის პროფკავშირები, რომლებიც აერთიანებენ 10 მილიონამდე პროლეტარს, გადავხედოთ ჩვენი პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობას. შემთხვევითია თუ არა,

რომ ამ ორგანოების სათავეში კომუნისტები დგანან? რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს სსრ კავშირის მუშებისათვის სულ ერთი იყოს, თუ როგორია პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა. სსრ კავშირის მუშები გაიზარდნენ და გაიწვრთნენ სამი რევოლუციის ქარცეცხლში. მათ, ისე როგორც არავინ, ისწავლეს თავიანთ ხელმძღვანელთა შემოწმება და მათი გაძევება, თუ ისინი პროლეტარიატის ინტერესებს არ აკმაყოფილებენ. ჩვენს პარტიაში ერთ დროს ყველაზე პოპულარული კაცი პლეხანოვი იყო. მაგრამ მუშები არ დაერიდნენ მის გადაჭრით იზოლირებას, როცა დარწმუნდნენ, რომ პლეხანოვი ჩამოშორდა პროლეტარულ ბაზს. და თუ ასეთი მუშები თავიანთ სრულ ნდობას უცხადებენ კომუნისტებს და აყენებენ მათ პროფკავშირთა პასუხსაგებ პოსტებზე, ეს არ შეიძლება პირდაპირ არ მოწმობდეს იმას, რომ უდიდესია კომუნისტური პარტიის ძალა და სიმტკიცე სსრ კავშირის მუშებს შორის.

ეი შემოწმება იმისა, რომ მუშათა ფართო მასები უთუოდ თანაუგრძნობენ კომუნისტების პარტიას.

ავიღოთ საბჭოების უკანასკნელი არჩევნები. საბჭოების არჩევნების უფლებით ჩვენში სარგებლობს სსრ კავშირის მთელი სრულასაკოვანი მოსახლეობა, დაწყებული 18 წლის ასაკიდან, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, მინუს ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევიან და რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები. ეს შეადგენს დაახლოებით 60 მილიონ ამომრჩეველს. მათს უდიდეს უმრავლესობას, რა თქმა უნდა, გლეხები შეადგენენ. ამ 60 მილიონიდან საარჩევნო უფლებები განახორციელა დაახლოებით 51 პროცენტმა, ე. ი. 30 მილიონზე მეტმა. გადახედეთ ახლა ჩვენი როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობას. შეიძლება თუ არა შემთხვევითად

ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არჩეული ხელმძღვანელი ელემენტების უდიდეს უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ? ცხადია, არ შეიძლება ეს შემთხვევითად ჩაითვალოს. განა ეს ფაქტი არ მეტყველებს იმას, რომ კომუნისტური პარტია ნდობით სარგებლობს გლეხობის მილიონიან მასებში? ვფიქრობ, რომ მეტყველებს.

აი კიდევ ერთი შემოწმება კომუნისტური პარტიის ძალისა და სიმტკიცისა.

ავიღოთ კომკავშირი (ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი), რომელიც აერთიანებს დაახლოებით 2 მილიონ მუშა და გლეხ ახალგაზრდობას. შეიძლება თუ არა შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კომკავშირის არჩეული ხელმძღვანელი ელემენტების უდიდეს უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ? ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ეს შემთხვევითად ჩაითვალოს.

აი კიდევ ერთი შემოწმება კომუნისტური პარტიის ძალისა და ავტორიტეტისა.

ავიღოთ, დასასრულ, ჩვენი ურიცხვი კონფერენციები, თათბირები, სადელეგატო კრებები და ა. შ., რომელნიც მოიცავენ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა და ყოველგვარი ეროვნების მშრომელ მამაკაცთა და ქალთა, მუშათა და მუშა-ქალთა, გლეხთა და გლეხ-ქალთა მილიონიან მასებს. ამ თათბირებისა და კონფერენციების გამო დასავლეთში ზოგჯერ დაცინვით ამბობენ, რომ რუსებს საერთოდ უყვართ მასლაათიო. ამავე დროს კი ჩვენთვის ამ თათბირებსა და კონფერენციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ როგორც მასების განწყობილების შემოწმების აზრით, ისე ჩვენი შეცდომების გამოაშკარავებისა და ამ შეცდომების თავიდან ასაცილებლად საშუალებათა დასახვის აზრით, ვინაიდან შეცდომა ჩვენ ცოტა როდი გვაქვს, და ჩვენ მათ არ ვმალავთ, რადგან ვფიქრობთ, რომ შეცდომების გამოაშკარავება და კეთილსინდისიერად გამოსწორება

საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ქვეყნის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. გადაათვალიერეთ ამ კონფერენციებსა და თათბირებზე ორატორების მიერ წარმოთქმული სიტყვები, გადაათვალიერეთ მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ამ «უბრალო ადამიანების» საქმიანი და ალალმართალი შენიშვნები, გადაათვალიერეთ მათი გადაწყვეტილებანი, — და თქვენ დაინახავთ, თუ რაოდენ დიდია კომუნისტური პარტიის გავლენა და ავტორიტეტი, თქვენ დაინახავთ, რომ ეს გავლენა და ეს ავტორიტეტი შეჰშურდებოდა ყოველ პარტიას მსოფლიოში.

აი კიდევ შემოწმება კომუნისტური პარტიის სიმტკიცისა.

ასეთია გზები და საშუალებანი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ შევამოწმოთ კომუნისტური პარტიის ძალა და გავლენა ხალხის მასებში.

აი საიდან ვიცი, რომ სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ფართო მასები თანაუგრძნობენ კომუნისტურ პარტიას.

მე-4 კითხვა. უპარტიო ჯგუფს რომ შეექმნა ფრაქცია და წამოეყენებინა არჩევნებში თავისი კანდიდატები, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერის პლატფორმაზე იდგომებოდნენ, მაგრამ ამასთან ერთად მოეთხოვა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება, — შეეძლო თუ არა მას ჰქონოდა თავისი საშუალებანი და გაეწია აქტიური პოლიტიკური კამპანია?

პასუხი. ვფიქრობ, რომ ეს კითხვა შეიცავს შეურიგებელ წინააღმდეგობას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ჯგუფი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერის პლატფორმაზე იდგომებოდა და ამასთან ერთად მოითხოვდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას. რატომ? იმიტომ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია საბჭოთა მთავრობის პლატფორმის ერთ-ერთი ურყევი საფუძველია.

იმიტომ, რომ ჯგუფი, რომელიც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას მოითხოვს, არ შეიძლება მხარს უჭერდეს საბჭოთა მთავრობას. იმიტომ, რომ ასეთი ჯგუფი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ჯგუფი, რომელიც უაღრესად მტრულადაა განწყობილი მთელი საბჭოთა წყობილებისადმი.

სსრ კავშირში, რა თქმა უნდა, მოიპოვებიან ელემენტები, რომლებიც მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას. ესენი არიან ნეპმანები, კულაკები, უკვე განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნამსხვრევები და ა. შ. მაგრამ ეს ელემენტები მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. ვფიქრობ, რომ დელეგაცია ამ ელემენტებს კი არ გულისხმობს თავის კითხვაში. ხოლო თუ ლაპარაკია მუშებზე და გლეხთა მშრომელ მასებზე, უნდა ვთქვა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების მოთხოვნას შეეძლო მხოლოდ ხარხარი და მტრული დამოკიდებულება გამოეწვია მათ შორის.

მართლაც, რას შეიძლება ნიშნავდეს მუშებისათვის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობა? ეს მათთვის იქნებოდა უარის თქმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების აგებაზე, ძველი ქარხნებისა და ფაბრიკების გაფართოებაზე. ეს იქნებოდა სსრ კავშირის ავსება კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით, ჩვენი ინდუსტრიის შეკვეცა მისი შედარებითი სისუსტის გამო, უმუშევართა რიცხვის გამრავლება, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მისი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების შესუსტება. ეს, საბოლოო ანგარიშით, იქნებოდა ნეპმანის და საერთოდ ახალი ბურჟუაზიის გაძლიერება. შეუძლია თუ არა სსრ კავშირის პროლეტარიატს ეს თვითმკვლელობა ჩაიდინოს? ცხადია, არ შეუძლია.

ხოლო რას შეიძლება ნიშნავდეს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობა გლეხობის მშრომელი მასებისათვის? ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის გადაქცევა დამოუკიდებელი ქვეყნიდან ნახევრად-კოლონიურ ქვეყნად და გლეხთა მასების გაღატაკება. ეს იქნებოდა «თავისუფალი ვაჭრობის» იმ რეჟიმისაკენ დაბრუნება, რომელიც გამეფებული იყო კოლჩაკისა და დენიკინის დროს, როცა კონტრრევოლუციური გენერლებისა და «მოკავშირეთა» შეერთებული ძალები თავისუფლად ძარცვავდნენ და ატყავებდნენ მრავალმილიონიან გლეხობას. ეს, საბოლოო ანგარიშით, იქნებოდა კულაკებისა და სხვა ექსპლოატატორული ელემენტების გაძლიერება სოფლად. გლეხებმა საკმაოდ გამოსცადეს ამ რეჟიმის მშვენიერებანი უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგის მხარესა და ციმბირში. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი მოისურვებენ კვლავ გაჰყონ თავი ამ მარყუჟში? განა ცხადი არ არის, რომ გლეხობის მშრომელ მასებს არ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობას?

ერთი დელეგატთაგანი. დელეგაციამ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის, მისი გაუქმების პუნქტი წამოაყენა როგორც ისეთი პუნქტი, რომლის გამო შეიძლებოდა ორგანიზებულიყო მოსახლეობის მთელი ჯგუფი, სსრ კავშირში რომ არ ყოფილიყო ერთი პარტიის მონოპოლია, ლეგალობის მონოპოლია.

სტალინი. დელეგაცია, ამრიგად, უბრუნდება კომუნისტური პარტიის, როგორც სსრ კავშირში ერთადერთი ლეგალური პარტიის, მონოპოლიის საკითხს. მოკლე პასუხი ამ კითხვაზე მე უკვე გავეცი, როცა ვილაპარაკე კომუნისტური პარტიისადმი მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების თანაგრძნობის შემოწმების გზებსა და საშუალებებზე.

რაც შეეხება მოსახლეობის სხვა ფენებს, კულაკებს, ნეპმანებს, ძველი განადგურებული ექსპლოატატორული

კლასების ნაშთებს, ისინი ჩვენში მოკლებული არიან უფლებას იქონიონ თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაცია, ისევე როგორც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებებს. პროლეტარიატმა ჩამოართვა ბურჟუაზიას არა მარტო ფაბრიკები და ქარხნები, ბანკები და რკინიგზები, მიწა და შახტები. მან ბურჟუაზიას ჩამოართვა აგრეთვე უფლება იქონიოს თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია, ვინაიდან პროლეტარიატს არა სურს ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენა. დელეგაციას, ეტყობა, არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატმა ბურჟუაზიასა და მემამულეებს ჩამოართვა ფაბრიკები და ქარხნები, მიწა და რკინიგზები, ბანკები და შახტები. (ს ი ც ი ლ ი).

მაგრამ დელეგაციას, როგორც მგონია, ცოტა არ იყოს უკვირს ის, რომ პროლეტარიატი ამას არ დასჯერდა და უფრო შორს წავიდა, — ჩამოართვა ბურჟუაზიას პოლიტიკური უფლებები. ეს, ჩემი აზრით, არ არის მთლად ლოგიკური ან, უფრო სწორად, სრულიად არ არის ლოგიკური. რა საფუძვლით მოითხოვენ პროლეტარიატისაგან სულგრძელობას ბურჟუაზიის მიმართ? განა დასავლეთის ბურჟუაზია, ხელისუფლების სათავეში რომ იმყოფება, იჩენს ოდნავ მაინც სულგრძელობას მუშათა კლასის მიმართ? განა იგი იატაკქვეშ არ მიერეკება მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციურ პარტიებს? რა საფუძვლით მოითხოვენ სსრ კავშირის პროლეტარიატისაგან სულგრძელობას მისი კლასობრივი მტრისადმი? ვფიქრობ, რომ ლოგიკა გვავალდებულებს. ვინც ფიქრობს ბურჟუაზიისათვის მისი პოლიტიკური უფლებების დაბრუნების შესაძლებლობაზე, იგი, თუ სურს ლოგიკური იყოს, უფრო შორს უნდა წავიდეს და დასვას აგრეთვე საკითხი ბურჟუაზიისათვის ფაბრიკებისა და ქარხნების, რკინიგზებისა და ბანკების დაბრუნებისა.

ერთი დელეგატთაგანი. დელეგაციის ამოცანა იყო — გამოერკვია, თუ რანაირად შეიძლება, რომ მუშათა კლასსა

და გლეხობაში არსებულმა ისეთმა აზრებმა, რომლებიც კომპარტიის აზრებისაგან განსხვავდებიან, პოვონ თავისი ლეგალური გამოხატულება. სწორი არ იქნებოდა საქმის იმგვარად გაგება, რომ დელეგაციას აინტერესებს ბურჟუაზიისათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭების საკითხი, ის საკითხი, თუ როგორ შეუძლია ბურჟუაზიას ლეგალურად გამოხატოს თავისი აზრები. ლაპარაკია სწორედ იმაზე, თუ რანაირად შეიძლება, რომ მუშათა კლასსა და გლეხობაში არსებულმა ისეთმა აზრებმა, რომლებიც განსხვავდებიან კომპარტიის აზრებისაგან, პოვონ თავისი ლეგალური გამოხატულება.

მეორე დელეგატი. ამ განსხვავებულ აზრებს შეიძლებოდა გამოხატულება ეპოვათ მუშათა კლასის მასობრივ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში და სხვ.

სტალინი. ძალიან კარგი. მაშასადამე, ლაპარაკია არა ბურჟუაზიის პოლიტიკურ უფლებათა აღდგენაზე, არამედ აზრთა ბრძოლაზე მუშათა კლასისა და გლეხობის შიგნით.

არის თუ არა ამჟამად აზრთა ბრძოლა საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხობის მშრომელი მასების შიგნით? უეჭველია, არის. შეუძლებელია, რომ მილიონობით მუშები და გლეხები ყველა პრაქტიკული საკითხისა და ყველა დეტალის გამო ერთნაირად აზროვნებდნენ. ასეთი რამ ცხოვრებაში არ ხდება. ჯერ-ერთი, არის დიდი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის მათი ეკონომიური მდგომარეობის მხრივაც და ამა თუ იმ საკითხზე მათი შეხედულებების მხრივაც. მეორეც, თვით მუშათა კლასში არსებობს შეხედულებათა ერთგვარი განსხვავება, აღზრდის განსხვავება, ასაკის, ტემპერამენტის განსხვავება, განსხვავება მკვიდრ მუშებსა და სოფლიდან მოსულ მუშებს შორის და ა. შ. ყოველივე ეს იწვევს აზრთა ბრძოლას მუშებისა და გლეხობის მშრომელი მასების შიგნით, რაც თავის ლეგალურ გამოხატულებას პოულობს კრებებზე, პროფკავში-

რებში, კოოპერაციაში, საბჭოების არჩევნების დროს და ა. შ.

მაგრამ აზრთა ბრძოლას შორის ახლა, პროლეტარული დიქტატურის პირობებში, და აზრთა ბრძოლას შორის წარსულში, ოქტომბრის რევოლუციამდე, ძირეული განსხვავებაა. მაშინ, წარსულში, აზრთა ბრძოლა მუშებსა და მშრომელ გლეხებს შიგნით წარმოებდა, უმთავრესად, მემამულეების, ცარიზმის, ბურჟუაზიის დამხობის საკითხების გამო, ბურჟუაზიული წესწყობილების დამსხვრევის გამო. ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, აზრთა ბრძოლა ხდება არა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის, საბჭოთა წესწყობილების დამსხვრევის საკითხების ირგვლივ, არამედ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა გაუმჯობესების, მათი მუშაობის გაუმჯობესების საკითხების ირგვლივ. აქ ძირეული განსხვავებაა.

არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ აზრთა ბრძოლა არსებული წესწყობილების რევოლუციური დამსხვრევის საკითხის ირგვლივ წარსულში იძლეოდა საფუძველს რამდენიმე ერთიმეორის მეტოქე პარტიის წარმოშობისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების შიგნით. ეს პარტიები იყვნენ: ბოლშევიკების პარტია, მენშევიკების პარტია, ესერების პარტია. მეორე მხრივ, სრულიად არ არის ძნელი იმის გაგებაც, რომ აზრთა ბრძოლა ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ბრძოლა, რომელსაც მიზნად აქვს არა არსებული საბჭოთა წესწყობილების დამსხვრევა, არამედ მისი გაუმჯობესება და განმტკიცება, საზრდოს არ იძლევა რამდენიმე პარტიის არსებობისათვის მუშებსა და სოფლის მშრომელ მასებს შორის.

აი რატომ არის, რომ მხოლოდ ერთი პარტიის, კომუნისტების პარტიის, ლეგალობა, ამ პარტიის მონოპოლია, არა თუ არ იწვევს შემოდავებას მუშათა და მშრომელ

გლეხთა შორის, არამედ, პირიქით, ამას ისინი უყურებენ როგორც რაღაც აუცილებელსა და სასურველს.

ჩვენი პარტიის, როგორც ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ლეგალური პარტიის, მდგომარეობა (კომპარტიის მონოპოლია) არ არის რაღაც ხელოვნური და განზრახ მოგონილი. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება შეიქმნას ხელოვნურად, ადმინისტრაციული მახინაციების გზით და ა. შ. ჩვენი პარტიის მონოპოლია წარმოიშვა ცხოვრებიდან, შეიქმნა ისტორიულად, როგორც იმის შედეგი, რომ ესერებისა და მენშევიკების პარტიები ჩვენი სინამდვილის პირობებში საბოლოოდ გაკოტრდნენ და ჩამოშორდნენ სცენას.

რანი იყვნენ ესერებისა და მენშევიკების პარტიები წარსულში? პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელნი. რა ასაზრდოებდა და რა უწყობდა ხელს ამ პარტიების არსებობას 1917 წლის ოქტომბრამდე? ბურჟუათა კლასის არსებობა, ბოლოს, ბურჟუაზიული ძალაუფლების არსებობა. განა ცხადი არ არის, რომ ბურჟუაზიის დამხობასთან ერთად უნდა გამქრალიყო ამ პარტიების არსებობის საფუძველი?

ხოლო რანი გახდნენ ეს პარტიები 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ? ისინი გახდნენ კაპიტალიზმის აღდგენისა და პროლეტარიატის ხელისუფლების დამხობის პარტიები. განა ცხადი არ არის, რომ ამ პარტიებს ყოველგვარი ნიადაგი და ყოველგვარი გავლენა უნდა დაეკარგათ მუშებსა და გლეხობის მშრომელ ფენებს შორის?

ბრძოლა მუშათა კლასზე გავლენისათვის კომუნისტების პარტიასა და ესერების და მენშევიკების პარტიებს შორის გუშინ კი არ დაწყებულა. მისი დასაწყისი განეკუთვნება იმ მომენტს, როცა რუსეთში გამოჩნდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის პირველი ნიშნები, ჯერ კიდევ 1905 წლამდე. 1903 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე განვლილი პერიოდი არის პერიოდი აზრთა გააფთრებული

ბრძოლისა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასში, პერიოდი ბრძოლისა ბოლშევიკებსა, მენშევიკებსა და ესერებს შორის მუშათა კლასში გავლენისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში სსრ კავშირის მუშათა კლასმა სამი რევოლუცია განვლო. ამ რევოლუციების ქარცეცხლში ცდიდა და ამოწმებდა იგი ამ პარტიებს, მათს გამოსადეგობას პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის, მათს პროლეტარულ რევოლუციურობას. და აი, 1917 წლის ოქტომბრის დღეებისათვის, როცა ისტორიამ შეაჯამა მთელი წარსული რევოლუციური ბრძოლის შედეგი, როცა ისტორიამ თავის სასწორზე აწონა მუშათა კლასის შიგნით მებრძოლი პარტიების ხვედრითი წონა, — სსრ კავშირის მუშათა კლასმა, ბოლოს, მოახდინა საბოლოო არჩევანი, — იგი შეჩერდა კომუნისტურ პარტიაზე, როგორც ერთადერთ პროლეტარულ პარტიაზე.

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მუშათა კლასის არჩევანი შეჩერდა კომუნისტურ პარტიაზე? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ბოლშევიკები პეტროგრადის საბჭოში, მაგალითად, 1917 წლის აპრილში, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ესერებსა და მენშევიკებს მაშინ საბჭოებში უდიდესი უმრავლესობა ჰყავდათ? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ოქტომბრის დღეებისათვის ხელისუფლების მთელი აპარატი და იძულების ყველა საშუალება ესერებისა და მენშევიკების პარტიების ხელში იყო, რომლებსაც ბლოკი ჰქონდათ შეკრული ბურჟუაზიასთან?

ეს აიხსნება იმით, რომ კომპარტია მაშინ მოითხოვდა ომის ლიკვიდაციას, დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ზავს, მაშინ როცა ესერებისა და მენშევიკების პარტიები იცავდნენ «ომს ძლევამოსილ დასასრულამდე», იმპერიალისტური ომის განგრძობას.

ეს აიხსნება იმით, რომ კომპარტია მაშინ მოითხოვდა კერენსკის მთავრობის დამხობას, ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობას, ფაბრიკებისა და ქარხნების, ბანკებისა და

რკინიგზების ნაციონალიზაციას, მაშინ როცა მენშევიკებისა და ესერების პარტიები იბრძოდნენ კერენსკის მთავრობისათვის და იცავდნენ ბურჟუაზიის უფლებებს ფაბრიკებისა და ქარხნების, ბანკებისა და რკინიგზების მიმართ.

ეს აიხსნება იმით, რომ კომუნისტების პარტია მაშინ მოითხოვდა მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ კონფისკაციას გლეხთა სასარგებლოდ, მაშინ როცა ესერებისა და მენშევიკების პარტიები ამ საკითხს აჭიანურებდნენ დამფუძნებელ კრებამდე, რომლის მოწვევას, თავის მხრივ, აჭიანურებდნენ განუსაზღვრელ დრომდე.

რაღა არის აქ გასაკვირველი, თუ მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა, ბოლოს, მოახდინეს არჩევანი კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ?

რაღა არის აქ გასაკვირველი, თუ ესერებისა და მენშევიკების პარტიები ასე მალე დაეშვნენ ფსკერისაკენ?

აი სად არის კომპარტიის მონოპოლიის წყარო და აი რატომ მოექცა კომუნისტური პარტია ხელისუფლების სათავეში.

შემდგომი პერიოდი, 1917 წლის ოქტომბრის მერმინდელი პერიოდი, სამოქალაქო ომის პერიოდი იყო მენშევიკებისა და ესერების პარტიათა საბოლოო დაღუპვის პერიოდი, ბოლშევიკების პარტიის საბოლოო გამარჯვების პერიოდი. მენშევიკებმა და ესერებმა თვითონ გააადვილეს ამ პერიოდში კომპარტიის გამარჯვება. ოქტომბრის გადატრიალების დროს დამარცხებული და ფსკერზე დაშვებული მენშევიკური და ესერული პარტიების ნამსხვრევები დაუკავშირდნენ კულაკების კონტრრევოლუციურ აჯანყებებს, ბლოკი შეკრეს კოლჩაკელებთან და დენიკინელებთან, დადგნენ ანტანტის სამსახურში და საბოლოოდ დაისამარეს თავი მუშებისა და გლეხების თვალში. ისეთი სურათი შეიქმნა, რომ ესერები და მენშევიკები, რომლებიც ბურჟუაზიული რევოლუციონერებიდან ბურჟუაზიულ კონტრრე-

ვოლუციონერებად გადაიქცნენ, ეხმარებოდნენ ანტანტას ახალი, საბჭოთა რუსეთის ჩახრჩობაში, მაშინ როცა ბოლშევიკების პარტია თავის გარშემო აერთიანებდა ყოველივეს, რაც ცოცხალი და რევოლუციური იყო, და მუშათა და გლეხთა სულ ახალ-ახალ რაზმებს აღაგზნებდა სოციალისტური სამშობლოსათვის საბრძოლველად, ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სავსებით ბუნებრივია, რომ კომუნისტების გამარჯვებას ამ პერიოდში უნდა მოჰყოლოდა და მართლაც მოჰყვა ესერებისა და მენშევიკების სრული დამარცხება. რაღა არის აქ გასაკვირველი, თუ კომპარტია ყოველივე ამის შემდეგ გახდა მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ერთადერთი პარტია?

აი როგორ შეიქმნა ჩვენში მონოპოლია კომპარტიისა, როგორც ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ლეგალური პარტიისა.

თქვენ ლაპარაკობთ აზრთა ბრძოლაზე მუშათა და გლეხთა შორის ახლა, პროლეტარული დიქტატურის პირობებში. მე უკვე ვთქვი, რომ აზრთა ბრძოლა არის და იქნება, რომ უამისოდ შეუძლებელია წინსვლა. მაგრამ აზრთა ბრძოლა მუშებს შორის ახლანდელ პირობებში წარმოებს არა პრინციპული საკითხის — საბჭოთა წესწყობილების დამხობის საკითხის გარშემო, არამედ საბჭოების გაუმჯობესების, საბჭოთა ორგანოების შეცდომათა გამოსწორების, მაშასადამე, — საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პრაქტიკული საკითხების გარშემო. სავსებით გასაგებია, რომ აზრთა ასეთ ბრძოლას შეუძლია მხოლოდ განამტკიცოს და უფრო სრულყოს კომუნისტური პარტია. სავსებით გასაგებია, რომ აზრთა ასეთ ბრძოლას შეუძლია მხოლოდ განამტკიცოს კომპარტიის მონოპოლია. სავსებით გასაგებია, რომ აზრთა ასეთი ბრძოლა არ შეიძლება იძლეოდეს საზრდოს სხვა პარტიების

წარმოშობისათვის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წიაღში.

მე-5 კითხვა. შეგიძლიათ თუ არა მოკლედ გვაცნობოთ ძირითადი უთანხმოებანი თქვენსა და ტროცკის შორის?

პასუხი. უწინარეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ უთანხმოებანი ტროცკისთან არ წარმოადგენენ პირადი ხასიათის უთანხმოებებს. უთანხმოებებს რომ პირადი ხასიათი ჰქონდეთ, პარტია ერთ საათსაც კი არ მოანდომებდა ამ საქმეს, ვინაიდან მას არ უყვარს, რომ ცალკეული პირები წამოიჭიმონ.

როგორც ჩანს, ლაპარაკია პარტიაში არსებულ უთანხმოებებზე. მე ასე გავიგე ეს კითხვა. დიახ, ეს უთანხმოებანი არსებობენ პარტიაში. ამ უთანხმოებათა ხასიათის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ილაპარაკეს ამ ცოტა ხნის წინათ თავის მოხსენებებში რიკოვმა — მოსკოვში, ბუხარინმა — ლენინგრადში. ეს მოხსენებანი გამოქვეყნებულია. იმას, რაც ამ მოხსენებებშია ნათქვამი უთანხმოებათა შესახებ, მე ვერაფერს დავუმატებ. თუ ეს დოკუმენტები არა გაქვთ, შემიძლია გიშოვოთ. (დელეგაციაიუწყება, რომ მასაქვს ეს დოკუმენტები).

ერთი დელეგატთაგანი. ჩვენ შეგვეკითხებიან ამ უთანხმოებათა შესახებ, რომლებსაც დავბრუნდებით, მაგრამ ჩვენ ყველა დოკუმენტი არა გვაქვს. მაგალითად, არა გვაქვს «83-ის პლატფორმა».

სტალინი. მე ამ «პლატფორმაზე» ხელი არ მომიწერია. უფლება არა მაქვს სხვისი დოკუმენტების განმკარგულებელი ვიყო. (სიცილი).

მე-6 კითხვა. კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების განვითარების ძირითადი სტიმული მოგების მიღების იმედზეა დამყარებული. სსრ კავშირში ეს სტიმული, რა თქმა უნდა, შედარებით, არ არსებობს. რა სწევს მის მაგიერობას,

და, თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია ეს სამაგიერო? შეიძლება თუ არა იგი მუდმივი იყოს?

პასუხი. ეს მართალია, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი მამოძრავებელია მოგების მიღება. მართალია აგრეთვე ისიც, რომ მოგების მიღება არ წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის არც მიზანს, არც მამოძრავებელს. მაშ რა არის ამ შემთხვევაში ჩვენი ინდუსტრიის მამოძრავებელი?

უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ ფაბრიკები და ქარხნები ჩვენში ეკუთვნის მთელ ხალხს, და არა კაპიტალისტებს, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებს განაგებენ არა კაპიტალისტთა მიერ დაყენებული პირნი, არამედ მუშათა კლასის წარმომადგენლები. იმის შეგნება, რომ მუშები მუშაობენ არა კაპიტალისტისათვის, არამედ თავიანთი საკუთარი სახელმწიფოსათვის, თავიანთი საკუთარი კლასისათვის, — ეს შეგნება უდიდეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ფაბრიკებისა და ქარხნების დირექტორთა უდიდეს უმრავლესობას მუშები შეადგენენ, რომლებსაც ნიშნავს, პროფკავშირებთან შეთანხმებით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ამასთან არც ერთ დირექტორს არ შეუძლია დარჩეს თავის პოსტზე მუშების ან სათანადო პროფკავშირების ნება-სურვილის წინააღმდეგ.

შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ თვითეულ ქარხანასა თუ ფაბრიკაში არსებობს საქარხნო ან საფაბრიკო კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ მუშები და რომელიც კონტროლს უწევს საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თვითეულ სამრეწველო საწარმოში არსებობს მუშათა საწარმოო თათბი-

რები, რომლებშიც შედის ამ საწარმოს ყველა მუშა, და სადაც მუშები ამოწმებენ საწარმოს დირექტორის მთელ მუშაობას, განიხილავენ ქარხნის ადმინისტრაციის მუშაობის გეგმას, აღნიშნავენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს და შესაძლებლობა აქვთ გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი პროფკავშირების საშუალებით, პარტიის საშუალებით, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ყველა ეს გარემოება ძირფესვიანად ცვლის როგორც მუშების მდგომარეობას, ისე წესებს საწარმოში. თუ კაპიტალიზმის დროს მუშა ფაბრიკას უყურებს როგორც სხვის და მისთვის უცხო საკუთრებას, ან როგორც საპატიმროსაკი, საბჭოთა წესწყობილების დროს მუშა ფაბრიკას უყურებს უკვე არა როგორც საპატიმროს, არამედ როგორც თავის ახლობელ და მშობლიურ საქმეს, რომლის განვითარებითა და გაუმჯობესებით ის სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული.

არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ მუშების ეს ახალი დამოკიდებულება ქარხნისადმი, საწარმოსადმი, საწარმოსთან მუშების სიახლოვის ეს გრძნობა წარმოადგენს მთელი ჩვენი მრეწველობის უდიდეს მამოძრავებელ ძალას.

ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ წარმოების ტექნიკის დარგში გამომგონებელთა და მრეწველობის ორგანიზატორთა რიცხვი მუშათა წრიდან დღითიდღე იზრდება.

მეორეც, ის გარემოება, რომ მრეწველობის შემოსავალი ჩვენში ხმარდება არა ცალკეული პირების გამდიდრებას, არამედ მრეწველობის შემდგომ გაფართოებას, მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც მუშებისათვის, ისე გლეხებისათვის საჭირო სამრეწველო საქონლის გაია-

ფებას, ე. ი. ისევ მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კაპიტალისტს არ შეუძლია თავისი შემოსავალი მოახმაროს მუშათა კლასის კეთილდღეობის ამაღლებას. ის მოგებისათვის ცხოვრობს. სხვანაირად ის არც იქნებოდა კაპიტალისტი. ის იღებს მოგებას იმისათვის, რომ შეაერთოს იგი დამატებით კაპიტალად და ახალი, კიდევ უფრო დიდი მოგების მიზნით გაიტანოს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ასე მიედინება კაპიტალი ჩრდილო ამერიკიდან ჩინეთში, ინდონეზიაში, სამხრეთ ამერიკაში, ევროპაში, საფრანგეთიდან — საფრანგეთის კოლონიებში, ინგლისიდან — ინგლისის კოლონიებში.

ჩვენში საქმე სხვანაირად არის, ვინაიდან ჩვენ არ ვატარებთ და არა ვცნობთ კოლონიურ პოლიტიკას. ჩვენში მრეწველობის შემოსავალი რჩება ჩვენს ქვეყანაშივე და ხმარდება ინდუსტრიის შემდგომ გაფართოებას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, საშინაო ბაზრის, მათ შორის გლეხური ბაზრის, ტევადობის გადიდებას სამრეწველო საქონლის გაიაფების გზით. მრეწველობიდან მიღებული მოგების დაახლოებით 10 პროცენტი ჩვენში ხმარდება მუშათა კლასის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას. მუშათა ფულადი ხელფასის 13 პროცენტი ჩვენში ხმარდება მუშათა კლასის დაზღვევას სახელმწიფოს ხარჯზე. შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი (არ შემიძლია ახლა ვთქვა — სახელდობრ რა ნაწილი) ხმარდება კულტურულ საჭიროებებს, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობას და მუშების შვებულებებს. ამ შემოსავლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (არც იმის თქმა შემიძლია ახლა — სახელდობრ რა ნაწილი) ხმარდება მუშათა ფულადი ხელფასის გადიდებას. მრეწველობის შემოსავლის დანარჩენი ნაწილი ხმარდება მრეწველობის შემდგომ გაფართოებას, ძველი

ქარხნების რემონტს, ახალი ქარხნების აგებას, დასასრულ, სამრეწველო საქონლის გაიაფებას.

ამ გარემოებათა უდიდესი მნიშვნელობა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის იმაში მდგომარეობს, რომ:

ა) ისინი აადვილებენ სოფლის მეურნეობის დაახლოებას ინდუსტრიასთან და ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებულობის შესუსტებას;

ბ) ისინი ხელს უწყობენ საშინაო ბაზრის, ქალაქისა და სოფლის ბაზრის, ტევადობის ზრდას, რითაც ქმნიან განუწყვეტლივ მზარდ ბაზას ინდუსტრიის შემდგომი გაშლისათვის.

მესამეც, ის გარემოება, რომ მრეწველობის ნაციონალიზაციის ფაქტი აადვილებს საერთოდ მთელი სამრეწველო მეურნეობის გეგმიანად წარმართვას.

წარმოადგენენ თუ არა ჩვენი მრეწველობის ეს სტიმულები და მამოძრავებელნი მუდმივ ფაქტორებს? შეიძლება თუ არა ისინი იყვნენ მუდმივად მოქმედი ფაქტორები? დიახ, ისინი უეჭველად წარმოადგენენ მუდმივად მოქმედ სტიმულებსა და მამოძრავებლებს. და რაც უფრო განვითარდება ჩვენი ინდუსტრია, მით უფრო გაიზრდება ამ ფაქტორების ძალა და მნიშვნელობა.

მე-7 კითხვა. რამდენად შეუძლია სსრ კავშირს ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების კაპიტალისტურ მრეწველობასთან?

არის თუ არა გარკვეული საზღვარი ასეთი თანამშრომლობისათვის, თუ ეს მხოლოდ ცდაა იმის გამოსარკვევად, რა ნაწილში რა თანამშრომლობაა შესაძლებელი და რა ნაწილში არ არის შესაძლებელი?

პასუხი. ლაპარაკია, ალბათ, დროებით შეთანხმებებზე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მრეწველობის

დარგში, ვაჭრობის დარგში და, იქნებ, დიპლომატიურ ურთიერთობათა დარგშიც.

ვფიქრობ, რომ ორი მოპირდაპირე სისტემის — კაპიტალისტური სისტემისა და სოციალისტური სისტემის — არსებობა არ გამორიცხავს ასეთ შეთანხმებათა შესაძლებლობას. ვფიქრობ, რომ ასეთი შეთანხმებანი შესაძლებელი და მიზანშეწონილია მშვიდობიანი განვითარების პირობებში.

ექსპორტი და იმპორტი ყველაზე შესაფერ ნიადაგს წარმოადგენენ ასეთ შეთანხმებათათვის. ჩვენ გვჭირდება: მოწყობილობა, ნედლეული (მაგალითად, ბამბა), ნახევარფაბრიკატები (ლითონისა და სხვ.), ხოლო კაპიტალისტებს სჭირდებათ ამ საქონლის გასაღება. აი ნიადაგი შეთანხმებისა. კაპიტალისტებს სჭირდებათ: ნავთი, ხე-ტყე, პურეული პროდუქტები, ჩვენთვის კი აუცილებელია ამ საქონლის გასაღება. აი ნიადაგი შეთანხმებისა. ჩვენ გვჭირდება კრედიტები, კაპიტალისტებს სჭირდებათ კარგი პროცენტები ამ კრედიტებზე. აი კიდევ ნიადაგი შეთანხმებისა უკვე კრედიტის ხაზით, ამასთან ცნობილია, რომ საბჭოთა ორგანოები ყველაზე უფრო წესიერი გადამხდელნი არიან კრედიტებისა.

იგივე შეიძლება ითქვას დიპლომატიურ დარგზედაც. ჩვენ ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას და მზადა ვართ ხელი მოვაწეროთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტებს. ჩვენ ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას და მზადა ვართ შევუთანხმდეთ სხვებს განიარაღების საკითხზე, თვით მუდმივი არმიების სრულ მოსპობამდეც კი, რაც ჩვენ განვაცხადეთ მთელი მსოფლიოს წინაშე ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე [38]. აი ნიადაგი შეთანხმებისა დიპლომატიური ხაზით.

ამ შეთანხმებათა ფარგლები? ამ ფარგლებს განსაზღვრავს ორი სისტემის დაპირისპირებულობა, რომელთა შო-

რის წარმოებს შეჯიბრება, ბრძოლა. ამ ორი სისტემისათვის დასაშვებ ჩარჩოებში, მაგრამ მხოლოდ ამ ჩარჩოებში, შეთანხმებანი სავსებით შესაძლებელია. ამას მოწმობს გერმანიასთან, იტალიასთან, იაპონიასთან და სხვებთან დადებულ შეთანხმებათა გამოცდილება.

წარმოადგენენ ეს შეთანხმებანი მხოლოდ ექსპერიმენტს თუ შეიძლება მათ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ხასიათი ექნეთ? ეს მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული, ეს დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენს კონტრაჰენტებზე. ეს დამოკიდებულია საერთო ვითარებაზე. ომს შეუძლია ყირამალა დააყენოს ყველა და ყოველგვარი შეთანხმება. დასასრულ, ეს დამოკიდებულია შეთანხმების პირობებზე. კაბალური პირობების მიღება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ გვაქვს შეთანხმება ჰარიმანთან, რომელიც ეწევა მარგანეცის მაღაროების ექსპლოატაციას საქართველოში. შეთანხმება 20 წლის ვადით არის დადებული. როგორც ხედავთ, საკმაოდ დიდი ვადაა. ჩვენ გვაქვს შეთანხმება აგრეთვე საზოგადოება ლენა-გოლდფილდსთან, რომელიც ოქროს მოპოვებაზე მუშაობს ციმბირში. შეთანხმება 30 წლის ვადით არის დადებული, — ეს კიდევ უფრო ხანგრძლივი ვადაა. გვაქვს, ბოლოს, შეთანხმება იაპონიასთან სახალინის ნავთის წყაროებისა და ქვანახშირის მაღაროების ექსპლოატაციის შესახებ.

ჩვენი სურვილია, რომ ეს შეთანხმებები მეტად თუ ნაკლებად მტკიცე იყოს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, არამედ ჩვენს კონტრაჰენტებზეც.

მე-8 კითხვა. როგორია რუსეთის ძირითადი განსხვავებანი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან მის პოლიტიკაში ეროვნულ უმცირესობათა მიმართ?

პასუხი. ლაპარაკია, როგორც ჩანს, სსრ კავშირის იმ ეროვნებათა შესახებ, რომელთაც წინათ ჩაგრავდნენ ცა-

რიზმი და რუსეთის ექსპლოატატორული კლასები და რომელთაც არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

ძირითადი განსხვავება ის არის, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებობს ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული დამონება, ჩვენში კი, სსრ კავშირში, ძირფესვიანად მოსპობილია ერთიც და მეორეც.

იქ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, პირველი თანრიგის ერების, პრივილეგიური ერების, «სახელმწიფო» ერების გვერდით, არსებობენ მეორე თანრიგის ერები, «არასახელმწიფო» ერები, არასრულუფლებიანი ერები, რომლებიც მოკლებული არიან ამა თუ იმ უფლებას და, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივ უფლებებს. ჩვენში, სსრ კავშირში, პირიქით, მოსპობილია ეროვნული უთანასწორობისა და ეროვნული ჩაგვრის ყველა ეს ატრიბუტი. ჩვენში ყველა ერი თანასწორუფლებიანი და სუვერენულია, ვინაიდან წინათ გაბატონებული ველიკოროსი ერის ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრივილეგიები მოსპობილია.

ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა დეკლარაციებზე ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის შესახებ. დეკლარაციები ეროვნული თანასწორუფლებიანობის შესახებ ბლომად აქვთ ყველა ჯურის ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს. რა ფასი აქვს დეკლარაციებს, თუ ისინი არ ტარდება ცხოვრებაში? საქმე ისაა, რომ მოსპო ის კლასები, რომლებიც ეროვნული ჩაგვრის გამომხატველნი, შემქმნელნი და გამტარებელნი არიან. ასეთი კლასები იყვნენ ჩვენში მემამულეები, კაპიტალისტები. ჩვენ დავამხეთ ეს კლასები და ამით მოვსპეთ ეროვნული ჩაგვრის შესაძლებლობა. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დავამხეთ ეს კლასები, შესაძლებელი გახდა ჩვენში ნამდვილი ეროვნული თანასწორუფლებიანობა.

აი ამას ეწოდება ჩვენში ერების თვითგამორკვევის იდეის განხორციელება, თვით გამოყოფამდე. სწორედ იმი-

ტომ, რომ ჩვენ განვახორციელეთ ერების თვითგამორკვევა, სწორედ ამიტომ შევძელით ჩვენ აღმოგვეფხრა სსრ კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელი მასების ურთიერთუნდობლობა და გაგვეერთიანებინა ერები ნებაყოფლობის საფუძველზე ერთ საკავშირო სახელმწიფოდ. ახლა არსებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის შედეგი და ერთ საკავშირო სახელმწიფოდ სსრ კავშირის ერთა ნებაყოფლობითი ფედერაციული გაერთიანების გამოხატულება.

არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, ვინაიდან იქ ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ დგანან კაპიტალისტები, რომლებიც ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის შემქმნელნი და გამტარებელნი არიან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ სსრ კავშირში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სათავეში დგას არა უთუოდ რუსი თავმჯდომარე, არამედ ექვსი თავმჯდომარე, სსრ კავშირში გაერთიანებული ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის რიცხვის მიხედვით, რომელთაგან ერთია რუსი (კალინინი), მეორე — უკრაინელი (პეტროვსკი), მესამე — ბელორუსი (ჩერვიაკოვი), მეოთხე — აზერბაიჯანელი (მუსაბეკოვი), მეხუთე — თურქმენი (აიტაკოვი), მეექვსე — უზბეკი (ფაიზულა ხოჯაევი). ეს ფაქტი ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ არც ერთი ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რაგინდ უაღრესად დემოკრატიულიც იყოს იგი, არ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს. ამავე დროს კი ეს ნაბიჯი ჩვენთვის არის ისეთი ფაქტი, რომელიც თავისთავად იგულისხმება და გამომდინარეობს ეროვნული თანასწორუფლებიანობის მთელი ჩვენი პოლიტიკიდან.

მე-9 კითხვა. ამერიკის მუშათა ბელადები თავიანთ ბრძოლას კომუნისტებთან ამართლებენ ორი გარემოებით:

1) კომუნისტები ანგრევენ მუშათა მოძრაობას თავიანთი ფრაქციული ბრძოლით კავშირების შიგნით და თავიანთი თავდასხმებით არარადიკალურ თანამდებობრივ პირებზე პროფკავშირებში;

2) ამერიკელი კომუნისტები განკარგულებებს ღებულობენ მოსკოვიდან და ამიტომ არ შეიძლება იყვნენ კარგი პროფკავშირული მოღვაწენი, რამდენადაც მათი ლოიალობა უცხოეთის ორგანიზაციის მიმართ აღემატება ლოიალობას თავისი კავშირის მიმართ.

როგორ შეიძლება ამ სიძნელის აცილება იმ მიზნით, რომ ამერიკელ კომუნისტებს შეეძლოთ ერთობლივი მუშაობის წარმოება ამერიკის მუშათა მოძრაობის სხვა უჯრედებთან ერთად?

პასუხი. ვფიქრობ, რომ ამერიკის მუშათა ლიდერების ცდა - - გაამართლონ თავიანთი ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ჯერ კიდევ არავის არ დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებს, რომ კომუნისტები ანგრევენ მუშათა მოძრაობას. სამაგიეროდ საკმაოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ კომუნისტები არიან მუშათა მოძრაობის ყველაზე ერთგული და ყველაზე გაბედული მებრძოლნი მთელ მსოფლიოში, მაშასადამე — ამერიკაშიც.

განა ფაქტი არ არის, რომ მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს კომუნისტები გამოდიან მუშათა კლასის პირველ რიგებში და თავის თავზე ღებულობენ კაპიტალისტების პირველ დარტყმებს, მაშინ როდესაც მუშათა რეფორმისტი ლიდერები ამ დროს კაპიტალისტების ღობე-ყორეს უფარებიან? როგორ შეუძლიათ კომუნისტებს არ გააკრიტიკონ მუშათა რეფორმისტი ლიდერების ლაჩრობა და რეაქციულობა? განა ცხადი არ არის, რომ

ასეთ კრიტიკას შეუძლია მხოლოდ გამოაცოცხლოს და განამტკიცოს მუშათა მოძრაობა?

მართალია, ასეთი კრიტიკა ძირს უთხრის მუშათა რეაქციული ლიდერების ავტორიტეტს. მერე და რა მოხდა? ღაე მუშათა რეაქციულმა ლიდერებმა უპასუხონ ამას კონტრკრიტიკით, და არა კომუნისტების განდევნით პროფკავშირებიდან.

ვფიქრობ, რომ ამერიკის მუშათა მოძრაობა, თუ კი მას სურს იარსებოს და შემდგომ განვითარდეს, ვერ შესძლებს ამას პროფკავშირების შიგნით აზრთა და მიმდინარეობათა ბრძოლის გარეშე. ვფიქრობ, რომ აზრთა და მიმდინარეობათა ბრძოლა პროფკავშირების შიგნით, რეაქციული ლიდერების გაკრიტიკება და სხვ. სულ უფრო და უფრო გაიზრდება, რაგინდ წინააღუდგნენ ამას მუშათა რეფორმისტი ლიდერები. ხოლო ამერიკის მუშათა კლასისათვის აბსოლუტურად აუცილებელია აზრთა ასეთი ბრძოლა და ასეთი კრიტიკა იმისათვის, რომ მან შესძლოს მოახდინოს არჩევანი სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის და, ბოლოს და ბოლოს, თვითგამოერკვეს, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზებული ძალა ამერიკის საზოგადოების შიგნით.

ამერიკის რეფორმისტი ლიდერების ჩივილი კომუნისტებზე მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ისინი დარწმუნებული არ არიან თავიანთ სიმართლეში, არ გრძნობენ თავიანთი მდგომარეობის სიმტკიცეს. სწორედ ამიტომ ეშინიათ მათ კრიტიკისა, როგორც შავი ჭირისა. საგულისხმოა, რომ ამერიკის მუშათა ლიდერები, თურმე, უფრო გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ელემენტარულ დემოკრატიას, ვიდრე ბევრი ბურჟუა იმავე ამერიკაში.

სრულიად არ არის მართალი მტკიცება, რომ ამერიკელი კომუნისტები მუშაობენ «მოსკოვიდან მიღებული განკარგულებებით». თქვენ ვერ იპოვით მსოფლიოში ისეთ კომუნისტებს, რომლებიც დათანხმდებოდნენ ემოქმედნათ გარედან

მიღებული «განკარგულებებით», საკუთარი რწმენის წინააღმდეგ, საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ, ვითარების მოთხოვნების წინააღმდეგ. ასეთი კომუნისტები რომ კიდეც სადმე არსებობდნენ, გროშად არ ეღირებოდნენ.

კომუნისტები ყველაზე გაბედული და მამაცი ადამიანები არიან, ისინი აწარმოებენ ბრძოლას ურიცხვი მტრების წინააღმდეგ. სხვათა შორის, კომუნისტების ღირსებას სწორედ ის შეადგენს, რომ მათ შესწევთ უნარი დაიცვან საკუთარი რწმენა. ამიტომ უცნაურია ლაპარაკი ამერიკელ კომუნისტებზე, როგორც ისეთ ადამიანებზე, რომელთაც არა აქვთ საკუთარი რწმენა და შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ გარედან მიღებული «განკარგულებებით».

მუშათა ლიდერების მტკიცებაში სწორია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ამერიკელი კომუნისტები შედიან კომუნისტების საერთაშორისო ორგანიზაციაში და დროგამოშვებით ამა თუ იმ საკითხზე ეთათბირებიან ამ ორგანიზაციის ცენტრს. მერე რა არის აქ ცუდი? განა ამერიკის მუშათა ლიდერები წინააღმდეგი არიან მუშათა საერთაშორისო ცენტრის ორგანიზაციისა? მართალია, ისინი არ შედიან ამსტერდამის [39] შემადგენლობაში. მაგრამ ისინი არ შედიან იქ არა იმიტომ, რომ წინააღმდეგი არიან მუშათა საერთაშორისო ცენტრისა, არამედ იმიტომ, რომ ამსტერდამს ისინი მეტად მემარცხენე ორგანიზაციად თვლიან. (სიცილი).

რატომ შეუძლიათ კაპიტალისტებს გაერთიანდნენ ინტერნაციონალური მასშტაბით, ხოლო მუშათა კლასს ან მუშათა კლასის ნაწილს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი საერთაშორისო ორგანიზაცია?

განა ცხადი არ არის, რომ გრინი და მისი მეგობრები ამერიკის შრომის ფედერაციიდან [40] ცილს სწამებენ ამერიკელ კომუნისტებს, როცა ბრმად იმეორებენ კაპიტალისტების ლეგენდებს «მოსკოვიდან მიღებულ განკარგულებათა» შესახებ?

არიან ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის წევრები მოსკოვში მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ სხედან და წერენ დირექტივებს ყველა ქვეყნისათვის. რადგან კომინტერნში 60-ზე მეტი ქვეყანა შედის, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ კომინტერნის წევრთა ძდგომარეობა, რომელთაც არც სძინავთ, არც ჭამენ და მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ სხედან და დღე-დაღამ წერენ დირექტივებს ამ ქვეყნებისათვის. (სიცილი). და ამ სასაცილო ლეგენდით სურთ ამერიკის მუშათა ლიდერებს დაფარონ თავიანთი შიში კომუნისტების წინაშე და მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ კომუნისტები წარმოადგენენ ამერიკის მუშათა კლასის ყველაზე გაბედულ და ყველაზე ერთგულ მუშაკებს!

დელეგაცია გვეკითხება, თუ რა გამოსავალია ასეთი ძდგომარეობიდან. ვფიქრობ, რომ აქ გამოსავალი ერთია: დაშვებულ იქნას აზრთა და მიმდინარეობათა ბრძოლა ამერიკის პროფკავშირების შიგნით, უკუგდებულ იქნას რეაქციული პოლიტიკა პროფკავშირებიდან კომუნისტების გაძევებისა და შესაძლებლობა მიეცეს ამერიკის მუშათა კლასს მოახდინოს თავისუფალი არჩევანი ამ მიმდინარეობათა შორის, ვინაიდან ამერიკას ჯერ არ ჰქონია თავისი ოქტომბრის რევოლუცია, და იქ მუშებს ჯერ კიდევ არ მისცემიათ შესაძლებლობა მოეხდინათ საბოლოო არჩევანი პროფკავშირებში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის.

მე-10 კითხვა. იგზავნება თუ არა ამჟამად ამერიკაში ფული ამერიკის კომპარტიის ან კომუნისტურ გაზეთ «დეილი უორკერის» დასახმარებლად?

და თუ არა, რამდენი შეაქვთ ამერიკელ კომუნისტებს III ინტერნაციონალში ყოველწლიური საწევრო შესატანის სახით?

პასუხი. თუ ლაპარაკია ამერიკის კომპარტიისა და III ინტერნაციონალის ურთიერთდამოკიდებულებაზე, უნდა ვთქვა, რომ ამერიკის კომპარტიას, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის ნაწილს, ალბათ, შეაქვს კომინტერნში საწევრო შესატანი; ასევე კომინტერნი, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცენტრი, უნდა ვიფიქროთ, შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს ამერიკის კომპარტიას, როცა ამას აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს. ვფიქრობ, აქ არაფერია გასაკვირველი და არაჩვეულებრივი.

ხოლო თუ ლაპარაკია ამერიკის კომპარტიისა და სსრ კავშირის კომპარტიის ურთიერთდამოკიდებულებაზე, უნდა განვაცხადო, რომ არ ვიცი არც ერთი შემთხვევა. როდესაც ამერიკის კომპარტიის წარმომადგენლებს ეთხოვოთ დახმარება სსრ კავშირის კომპარტიისაგან. თქვენ შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ ეს, მაგრამ ეს ფაქტია, რომელიც მოწმობს ამერიკელი კომუნისტების ერთობ დიდ მოკრძალებას.

მაგრამ რა მოხდებოდა, ამერიკის კომპარტიას რომ დახმარება ეთხოვა სსრ კავშირის კომპარტიისაგან? ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის კომპარტია შესაძლებელ დახმარებას გაუწევდა მას. მართლაც, რად ეღირებოდა ის კომპარტია, რომელიც ამასთანავე ხელისუფლების სათავეში დგას, მას რომ უარი ეთქვა შეძლებისდაგვარად დახმარების გაწევაზე სხვა, კაპიტალიზმის უღლის ქვეშ მყოფი ქვეყნის კომპარტიისათვის? მე ვიტყოდი, რომ ასეთი კომპარტია გროშად არ ეღირებოდა.

ვთქვათ, ამერიკის მუშათა კლასმა დაამხო თავისი ბურჟუაზია და დაიპყრო ძალაუფლება; ვთქვათ, ამერიკის მუშათა კლასს, კაპიტალიზმის წინააღმდეგ დიად ბრძოლაში გამარჯვებულს, შესაძლებელი მატერიალური დახმარებისათვის მიმართა სხვა ქვეყნის მუშათა კლასმა, — განა ამერიკის მუშათა კლასს შეეძლო უარი ეთქვა ასეთ დახმარე-

ბაზე? ვფიქრობ, ის შეირცხვენდა თავს, ყოყმანი რომ დაეწყო დახმარების გაწევაში.

მე-11 კითხვა. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი კარგი კომუნისტი არა სავსებით ეთანხმება კომპარტიის მოთხოვნას, რომ ყველა ახალი წევრი იყოს ათეისტი, რადგან ამჟამად რეაქციული სამღვდელოება დათრგუნვილია. შეუძლია თუ არა კომპარტიას მომავალში ნეიტრალური იყოს რელიგიის მიმართ, რომელიც მხარს დაუჭერდა საერთოდ მთელ მეცნიერებას და წინ არ აღუდგებოდა კომუნიზმს?

შესძლებდით თუ არა თქვენ მომავალში ნება დაგერთოთ პარტიის წევრებისათვის ჰქონოდათ რელიგიური რწმენა, თუ ეს რწმენა არ დაშორდებოდა პარტიულ ლოიალობას?

პასუხი. ამ კითხვაში რამდენიმე უსწორობაა.

ჯერ-ერთი, მე არ ვიცნობ ისეთ «კარგ კომუნისტებს», რომელთა შესახებ აქ ლაპარაკობს დელეგაცია. არა მგონია, საერთოდ ასეთი კომუნისტები არსებობდნენ ბუნებაში.

მეორეც, უნდა განვაცხადო, რომ, ფორმალურად თუ ვიტყვით, ჩვენ არა გვაქვს პარტიაში წევრად მიღების ისეთი პირობები, რომლებიც პარტიის წევრობის კანდიდატისაგან აუცილებლად მოითხოვდნენ ათეიზმს. ჩვენი პირობები პარტიაში მიღებისა ასეთია: პარტიის პროგრამისა და წესდების აღიარება, უთუოდ დამორჩილება პარტიისა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებისადმი, საწევრო შესატანის გადახდა, პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში შესვლა.

ერთი დელეგატთაგანი. მე ძალიან ხშირად წამიკითხავს, რომ პარტიიდან რიცხავენ იმის გამო, რომ ღმერთი სწამთ.

სტალინი. მე მხოლოდ შემიძლია გავიმეორო ის, რაც უკვე ვთქვი პარტიაში მიღების პირობების შესახებ. სხვა პირობები ჩვენ არა გვაქვს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ პარტია ნეიტრალურია რელიგიის მიმართ? არა, არ ნიშნავს. ჩვენ ვეწევით პროპაგანდას და მომავალშიც გავწევთ პროპაგანდას რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ისეთია, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს აღიაროს რომორიც უნდა რელიგია. ეს თვითეულის სინდისის საქმეა. სწორედ ამიტომ გამოვყავით ჩვენ ეკლესია სახელმწიფოსაგან. მაგრამ, როცა ეკლესია გამოვყავით სახელმწიფოსაგან და გამოვაცხადეთ სარწმუნოების თავისუფლება, ამასთან ერთად ყოველ მოქალაქეს დავუტოვეთ უფლება — იბრძოლოს დაჯერების გზით, პროპაგანდისა და აგიტაციის გზით ამა თუ იმ რელიგიის წინააღმდეგ, ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგ. პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიის მიმართ, და ის ეწევა ანტირელიგიურ პროპაგანდას ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ, იმიტომ რომ პარტია მეცნიერების მხარეზეა, რელიგიური ცრურწმენანი კი მეცნიერების წინააღმდეგ მიდიან. ვინაიდან ყოველი რელიგია მეცნიერების საწინააღმდეგო მოვლენაა. ისეთი შემთხვევები, როგორიც ამერიკაში იყო, სადაც ამას წინათ გაასამართლეს დარვინისტები [41], ჩვენში შეუძლებელია, იმიტომ რომ პარტია ატარებს მეცნიერების ყოველნაირად დაცვის პოლიტიკას.

პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა მიმართ, და იგი გასწევს პროპაგანდას ამ ცრურწმენათა წინააღმდეგ, რადგან ეს არის იმის ერთ-ერთი უტყუარი საშუალება, რომ ძირი გამოეთხაროს გავლენას რეაქციული სამღვდელოებისას, რომელიც იცავს ექსპლოატატორულ კლასებს და ქადაგებს ამ კლასებისადმი მორჩილებას.

პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ, რეაქციული სამღვ-

ღალატების მიმართ, რომელიც წამლავს მშრომელი მასების შეგნებას.

დავთრგუნეთ თუ არა ჩვენ რეაქციული სამღვდელოება? დიახ, დავთრგუნეთ. ოღონდ უბედურება ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ სავსებით არ არის ლიკვიდირებული. ანტირელიგიური პროპაგანდა ის საშუალებაა, რომელმაც ბოლომდე უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე. არის შემთხვევები, როცა პარტიის ზოგიერთი წევრი ხანდახან ხელს უშლის ანტირელიგიური პროპაგანდის ყოველნაირად გაშლას. თუ პარტიის ასეთ წევრებს რიცხავენ პარტიიდან, ეს ძალიან კარგია, ვინაიდან ასეთ «კომუნისტებს» ადგილი არა აქვთ ჩვენი პარტიის რიგებში.

მე-12 კითხვა. შეგიძლიათ თუ არა თქვენ მოგვცეთ იმ მომავალი საზოგადოების მოკლე დახასიათება, რომლის შექმნასაც ცდილობს კომუნიზმი?

პასუხი. კომუნისტური საზოგადოების ზოგადი დახასიათება მოცემულია მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებში.

კომუნისტური საზოგადოების ანატომია რომ მოკლედ წარმოვიდგინოთ, ეს იქნება ისეთი საზოგადოება: ა) სადაც არ იქნება წარმოების იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება, არამედ იქნება საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრება; ბ) სადაც არ იქნებიან კლასები და სახელმწიფო ხელისუფლება, არამედ იქნებიან ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მუშაკნი, რომელნიც თავის ეკონომიურ მმართველობას ეწევიან როგორც მშრომელთა თავისუფალი ასოციაცია; გ) სადაც სახალხო მეურნეობა, გეგმის მიხედვით მოწყობილი, დაემყარება უმაღლეს ტექნიკას როგორც ინდუსტრიის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში; დ) სადაც არ იქნება დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის, ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას

შორის; ე) სადაც პროდუქტები განაწილდება ძველი ფრანგი კომუნისტების პრინციპის თანახმად: «თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით»: ვ) სადაც მეცნიერებასა და ხელოვნებას საკმაოდ ხელსაყრელი პირობები ექნებათ იმისათვის, რომ მიაღწიონ სრულ აყვავებას; ზ) სადაც პიროვნება, ლუკმა-პურისათვის ზრუნვისაგან და «ამა ქვეყნის ძლიერთა» წინაშე ფეხქვეშ გაგების აუცილებლობისაგან თავისუფალი. ნამდვილად თავისუფალი გახდება.

და სხვ. და ა. შ.

ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ასეთი საზოგადოებისაგან.

რაც შეეხება საერთაშორისო პირობებს, რომლებიც აუცილებელია კომუნისტური საზოგადოების სრული გამარჯვებისათვის, ისინი შეიქმნებიან და გაიზრდებიან რევოლუციური კრიზისებისა და მუშათა კლასის რევოლუციურ გამოსვლათა ზრდის მიხედვით კაპიტალისტურ ქვეყნებში.

არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ქვეყნის ან რამდენიმე ქვეყნის მუშათა კლასი წავა სოციალიზმისაკენ და მით უმეტეს კომუნიზმისაკენ, ხოლო სხვა ქვეყნების კაპიტალისტები გულგრილად დაუწყებენ ამას ყურებას და გულზე ხელდაკრეფილი ისხდებიან. მით უფრო არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი დათანხმდება იყოს უბრალო მაყურებელი სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარებისა ამა თუ იმ ქვეყანაში. ნამდვილად კაპიტალისტები მათზე დამოკიდებულ ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ ჩაახრჩონ ასეთი ქვეყნები. ნამდვილად ყოველ სერიოზულ ნაბიჯს სოციალიზმისაკენ და მით უმეტეს კომუნიზმისაკენ ამა თუ იმ ქვეყანაში გარდუვალად მოჰყვება კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის შეუჩერებელი მისწრა-

ფება — ბრძოლით მოიპოვოს ძალაუფლება და სოციალიზმი ამ ქვეყნებში.

ამრიგად, საერთაშორისო რევოლუციისა და საერთაშორისო რეაქციის შემდგომი განვითარების მსვლელობაში შეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც სოციალიზმისაკენ მიისწრაფიან, და კაპიტალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც კაპიტალიზმისაკენ მიისწრაფიან. ამ ორი ბანაკის ბრძოლა გადაწყვეტს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბედს მთელ მსოფლიოში.

II

ამხ. სტალინის კითხვები და დელეგატების პასუხი

სტალინი. თუ დელეგაცია ძალიან არ დაიღალა, მე ვითხოვდი ნებართვას — მიმეცა მისთვის, ჩემი მხრით, რამდენიმე კითხვა. (დელეგაცია თანხმობას აცხადებს).

1-ლი კითხვა. რით აიხსნება მუშების პროფესიული ორგანიზებულობის მცირე პროცენტი ამერიკაში?

მგონი, იქ, თქვენში, 17 მილიონამდე ინდუსტრიული მუშაა. (დელეგატები იძლევიან ცნობას, რომ იქ არის 18-დან 19 მილიონამდე ინდუსტრიული მუშა). ორგანიზებულია, მგონი, დაახლოებით 3 მილიონი. (დელეგატები იძლევიან ცნობას, რომ ამერიკის შრომის ფედერაციაში ითვლება, დაახლოებით, 3 მილიონი ორგანიზებული მუშა და, გარდა ამისა, სხვა კავშირებში არის ნახევარი მილიონი ორგანიზებული მუშა, სულ, ამგვარად,

არის 3½ მილიონი ორგანიზებული მუშა). პირადად მე ვფიქრობ, რომ მუშების პროფესიული ორგანიზებულობის ეს პროცენტი ძალიან მცირეა. ჩვენში, სსრ კავშირში, პროფკავშირებში ორგანიზებულია ჩვენი ქვეყნის ყველა პროლეტართა 90 პროცენტი. მე მინდა ვკითხო დელეგაციას, მიაჩნია თუ არა მას პროფკავშირებში მუშების შედარებით ნაკლებად ორგანიზებულობის ეს ფაქტი დადებით ფაქტად. **ხომ არ ფიქრობს დელეგაცია, რომ ეს ფაქტი მოწმობს ამერიკის პროლეტარიატის სისუსტეს, ეკონომიურ დარგში კაპიტალისტებთან მისი ბრძოლის იარაღების სისუსტეს?**

ბროფი. პროფესიული კავშირების მცირერიცხოვნება უნდა აიხსნას არა პროფესიულ ორგანიზაციებში არსებული უხეირო ტაქტიკით, არამედ ქვეყნის საერთო ეკონომიური პირობებით, რომლებიც არ აძლევენ მუშების მთელ მასას დარაზმვის სტიმულს და, ამ ხელსაყრელი ეკონომიური პირობების გამო, კვეცავენ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის აუცილებლობას. ეს პირობები, რა თქმა უნდა, შეიცვლება, და ამ პირობების შეცვლის პარალელურად პროფკავშირები გაიზრდებიან, და მთელი პროფმოძრაობა სხვა გზით წავა.

დუგლასი. ვეთანხმები წინა ორატორის მიერ მოცემულ განმარტებას. ამას დავუმატებ, რომ, ჯერ-ერთი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის მომენტი, რომ ხელფასს შეერთებულ შტატებში ამ ბოლო დროს ძალიან ადიდებენ თვით კაპიტალისტები. ხელფასის ეს გადიდება ხდებოდა 1917 წელს, 1919 წელსა და შემდეგაც. თუ ამჟამად არსებულ რეალურ ხელფასს შევადარებთ 1911 წელს არსებულ ხელფასს, დავინახავთ, რომ იგი საგრძნობლად გაზრდილა.

პროფმოძრაობა თავისი განვითარების პროცესში თავდაპირველად შენდებოდა და ახლაც შენდება ამჭრული ნიშნის მიხედვით, პროფესიის ნიშნის მიხედვით, და პროფკავ-

შირები უმთავრესად იქმნებოდნენ კვალიფიციური მუშებისათვის. ამ კავშირებს სათავეში ედგნენ განსაზღვრული ბელადები, რომლებიც წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ ორგანიზაციას და ცდილობდნენ კარგი პირობები მოეპოვებინათ თავისი წევრებისათვის. მათ არ ჰქონდათ მამოძრავებელი მიზეზები პროფესიულ კავშირთა ჩარჩოების გაფართოებისა და პროფკავშირებში არაკვალიფიციური მუშების დარაზმვისათვის.

გარდა ამისა, ამერიკის პროფმოძრაობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძალიან კარგად ორგანიზებულ კაპიტალიზმს, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს ყოველგვარი საშუალება იმისათვის, რომ წინააღუდგეს ყველა მუშის დარაზმვას პროფესიულ კავშირებში. თუ, მაგალითად, ტრესტიფიცირებული წარმოება ერთ-ერთ თავის საწარმოში აწყდება მეტად ძლიერ წინააღმდეგობას პროფკავშირის მხრით, მაშინ ის მიმართავს ისეთ ზომასაც კი, როგორიც არის ამ საწარმოს დახურვა და სამუშაოს გადატანა თავის სხვა საწარმოში. ამრიგად, მარცხდება პროფესიული კავშირის წინააღმდეგობა.

ამერიკის კაპიტალიზმი დამოუკიდებლად ადიდებს მუშების ხელფასს, მაგრამ ამასთან მათ არ აძლევს არავითარ ეკონომიურ ძალაუფლებას, არ აძლევს საშუალებას იბრძოლონ თავიანთი ცხოვრების ეკონომიური გაუმჯობესებისათვის.

შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ამერიკაში არის ის, რომ კაპიტალისტები თესავენ შუღლს სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის. უმეტეს შემთხვევაში არაკვალიფიციურ მუშებად არიან ევროპიდან ჩამოსული მუშები, ანდა, ამ ბოლო დროს, ზანგი მუშები. კაპიტალისტები ცდილობენ დათესონ შუღლი სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის. ეს დაყოფა ეროვნებათა მიხედვით ტარდება კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის ნიშნის მი-

ხედვითაც. კაპიტალისტები სისტემატურად თესავენ ანტაგონიზმს სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის, დამოუკიდებლად მათი შრომის კვალიფიციურობისა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ამერიკის კაპიტალიზმი უფრო ოსტატურ პოლიტიკას ატარებს იმ მხრივ, რომ ქმნის თავის პროფესიულ, ეგრეთწოდებულ საკომპანიო კავშირებს. ის იზიდავს მუშებს თავისი საწარმოს მუშაობაში, აინტერესებს მუშებს ამ საწარმოს მოგებით და სხვ. ამერიკის კაპიტალიზმს ეჩხნევა ტენდენცია — შეცვალოს ჰორიზონტული დაყოფა ვერტიკალური დაყოფით, ე. ი. გათიშოს მუშათა კლასი, რისთვისაც იზიდავს მას და აინტერესებს კაპიტალიზმის სასარგებლოდ.

კოილი. მე საკითხს ვუდგები არა თეორიის თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკის თვალსაზრისით. მართალია, მუშების დარაზმვა უფრო ადვილია კარგ დროებაში, მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც ამერიკის შრომის ფედერაციის წევრთა მოძრაობის სტატისტიკა მოწმობს, ამერიკის შრომის ფედერაცია თანდათან კარგავს არაკვალიფიციურ მუშებს და თავის შემადგენლობაში ადიდებს კვალიფიციურ მუშათა რაოდენობას. ამრიგად, ამერიკის შრომის ფედერაციას სურს გახდეს და თანდათან ხდება კიდეც ისეთ ორგანიზაციად, რომელსაც თავის შემადგენლობაში უმთავრესად კვალიფიციური მუშები ჰყავს.

ამერიკის პროფესიული მოძრაობა თითქმის სრულიად არ მოიცავს არაკვალიფიციურ მუშებს. პროფკავშირები არ მოიცავენ მრეწველობის მსხვილ დარგებს. მრეწველობის ამ მსხვილი დარგებიდან მხოლოდ ქვანახშირისა და რკინიგზის მრეწველობის მუშები არიან რამდენადმე ორგანიზებულნი, ისიც ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობს არაორგანიზებული მუშების 65 პროცენტი. მრეწველობის ისეთი დარგების მუშები, როგორიცაა ფოლადჩამომსხმელი, ქაუჩუკისა და საავტომობილო, თითქმის სრულებით არ

არიან პროფესიულად ორგანიზებული. შეიძლება ითქვას, რომ პროფკავშირები არ მოიცავენ არაკვალიფიციურ მუშებს.

არის ამერიკის შრომის ფედერაციის გარეთ მყოფი მთელი რიგი პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ არაკვალიფიციური და ნაკლებად კვალიფიციური მუშების დარაზმვას. რაც შეეხება ამერიკის შრომის ფედერაციის ბელადების პოზიციას, უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, ერთ-ერთმა ბელადმა, მელითონეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, სავსებით გულახდილად განაცხადა, რომ მას არ სურს ჩააბას თავის კავშირში არაკვალიფიციური მუშები. მდგომარეობა პროფკავშირთა ბელადების მხრივ ისეთია, რომ შეიქმნა ბელადების კასტა, რომელიც რამდენიმე ათეული კაცისაგან შესდგება; ისინი იღებენ უზარმაზარ განაკვეთს — წელიწადში 10 და მეტ ათას დოლარს; შეიქმნა კასტა, რომელშიც მეტად ძნელია მოხვედრა.

დუნი. ამხ. სტალინის მიერ დასმული კითხვა უმართებულოდ არის დასმული, რადგან, თუ მის ქვეყანაში პროფკავშირებში ორგანიზებულია მუშების 90 პროცენტი, აქ ძალაუფლება ეკუთვნის მუშათა კლასს, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშები წარმოადგენენ ჩაგრულ კლასს, და ბურჟუაზია ყოველგვარ ზომას მიმართავს იმისათვის, რომ არ მისცეს მუშებს პროფკავშირებად გაერთიანების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, იქ არსებობენ რეაქციული პროფკავშირები, რეაქციონერი ბელადების მეთაურობით. იმ პირობებში, რომლებიც ამერიკაში არის, მეტად ძნელია ჩაუნერგო მუშებს თვით პროფესიული კავშირების იდეა. ეს არის იმ გარემოების მიზეზი, რომ ამერიკაში პროფკავშირები ასე ნაკლებად არის გავრცელებული.

სტალინი. ეთანხმება თუ არა უკანასკნელი ორატორი წინა ორატორს იმაში, რომ ამერიკის მუშათა მოძრაობის

ზოგიერთი ლიდერი თვითონ ცდილობს პროფესიული მოძრაობის შეკვეცას?

დუნი. ვეთანხმები.

სტალინი. მე არავის წყენინება არ მინდოდა. მე მინდოდა მხოლოდ გამომერკვია ჩემთვის ამერიკაში და სსრ კავშირში არსებული მდგომარეობის განსხვავება. თუ ვინმეს ვაწყენინე, ბოდიშს ვიხდი. (დელეგატები იცინიან).

დუნი. მე სრულიადაც არა ვარ ნაწყენი.

სტალინი. არსებობს თუ არა ამერიკაში მუშების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა?

ერთ-ერთი დელეგატი. ამერიკაში არ არსებობს მუშების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა.

კოილი. შტატების უმრავლესობაში არსებობს კომპენსაცია წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევებისათვის, ამასთან მუშას უნაზღაურებენ შრომისუნარიანობის დაკარგვის მაქსიმუმ 30 პროცენტს. ასეთი მდგომარეობაა შტატების უმეტეს ნაწილში. უნაზღაურებენ კერძო ფირმები, რომელთა საწარმოებშიც მოხდა შრომისუნარიანობის დაკარგვა, მაგრამ კანონი მოითხოვს ასეთ ანაზღაურებას.

სტალინი. არის თუ არა ამერიკაში სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან?

ერთ-ერთი დელეგატი. არ არის. ფონდს, რომელიც იქმნება უმუშევრობისაგან დასაზღვევად, შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა შტატის მხოლოდ 80-დან 100 ათასამდე უმუშევარი.

კოილი. დაზღვევა (არა სახელმწიფოებრივი) არსებობს ინდუსტრიულ უბედურ შემთხვევათაგან, ე. ი. წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევათაგან. მაგრამ არ არსებობს ავადმყოფობით ან მოხუცებულობით გამოწვეული ინვალიდობის არავითარი დაზღვევა. საზღვევი ფონდი შესდგება მუშების მიერ შეტანილი თანხებიდან. არსებითად

საქმე ისაა, რომ საზღვევი ფონდის მთელ ამ თანხას იხდიან თვითონ მუშები, რადგან, მუშებს რომ არ შეექმნათ ეს ფონდი, ისინი მიიღებდნენ უმაღლეს დანამატს, ხოლო რაკი ეს ფონდი შეთანხმებულია მუშებსა და მეწარმეებს შორის, მუშები ნაკლებ დანამატს იღებენ. ეს შეადგენს ფონდის თითქმის მთელ თანხას. მეწარმეებს ფაქტიურად შეაქვთ ამ ფონდის უმნიშვნელო ნაწილი, დაახლოებით 10 პროცენტი.

სტალინი. ვფიქრობ, რომ ამხანაგებისათვის საინტერესო იქნება, თუ გაცნობებთ, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, მუშების დაზღვევას სახელმწიფოს ხარჯზე ყოველწლიურად ხმარდება 800 მილიონ მანეთზე მეტი.

ზედმეტი არ იქნება აგრეთვე გაცნობოთ, რომ ჩვენში მრეწველობის ყველა დარგის მუშები, ჩვეულებრივი ფულადი ხელფასის გარდა, კიდევ დამატებით იღებენ ხელფასის დაახლოებით ერთ მესამედს დასაზღვევად, ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად, კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სხვ.

მე-2 კითხვა. რით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს სპეციალური მასობრივი მუშათა პარტია?

ბურჟუაზიას ამერიკაში ჰყავს მთელი ორი პოლიტიკური პარტია — რესპუბლიკური და დემოკრატიული, ამერიკის მუშებს კი არა ჰყავთ თავისი მასობრივი პოლიტიკური პარტია. ფიქრობენ თუ არა ამხანაგები, რომ თავისი მასობრივი მუშათა პარტიის უყოლობა, თუნდაც ისეთი პარტიისა, როგორიც ინგლისშია (ლეიბორ პარტი), ასუსტებს მუშათა კლასის ძალას მის პოლიტიკურ ბრძოლაში კაპიტალისტებთან?

შემდეგ, კიდევ კითხვა: **რატომ ეწინააღმდეგებიან გადაჭრით ამერიკის მუშათა მოძრაობის ლიდერები, გრინი**

და სხვები, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნას ამერიკაში?

ბროფი. დიახ, იყო ლიდერების გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი არ არის ასეთი პარტიის შექმნაო. მაგრამ არის უმცირესობა, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი პარტიის შექმნა აუცილებელია. ახლა ობიექტური პირობები ამერიკაში ისეთია, რომ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, პროფმოძრაობა შეერთებულ შტატებში მეტად სუსტია, ხოლო პროფმოძრაობის სისუსტე, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ მუშათა კლასს ჯერჯერობით არა აქვს მოთხოვნილება — დაირაზმოს და იბრძოლოს კაპიტალისტების წინააღმდეგ, რადგან კაპიტალისტები თვითონ უდიდებენ მუშებს ხელფასს და უზრუნველყოფენ მათთვის დამაკმაყოფილებელ მატერიალურ მდგომარეობას.

სტალინი. თუ საერთოდ უზრუნველყოფენ ვინმეს, უმთავრესად ხომ კვალიფიციურ მუშებს უზრუნველყოფენ. აქ რაღაც წინააღმდეგობაა. ერთი მხრით, გამოდის, რომ არ არის ორგანიზებულობის საჭიროება, რადგან მუშები უზრუნველყოფილი არიან; მეორე მხრით, ლაპარაკობენ, რომ პროფკავშირებში ორგანიზებული არიან სწორედ ყველაზე უფრო უზრუნველყოფილნი, ე. ი. კვალიფიციური მუშები; მესამე მხრით, გამოდის, რომ პროფკავშირებში ორგანიზებული არ არიან სწორედ არაუზრუნველყოფილნი, ე. ი. არაკვალიფიციური მუშები, რომლებიც ყველაზე უფრო საჭიროებენ ორგანიზებულობას. ეს ვერაგზით ვერ გამიგია.

ბროფი. დიახ, აქ არის წინააღმდეგობა, მაგრამ ასევე წინააღმდეგობრივია ამერიკის სინამდვილეც პოლიტიკური და ეკონომიური მხრივ.

ბრებნერი. თუმცა არაკვალიფიციური მუშები კავშირებში არ არიან ორგანიზებული, მაგრამ მათ აქვთ ხმის მიცემის პოლიტიკური უფლება. ამრიგად, თუ არსებობს

უკმაყოფილების მომენტები, ამ მომენტებს არაკვალიფიციური მუშები გამოხატავენ კიდეც, რისთვისაც სარგებლობენ ხმის მიცემის პოლიტიკური უფლებით. მეორე მხრით, ის მუშები, რომლებიც პროფკავშირებში იმყოფებიან, თუ განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობას განიცდიან, სარგებლობენ არა კავშირით, არამედ ხმის მიცემის პოლიტიკური უფლებით. ამრიგად, ხმის მიცემის პოლიტიკური უფლება ანაზღაურებს პროფესიული ორგანიზებულობის უქონლობას.

იზრაელსი. ერთ-ერთ ძირითად სიძნელეს წარმოადგენს თვით სისტემა, შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემა. იქ პრეზიდენტის არჩევნების დროს იმ კაცს კი არ ირჩევენ, რომელიც მიიღებს მთელი ქვეყნის ხმების უმრავლესობას, ან თუნდაც ერთი რომელიმე კლასის ხმების უმრავლესობას. იქ თვითეულ შტატში არის საარჩევნო კოლეგიები, თვითეულ შტატს აქვს განსაზღვრული რაოდენობა ხმებისა, რომელნიც მონაწილეობენ პრეზიდენტის არჩევნებში. იმისათვის, რომ პრეზიდენტი იქნას არჩეული, საჭიროა, რათა მან შეაგროვოს ხმების 51 პროცენტი. თუ იქნა 3 — 4 პარტია, მაშინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, რომ არავინ არ აღმოჩნდება არჩეული, და არჩევნები გადატანილ უნდა იქნას კონგრესში. აი ეს წარმოადგენს არგუმენტს მესამე პარტიის შექმნის წინააღმდეგ. მესამე პარტიის შექმნის მოწინააღმდეგენი ასეთ არგუმენტს აყენებენ: ნუ წამოაყენებთ მესამე კანდიდატს, რადგან ამით დაანაწილებთ ლიბერალური პარტიის ხმებს და არ მოგვცემთ ლიბერალური პარტიის კანდიდატის არჩევის შესაძლებლობასო.

სტალინი. მაგრამ სენატორი ლაფოლეტი თავის დროზე ქმნიდა მესამე ბურჟუაზიულ პარტიას. გამოდის, რომ მესამე პარტიას არ შეუძლია დაანაწილოს ხმები, თუ იგი

ბურჟუაზიული პარტიაა, მაგრამ მას შეუძლია დაანაწილოს ხმები, თუ იგი მუშათა პარტია იქნება.

დევისი. არა მგონია, რომ წინა ორატორის მიერ აღნიშნული ფაქტი ფუნდამენტალური ფაქტი იყოს. ჩემი აზრით, ძირითადი ფაქტი შემდეგია. მე ვიღებ, როგორც მაგალითს, ჩემს ქალაქს, რომელშიც ვცხოვრობ. საარჩევნო კამპანიის დროს გამოცხადდება ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელი და პროფესიული ორგანიზაციის მეთაურს აძლევს რაიმე პასუხსაგებ თანამდებობას, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით პროფესიული ორგანიზაციის მეთაურს გადასცემს განსაზღვრულ თანხას, რომელიც მის სასარგებლოდ მიდის, რის შემდეგაც ერთგვარად იზრდება მისი პრესტიჟი მიღებულ თანამდებობასთან დაკავშირებით. ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ თვით პროფკავშირული მოძრაობის ლიდერები არიან ან ერთი ან მეორე ბურჟუაზიული პარტიის მომხრენი. ამიტომ ბუნებრივია, რომ, როცა იწყება ლაპარაკი მესამე, მუშური, პარტიის შექმნის შესახებ, პროფკავშირული მოძრაობის ამ ლიდერებს არაფერი არ სურთ გააკეთონ ასეთი პარტიის შესაქმნელად. ამასთან ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ თუ შეიქმნება მესამე პარტია, მაშინ პროფკავშირებში გათიშვა მოხდებაო.

დუგლასი. ის გარემოება, რომ პროფკავშირებში მხოლოდ კვალიფიციური მუშები არიან ორგანიზებული, უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პროფკავშირში დარაზმვისათვის საჭიროა ერთგვარი ფონდი და ერთგვარი უზრუნველყოფა, ვინაიდან საწევრო შესატანი ძალიან დიდია და არაკვალიფიციურ მუშებს შეუძლებლობა არა აქვთ დიდი შესატანი გადაიხადონ პროფკავშირში შესასვლელად.

გარდა ამისა, არაკვალიფიციურ მუშებს მუდმივ მოელით საშიშროება, რომ თუ ისინი შეეცდებიან გაერთიანდნენ, მეწარმე დაითხოვს მათ სამუშაოდან. არაკვალიფი-

ციურ მუშებს შეუძლიათ დაირაზმონ მხოლოდ კვალიფიციური მუშების ენერგიული დახმარებით. უმეტეს შემთხვევაში ისინი მოკლებული არიან ამ დახმარებას. აი ეს გარემოება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას პროფკავშირებში არაკვალიფიციური მუშების დარაზმვისათვის.

მუშათა მასების მიერ თავიანთ უფლებათა ძირითადი დაცვა წარიმართება ამ უფლებათა პოლიტიკურად დაცვის ხაზით. აი ეს მიმაჩნია არაკვალიფიციური მუშების არაორგანიზებულობის მთავარ მიზეზად.

უნდა აღვნიშნო ამერიკის საარჩევნო სისტემის ერთი თავისებურება, პირდაპირი არჩევნები, როდესაც ყოველ კაცს შეუძლია მივიდეს საარჩევნო კრებაზე, გამოაცხადოს თავი დემოკრატად ან რესპუბლიკელად და მისცეს ხმა. ღარწმუნებული ვარ, რომ გომპერსი ვერ მოახერხებდა მუშების შეჩერებას არაპოლიტიკურ პროგრამაზე, მას რომ არ ჰქონოდა ეს არგუმენტი პირდაპირი ხმის მიცემის სასარგებლოდ. ის მუდამ ეუბნებოდა მუშებს, რომ თუ მათ სურთ პოლიტიკურად იმოქმედონ, მათ შეუძლიათ შევიდნენ არსებულ ორ პოლიტიკურ პარტიაში და იქ ხელთ იგდონ ესა თუ ის თანამდებობა, მოიპოვონ იქ ავტორიტეტი. ამ არგუმენტის საშუალებით გომპერსი ახერხებდა მუშების შეკავებას მუშათა კლასის დარაზმვისა და მუშათა პარტიის შექმნის იდეისაგან.

მე-8 კითხვა. რით აიხსნება, რომ სსრ კავშირის ცნობის საკითხში ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები უფრო რეაქციული არიან, ვიდრე ბევრი ბურჟუა?

რით აიხსნება, რომ ისეთი ბურჟუები, როგორიც არიან ბ-ნი ბორა და სხვები, ემხრობიან სსრ კავშირის ცნობას, ხოლო ამერიკის მუშათა მოძრაობის ლიდერები, გომპერსიდან გრინამდე, ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან უაღრესად

რეაქციულ პროპაგანდას პირველი მუშური რესპუბლიკის ცნობის წინააღმდეგ, სსრ კავშირის ცნობის წინააღმდეგ?

რით აიხსნება, რომ ისეთი რეაქციონერიც კი, როგორიც იყო ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი, შესაძლებლად ცნობდა «მისალმებოდა» საბჭოთა რუსეთს, ხოლო გრინს და ამერიკის შრომის ფედერაციის დანარჩენ ლიდერებს სურთ იყვნენ კაპიტალისტებზე უფრო რეაქციონერები?

აი ვუდრო ვილსონის იმ «მისალმების» ტექსტი, რომელიც 1918 წლის მარტში გამოუგზავნა მან რუსეთის საბჭოების ყრილობას იმ ხანებში, როდესაც გერმანიის კაიზერის ჯარები საბჭოთა პეტროგრადს უტევდნენ:

«ვსარგებლობ რა საბჭოების ყრილობის მოწვევით, მსურს შეერთებული შტატების ხალხთა სახელით გულწრფელი თანაგრძნობა გამოვუცხადო რუს ხალხს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც გერმანიამ დასძრა შეიარაღებული ძალები ქვეყნის შუაგულისაკენ, რათა ხელი შეუშალოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, მოსპოს ყველა მისი მონაპოვარი, განახორციელოს გერმანიის ზრახვები და დაიმონოს რუსი ხალხი. თუმცა შეერთებული შტატების მთავრობას, სამწუხაროდ, არ შეუძლია ამჟამად გაუწიოს რუსეთს ის უშუალო დახმარება, რომლის გაწევაც მას სურს, მე მინდა დავარწმუნო რუსი ხალხი ამ ყრილობის მეშვეობით, რომ შეერთებული შტატების მთავრობა გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა უზრუნველყოს ხელახლა რუსეთის სრული სუვერენიტეტი და სრული დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში და მისი დიადი როლის სრული აღდგენა ევროპისა და თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში. შეერთებული შტატების ხალხი მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობს რუსი ხალხის მისწრაფებას — სამუდამოდ განთავისუფლდეს თვითმპყრობელობისაგან და თვითონ გახდეს თავისი ბედის გამგებელი» (იხ. «პრავდა» № 50, 1918 წ. 16 მარტი).

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერებს სურთ რეაქციონერ ვილსონზე უფრო რეაქციონერები იყვნენ?

ბროფი. მე არ შემიძლია ზუსტად ავხსნა მიზეზები, მაგრამ ვფიქრობ, რომ, რა მიზეზითაც ამერიკის შრომის

ფედერაცია არ შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში, იმავე მიზეზით ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები დგანან საბჭოთა რუსეთის არცნობის თვალსაზრისზე. განსხვავება მდგომარეობს ამერიკელი მუშების განსაკუთრებულ ფილოსოფიაში და იმ ეკონომიურ სხვადასხვაობაში, რაც ამერიკისა და ევროპის მუშებს შორის არსებობს.

სტალინი. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები არ ეწინააღმდეგებიან იტალიის ან პოლონეთის ცნობას, სადაც ფაშისტები ბატონობენ.

ბროფი. როცა მიუთითებთ მაგალითისათვის პოლონეთსა და იტალიაზე, სადაც ფაშისტური მთავრობებია, თქვენ ამით ხსნით ამერიკის მიერ სსრ კავშირის არცნობის მიზეზს. ეს მტრული დამოკიდებულება სსრ კავშირისადმი აიხსნება იმ უსიამოვნებით, რომელიც ამერიკის პროფმოძრაობის ლიდერებს აქვთ თავის საკუთარ კომუნისტებთან.

დუნი. ის მიზეზი, რომელიც წინა ორატორმა მოიყვანა, — როგორ შეუძლიათ მათ იცნონ სსრ კავშირი, როცა უთანხმოება აქვთ თავის საკუთარ კომუნისტებთანო, — არ არის დამაჯერებელი, რადგან ჭადაგებას სსრ კავშირის ცნობის წინააღმდეგ ისინი ეწეოდნენ ჯერ კიდევ ამერიკის კომპარტიის შექმნამდე.

ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები წინააღმდეგი არიან ყოველივე იმისა, რაც კი სოციალიზმს წააგავს. და ამ მხრივ მათ აქეზებენ კაპიტალისტები, რომელთაც აქვთ ორგანიზაცია, წოდებული «ნაციონალურ სამოქალაქო ასოციაციად», რომელიც ყოველნაირად ცდილობს მთელი ამერიკის საზოგადოება აამხედროს სოციალიზმის წინააღმდეგ, რა სახისაც უნდა იყოს იგი. ამ ორგანიზაციამ გაილაშქრა აივი ლის პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა სსრ კავშირთან ამერიკის სავაჭრო ურ-

თიერთობის განვითარებას. ამ ორგანიზაციის ბელადები ამბობდნენ: როგორ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ წესრიგს ჩვენს მუშათა კლასში, როცა ლიბერალები ამგვარ ლაპარაკს იწყებენო. «ნაციონალური სამოქალაქო ასოციაცია» არის ორგანიზაცია კაპიტალისტთა ჯგუფისა, რომელთაც დიდი თანხები აქვთ დაბანდებული ამ ორგანიზაციაში და რომელნიც მას ხელმძღვანელობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე მატიუ ვოლი ამ რეაქციული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია.

ბროფი. ის მიზეზები, რაც მოყვანილი იყო პროფკავშირთა ბელადების რეაქციულობის შესახებ, არ არის ძირითადი. ამ საკითხს უფრო ღრმად უნდა შევხედოთ. ამერიკის დელეგაციის ყოფნა სსრ კავშირში საუკეთესო პასუხი და მაჩვენებელია იმისა, რომ ამერიკის მუშათა ერთი ნაწილი თანაგრძნობით ეპყრობა საბჭოთა კავშირს. მე ვფიქრობ, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის ბელადთა აზრი სსრ კავშირის შესახებ არ განსხვავდება ამერიკის მუშათა კლასის უმრავლესობის აზრისაგან. მუშათა კლასის უმრავლესობის პოზიცია სსრ კავშირის მიმართ აიხსნება სსრ კავშირის სიშორით. ამერიკის მუშათა კლასი დაინტერესებული არ არის ყოველნაირი ინტერნაციონალური საქმით, ხოლო ბურჟუაზიის გავლენა ამერიკის მუშათა კლასზე ძლიერ იჩენს თავს სსრ კავშირისადმი მისი დამოკიდებულების საკითხში.

«პრავდა» № 210,
1927 წ. 15 სექტემბერი.

ამხანაგ მ. ი. ულიანოვას

პასუხი ამხანაგ ლ. მიხელსონს

ამ დღეებში თქვენგან მივიღე ასლი ამხ. მიხელსონის წერილისა ნაციონალური საკითხის შესახებ. გიპასუხებთ ორიოდე სიტყვით.

1) ბურიატი ამხანაგები მეკითხებოდნენ: «როგორ გვაქვს წარმოდგენილი **გადასვლა** იმ ნაციონალურ კულტურათა მეშვეობით, რომლებიც ჩვენი ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში ვითარდებიან, ერთიან საერთო-საკაცობრიო კულტურაზე?» (იხ. სტალინი, «ლენინიზმის საკითხები», გვ. 259 [43]). მე მათ ვუპასუხე: ეს გადასვლა წარმოდგენილი გვაქვს არა ისე, რომ «სოციალიზმის პერიოდში ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენა შეიქმნება, ყველა დანარჩენი ენა კი მოკვდება» [44], არამედ იმნაირად, რომ ეროვნებანი ეზიარებიან **თავისი შინაარსით** საერთო-საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას იმ **ფორმებით,** რომლებიც ამ ეროვნებათა ენასა და ყოფაცხოვრებას შეესაბამებიან (იხ. «ლენინიზმის საკითხები»). განსამარტავად მოვიყვანე მთელი რიგი ფაქტები ჩვენი რევოლუციის განვითარებიდან, რევოლუციისა, რომელმაც გამოიწვია წინათ გარიყულ ეროვნებათა და მათი კულტურის გამოღვიძება და გაძლიერება. დავა ამის გამო წარმოებდა.

ამხ. მიხელსონს დავის დედაარსი ვერ გაუგია.

2) ამხ. მიხელსონი, ნიშანში იღებს რა ჩემს სიტყვებს: «სოციალიზმის პერიოდში» (იხ. ზემოთ) და ჩემს მტკიცებას, რომ ზოგიერთი ეროვნების ასიმილაციის პროცესი არ ნიშნავს საერთოდ ერების მოსპობას, ირწმუნება, სტალინის ზოგიერთი ფორმულირება შეიძლება იმის საბაბი გახდეს, რომ ისინი გაგებული იქნან ნაციონალურ საკითხში «ლენინიზმის რევიზიის» აზრითო. ამასთან მას მოჰყავს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ «სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპობა კაცობრიობის დაქუცმაცებულობისა წვრილ სახელმწიფოებად და ერების ყოველგვარი განცალკევებულობისა, არა მარტო ერების დაახლოება, არამედ მათი შეერთებაც» [44].

ვფიქრობ, რომ, ჯერ-ერთი, ამხ. მიხელსონი შორდება საკითხის იმ დაყენებას, რომელიც მოგვცეს თავიანთ წერილში ბურიატმა ამხანაგებმა და რომელსაც ვერასგზით ვერ დაშორდებოდა სტალინი აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში. ბურიატი ამხანაგები ლაპარაკობდნენ სწორედ **გადასვლაზე** ნაციონალურ კულტურათა მეშვეობით საერთო-საკაცობრიო კულტურაზე, ამასთან ბურიატი ამხანაგები, ცხადია, ფიქრობდნენ, რომ **ჯერ** იქნება ნაციონალური კულტურები, **შემდეგ** კი — საერთო-საკაცობრიო კულტურა. ამის პასუხად სტალინმა თქვა, რომ ეს **გადასვლა** მოხდება არა იმ წესით, როგორც ეს ბურიატებს წარმოუდგენიათ, არამედ იმ წესით, რომ სსრ კავშირის ეროვნებებში **ერთსა და იმავე დროს** განვითარდება **როგორც** (ფორმით) ნაციონალური კულტურა, **ისე** (შინაარსით) საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომ ამ **გადასვლის** მხოლოდ ასეთი წესის დროს შეიძლება ეზიარონ ეროვნებანი საერთო-საკაცობრიო კულტურას (იხ. «ლენინიზმის საკითხები»).

შემდეგ, ვფიქრობ, რომ ამხ. მიხელსონს ვერ გაუგია ჩემი პასუხის აზრი. როცა ვლაპარაკობდი «სოციალიზმის პერიოდზე» ჩვენში, მე მხედველობაში მქონდა სოციალიზმის არა «საბოლოო» გამარჯვება, რა გამარჯვებაც შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, **უველა** ან **რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ქვეყანაში** სოციალიზმის გამარჯვების შემთხვევაში, არამედ მხედველობაში მქონდა **ჩვენს ქვეყანაში** სოციალისტური მშენებლობის პერიოდი. ეს ცხადია აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში საკითხის მთელი დაყენებიდან. შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პერიოდის განმავლობაში («სოციალიზმის პერიოდი»), ე. ი. სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებამდე, აუცილებლად გაჩრებიან ჩვენში ერები და შეერთდებიან ერთი საერთო ენის მქონე ერთ საერთო ერად? ვფიქრობ, რომ არ შეიძლება. უფრო მეტიც, პროლეტარიატის დიქტატურის **მსოფლიო მასშტაბით** გამარჯვების შემდეგაც კი, ამის შემდეგაც კიდევ დიდხანს იარსებებს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი.

ლენინი სავსებით მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ «ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის... კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს იარსებებს პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი» (იხ. ტ. XXV, გვ. 227).

როგორ უნდა გავიგოთ ასეთ შემთხვევაში ამხ. მიხელსონის მიერ ლენინიდან მოყვანილი ციტატა, რომ სოციალიზმის მიზანი საბოლოო ანგარიშით არის ერების შეერთება? მე ვფიქრობ, რომ იგი უნდა გავიგოთ არა ისე, როგორც ამხ. მიხელსონს ესმის. ვინაიდან ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ლენინს ამ ციტატაში მხედველობაში ჰქონდა

ერების შეერთება, როგორც სოციალიზმის საბოლოო მიზანი, რომელიც ხორციელდება **ყველა ქვეყანაში** სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, მას მერე, რაც დროის «ძალიან და ძალიან დიდი» პერიოდი გაივლის «პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგ».

გამოდის, რომ ამხ. მიხელსონს ვერ გაუგია ლენინი.

3) მგონია, რომ სტალინის «ფორმულირება» «დაზუსტებას» არ საჭიროებს. მე მოუთმენლად ველი, რომ ოპოზიციამ გაბედოს კრინტის დაძვრა ნაციონალური საკითხის პრინციპული მხარის შესახებ აშკარა პოლემიკაში პარტიის ყრილობის დროს. ვშიშობ, რომ იგი ვერ გაბედავს, რადგან ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე ზინოვიევის უხეირო გამოსვლის შემდეგ ოპოზიციამ ამჯობინა სრულიად მიეჩქმალა ნაციონალური კულტურის საკითხი თავის ამასწინანდელ «პლატფორმაში». ხოლო თუ მოლოდინის წინააღმდეგ ოპოზიციონერები მაინც გაბედავენ, — მით უკეთესი პარტიისათვის, ვინაიდან პარტია ამით მხოლოდ მოიგებს.

ი. სტალინი

1927 წ. 16 სექტემბერი.

იბეჭდება პირველად.

რუსული ოპოზიციის პოლიტიკური ფიზიოგნომია

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან

1927 წ. 27 სექტემბერი

ამხანაგებო! ორატორები აქ ისე კარგად და ისე საფუძვლიანად ლაპარაკობდნენ, რომ მე ცოტა რამ დამრჩენია სათქმელი.

მე არ მომისმენია ვუიოვიჩის სიტყვა, რადგან დარბაზში არ ვიყავი და მისი სიტყვის მხოლოდ დასასრულს მოვუსწარი. ამ დასასრულიდან გავიგე, რომ ის საკავშირო კომპარტიას (ბ) ბრალად სდებს ოპორტუნიზმს, თავის თავს კი ბოლშევიკად თვლის და კისრულობს ლენინიზმი ასწავლოს საკავშირო კომპარტიას (ბ).

რა უნდა ითქვას ამის გამო? ჩვენს პარტიაში, სამწუხაროდ, არის ერთგვარი რაოდენობა ადამიანებისა, რომელნიც თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებენ, მაგრამ რომელთაც ნამდვილად საერთო არაფერი აქვთ ლენინიზმთან. ვფიქრობ, რომ ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ვუიოვიჩიც. როდესაც ასეთი ადამიანები კისრულობენ ასწავლონ საკავშირო კომპარტიას (ბ) ლენინიზმი, ადვილი გასაგებია, თუ რა შეიძლება აქედან გამოვიდეს. ვფიქრობ, რომ ვუიოვიჩის კრიტიკა პასუხის ღირსი არ არის.

მე მომაგონდა ერთი პატარა ამბავი, რომელიც გერმანელ პოეტ ჰეინეს შეემთხვა. ნება მომეცით მოგიყვეთ ამ ამბავს. სხვადასხვა კრიტიკოსთა შორის, რომელნიც ჰეინეს წინააღმდეგ გამოდიოდნენ პრესაში, იყო ერთი მეტად ბედუკუღმართი და საკმაოდ უნიჭო ლიტერატურული კრიტიკოსი, გვარად აუფენბერგი. ამ მწერლის ძირითად თვისებას ის შეადგენდა, რომ ის დაუცხრომლად «აკრიტიკებდა» და უტიფრად თავს აბეზრებდა ჰეინეს თავისი კრიტიკით პრესაში. ჰეინე, ალბათ, საჭიროდ არ თვლიდა გამოხმაურებოდა ამ «კრიტიკას» და დაჟინებით დუმდა. ამან გააოცა ჰეინეს მეგობრები, და მათ მიმართეს მას წერილით: როგორ უნდა გავიგოთ, რომ მწერალმა აუფენბერგმა უამრავი კრიტიკული სტატია დაწერა ჰეინეს წინააღმდეგ, ჰეინე კი საჭიროდ არ ცნობს პასუხი გასცესო. ჰეინე იძულებული გახდა ეპასუხნა. მერე რა თქვა მან თავისი მეგობრების მიმართვის პასუხად? ჰეინემ ორიოდე სიტყვით უპასუხა პრესაში: «**მწერალ** აუფენბერგს მე არ ვიცნობ; ვფიქრობ, რომ ის დარლენკურის მაგვარია, რომელსაც აგრეთვე არ ვიცნობო».

ჰეინეს სიტყვები რომ გადაესხვაფერებინათ, რუს ბოლშევიკებს შეეძლოთ ეთქვათ ვუიოვიჩის კრიტიკული ვარჯიშობის შესახებ: «**ბოლშევიკ** ვუიოვიჩს ჩვენ არ ვიცნობთ, ვფიქრობთ, რომ ის ალი-ბაბას მაგვარია, რომელსაც აგრეთვე არ ვიცნობთო».

ტროცკისა და ოპოზიციის შესახებ. ოპოზიციის ძირითადი უბედურება ის არის, რომ მას არ ესმის ის, რაზედაც აქ ლაყბობს. თავის სიტყვაში ტროცკი ლაპარაკობდა პოლიტიკაზე **ჩინეთის** მიმართ. მაგრამ მას არ სურს აღიაროს, რომ არავითარი ხაზი, არავითარი პოლიტიკა ჩინეთის საკითხზე ოპოზიციას არა ჰქონია. იყო რყევა, იყო ერთი ადგილის ტკეპნა, აქეთ-იქით ხეთქება, მაგრამ არავითარი ხაზი ოპოზიციას არა ჰქონია. ჩინეთის შესახებ სამი სა-

კითხის გამო წარმოებდა ჩვენში დავა: გომინდანში კომუნისტების მონაწილეობის საკითხის გამო, საბჭოების საკითხის გამო და ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხის გამო. ყველა ამ საკითხში ოპოზიცია კოტრი აღმოჩნდა, ვინაიდან მას არავითარი ხაზი არა ჰქონდა.

გომინდანში მონაწილეობის საკითხი. 1926 წლის აპრილში, ე. ი. ერთი თვის შემდეგ კომინტერნის აღმასკომის VI პლენუმის დროიდან, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გომინდანში კომუნისტების მონაწილეობის **სასარგებლოდ**, ოპოზიციამ მოითხოვა კომუნისტების დაუყოვნებლივ **გასვლა** გომინდანიდან. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიცია, დაშინებული ჩან კაი-შის პირველი შემოტევით (1926 წ. მარტი), მოითხოვდა, არსებითად, ჩან კაი-შისთან შეგუებას, ფიქრობდა გამოეყვანა კომუნისტები ჩინეთის რევოლუციურ ძალთა ბრძოლიდან.

მაგრამ ფორმალურად ოპოზიცია გომინდანიდან გასვლის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ კომუნისტებს **არ** შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ **ბურჟუაზიულ**-რევოლუციურ ორგანიზაციებში, რანაირ ორგანიზაციადაც არ შეიძლება გომინდანი არ მივიჩნიოთო. ხოლო ამის მერე ერთი წლის შემდეგ, 1927 წლის აპრილში, ოპოზიცია უკვე მოითხოვდა კომუნისტების **მონაწილეობას** უხანის გომინდანში. რატომ? რა საბუთით? განა გომინდანი 1927 წელს **ბურჟუაზიული** ორგანიზაცია აღარ იყო? სად არის აქ ხაზი, თუნდაც ხაზის ნასახი?

საბჭოების საკითხი. აქაც ოპოზიციას გარკვეული ხაზი არა ჰქონია. ოპოზიციის ერთი ნაწილი 1927 წლის აპრილში მოითხოვდა საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას ჩინეთში უხანის გომინდანის **დასამხობად** (ტროცკი). ამავე დროს ოპოზიციის მეორე ნაწილი მოითხოვდა საბჭოების ასევე დაუყოვნებლივ შექმნას, მაგრამ უკვე უხანის გომინდანის **შხარდასაჭერად**, და არა მის დასამხობად (ზინოვიევი).

ამას ისინი ხაზს უწოდებენ! ამასთან ოპოზიციის ორივე ნაწილი, ტროცკიც და ზინოვიევიც, საბჭოების შექმნას რომ მოითხოვდნენ, ამავე დროს მოითხოვდნენ კომუნისტების **მონაწილეობას** გომინდანში, კომუნისტების მონაწილეობას მმართველ პარტიაში. გაიგეთ, ვისაც შეგიძლიათ! საბჭოების შექმნა და ამასთან ერთად მმართველ პარტიაში, ე. ი. გომინდანში, კომუნისტების მონაწილეობის მოთხოვნა, — ეს ისეთი სისულელეა, როგორსაც ყველა როდი გამოიგონებს. და ამას ხაზი ეწოდება!

ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხი. კომინტერნს მიაჩნდა და კვლავ მიაჩნია, რომ ჩინეთის რევოლუციის საფუძველს ამ პერიოდში წარმოადგენს აგრარულ-გლეხური რევოლუცია. ხოლო რა აზრისაა ოპოზიცია ამის შესახებ? მას საერთოდ არასოდეს არა ჰქონია ამის შესახებ გარკვეული აზრი. იგი ხან ირწმუნებოდა, რომ ჩინეთში არ შეიძლება იყოს აგრარული რევოლუცია, რადგან იქ საერთოდ არ არის ფეოდალიზმი; ხან აცხადებდა, რომ ჩინეთში შესაძლებელი და აუცილებელია აგრარული რევოლუცია, თუმცა ჩინეთში არსებულ ფეოდალურ გადმონაშთებს სერიოზულ მნიშვნელობას არ აკუთვნებდა, ამასთან შეუძლებელი იყო გაგეგოთ, საიდანღა გაჩენილა ასეთ შემთხვევაში აგრარული რევოლუცია: ხან კი ირწმუნებოდა, რომ ჩინეთის რევოლუციაში მთავარია არა აგრარული რევოლუცია, არამედ რევოლუცია საბაჟო ავტონომიისათვის. გაიგეთ, ვისაც შეგიძლიათ!

აი როგორია ოპოზიციის ეგრეთწოდებული «ხაზი» ჩინეთის რევოლუციის სადავო საკითხებში.

ეს ხაზი კი არა, ერთი ადგილის ტკეპნაა, დომხალია, ხაზის სრული უქონლობაა.

და ეს ადამიანები კისრულობენ კომინტერნის ლენინური პოზიციების გაკრიტიკებას! განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო?

ტროცკი აქ ლაპარაკობდა რევოლუციურ მოძრაობაზე გუანდუნში, ხო ლუნისა და ე ტინის ჯარებზე და ბრალად გვდებდა ჩვენ იმას, რომ ჩვენ აქ თითქოს ახალ გომინდანს ვქმნიდეთ ამ მოძრაობის სათავეში ჩასადგომად. მე არ შევუდგები ამ ჰორის გაბათილებას, რომელიც ტროცკის მიერ არის მოჩმახული. მინდა მხოლოდ განვაცხადო, რომ მთელი ეს საქმე სამხრეთის რევოლუციური მოძრაობისა, ე ტინისა და ხო ლუნის ჯარების გასვლა უხანიდან, მათი წინსვლა გუანდუნისაკენ, მათი შეერთება გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან და ა. შ., — მე მინდა ვთქვა, რომ მთელი ეს საქმე დაწყებულია ჩინეთის კომპარტიის ინიციატივით. იცის თუ არა ეს ტროცკიმ? მან უნდა იცოდეს ეს, თუ საერთოდ რაიმე იცის.

ვინ ჩაუდგება სათავეში ამ მოძრაობას, თუ ამ მოძრაობას წარმატებანი ექნება, თუ რევოლუციის ახალი აღმავლობა ჩინეთში ფაქტი გახდება? რა თქმა უნდა, საბჭოები. თუ წინათ, გომინდანის აყვავების პერიოდში, ხელსაყრელი პირობები არ იყო საბჭოების დაუყოვნებლივ შესაქმნელად, ახლა, როცა გომინდანელებმა თავი შეირცხვინეს და სახელი გაიტეხეს თავიანთი კავშირით კონტრრევოლუციასთან, — ახლა საბჭოები მოძრაობის წარმატების შემთხვევაში შეიძლება გახდნენ, და მართლაც გახდებიან, ძირითად ძალად, რომელიც თავის გარშემო დარაზმავს ჩინეთის მუშებსა და გლეხებს. ხოლო ვინ ჩაუდგება სათავეში საბჭოებს? რა თქმა უნდა, კომუნისტები. მაგრამ კომუნისტები უკვე მონაწილეობას ვერ მიიღებენ გომინდანში, თუ რევოლუციური გომინდანი ერთხელ კიდევ გამოჩნდება სცენაზე. მხოლოდ უვიცებს შეუძლიათ შეათავსონ საბჭოების არსებობა გომინდანის პარტიაში კომუნისტების მონაწილეობის შესაძლებლობასთან. ამ ორი შეუთავსებელი რამის შეთავსება იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს საბჭოების ბუნება და დანიშნულება.

იგივე უნდა ითქვას **ინგლის-რუსეთის კომიტეტის** საკითხზე. აქაც ოპოზიციას იგივე ქანაობა და ხაზის უქონლობა ახასიათებს. ჯერ ოპოზიცია აღტაცებული იყო ინგლის-რუსეთის კომიტეტით. იგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი წარმოადგენს «ევროპაში რეფორმიზმის უვნებელყოფის» საშუალებას (ზინოვიევი), და, აშკარაა, ივიწყებდა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ინგლისური ნახევარი სწორედ რეფორმისტებისაგან შესდგება.

შემდეგ, როცა ოპოზიციამ, ბოლოს და ბოლოს, დაინახა, რომ პერსელი და მისი მეგობრები რეფორმისტები არიან, იგი აღტაცების ნაცვლად შეიპყრო გულგატეხილობამ, უფრო მეტი, — სასოწარკვეთილებამ, და მოითხოვა კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტა, როგორც გენერალური საბჭოს დამხობის საშუალება, არ ესმოდა რა, რომ მოსკოვიდან შეუძლებელია გენერალური საბჭოს დამხობა. ერთი სისულელიდან მეორისაკენ, — აი რაში გამოიხატა ოპოზიციის ეგრეთწოდებული «ხაზი» ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში.

ტროცკის უნარი არ შესწევს გაიგოს, რომ, როცა საქმე მომწიფდა კავშირის გასაწყვეტად, ძირითადი საკითხია არა კავშირის გაწყვეტა თავისთავად, არამედ ის **საკითხი**, რომლის გამოც კავშირის გაწყვეტა ხდება, ის იდეა, რომლის დემონსტრაცია ხდება კავშირის გაწყვეტით. რა იდეის დემონსტრაციაა უკვე მომხდარი კავშირის გაწყვეტა? ომის საფრთხის იდეისა, ომის საშიშროებასთან ბრძოლის აუცილებლობის იდეისა. ვის შეუძლია უარყოს, რომ სწორედ ეს იდეა წარმოადგენს ახლა მთელი თანამედროვე ევროპის ძირითად საკითხს? მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში უნდა დაგვეყენებინა მუშათა მასები გენერალური საბჭოს გამცემლობის პირისპირ, რაც ჩვენ კიდევაც გავაკეთეთ. ის ფაქტი,

რომ გენერალური საბჭო იძულებული აღმოჩნდა ეკისრნა კავშირის გაწყვეტის ინიციატივა და ოდიუმი ახალი ომის საშიშროების მომენტში, — ეს ფაქტი ყველაზე უკეთ ამხილებს მუშათა მასების თვალში გენერალური საბჭოს გამცემლურ და სოციალ-იმპერიალისტურ «ბუნებას» ძირითად საკითხში — ომის საკითხში. ოპოზიცია კი ირწმუნება, უმჯობესი იყო კავშირის გაწყვეტის ინიციატივა და ოდიუმი ჩვენ გვეკისრნაო!

და ამას ისინი ხაზს უწოდებენ! და ეს თავგზააბნეული ადამიანები ბედავენ კომინტერნის ლენინური პოზიციების გაკრიტიკებას! განა სასაცილო არ არის ეს, ამხანაგებო?

კიდევ უფრო უარესადაა ოპოზიციის საქმე ჩვენი პარტიის საკითხში, საკავშირო კ. პ. (ბ) საკითხში. ტროცკის არა გაეგება რა ჩვენი პარტიისა. მას სწორი წარმოდგენა არა აქვს ჩვენს პარტიაზე. იგი ჩვენს პარტიას უყურებს ისევე, როგორც აზნაური ბრბოს ან როგორც ბიუროკრატი ხელქვეითებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ დაიწყებდა მტკიცებას, რომ მილიონიან პარტიაში, საკავშირო კომპარტიაში (ბ), შეიძლება ცალკეულმა პირებმა, ცალკეულმა ხელმძღვანელებმა «ხელთ იგდონ» ძალაუფლება, «მიტაცონ» ძალაუფლება. ძალაუფლების «ხელთ ჩაგდება» მილიონიან პარტიაში, რომელმაც სამი რევოლუცია მოახდინა და რომელიც ახლა არყევს მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს, — აი რა სისულელეს ამბობს ტროცკი!

შეიძლება თუ არა საერთოდ «ხელთ იგდო» ძალაუფლება მილიონიან პარტიაში, რომელიც აღსავსეა რევოლუციური ტრადიციებით? მაშ რატომ ვერ მოახერხა ტროცკიმ «ხელთ ეგდო» ძალაუფლება პარტიაში, დაპატრონებოდა ხელმძღვანელობას პარტიაში? რით უნდა აიხსნას ეს? განა ტროცკის არა აქვს ნებისყოფა, სურვილი ხელმძღვანელობისა? განა ფაქტი არ არის, რომ აი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ებრძვის ტროცკი ბოლშევიკებს

პარტიაში ხელმძღვანელობისათვის? რატომ ვერ მოახერხა მან «ხელთ ეგდო» ძალაუფლება პარტიაში? განა ის ნაკლებ დიდი ორატორია, ვიდრე ჩვენი პარტიის ახლანდელი ლიდერები? განა უფრო მართალი არ იქნება ვთქვათ, რომ ტროცკი, როგორც ორატორი, ჩვენი პარტიის ბევრ ახლანდელ ლიდერზე მაღლა დგას? რით აიხსნება ასეთ შემთხვევაში, რომ ტროცკი, მიუხედავად მისი ორატორული ხელოვნებისა, მიუხედავად მისი მისწრაფებისა, რომ იყოს ხელმძღვანელი, მიუხედავად მისი უნარიანობისა, შორს უკუგდებული აღმოჩნდა იმ დიდი პარტიის ხელმძღვანელობიდან, რომელსაც საკავშირო კ. პ. (ბ) ეწოდება? ტროცკი მზად არის ახსნას ეს იმით, რომ ჩვენი პარტია, მისი აზრით, ხმის მიმცემი ფარაა, რომელიც ბრმად მისდევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ჩვენი პარტიის შესახებ ასე ლაპარაკი მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც ეზიზღებათ და ბრბოდ მიაჩნიათ იგი. ეს არის კუდაბზიკა პარტიული არისტოკრატის შეხედულება პარტიაზე, როგორც ხმის მიმცემ ფარაზე. ეს იმის ნიშანია, რომ ტროცკის დაუკარგავს პარტიულობის ალღო, დაუკარგავს უნარი — ჩასწვდეს ოპოზიციისადმი პარტიის უნდობლობის ნამდვილ მიზეზებს.

მართლაც, რით აიხსნება, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) სრულ უნდობლობას უცხადებს ოპოზიციას? ეს აიხსნება იმით, რომ ოპოზიციამ განიზრახა **შეცვალოს** ლენინიზმი ტროცკიზმით, **შეავსოს** ლენინიზმი ტროცკიზმით, **«გააუმჯობესოს»** ლენინიზმი ტროცკიზმით. პარტიას კი სურს ლენინიზმის ერთგული დარჩეს, მიუხედავად პარტიაში მყოფი კუდაბზიკა არისტოკრატების ყველა და ყოველგვარი ხრიკისა. აი სად არის იმის ფესვი, რომ პარტიამ, რომელმაც სამი რევოლუცია მოახდინა, საჭიროდ სცნო ზურგი შეექცია ტროცკისათვის და საერთოდ ოპოზიციისათვის.

და პარტია ამგვარადვე მოექცევა ყოველ «ლიდერსა» და «ხელმძღვანელს», რომელიც კი განიზრახავს **შეაფერადოს** ლენინიზმი ტროცკიზმით ან რაიმე სხვა სახის ოპორტუნიზმით.

გვიხატავს რა პარტიას, როგორც ხმის მიმცემ ფარას, ტროცკი გამოხატავს ზიზღს საკავშირო კ. პ. (ბ) პარტიული მასებისადმი. რა არის აქ გასაკვირველი, თუ პარტია, თავის მხრივ, ამას ტროცკისადმი ზიზღით და სრული უნდობლობის გამოცხადებით უპასუხებს?

ასევე ცუდად აქვს ოპოზიციას საქმე ჩვენი პარტიის რეჟიმის საკითხში. ტროცკი საქმეს ისე გვიხატავს, რომ პარტიაში ახლა არსებული რეჟიმი, მთელი ოპოზიციის მიერ შეძაგებული, წარმოადგენს რაღაც პრინციპულად სხვა რამეს პარტიის იმ რეჟიმთან შედარებით, რომელიც **დამყარებული** იყო ლენინის დროს. ტროცკის სურს საქმე ისე დაგვიხატოს, რომ ის არ ილაშქრებს ლენინის მიერ X ყრილობის შემდეგ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ, და რომ ის, სწორედ რომ ითქვას, ებრძვის პარტიის **ახლანდელ** რეჟიმს, რომელსაც, მისი აზრით, არაფერი აქვს საერთო ლენინის მიერ დამყარებულ რეჟიმთან.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკი აქ აშკარა სიცრუეს ამბობს.

მე ვამტკიცებ, რომ ახლანდელი რეჟიმი პარტიაში ზუსტი გამოხატულებაა სწორედ იმ რეჟიმისა, რომელიც დამყარებული იყო პარტიაში ლენინის დროს, ჩვენი პარტიის X და XI ყრილობების დროს.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკი იბრძვის პარტიაში არსებული ლენინური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც დამყარებულია ლენინის დროს და ლენინის ხელმძღვანელობით.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკისტების ბრძოლა პარტიაში არსებული ლენინური რეჟიმის წინააღმდეგ დაიწყო ჯერ კიდევ ლენინის დროს, რომ ტროცკისტების ახლანდელი

ბრძოლა არის განგრძობა იმ ბრძოლისა პარტიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, რასაც ისინი ჯერ კიდევ ლენინის დროს ეწეოდნენ.

რა შეადგენს ამ რეჟიმის საფუძვლებს? ის, რომ გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია და დავუშვათ პარტიაში არსებულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა საქმიანი კრიტიკა, მაგრამ ამავე დროს არ დავუშვათ არავითარი ფრაქციულობა და მოვსპოთ ყოველგვარი ფრაქციულობა პარტიიდან გარიცხვის მუქარით.

როდის დამყარდა ასეთი რეჟიმი პარტიაში? ჩვენი პარტიის X და XI ყრილობებზე, ე. ი. ლენინის დროს.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკი და ოპოზიცია ებრძვიან სწორედ ამ რეჟიმს პარტიაში.

ჩვენ გვაქვს ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა «46-ის განცხადება», ხელმოწერილი ისეთი ტროცკისტების მიერ, როგორიც არიან პიატაკოვი, პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი, ალსკი და სხვ., სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ პარტიაში X ყრილობის შემდეგ დამყარებულმა რეჟიმმა თავისი დრო მოჭამა და აუტანელი გახდა პარტიისათვისო.

რას მოითხოვდნენ ეს ადამიანები? ისინი მოითხოვდნენ ფრაქციულ დაჯგუფებათა დაშვებას პარტიაში და X ყრილობის სათანადო დადგენილების გაუქმებას. ეს იყო 1923 წელს. მე ვაცხადებ, რომ ტროცკი მთლიანად და სავსებით ეთანხმებოდა «46-ის» პოზიციას, ბრძოლას რომ აწარმოებდა X ყრილობის შემდეგ პარტიაში დაწესებული რეჟიმის წინააღმდეგ. აი სად იღებს დასაბამს ტროცკისტების ბრძოლა პარტიაში არსებული ლენინური რეჟიმის წინააღმდეგ. (ტ რ ო ც კ ი: «მე არ მილაპარაკნია X ყრილობის შესახებ, თქვენ იგონებთ»). ტროცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მე შემიძლია ეს დოკუმენტალურად დავამტკიცო. ეს დოკუმენტები შენახულია, მე მათ დავურიგებ

ამხანაგებს, და მაშინ ცხადი იქნება, თუ რომელი ჩვენგანი ამბობს სიცრუეს *.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკისტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს «46-ის განცხადებას», ჯერ კიდევ ლენინის დროს ებრძოდნენ პარტიაში არსებულ ლენინურ რეჟიმს.

---

* **«კ. ი.»-ს რედაქციის შენიშვნა.** 3 ოქტომბერს ამხ. სტალინმა კომინტერნის აღმასკომის პოლიტსამდივნოს წარუდგინა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმის დამატების სახით დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც ის იმოწმებდა თავის სიტყვაში, სახელდობრ:

1) ამონაწერი «46-ის განცხადებიდან» (1923 წ. 15 ოქტომბერი), რომელიც ხელმოწერილი იყო პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის, ალსკის და სხვათა მიერ, სადაც ნათქვამია:

«პარტიის შიგნით დამყარებული რეჟიმი სრულიად აუტანელია. იგი კლავს პარტიის თვითმოქმედებას, პარტიას აცლის შერჩეული მოხელეური აპარატით, რომელიც ნორმალურ დროს შეუფერხებლად მუშაობს, მაგრამ კრიზისების მომენტებში უეჭველად გვიმტყუნებს ხოლმე და მოახლოებული სერიოზული მოვლენების წინაშე შეიძლება სრულიად უმწეო აღმოჩნდეს. **შექმნილი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ ფრაქციული დიქტატურის რეჟიმმა, რაც ობიექტურად შეიქმნა პარტიის შიგნით X ყრილობის შემდეგ, თავისი დრო მოჭამა».**

2) ამონაწერი ტროცკის განცხადებიდან ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიისადმი (1923 წლის 8 ოქტომბერი), სადაც ნათქვამია:

«ის რეჟიმი, რომელიც ძირითადად შეიქმნა უკვე XII ყრილობამდე, ხოლო მის შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა და გაფორმდა, **გაცილებით უფრო შორსაა მუშათა დემოკრატიისაგან, ვიდრე სამხედრო კომუნიზმის ყველაზე სასტიკი პერიოდების რეჟიმი».**

ამ ამონაწერთა განსამარტავად საჭიროა ითქვას, რომ XII ყრილობამდე ჩვენ გვქონდა XI ყრილობა (1922 წლის გაზაფხული) და X ყრილობა (1921 წლის გაზაფხული), რომელთა მუშაობას ლენინი ხელმძღვანელობდა და რომელთა რეზოლუციებში გაფორმებულ იქნა სწორედ ის რეჟიმი პარტიაში, რის წინააღმდეგაც გამოდის როგორც «46-ის განცხადება» (ტროცკისტები), ისე ტროცკის ზემოხსენებული განცხადება.

მე ვამტკიცებ, რომ ამ ბრძოლას ლენინური რეჟიმის წინააღმდეგ ტროცკი ყოველთვის უჭერდა მხარს, შთააგონებდა და წინ ებიძგებოდა ოპოზიციას.

მე ვამტკიცებ, რომ ტროცკის ახლანდელი ბრძოლა ჩვენს პარტიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არის იმ ანტილენინური ბრძოლის განგრძობა, რაზედაც ეს-ეს არის ვილაპარაკე.

ტროცკისტების არალეგალური ანტიპარტიული სტამბის საკითხი. ტროცკიმ თავისი დაწერილი სიტყვა ისე ააგო, რომ ხეირიანად არც კი შეხებია არალეგალურ სტამბას, — ალბათ ფიქრობს, რომ ის ვალდებული არ არის შეეხოს ისეთ «წვრილმანებს», როგორიცაა ტროცკისტების არალეგალური ანტიპარტიული სტამბა. ეს იყო არა ბრალდებულის სიტყვა, არამედ დეკლარაცია ოპოზიციისა, რომელიც ბრალდებებით გამოდის კომინტერნისა და საკავშირო კ. პ. (ბ) წინააღმდეგ. ამავე დროს კი ცხადია, რომ ტროცკისტების არალეგალური ანტიპარტიული სტამბის საკითხი მთლიანად და სავსებით ამხილებს ტროცკისაც და მის მომხრეებსაც ოპოზიციიდან, როგორც პარტიულობის მტრებს, როგორც გამთიშველებს და პროლეტარული საქმის დეზორგანიზატორებს.

მართლაც, ტროცკი ფიქრობს, რომ ოპოზიცია მართალია, — **ამიტომ** მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი არალეგალური სტამბებიო.

მაგრამ გარდა ტროცკის ჯგუფისა, საკავშირო კომპარტიაში (ბ) არიან კიდევ სხვა ოპოზიციური ჯგუფები: «მუშათა ოპოზიცია», საპრონოველები და ა. შ. თვითეულ ამ პატარა ჯგუფთაგანს მიაჩნია, რომ ის მართალია. ტროცკის გზას რომ გავყვეთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ თვითეულ ამ ჯგუფთაგანს უფლება აქვს მოაწყოს თავისი არალეგალური სტამბები. ვთქვათ, ისინი მართლაც აწყობენ თავი-

ანთ არალეგალურ სტამბებს, პარტია კი არ ებრძვის ამ ბოროტებას, — რაღა დარჩება მაშინ პარტიისაგან?

რას ნიშნავს — დაუშვა პარტიის ყველა და ყოველგვარი დაჯგუფების არალეგალური სტამბების არსებობა? ეს ნიშნავს — დაუშვა პარტიაში რამდენიმე ცენტრის არსებობა, რომლებსაც აქვთ თავისი «პროგრამები», თავისი «პლატფორმები», თავისი «ხაზები». რაღა დარჩება მაშინ ჩვენს პარტიაში რკინისებური დისციპლინისაგან, რომელიც ლენინს პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლად მიაჩნდა? განა შესაძლებელია ასეთი დისციპლინა, თუ არ არის ერთიანი და ერთადერთი ხელმძღვანელი ცენტრი? ესმის თუ არა ტროცკის, რა ჭაობში ვარდება ის, როცა იცავს ოპოზიციურ დაჯგუფებათა უფლებას — მოაწყონ არალეგალური ანტიპარტიული სტამბები?

ბონაპარტიზმის საკითხი. ამ საკითხში ოპოზიცია სრულ უმეცრებას იჩენს. ჩვენი პარტიის უდიდეს უმრავლესობას ბონაპარტიზმის ცდებში რომ სდებს ბრალს, ტროცკი ამით ცხადყოფს თავის სრულ უმეცრებას და ბონაპარტიზმის ფესვების გაუგებლობას.

რა არის ბონაპარტიზმი? ბონაპარტიზმი არის ცდა — თავს მოახვიო უმრავლესობას უმცირესობის ნება ძალადობის გზით. ბონაპარტიზმი არის ძალადობის გზით უმცირესობის მიერ უმრავლესობის წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდება პარტიაში ან ქვეყანაში. მაგრამ თუ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზის მომხრენი უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ პარტიაშიც და საბჭოებშიც, მაშინ როგორ შეიძლება სთქვა ისეთი სისულელე, რომ უმრავლესობა ვითომ ცდილობს თავს მოახვიოს საკუთარ თავს საკუთარივე ნება ძალადობის გზით? სად მომხდარა ისტორიაში, რომ უმრავლესობას თავისი თავისათვის მოეხვიოს საკუთარივე ნება ძალადობის გზით? ვის შეუძლია,

გარდა ჭკუაზე შეშლილისა, დაიჯეროს, რომ შესაძლებელია ასეთი წარმოუდგენელი რამ?

განა ეს ფაქტი არ არის, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზის მომხრენი უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ პარტიაშიც და ქვეყანაშიც? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ოპოზიცია სრულიად უმნიშვნელო ჯგუფს შეადგენს? შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი პარტიის უმრავლესობა თავს ახვევს თავის ნებას უმცირესობას, ე. ი. ოპოზიციას. და ეს სავსებით კანონიერია ამ სიტყვის პარტიული აზრით. მაგრამ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ უმრავლესობა თავის თავს ახვევდეს საკუთარსავე ნებას, ისიც ძალადობის გზით? რა ბონაპარტიზმზე შეიძლება აქ ლაპარაკი? განა უფრო სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ უმცირესობაში, ე. ი. ოპოზიციაში, შეიძლება გაჩნდეს ტენდენციები — თავს მოახვიოს საკუთარი ნება უმრავლესობას? ასეთი ტენდენციები რომ გაჩენილიყო, ეს სრულებით არ იქნებოდა გასაკვირველი, ვინაიდან უმცირესობას, ე. ი. ტროცკისტულ ოპოზიციას, ახლა სხვა შესაძლებლობა არა აქვს დაეუფლოს ხელმძღვანელობას, გარდა ძალადობისა უმრავლესობის მიმართ. ასე რომ, თუ მაინცდამაინც ვილაპარაკეთ ბონაპარტიზმზე, დაე ტროცკიმ თავის ჯგუფში მოძებნოს ბონაპარტობის კანდიდატები.

ორიოდე სიტყვა გადაგვარებასა და თერმიდორელობაზე. მე აქ არ შევუდგები გადაგვარებისა და თერმიდორელობის შესახებ იმ სულელურ და უმეცრულ ბრალდებათა ანალიზს, რომლებსაც ზოგჯერ აყენებენ ოპოზიციონერები პარტიის წინააღმდეგ. არ შევუდგები, რადგან ეს ბრალდებანი ანალიზის ღირსნი არ არიან. მე მინდა წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით დავსვა საკითხი.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ტროცკისტული ოპოზიცია წარმოადგენს მართლაც რევოლუციურ პოლიტიკას, და არა სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, — რით აიხსნება

ასეთ შემთხვევაში, რომ გადაგვარებული და პარტიიდან და კომინტერნიდან განდევნილი ყველა ოპორტუნისტული ელემენტები ჯგუფდებიან ტროცკისტული ოპოზიციის გარშემო და იქ პოულობენ თავშესაფარსა და დაცვას?

რით აიხსნება, რომ რუთ ფიშერსა და მასლოვს, შოლემსა და ურბანსს, რომლებიც კომინტერნიდან და გერმანიის კომპარტიიდან არიან განდევნილნი, როგორც გადაგვარებული და რენეგატული ელემენტები, იცავს და გულთბილად ხვდება სწორედ ტროცკისტული ოპოზიცია?

რით აიხსნება, რომ ისეთი ოპორტუნისტი და მართლაც გადაგვარებული ადამიანები, როგორიც არიან სუვარინი და როსმერი საფრანგეთში, ოსოვსკი და დაშკოვსკი სსრ კავშირში, თავშესაფარს პოულობენ სწორედ ტროცკისტულ ოპოზიციასთან?

შეიძლება თუ არა შემთხვევით რამედ ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კომინტერნი და საკავშირო კ. პ. (ბ) თავისი წრიდან რიცხავენ ამ გადაგვარებულ და მართლაც თერმიდორულად განწყობილ ადამიანებს, ხოლო ტროცკი და ზინოვიევი ხვევნა-კოცნით ხვდებიან მათ, თავშესაფარს აძლევენ და იცავენ?

განა ეს ფაქტები არ მოწმობენ იმას, რომ ტროცკისტული ოპოზიციის «რევოლუციური» ფრაზები ფრაზებად რჩებიან, ნამდვილად კი ოპოზიცია გადაგვარებული ელემენტების შესაკრებ პუნქტს წარმოადგენს?

განა ყოველივე ეს არ მოწმობს იმას, რომ ტროცკისტული ოპოზიცია გადაგვარებისა და თერმიდორელობის ბუდესა და კერას წარმოადგენს?

ყოველ შემთხვევაში, ჩვენში, საკავშირო კომპარტიაში (ბ), არის ერთადერთი ჯგუფი, რომელიც თავის გარშემო კრებს ყველა და ყოველგვარ ყალთაბანდებს, როგორიც არიან მასლოვი და რუთ ფიშერი, როგორიც არიან სუვარინი და ოსოვსკი. ეს ჯგუფი არის ტროცკის ჯგუფი.

ასეთია, საერთოდ, ამხანაგებო, ოპოზიციის პოლიტიკური ფიზიონომია.

ხოლო როგორია დასკვნა, შემეკითხებით თქვენ?

დასკვნა ერთია. ოპოზიცია იმდენად დაიბნა, მან ისე მარჯვედ მოიმწყვდია თავი ჩიხში, საიდანაც გამოსავალი არ არის, რომ იგი აღმოჩნდა არჩევანის წინაშე: ან კომინტერნი და საკავშირო კ. პ. (ბ), ან მასლოვი, რუთ ფიშერი და რენეგატები არალეგალური ანტიპარტიული სტამბიდან.

არ შეიძლება მუდამ ამ ორ ბანაკს შორის ქანაობა. დროა მოახდინოთ არჩევანი. ან კომინტერნთან და საკავშირო კომპარტიასთან (ბ), და მაშინ — ომი მასლოვისა და რუთ ფიშერის წინააღმდეგ, ყველა და ყოველგვარი რენეგატების წინააღმდეგ. ან საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის წინააღმდეგ, და მაშინ — გზა დაგვილოცნია მასლოვისა და რუთ ფიშერის ჯგუფისაკენ, ყველა რენეგატისა და გადაგვარებულისაკენ, ყოველგვარი შჩერბაკოვებისა და დანარჩენი ნაყარნუყარისაკენ. (ტ ა შ ი).

ჟურნალი «კომუნისტური
ინტერნაციონალი» № 41,
1927 წ. 14 ოქტომბერი.

კონსპექტი სტატიისა «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი»

ოქტომბრის რევოლუცია არ არის მხოლოდ რევოლუცია «ნაციონალურ ჩარჩოებში», არამედ არის უწინარეს ყოვლისა ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, ვინაიდან ის ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველიდან ახლისაკენ.

რევოლუციები წარსულში ჩვეულებრივ იმით თავდებოდა, რომ მმართველობის საჭესთან ექსპლოატატორთა ერთ ჯგუფს ცვლიდა ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფი. ექსპლოატატორები იცვლებოდნენ, ექსპლოატაცია რჩებოდა. ასე იყო მონების რევოლუციების, ყმების რევოლუციების, სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის რევოლუციების დროს. ოქტომბრის რევოლუცია პრინციპულად განსხვავდება ამ რევოლუციებისაგან. იგი თავის მიზნად ისახავს არა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას ექსპლოატაციის მეორე ფორმით, ექსპლოატატორთა ერთი ჯგუფისა — ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფით, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, ექსპლოატატორთა ყველა და ყოველგვარი ჯგუფის დამხობას.

პროლეტარიატის, როგორც ყველა ექსპლოატირებულთა შორის ყველაზე რევოლუციური და ყველაზე ორგანიზებული კლასის, დიქტატურის დამყარება.

სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ნიშნავს ძირეულ მობრუნებას ეკონომიკასა და პოლიტიკაში, მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებული მასების ყოფა-ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებში, კულტურასა და მთელ სულიერ წყობაში.

ამაშია იმის ფესვები, რომ ყველა ქვეყნის ჩაგრული კლასები უდიდეს სიმპათიებს გრძნობენ ოქტომბრის რევოლუციისადმი, რადგან მასში ხედავენ თავიანთი განთავისუფლების საწინდარს.

ოთხი ძირითადი ნიშანი.

1) **იმპერიალიზმის ცენტრები** («მეტროპოლია»). ოქტომბერი, როგორც მობრუნება კაპიტალიზმის ბატონობიდან მოწინავე ქვეყნებში — კომუნიზმისაკენ. ჩვენში ხშირად ამბობენ, ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის გარღვევა არისო. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მან **დასაბამი** მისცა პროლეტარული რევოლუციების ერას და პროლეტარიატის დიქტატურას.

წინათ საზომად იღებდნენ საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუციას, იყენებდნენ მის ტრადიციებს და ნერგავდნენ მის წესებს.

ახლა საზომად იღებენ ოქტომბრის რევოლუციას.

წინათ საფრანგეთი.

ახლა სსრ კავშირი.

წინათ «იაკობინელი» იყო მთელი ბურჟუაზიის საფრთხობელა.

ახლა ბოლშევიკია ბურჟუაზიის საფრთხობელა.

«უბრალო» ბურჟუაზიული რევოლუციების ერამ, როცა პროლეტარიატი მხოლოდ დამკვრელი ძალა იყო, ხოლო

ექსპლოატატორები რევოლუციების ნაყოფით სარგებლობდნენ, — **განვლო.**

დადგა ერა პროლეტარული რევოლუციებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

2) **იმპერიალიზმის პერიფერია.** ოქტომბერმა დაიწყო ერა განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

პროლეტარიატს არ შეუძლია თავი გაითავისუფლოს ისე, თუ მან არ გაათავისუფლა იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები. მეტროპოლიების პროლეტარულ რევოლუციათა და დამოკიდებული ქვეყნების კოლონიურ რევოლუციათა ერთიანი ფრონტი.

კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უშფოთველი ექსპლოატაციის ერამ **განვლო.**

დადგა კოლონიების განმათავისუფლებელი რევოლუციების ერა, ამ ქვეყნების პროლეტარიატის გამოღვიძების ერა, მისი ჰეგემონიის ერა.

3) **ცენტრები და პერიფერია — ერთად.** ამით ოქტომბერმა მსოფლიო იმპერიალიზმს მიაყენა მომაკვდინებელი ჭრილობა, რომლისგანაც იგი ვერასოდეს ვერ განიკურნება.

იმპერიალიზმი ვერასოდეს ვერ დაიბრუნებს იმ «წონასწორობასა» და იმ «სიმყარეს», რაც მას ოქტომბრამდე ჰქონდა.

კაპიტალიზმის «სიმყარის» ერამ **განვლო.**

დადგა კაპიტალიზმის დაცემის ერა.

4) ოქტომბერი ნიშნავს კომუნიზმის იდეოლოგიურ გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე, მარქსიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე.

წინათ, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე, სოც.-დემოკრატებსა და რეფორმისტებს

შეეძლოთ კოხტაობა მარქსიზმის დროშით, კეკლუცობა მარქსით და ენგელსით და ა. შ., რადგან ეს სახიფათო არ იყო ბურჟუაზიისათვის, და ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მარქსიზმის გამარჯვებას.

ახლა, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ, როცა ყველამ გაიგო, საით მივყავართ მარქსიზმს და რას შეიძლება ნიშნავდეს მისი გამარჯვება, სოც.-დემოკრატებმა და რეფორმისტებმა იგრძნეს ასეთი კოხტაობისა და მარქსიზმით კეკლუცობის საშიშროება ბურჟუაზიისათვის და ამჯობინეს გამიჯნოდნენ მარქსიზმს.

ამიერიდან მარქსიზმის ერთადერთი თავშესაფარი და დასაყრდენი გახდა კომუნიზმი.

ამიერიდან მარქსიზმის სული ტოვებს სოციალ-დემოკრატიას ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატიამ უფრო ადრე მიატოვა მარქსიზმი.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დროიდან მარქსისტებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც გადაჭრით და თავდადებით უჭერს მხარს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურას.

რას ნიშნავს მხარი დაუჭირო მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურას? ეს ნიშნავს — დადგე **თავისი** ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის პოზიციაზე. მაგრამ რადგან სოც.-დემოკრატებს არ სურთ ეომონ თავის ბურჟუაზიას, არამედ ამჯობინებენ შეეგუონ მას, ისინი, ბუნებრივია, დგებიან მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციაზე, სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენის პოზიციაზე. სწორედ ეს არის სოციალ-დემოკრატიის აღსასრული.

ოქტომბერმა დაიწყო მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვების ერა, რომელიც არის სოციალ-დემოკრატიის აღსასრულისა და ბურჟუაზიის ბანაკში მისი პირდაპირი გადასვლის ერა.

ოქტომბერი არის მარქსიზმის გამარჯვება იდეოლოგიაში.

1927 წ. ოქტომბერი.

იბეჭდება პირველად.

ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე[1]

1927 წ. 23 ოქტომბერი

I

ზოგიერთი წვრილმანი საკითხი

ამხანაგებო! მე ცოტა დრო მაქვს, ამიტომ ვილაპარაკებ ცალკეულ საკითხებზე.

უწინარეს ყოვლისა პირადი მომენტის შესახებ. აქ ოქვენ გაიგონებდით, თუ როგორი მონდომებით, ძალღონის დაუზოგავად, ლანძღავენ ოპოზიციონერები სტალინს. ეს მე არ მაკვირვებს, ამხანაგებო. ის ფაქტი, რომ მთავარი თავდასხმები მიმართულია სტალინის წინააღმდეგ, ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ სტალინი იცნობს, იქნებ, უკეთ, ვიდრე ზოგი ჩვენი ამხანაგი, ოპოზიციის მთელ გაიძვერობას, მისი მოტყუება, შეიძლება ითქვას, არც ისე იოლია, და აი ისინი მახვილს მიმართავენ უწინარეს ყოვლისა სტალინის წინააღმდეგ. ილანძღონ რამდენიც ნებავთ.

მაგრამ რაღა სტალინი, სტალინი ჰატარა კაცია. აიღეთ ლენინი. ცინ არ იცის, რომ ოპოზიცია ტროცკის მეთაურობით, აგვისტოს ბლოკის დროს, კიდევ უფრო ხულიგნურ

კამპანიას ეწეოდა ლენინის წინააღმდეგ. მოუსმინეთ, მაგალითად, ტროცკის:

«რაღაც უახლო მოლანდებად ჩანს საძაგელი კინკლაობა, რასაც სისტემატურად აღვივებს ამა საქმეთა ოსტატი ლენინი, ეს პროფესიული **ექსპლოატატორი** ყოველგვარი ჩამორჩენილობისა **რუსეთის** მუშათა მოძრაობაში» (იხ. «ტროცკის წერილი ჩხეიძისადმი», 1913 წ. აპრილი).

ერთი ენას შეხედეთ, რა ენაა, მიაქციეთ ყურადღება. ამხანაგებო. ამას წერს ტროცკი. და წერს ლენინის **შესახებ**.

განა შეიძლება გვიკვირდეს, რომ ტროცკი, რომელიც ასე მოურიდებლად იხსენიებს დიდ ლენინს, რომლის ჩექმადაც ის არა ღირს, ახლა მთელი ძალღონით ლანძღავს ლენინის ერთ-ერთ მოწაფეს მრავალთაგან — ამხ. სტალინს.

უფრო მეტი, ჩემთვის ღირსების საქმედ ჰიმაჩნია, რომ ოპოზიცია მთელ თავის სიძულვილს სტალინის წინააღმდეგ ჰიმართავს. ეს ასეც უნდა იყოს. ვფიქრობ, უცნაური და საწყენი იქნებოდა, რომ ოპოზიციას, რომელიც ცდილობს დაანგრიოს პარტია, შეეჭო სტალინი, რომელიც იცავს ლენინური პარტიულობის საფუძვლებს.

ახლა ლენინის «ანდერძის» შესახებ. აქ ოპოზიციონერები გაჰყვიროდნენ, — ეს თქვენ მოისმინეთ, — პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის «ანდერძი» «დამალაო». თქვენ იცით, ეს საკითხი რამდენიმეჯერ იყო განხილული ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე. (ხმა: «ათეულჯერ»). დამტკიცდა და თვალნათლივ დამტკიცდა, რომ არავის არაფერი არ დაუმალავს, რომ ლენინის «ანდერძი» მიმართული იყო პარტიის XIII ყრილობისადმი, რომ იგი, ეს «ანდერძი», გამოქვეყნებული იყო ყრილობაზე (ხმა: «მართალია!»), რომ ყრილობამ **ერთხმად** გადაწყვიტა არ გამოექვეყნებინა იგი, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ლენინს თვითონაც არ უნდოდა ეს და არც მოუთხოვია. ყოველივე

ეს ოპოზიციამ თვითეულ ჩვენგანზე ნაკლებად როდი იცის. და მიუხედავად ამისა, ოპოზიციას შესწევს გამბედაობა განაცხადოს, ცენტრალური კომიტეტი «ანდერძს» «მალავსო».

ლენინის «ანდერძის» საკითხი ჩვენში იდგა — თუ არ ვცდები — ჯერ კიდევ 1924 წელს. არის ვიღაც ისტმენი, ყოფილი ამერიკელი კომუნისტი, რომელიც შემდეგ პარტიიდან გააძევეს. ეს ვაჟბატონი ერთ ხანს მოსკოვში დაძვრებოდა ტროცკისტებს შორის, ზოგი ხმა და ჭორი მოაგროვა ლენინის «ანდერძის» შესახებ, საზღვარგარეთ გაემგზავრა და გამოსცა წიგნი სათაურით «ლენინის სიკვდილის შემდეგ». სადაც ის ფერებს არ ზოგავს, რათა ჩირქი მოსცხოს პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა ხელისუფლებას, და სადაც ყველაფერს იმაზე ამენებს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თითქოს «მალავს» ლენინის «ანდერძს». რადგან ამ ისტმენს ერთ დროს კავშირურთიერთობა ჰქონდა ტროცკისთან, ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებმა, მივმართეთ ტროცკის წინადადებით — გამოჯნოდა ისტმენს, რომელიც ტროცკის ებღაუჭება, ოპოზიციას იმოწმებს და პასუხისმგებელს ხდის ტროცკის «ანდერძის» გამო ჩვენი პარტიის მიმართ ცილისწამებისათვის. საკითხის სიცხადის გამო, ტროცკი მართლაც გამოჯნა ისტმენს პრესაში სათანადო განცხადების მოთავსებით. ეს განცხადება გამოქვეყნებულია 1925 წლის სექტემბერში «ბოლშევიკის» № 16-ში.

ნება მომეცით წავიკითხო ეს ადგილი ტროცკის სტატიიდან იმის შესახებ, მალავს პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ლენინის «ანდერძს» თუ არ მალავს. მოვყავს ციტატა ტროცკის სტატიიდან:

«წიგნაკის ზოგიერთ ადგილას ისტმენი ამბობს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა «დაუმალა» პარტიას მთელი რიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები, დაწერილი ლენინის მიერ მისი სიცოცხ-

ლ•ს უკანასკნელ პერიოდში (საქმე ეხება წერილებს ნაციონალურ საკითხზე, ეგრეთწოდებულ «ანდერძს» და სხვ.); **ამას არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა ცილისწამება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ** *. ისტმენის სიტყვებიდან შეიძლება ის დასკვნა გაკეთდეს, თითქოს ვლადიმირ ილიას-ძეს ეს წერილები, რომლებიც შინაორგანიზაციული რჩევა-დარიგების ხასიათისაა, განკუთვნილი ჰქონოდეს პრესისათვის. ნამდვილად კი ეს სრულიადაც არ არის მართალი. ვლადიმირ ილიას-ძეს თავისი ავადმყოფობის დროიდან არა ერთხელ მიუმართავს პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულებებისა და მისი ყრილობისათვის წინადადებებით, წერილებით და სხვ. ყველა ეს წერილი და წინადადება, თავისთავად იგულისხმება, ყოველთვის გადაეცემოდა ხოლმე დანიშნულებისამებრ, ეცნობა პარტიის XII და XIII ყრილობათა დელეგატებს და ყოველთვის, რა თქმა უნდა, სათანადო გავლენას ახდენდა პარტიის გადაწყვეტილებებზე, და თუ **ყველა** ეს წერილი არ დაბეჭდილა, ეს იმიტომ, რომ ისინი ავტორის მიერ არ ყოფილან პრესისათვის განკუთვნილი. არავითარი «ანდერძი» ვლადიმირ ილიას-ძეს არ დაუტოვებია, და თვით ხასიათი მისი დამოკიდებულებისა პარტიისადმი, ისევე როგორც თვითონ პარტიის ხასიათი, გამორიცხავდა ასეთი «ანდერძის» შესაძლებლობას. «ანდერძის» სახით ემიგრანტულ და უცხოეთის ბურჟუაზიულ პრესაში ჩვეულებრივ იხსენიება (წარმოუდგენლად დამახინჯებული სახით) ვლადიმირ ილიას-ძის ერთ-ერთი წერილი, რომელიც ორგანიზაციული ხასიათის რჩევა-დარიგებას შეიცავს. პარტიის XIII ყრილობა უარესი ყურადღებით მოეპყრო ამ წერილსაც, ისევე როგორც **ყველა დანარჩენს**, და გამოიტანა იქიდან დასკვნები მომენტის პირობებთან და გარემოებებთან შეფარდებით. **ყოველგვარი მითქმა-მოთქმა გადამალული ან დარღვეული «ანდერძის» გამო ბოროტ ჭორს წარმოადგენს და მთლიანად მიმართულია ვლადიმირ ილიას-ძის ფაქტიური ნებასურვილისა** და მის მიერ შექმნილი პარტიის ინტერესების **წინააღმდეგ»** * (იხ. ტროცკის სტატია «ისტმენის წიგნის გამო — «ლენინის სიკვდილის შემდეგ»», «ბოლშევიკ» № 16, 1925 წ. 1 სექტემბერი, გვ. 68).

მგონი, ნათელია? ამას წერს ტროცკი, და არა სხვა ვინმე. მაშ რა საბუთით ენამრუმობენ ახლა ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი, როცა ამტკიცებენ, რომ პარტია და მისი

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ცენტრალური კომიტეტი «მალავენ» ლენინის «ანდერძს»? ენამრუშობა «შეიძლება», მაგრამ ზომაც ხომ უნდა იცოდე.

ამბობენ, რომ ამ «ანდერძში» ამბ. ლენინი წინადადებას აძლევდა ყრილობას — სტალინის «უხეშობის» გამო მოეფიქრა საკითხი სტალინის შეცვლისა გენერალური მდივნის პოსტზე სხვა ამხანაგით. ეს სავსებით სწორია. დიახ, მე უხეში ვარ, ამხანაგებო, იმათ მიმართ, ვინც უხეშად და ვერაგულად ანგრევს და თიშავს პარტიას. მე ამას არ ვმალავდი და არ ვმალავ. შესაძლოა, რომ აქ საჭირო იყოს ერთგვარი სირბილე გამთიშველთა მიმართ. მაგრამ ეს მე არ გამომიდის. XIII ყრილობის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის პირველსავე სხდომაზე მე ვთხოვე ცენტრალური კომიტეტის პლენუმს გავეთავისუფლებინე გენერალური მდივნის მოვალეობათაგან. ყრილობა თვით იხილავდა ამ საკითხს. თვითეული დელეგაცია იხილავდა ამ საკითხს, და ყველა დელეგაციამ ერთხმად, მათ შორის აგრეთვე ტროცკიმ, კამენევმა, ზინოვიევმა, **დაავალდებულა** სტალინი დარჩენილიყო თავის პოსტზე.

რა შემეძლო მექნა? გავქცეულიყავი პოსტიდან? ეს ჩემს ხასიათს არ შეეფერება, არავითარი პოსტიდან არასოდეს არ გავქცეულვარ და არა მაქვს უფლება გავიქცე, ვინაიდან ეს დეზერტირობა იქნებოდა. მე, როგორც ეს წინათაც მითქვამს, დამოკიდებული კაცი ვარ, და როცა პარტია მავალებს, უნდა დავემორჩილო.

ამის მერე ერთი წლის შემდეგ კვლავ შევიტანე პლენუმში განცხადება განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ისევ დამავალეს დავრჩენილიყავი პოსტზე.

მეტი რა უნდა მექნა?

რაც შეეხება «ანდერძის» გამოქვეყნებას, ყრილობამ გადაწყვიტა არ გამოექვეყნებინა იგი, რადგან «ანდერძი» მიმართული იყო ყრილობისადმი და პრესისათვის არ ყოფილა განკუთვნილი.

ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის პლენუმის გადაწყვეტილება, რომ გამოეთხოვნათ ამ დოკუმენტის დაბეჭდვის ნებართვა XV ყრილობისაგან. ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იმავე პლენუმის გადაწყვეტილება ლენინის სხვა წერილების დაბეჭდვის შესახებ, სადაც ლენინი აღნიშნავს კამენევისა და ზინოვიევის მიერ ოქტომბრის აჯანყების წინ დაშვებულ შეცდომებს და მოითხოვს მათ გარიცხვას პარტიიდან [48].

ცხადია, რომ მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თითქოს პარტია მალავდეს ამ დოკუმენტებს, საზიზღარ ცილისწამებას წარმოადგენს. ამას მიეკუთვნება ისეთი დოკუმენტებიც, როგორიცაა ლენინის წერილები იმის შესახებ, რომ აუცილებელია პარტიიდან გაირიცხონ ზინოვიევი და კამენევი. არასოდეს არ ყოფილა, რომ ბოლშევიკურ პარტიას, რომ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სიმართლისა შეშინებოდეთ. ბოლშევიკური პარტიის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას სიმართლისა არ ეშინია და რომ იგი პირდაპირ უცქერის სიმართლეს.

ოპოზიცია ცდილობს ხელზე დაიხვიოს ლენინის «ანდერძი». მაგრამ საკმარისია მხოლოდ წაიკითხოთ ეს «ანდერძი», რათა მიხვდეთ, რომ მათ ხელზე დასახვევი არაფერი აქვთ. პირიქით, ლენინის «ანდერძი» მიწასთან ასწორებს ოპოზიციის ახლანდელ ლიდერებს.

მართლაც, ფაქტია, რომ ლენინი თავის «ანდერძში» ბრალს სდებს ტროცკის «არაბოლშევიზმში», ხოლო ოქტომბრის დროს კამენევისა და ზინოვიევის შეცდომის შესახებ ამბობს, რომ ეს შეცდომა «შემთხვევითი» არ არის. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **პოლიტიკურად** არ შეიძლება ვენდოთ არც ტროცკის, რომელსაც «არაბოლშე-

ვიზმი» ახასიათებს, არც კამენევსა და ზინოვიევს, რომელთა შეცდომები «შემთხვევითი» არ არის და რა შეცდომებიც შეიძლება განმეორდეს და უნდა განმეორდეს.

დამახასიათებელია, რომ არც ერთი სიტყვა, არც ერთი გადაკრული თქმა არ არის «ანდერძში» სტალინის შეცდომების შესახებ. იქ ლაპარაკია მხოლოდ სტალინის უხეშობაზე. მაგრამ უხეშობა არ არის და არც შეიძლება იყოს სტალინის **პოლიტიკური** ხაზის ან პოზიციის ნაკლი.

აი სათანადო ადგილი «ანდერძიდან»:

«არ განვაგრძობ ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრთა დახასიათებას მათი **პირადი თვისებების** მიხედვით. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის **epizodi**, რა თქმა უნდა, **შემთხვევითი** რამ არ არის, მაგრამ იგი ისევე ნაკლებად შეიძლება ბრალად ჩაეთვალოს მათ პირადად, როგორც არაბოლშევიზმი ტროცკის».

მგონი, ნათელია.

II

ოპოზიციის «პლატფორმის» შესახებ

შემდეგი საკითხი. რატომ არ დაბეჭდა ცენტრალურმა კომიტეტმა ოპოზიციის ცნობილი «პლატფორმა»? ზინოვიევი და ტროცკი ამას იმით ხსნიან, რომ ცენტრალურ კომიტეტს და პარტიას სიმართლისა «ეშინიათო». მართალია ეს? რა თქმა უნდა, არ არის მართალი. უფრო მეტი, სისულელეა იმის თქმა, რომ პარტიას ან ცენტრალურ კომიტეტს ეშინიათ სიმართლისა. ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების სტენოგრამები. ეს სტენოგრამები რამდენიმე ათას ცალად იბეჭდება და ურიგდება პარტიის წევრებს. იქ არის ოპოზიციონერების სიტყვები, ისევე როგორც არის პარტიული

ხაზის წარმომადგენელთა სიტყვები. ამ სტენოგრამებს პარტიის ათეული და ასეული ათასობით წევრი კითხულობს. (ხმები: «მართალია!»). ჩვენ რომ სიმართლისა გვეშინოდეს, მაშინ ამ დოკუმენტებს არ გავავრცელებდით. ეს დოკუმენტები, კაცმა რომ თქვას, სწორედ იმით არის კარგი, რომ ისინი პარტიელებს შესაძლებლობას აძლევენ შეადარონ ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ოპოზიციის შეხედულებებს და გამოიტანონ თავიანთი გადაწყვეტილებანი. სად არის აქ სიმართლის შიში?

1926 წლის ოქტომბერში ოპოზიციის ლიდერები ბაქიბუქობდნენ და ამტკიცებდნენ, ისევე როგორც ახლა ამტკიცებენ, რომ ცენტრალურ კომიტეტს სიმართლისა ეშინია, რომ იგი მალავს მათს «პლატფორმას», უმალავს მას პარტიას და ა. შ. სწორედ ამიტომ შეიჭრნენ ისინი მაშინ მოსკოვის უჯრედებში (გაიხსენეთ «ავიაპრიბორი»), ლენინგრადის უჯრედებში (გაიხსენეთ «პუტილოვი») და ა. შ. და მერე? აღმოჩნდა, რომ მუშა-კომუნარებმა დაზილეს ჩვენი ოპოზიციონერები, და ისე მაგრად დაზილეს, რომ ოპოზიციის ლიდერები იძულებული გახდნენ ბრძოლის ველიდან გაქცეულიყვნენ. რატომ მაშინ ვერ გაბედეს მათ ყველა უჯრედი მოევლოთ და შეემოწმებინათ, თუ ჩვენთაგან ვის ეშინია სიმართლისა — ოპოზიციონერებს თუ ცენტრალურ კომიტეტს? სწორედ იმიტომ, რომ ისინი დაფრთხნენ, მათ შეეშინდათ ნამდვილი (და არა მოჭორილი) სიმართლისა.

ახლა კი? განა ახლა ჩვენში, სიმართლე რომ ითქვას, არ არის დისკუსია უჯრედებში? დაასახელეთ თუნდაც ერთი უჯრედი, სადაც არის თუნდაც ერთი ოპოზიციონერი, სადაც უკანასკნელი 3 — 4 თვის განმავლობაში შემდგარიყოს უჯრედის თუნდაც ერთი სხდომა ისე, რომ ოპოზიცია არ გამოსულიყოს, დისკუსია არ გამართულიყოს. განა ფაქტი არ არის, რომ უკანასკნელ 3 — 4 თვეს ოპოზიცია ყველგან, სადაც კი მას შეუძლია, გამოდის უჯრედებში თავისი

კონტრრევოლუციებით. (ხ მ ე ბ ი: «სავსებით მართალია!»). მაშ რატომ არ ცდიან ტროცკი და ზინოვიევი მივიდნენ უჯრედებში და გამოთქვან თავიანთი შეხედულებანი?

დამახასიათებელი ფაქტი. ამა წლის აგვისტოში, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შემდეგ, ტროცკიმ და ზინოვიევმა გამოგზავნეს განცხადება, რომ მათ სურთ გამოვიდნენ მოსკოვის აქტივის კრებაზე, თუ ცენტრალურ კომიტეტს ამის საწინააღმდეგო არა ექნება რა. ცენტრალურმა კომიტეტმა ამაზე უპასუხა (და ეს პასუხი დაეგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს), რომ ცენტრალურ კომიტეტს არაფერი აქვს ტროცკისა და ზინოვიევის გამოსვლის საწინააღმდეგო, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრები, არ გამოვლენ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. და მერე რა? მათ უარი თქვეს გამოსვლაზე. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

დიახ, ამხანაგებო, ჩვენთაგან ვიღაცას მართლაც ეშინია სიმართლისა, მაგრამ არა ცენტრალურ კომიტეტს, მით უფრო, არა პარტიას, არამედ ჩვენი ოპოზიციის ლიდერებს.

რატომ არ დაბეჭდა, ასეთ შემთხვევაში, ცენტრალურმა კომიტეტმა ოპოზიციის «პლატფორმა»?

იმიტომ, უწინარეს ყოვლისა, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ სურდა და უფლებაც არ ჰქონდა მოეხდინა ტროცკის ფრაქციის ლეგალიზაცია, საერთოდ ფრაქციულ დაჯგუფებათა ლეგალიზაცია. ლენინი X ყრილობის რეზოლუციაში «ერთიანობის შესახებ» ამბობს, რომ «პლატფორმის» არსებობა არის ფრაქციულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ შეადგინა «პლატფორმა» და მოითხოვა მისი დაბეჭდვა, რითაც დაარღვია X ყრილობის გადაწყვეტილება. რა იქნებოდა, ცენტრალურ კომიტეტს რომ ოპოზიციის «პლატფორმა» დაებეჭდა? ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ცენტრალური კომი-

ტეტი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობაში X ყრილობის გადაწყვეტილების დასარღვევად. შეეძლოთ თუ არა ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას ასე მოქცეულიყვნენ? ცხადია, არც ერთს თავისი თავის პატივისმცემელ ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ასეთი ფრაქციული ნაბიჯი გადაედგა. (ხმები: «სწორია!»).

შემდეგ. X ყრილობის ამავე რეზოლუციაში «ერთიანობის შესახებ», რომელიც ლენინის ხელით არის დაწერილი, ნათქვამია, რომ «ყრილობა მოითხოვს დაუყოვნებლივ **დაშლილ იქნას** ამა თუ იმ პლატფორმის ნიადაგზე წარმოშობილი ყველა ჯგუფი უკლებლივ», რომ «ყრილობის ამ დადგენილების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს უთუო და დაუყოვნებლივი გარიცხვა პარტიიდან». ცხადი და გარკვეული დირექტივაა. მაგრამ რა იქნებოდა, ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას რომ დაებეჭდათ ოპოზიციის «პლატფორმა»? შეიძლებოდა თუ არა ამისათვის გვეწოდებინა ამა თუ იმ «პლატფორმის» ნიადაგზე წარმოშობილი უკლებლივ ყველა ჯგუფის დაშლა? ცხადია, რომ არა. პირიქით, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია თვითონ კისრულობენ კი არ დაშალონ ჯგუფები და ფრაქციები, არამედ ხელი შეუწყონ მათს შექმნას ოპოზიციის «პლატფორმის» საფუძველზე. შეეძლოთ თუ არა ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გადაედგათ ეს გამთიშველი ნაბიჯი? ცხადია, არ შეეძლოთ.

დასასრულ, ოპოზიციის «პლატფორმა» ისეთ ცილისწამებებს შეიცავს პარტიის მიმართ, რომლებიც, ისინი რომ გამოგვექვეყნებინა, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდნენ პარტიასაც და ჩვენს სახელმწიფოსაც.

მართლაც, ოპოზიციის «პლატფორმაში» ნათქვამია, რომ ჩვენი პარტია თითქოს მზად არის მოსპოს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და იხადოს ყველა ვალი, მაშასადამე, სამხედრო ვალებიც. ყველამ იცის, რომ ეს საზიზღარი ცილისწამებაა ჩვენი პარტიის, ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი სახელმწიფოს მიმართ. ვთქვათ, ჩვენ დაგვებეჭდა «პლატფორმა», რომელიც შეიცავს ამგვარ ცილისწამებას პარტიასა და სახელმწიფოზე. რა გამოვიდოდა აქედან? აქედან მხოლოდ ის გამოვიდოდა, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია კიდევ უფრო დაგვაწვებოდა და მოითხოვდა ისეთ დათმობებს, რომლებზედაც ჩვენ ვერასგზით ვერ დავთანხმდებით (მაგალითად, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობა, სამხედრო ვალების გადახდა და ა. შ.), და დაგვემუქრებოდა ომით.

თუ ცენტრალური კომიტეტის ისეთი წევრები, როგორიც არიან ტროცკი და ზინოვიევი, ყალბად აბეზღებენ ჩვენს პარტიას ყველა ქვეყნის იმპერიალისტების წინაშე და არწმუნებენ მათ, რომ ჩვენ მზადა ვართ დავთანხმდეთ მაქსიმალურ დათმობებზე და თვით საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაც გავაუქმოთ, ეს მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: კიდევ უფრო დააწეჭით, ბატონო ბურჟუებო, ბოლშევიკების პარტიას, დაემუქრეთ მათ ომით, ისინი, ბოლშევიკები, მზად არიან ყველა და ყოველგვარ დათმობაზე დათანხმდნენ, თუ თქვენ დააწვებითო.

ზინოვიევისა და ტროცკის მიერ **ყალბად დაბეზღება** ჩვენი პარტიისა ბატონ იმპერიალისტების წინაშე საგარეო პოლიტიკაში ჩვენი სიძნელეების გასაღრმავებლად, — აი რაში მდგომარეობს ოპოზიციის «პლატფორმა».

ვისთვის არის ეს საზიანო? ცხადია, ეს საზიანოა სსრ კავშირის პროლეტარიატისათვის, სსრ კავშირის კომპარტიისათვის, მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის.

ვისთვის არის ეს სასარგებლო? ეს სასარგებლოა ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის.

ახლა მე თქვენ გეკითხებით — შეეძლო თუ არა ცენტრალურ კომიტეტს დათანხმებულიყო და დაებეჭდა ასეთი საზიზღრობა ჩვენს პრესაში? ცხადია, არ შეეძლო.

აი რა მოსაზრებებმა აიძულეს ცენტრალური კომიტეტი უარი ეთქვა ოპოზიციის «პლატფორმის» დაბეჭდვაზე.

III

ლენინი საერთოდ დისკუსიისა და ოპოზიციის შესახებ

შემდეგი საკითხი. ზინოვიევი აქ ბაქიბუქობდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ლენინი ყოველთვის და ყოველ დროს მომხრე იყო დისკუსიისა, ამასთან მან დაიმოწმა X ყრილობის წინ და თვით ყრილობაზე პლატფორმების გამო გამართული დისკუსიის ფაქტი. მაგრამ მას «დაავიწყდა» მოეხსენიებინა, რომ ლენინს X ყრილობის წინ გამართული დისკუსია შეცდომად მიაჩნდა. მას «დაავიწყდა» ეთქვა, რომ X ყრილობის რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ», რაც დაწერილია ლენინის ხელით და **დირექტივას** წარმოადგენს ჩვენი პარტიის განვითარებისათვის, მოითხოვს არა დისკუსიას «პლატფორმების» გამო, არამედ ამა თუ იმ «პლატფორმის» ნიადაგზე წარმოშობილი ყველა და ყოველგვარი ჯგუფის დაშლას. მას «დაავიწყდა», რომ ლენინი X ყრილობაზე აუცილებლად ცნობდა პარტიაში შემდგომ რაიმე ოპოზიციის «დაუშვებლობას». მას «დაავიწყდა» ეთქვა, რომ ლენინს სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა ჩვენი პარტიის «სადისკუსიო კლუბად» გადაქცევა.

აი, მაგალითად, როგორ აფასებდა ლენინი X ყრილობის წინ გამართულ დისკუსიას:

«მე დღეს უკვე მომიხდა ამაზე ლაპარაკი და, რასაკვირველია, შემეძლო მხოლოდ ფრთხილად მეთქვა, რომ საეჭვოა ბევრმა თქვენგანმა არ შეაფასოს ეს დისკუსია, როგორც მეტისმეტი ფუფუნება. პირადად ჩემდათავად კი არ შემიძლია არ დავძინო, რომ, ჩემი შეხედულებით, ეს ფუფუნება მართლაც სრულიად შეუწყნარებელი იყო, და რომ ასეთი დისკუსიის დაშვებით ჩვენ, უეჭველია, შეცდომა ჩავიდინეთ» (იხ. X ყრილობის ოქმები, გვ. 16 [47]).

ხოლო აი რას ამბობდა X ყრილობაზე ლენინი X ყრილობის შემდეგ შესაძლო ყოველგვარი ოპოზიციის შესახებ:

«პარტიის შემჭიდროება, ოპოზიციის დაუშვებლობა პარტიაში, — პოლიტიკური დასკვნაა თანამედროვე მომენტიდან...» «საჭირო არ არის ახლა ოპოზიცია, — მხნაგებთ და მე ვფიქრობ, რომ პარტიულ ყრილობას მოუხდება ეს დასკვნა გამოიტანოს, მოუხდება გამოიტანოს ის დასკვნა, რომ ახლა ოპოზიციას აღსასრული დაუდგა, სამარე გაეთხარა, ახლა კმარა ჩვენთვის ოპოზიციები!» (იხ. იქვე, გვ. 61 და 63 [47]).

აი როგორ უყურებდა ლენინი საერთოდ დისკუსიისა და ოპოზიციის საკითხს.

IV

ოპოზიცია და «მესამე ძალა»

შემდეგი საკითხი. რისთვის გახდა საჭირო ამხ. მენჟინსკის ცნობა თეთრგვარდიელების შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებულია ტროცკისტების არალეგალური ანტიპარტიული სტამბის «მუშაკთა» ნაწილი?

ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ გაიფანტოს ის ჭორი და ცილისწამება, რასაც ავრცელებს ოპოზიცია თავის ანტიპარტიულ ფურცლებში ამ საკითხზე. ოპოზიცია არწმუნებს ყველას და თვითეულს, რომ საქმე თეთრგვარდიელებისა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ ოპოზიციის მოკავშირეებთან, როგორიც არიან შჩერბაკოვი, ტვერსკოი და სხვები, — არის ჭორი, ტყუილი, გავრცელებული ოპოზიციის სახელის გასატეხად. ამხ. მენჟინსკის ცნობა, რომელშიც მოყვანილია დამატებრებულთ ჩვენებანი, არავითარ

ეჰვს არ ტოვებს, რომ ტროცკისტების არალეგალური ანტიპარტიული სტამბის «მუშაკთა» ერთი ნაწილი დაკავშირებულია, უთუოდ დაკავშირებულია, თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან. ამბა სცადოს ოპოზიციამ ამ ფაქტებისა და დოკუმენტების გაბათილება.

მეორეც, იმისათვის, რომ მხილებულ იქნას ის სიცრუე, რასაც ავრცელებს ახლა მასლოვის ორგანო ბერლინში («ფანე დეს კომმუნიზმუს», ე. ი. «კომუნიზმის დროშა»). ჩვენ ეს-ეს არის მივიღეთ რენეგატ მასლოვის ამ ბინძური ფურცლის უკანასკნელი ნომერი; მასლოვი იმით არის გართული, რომ ცილი დასწამოს სსრ კავშირს და სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი საიდუმლოებანი გაუმხილოს ბურჟუაზიას. პრესის ამ ორგანოში გამოქვეყნებულია, რა თქმა უნდა, დამახინჯებული სახით, დაპატიმრებულ თეთრგვარდიელთა და არალეგალური ანტიპარტიული სტამბიდან მათ მოკავშირეთა ჩვენებანი საყოველთაო ცნობისათვის. (ხმ ეგ,ი: «დახე!»). საიდან შეეძლო მასლოვს მიეღო ეს ცნობები? ეს ცნობები საიდუმლოა, რადგან ჯერ კიდევ ყველა როდია შოძებნილი და დაპატიმრებული თეთრგვარდიელთა იმ წრიდან, რომელიც ჩარეულია პილსუდსკის შეთქმულების ტიპის შეთქმულების მოწყობის საქმეში. ამ ჩვენებებს გაეცვნენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ტროცკი, ზინოვიევი, სმილგა და სხვა ოპოზიციონერები. მათ აეკრძალათ, ჯერჯერობით მაინც, გადაეღოთ ამ ჩვენებათა ასლი. მაგრამ მათ, ეტყობა, მაინც გადაუღიათ ასლი და მასლოვისათვის გადაუგზავნიათ. მაგრამ რას ნიშნავს ამ ცნობების მასლოვისათვის გადაცემა გამოსაქვეყნებლად? ეს ნიშნავს იმ თეთრგვარდიელთა გაფრთხილებას, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან მოძებნილნი და დაპატიმრებულნი. გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებს განზრახვა აქვთ ისინი დაიპატიმრონ.

კარგია თუ არა ეს, დასაშვებია თუ არა ეს კომუნისტებისათვის? ცხადია, დაუშვებელია.

მასლოვის ორგანოში მოთავსებულ სტატიას პიკანტური სათაური აქვს: «სტალინი თიშავს საკავშირო კომპარტიას (ბ). თეთრგვარდიელთა შეთქმულება. წერილი სსრ კავშირიდან». (ხმები: «არამზადები!»). შეგვეძლო თუ არა ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც მასლოვმა ტროცკისა და ზინოვიევის დახმარებით საყოველთაო ცნობისათვის დაბეჭდა დაპატიმრებულთა გადამახინჯებული ჩვენებანი, — შეგვეძლო თუ არა ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ ანგარიში არ ჩაგვებარებინა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის წინაშე და არ დაგვეპირისპირებინა ჭორებისათვის ნამდვილი ფაქტები და ნამდვილი ჩვენებანი?

ეი რატომ იყო, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ საჭიროდ მიიჩნიეს წინადადება მიეცათ ამხ. მენჟინსკისათვის — გამოესულიყო ცნობით ფაქტების შესახებ.

რა გამომდინარეობს ამ ჩვენებათაგან, ამხ. მენჟინსკის ცნობიდან? ბრალად ვდებდით თუ არა ჩვენ როდისმე ან ბრალად ვდებთ თუ არა ახლა ოპოზიციას სამხედრო შეთქმულების მოწყობას? რა თქმა უნდა, არა. ბრალად ვდებდით თუ არა ჩვენ როდისმე ან ბრალად ვდებთ თუ არა ახლა ოპოზიციას ამ შეთქმულებაში მონაწილეობას? რა თქმა უნდა, არა. (მურალოვი: «წინა პლენუმზე ბრალს სდებდით»). არ არის მართალი, მურალოვო, ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ორი ცნობა არალეგალური ანტიპარტიული სტამბის შესახებ და ამ სტამბასთან დაკავშირებულ უპარტიო ინტელიგენტებზე. ამ დოკუმენტებში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ ფრაზას, ვერც ერთ სიტყვას, რომელიც მოწმობდეს, რომ ჩვენ ბრალად ვდებთ ოპოზიციას სამხედრო შე-

თქმულებაში მონაწილეობას. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია ამ დოკუმენტებში მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ოპოზიცია, როცა არალეგალურ სტამბას აწყობდა, დაუკავშირდა ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, ხოლო ამ ინტელიგენტების ნაწილი, თავის მხრივ, დაკავშირებული აღმოჩნდა თეთრგვარდიელებთან, რომელნიც აპირებენ სამხედრო შეთქმულების მოწყობას. მე ვთხოვ მურალოვს მიგვითითოს სათანადო ადგილზე დოკუმენტებში, რომლებიც გამოსცეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა ამ საკითხთან დაკავშირებით. მურალოვი ვერ მიგვითითებს, რადგან ასეთი ადგილები ბუნებაში არ არსებობს.

მაშ რაში ვდებდით ბრალს და კვლავ ვდებთ ბრალს ოპოზიციას?

ჯერ-ერთი, იმაში, რომ ოპოზიციამ, რომელიც გამთიშველ მუშაობას ეწევა, მოაწყო ანტიპარტიული არალეგალური სტამბა.

მეორეც, იმაში, რომ ამ სტამბის მოსაწყობად ოპოზიციამ შეკრა ბლოკი ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან, რომელთა ნაწილი პირდაპირ დაკავშირებული აღმოჩნდა კონტრრევოლუციურ შეთქმულებთან.

მესამეც, იმაში, რომ ოპოზიცია, რომელიც იზიდავდა ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს და მათთან ერთად კონსპირაციულად მოქმედებდა პარტიის წინააღმდეგ, თავისი ნების დამოუკიდებლად, თავისი სურვილის დამოუკიდებლად, აღმოჩნდა ეგრეთწოდებული «მესამე ძალის» გარემოცვაში.

ოპოზიციას გაცილებით მეტი ნდობა აღმოაჩნდა ამ ბურჟუაზიული ინტელიგენტებისადმი, ვიდრე თავისი საკუთარი პარტიისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ მოითხოვდა, რომ განთავისუფლებულ იქნას «ყველა, ვინც დაპატიმრებულია» არალეგალურ სტამბასთან დაკავშირებით,

თვით შჩერბაკოვი, ტვერსკოი, ბოლშაკოვი და სხვ., რომლებიც კონტრრევოლუციურ ელემენტებთან კავშირურთიერთობაში აღმოჩნდნენ.

ოპოზიციას სურდა ჰქონოდა ანტიპარტიული არალეგალური სტამბა; ამ მიზნით მან დახმარებისათვის მიმართა ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს; ხოლო ამ უკანასკნელთა ნაწილი კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა აშკარა კონტრრევოლუციონერებთან, — აი რა ჯაჭვი გამოვიდა, ამხანაგებო. ოპოზიციას გარს შემოეხვივნენ, მისი ნების დამოუკიდებლად, მისი სურვილის დამოუკიდებლად, ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი მიზნებისათვის ოპოზიციის გამთიშველი მუშაობა.

ამრიგად, გამართლდა ლენინის წინასწარმეტყველება, მოცემული ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ X ყრილობაზე (იხ. X ყრილობის რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ»), სადაც ის ამბობდა, რომ ჩვენს პარტიაში ბრძოლას აუცილებლად შეეცდება მიეტმასნოს «მესამე ძალა», ე. ი. ბურჟუაზია, რათა გამოიყენოს ოპოზიციის მუშაობა თავისი კლასობრივი მიზნებისათვისო.

ამბობენ, კონტრრევოლუციური ელემენტები ზოგჯერ შეიპარებიან ხოლმე საბჭოთა ორგანოებშიც, მაგალითად, ფრონტებზე, ოპოზიციასთან სრულიად დაუკავშირებლადო. ეს მართალია. მაგრამ მაშინ საბჭოთა ორგანოები აპატიმრებენ მათ და ხვრეტენ. ხოლო როგორ მოიქცა ოპოზიცია? მან მოითხოვა **გაეთავისუფლებინათ** არალეგალურ სტამბასთან დაპატიმრებული ბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებიც დაკავშირებული არიან კონტრრევოლუციურ ელემენტებთან. აი რაშია უბედურება, ამხანაგებო. აი რა შედეგი მოსდევს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას. ნაცვლად იმისა, რომ ჩაუფიქრდნენ ყველა ამ საფრთხეს, ნაცვლად იმისა, რომ ჩაუფიქრდნენ იმ უფსკრულს, საითკენაც მიათრევენ თავიანთ თავს ოპოზიციონერები, — ნაცვლად

ამისა ისინი იწაფებიან ცილისწამებაში პარტიის მიმართ და მთელი ძალღონით ცდილობენ არივდარიონ, გათიშონ ჩვენი პარტია.

ლაპარაკობენ ვრანგელის ყოფილ ოფიცერზე, რომელიც მომსახურებას უწევს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კონტრრევოლუციური ორგანიზაციების აღმოჩენის საქმეში. ოპოზიცია სიხარულით ცას ეწევა, ხმაურს ტეხს იმის გამო, რომ ვრანგელის ყოფილი ოფიცერი, რომელსაც მიმართეს ოპოზიციის მოკავშირეებმა, ყველა ამ შჩერბაკოვებმა და ტვერსკოებმა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს აგენტი გამოდგა. მაგრამ რა არის აქ ცუდი, თუ სწორედ ეს ყოფილი ვრანგელელი ოფიცერი ეხმარება საბჭოთა ხელისუფლებას კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა აღმოჩენაში? ვის შეუძლია უარყოს საბჭოთა ხელისუფლების უფლება — მიიზიდოს ყოფილი ოფიცრები იმისათვის, რომ გამოიყენოს ისინი კონტრრევოლუციური ორგანიზაციების აღმოსაჩენად?

შჩერბაკოვმა და ტვერსკოიმ ამ ყოფილ ვრანგელელ ოფიცერს მიმართეს არა როგორც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს აგენტს, არამედ როგორც ყოფილ ვრანგელელ ოფიცერს იმისათვის, რომ გამოეყენებინათ იგი პარტიის **წინააღმდეგ** და საბჭოთა ხელისუფლების **წინააღმდეგ**. აი რაშია საქმე და აი რაშია ჩვენი ოპოზიციის უბედურება. და როცა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო, ამ კვალს რომ მისდევდა, თავისთვის სრულიად მოულოდნელად წააწყდა ტროცკისტების არალეგალურ ანტიპარტიულ სტამბას, აღმოჩნდა, რომ ბატონ შჩერბაკოვებს, ტვერსკოებსა და ბოლშაკოვებს, რომლებიც აწყობდნენ ბლოკს ოპოზიციასთან, უკვე ჰქონდათ ბლოკი კონტრრევოლუციონერებთან, ყოფილ კოლჩაკელ ოფიცრებთან, როგორიც არიან კოსტროვი და ნოვიკოვი, რაზედაც მოგვახსენა დღეს ამხ. მენჟინსკიმ.

აი რაშია საქმე, ამხანაგებო, და აი რაშია ჩვენი ოპოზიციის უბედურება.

ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას იგი მიჰყავს ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან დაკავშირებისაკენ, ხოლო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან კავშირი აადვილებს ოპოზიციის გარემოცვას ყოველგვარი კონტრრევოლუციური ელემენტებით, — ასეთია მწარე ჭეშმარიტება.

V

რატომ «ემზადება» ოპოზიცია ყრილობისათვის

შემდეგი საკითხი: ყრილობის მომზადების შესახებ. ზინოვიევი და ტროცკი აქ დიდი რიხით ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ყრილობას რეპრესიების გზით ვამზადებთ. უცნაურია, რომ ისინი, გარდა «რეპრესიებისა», ვერაფერს ხედავენ. მაგრამ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილება, რომ დისკუსია ყრილობამდე ერთ თვეზე უფრო ადრე დაწყებულიყო, — რა არის ეს, თქვენი აზრით, ყრილობის მომზადებაა თუ არა? ან განუწყვეტელი დისკუსია უჯრედებში და პარტიის სხვა ორგანიზაციებში, რაც აი უკვე სამი-ოთხი თვეა გრძელდება? ანდა განხილვა პლენუმის სტენოგრამებისა და გადაწყვეტილებებისა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხზე უკანასკნელი ნახევარი წლის, განსაკუთრებით კი სამი-ოთხი თვის განმავლობაში? რა უნდა ეწოდოს ყოველივე ამას, თუ არა პარტიული მასების აქტივობის გაძლიერება, მათი ჩაბმა ჩვენი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვაში. პარტიული მასების მომზადება ყრილობისათვის?

ვინ არის აქ დამნაშავე, თუ პარტორგანიზაციები ამასთან მხარს არ უჭერენ ოპოზიციას? აშკარაა, ამაში დამნაშა-

ვეა ოპოზიცია, რომლის ხაზი წარმოადგენს სრული გაკოტრების ხაზს, რომლის პოლიტიკა წარმოადგენს პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ ყველა ანტიპარტიულ ელემენტთან, თვით რენეგატებთან — მასლოვთან და სუვარინთან ბლოკის პოლიტიკას.

ზინოვიევი და ტროცკი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ყრილობა უნდა მზადდებოდეს არალეგალური ანტიპარტიული სტამბების მოწყობის გზით, არალეგალური ანტიპარტიული კრებების მოწყობის გზით, ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა წინაშე ჩვენი პარტიის ყალბი დაბეზღების გზით, ჩვენი პარტიის დეზორგანიზაციისა და გათიშვის გზით. დამეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ უცნაური გაგებაა პარტიული ყრილობის მომზადებისა. და როცა პარტია გადამწყვეტ ზომებს იღებს დეზორგანიზატორებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, პარტიიდანაც კი რიცხავს მათ, ოპოზიცია რეპრესიებზე გაჰყვირის.

დიახ, პარტია მიმართავს და კვლავაც მიმართავს რეპრესიებს დეზორგანიზატორებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, ვინაიდან არ შეიძლება პარტიის გათიშვა არავითარ პირობებში, არც ყრილობის წინ, არც ყრილობის დროს. ვინაიდან პარტია თვითმკვლელობას ჩაიდენდა, თუ იგი ნებას დართავდა თავგასულ გამთიშველებს, სხვადასხვა შჩერბაკოვების მოკავშირეებს, დაენგრიათ პარტია იმის გამო, რომ ჩვენ ყრილობამდე სულ ერთი თვე გვრჩება.

ამხ. ლენინი ასე როდი უყურებდა საქმეს. თქვენ იცით, რომ 1921 წელს ლენინი წინადადებას იძლეოდა გაგვერიცხა ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან შლიაპნიკოვი არა ანტიპარტიული სტამბის მოწყობისათვის და არც ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან კავშირისათვის, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შლიაპნიკოვმა გაბედა გამოსულიყო პარტიულ უჯრედში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა კრიტიკით. შეადარეთ ახლა

ლენინის ეს მოქმედება იმას, რასაც ახლა პარტია სჩადის ოპოზიციის მიმართ — და თქვენ მიხვდებით, თუ რაოდენ შევუშვით ჩვენ ხელი დეზორგანიზატორებსა და გამთიშველებს.

თქვენ არ შეგიძლიათ არ იცოდეთ, რომ 1917 წელს, ოქტომბრის აჯანყების წინ, ლენინმა რამდენიმეჯერ წამოაყენა წინადადება — გაგვერიცხა პარტიიდან კამენევი და ზინოვიევი მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი აკრიტიკებდნენ პარტიის გამოუქვეყნებელ გადაწყვეტილებას ნახევრად-სოციალისტურ, ნახევრად-ბურჟუაზიულ გაზეთში — «ნოვაია ჟიზნში» [49]. ახლა კი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რამდენ საიდუმლო გადაწყვეტილებას აქვეყნებს ჩვენი ოპოზიცია მასლოვის ბერლინის გაზეთის ფურცლებზე, რომელიც არის ბურჟუაზიული, ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური გაზეთი! ხოლო ჩვენ ყოველივე ამას ვითმენთ, უსასრულოდ ვითმენთ და ამით შესაძლებლობას ვაძლევთ ოპოზიციაში მყოფ გამთიშველებს ანგრიონ ჩვენი პარტია. აი რა სირცხვილამდე მიგვიყვანა ოპოზიციამ! მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს უსასრულოდ ვითმინოთ, ამხანაგებო. (ხმები: «სწორია!». ტაში).

ამბობენ, რომ ვაპატიმრებთ პარტიიდან გარიცხულ დეზორგანიზატორებს, რომლებიც ანტისაბჭოთა მუშაობას ეწევიან. დიახ, ჩვენ მათ ვაპატიმრებთ და შემდგომაც დავაპატიმრებთ, თუ ისინი არ შეწყვეტენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრას. (ხმები: «სწორია! სწორია!»).

ამბობენ, რომ ჩვენი პარტიის ისტორიამ არ იცის ასეთი მაგალითები. ეს მართალი არ არის. მიასნიკოვის ჯგუფი [50]? ან «მუშათა სიმართლის» ჯგუფი? ვინ არ იცის, რომ ამ ჯგუფების წევრებს ვაპატიმრებდით ზინოვიევის, ტროცკისა და კამენევის პირდაპირი მხარდაჭერით? რატომ შეიძლე-

ბოდა დაგვეპატიმრებინა პარტიიდან გარიცხული დეზორგანიზატორები სამი-ოთხი წლის წინათ, ახლა კი ეს არ შეიძლება, როცა ტროცკისტული ოპოზიციის ზოგიერთი ყოფილი წევრი იქამდე მიდის, რომ პირდაპირ უკავშირდება კონტრრევოლუციონერებს?

თქვენ მოსმენილი გაქვთ ამხ. მენჟინსკის ცნობა. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ვიღაც სტეპანოვს (სამხედრო პირს), პარტიის წევრს, ოპოზიციის მომხრეს, პირდაპირი კავშირურთიერთობა აქვს კონტრრევოლუციონერებთან, ნოვიკოვთან, კოსტროვთან და სხვებთან, რასაც თვითონ სტეპანოვიც არ უარყოფს თავის ჩვენებაში. რა უნდა ვუყოთ ამ ტიპს, რომელიც დღემდე ოპოზიციონერია? გულში ჩავიკრათ თუ დავაპატიმროთ იგი? რა არის აქ გასაკვირველი, თუ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო აპატიმრებს ასეთ ტიპებს? (ხმები ადგილებიდან: «სწორია, სავსებით სწორია!». ტაში).

ლენინი ამბობდა, რომ შეიძლება საქმე პარტიის სრულ დანგრევამდე მივიყვანოთ, თუ ხელი დავაფარეთ დეზორგანიზატორებსა და გამთიშველებს. ეს სავსებით სწორია. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, დროა ხელი ავიღოთ ოპოზიციის ლიდერებისათვის ხელის დაფარებაზე და დროა გავაკეთოთ დასკვნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ. (ხმები: «სწორია!»). ეს არის ის ელემენტარული დასკვნა და ის ელემენტარული მინიმალური ღონისძიება, რომელიც უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ დავიცვათ პარტია დეზორგანიზატორთა გამთიშველი მუშაობისაგან.

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინა პლენუმზე, რაც ამა წლის აგვისტოში შესდგა, პლენუმის ზოგიერთი წევრი მკიცხავდა ტროცკისა და ზინოვიევის მიმართ ლმობიერებისათვის, იმისათვის, რომ მე ვურჩევდი პლენუმს — დაუყოვნებლივ არ გაერიცხა

ტროცკი და ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტიდან. (ხმები ადგილებიდან: «სწორია, და ახლაც გკიცხავთ»). შესაძლოა, მაშინ მე ზედმეტი გულკეთილობა გამოვიჩინე და შეცდომა ჩავიდინე, როცა უფრო ზომიერ ხაზს მოვითხოვდი ტროცკისა და ზინოვიევის მიმართ. (ხმები: «სწორია!». ამხ. პეტროვსკი: «სწორია, შემდგომაც ყოველთვის გაგკიცხავთ დამპალი «ბაწრისათვის»!»). მაგრამ ახლა, ამხანაგებო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ ამ სამი თვის განმავლობაში განვიცადეთ, იმის შემდეგ, რაც ოპოზიციამ დაარღვია მის მიერვე 8 აგვისტოს სპეციალურ «განცხადებაში» მოცემული დაპირება თავისი ფრაქციის ლიკვიდაციის შესახებ და ერთხელ კიდევ მოატყუა პარტია, — ყოველივე ამის შემდეგ ლმობიერებისათვის აღარ რჩება არავითარი ადგილი. ახლა ჩვენ უნდა ვიყოთ იმ ამხანაგების პირველ რიგებში, რომლებიც მოითხოვენ ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვას ცენტრალური კომიტეტიდან. (მქუხარე ტაში. ხმები: «სწორია! სწორია!». ხმა ადგილიდან: «ტროცკი უნდა გაირიცხოს პარტიიდან»). ეს დაე ყრილობამ გადაწყვიტოს, ამხანაგებო.

ტროცკისა და ზინოვიევს ცენტრალური კომიტეტიდან რომ ვრიცხავთ, ჩვენ XV ყრილობას უნდა წარვუდგინოთ განსახილველად მთელი ის მასალა ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის შესახებ, რაც ჩვენ დაგვიგროვდა და რის საფუძველზეც ყრილობას შესაძლებლობა ექნება მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

VI

ლენინიზმიდან ტროცკიზმისაკენ

შემდეგი საკითხი. ზინოვიევი თავის სიტყვაში შეეხო საინტერესო საკითხს — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პარტიული ხაზის «შეცდომებისა» და ოპოზიციის ხაზის «სისწორის» საკითხს. მე მინდოდა ამაზე მეპასუხნა

ორიოდე სიტყვით და გამერკვია ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ოპოზიციის ხაზის **გაკოტრებისა** და ჩვენი პარტიის პოლიტიკის **სისწორის** საკითხი. მაგრამ მე გადა-პარბებულად ვიყენებ თქვენს ყურადღებას, ამხანაგებო. (ხმები: «გთხოვთ, გთხოვთ განაგრძოთ!». თავმჯდომარე: «არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო?». ხმები: «გთხოვთ, გთხოვთ!»).

რა არის ოპოზიციის ძირითადი ცოდვა, რომელმაც განსაზღვრა ოპოზიციური პოლიტიკის გაკოტრება? ოპოზიციის ძირითადი ცოდვა ის არის, რომ იგი ცდილობდა, ცდილობს და კიდევ ეცდება შეაფერადოს და **შეცვალოს** ლენინიზმი ტროცკიზმით. იყო დრო, როცა კამენევი და ზინოვიევი იცავდნენ ლენინიზმს ტროცკის ხელყოფისაგან. მაშინ ტროცკიც არ ყოფილა ესხდენ თამამი. ეს იყო ერთი გეზი. მაგრამ შემდეგ ზინოვიევი და კამენევი, რომლებსაც შეეშინდათ ახალი სიძნელეებისა, ტროცკის მხარეზე გადავიდნენ, ტროცკისთან ერთად შექმნეს გაუარესებული აგვისტოს ბლოკის მსგავსი რამ და, ამრიგად, მოხვდნენ ტროცკიზმის ტყვეობაში. აქაც გამართლდა ლენინის წინასწართქმა, რომ ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის შეცდომა «შემთხვევითი» არ არის. ლენინიზმისათვის ბრძოლიდან ზინოვიევი და კამენევი ტროცკიზმისათვის ბრძოლის ხაზზე გადავიდნენ. ეს უკვე სრულიად სხვა გეზია. სწორედ ამით აიხსნება, არსებითად, ის, რომ ტროცკი ახლა უფრო თამამი გახდა.

რა არის ძირითადი ამოცანა ახლანდელი გაერთიანებული ბლოკისა, რომელსაც ტროცკი მეთაურობს? ის, რომ ცოტცოტაობით და ნელ-ნელა გადაიყვანოს პარტია ლენინური რელსებიდან ტროცკიზმის რელსებზე. აი რაშია ოპოზიციის ძირითადი ცოდვა. პარტიას კი სურს ლენინურ პარტიად დარჩეს. ბუნებრივია, რომ პარტიამ ზურგი შეაქცია ოპოზიციას და რომ იგი უფრო და უფრო მაღლა სწევს

ლენინიზმის დროშას. აი რატომ არის, რომ პარტიის გუშინდელი ლიდერები ახლა გარიყულნი აღმოჩნდნენ.

ოპოზიცია ფიქრობს თავისი დამარცხება «ახსნას» პირადი მომენტით, სტალინის უხეშობით, ბუხარინისა და რიკოვის დაუთმობლობით და ა. შ. ძალიან უხეირო ახსნაა! ეს მკითხაობაა და არა ახსნა. ტროცკი ლენინიზმს ებრძვის 1904 წლიდან. 1904 წლიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე განვლილ პერიოდში ტროცკი სულ მუდამ მენშევიკების შორიახლო ტრიალებდა და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ლენინის პარტიის წინააღმდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში ტროცკიმ მთელი რიგი დამარცხებანი განიცადა ლენინის პარტიისაგან. რატომ? იქნებ, აქ ბრალი მიუძღვის სტალინის უხეშობას? მაგრამ სტალინი მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მაშინ ის საზღვარგარეთიდან შორს იმყოფებოდა და იბრძოდა იატაკქვეშეთში, ცარიზმის წინააღმდეგ, ხოლო ბრძოლა ტროცკისა და ლენინს შორის წარმოებდა საზღვარგარეთ, — რა შუაშია აქ სტალინის უხეშობა?

ოქტომბრის რევოლუციიდან 1922 წლამდე განვლილ პერიოდში ტროცკიმ, რომელიც უკვე ბოლშევიკების პარტიაში იყო, მოასწრო მოეხდინა ორი «გრანდიოზული» გამოლაშქრება ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ: 1918 წელს — ბრესტის ზავის საკითხზე და 1921 წელს — პროფკავშირების საკითხზე. ორივე ეს გამოლაშქრება ტროცკის დამარცხებით დამთავრდა. რატომ? იქნებ, აქ ბრალი მიუძღვის სტალინის უხეშობას? მაგრამ სტალინი მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მდივნების პოსტებზე მაშინ იყვნენ ყველასათვის ცნობილი ტროცკისტები, — რა შუაშია აქ სტალინის უხეშობა?

შემდგომ პარტია მოწმე იყო ტროცკის მთელი რიგი ახალი გამოლაშქრებისა (1923 წ., 1924 წ., 1926 წ., 1927 წ.).

ამასთან ყოველი გამოლაშქრება ტროცკის ახალი დამარცხებით თავდებოდა.

განა ყოველივე აქედან ცხადი არ არის, რომ ტროცკის ბრძოლას ლენინური პარტიის წინააღმდეგ შორეული, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს? განა აქედან ცხადი არ არის, რომ პარტიის ახლანდელი ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ არის იმ ბრძოლის განგრძობა, რომელსაც პარტია აწარმოებდა ლენინის მეთაურობით 1904 წლიდან?

განა ყოველივე აქედან ცხადი არ არის, რომ ტროცკისტების ცდები — შეცვალონ ლენინიზმი ტროცკიზმით, წარმოადგენენ ოპოზიციის მთელი ხაზის ჩაშლისა და გაკოტრების ძირითად მიზეზს?

ჩვენი პარტია იშვა და გაიზარდა რევოლუციური ბრძოლების ქარიშხალში. იგი არ არის ისეთი პარტია, რომელიც მშვიდობიანი განვითარების პერიოდში იყოს გაზრდილი. სწორედ ამიტომ სავსეა იგი რევოლუციური ტრადიციებით და თავისუფალია თავისი ლიდერებისადმი ფეტიშისტური დამოკიდებულებისაგან. პლეხანოვი ერთ დროს ყველაზე პოპულარული კაცი იყო პარტიაში. უფრო მეტი, ის დამაარსებელი იყო პარტიისა, ამასთან მის პოპულარობას ოდნავადაც ვერ შეედრება ტროცკის ან ზინოვიევის პოპულარობა. და მაინც, მიუხედავად ამისა, პარტიამ ზურგი შეაქცია პლეხანოვს, როგორც კი პლეხანოვმა მარქსიზმისაგან ჩამოშორება და ოპორტუნიზმისაკენ გადახრა იწყო. რა არის აქ გასაკვირველი, თუ ისეთი, არც ისე «დიდი» კაცები, როგორიც ტროცკი და ზინოვიევი არიან, პარტიის კუდში აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც მათ ლენინიზმისაგან ჩამოშორება იწყეს?

მაგრამ ოპოზიციის ოპორტუნისტული გადაგვარების ყველაზე მკაფიო მაჩვენებელს, ოპოზიციის გაკოტრებისა და დაცემის ყველაზე მკაფიო ნიშანს წარმოადგენს მის მიერ ხმის მიცემა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მანიფესტის წინააღმდეგ. ოპოზიცია შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის წინააღმდეგია! ოპოზიცია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მანიფესტის წინააღმდეგია! სსრ კავშირის მთელი მუშათა კლასი, ყველა ქვეყნის პროლეტარების მთელი მოწინავე ნაწილი აღტაცებით ხვდებიან მანიფესტს, ერთსულოვნად ტაშს უკრავენ შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის იდეას, — ხოლო ოპოზიცია ხმას აძლევს მანიფესტის წინააღმდეგ, თავის ხმას უერთებს ბურჟუაზიულ და მენშევიკურ «კრიტიკოსთა» საერთო გუნდს, თავის ხმას უერთებს «ფორვერტსში» [51] მოკალათებულ ცილისმწამებელთა ხმას.

მე არ მეგონა, რომ ოპოზიცია ასე შეირცხვენდა თავს.

VII

უკანასკნელი წლების პარტიული პოლიტიკის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი შედეგის შესახებ

გადავიდეთ ახლა ჩვენი პარტიის ორი უკანასკნელი წლის ხაზის საკითხზე, ამ ხაზის შემოწმებაზე, ამ ხაზის შეფასებაზე.

ზინოვიევი და ტროცკი ამბობდნენ, რომ ჩვენი პარტიის ხაზი უმწეო აღმოჩნდა. მივმართოთ ფაქტებს. ავიღოთ ჩვენი პოლიტიკის ოთხი ძირითადი საკითხი და შევამოწმოთ ამ საკითხების თვალსაზრისით ჩვენი პარტიის ხაზი ორი უკანასკნელი წლის მანძილზე. მე მხედველობაში მაქვს ისეთი გადამწყვეტი საკითხები, როგორიცაა გლეხობის საკითხი, მრეწველობისა და მისი ხელახლა აღჭურვის საკითხი, ზავის საკითხი და, ბოლოს, მთელ მსოფლიოში კომუნისტური ელემენტების ზრდის საკითხი.

გლეხობის საკითხი. როგორი იყო მდგომარეობა ჩვენში ორი-სამი წლის წინათ? თქვენ იცით, რომ მდგომარეობა სოფლად ჩვენში მაშინ მძიმე იყო. ჩვენს სათემო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და საერთოდ სოფლის მუშაკებს ყოველთვის როდი ცნობდნენ და ზოგჯერ ტერორს მიმართავდნენ მათ წინააღმდეგ. სოფლკორებს გადაჭრილი შაშხანებით ხვდებოდნენ. აქა-იქ, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, ბანდიტურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. ხოლო ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აჯანყებებიც კი მოხდა [52]. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში კულაკი ძალას იკრებდა, საშუალო გლეხი კულაკის ირგვლივ ირაზმებოდა, ღარიბი გლეხობა კი იქსაქსებოდა. ქვეყნის მდგომარეობაზე განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ სოფლის საწარმოო ძალები უაღრესად ნელი ტემპით იზრდებოდნენ, სახნავი მიწების ნაწილი სრულიად არ მუშავდებოდა, ნათესი ფართობი ომამდელი ფართობის რაღაც 70 — 75 პროცენტს შეადგენდა. ეს იყო ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის წინა პერიოდში.

XIV კონფერენციაზე პარტიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი საშუალო გლეხის სასარგებლოდ ზოგიერთი დათმობის სახით; ამ ღონისძიებათა მიზანი ის იყო, რომ უფრო სწრაფი ტემპით წაგვეწია წინ გლეხური მეურნეობა, გაგვეძლიერებინა სოფლის მეურნეობის სასურსათო და ნედლეული პროდუქტების წარმოება, დაგვემყარებინა მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან და წინ წაგვეწია კულაკობის იზოლაციის საქმე. ჩვენი პარტიის XIV ყრილობაზე ოპოზიცია, ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით, შეეცადა ძირი გამოეთხარა პარტიის ამ პოლიტიკისათვის და წინადადებას იძლეოდა შეგვეცვალა იგი, არსებითად, განკულაკების პოლიტიკით, ღარიბთა კომიტეტების აღდგენის პოლიტიკით. ეს, არსებითად, იყო სოფლად სამოქალაქო ომის განახლების პოლიტიკა. პარტიამ მოიგერია ოპოზი-

ციის ეს იერიში და დაამტკიცა XIV კონფერენციის გადაწყვეტილებანი, — მოიწონა სოფლად საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა და წამოაყენა ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, როგორც სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ლოზუნგი. პარტია მტკიცედ დაადგა საშუალო გლეხთან მკვიდრი კავშირისა და კულაკობის იზოლაციის ხაზს.

რას მიაღწია ამით პარტიამ?

მან მიაღწია სოფლის დამშვიდებას, გლეხობის ძირითად მასებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, პირობების შექმნას ღარიბი გლეხობის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად დარაზმვისათვის, კულაკობის შემდგომი იზოლაციისათვის და იმისათვის, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანოებმა თანდათან მოიცვან მილიონობით გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი.

ხოლო რა არის სოფლის დამშვიდება? ეს არის სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა. არ შეიძლება აშენო სოციალიზმი, თუ ხდება ბანდიტური გამოსვლები და აჯანყებანი გლეხთა შორის. ამჟამად ჩვენ გვაქვს ნათესი ფართობის გადიდება ომამდელი დონის ფარგლებამდე (95%), დამშვიდებული სოფელი, კავშირი საშუალო გლეხთან, მეტად თუ ნაკლებად ორგანიზებული ღარიბი გლეხობა, განმტკიცებული საბჭოები სოფლად, პროლეტარიატისა და მისი პარტიის გაზრდილი ავტორიტეტი სოფლად.

ამრიგად, ჩვენ შევქმენით პირობები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ კიდევ უფრო გავშალოთ შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და უზრუნველვყოთ სოციალიზმის შემდგომი წარმატებითი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

აი ესეც შედეგები სოფლად ჩვენი პარტიული პოლიტიკისა ორი წლის მანძილზე.

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა ძირითად საკითხში — პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში — სწორი გამოდგა.

მრეწველობის საკითხი. ისტორია გვეუბნება, რომ მსოფლიოში არც ერთ ახალგაზრდა სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ დაუყენებია ფეხზე თავისი მრეწველობა, მეტადრე მძიმე მრეწველობა, გარედან დახმარების, გარედან სესხის მიუღებლად ან სხვისი ქვეყნების, კოლონიების გაუძარცვავად და ა. შ. ეს არის კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის ჩვეულებრივი გზა. ინგლისმა წარსულში თავისი ინდუსტრია ფეხზე დააყენა იმით, რომ იგი ასეული წლების განმავლობაში საზრდოობდა ყველა ქვეყნის, ყველა კოლონიის ხარჯზე და ნაძარცვს აბანდებდა თავის მრეწველობაში. გერმანია ამ უკანასკნელ დროს ფეხზე წამოდგა იმიტომ, რომ მას აქვს ამერიკიდან რამდენიმე მილიარდი მანეთის სესხი.

მაგრამ ჩვენ ვერც ერთი ამ გზით ვერ წავალთ. კოლონიური ძარცვა გამორიცხულია მთელი ჩვენი პოლიტიკით. სესხს კი ჩვენ არ გვაძლევენ. რჩებოდა ჩვენს განკარგულებაში ერთადერთი გზა, რომელზედაც ლენინმა მიგვითითა, სახელდობრ: ჩვენი მრეწველობის განვითარება, ჩვენი მრეწველობის ხელახლა აღჭურვა შინაგანი დაგროვების საფუძველზე. ოპოზიცია მუდამ ჩხაოდა, შინაგანი დაგროვება საკმარისი არ იქნება ჩვენი მრეწველობის ხელახლა აღსაჭურველადო. ჯერ კიდევ 1926 წლის მარტში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ოპოზიცია ამტკიცებდა, ჩვენი შინაგანი სახსრების დაგროვება არ გვეყოფა იმისათვის, რომ წინ წავწიოთ მრეწველობის ხელახლა აღჭურვის საქმეო. ოპოზიცია მაშინ მარცხს მარცხზე გვიწინასწარმეტყველებდა. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში შევძელით წინ წაგვეწია ჩვენი მრეწველობის ხელახალი აღჭურვის საქმე. ფაქტია, რომ ორი

წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით დაგვებანდებინა ჩვენს მრეწველობაში ორ მილიარდ მანეთზე მეტი. ფაქტია, რომ ეს დაბანდება საკმარისი აღმოჩნდა, რათა წინ წაგვეწია ჩვენი მრეწველობის ხელახლა აღჭურვა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რისთვისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს: ჩვენ ფეხზე დავაყენეთ ჩვენი მრეწველობა, ჩვენ დავიწყეთ მისი ხელახლა აღჭურვა, ჩვენ წინ წავწიეთ ეს საქმე ჩვენი საკუთარი სახსრების დაგროვების ხარჯზე.

აი ესეც შედეგები ჩვენი პოლიტიკისა ჩვენი მრეწველობის ხელახლა აღჭურვის საკითხში.

მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა აქ სწორი გამოდგა.

საგარეო პოლიტიკის საკითხი. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანი, თუ მხედველობაში ვიქონიეთ დიპლომატიური ურთიერთობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, არის მშვიდობიანობის შენარჩუნება. რას მივაღწიეთ ჩვენ ამ დარგში? ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ შევინარჩუნეთ, — ცუდად თუ კარგად, — მაგრამ მაინც შევინარჩუნეთ **მშვიდობიანობა.** ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ, მიუხედავად კაპიტალისტური გარემოცვისა, მიუხედავად კაპიტალისტურ მთავრობათა მტრული მუშაობისა, მიუხედავად პროვოკაციული გამოსვლებისა პეკინში [53], ლონდონში [54], პარიზში [55], — მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ არ ავყევით პროვოკაციას და შევძელით დაგვეცვა მშვიდობიანობის საქმე.

ჩვენ არა გვაქვს ომი, მიუხედავად ზინოვიევის და სხვათა არაერთგზისი წინასწარმეტყველებისა, — აი ძირითადი ფაქტი, რომლის წინააღმდეგ უძლურია ჩვენი ოპოზიციის ქადაგებანი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინაიდან მხოლოდ მშვიდობიანობის პირობებში შეგვიძლია წავწიოთ წინ, ჩვენთვის სასურველი სისწრაფით, სოციალიზმის

მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ამავე დროს კი რაოდენი წინასწარმეტყველება იყო ჩვენში ომის შესახებ! ზინოვიევი წინასწარმეტყველებდა, ჩვენ ომი გვექნება ამა წლის გაზაფხულზეო. შემდეგ მან იწყო წინასწარმეტყველება: ომი, ალბათ, ამა წლის შემოდგომაზე ატყდებაო. ამავე დროს კი ჩვენ უკვე ზამთრის წინა ვართ, ხოლო ომი არ არის და არა.

აი ესეც ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის შედეგები.

ამ შედეგებს მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ.

ბოლოს, მეოთხე საკითხი, — საკითხი კომუნისტური ძალების მდგომარეობისა მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ, რომ კომპარტიები იზრდებიან მთელ მსოფლიოში, ჩინეთიდან ამერიკამდე, ინგლისიდან გერმანიამდე. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ, რომ კაპიტალიზმის კრიზისის ელემენტები კი არ კლებულობენ, არამედ იზრდებიან. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ, რომ სოციალისტური მშენებლობის ზრდა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი პოლიტიკის წარმატებანი ქვეყნის შიგნით წარმოადგენენ მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ კომუნისტური ინტერნაციონალის გავლენისა და ავტორიტეტის უფრო და უფრო ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ასეთია შედეგები ჩვენი პარტიის ხაზისა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოთხ ძირითად საკითხში ორი უკანასკნელი წლის მანძილზე.

ხოლო რას ნიშნავს ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე? იგი, გარდა ყოველივე დანარჩენისა, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს: ჩვენი ოპოზიციის პოლიტიკის სრულ გაკოტრებას.

VIII

უკან — აძსელროდისაკენ

კეთილი და პატიოსანი, — შეუძლიათ გვითხრან ჩვენ. ოპოზიციის ხაზი არასწორი და ანტიპარტიულია. მის მოქმედებას არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა გამთიშველობა. მაშასადამე, ზინოვიევისა და ტროცკის გარიცხვა ბუნებრივი გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან. ყოველივე ეს ასეა.

მაგრამ ხომ იყო დრო, როცა ჩვენ ყველანი ვამბობდით, რომ ოპოზიციის ლიდერები უნდა შევინარჩუნოთ ცენტრალურ კომიტეტში, რომ ისინი არ უნდა მოვიშოროთო. საიდანაა ახლა ასეთი ცვლილება? რით აიხსნება ეს შებრუნება? არის თუ არა აქ საერთოდ შებრუნება?

დიახ, არის. რით აიხსნება იგი? ეს აიხსნება ოპოზიციის ლიდერების პრინციპული ხაზისა და ორგანიზაციული «სქემის» ძირეული ცვლილებით. შეიცვალნენ ოპოზიციის ლიდერები და, უწინარეს ყოვლისა, ტროცკი, შეიცვალნენ უარესისაკენ. ბუნებრივია, რომ უნდა შეცვლილიყო პარტიის პოლიტიკაც ამ ოპოზიციონერების მიმართ.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი **პრინციპული** საკითხი, როგორიცაა საკითხი ჩვენი პარტიის გადაგვარების შესახებ. რა არის ჩვენი პარტიის გადაგვარება? ეს არის სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის უარყოფა. რა პოზიციას ადგა ტროცკი ამ დარგში, ვთქვათ, სამი წლის წინათ? თქვენ იცით, რომ ლიბერალები და მენშევიკები, «სმენავეხელები» [56] და ყოველგვარი რენეგატები მაშინ გაიძახოდნენ, თქვენი პარტიის გადაგვარებაა გარდუვალიაო. თქვენ იცით, რომ ისინი მაშინ მაგალითებს იღებდნენ საფრანგეთის რევოლუციიდან და ამტკიცებდნენ, ბოლშევიკებმა ისეთივე დამარცხება უნდა განიცადონ, როგორიც თავის დროზე იაკობინელებმა განიცადეს სა-

ფრანგეთშიო. თქვენ იცით, რომ ისტორიული ანალოგიები საფრანგეთის რევოლუციასთან (იაკობინელთა დაღუპვა) მაშინ წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ ყველა და ყოველგვარი მენშევიკებისა და «სმენავეხელების» ძირითად არგუმენტს ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებისა და სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის წინააღმდეგ.

როგორ უყურებდა ამ საქმეს სამი წლის წინათ ტროცკი? იგი მაშინ ასეთ ანალოგიებს უეჭველად უარყოფითად უყურებდა. აი რას წერდა იგი მაშინ თავის ბროშურაში «ახალი კურსი» (1924 წ.):

«ისტორიული ანალოგიები საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან (იაკობინელთა დაღუპვა!), რითაც საზრდოობენ და თავს ინუგეშებენ ლიბერალიზმი და მენშევიზმი, **ზერელე და უსაფუძვლოა**» * (იხ. «ახალი კურსი», გვ. 33).

ნათელი და გარკვეულია! თითქოს, ძნელია უფრო გადაჭრით და უფრო გარკვეულად გამოსთქვა აზრი. სწორია თუ არა ტროცკის ეს მტკიცება საფრანგეთის რევოლუციასთან ისტორიული ანალოგიების შესახებ, რომლებსაც დაჟინებით აყენებენ ყოველგვარი ჯურის «სმენავეხელები» და მენშევიკები? უეჭველად სწორია.

ახლა კი? კვლავ დგას თუ არა ტროცკი ამ პოზიციაზე? სამწუხაროდ, არა. პირიქითაც კი. ამ სამი წლის განმავლობაში ტროცკიმ მოასწრო განეცადა ევოლუცია «მენშევიზმისა» და «ლიბერალიზმისაკენ». ახლა ის თვითონ ამტკიცებს, რომ ისტორიული ანალოგიები საფრანგეთის რევოლუციასთან წარმოადგენენ არა მენშევიზმის, არამედ «ნამდვილი», «ჭეშმარიტი» «ლენინიზმის» ნიშანს. წაკითხული გაქვთ თუ არა ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ამა წლის ივლისის სხდომის სტენოგრამა?

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

თუ წაკითხული გაქვთ, ადვილად მიხვდებოდით, რომ ტროცკი ახლა თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ ეყრდნობა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში იაკობინელთა დაღუპვის ტიპის მიხედვით ჩვენი პარტიის გადაგვარების მენშევიკურ თეორიებს. ახლა ლაყბობა «თერმიდორის» შესახებ ტროცკის კარგი ტონის ნიშნად მიაჩნია.

ტროცკიზმიდან «მენშევიზმისა» და «ლიბერალიზმისაკენ» ძირითად საკითხში — გადაგვარების საკითხში, — ასეთია ტროცკისტების გზა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

შეიცვალნენ ტროცკისტები. უნდა შეცვლილიყო პარტიის პოლიტიკაც ტროცკისტების მიმართ.

ავიღოთ ახლა ისეთი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა **ორგანიზაციული** საკითხი, პარტიული დისციპლინის, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში პარტიის რკინისებური დისციპლინის როლის საკითხი. ყველამ იცის, რომ ჩვენს პარტიაში რკინისებური დისციპლინა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებისა და სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისა ჩვენს ქვეყანაში. ყველამ იცის, რომ ყველა ქვეყნის მენშევიკები ცდილობენ, უწინარეს ყოვლისა, ძირი გამოუთხარონ ჩვენი პარტიის რკინისებურ დისციპლინას. იყო დრო, როცა ტროცკის ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს რკინისებური დისციპლინის არსებობას ჩვენს პარტიაში, როცა იგი აფასებდა ამ დისციპლინას. ჩვენი პარტიის უთანხმოება ტროცკისთან, კაცმა რომ თქვას, არასოდეს არ შემწყდარა. მაგრამ ტროცკისა და ტროცკისტებს უნარი შესწევდათ დამორჩილებოდნენ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს. ყველასათვის ცნობილია ტროცკის არაერთგზისი განცხადება: როგორიც უნდა იყოს ჩვენი პარტია, მზადა ვარ «ხელებჩაშვებული გამოვიჭიმო მის წი-

ნაშე», თუ პარტია დამავალდებულებსო. და უნდა ითქვას, რომ ტროცკისტები არა იშვიათად ახერხებდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ლოიალობა პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების მიმართ.

ახლა კი? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ტროცკისტები. ახლანდელი ოპოზიცია, მზად არიან დაემორჩილონ პარტიის გადაწყვეტილებებს, ხელებჩაშვებული გამოიჭიმონ მის წინაშე და ა. შ.? არა, ახლა ამას ვეღარ იტყვი. მას შემდეგ, რაც ორჯერ დაარღვიეს საკუთარივე დაპირება პარტიის გადაწყვეტილებებისათვის დამორჩილების შესახებ, მას შემდეგ, რაც ორჯერ მოატყუეს პარტია, მას შემდეგ, რაც მოაწყეს არალეგალური სტამბები ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან ერთად, მას შემდეგ, რაც ზინოვიევმა და ტროცკიმ არა ერთგზის განაცხადეს სწორედ ამ ტრიბუნიდან, რომ ისინი არღვევენ და შემდგომაც დაარღვევენ ჩვენი პარტიის დისციპლინას, — ყოველივე ამის შემდეგ საეჭვოა აღმოჩნდეს ჩვენს პარტიაში თუნდაც ერთი კაცი, რომელიც დაიჯერებს, რომ ოპოზიციის ლიდერები მზად არიან ხელებჩაშვებული გამოიჭიმონ პარტიის წინაშე. ახლა ოპოზიცია გადავიდა ახალ რელსებზე, პარტიის გათიშვის რელსებზე, ახალი პარტიის შექმნის რელსებზე. ახლა ოპოზიციონერებს შორის ყველაზე პოპულარული ბროშურაა ლენინის ბოლშევიკური ბროშურა კი არა — «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» [57], არამედ ტროცკის ძველი მენშევიკური ბროშურა «ჩვენი პოლიტიკური ამოცანები» (გამოცემული 1904 წელს), რომელიც მიმართულია წინააღმდეგ ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპებისა, წინააღმდეგ ლენინის ბროშურისა «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან».

თქვენ იცით, რომ ტროცკის ამ ძველი ბროშურის დედააზრი მდგომარეობს პარტიისა და პარტიული დისციპლინის ლენინური გაგების უარყოფაში. ამ ბროშურაში ტროცკი სხვანაირად არ უწოდებს ლენინს, თუ არ «მაქსიმილიან

ლენინს», რითაც გვანიშნებს, რომ ლენინი არის განმეორება მაქსიმილიან რობესპიერისა, რომელიც პირადი დიქტატურისაკენ მიისწრაფოდაო. თავის ამ ბროშურაში ტროცკი პირდაპირ ამბობს, რომ პარტიულ დისციპლინას უნდა დაემორჩილო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პარტიის გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან იმათ სურვილებსა და შეხედულებებს, ვინც მოწოდებულია პარტიას დაემორჩილოს. ეს წმინდა მენშევიკური ორგანიზაციული პრინციპია. ეს ბროშურა საინტერესოა, სხვათა შორის, იმით, რომ მას ტროცკი მენშევიკ პ. აქსელროდს მიუძღვნის. იქ ასეც არის ნათქვამი: «ძვირფას მასწავლებელს პავლე ბორისის-ძე აქსელროდს». (ს ი ც ი ლ ი. ხ მ ე ბ ი: «აშკარა მენშევიკი!»).

პარტიის მიმართ ლოიალობიდან პარტიის გათიშვის პოლიტიკისაკენ, ლენინის ბროშურიდან «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» ტროცკის ბროშურისაკენ «ჩვენი პოლიტიკური ამოცანები», ლენინიდან აქსელროდისაკენ, — ასეთია ჩვენი ოპოზიციის ორგანიზაციული გზა.

შეიცვალნენ ტროცკისტები. უნდა შეცვლილიყო პარტიის ორგანიზაციული პოლიტიკაც ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ.

რა გაეწყობა, — გზა დაგვილოცნია «ძვირფასი მასწავლებლის პავლე ბორისის-ძე აქსელროდისაკენ»! გზა დაგვილოცნია! ოღონდ იჩქარეთ, ღირსპატივსაცემო ტროცკი, რადგან «პავლე ბორისის-ძე», მისი მიხრწნილობის გამო, შეიძლება მოკლე ხანში მოკვდეს, ხოლო თქვენ შეიძლება ვერ მიუსწროთ «მასწავლებელს». (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

«პრავდა» № 251,
1927 წ. 2 ნოემბერი.

საუბარი უცხოელ მუშათა დელეგაციებთან

1927 წ. 6 ნოემბერი

დაესწრო 80 დელეგატი გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, სამხრეთ ამერიკიდან, ჩინეთიდან, ბელგიიდან, ფინეთიდან, დანიიდან და ესტონეთიდან. — საუბარი გაგრძელდა 6 საათს.

სტალინი. ამხანაგებო, გუშინ მე გადმომცეს კითხვების ხელმოუწერელი სია გერმანულ ენაზე. დღეს დილით მივიღე ორი ახალი სია: ერთი — საფრანგეთის დელეგაციისაგან, მეორე — დანიის დელეგაციისაგან. დავიწყოთ კითხვების პირველი სიიდან, თუმცა არ ვიცი, რომელ დელეგაციას ეკუთვნის ეს სია. შემდეგ შეიძლება გადავიდეთ დანარჩენ ორ სიაზე. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, დავიწყოთ. (დელეგატები თანხმობას აცხადებენ).

1-ლი კითხვა. რატომ არ იღებს სსრ კავშირი მონაწილეობას ერთა ლიგაში?

პასუხი. იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ არ იღებს ხაბჭოთა კავშირი მონაწილეობას ერთა ლიგაში, არა ერთხელ თქმულა ჩვენს პრესაში. მე შემეძლო აღმენიშნა ზოგიერთი ამ მიზეზთაგანი.

საბჭოთა კავშირი არ არის ერთა ლიგის წევრი და არ იღებს მონაწილეობას ერთა ლიგაში, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მას არ სურს იკისროს პასუხისმგებლობა ერთა ლიგის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის, იმ «მანდატებისათვის», რომლებსაც იძლევა ერთა ლიგა კოლონიური ქვეყნების საექსპლოატაციოდ და დასაჩაგრავად. საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობს ერთა ლიგაში, რადგან იგი წინააღმდეგია იმპერიალიზმისა, წინააღმდეგია კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგვრისა.

მეორეც, საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობს ერთა ლიგაში იმიტომ, რომ მას არ სურს იკისროს პასუხისმგებლობა იმ სამხედრო მზადებისათვის, შეიარაღების ზრდისათვის, ახალი სამხედრო კავშირებისათვის და სხვ., რომელთაც ხელს აფარებს და კვერს უკრავს ერთა ლიგა და რომლებმაც არ შეიძლება არ გამოიწვიონ ახალი იმპერიალისტური ომები. საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობს ერთა ლიგაში, რადგან იგი სავსებით და მთლიანად წინააღმდეგია იმპერიალისტური ომებისა.

დასახსრულ, საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობს ერთა ლიგაში იმიტომ, რომ მას არ სურს იყოს შემადგენელი ნაწილი იმპერიალისტური მახინაციების იმ შირმისა, რომელსაც წარმოადგენს ერთა ლიგა, და რომლებსაც იგი ფარავს თავის წევრთა თვალთმაქცური სიტყვებით.

ერთა ლიგა ახლანდელ პირობებში არის «საპაემანო სახლი» იმპერიალისტი მესვეურებისათვის, რომლებიც აჭახრაკებენ თავიანთ საქმეებს კულუარებში. ის, რასაც ოფიციალურად **ლაპარაკობენ** ერთა ლიგაში, წარმოადგენს ცარიელ ლაყბობას, რომლის დანიშნულებაა ხალხის მოტყუება. ის კი, რასაც არაოფიციალურად **აკეთებენ** იმპერიალისტი მესვეურები ერთა ლიგის კულუარებში, არის ნამდვილი იმპერიალისტური საქმე, რომელსაც ფარისევლურად ფარავენ ერთა ლიგის ენაწყლიანი ორატორები.

რაღა შეიძლება იყოს გასაკვირველი იმაში, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს იყოს ამ ანტიხალხური კომედიის წევრი და მონაწილე?

მე-2 კითხვა. რატომ ვერ ითმენენ საბჭოთა კავშირში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას?

პასუხი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (ე. ი. მენშევიკებს) ვერ ითმენენ საბჭოთა კავშირში იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ვერ ითმენენ იქ კონტრრევოლუციონერებს. იქნებ, ამან გაგაკვირვოთ, მაგრამ აქ არაფერია გასაკვირველი.

ჩვენი ქვეყნის განვითარების პირობები, მისი განვითარების ისტორია ისეთია, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც მეფის რეჟიმის დროს იყო ცოტად თუ ბევრად რევოლუციური პარტია, ცარიზმის დამხობის შემდეგ, კერენსკის დროს, გახდა მმართველი პარტია, ბურჟუაზიული პარტია, იმპერიალისტური ომის პარტია, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაიქცა აშკარა კონტრრევოლუციის პარტიად, კაპიტალიზმის რესტავრაციის პარტიად.

თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ სოციალ-დემოკრატია ჩვენში მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში კოლჩაკისა და დენიკინის მხარეზე საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. ამჟამად ეს პარტია წარმოადგენს კაპიტალიზმის რესტავრაციის პარტიას, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაციის პარტიას.

მე ვფიქრობ, რომ სოციალ-დემოკრატიის ამგვარი ევოლუცია ტიპიურია მისთვის არა მარტო სსრ კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. სოციალ-დემოკრატია ჩვენში ცოტად თუ ბევრად რევოლუციური იყო, სანამ არსებობდა მეფის რეჟიმი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, შევადგენდით მაშინ ერთ პარტიას მენშევიკებთან, ე. ი. სოციალ-დემოკრატებთან ერთად. სოციალ-

დემოკრატია ხდება ოპოზიციურ ან მმართველ, ბურჟუაზიულ პარტიად, როდესაც ხელისუფლების სათავეში დგება ეგრეთწოდებული დემოკრატიული ბურჟუაზია. სოციალ-დემოკრატია იქცევა აშკარა კონტრრევოლუციის პარტიად, როდესაც ხელისუფლების სათავეში დგება რევოლუციური პროლეტარიატი.

ერთი დელეგატთაგანი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სოციალ-დემოკრატია მხოლოდ აქ, სსრ კავშირში, წარმოადგენს კონტრრევოლუციურ ძალას, თუ სხვა ქვეყნებშიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას ის, როგორც კონტრრევოლუციური ძალა?

სტალინი. მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ აქ გვაქვს ერთგვარი განსხვავება.

სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში წარმოადგენს კონტრრევოლუციურ ძალას, რომელიც ცდილობს კაპიტალიზმის აღდგენას და პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაციას ბურჟუაზიული «დემოკრატიის» სახელით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის პროლეტარიატის ხელისუფლება, სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს ან ოპოზიციურ პარტიას კაპიტალის ძალაუფლების მიმართ, ან ნახევრად-მმართველ პარტიას, რომელიც იმყოფება კავშირში ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კაპიტალიზმის ყველაზე უფრო რეაქციული ძალების წინააღმდეგ და რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ან სავსებით მმართველ პარტიას, რომელიც პირდაპირ და აშკარად იცავს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიულ «დემოკრატიას» პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

ის ხდება სავსებით კონტრრევოლუციური და მისი კონტრრევოლუციურობა მიმართულია პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პროლეტარიატის ხელისუფლება სინამდვილედ იქცევა.

მე-8 კითხვა. რატომ არ არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება სსრ კავშირში?

პასუხი. ბეჭდვითი სიტყვის რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობთ თქვენ? ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რომელი კლასისათვის — ბურჟუაზიისათვის თუ პროლეტარიატისათვის? თუ ლაპარაკია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე ბურჟუაზიისათვის, ეს ჩვენში არ არის და არც იქნება, სანამ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა. ხოლო თუ ლაპარაკია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე პროლეტარიატისათვის, მაშინ მე უნდა ვთქვა, რომ მსოფლიოში თქვენ ვერ ნახავთ სხვა სახელმწიფოს, სადაც პროლეტარიატისათვის არსებობდეს ბეჭდვითი სიტყვის ისეთი ყოველმხრივი და ფართო თავისუფლება, როგორიც არსებობს სსრ კავშირში.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება პროლეტარიატისათვის ცარიელი სიტყვა როდია. თუ არ არის საუკეთესო სტამბები და ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო სახლები, თუ არ არის მუშათა კლასის ღია ორგანიზაციები, დაწყებული ყველაზე უფრო ვიწრო და გათავებული უფართოესი ორგანიზაციებით, რომლებიც მუშათა კლასის მილიონებს მოიცავენ, თუ არ არის კრებების უაღრესად ფართო თავისუფლება, — ისე არ შეიძლება არსებობდეს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.

დაუკვირდით სსრ კავშირის ცხოვრების პირობებს, შეამოიარეთ მუშათა რაიონები, და თქვენ გაიგებთ, რომ საუკეთესო სტამბები, ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო სახლები, ქაღალდის მთელი ფაბრიკები, ბეჭდვითი სიტყვისათვის აუცილებელი საღებავების მთელი ქარხნები, ვეებერთელა სასახლეები კრებებისათვის, — ყველაფერი ეს და ბევრი სხვა რამ, რაც აუცილებელია მუშათა კლასის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის, სავსებით და მთლიანად

მუშათა კლასისა და მშრომელი მასების განკარგულებაშია. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მუშათა კლასისათვის. ჩვენში არ არსებობს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ბურჟუაზიისათვის.

ჩვენში არ არსებობს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მენშევიკებისა და ესერებისათვის, რომლებიც ჩვენში დამარცხებული და დამხობილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენლები არიან. მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი? ჩვენ არასოდეს არ გვიკისრნია ვალდებულება, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას მივცემდით ყველა კლასს, გავაბედნიერებდით ყველა კლასს. როცა ბოლშევიკები 1917 წლის ოქტომბერში ძალაუფლებას იღებდნენ, ისინი აშკარად ამბობდნენ, რომ ეს ხელისუფლება არის ერთი კლასის ხელისუფლება, პროლეტარიატის ხელისუფლება, რომ ეს ხელისუფლება დათრგუნავს ბურჟუაზიას ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების ინტერესების სასარგებლოდ, რომლებიც სსრ კავშირის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ პროლეტარულ დიქტატურას მოვთხოვოთ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მიცემა ბურჟუაზიისათვის?

მე-4 კითხვა. რატომ არ ათავისუფლებენ საპყრობილიდან დაპატიმრებულ მენშევიკებს?

პასუხი. როგორც ჩანს, ლაპარაკია აქტიურ მენშევიკებზე. დიახ, ეს სწორია, აქტიურ მენშევიკებს ჩვენში საპყრობილეებიდან არ ათავისუფლებენ პატიმრობის ვადის დამთავრებამდე. მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი?

რატომ არ ათავისუფლებდნენ საპყრობილეებიდან, მაგალითად, ბოლშევიკებს 1917 წლის ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში, როდესაც ხელისუფლების სათავეში იდგნენ მენშევიკები და ესერები?

რატომ იყო ლენინი იძულებული არალეგალურად ეცხოვრა 1917 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე, როდესაც ხელისუფლების სათავეში მენშევიკები და ესერები იდგნენ? რით აიხსნება, რომ დიდი ლენინი, რომლის სახელი წარმოადგენს დროშას ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის, იძულებული იყო 1917 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე დამალულიყო ფინეთში, კერენსკისა და წერეთლის, ჩერნოვისა და დანის «დემოკრატიული რესპუბლიკიდან» მოშორებით, ხოლო ლენინის პარტიის ბეჭდვითი ორგანო — «პრავდა» — დარბეულ იქნა ბურჟუაზიულ ხელისუფალთა მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სათავეში მაშინ იდგნენ ცნობილი მენშევიკები, II ინტერნაციონალის აქტიური მოღვაწენი?

ყველაფერი ეს, ცხადია, იმით აიხსნება, რომ ბრძოლამ ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასა და პროლეტარულ რევოლუციას შორის არ შეიძლება არ გამოიწვიოს ერთგვარი რეპრესიები. მე უკვე ვთქვი, რომ სოციალ-დემოკრატია ჩვენში კონტრრევოლუციურ პარტიას წარმოადგენს. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარულ რევოლუციას არ შეუძლია არ დააპატიმროს ამ კონტრრევოლუციური პარტიის მოღვაწენი.

მაგრამ ეს ყველაფერი რომია. აქედან, შემდეგ, გამომდინარეობს, რომ მენშევიკების დაპატიმრება ჩვენში წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციის პოლიტიკის განგრძობას. მართლაც, რა არის ოქტომბრის რევოლუცია? ოქტომბრის რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობას. ახლა ყველა ქვეყნის ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშები ცნობენ, რომ ბოლშევიკები მართებულად მოიქცნენ, როცა დაამხეს ბურჟუაზიის ხელისუფლება 1917 წლის ოქტომბერში. მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენც ამავე აზრისა ხართ. მაგრამ აი კითხვა: ბოლოს და ბოლოს, ვინ დაამხო პროლეტარიატმა 1917

წლის ოქტომბერში? ისტორია მოწმობს, ფაქტები მოწმობენ, რომ 1917 წლის ოქტომბერში პროლეტარიატმა დაამხო მენშევიკები და ესერები, ვინაიდან სწორედ მენშევიკები და ესერები, კვრენსკი და ჩერნოვი, გოცი და ლიბერი, დანი და წერეთელი, აბრამოვიჩი და ავქსენტიევი იდგნენ მაშინ ხელისუფლების სათავეში. ხოლო რას წარმოადგენენ მენშევიკებისა და ესერების პარტიები? ისინი არიან II ინტერნაციონალის პარტიები.

ამრიგად, გამოდის, რომ, ოქტომბრის რევოლუციას რომ ახდენდა, სსრ კავშირის პროლეტარიატი ამხობდა II ინტერნაციონალის პარტიებს. იქნებ, ეს სასიამოვნო არ იყოს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატისათვის, მაგრამ ეს, ამხანაგებო, უეჭველი ფაქტია, რომლის უარყოფა სასაცილო იქნებოდა.

მაშასადამე, გამოდის, რომ პროლეტარული რევოლუციის მომენტში შეიძლება და საჭიროა მენშევიკებისა და ესერების ძალაუფლების დამხობა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პროლეტარიატის ძალაუფლების გამარჯვება.

მაგრამ თუ შეიძლება მათი დამხობა, რატომ არ შეიძლება მათი დაპატიმრება, როცა ისინი აშკარად და გადაჭრით გადადიან ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ბანაკში? ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ მენშევიკებისა და ესერების დამხობა უფრო ნაკლებ ძლიერი საშუალებაა, ვიდრე მათი დაპატიმრება?

არ შეიძლება სწორად ჩავთვალოთ ოქტომბრის რევოლუციის პოლიტიკა, თუ ამავე დროს სწორად არ ჩავთვლით მის აუცილებელ შედეგებს. ორში ერთი:

ან ოქტომბრის რევოლუცია იყო შეცდომა, — და მაშინ ასეთივე შეცდომაა მენშევიკებისა და ესერების დაპატიმრება;

ან ოქტომბრის რევოლუცია არ იყო შეცდომა, — და მაშინ არც კონტრრევოლუციის გზაზე დამდგარი მენშევიკებისა და ესერების დაპატიმრება შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს.

ლოგიკა გვავალდებულებს.

მე-5 კითხვა. რატომ არ მიიღო პრესის სოციალ-დემოკრატიული ბიუროს კორესპონდენტმა სსრ კავშირში შემოსვლის ნებართვა?

პასუხი. იმიტომ, რომ საზღვარგარეთულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, განსაკუთრებით «ფორვერტსმა», თავისი საზიზღარი ცილისწამებით სსრ კავშირისა და მის წარმომადგენელთა მიმართ გადააჭარბა მთელ რიგ ბურჟუაზიულ გაზეთებს.

იმიტომ, რომ მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთები, როგორიცაა, მაგალითად, «ფოსიშე ცეიტუნგი» [58], სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში გაცილებით მეტ «ობიექტივობას» და «რიგიანობას» იჩენენ, ვიდრე «ფორვერტსი». ეს შეიძლება «უცნაურად» გეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. «ფორვერტსს» რომ შეეძლოს თავის დაჭერა ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთივით მაინც, მისი წარმომადგენლები, ალბათ, იპოვიდნენ თავიანთ ადგილს სსრ კავშირში სხვა ბურჟუაზიული გაზეთების წარმომადგენლებთან ერთად.

ამ დღეებში «ფორვერტსის» ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მიმართა ბერლინში ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთ-ერთ თანამშრომელს შეკითხვით იმ პირობების შესახებ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ «ფორვერტსის» კორესპონდენტმა სსრ კავშირში შემოსვლის ნებართვა მიიღოს. ამაზე მას უპასუხეს: «როცა «ფორვერტსი» საქმით დაამტკიცებს, რომ ის მზად არის სსრ კავშირისა და მისი წარმომადგენლების მიმართ ისე მაინც,

დაიჭიროს თავი, როგორც უჭირავს თავი «რიგიან» ლიბერალურ გაზეთს, მაგალითად, «ფოსიშე ცეიტუნგს», მაშინ საბჭოთა მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, რომ «ფორვერტსის» კორესპონდენტი შემოშვებულ იქნას სსრ კავშირში».

ვფიქრობ, რომ პასუხი სავსებით გასაგებია.

მე-6 კითხვა. შესაძლებელია თუ არა II ინტერნაციონალისა და III ინტერნაციონალის გაერთიანება?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია.

შეუძლებელია, რადგან II ინტერნაციონალს და III ინტერნაციონალს ორი სრულიად სხვადასხვა გეზი აქვთ და ისინი სხვადასხვა მხარეს იცქირებიან. თუ III ინტერნაციონალი იცქირება კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ, II ინტერნაციონალი, პირიქით, იცქირება კაპიტალიზმის შენარჩუნებისა და ყოველივე იმის დანგრევისაკენ, რაც აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ბრძოლა ორ ინტერნაციონალს შორის წარმოადგენს იმ ბრძოლის იდეურ ანარეკლს, რომელიც წარმოებს კაპიტალიზმის მომხრეებსა და სოციალიზმის მომხრეებს შორის. ამ ბრძოლაში უნდა გაიმარჯვოს ან II ინტერნაციონალმა, ან III ინტერნაციონალმა. არავითარი საფუძველი არ არის დავეჭვდეთ იმაში, რომ მუშათა მოძრაობაში უნდა გაიმარჯვოს III ინტერნაციონალმა.

მე შეუძლებლად მიმაჩნია მათი გაერთიანება ამჟამად.

მე-7 კითხვა. როგორ აფასებთ დასავლეთ ევროპის მდგომარეობას? მოსალოდნელია თუ არა რევოლუციური ამბები უახლოეს წლებში?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ ევროპაში იზრდება და შემდეგშიც გაიზრდება კაპიტალიზმის უღრმესი კრიზისის

ელემენტები. კაპიტალიზმს შეუძლია მიაღწიოს ნაწილობრივ სტაბილიზაციას, შეუძლია მოახდინოს თავისი წარმოების რაციონალიზაცია, შეუძლია დროებით შებოჭოს მუშათა კლასი, — ყოველივე ეს კაპიტალიზმს ჯერ კიდევ შეუძლია, მაგრამ იგი უკვე ვერასოდეს ვერ დაუბრუნდება იმ «სიმყარეს» და იმ «წონასწორობას», რაც არსებობდა მსოფლიო ომამდე და ოქტომბრის რევოლუციამდე. იგი უკვე ვერასოდეს ვეღარ დაუბრუნდება ამ «სიმყარეს» და ამ «წონასწორობას».

ეს რომ სწორია, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ევროპის ქვეყნებში, ისევე როგორც კოლონიებში, რომელნიც ევროპის კაპიტალიზმის არსებობის წყაროს წარმოადგენენ, ხან აქ, ხან იქ იფეთქებს რევოლუციის ცეცხლი. დღეს ავსტრიაში ჩნდება რევოლუციური აფეთქების ცეცხლი, ხვალ — ინგლისში, ზეგ სადმე სხვაგან — საფრანგეთში ან გერმანიაში, შემდეგ ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში და სხვ.

ხოლო რა არის ევროპა და კოლონიები? ეს არის კაპიტალიზმის ცენტრი და პერიფერია. «მყუდროება დარღვეულია» ევროპის კაპიტალიზმის ცენტრებში. კიდევ უფრო «დარღვეულია მყუდროება» მის პერიფერიაში. მწიფდება პირობები ახალი რევოლუციური ამბებისათვის. მე ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმის კრიზისის ზრდის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელი, მუშათა კლასის უკმაყოფილებისა და აღშფოთების ზრდის ყველაზე მკაფიო მაგალითია ის ამბები, რომლებიც დაკავშირებულია საკოს და ვანცეტის მოკვლასთან [59].

რა არის ორი მუშის მოკვლა კაპიტალისტური სასაკლაოსათვის? განა მათ, მუშებს, დღემდე ათობით და ასობით არ ხოცავდნენ ყოველკვირა და ყოველდღე? ამავე დროს საკმარისი იყო ორი მუშის — საკოს და ვანცეტის მოკვლა, რომ ამოძრავებულიყო მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი.

რას მოწმობს ეს? იმას, რომ კაპიტალიზმის ფეხქვეშ ნიადაგი სულ უფრო და უფრო ხურდება. იმას, რომ მწიფდება პირობები ახალი რევოლუციური ამბებისათვის.

ის ფაქტი, რომ კაპიტალისტებმა შესაძლოა მოახერხონ და კალაპოტში მოაქციონ რევოლუციური აფეთქების პირველი ტალღა, — ეს ფაქტი ოდნავადაც არ შეიძლება იყოს ნუგეში კაპიტალიზმისათვის. რევოლუცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ არ შეიძლება მოზღვავდეს ერთ მთლიან ტალღად. იგი ყოველთვის იზრდება ტალღების მოქცევა-უკუქცევის წესით. ასე იყო რუსეთში. ასე იქნება ევროპაშიც. ჩვენ ახალი რევოლუციური ამბების წინაშე ვდგავართ.

მე-8 კითხვა. ძლიერია თუ არა ოპოზიცია რუსეთის პარტიაში? რომელ წრეებს ეყრდნობა ის?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ იგი ძალიან სუსტია. კიდევ მეტი, მისი ძალა თითქმის არარაობას უდრის ჩვენს პარტიაში. მე ხელთ მაქვს დღევანდელი გაზეთი. აქ შეჯამებულია რამდენიმე დღის დისკუსიის შედეგები. ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის თეზისებს ხმა მისცა პარტიის 135 ათასზე მეტმა წევრმა, ხოლო ოპოზიციას — პარტიის 1 200 წევრმა. ეს 1 პროცენტსაც კი არ შეადგენს.

ვფიქრობ, რომ შემდგომი ხმისმიცემის შედეგები კიდევ უფრო სკანდალური იქნება ოპოზიციისათვის. დისკუსია ჩვენში თვით ყრილობამდე გაგრძელდება. ჩვენ შევეცდებით ამ ხნის განმავლობაში შეძლებისდაგვარად დავეკითხოთ მთელ პარტიას.

მე არ ვიცი, როგორ ხდება დისკუსია თქვენში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. მე არ ვიცი, წარმოებს თუ არა საერთოდ დისკუსია სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. ჩვენ დისკუსიას სერიოზულად ვუყურებთ. ჩვენ დავეკითხებით მთელ პარტიას, და თქვენ დაინახავთ, რომ ოპოზი-

ციის ხვედრითი წონა ჩვენს პარტიაში კიდევ უფრო უმნიშვნელო აღმოჩნდება, ვიდრე ახლახან გამოქვეყნებული ციფრები მოწმობენ. ძალიან შესაძლებელია, რომ ჩვენი პარტიის XV ყრილობაზე ოპოზიციას არ ეყოლოს არც ერთი წარმომადგენელი, არც ერთი დელეგატი.

ავიღოთ თუნდაც ისეთი უზარმაზარი საწარმონი, როგორიც არის «ტრეუგოლნიკი» ან «პუტილოვი» ლენინგრადში. მუშების რიცხვი «ტრეუგოლნიკში» 15 000-მდე აღწევს. პარტიის წევრთა რიცხვი იქ 2 122-ს შეადგენს. ოპოზიციას ხმა მისცა 39-მა. მუშების რიცხვი «პუტილოვში» უდრის დაახლოებით 11 000-ს. პარტიის წევრთა რიცხვი — 1 718-ს. ოპოზიციას ხმა მისცა 29-მ.

რომელ წრეებს ეყრდნობა ოპოზიცია? მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია უმთავრესად ეყრდნობა არაპროლეტარულ წრეებს. თუ დავეკითხებით მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენებს, იმათ, ვინც უკმაყოფილოა პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, — ვის თანაუგრძნობენ ისინი, მაშინ ისინი უყოყმანოდ გვიპასუხებენ, რომ თანაუგრძნობენ ოპოზიციას. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიციის ბრძოლა, არსებითად, არის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ, რომლითაც არ შეიძლება უკმაყოფილონი არ იყვნენ განსაზღვრული არაპროლეტარული ფენები. ოპოზიცია არის მოსახლეობის არაპროლეტარული ფენების უკმაყოფილების გამოხატულება, პროლეტარიატის დიქტატურაზე მათი მოწოლის გამოხატულება.

მე-9 კითხვა. სწორია თუ არა ის მტკიცება, რომელსაც რუთ ფიშერი და მასლოვი ავრცელებენ გერმანიაში იმის შესახებ, რომ კომინტერნისა და რუსეთის პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა მუშებს ხელში უგდებს კონტრრევოლუციას?

პასუხი. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორია. უნდა ვიფიქროთ, რომ კომინტერნი და საკავშირო კომპარტია (ბ) სსრ კავშირის მუშათა კლასს ხელში უგდებენ ყველა ქვეყნის კონტრრევოლუციონერებს.

კიდევ მეტი, მე შემიძლია გაცნობოთ, რომ კომინტერნმა და საკავშირო კომპარტიამ (ბ) ამ დღეებში გადაწყვიტეს დააბრუნონ სსრ კავშირში ჩვენი ქვეყნიდან გაძევებული ყველა მემამულე და კაპიტალისტი და დაუბრუნონ მათ ფაბრიკები და ქარხნები.

ეს კიდევ ყველაფერი როდია. კომინტერნი და საკავშირო კომპარტია (ბ) უფრო შორს წავიდნენ და გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო, როცა ბოლშევიკებმა უნდა დაიწყონ ადამიანის ხორცის ჭამა.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილება — მოვახდინოთ ყველა ქალის ნაციონალიზაცია და პრაქტიკაში შემოვიღოთ საკუთარი დების გაუპატიურება. (*საერთო სიცილი. ცალკეული ხმები:* «ვის შეეძლო ასეთი კითხვის მოცემა?»).

მე ვხედავ, რომ თქვენ იცინით. შესაძლოა, რომელიმე თქვენგანმა იფიქროს, რომ მე კითხვას არასერიოზულად ვეკიდები. დიახ, ამხანაგებო, არ შეიძლება სერიოზულად პასუხის გაცემა ასეთ კითხვაზე. ვფიქრობ, რომ ასეთ კითხვებზე შეიძლება პასუხის გაცემა მხოლოდ დაცინვით. (*მქუხარე ტაში*).

მე-10 კითხვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და რუთ ფიშერ — მასლოვის მიმართულებისადმი გერმანიაში?

პასუხი. ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი გერმანიაში ისეთივეა, როგორიცაა ცნობილი ფრანგი რომანისტის ალფონს დოდეს დამოკიდე-

ბულება ტარტარენ ტარასკონელისადმი. (მხიარული გაცხოველებანი დელეგატებში).

თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ ალფონს დოდეს ეს შესანიშნავი რომანი ტარტარენ ტარასკონელზე. ამ რომანის გმირი, ტარტარენი, არსებითად, ჩვეულებრივი «კეთილი» წვრილი ბურჟუა იყო. მაგრამ მას ისეთი გაქანების ფანტაზია ჰქონდა, ხოლო «გულკეთილად ცრუობის» უნარი — იმდენად განვითარებული, რომ ის ბოლოს და ბოლოს ამ იშვიათ თვისებათა მსხვერპლი გახდა.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ატლასის მთებში მან აუარებელი ლომი და ვეფხვი მოკლა. ამისათვის ტარტარენის გულუბრყვილო მეგობრებმა მას უწოდეს მსოფლიოში პირველი მონადირე ლომებზე. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც დანამდვილებით იცოდა თვით ტარტარენმა, რომ ტარტარენს თვალითაც არ უნახავს არც ლომები და არც ვეფხვები.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ის ავიდა მონბლანზე. მისმა გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი ალპინისტი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, რომ ტარტარენს არავითარი მონბლანი არასოდეს არ უნახავს, ვინაიდან ის იყო მხოლოდ მონბლანის მთის ძირში.

ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ მან დააარსა დიდი კოლონია საფრანგეთიდან დაშორებულ ქვეყანაში. გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი კოლონიზატორი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც თვით ტარტარენს უნდა აღეარებინა, რომ ტარტარენის ფანტასტიკური ზრახვებიდან შერცხვენის გარდა არაფერი გამოვიდოდა.

თქვენ იცით, თუ რა შერცხვენამდე და სკანდალამდე მიიყვანა ტარასკონელები ტარტარენის ფანტასტიკურმა ტრაბახმა.

ვფიქრობ, რომ ოპოზიციისათვის ასეთივე შერცხვენით და სკანდალით დამთავრდება ოპოზიციის ლიდერების ტრაბახი და აურზაური, რაც მათ ატეხეს მოსკოვსა და ბერლინში. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

ამრიგად, ჩვენ ამოვწურეთ კითხვების პირველი სია.

გადავიდეთ საფრანგეთის დელეგაციის კითხვებზე.

1-ლი კითხვა. როგორ ფიქრობს სსრ კავშირის მთავრობა იბრძოლოს უცხოეთის ნავთის ფირმების წინააღმდეგ?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ საკითხი არასწორად არის დასმული. საკითხის ასეთი დასმის დროს შეიძლება იფიქრონ, რომ საბჭოთა ნავთის მრეწველობამ განიზრახა იერიში მიიტანოს სხვა ქვეყნების ნავთის ფირმების წინააღმდეგ და ცდილობს მათ წაქცევასა და ლიკვიდაციას.

ასეთია თუ არა საქმის ვითარება სინამდვილეში? არა, არ არის ასეთი. ნამდვილად საკითხი ეხება იმას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ცნობილი ნავთის ფირმები ცდილობენ ჩაახშონ საბჭოთა ნავთის მრეწველობა, ხოლო საბჭოთა ნავთის მრეწველობას უხდება თავის დაცვა, რათა იარსებოს და კიდევ უფრო განვითარდეს.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა ნავთის მრეწველობა კაპიტალისტური ქვეყნების ნავთის მრეწველობაზე უფრო სუსტია ამოღების რაოდენობის მხრივაც, — ჩვენ ნაკლებ ნავთს ვიღებთ, ვიდრე ისინი, — და ბაზართან კავშირის მხრივაც, — მათ გაცილებით მეტი კავშირი აქვთ მსოფლიო ბაზართან, ვიდრე ჩვენ.

როგორ იცავს თავს საბჭოთა ნავთის მრეწველობა? იგი თავს იცავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და,

უწინარეს ყოვლისა, ნავთის ფასების დაკლებით, ნავთის გაყიდვით ბაზარზე იაფად, იმაზე უფრო იაფად, ვიდრე იყიდება კაპიტალისტური ფირმების ნავთი.

შეიძლება იკითხონ: ნუთუ საბჭოები ისე მდიდარი არიან, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ — ნავთი უფრო იაფად გაყიდონ, ვიდრე ყიდიან უმდიდრესი კაპიტალისტური ფირმები? რა თქმა უნდა, საბჭოთა მრეწველობა კაპიტალისტურ ფირმებზე უფრო მდიდარი არ არის. კიდევ მეტი, კაპიტალისტური ფირმები საბჭოთა მრეწველობაზე ბევრად უფრო მდიდარი არიან. მაგრამ აქ საქმე სიმდიდრე როდია. საქმე ის არის, რომ საბჭოთა ნავთის მრეწველობა არ არის კაპიტალისტური მრეწველობა, რის გამოც მას არ ესაჭიროება ძალიან დიდი ზემოგება, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ნავთის ფირმებს არ შეუძლიათ იარსებონ კოლოსალური ზემოგების მიუღებლად. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა მრეწველობას არ ესაჭიროება ზემოგება, მას აქვს შესაძლებლობა — კაპიტალისტურ ფირმებზე უფრო იაფად გაყიდოს თავისი პროდუქცია.

იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა პურზე, საბჭოთა ხეტყეზე და სხვ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა საქონელი, განსაკუთრებით კი საბჭოთა ნავთი, საერთაშორისო ბაზარზე გამოდის, როგორც ისეთი ფაქტორი, რომელიც ამცირებს ფასებს და, ამრიგად, ამსუბუქებს მომხმარებელთა მასების მდგომარეობას. ამაშია საბჭოთა ნავთის მრეწველობის ძალა და კაპიტალისტური ნავთის ფირმების ხელყოფისაგან მისი თავდაცვის საშუალება. ამაშივეა იმის საიდუმლოება, რომ ყველა ქვეყნის ნავთის მრეწველები, განსაკუთრებით კი დეტერდინგი, მთელი ძალღონით გაჰკივიან საბჭოების წინააღმდეგ და საბჭოთა ნავთის მრეწველობის წინააღმდეგ, ფარავენ რა ნავთის მაღალი ფასებისა და მომხმარე-

ბელთა მასების ძარცვის თავიანთ პოლიტიკას მოდური ფრაზებით «კომუნისტური პროპაგანდის» შესახებ.

მე-2 კითხვა. როგორ ფიქრობთ თქვენ კოლექტივიზმის განხორციელებას გლეხთა საკითხში?

პასუხი. კოლექტივიზმის განხორციელებას სოფლის მეურნეობაში ჩვენ ვფიქრობთ თანდათანობით, ეკონომიური, ფინანსური და კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებით.

მე ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი არის ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა საკითხი. ამ დარგში ჩვენი ღონისძიებანი სამი ხაზით ტარდება:

კოოპერაციაში ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა ორგანიზაციის ხაზით;

საწარმოო ამხანაგობებში გლეხურ მეურნეობათა, უმთავრესად ღარიბ მეურნეობათა, ორგანიზაციის ხაზით და, ბოლოს,

იმ ხაზით, რომ სახელმწიფოს მგეგმავმა და მომწესრიგებელმა ორგანოებმა მოიცვან გლეხური მეურნეობანი როგორც გლეხური პროდუქციის გასაღების მხრივ, ისე ჩვენი ინდუსტრიის საჭირო ნაწარმით გლეხობის მომარაგების მხრივ.

რამდენიმე წლის წინათ საქმე ისე იყო, რომ ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის იდგა მრავალი შუამავალი, კერძო მეწარმეთა სახით, რომლებიც აწვდიდნენ გლეხებს ქალაქის ნაწარმს და მუშებს კი — გლეხურ პურს. გასაგებია, რომ შუამავლები მუქთად არ «მუშაობდნენ» და ათეული მილიონობით მანეთს აფცქვნიდნენ როგორც გლეხებს, ისე ქალაქის მოსახლეობას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, სოციალისტურ ინდუსტრიასა და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა შორის, ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული. კოოპერაციისა და

სახელმწიფო გამნაწილებელი ორგანოების როლი მაშინ შედარებით უმნიშვნელო იყო.

მას შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ქალაქსა და სოფელს შორის, ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის საქონელბრუნვაში კოოპერაცია და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები ასრულებენ არა მარტო უპირატეს, არამედ გაბატონებულ როლსაც, თუ მონოპოლიურს არა. ფართლეულით სოფლის მომარაგების საქმეში კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების წილი 70%-ზე მეტს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდებაში კი კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების წილი შეადგენს თითქმის 100%-ს. გლეხური პურის შესყიდვაში კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების წილი შეადგენს 80%-ზე მეტს. ხოლო მრეწველობისათვის ნედლეულის, მაგალითად, ბამბის, ჭარხლისა და სხვ. შესყიდვაში კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების წილი გამოიხატება თითქმის 100%-ით.

მერე რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ კაპიტალისტი იდევნება საქონელბრუნვის სფეროდან, მრეწველობა უშუალოდ უკავშირდება გლეხურ მეურნეობას, სპეკულანტ-შუამავლების მოგება რჩება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, გლეხებს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო იაფად შეიძინონ ქალაქის საქონელი, მუშებს, თავის მხრივ, შესაძლებლობა ეძლევათ უფრო იაფად შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ ინდუსტრიას, საქონელბრუნვიდან შუამავალ-კაპიტალისტების გამოდევნის გზით, შესაძლებლობა ეძლევა გაიყოლიოს გლეხური მეურნეობა, გავლენა იქონიოს მასზე და აამაღლოს მისი კულტურულობა, მოახდინოს მისი რაციონალიზაცია და ინდუსტრიალიზაცია.

მესამეც, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს, როცა ის აკავშირებს სოფლის მეურნეობას ინდუსტრიასთან, შესაძლებლობა ეძლევა გეგმიანი საწყისი შეიტანოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მიაწოდოს მას საუკეთესო თესლეული და სასუქი, განსაზღვროს მისი წარმოების ფარგლები, გავლენა მოახდინოს მასზე ფასების პოლიტიკის მხრით და სხვ.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლად იქმნება ხელსაყრელი პირობები კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის, კულაკობის შემდგომი შეზღუდვისა და გამოდევნისათვის, მშრომელ გლეხთა მეურნეობების საწარმოო ამხანაგობებად ორგანიზაციისათვის, სახელმწიფოს სახსრებიდან ამ ამხანაგობათა შესაძლებელი დაფინანსებისათვის.

ავიღოთ, მაგალითად, ჭარხლის წარმოება შაქრის მრეწველობისათვის და ბამბის წარმოება საფეიქრო მრეწველობისათვის. ამ სახის ნედლეულთა წარმოების ფარგლები, ისე როგორც მათი ფასი და ხარისხი, ჩვენში ახლა განისაზღვრება არა სტიქიურად, არა ძალთა ჭიდილით მოუწესრიგებელ ბაზარზე, არა შუამავალ-სპეკულანტების, ბირჟებისა და სხვადასხვა კაპიტალისტური კანტორების და სხვათა საშუალებით, არამედ გეგმიანი წესით, გარკვეული წინასწარი ხელშეკრულებებით, ერთი მხრით, შაქრისა და საფეიქრო სინდიკატებსა და, მეორე მხრით, მეჭარხლეობისა და მებამბეობის კოოპერაციის სახით, ათეულათასობით გლეხურ მეურნეობათა შორის.

აქ უკვე არ არის ბირჟები, კანტორები, ფასებით თამაში და სხვ. კაპიტალისტური მეურნეობის ყველა ეს ინსტრუმენტი ჩვენში უკვე არ არსებობს ამ დარგში. აქ სცენაზე გამოდის მხოლოდ ორი მხარე ყოველგვარი ბირჟისა და შუამავლის გარეშე — ერთი მხრით, სახელმწიფო სინდიკატები, მეორე მხრით, კოოპერირებული გლეხები. სახელმწიფო სინდიკატები სდებენ კონტრაქტებს სათანადო კოოპე-

რაციულ ორგანიზაციებთან ჭარხლისა და ბამბის ამა და ამ რაოდენობით წარმოების შესახებ, გლეხობის თესლეულითა და სესხით მომარაგების შესახებ და სხვ. სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ მთელი პროდუქცია გადადის სინდიკატების განკარგულებაში, გლეხები კი სამაგიეროდ იღებენ შესაფერ თანხებს წინათ დადებული კონტრაქტების თანახმად. ამას ეწოდება ჩვენში კონტრაქტაციის სისტემა.

ეს სისტემა კარგია იმ მხრივ, რომ ის ხელსაყრელია ორივე მხარისათვის და გლეხურ მეურნეობას აკავშირებს ინდუსტრიასთან უშუალოდ, უშუამავლებოდ. ეს სისტემა უაღრესად საიმედო გზაა გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ.

არ შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს უკვე მიეღწიოთ განვითარების ასეთ დონემდე. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, პურეულის წარმოების გამოუკლებლად, თანდათან გადავა განვითარების ამ გზაზე. ამ გზას კი პირდაპირ მივყავართ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან.

ყოვლისმომცველი კოლექტივიზაცია განხორციელდება მაშინ, როდესაც გლეხური მეურნეობანი გარდაიქმნებიან ახალ ტექნიკურ ბაზაზე მანქანიზაციისა და ელექტროფიკაციის წესით, როდესაც მშრომელი გლეხობის უმრავლესობა ჩაბმული იქნება კოოპერაციულ ორგანიზაციებში, რომლებშიც სოფლების უმრავლესობა მოიფინება კოლექტივისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებით.

საქმე აქეთკენ მიდის, მაგრამ საქმე ჯერ არ მისულა აქამდე და მალე ვერც მივა. რატომ? სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამისათვის საჭიროა დიდი ფინანსები, რაც ჯერ კიდევ არ მოეპოვება ჩვენს სახელმწიფოს, მაგრამ რაც დროთა მსვლელობაში, უეჭველია, დაგროვდება. მარქსი ამბობდა: ისტორიაში არც ერთი ახალი სოციალური წყობილება არ

განმტკიცებულა ისე, რომ იგი გაძლიერებით არ დაეფინანსებინათ, რისთვისაც იხარჯებოდა ასეული და ასეული მილიონებიო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე შევდივართ სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ხანაში, როცა სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა გააძლიეროს ახალი სოციალური, კოლექტივისტური წყობილების დაფინანსება. ის ფაქტი, რომ სოციალისტურმა ინდუსტრიამ უკვე მოიპოვა ხელმძღვანელი ელემენტის როლი სახალხო მეურნეობაში და რომ იგი უძღვება სოფლის მეურნეობას, — ეს ფაქტი უტყუარი თავდებია იმისა, რომ გლეხური მეურნეობა წავა შემდგომი კოლექტივიზაციის გზით.

მე-3 კითხვა. როგორი იყო მთავარი სიძნელენი სამხედრო კომუნიზმის დროს, როცა ცდილობდნენ ფულის მოსპობას?

პასუხი. სიძნელე ბევრი იყო როგორც საშინაო განვითარების ხაზით, ისე საგარეო ურთიერთობის ხაზით.

თუ ავიღებთ სამეურნეო ტიპის საშინაო ურთიერთობას, აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ სამი მთავარი სიძნელე.

პირველი. სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენი მრეწველობა გაჩანაგებული და პარალიზებული იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო მრეწველობას, რომელიც საომარ მასალებს აწვდიდა ჩვენს სამოქალაქო ფრონტებს ინტერვენციის დროს. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ორი მესამედი უმოქმედოდ იყო, ტრანსპორტი მოიკოჭლებდა, საქონელი არ იყო ან თითქმის არ იყო.

მეორე. სოფლის მეურნეობა ორივე ფეხით კოჭლობდა, გლეხურ მეურნეობათა მუშაკები ფრონტებზე იმყოფებოდნენ. არ იყო საკმაო ნედლეული, არ იყო საკმაო პური ქალაქის მოსახლეობისათვის და, უწინარეს ყოვლისა, მუშებისათვის. ჩვენ მაშინ მუშებს ვაძლევდით ნახევარ გირვანქა პურს, ზოგჯერ კი მხოლოდ მერვედ გირვანქას დღეში.

მესამე. არ არსებობდა ან თითქმის არ არსებობდა ქალაქსა და სოფელს შორის მოწესრიგებული საბჭოთა სავაჭრო გადამცემი აპარატი, რომელსაც შეეძლო სოფელი მოემარაგებინა ქალაქის საქონლით, ხოლო ქალაქი — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. კოოპერაცია და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

მაგრამ სამოქალაქო ომის დამთავრებისა და «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» შემოღების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

მრეწველობა განვითარდა და გაძლიერდა, მან დაიკავა მბრძანებელი მდგომარეობა მთელ სახალხო მეურნეობაში. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩვენ შევძელით ინდუსტრიაში დაგვებანდებინა ორ მილიარდ მანეთზე მეტი საკუთარი დაგროვებიდან, გარედან დახმარების მიუღებლად, გარედან რაიმე სესხის მიუღებლად. ახლა უკვე აღარ შეიძლება იმის თქმა, რომ გლეხობისათვის არ არის საჭრთოდ საქონელი.

ფეხზე დადგა სოფლის მეურნეობა, რომელმაც თავისი პროდუქცია გაადიდა ომამდელი პერიოდის დონემდე. ახლა უკვე აღარ შეიძლება ითქვას, რომ მუშებისათვის არ არის საერთოდ პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

კოოპერაცია და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები იმდენად განვითარდნენ, რომ მათ ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში მბრძანებელი მდგომარეობა დაიკავეს. ახლა უკვე აღარ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ არა გვაქვს გადამცემი განმანაწილებელი აპარატი ქალაქსა და სოფელს შორის, ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა იმისათვის, რომ ახლავე ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა. მაგრამ ეს

სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ შემდგომ წავიწიოთ წინ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის გზით.

ახლა ჩვენ ახალი მოწყობილობით უნდა აღვჭურვოთ ჩვენი ინდუსტრია და ავაგოთ ახალი ქარხნები ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

ჩვენ უნდა განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მოვამარაგოთ გლეხობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაქსიმუმით, კოოპერაციულად შევაკავშიროთ მშრომელი გლეხობის უმრავლესობა და გარდავქმნათ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი სასოფლო-სამეურნეო კოლექტიურ ამხანაგობათა ფართო ქსელად.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ისეთი გადამცემი განმანაწილებელი აპარატი ქალაქსა და სოფელს შორის, რომელიც შესძლებს გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს მთელი ჩვენი ქვეყნის ქალაქისა და სოფლის მოთხოვნილებანი, ისევე როგორც თვითეული ადამიანი ითვალისწინებს თავისი ბიუჯეტით თავის ხარჯებსა და შემოსავალს.

და როცა ჩვენ მივაღწევთ ყოველივე ამას, უნდა ვიფიქროთ, რომ დადგება დრო, როცა ფული უკვე აღარ იქნება საჭირო.

მაგრამ ამისაგან ჯერჯერობით შორსა ვართ.

მე-4 კითხვა. რა მდგომარეობაშია «მაკრატლის» საკითხი?

პასუხი. თუ «მაკრატლად» ვიგულისხმებთ შეუფარდებლობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებსა და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის თვითღირებულების თვალსაზრისით, მაშინ «მაკრატლის» მდგომარეობა შემდეგნაირად გვეხატება.

უეჭველია, ჩვენი სამრეწველო საქონელი ჯერ კიდევ რამდენადმე უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე შეიძლებოდა მისი გაყიდვა სხვა პირობებში. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი

მრეწველობა ნორჩია, რომ აუცილებელია მისი დაცვა გარეშე კონკურენციისაგან, რომ აუცილებელია მისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც დააჩქარებენ მის განვითარებას. ხოლო მისი სწრაფი განვითარება აუცილებელია როგორც ქალაქისათვის, ისე სოფლისათვის. უამისოდ არ გვექნება შესაძლებლობა თავის დროზე მოვამარაგოთ გლეხური მეურნეობა მანუფაქტურისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკმაო რაოდენობით. ეს გარემოება ქმნის შეუფარდებლობას სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს შორის გლეხური მეურნეობისათვის რამდენადმე საზიანოდ.

იმისათვის, რომ მოისპოს ეს მინუსი გლეხური მეურნეობისათვის, მთავრობამ და პარტიამ მიზნად დაისახეს გაატარონ სამრეწველო საქონლის ფასების თანდათანობით, მაგრამ განუხრელად დაკლების პოლიტიკა. შეიძლება თუ არა ამ პოლიტიკას რეალური პოლიტიკა ვუწოდოთ? მე ვფიქრობ, რომ იგი უთუოდ რეალურია. ცნობილია, მაგალითად, რომ უკანასკნელ წელს ჩვენ შევძელით სამრეწველო საქონლის საცალო ფასების დაკლება 8 — 10 პროცენტით. შემდეგ, ცნობილია, რომ ჩვენი სამრეწველო ორგანიზაციები სისტემატურად ამცირებენ სამრეწველო საქონლის თვითღირებულებას და გასაცემ ფასებს. არავითარი საფუძველი არ არის ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება. კიდევ მეტი. მე უნდა ვთქვა, რომ სამრეწველო საქონლის ფასების განუხრელად დაკლების პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის იმ ქვაკუთხედს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია როგორც ჩვენი სამრეწველო მეურნეობის გაუმჯობესება და რაციონალიზაცია, ისე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ მხრივ სხვა პოლიტიკას ადგანან. იქ საწარმოებს ჩვეულებრივ აერთიანებენ

ტრესტებად და სინდიკატებად იმისათვის, რომ ქვეყნის შიგნით ასწიონ სამრეწველო საქონლის ფასები, გადააქციონ ეს ფასები მონოპოლიურ ფასებად, ამოქაჩონ ამის საფუძველზე რაც შეიძლება მეტი მოგება და შექმნან ფონდი საქონლის ექსპორტისათვის საზღვარგარეთ, სადაც კაპიტალისტები იმავე საქონელს ყიდიან დაბალ ფასებში ახალი ბაზრების დაპყრობის მიზნით.

ასეთივე პოლიტიკა ტარდებოდა ჩვენში, რუსეთში, ბურჟუაზიული წყობილების დროს, როცა, მაგალითად, შაქარი ჩვენი ქვეყნის შიგნით უზომოდ ძვირად იყიდებოდა, ხოლო საზღვარგარეთ, მაგალითად, ინგლისში, იგივე შაქარი ისე იაფად იყიდებოდა, რომ იმით ღორებს კვებავდნენ.

საბჭოთა მთავრობა დიამეტრულად საწინააღმდეგო პოლიტიკას ახორციელებს. მისი აზრით, მრეწველობა მომსახურებას უნდა უწევდეს მოსახლეობას, და არა პირიქით. მისი აზრით, სამრეწველო საქონლის ფასების განუხრელად დაკლება წარმოადგენს იმ ძირითად საშუალებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ინდუსტრიის ნორმალური ზრდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ სამრეწველო საქონლის ფასების დაკლების პოლიტიკა ხელს უწყობს მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდას, ადიდებს საშინაო ბაზრის ტევადობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად და, ამრიგად, ქმნის განუწყვეტლივ მზარდ წყაროს, რომელიც აუცილებელია ინდუსტრიის შემდგომი გაშლისათვის.

მე-5 კითხვა. როგორია საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ვალების ხაზით მცირე თანხის ობლიგაციების მქონე ფრანგებისადმი? როგორ გავაცნოთ ფრანგ რანტიეებს ეს წინადადებანი?

პასუხი. ჩვენი წინადადებანი ომამდელი ვალების შესახებ გამოქვეყნებულია რაკოვსკის ცნობილ ინტერვიუში. მე ვფიქრობ, რომ ისინი თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს.

ეს წინადადებანი შეპირობებულია ამავე დროს კრედიტების მიღებით სსრ კავშირისათვის. ჩვენ აქ ვიცავთ გარკვეულ პრინციპს: მომცემ — მოგცემ. მოგვცემ კრედიტს — ჩვენგანაც მიიღებ რაიმეს ომამდელი ვალების ხაზით, არ მოგვცემ — არ მიიღებ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ამით პრინციპულად ვცანით ომამდელი ვალები? არა, არ ნიშნავს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ, ვტოვებთ რა ძალაში ცნობილ დეკრეტს მეფის ვალების გაუქმების შესახებ[60], ჩვენ ამასთან ერთად თანახმა ვართ, პრაქტიკული შეთანხმების წესით, გადავიხადოთ ცოტა რამ ომამდელი ვალების გასასტუმრებლად, თუ სამაგიეროდ მოგვცემენ ჩვენთვის საჭირო და საფრანგეთის მრეწველობისათვის სასარგებლო კრედიტებს. ვალების ანგარიშში გადასახდელის გაღებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც იმ კრედიტების დამატებით პროცენტებს, რასაც ჩვენ ვიღებთ ჩვენი ინდუსტრიის განსავითარებლად.

ლაპარაკობენ მეფის რუსეთის სამხედრო ვალებზე. ლაპარაკობენ ოქტომბრის რევოლუციის შედეგებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრეტენზიებზე სსრ კავშირის მიმართ. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენი რევოლუცია არის იმპერიალისტური ომებისა და მათთან დაკავშირებული მეფის ვალების პრინციპული უარყოფა. ავიწყდებათ, რომ სსრ კავშირს არ შეუძლია გადაიხადოს და არც გადაიხდის სამხედრო ვალებს.

ავიწყდებათ, გარდა ამისა, რომ სსრ კავშირს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს ის ძარცვა-გლეჯა და ძალადობა, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენციის დროს და რომელთანაც დაკავშირებულია სსრ კავშირის გარკვეული კონტრპრეტენზიები.

ვინაა პასუხისმგებელი ამ ძარცვა-გლეჯისა და ძალადობისათვის? ვინ უნდა აგოს ამისათვის პასუხი? ვინ უნდა

აანაზღაუროს ამ ძარცვა-გლეჯით და ძალადობით გამოწვეული ზარალი? იმპერიალისტ მესვეურებს სურთ დაივიწყონ ეს არასასიამოვნო ამბები. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ასეთ რამეებს არ ივიწყებენ.

მე-6 კითხვა. როგორ ეთანხმება ერთიმეორეს არაყის მონოპოლია და ბრძოლა ალკოჰოლიზმთან?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ ძნელია საერთოდ მათი შეთანხმება. აქ უეჭველად არის წინააღმდეგობა. პარტიამ იცის, რომ ეს წინააღმდეგობა არსებობს, და მან ეს ნაბიჯი შეგნებულად გადადგა, ვინაიდან იცის, რომ ასეთი წინააღმდეგობის დაშვება ახლანდელ მომენტში ყველაზე უფრო ნაკლები ბოროტებაა.

როცა ჩვენ არაყის მონოპოლიის შემოღებას ვაპირებდით, ჩვენს წინაშე იდგა ალტერნატივა:

ან მოვქცეულიყავით კაპიტალისტების კაბალაში, გადაგვეცა მათთვის მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნები და სამაგიეროდ მიგვეღო გარკვეული თანხები, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ხელი მოგვეცვალა;

ან შემოგვეღო არაყის მონოპოლია, რათა გვეშოვა აუცილებელი საბრუნავი თანხები ჩვენი ინდუსტრიის საკუთარი ძალებით განვითარებისათვის და, ამრიგად, თავი დაგვეღწია უცხოეთის კაბალისაგან.

ცენტრალური კომიტეტის წევრებს, მათ შორის მეც, მაშინ საუბარი გვქონდა ლენინთან, რომელმაც სცნო, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარედან ვერ მივიღებთ აუცილებელ სესხს, მოგვიხდება არაყის მონოპოლიის, როგორც არაჩვეულებრივი ხასიათის დროებითი ღონისძიების, აშკარად და პირდაპირ შემოღება.

აი როგორ იდგა საკითხი ჩვენს წინაშე, როცა არაყის მონოპოლიის შემოღებას ვაპირებდით.

რასაკვირველია, საერთოდ რომ ვთქვათ, უარაყოდ უკეთესი იქნებოდა, ვინაიდან არაყი ბოროტებაა. მაგრამ მაშინ მოგვიხდებოდა დროებით მოვქცეულიყავით კაპიტალისტების კაბალაში, რაც კიდევ უფრო მეტ ბოროტებას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ნაკლები ბოროტება ვამჯობინეთ. ახლა არაყი იძლევა 500 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს. არაყზე უარის თქმა ახლა ნიშნავს ხელის აღებას ამ შემოსავალზე, ამასთან არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტკიცოთ, რომ ალკოჰოლიზმი ნაკლები იქნება, ვინაიდან გლეხი დაიწყებს საკუთარი არაყის წარმოებას და შინნახადი არაყით მოიწამლება.

აქ, ცხადია, ერთგვარ როლს თამაშობს სერიოზული ნაკლოვანებანი სოფლის კულტურული განვითარების დარგში. ალარას ვამბობ იმაზე, რომ არაყის მონოპოლიაზე დაუყოვნებლივ უარის თქმა ჩვენს მრეწველობას დაუკარგავდა ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტს, რის ანაზღაურებაც სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ არაყის მონოპოლია მომავალშიც უნდა დარჩეს ჩვენში? არა, არ ნიშნავს. არაყის მონოპოლია ჩვენ შემოვიღეთ როგორც დროებითი ღონისძიება. ამიტომ იგი უნდა მოისპოს, როგორც კი ჩვენს სახალხო მეურნეობაში აღმოჩნდება ახალი წყაროები ახალი შემოსავლის მისაღებად ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ხოლო ასეთი წყაროები რომ გამონახული იქნება, ამაში არავითარი ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ.

მართებულად მოვიქეცით თუ არა ჩვენ, არაყის გამოშვების საქმე სახელმწიფოს ხელში რომ მოვაქციეთ? ვფიქრობ, რომ მართებულად მოვიქეცით. არაყი რომ კერძო პირების ხელში გადაგვეცა, ეს გამოიწვევდა:

ჯერ-ერთი, კერძო კაპიტალის გაძლიერებას,

მეორეც, მთავრობას აღარ ექნებოდა საშუალება სათანადოდ მოეწესრიგებინა არაყის წარმოება და მოხმარება, და,

მესამეც, ეს გააძნელებდა არაყის წარმოებისა და მოხმარების გაუქმებას მომავალში.

ახლა ჩვენი პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ თანდათან შევკვეცოთ არაყის წარმოება. ვფიქრობ, რომ მომავალში შევძლებთ არაყის მონოპოლიის სავსებით გაუქმებას, სპირტის წარმოების შემცირებას იმ მინიმუმამდე, რაც აუცილებელია ტექნიკური მიზნებისათვის, შემდეგ კი არაყის გაყიდვის სრულებით მოსპობას.

ვფიქრობ, რომ ჩვენ, ალბათ, არ მოგვიხდებოდა საქმე გვქონოდა არაყთან ან სხვა მრავალ არასასიამოვნო რამესთან, დასავლეთ ევროპის პროლეტარებს რომ ძალაუფლება დაეპყროთ და ჩვენთვის აუცილებელი დახმარება გაეწიათ. მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენს დასავლეთ-ევროპელ ძმებს ჯერჯერობით არ სურთ ძალაუფლების დაპყრობა, და ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ჩვენი საკუთარი სახსრებით. მაგრამ ამაში ჩვენ კი არ მიგვიძღვის ბრალი. ეს ბედის ბრალია.

როგორც ხედავთ, პასუხისმგებლობის ერთგვარი წილი არაყის მონოპოლიისათვის მიუძღვით ჩვენს დასავლეთ-ევროპელ მეგობრებსაც. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი).

მე-7 კითხვა. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სამოსამართლო უფლებანი, საქმეების გარჩევა უმოწმეებოდ, უდამცველებოდ, საიდუმლო დაპატიმრებანი. ვინაიდან ასეთი ზომები ძნელი დასაშვებია საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრისათვის, საინტერესო იქნებოდა გაგვეგო მათი დასაბუთება. განზრახულია თუ არა მათი შეცვლა ან შეწყვეტა?

პასუხი. სახელმწიფო პოლიტსამმართველო ანუ საგანგებო კომისია სადამსჯელო ორგანოა საბჭოთა ხელისუფლების ხელში. ეს ორგანო ცოტად თუ ბევრად ანალოგიურია საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტისა, რომელიც შეიქ-

მნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. იგი უმთავრესად სჯის ჯაშუშებს, შეთქმულებს, ტერორისტებს, ბანდიტებს, სპეკულანტებს, ყალბი ფულის მჭრელებს. იგი წარმოადგენს ერთგვარ სამხედრო-პოლიტიკურ ტრიბუნალს, რომელიც შექმნილია რევოლუციის ინტერესების დასაცავად კონტრრევოლუციური ბურჟუებისა და მათი აგენტების ხელყოფისაგან.

ეს ორგანო შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღესვე, მას შემდეგ, როცა აღმოჩნდა შეთქმულთა, ტერორისტთა და ჯაშუშთა სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთაც აფინანსებდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის კაპიტალისტები.

ეს ორგანო განვითარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ ჩადენილი მთელი რიგი ტერორისტული აქტების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მოკლეს ამხ. ურიცკი — პეტროგრადის რევოლუციური კომიტეტის წევრი (იგი მოკლა ესერმა), მას შემდეგ, რაც მოკლეს ამხ. ვოლოდარსკი — პეტროგრადის რევოლუციური კომიტეტის წევრი (ისიც ესერმა მოკლა), მას შემდეგ, რაც სცადეს ლენინის მოკვლა (ლენინი დაჭრილ იქნა ესერების პარტიის წევრის მიერ).

უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო პოლიტსამმართველო მაშინ რევოლუციის მტრებს მარჯვედ და აუცდენლად ურტყამდა. სხვათა შორის, ეს თვისება მას დღემდე შერჩა. მას შემდეგ სახელმწიფო პოლიტსამმართველო არის რისხვა ბურჟუაზიისათვის, რევოლუციის ფხიზელი დარაჯი, პროლეტარიატის ამოწვდილი მახვილი.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუები სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსადმი იჩენენ მხეცურ სიძულვილს. არ არის ისეთი ლეგენდა, რომელსაც არ თხზავდნენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს შესახებ. არ არის ისეთი ცილისწამება, რომელსაც არ ავრ-

ცელებდნენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს შესახებ. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტსამმართველო მართებულად იცავს რევოლუციის ინტერესებს. რევოლუციის მოსისხლე მტრები ავად იხსენიებენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, — მაშასადამე, სახელმწიფო პოლიტსამმართველო მართებულად მოქმედებს.

მუშები კი სულ სხვანაირად უყურებენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს. მოიარეთ მუშათა უბნები და ჰკითხეთ მუშებს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს შესახებ. თქვენ დაინახავთ, რომ მუშები მას პატივისცემით ეპყრობიან. რატომ? იმიტომ, რომ მუშები მასში ხედავენ რევოლუციის ერთგულ დამცველს.

მე მესმის ბურჟუების სიძულვილი და უნდობლობა სახელმწიფო პოლიტსამმართველოსადმი. მე მესმის, როცა სხვადასხვა ბურჟუაზიული მოგზაურები, სსრ კავშირში ჩამოსვლისთანავე, პირველ ყოვლისა კითხულობენ — ცოცხალია თუ არა კიდევ სახელმწიფო პოლიტსამმართველო და ხომ არ დამდგარა დრო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ლიკვიდაციისათვისო. ყველაფერი ეს გასაგებია და არც არის გასაკვირველი.

მაგრამ მე არაფერი მესმის ზოგიერთი მუშა-დელეგატებისა, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოსვლის დროს შეშფოთებით კითხულობენ: ბევრი კონტრრევოლუციონერია დასჯილი სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიერ, კიდევ დასჯიან სხვადასხვა ტერორისტებს და პროლეტარული ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებს, ხომ არ დამდგარა დრო შეწყდეს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს არსებობაო?

საიდან გამომდინარეობს ზოგიერთი მუშა-დელეგატის ასეთი მზრუნველობა პროლეტარული რევოლუციის მტრე-

ბის მიმართ? რით უნდა აიხსნას ეს? როგორ შეიძლება დასაბუთდეს ეს?

ქადაგებენ მაქსიმალურ ლმობიერებას, გვირჩევენ მოვსპოთ სახელმწიფო პოლიტსამმართველო... მაგრამ განა გვაქვს იმის გარანტია, რომ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მოსპობის შემდეგ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები უარს იტყვიან შეთქმულთა, ტერორისტთა, ძირგამომთხრელთა, ცეცხლის წამკიდებელთა, ამფეთქებელთა კონტრრევოლუციური ჯგუფების შექმნასა და დაფინანსებაზე? რევოლუციის განიარაღება მაშინ, როდესაც არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ რევოლუციის მტრები განიარაღებული იქნებიან, — განა ეს სისულელე არ არის, განა ეს დანაშაული არ არის მუშათა კლასის წინაშე!

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გვსურს გავიმეოროთ პარიზის კომუნარების შეცდომები. პარიზის კომუნარები მეტისმეტად ლმობიერი იყვნენ ვერსალელების მიმართ, რისთვისაც თავის დროზე სავსებით მართებულად კიცხავდა მათ მარქსი. ხოლო თავისი ლმობიერებისათვის ისინი დაისაჯნენ იმით, რომ, როდესაც ტიერი პარიზში შევიდა, ვერსალელებმა ათეულათასობით მუშა დახვრიტეს.

ხომ არ ფიქრობენ ამხანაგები, რომ რუსი ბურჟუები და მემამულეები ნაკლებად სისხლისმსმელნი არიან, ვიდრე ვერსალელები საფრანგეთში? ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ვიცით, თუ როგორ უსწორდებოდნენ ისინი მუშებს, როდესაც მათ ფრანგ და ინგლისელ, იაპონელ და ამერიკელ ინტერვენციონისტებთან ერთად ეკავათ ციმბირი, უკრაინა, ჩრდილო-კავკასია.

მე ამით სრულებით არ მინდა იმის თქმა, თითქოს რევოლუციის სადამსჯელო ორგანოების შენახვას აუცილებლად გვიკარნახებდეს ჩვენი ქვეყნის შინაგანი მდგომარეობა. შინაგანი პირობების თვალსაზრისით რევოლუციის მდგომარეობა ისე მტკიცეა და ურყევი, რომ

შეიძლებოდა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს გარეშეც იოლად წავსულიყავით. მაგრამ საქმეც ის არის, რომ შინაური მტრები არ წარმოადგენენ ჩვენში იზოლირებულ ერთეულებს. საქმე ის არის, რომ ისინი ათასი ძაფით არიან დაკავშირებულნი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებთან, რომლებიც მათ დახმარებას უწევენ მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით. ჩვენი ქვეყანა გარშემორტყმულია კაპიტალისტური სახელმწიფოებით. ჩვენი რევოლუციის შინაური მტრები წარმოადგენენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტების აგენტურას. კაპიტალისტური სახელმწიფოები წარმოადგენენ ბაზას და ზურგს ჩვენი რევოლუციის შინაური მტრებისათვის. შინაურ მტრებს რომ ვეომებით, ჩვენ, მაშასადამე, ვაწარმოებთ ბრძოლას ყველა ქვეყნის კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ. ახლა თვითონ განსაჯეთ, შეგვიძლია თუ არა ასეთ პირობებში იოლად წავიდეთ დამსჯელი ორგანოების გარეშე, როგორიცაა სახელმწიფო პოლიტსამმართველო.

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გვსურს გავიმეოროთ პარიზის კომუნარების შეცდომები. სახელმწიფო პოლიტსამმართველო საჭიროა რევოლუციისათვის, და სახელმწიფო პოლიტსამმართველო იარსებებს ჩვენში პროლეტარიატის მტრების თავზარდასაცემად. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ერთი დელეგატთაგანი. ნება მომეცით, ამხ. სტალინ, აქ მყოფი დელეგატების სახელით მადლობა გადაგიხადოთ ახსნა-განმარტებისათვის და იმ სიცრუის გაფანტვისათვის, რომელსაც საზღვარგარეთ ავრცელებენ სსრ კავშირის შესახებ. შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, რომ ჩვენ შევძლებთ ვუამბოთ მუშებს ჩვენს სამშობლოში სიმართლე სსრ კავშირის შესახებ.

სტალინი. არ ღირს მადლობად, ამხანაგებო. მე მხოლოდ ვთვლი ჩემს თავს გიპასუხოთ კითხვებზე და ანგარიში ჩაგაბაროთ. ჩვენ, საბჭოთა მუშაკებს, მიგვაჩნია, რომ

ვალდებული ვართ ანგარიში ჩავაბაროთ ჩვენს კლასობრივ ძმებს ყველა კითხვაზე, რომლებზედაც კი ისინი მოისურვებენ ანგარიშის მიღებას. ჩვენი სახელმწიფო მსოფლიო პროლეტარიატის პირმშოა. ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწენი მხოლოდ თავიანთ მოვალეობას ასრულებენ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, როდესაც ანგარიშს აბარებენ მის წარმომადგენლებს. (ტ ა შ ი).

«პრავდა» №№ 260 და 261,
1927 წ. 13 და 15 ნოემბერი.

ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი

ოქტომბრის ათი წლისთავისათვის

ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რევოლუციად «ნაციონალურ ჩარჩოებში». იგი, უწინარეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, ვინაიდან ის ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ.

რევოლუციები წარსულში ჩვეულებრივ იმით თავდებოდა, რომ მმართველობის საჭესთან ექსპლოატატორთა ერთ ჯგუფს ცვლიდა ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფი. ექსპლოატატორები იცვლებოდნენ, ექსპლოატაცია რჩებოდა. ასე იყო მონების განმათავისუფლებელ. მოძრაობათა დროს. ასე იყო ყმების აჯანყებათა პერიოდში. ასე იყო ცნობილი «დიდი» რევოლუციების დროს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. მე არ ვლაპარაკობ პარიზის კომუნაზე, რომელიც იყო პროლეტარიატის პირველი, სახელოვანი, გმირული, მაგრამ მაინც წარუმატებელი ცდა — შეებრუნებინა ისტორია კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუცია ამ რევოლუციებისაგან **პრინციპულად** განსხვავდება. იგი თავის მიზნად ისახავს არა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას ექსპლოატაციის მეორე ფორმით, ექსპლოატატორთა ერთი ჯგუფისა — ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფით, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორული ჯგუფის მოსპობას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, დღემდე არსებულ ყველა ჩაგრულ კლასთა შორის ყველაზე რევოლუციური კლასის ძალაუფლების დამყარებას, ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციას.

სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის **გამარჯვება** ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებული მასების ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში.

ამაშია იმის საფუძველი, რომ ოქტომბრის რევოლუცია არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია.

ამაშივეა იმ ღრმა სიმპათიის ფესვები, რომელსაც გრძნობენ ოქტომბრის რევოლუციისადმი ყველა ქვეყნის ჩაგრული კლასები, რადგან მასში ხედავენ თავიანთი განთავისუფლების საწინდარს.

შეიძლებოდა აღგვენიშნა მთელი რიგი ძირითადი საკითხები, რომელთა ხაზითაც მიიმართება ოქტომბრის რევოლუციის ზემოქმედება რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე მთელ მსოფლიოში.

1. ოქტომბრის რევოლუცია შესანიშნავია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მან გაარღვია მსოფლიო იმპერია-

ლიზმის ფრონტი, დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზია ერთ-ერთ ყველაზე დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ხელისუფლების სათავეში დააყენა სოციალისტური პროლეტარიატი.

დაჩირავებულთა კლასი, დევნილთა კლასი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა კლასი კაცობრიობის ისტორიაში **პირველად** ამაღლდა **გაბატონებული** კლასის მდგომარეობამდე და თავისი მაგალითით აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ **დასაბამი მისცა** ახალ ეპოქას, **პროლეტარული** რევოლუციების ეპოქას **იმპერიალიზმის** ქვეყნებში.

მან ჩამოართვა წარმოების იარაღები და საშუალებანი მემამულეებსა და კაპიტალისტებს, გადააქცია ისინი საზოგადოებრივ საკუთრებად და, ამრიგად, დაუპირისპირა ბურჟუაზიულ საკუთრებას სოციალისტური საკუთრება. ამით მან ამხილა კაპიტალისტების სიცრუე იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული საკუთრება ხელუხლებელი, წმიდათა-წმიდა, მარადიულია.

მან ძალაუფლება გამოსტაცა ბურჟუაზიას, ჩამოართვა ბურჟუაზიას პოლიტიკური უფლებები, დაამსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, გადასცა ძალაუფლება საბჭოებს და, ამრიგად, დაუპირისპირა ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, როგორც **კაპიტალისტურ** დემოკრატიას, საბჭოების სოციალისტური ძალაუფლება, როგორც **პროლეტარული** დემოკრატია. ლაფარგი მართალი იყო, როდესაც იგი ჯერ კიდევ 1887 წელს ამბობდა, რომ რევოლუციის მეორე დღეს «ყველა ყოფილ კაპიტალისტს ჩამოერთმევა საარჩევნო უფლებები» [61].

ამით ოქტომბრის რევოლუციამ ამხილა სოციალ-დემოკრატების სიცრუე იმის შესახებ, რომ ახლა შესაძლებე-

ლია მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საშუალებითო.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია ამაზე არ შეჩერებულა და ვერც შეჩერდებოდა. დაამსხვრია რა ძველი, ბურჟუაზიული, მან დაიწყო ახალის, სოციალისტურის შენება. ოქტომბრის რევოლუციის ათი წელი არის პარტიის, პროფკავშირების, საბჭოების, კოოპერაციის, კულტურული ორგანიზაციების, ტრანსპორტის, მრეწველობის, წითელი არმიის მშენებლობის ათი წელი. სსრ კავშირში სოციალიზმის უეჭველმა წარმატებებმა მშენებლობის ფრონტზე თვალსაჩინოდ დაგვანახეს, რომ პროლეტარიატს **შეუძლია** წარმატებით მართოს ქვეყანა **უბურჟუაზიოდ** და ბურჟუაზიის **წინააღმდეგ,** რომ მას **შეუძლია** წარმატებით აშენოს მრეწველობა **უბურჟუაზიოდ** და ბურჟუაზიის **წინააღმდეგ,** რომ მას **შეუძლია** წარმატებით უხელმძღვანელოს მთელ სახალხო მეურნეობას **უბურჟუაზიოდ** და ბურჟუაზიის **წინააღმდეგ,** რომ მას **შეუძლია** წარმატებით აშენოს სოციალიზმი, კაპიტალისტური გარემოცვის მიუხედავად.

ძველი «თეორია» იმის შესახებ, რომ ექსპლოატირებულთ არ შეუძლიათ არსებობა უექსპლოატატორებოდ, ისე როგორც თავს და სხეულის სხვა ნაწილებს არ შეუძლიათ არსებობა უკუჭოდ, — არ არის მარტო ძველ ისტორიაში ცნობილი რომაელი სენატორის, მენენიუს აგრიპას კუთვნილება. ეს «თეორია» ახლა წარმოადგენს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური «ფილოსოფიის», განსაკუთრებით კი — იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან **კოალიციის** სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს «თეორია», რომელმაც ცრურწმენის ხასიათი მიიღო, წარმოადგენს ახლა ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარევოლუციურების გზაზე. ოქტომბრის რევოლუციის

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ყალბ «თეორიას».

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციის ამ და ამგვარ შედეგებს არ შეეძლოთ არ მოეხდინათ და არც შეუძლიათ არ მოახდინონ სერიოზული გავლენა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში?

ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, როგორიცაა კომუნიზმის უფრო და უფრო ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყველა ქვეყნის პროლეტარების სიმპათიის ზრდა სსრ კავშირის მუშათა კლასისადმი, დასასრულ, მუშათა დელეგაციების მოზღვავება საბჭოების ქვეყანაში, უდავოდ მეტყველებენ იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ გადასროლილი თესლი უკვე იწყებს ნაყოფის მოცემას.

2. ოქტომბრის რევოლუციამ შეარყია იმპერიალიზმი არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არა მარტო «მეტროპოლიებში». მან ლახვარი ჩასცა აგრეთვე იმპერიალიზმის ზურგს, მის პერიფერიებს, ძირი გამოუთხარა იმპერიალიზმის ბატონობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

დაამხო რა მემამულეები და კაპიტალისტები, ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილები და გაათავისუფლა მისგან უზარმაზარი სახელმწიფოს ყველა ჩაგრული ხალხი უკლებლივ. პროლეტარიატს არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი ისე, რომ არ გაათავისუფლოს ჩაგრული ხალხები. ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან სსრ კავშირში ეს ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციები ჩაატარა არა ნაციონალური მტრობისა და ერთა შორის შეტაკებათა დროშით, არამედ სსრ კავშირის ხალხთა მუშებისა და გლეხების ურთიერთნდობისა და ძმური დაახლოების დროშით, არა **ნაციონა-**

ლიზმის გულისათვის, არამედ **ინტერნაციონალიზმის** გულისათვის.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციები მოხდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და ინტერნაციონალიზმის დროშით, სწორედ ამიტომ ხალხნი-პარიები, ხალხნი-მონები კაცობრიობის ისტორიაში **პირველად** ამაღლდნენ **ნამდვილად** თავისუფალ და **ნამდვილად** თანასწორ ხალხთა მდგომარეობამდე და თავიანთი მაგალითით აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს.

ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ **დასაბამი მისცა** ახალ ეპოქას, **კოლონიური** რევოლუციების ეპოქას, რომლებიც მსოფლიოს **ჩაგრულ ქვეყნებში** ტარდება პროლეტარიატთან **კავშირით,** პროლეტარიატის **ხელმძღვანელობით.**

წინათ «მიღებული იყო» ეფიქრათ, რომ მსოფლიო იმთავითვე გაყოფილია დაბალ და მაღალ რასებად, შავებად და თეთრებად, რომელთაგან პირველნი მოკლებული არიან ცივილიზაციის უნარს და განწირული არიან საიმისოდ, რომ ექსპლოატაციის ობიექტი იყვნენ, ხოლო მეორენი წარმოადგენენ ცივილიზაციის ერთადერთ მატარებელთ, რომელნიც მოწოდებული არიან პირველთა ექსპლოატაციისათვის.

ახლა ეს ლეგენდა დამსხვრეულად და უკუგდებულად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ლეგენდას და საქმით დაგვანახა, რომ განთავისუფლებულ, საბჭოთა განვითარების ფერხულში ჩაბმულ, არაევროპელ ხალხებს შესწევთ უნარი წინ წასწიონ **ნამდვილად** მოწინავე კულტურა და **ნამდვილად** მოწინავე ცივილიზაცია ოდნავადაც არა ნაკლებ, ვიდრე ეს შეუძლიათ ევროპელ ხალხებს.

წინათ «მიღებული იყო» ეფიქრათ, რომ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ერთადერთი მეთოდია **ბურჟუაზიული ნაციონალიზმის** მეთოდი, ერების ერთიმეორისაგან ჩამოცილების მეთოდი, მათი გათიშვის მეთოდი, სხვადასხვა ერთა მშრომელ მასებს შორის ნაციონალური მტრობის გაძლიერების მეთოდი.

ახლა ეს ლეგენდა გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ლეგენდას და საქმით დაგვანახა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების **პროლეტარული, ინტერნაციონალური** მეთოდის, როგორც ერთადერთი სწორი მეთოდის, შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა, საქმით დაგვანახა **ნებაყოფლობისა** და **ინტერნაციონალიზმის** საფუძველზე სულ სხვადასხვა ხალხთა მუშებისა და გლეხების **ძმური კავშირის** შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა. არსებობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც არის პირველსახე ყველა ქვეყნის მშრომელთა მომავალი გაერთიანებისა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ამის პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ოქტომბრის რევოლუციის ამ და ამგვარ შედეგებს არ შეეძლოთ არ მოეხდინათ და არ შეუძლიათ არ მოახდინონ სერიოზული გავლენა რევოლუციურ მოძრაობაზე კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ისეთი ფაქტები, როგორიც არის ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში და ა. შ. და ამ ხალხთა სიმპათიების ზრდა სსრ კავშირისადმი, — უდავოდ მეტყველებენ ამას.

კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უშფოთველი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერამ **განვლო.**

დადგა ერა განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, ერა ამ ქვეყნების **პროლეტარიატის** გამოღვიძებისა, ერა მისი **ჰეგემონიისა** რევოლუციაში.

3. გადაისროლა რა რევოლუციის თესლი როგორც იმპერიალიზმის ცენტრებში, ისე მის ზურგში, დაასუსტა რა იმპერიალიზმის ძლიერება «მეტროპოლიებში» და შეარყია მისი ბატონობა კოლონიებში, — ოქტომბრის რევოლუციამ ამით კითხვის ქვეშ დააყენა **მთლიანად** მსოფლიო კაპიტალიზმის თვით არსებობა.

თუ კაპიტალიზმის სტიქიური განვითარება იმპერიალიზმის პირობებში, — მისი უთანაბრობის გამო, კონფლიქტებისა და საომარი შეტაკებების გარდუვალობის გამო, ბოლოს, უმაგალითო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გამო, — გადაიზარდა კაპიტალიზმის ლპობისა და კვდომის პროცესად, ოქტომბრის რევოლუციას და მასთან დაკავშირებულს უზარმაზარი ქვეყნის მოწყვეტას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემისაგან არ შეეძლოთ არ დაეჩქარებინათ ეს პროცესი, თანდათან არ დაერღვიათ მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლები.

უფრო მეტიც. ოქტომბრის რევოლუციამ, იმპერიალიზმის შერყევასთან ერთად, შექმნა პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის **მძლავრი** და აშკარა **ბაზა,** რომელიც ამ მოძრაობას **არასოდეს არა ჰქონია** წინათ და რომელზეც მას ახლა შეუძლია დაეყრდნოს. მან შექმნა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ის მძლავრი და აშკარა **ცენტრი,** რომელიც ამ მოძრაობას **არასოდეს არა ჰქონია** წინათ და რომლის ირგვლივ მას შეუძლია ახლა დაირაზმოს, მოაწყოს **ყველა ქვეყნის პროლეტართა და ჩაგრულ ხალხთა ერთიანი რევოლუციური ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.**

ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო კაპიტალიზმს მიაყენა მომაკვდინებელი ჭრილობა, რომლისგანაც იგი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ გამომრთელდება. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ «წონასწორობასა» და იმ «სიმყარეს», რაც მას ოქტომბრამდე ჰქონდა.

კაპიტალიზმს შეუძლია ნაწილობრივი სტაბილიზება, მას შეუძლია თავისი წარმოების რაციონალიზაცია, ქვეყნის მმართველობის გადაცემა ფაშიზმისათვის, მუშათა კლასის დროებით შებოჭვა, მაგრამ ის ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ «სიმშვიდესა» და იმ «რწმენას», იმ «წონასწორობასა» და იმ «სიმყარეს», რომლითაც მას თავი მოჰქონდა წინათ, ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი განვითარების ისეთ დონემდე მივიდა, როდესაც რევოლუციის ცეცხლმა აუცილებლად უნდა იფეთქოს ხან იმპერიალიზმის ცენტრებში, ხან პერიფერიაში, არარად აქციოს კაპიტალისტური დანაკერები და დღითი-დღე მოაახლოოს კაპიტალიზმის დაცემა. სწორედ ისე, როგორც ეს ცნობილ არაკშია: «კუდს ამოათრევ — ცხვირი ეფლობა, ცხვირს ამოათრევ — კუდი ეფლობა».

მეორეც, ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გარკვეულ სიმაღლეზე აიყვანა მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების ძალა და ხვედრითი წონა, სიმამაცე და საბრძოლო მზადყოფნა, აიძულა გაბატონებული კლასები ანგარიში გაუწიონ მათ, როგორც **ახალ**, სერიოზულ ფაქტორს. ახლა უკვე აღარ შეიძლება მსოფლიოს მშრომელ მასებს უყურონ როგორც «პრმა ბრბოს», რომელიც ხეტიალობს წყვდიადში და მოკლებულია პერსპექტივებს, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა მათთვის შუქურა, რომელიც უნათებს მათ გზას და აძლევს პერსპექტივებს. თუ წინათ

არ ყოფილა **საქვეყნო** აშკარა ფორუმი, საიდანაც შეიძლებოდა ჩაგრული კლასების ზრახვათა და მისწრაფებათა დემონსტრირება და გაფორმება, ახლა ასეთი ფორუმი არსებობს პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით.

არა მგონია შეიძლებოდეს იმაში დაეჭვება, რომ ამ ფორუმის მოსპობა დიდი ხნით დაფარავდა «მოწინავე ქვეყნების» საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას თავშეუკავებელი შავი რეაქციის წყვდიადით. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თვით «ბოლშევიკური სახელმწიფოს» არსებობის უბრალო ფაქტი ლაგამს სდებს რეაქციის შავბნელ ძალებს და უადვილებს ჩაგრულ კლასებს თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლას. სწორედ ამით აიხსნება ის მხეცური სიძულვილი, რომელსაც გრძნობენ ყველა ქვეყნის ექსპლოატატორები ბოლშევიკებისადმი.

ისტორია მეორდება, თუმცა ახალ საფუძველზე. როგორც წინათ, **ფეოდალიზმის** დაცემის პერიოდში, სიტყვა «იაკობინელი» საზარელ შიშსა და ზიზღს ჰგვრიდა ყველა ქვეყნის არისტოკრატებს, ისე ახლაც, **კაპიტალიზმის** დაცემის პერიოდში, სიტყვა «ბოლშევიკი» საზარელ შიშსა და ზიზღს ჰგვრის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას. და, პირიქით, როგორც წინათ პარიზი იყო თავშესაფარი და სკოლა ზეაღმავალი **ბურჟუაზიის** რევოლუციური წარმომადგენლებისათვის, ისე ახლა მოსკოვი არის თავშესაფარი და სკოლა ზეაღმავალი **პროლეტარიატის** რევოლუციური წარმომადგენლებისათვის. იაკობინელებისადმი სიძულვილმა ვერ იხსნა ფეოდალიზმი დაღუპვისაგან. განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ ბოლშევიკებისადმი სიძულვილი ვერ იხსნის კაპიტალიზმს მისი გარდუვალი დაღუპვისაგან?

კაპიტალიზმის «სიმყარის» ერამ **განვლო** და თან წაიღო ბურჟუაზიული წესწყობილების ურყევლობის ლეგენდა. **დადგა** კაპიტალიზმის დამსხვრევის ერა.

4. ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციად მხოლოდ ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში. იგი ამასთან ერთად არის რევოლუცია აზროვნებაში, რევოლუცია მუშათა კლასის იდეოლოგიაში. ოქტომბრის რევოლუცია იშვა და განმტკიცდა მარქსიზმის დროშის ქვეშ, პროლეტარიატის დიქტატურის იდეის დროშის ქვეშ, ლენინიზმის დროშის ქვეშ, ლენინიზმისა, რომელიც არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. ამიტომ იგი მოასწავებს მარქსიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე, ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე, III ინტერნაციონალის გამარჯვებას II ინტერნაციონალზე.

ოქტომბრის რევოლუციამ გაუვალი კვალი გაავლო მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიზმს შორის, ლენინიზმის პოლიტიკასა და სოციალ-დემოკრატიზმის პოლიტიკას შორის.

წინათ, **პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე,** სოციალ-დემოკრატიას შეეძლო კოხტაობა მარქსიზმის დროშით ისე, რომ არ უარეყო აშკარად პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, მაგრამ არც არაფერი გაეკეთებინა, აბსოლუტურად არაფერი იმისათვის, რომ მოეახლოებინა ამ იდეის განხორციელება, ამასთან გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთი მოქმედება არ ქმნიდა არავითარ საფრთხეს კაპიტალიზმისათვის. მაშინ, იმ პერიოდში, სოციალ-დემოკრატია ფორმალურად შეერთებული, ან თითქმის შეერთებული იყო მარქსიზმთან.

ახლა, **პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ,** როდესაც ყველამ თვალნათლივ დაინახა, **საითკენ** მივყავართ მარქსიზმს და **რას** შეიძლება ნიშნავდეს მისი გამარჯვება, სოციალ-დემოკრატიას უკვე აღარ შეუძლია მარქსიზმის დროშით კოხტაობა, აღარ შეუძლია პროლეტა-

რიატის დიქტატურის იდეასთან კეკლუცობა ისე, რომ არ შექმნას ერთგვარი საფრთხე კაპიტალიზმისათვის. სოციალ-დემოკრატია, რაკი მან დიდი ხანია კავშირი გაწყვიტა მარქსიზმის სულთან, იძულებული შეიქნა გაეწყვიტა კავშირი მარქსიზმის დროშასთანაც, აშკარად და გარკვეულად დადგა მარქსიზმის პირმშოს წინააღმდეგ, ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ, მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ.

ახლა ის უნდა გამოჯნოდა, და ნამდვილადაც გაემიჯნა, მარქსიზმს, ვინაიდან ახლანდელ პირობებში არ შეიძლება მარქსისტი უწოდო თავს, თუ აშკარად და თავდადებით არ უჭერ მხარს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურას, თუ არ აწარმოებ რევოლუციურ ბრძოლას საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თუ არ ჰქმნი პირობებს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის შენს საკუთარ ქვეყანაში.

სოციალ-დემოკრატიასა და მარქსიზმს შორის უფსკრული გაითხარა. ამიერიდან მარქსიზმის **ერთადერთი** მატარებელი და ბურჯი არის ლენინიზმი, კომუნიზმი.

მაგრამ საქმე ამით არ განსაზღვრულა. გამოჯნა რა სოციალ-დემოკრატია მარქსიზმისაგან, ოქტომბრის რევოლუცია უფრო შორს წავიდა, — მან გადაისროლა სოციალ-დემოკრატია კაპიტალიზმის პირდაპირ დამცველთა, მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის **წინააღმდეგ** მებრძოლთა ბანაკში. როდესაც ბატონი ადლერები და ბაუერები, ველსები და ლევები, ლონგეები და ბლიუმები ლანძღავენ «საბჭოთა რეჟიმს» და ხოტბას ასხამენ პარლამენტურ «დემოკრატიას», ამით მათ იმის თქმა სურთ, რომ ისინი იბრძვიან და იბრძოლებენ სსრ კავშირში კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენის **გულისათვის,** «ცივილიზებულ» სახელმწიფოებში კაპიტალისტური მონობის შენარჩუნების **გულისათვის.**

ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი კაპიტალიზმის **იდეური დასაყრდენია.** ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკოსები არიან **«ბურჟუაზიის** ნამდვილი **აგენტები მუშათა** მოძრაობაში, კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები», რომ «სამოქალაქო ომში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის» ისინი აუცილებლად დადგებიან ««ვერსალელთა» მხარეზე «კომუნარების» წინააღმდეგ» [62].

შეუძლებელია ბოლო მოუღო კაპიტალიზმს, თუ ბოლო არ მოუღე სოციალ-დემოკრატიზმს მუშათა მოძრაობაში. ამიტომ კაპიტალიზმის კვდომის ერა ამასთან ერთად არის მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიზმის კვდომის ერა.

ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოასწავებს ლენინიზმის გარდუვალ გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

მუშათა მოძრაობაში II ინტერნაციონალისა და სოციალ-დემოკრატიზმის ბატონობის ერა **დამთავრდა.**

დადგა ლენინიზმისა და III ინტერნაციონალის ბატონობის ერა.

«პრავდა» № 255,
1927 წ. 6 — 7 ნოემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მოსკოვის სამხედრო ოლქის პარტიულ კონფერენციას [63]

ძმური სალამი თქვენ, ამხანაგებო! გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს მუშაობაში. გაუმარჯოს ჩვენს საბელოვან წითელ არმიას!

ი. სტალინი

გაზეთი «კრასნაია ზვეზდა»
№ 263, 1927 წ. 18 ნოემბერი.

პარტია და ოპოზიცია

სიტყვა მოსკოვის XVI საგუბერნიო პარტკონფერენციაზე [64]

1927 წ. 23 ნოემბერი

ამხანაგებო! ნება მომეცით მოკლედ შევაჯამო ის ბრძოლა პარტიასა და ოპოზიციას შორის, ის დისკუსია, რომელიც გაჩაღებული იყო ამ უკანასკნელი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში როგორც პარტიის შიგნით, ისე — და ეს პირდაპირ უნდა ითქვას — პარტიის გარეთაც.

I

დისკუსიის მოკლე შედეგები

არის ასეთი ციფრობრივი შედეგები: დღეისათვის პარტიის სასარგებლოდ, მისი ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ აზრი გამოთქვა 572 ათასზე მეტმა ამხანაგმა; ოპოზიციის სასარგებლოდ — 3 ათასზე მეტმა.

ოპოზიციას ჩვეულებრივ უყვარს დაიკვეხნოს ციფრებით, პროცენტებით, — ჩვენ 99 პროცენტი გვიჭერს მხარსო და სხვა. ახლა ყველა ხედავს, რომ 99 პროცენტზე მეტი გამოვიდა ოპოზიციის წინააღმდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ.

ვინ არის ამაში «დამნაშავე»? თვითონვე ოპოზიცია! ოპოზიცია წამდაუწუმ გვიბიძგებდა დისკუსიისაკენ. აი

უკვე ორი წელია, რაც იგი დღემუდამ ახალ მოთხოვნას აყენებს დისკუსიის შესახებ. ჩვენ ვაკავებდით ამ მოწოლას, ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვაკავებდით ამ მოწოლას, რადგან ვიცით, რომ ჩვენი პარტია არ წარმოადგენს სადისკუსიო კლუბს, როგორც სავსებით მართებულად ამბობდა ლენინი, ვიცით, რომ ჩვენი პარტია არის პროლეტარიატის მებრძოლი პარტია, რომელიც გარემოცულია მტრებით, რომელიც აშენებს სოციალიზმს, რომელსაც აქვს შემოქმედებითი მოღვაწეობის უამრავი პრაქტიკული ამოცანები და, ამის გამო, არ შეუძლია მთელი თავისი ყურადღება ყოველთვის მიაპყროს პარტიის შიგნით არსებულ უთანხმოებებს.

მაგრამ დისკუსიის დრო მოახლოვდა, და XV ყრილობამდე ერთი თვით ადრე, თვეზე მეტი ხნით ადრეც, პარტიის წესდების თანახმად, პარტიამ თქვა: კარგი, თქვენ დისკუსია გსურთ, თქვენ ბრძოლას მოითხოვთ — დაე იყოს ბრძოლა! და აი შედეგი: 99 პროცენტზე მეტი პარტიის სასარგებლოდ, მისი ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ, 1 პროცენტზე ნაკლები — ოპოზიციის სასარგებლოდ.

ოპოზიციის ტრაბახი მხილებულია, ასე ვთქვათ, 100 პროცენტით.

შეუძლიათ თქვან, რომ ეს შედეგი არ შეიძლება გადამწყვეტად ჩაითვალოს. შეუძლიათ თქვან, რომ გარდა პარტიისა არის კიდევ მუშათა კლასი, გლეხობის მშრომელი მასები. შეუძლიათ თქვან, რომ აქ, ამ დარგში, შედეგი ჯერ კიდევ არ არის შეჯამებულიო. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო! შედეგი შეჯამებულია ამ დარგშიც.

მაშ რა არის 7 ნოემბრის დემონსტრაცია, შემდგარი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და დაბაში? განა ეს არ არის მუშათა კლასის, გლეხობის მშრომელი ფენების, წითელი არმიის, წითელი ფლოტის უდიდესი დემონსტრა-

ცია ჩვენი პარტიის სასარგებლოდ, მთავრობის სასარგებლოდ, ოპოზიციის წინააღმდეგ, ტროცკიზმის წინააღმდეგ?

განა ის სკანდალი, რომელიც თავს დაიტეხა ოპოზიციამ ოქტომბრის ათი წლისთავზე, განა ის ერთსულოვნება, რომლითაც მიესალმნენ ამ დღეს მილიონობით მშრომელნი პარტიასა და მთავრობას, განა ყოველივე ეს არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ არა მარტო პარტია, არამედ მუშების კლასიც, არა მარტო მუშათა კლასი, არამედ გლეხობის მშრომელი ფენებიც, არა მარტო გლეხობის მშრომელი ფენები, არამედ მთელი არმიაც, მთელი ფლოტიც თავგამოდებით უჭერენ მხარს პარტიას, მთავრობას, ილაშქრებენ ოპოზიციის წინააღმდეგ, დეზორგანიზატორების წინააღმღეგ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

კიდევ რა შედეგები გინდათ?

აი, ამხანაგებო, მოკლე შედეგი იმ ბრძოლისა პარტიასა და ოპოზიციას შორის, ბოლშევიკებსა და ოპოზიციას შორის, რომელიც გაჩაღდა პარტიის შიგნით და შემდეგ თვით ოპოზიციის მიზეზით გასცილდა პარტიის ფარგლებს.

რით აიხსნება ოპოზიციის ასეთი სკანდალური დამარცხება? ხომ არასოდეს არც ერთ ოპოზიციას ჩვენი პარტიის ისტორიაში, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება აიღეს, არასოდეს არ განუცდია ასეთი სკანდალური მარცხი.

ჩვენ ვიცით, რომ იყო ტროცკისტების ოპოზიცია ბრესტის ზავის პერიოდში. მაშინ მას მხარს უჭერდა პარტიის ერთ მეოთხედამდე.

ჩვენ ვიცით, რომ იყო ტროცკისტების ოპოზიცია 1921 წელს, პროფკავშირული დისკუსიის დროს. მაშინ მას მხარს უჭერდა პარტიის მერვედ ნაწილამდე.

ჩვენ ვიცით, რომ იყო ოპოზიცია, ეგრეთწოდებული «ახალი ოპოზიცია», ზინოვიევ-კამენევის ოპოზიცია, XIV

ყრილობაზე. მაშინ მას მხარს უჭერდა ლენინგრადის მთელი დელეგაცია.

ახლა კი? ახლა ოპოზიცია იზოლირებულია ისე, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა იზოლირებული. ახლა მას საეჭვოა ეყოლოს თუნდაც ერთი დელეგატი XV პარტიულ ყრილობაზე. (ხანგრძლივი ტაში).

ოპოზიციის მარცხი აიხსნება მისი სრული მოწყვეტილობით პარტიისაგან, მუშათა კლასისაგან, რევოლუციისაგან. ოპოზიცია აღმოჩნდა ცხოვრებისაგან მოწყვეტილთა პაწაწა ჯგუფი, რევოლუციისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტების პაწაწა ჯგუფი, — აი სად არის ოპოზიციის სკანდალური მარცხის ფესვი.

ავიღოთ შესამოწმებლად ორი თუ სამი საკითხი იმ საკითხთა რიცხვიდან, რომელნიც ყოფენ ოპოზიციას პარტიისაგან.

II

მუშათა კლასი და გლეხობა

მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი არის პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი საკითხი, ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხი. ის ამბობდა:

«10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (თუნდაც რომ მოაგვიანდეთ პროლეტარულ რევოლუციებს, რომლებიც მწიფდება)» [85].

ხოლო რა არის სწორი ურთიერთობა გლეხობასთან? ლენინს გლეხობასთან სწორ ურთიერთობად ესმოდა «მტკიცე კავშირის» დამყარება საშუალო გლეხთან ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით.

მერე როგორ უყურებს ოპოზიცია ამ საკითხს? იგი არა თუ არ უფრთხილდება მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან, მას არა თუ არ ესმის ასეთი კავშირის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რევოლუციის განვითარებისათვის, არამედ იგი «უფრო შორს» მიდის და გვთავაზობს ისეთ პოლიტიკას, რომელსაც არ შეიძლება არ მოჰყვეს გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტა, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირისათვის ძირის გამოთხრა.

შორს რომ არ წავიდეთ, შემიძლია მივუთითო პრეობრაჟენსკიზე, ოპოზიციის მთავარ ეკონომისტზე, რომელიც გლეხობას განიხილავს, როგორც «კოლონიას» ჩვენი მრეწველობისათვის, როგორც ობიექტს, რომლის ყოველნაირი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს.

შემდეგ, შემიძლია მივუთითო ოპოზიციის მთელ რიგ დოკუმენტებზე, რომლებიც საჭიროდ ცნობენ სამრეწველო საქონლის ფასების მომატებას, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს ჩვენი მრეწველობის დაუძლურება, კულაკის გაძლიერება, საშუალო გლეხის გაჩანაგება და კულაკების მიერ ღარიბი გლეხობის დამონება.

ოპოზიციის ყველა ეს და მსგავსი დოკუმენტები შემადგენელი ნაწილია ოპოზიციის პოლიტიკისა, რომლის მიზანია კავშირის გაწყვეტა გლეხობასთან, კავშირის გაწყვეტა საშუალო გლეხობის მასებთან.

ნათქვამია თუ არა ამაზე რაიმე ოპოზიციის «პლატფორმაში» ან კონტრთეზისებში პირდაპირ და აშკარად? არა, არ არის ნათქვამი. ოპოზიციის «პლატფორმასა» და კონტრთეზისებში ყოველივე ეს გულდასმით მიმალული და მიჩქმალულია. პირიქით, ოპოზიციის «პლატფორმაში» და კონტრთეზისებში თქვენ იპოვით ათასობით კომპლიმენტს საშუალო გლეხის მიმართაც და ღარიბი გლეხობის მიმართაც. გარდა ამისა, იქ არის გამოლაშქრება პარტიის წინააღმდეგ ვითომდა კულაკური გადახრის გამო. მაგრამ იქ არაფერი,

სრულიად არაფერია ნათქვამი პირდაპირ და აშკარად ოპოზიციის იმ დამღუპველ ხაზზე, რასაც შედეგად მოსდევს და არც შეიძლება არ მოსდევდეს მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტა გლეხობასთან.

მაგრამ ის, რასაც ასე გულმოდგინედ უმალავენ მუშებსა და გლეხებს ოპოზიციის ლიდერები, მე შევეცდები ახლა დღის სინათლეზე გამოვიტანო და გადაგიშალოთ, რათა შემდეგში ოპოზიციას დაეკარგოს პარტიის მოტყუების ხალისი. მე მხედველობაში მაქვს ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვის მიერ ამას წინათ როგოჟკი-სიმონოვის პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა. სმირნოვი, ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აღმოჩნდა ერთი იმ მცირერიცხოვანი პატიოსანი ოპოზიციონერთაგანი, რომელთაც აღმოაჩნდათ მამაცობა და სიმართლე თქვეს ოპოზიციის ხაზის შესახებ. თქვენ გსურთ იცოდეთ, თუ როგორია ოპოზიციის ნამდვილი «პლატფორმა» პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე? წაიკითხეთ სმირნოვის სიტყვა და შეისწავლეთ იგი, ვინაიდან სმირნოვის სიტყვა ოპოზიციის ერთი იმ იშვიათი დოკუმენტთაგანია, რომელნიც მთელ სიმართლეს ამბობენ ჩვენი ოპოზიციონერების ნამდვილი პოზიციის შესახებ.

აი რას ამბობს სმირნოვი თავის სიტყვაში:

«ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა ისე გადავსინჯოთ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, რათა ჩვენი ხუთმილიარდიანი ბიუჯეტიდან მეტი ნაწილი მრეწველობის ხაზით წარიმართოს, რადგან **უმჯობესია საშუალო გლეხთან განხეთქილებას შევურიგდეთ, ვიდრე გარდუვალი დაღუპვისაკენ წავიდეთ**».

აი ის ძირითადი ყოველივე იქიდან, რაც თავის «პლატფორმაში» და კონტრთეზისებში დამალეს ოპოზიციის ლიდერებმა და რაც კეთილსინდისიერად გამოიტანა დღის სი-

ნათლეზე სმირნოვმა, აგრეთვე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა.

მაშასადამე, არა მტკიცე **კავშირი** საშუალო გლეხთან, არამედ **განხეთქილება** საშუალო გლეხთან, — აი, თურმე, რევოლუციის «ხსნის» საშუალება.

ლენინი ამბობდა, რომ «დიქტატურის უმაღლესი პრინციპია გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის უზრუნველყოფა, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება» [66].

ხოლო ოპოზიცია არ ეთანხმება ამას და ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურისათვის მნიშვნელობა აქვს არა კავშირს გლეხობასთან, გლეხობის ძირითად მასებთან, არამედ განხეთქილებას მათთან.

ლენინი ამბობდა — და არა მარტო ამბობდა, არამედ დაუღალავად იმეორებდა პარტიის VIII ყრილობიდან მოყოლებული, — რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობა შეუძლებელია ისე, თუ არ გვექნება «მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან» [67].

ხოლო ოპოზიცია არ ეთანხმება ამას და ამტკიცებს, რომ საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა შეიძლება მასთან განხეთქილების პოლიტიკით შეიცვალოს.

ლენინი ამბობდა, სოციალიზმს რომ ვაშენებთ, ჩვენ გლეხობის ძირითად მასებთან ერთად უნდა ვიაროთ წინო.

ხოლო ოპოზიცია არ ეთანხმება ამას და ამტკიცებს, რომ უნდა ვიაროთ წინ არა გლეხობასთან ერთად, არამედ მასთან განხეთქილების პირობებში.

აი რაში მდგომარეობს ძირითადი უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის კარდინალურ საკითხში — მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში.

ოპოზიცია შეეცადა დაემალა თავის «პლატფორმაში» თავისი ნამდვილი ფიზიონომია, რისთვისაც კომპლიმენტებით უმასპინძლდება გლეხობას და თვალთმაქცურად ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგ კულაკური გადახრის გამო. ხოლო სმირნოვს ძირეული შესწორება შეაქვს ოპოზიციის «პლატფორმაში», — ის ნიღაბს ხდის ოპოზიციის ლიდერებს და სიმართლეს აუწყებს პარტიას ოპოზიციის შესახებ, სიმართლეს ოპოზიციის **ნამდვილი** პლატფორმის შესახებ.

რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის ის, რომ ოპოზიციის «პლატფორმა» და კონტრთეზისები ფარატინა ქაღალდია, რომლის დანიშნულებაა პარტიისა და მუშათა კლასის მოტყუება.

ხოლო რას ნიშნავს საშუალო გლეხთან განხეთქილების პოლიტიკა? საშუალო გლეხთან განხეთქილების პოლიტიკა არის გლეხობის უმრავლესობასთან განხეთქილების პოლიტიკა, ვინაიდან საშუალო გლეხები მთელი გლეხობის სულ ცოტა 60 პროცენტს შეადგენენ. სწორედ ამიტომ საშუალო გლეხთან განხეთქილების პოლიტიკა იწვევს გლეხობის უმრავლესობის უკუგდებას კულაკებისაკენ. ხოლო კულაკებისაკენ გლეხობის უმრავლესობის უკუგდების პოლიტიკა ნიშნავს კულაკობის გაძლიერებას, ღარიბი გლეხობის იზოლაციას, საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებას სოფლად და კულაკობის მხრივ ღარიბი გლეხობის ჩახრჩობის საქმის გაადვილებას.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. გლეხობის უმრავლესობასთან განხეთქილების პოლიტიკის გატარება იმას ნიშნავს, რომ ატეხო სამოქალაქო ომი სოფლად, გააძნელო ჩვენი მრეწველობის მომარაგება გლეხური ნედლეულით (ბამბა, ჭარხალი, სელი, ტყავი, მატყლი და ა. შ.), არივდარიო მუშათა კლასის მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, თვით საფუძვლები გამოუთხარო ჩვენს მსუბუქ ინ-

დუსტრიას, ჩაშალო მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა, ჩაშალო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მთელი ჩვენი გეგმა.

აი როგორ შეტრიალდება საქმე, ამხანაგებო, თუ მხედველობაში ვიქონიეთ არა ოპოზიციის ცარიელი განცხადებანი, გაკეთებული მის «პლატფორმასა» და კონტრთეზისებში, არამედ ოპოზიციის ნამდვილი პოლიტიკა, რაც ავტორიტეტულად განგვიმარტა ჩვენ სმირნოვმა.

მე შორსა ვარ იმისაგან, რომ ბრალად დავდო ოპოზიციას შეგნებული მისწრაფება ყველა ამ უბედურებისაკენ. მაგრამ აქ საქმე ოპოზიციის სურვილები და მისწრაფებანი როდია. საქმე ის შედეგებია, რომლებიც გარდუვალად უნდა მოჰყვეს საშუალო გლეხობასთან განხეთქილების ოპოზიციურ პოლიტიკას.

ოპოზიციას აქ იგივე ემართება, რაც მოუვიდა დათვს კრილოვის იგავში «მეუდაბნოე და დათვი». (ს ი ც ი ლ ი). თავისთავად ცხადია, რომ დათვს, რომელმაც ქვით თავი გაუჭეჭყა თავის მეგობარ მეუდაბნოეს, უნდოდა ეხსნა ის აბეზარი ბუზისაგან. მას მეტისმეტად მეგობრული სურვილები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, დათვის მეგობრული სურვილებიდან სრულიად არა მეგობრული მოქმედება გამოვიდა, რის შედეგადაც მეუდაბნოე სიცოცხლეს გამოესალმა. ოპოზიციას, რა თქმა უნდა, ყოველგვარი სიკეთე სურს რევოლუციისათვის. მაგრამ ის ამისათვის ისეთ საშუალებებს გვთავაზობს, რომლებსაც უნდა მოჰყვეს რევოლუციის განადგურება, მუშათა კლასისა და გლეხობის განადგურება, მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ჩაშლა.

ოპოზიციის «პლატფორმა» არის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩაშლის პლატფორმა, მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ჩაშლის პლატფორმა, ინდუსტრიალიზაციის საქმის ჩაშლის პლატფორმა.

III

პარტია და პროლეტარიატის დიქტატურა

პარტიის საკითხი.

ლენინი ამბობს, რომ პარტიის ერთიანობა და რკინისებური დისციპლინა არის პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველი. ოპოზიცია საქმით ამის საპირდაპირო შეხედულებებს ადგას. იგი ფიქრობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურისათვის საჭიროა არა პარტიის ერთიანობა და რკინისებური დისციპლინა, არამედ პარტიის ერთიანობისა და დისციპლინის დარღვევა, პარტიის გათიშვა, მეორე პარტიის შექმნა. მართალია, ოპოზიცია ლაპარაკობს და წერს, წერს და ლაპარაკობს, და არა მარტო ლაპარაკობს, არამედ ღრიალებს პარტიის ერთიანობის შესახებ. მაგრამ ოპოზიციის ლაპარაკი პარტიის ერთიანობის შესახებ არის თვალთმაქცური ლაყბობა, რომლის მიზანია პარტიის მოტყუება. (ტაში).

ვინაიდან, როცა ოპოზიცია ლაპარაკობს და გაჰყვირის ერთიანობაზე, იგი ამასთან ერთად ქმნის ახალ, ანტილენინურ პარტიას. და არა მარტო ქმნის. მან უკვე შექმნა იგი, როგორც ამას მოწმობენ ნამდვილი დოკუმენტები, როგორიცაა სიტყვები კუზოვნიკოვისა, ზოფისა და რენოსი, რომლებიც წინათ ოპოზიციონერები იყვნენ.

ახლა ჩვენ გვაქვს ამომწურავი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ოპოზიციას აი უკვე მეორე წელია ჰყავს თავისი ანტილენინური პარტია, თავისი ცენტრალური კომიტეტით, საოლქო ბიუროებით, საგუბერნიო ბიუროებით და ა. შ. რა შეუძლია დაუპირისპიროს ოპოზიციამ ამ ფაქტებს, გარდა ყალბი ლაყბობისა ერთიანობის შესახებ?

ოპოზიცია გაჰყვირის, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვერ შესძლებს უბიძგოს მას მეორე პარტიის პოზიციისაკენო.

უცნაურია! განა როდისმე ცენტრალური კომიტეტი უბიძგებდა ოპოზიციას ასეთი პოზიციისაკენ? განა ფაქტი არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტი მუდამ აკავებდა ოპოზიციას მეორე პარტიის შექმნის ხაზისაკენ დაქანებისაგან?

ჩვენი ამ ორი წლის უთანხმოების მთელი ისტორია არის ისტორია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცდებისა — შეაკავოს ოპოზიცია გამთიშველი ნაბიჯებისაგან და შეუნარჩუნოს პარტიას ოპოზიციაში მყოფი ადამიანები.

აიღეთ ოპოზიციის 1926 წლის 16 ოქტომბრის ცნობილი «განცხადების» ისტორია. განა ეს არ არის ცენტრალური კომიტეტის ცდა — შეაკავოს ოპოზიცია პარტიის ფარგლებში?

აიღეთ ოპოზიციის 1927 წლის 8 აგვისტოს მეორე «განცხადება». რას მოწმობს იგი, თუ არა იმას, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ ზრუნავდა, რათა ოპოზიცია ერთიანი პარტიის ფარგლებში შეეკავებინა?

და მერე? ოპოზიცია იძლეოდა განცხადებებს ერთიანობის შესახებ, დაპირებებს ერთიანობის შესახებ, სიტყვას ფრაქციულობის მოსპობის შესახებ, ხოლო ნამდვილად განაგრძობდა მეორე პარტიის შექმნას.

რას გვეუბნება ყოველივე ეს? იმას, რომ ოპოზიციას ზეპირად არ დაეჯერება. იმას, რომ ოპოზიცია უნდა შეფასდეს არა მისი «პლატფორმებისა» და კონტრთეზისების მიხედვით, არამედ მისი საქმეების მიხედვით.

ლენინი ამბობდა: ისწავლეთ ჯგუფების, მიმდინარეობების, პარტიების შემოწმება არა მათი დაპირებებისა და «პლატფორმების» მიხედვით, არამედ მათი საქმეების მიხედვით. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვიაროთ ლენინის გზით და შევამოწმოთ ოპოზიცია არა ფარატინა ქაღალდებისა და «პლატფორმების» მიხედვით, რომლებსაც ის თხზავს, არამედ მისი საქმეების მიხედვით.

როცა ოპოზიცია «პლატფორმებსა» და კონტრთეზისებს წერს და პარტიის ერთიანობის შესახებ ღრიალებს, ეს არის პარტიის მოტყუება, ეს არის ფარისევლობა, ეს არის ცარიელი **სიტყვები.** ხოლო როცა ოპოზიცია აშენებს ახალ პარტიას, ქმნის თავის ცენტრალურ კომიტეტს, აწყობს საოლქო ბიუროებს და ა. შ., რითაც ძირს უთხრის ჩვენი პარტიის ერთიანობას და პროლეტარულ დისციპლინას, — ეს არის ოპოზიციის **საქმეები,** მისი შავბნელი **საქმეები.**

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ოპოზიციამ უკვე შესძლო შეექმნა ნამდვილი პარტიის მსგავსი რამ. არა, მან ეს ვერ შესძლო და ვერასოდეს ვერ შესძლებს. ვერ შესძლებს, რადგან მუშათა კლასი ოპოზიციის წინააღმდეგია. ცდილობს რა ახალი პარტიის, მეორე პარტიის შექმნას, ოპოზიცია, არსებითად, ეწევა პარტიობანას ბავშვურ თამაშს, ცენტრალური კომიტეტის, საოლქო ბიუროებისა და სხვათა შეკოწიწების ბავშვურ თამაშს. დამარცხებულნი და შერცხვენილნი, ისინი თავს იმით ინუგეშებენ, რომ ერთობიან პარტიობანას თამაშით, ცენტრალური კომიტეტის შეკოწიწების თამაშით, საოლქო ბიუროების შეკოწიწების თამაშით და ა. შ. (სიცილი. ტაში).

მაგრამ, ამხანაგებო, თამაშიც არის და თამაშიც. როცა ოპოზიცია პარტიობანას თამაშობს, ამან შეიძლება მხოლოდ სიცილი გამოიწვიოს, ვინაიდან პარტიისათვის ეს თამაში, გარდა სასაცილო გართობისა, სხვას არაფერს წარმოადგენს.

მაგრამ ჩვენ მარტო პარტიასთან როდი გვაქვს საქმე. ჩვენში არიან კიდევ კლასები, ჩვენში არიან ანტისაბჭოთა ელემენტები. და ეს ანტისაბჭოთა ელემენტები თვალყურს ადევნებენ ოპოზიციის თამაშს, სწავლობენ მისგან პარტიასთან ბრძოლას, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას, ჩვენს რევოლუციასთან ბრძოლას. ამ ელემენტებისათვის ოპოზიციის პარტიობანას თამაში, ოპოზიციის გამოლაშქრება პარ-

ტიის წინააღმდეგ, ოპოზიციის ანტისაბჭოთა გამოხდომანი წარმოადგენენ ერთგვარ სკოლას, ერთგვარ მოსამზადებელ სკოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, კონტრრევოლუციის ძალებისათვის ხელ-ფეხის გასახსნელად.

ტყუილად კი არ არის, რომ ოპოზიციას გარს ეხვევიან ყოველგვარი ანტისაბჭოთა ელემენტები. აი რაშია ოპოზიციის მიერ პარტიობანას თამაშის საშიშროება. და სწორედ იმიტომ, რომ აქ არის სერიოზული საშიშროება, — სწორედ ამიტომ პარტიას არ შეუძლია გულგრილად უყუროს ოპოზიციის ანტისაბჭოთა ვარჯიშობას, სწორედ ამიტომ ძირშივე უნდა აღკვეთოს მან ეს ვარჯიშობა.

მუშათა კლასს კი არ შეუძლია არ ხედავდეს ოპოზიციის ამ ანტიპარტიული თამაშის მთელ საშიშროებას. ოპოზიციისათვის პარტია ჭადრაკის დაფაა. როდესაც პარტიის წინააღმდეგ იბრძვის, ოპოზიცია ამა თუ იმ საჭადრაკო სვლას აკეთებს. იგი დღეს შემოდის განცხადებით ფრაქციულობის მოსპობის შესახებ. ხვალ იგი მიაფურთხებს თავისსავე საკუთარ განცხადებას. ზეგ იგი გამოდის ახალი განცხადებით, რათა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიაფურთხოს თავისსავე საკუთარ განცხადებას. ოპოზიციისათვის ეს საჭადრაკო სვლებია. ისინი მოთამაშენი არიან, და მეტი არაფერი.

ასე როდი უყურებს მუშათა კლასი თავის პარტიას. მუშათა კლასისათვის პარტია ჭადრაკის დაფა კი არ არის, არამედ მისი განთავისუფლების იარაღია. მუშათა კლასისათვის პარტია არის არა ჭადრაკის დაფა, არამედ სასიცოცხლო საშუალება მტრების დასაძლევად, ახალ გამარჯვებათა მოსაწყობად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. ამიტომ მუშათა კლასს არ შეუძლია ზიზღით არ უყურებდეს იმათ, ვინც მის პარტიას, მის წმიდათა-წმიდას, აქცევს ჭადრაკის დაფად ოპოზიციურ

მოთამაშეთა თაღლითური ვარჯიშობისათვის. ვინაიდან მუშათა კლასმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ოპოზიციის მუშაობა ჩვენი პარტიის რკინისებური დისციპლინის მოსაშლელად, ოპოზიციის მუშაობა ჩვენი პარტიის გასათიშავად არის, არსებითად, მუშაობა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოსათხრელად.

ოპოზიციის «პლატფორმა» არის ჩვენი პარტიის დანგრევის პლატფორმა, მუშათა კლასის განიარაღების პლატფორმა, ანტისაბჭოთა ძალებისათვის ხელ-ფეხის გახსნის პლატფორმა, პროლეტარიატის დიქტატურის ჩაშლის პლატფორმა.

IV

ჩვენი რევოლუციის პერსპექტივები

გადავიდეთ მესამე საკითხზე, ჩვენი რევოლუციის პერსპექტივების საკითხზე.

ოპოზიციის მთელი გეზის დამახასიათებელი ნიშანია ურწმენობა ჩვენი რევოლუციის ძალებისადმი, ურწმენობა პროლეტარიატის ძალისა და უნარისადმი — გაიყოლიოს გლეხობა, ურწმენობა მუშათა კლასის ძალისა და უნარისადმი — ააშენოს სოციალიზმი.

მე უკვე მოვიყვანე ცნობილი ადგილი სმირნოვის სიტყვიდან ჩვენი რევოლუციის გარდუვალი «დაღუპვის» შესახებ, თუ ჩვენ განხეთქილებას არ მოვახდენთ საშუალო გლეხობასთან. სიმღერები რევოლუციის «დაღუპვის» შესახებ ჩვენ პირველად როდი გვესმის ოპოზიციონერებისაგან. მუდმივი წუწუნი და დაბნეულობა სიძნელეთა წინაშე, ჩვენი რევოლუციის მწუხრისა და კრახის წინასწარმეტყველება პირველად კი არ გვხვდება ოპოზიციონერთა განცხადებებში. მას შემდეგ, რაც ოპოზიციის ფრაქციული პოლიტიკა კრახს კრახზე განიცდიდა, ოპოზიცია განუწყვეტლივ გაჰყვიროდა ჩვენი რევოლუციის «დაღუპვაზე», ვინაიდან თავისი

საკუთარი ჯგუფის დაღუპვას რევოლუციის «დაღუპვად» ასაღებდა. საკმარისია უმცირესობაში დარჩეს ოპოზიცია, საკმარისია მჯიღი ჰკრას მას პარტიამ, რომ იგი ქუჩაში გამოვიდეს, მთრთოს ყვირილი რევოლუციის «დაღუპვაზე» და გამოიყენოს ყველა და ყოველგვარი სიძნელე პარტიის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ბრესტის ზავის პერიოდში, 1918 წელს, რევოლუციის ცნობილ სიძნელეთა დროს, ტროცკიმ, პარტიის მიერ VII ყრილობაზე დამარცხებულმა, იწყო ყვირილი ჩვენი რევოლუციის «დაღუპვაზე». მაგრამ რევოლუცია არ დაღუპულა, ხოლო ტროცკის წინასწარმეტყველება ფუჭ წინასწარმეტყველებად დარჩა.

1921 წელს, პროფკავშირული დისკუსიის პერიოდში, როცა ჩვენს წინაშე იდგა ახალი სიძნელენი, სასურსათო გაწერის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ხოლო ტროცკიმ კიდევ ერთი დამარცხება განიცადა პარტიის X ყრილობაზე, ტროცკიმ კვლავ იწყო ყვირილი რევოლუციის «დაღუპვის» გამო. მე კარგად მახსოვს, თუ როგორ ამტკიცებდა ტროცკი პოლიტბიუროში, ამბ. ლენინის თანადასწრებით, რომ «გუგულმა უკვე დაგვძახა» — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დღეები და საათები დათვლილიაო. (ს ი ც ი ლ ი). მაგრამ რევოლუცია არ დაღუპულა, სიძნელენი დაძლეულ იქნენ, ხოლო ისტერიული ხმაური რევოლუციის «დაღუპვის» გამო ხმაურადვე დარჩა.

მე არ ვიცი, გუგულმა მაშინ დაგვძახა თუ არ დაგვძახა. (ს ი ც ი ლ ი). მაგრამ თუ მან დაგვძახა, უნდა ვაღიაროთ, რომ არასწორად დაუძახნია. (ტ ა შ ი, ს ი ც ი ლ ი).

1923 წელს, ახალ სიძნელეთა პერიოდში, რაც უკვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე წარმოიშვა, გასაღების კრიზისის პერიოდში, ტროცკიმ კვლავ იწყო გუგუს ძახილი რევოლუციის «დაღუპვის» გამო, — ის თავისი სა-

კუთარი ჯგუფის დამარცხებას ჩვენი პარტიის XIII კონფერენციაზე რევოლუციის დამარცხებად ასაღებდა. მაგრამ რევოლუციამ გვერდი აუარა ამ გუგუს ძახილს და დასძლია მაშინ მის წინაშე წამოჭრილი სიძნელენი.

1925 — 1926 წლებში, ახალ სიძნელეთა პერიოდში, ჩვენი მრეწველობის აღმავლობასთან დაკავშირებით, ტროცკიმ. ამჯერად უკვე კამენევთან და ზინოვიევთან ერთად, კვლავ იწყო გუგუს ძახილი რევოლუციის «დაღუპვაზე», — ის თავისი საკუთარი ჯგუფის დამარცხებას XIV ყრილობაზე და XIV ყრილობის შემდეგ რევოლუციის დამარცხებად ასაღებდა. მაგრამ რევოლუცია არც კი აპირებდა დაღუპვას, თვითმარქვია წინასწარმეტყველნი უკან იქნენ დაწეულნი, ხოლო სიძნელენი დაძლეულ იქნენ, ისევე როგორც ყოველთვის, ისევე როგორც წარსულშიც, ვინაიდან სიძნელენი იმისათვის კი არ არსებობენ ბოლშევიკებისათვის, რომ წუწუნსა და გოდებას მოჰყვნენ, არამედ იმისათვის, რომ დასძლიონ ისინი. (ძლიერი ტაში).

ახლა, 1927 წლის დამლევს, მთელი ჩვენი მეურნეობის ახალ ტექნიკურ ბაზაზე გარდაქმნის პერიოდში წარმოშობილ ახალ სიძნელეებთან დაკავშირებით, მათ კვლავ დაიწყეს გუგუს ძახილი რევოლუციის «დაღუპვაზე», რითაც ფარავენ თავიანთი საკუთარი ჯგუფის ნამდვილ დაღუპვას. მაგრამ თქვენ ყველანი ხედავთ, ამხანაგებო, რომ რევოლუცია ცოცხლობს და დღეგრძელობს, იღუპებიან კი ვიღაც სხვები.

ასე იძახოდნენ და იძახოდნენ ისინი გუგუს, ვიდრე გუგუს ძახილით მათ, ბოლოს, ხმა არ ჩაუწყდათ. (სიცილი).

ოპოზიციის «პლატფორმა» ჩვენი რევოლუციის «დაღუპვის» პლატფორმაა.

V

შემდეგ რა?

ასეთია ოპოზიციის ნამდვილი პლატფორმა ჩვენ უთანხმოებათა სამ ძირითად საკითხში: მუშათა კლასისა და გლეხობის საკითხში, პარტიის და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში და, დასასრულ, ჩვენი რევოლუციის პერსპექტივების საკითხში.

თქვენ ხედავთ, რომ ეს უცნაური პლატფორმა მოწმობს ოპოზიციის სრულ მოწყვეტას პარტიისაგან, მუშათა კლასისაგან, ჩვენი რევოლუციისაგან. ეს არის პლატფორმა ინტელიგენტებისა, რომლებსაც კავშირი გაუწყვეტიათ ლენინიზმთან და რომელნიც მომწყდარან ცხოვრებას.

განა გასაკვირველია ყოველივე ამის შემდეგ, რომ პარტიამ და მუშათა კლასმა საბოლოოდ შეაქციეს ზურგი ოპოზიციას.

აი რატომ განიცადა სასკანდალო კრახი ოპოზიციამ თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ უკანასკნელი დისკუსიის დროს.

შემდეგ რაღა იქნება? — გვეკითხებიან ჩვენ.

ოპოზიცია ჩივის, რომ მან ამ დღეებში შეიტანა 31 ტროცკისტის მიერ ხელმოწერილი განცხადება ერთიანობის შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღია დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა პასუხი შეიძლება გაიცეს 31 ტროცკისტის თვალთმაქცურ განცხადებაზე, როცა ოპოზიციის ყალბ განცხადებებს კვლავ და კვლავ აქარწყლებს მისი გამთიშველი მოქმედება? ჩვენი პარტიის ისტორიაში ცნობილია 31 მენშევიკის ანალოგიური განცხადება, შეტანილი, მგონი, 1907 წელს. (ხ მ ე ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ: «სწორია!»). ლენინმა მაშინ ამ განცხადებას უწოდა «31 მენშევიკის თვალთმაქცობა» [68]. (ს ი ც ი ლ ი). ვფიქრობ, რომ 31 ტროცკისტის თვალთმაქცობა სავსებით ანალოგიუ-

რია 31 მენშევიკის თვალთმაქცობისა. (ხმები ადგილებიდან: «სავსებით სწორია!»). ოპოზიციამ ორჯერ მოატყუა პარტია. ახლა მას განუზრახავს მესამედ მოატყუოს იგი. არა, ამხანაგებო, გვეყოფა მოტყუება, გვეყოფა თამაში. (ტაში).

შემდეგ რაღა?

შემდეგ გზა აღარსაით არის, ამხანაგებო, ვინაიდან გადალახულია ყოველივე იმის საზღვარი, რაც კი დასაშვებია პარტიაში. მეტი არ შეიძლება იბორიალო ერთსა და იმავე დროს ორ პარტიაში, ძველ, ლენინურ პარტიაშიც, რომელიც არის ერთიანი და ერთადერთი პარტია, და ახალ, ტროცკისტულ პარტიაშიც. უნდა მოახდინო არჩევანი ამ ორ პარტიას შორის.

ან ოპოზიცია თვითონ მოსპობს ამ მეორე, ტროცკისტულ პარტიას, უარს იტყვის თავის ანტილენინურ შეხედულებებზე და მთელი პარტიის წინაშე აშკარად დაგმობს თავისსავე საკუთარ შეცდომებს;

ან ოპოზიცია ამას არ იზამს, — და მაშინ ჩვენ თვითონ მოვსპობთ მთლიანად ტროცკისტულ პარტიას. (ტაში).

ან ერთი, ან მეორე.

ან ოპოზიციონერები გადადგამენ ამ აუცილებელ ნაბიჯს, ან ისინი ამას არ იზამენ, და მაშინ — ისინი გაგდებული იქნებიან პარტიიდან. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზის ოვაცია. მღერიან «ინტერნაციონალს»).

«პრავდა» № 269,
1927 წ. 24 ნოემბერი.

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა[69]

1927 წ. 2 — 19 დეკემბერი

«პრავდა» №№ 279 და 282;
1927 წ. 6 და 9 დეკემბერი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში

3 დეკემბერი

I

მსოფლიო კაპიტალიზმის მზარდი კრიზისი და სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა

ჩვენი ქვეყანა, ამხანაგებო, ცხოვრობს და ვითარდება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. მისი საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო მის შინაგან ძალებზე, არამედ ამ კაპიტალისტური გარემოცვის მდგომარეობაზეც, ჩვენი ქვეყნის გარშემო მდებარე კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობაზე, მათს ძალასა და სისუსტეზე, მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების ძალასა და სისუსტეზე, ამ კლასების რევოლუციური მოძრაობის ძალასა და სისუსტეზე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი რევოლუცია არის ჩაგრულ კლასთა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ნაწილი.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში დაწყებული უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებით, კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობისა და ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის დახასიათებით.

1. მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიკა და საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლის გამწვავება

ა) პირველი საკითხია წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობა უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ძირითადი ფაქტი ამ დარგში, ამხანაგებო, ის არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების **წარმოებამ** ამ ორი წლის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის მანძილზე, გადააჭარბა ომამდელ ნორმებს, გაუსწრო ომამდელ ნორმებს.

აი ზოგიერთი მონაცემი ამის შესახებ.

თუჯის მსოფლიო პროდუქციის ინდექსი: 1925 წელს — ომამდელი დონის 97,6 პროც., 1926 წელს — უკვე ომამდელი დონის 100,5 პროც., 1927 წლისა სრული მონაცემები არ მოიპოვება, არის წლის პირველი ნახევრის მონაცემები, რომლებიც თუჯის წარმოების შემდგომ ზრდას მოწმობენ.

ფოლადის მსოფლიო პროდუქციის ინდექსი: 1925 წელს — ომამდელი დონის 118,5 პროც., 1926 წელს — 122,6 პროც.

ქვანახშირის მსოფლიო წარმოების ინდექსი: 1925 წელს — 97,9 პროც., 1926 წელს — რამდენადმე დაეცა — 96,8 პროც. აქ, ალბათ, გავლენა მოახდინა ინგლისში მომხდარმა გაფიცვამ.

ბამბის მსოფლიო მოხმარება: 1925/26 წელს — ომამდელი დონის 108,3 პროც., 1926/27 წელს — ომამდელი დონის 112,5 პროც.

ხუთი **პურეულის** [70] მსოფლიო მოსავალი: 1925 წელს — ომამდელი დონის 107,2 პროც., 1926 წელს — 110,5 პროც., 1927 წელს — 112,3 პროც.

ასე ნელა, პატარა ნაბიჯებით, მიიწევს წინ მსოფლიო წარმოების საერთო ინდექსი და აჭარბებს ომამდელ დონეს.

მაგრამ სამაგიეროდ არის ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელნიც კი არ მიდიან, არამედ გარბიან წინ და უკან იტოვებენ ომამდელ დონეს, მაგალითად, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები და ნაწილობრივ იაპონია. მონაცემები ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ: დამმუშავებელი მრეწველობის ზრდა 1925 წელს — ომამდელი დონის 148 პროც., 1926 წელს — ომამდელი დონის 152 პროც.; მომპოვებელი მრეწველობის ზრდა 1925 წელს — ომამდელი დონის 143 პროც., 1926 წელს — 154 პროც.

მსოფლიო **ვაჭრობის** ზრდა. მსოფლიო ვაჭრობა ისე სწრაფად არ იზრდება, როგორც წარმოება, ის ჩვეულებრივ ჩამორჩება წარმოებას, მაგრამ მაინც მიუახლოვდა ომამდელ ნორმას. მთელი მსოფლიოს და უმნიშვნელოვანესი ქვეყნების საგარეო საქონელბრუნვის ინდექსი: 1925 წელს — ომამდელი დონის 98,1 პროც., 1926 წელს — 97,1 პროც. ცალკეული ქვეყნების მიხედვით: ჩრდილო-ამერიკის შტატები 1925 წელს — ომამდელი დონის 134,3 პროც., 1926 წელს — 143 პროც.; საფრანგეთი — 98,2 პროც. და 99,2 პროც.; გერმანია — 74,8 პროც. და 73,6 პროც.; იაპონია — 176,9 და 170,1 პროც.

საერთოდ და მთლიანად მსოფლიო ვაჭრობა უკვე მიუახლოვდა ომამდელ ნორმას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში, უკვე გადასცილდა ომამდელ ნორმებს.

ბოლოს, მესამე რიგი ფაქტებისა, რომლებიც მოწმობენ კაპიტალისტური მრეწველობის ტექნიკურ პროგრესს, მის რაციონალიზაციას, ახალი დარგების შექმნას, მრეწველობის ტრესტირების გაძლიერებას, კარტელირების გაძლიერებას საერთაშორისო მასშტაბით. ამ ფაქტებს, ვფიქრობ, ყველა იცნობს. ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ კაპიტალმა წარმატებას მიაღწია არა მარტო

პროდუქციის ზრდის ხაზით, ისევე როგორც ვაჭრობის ხაზით, არამედ წარმოების ტექნიკის გაუმჯობესების დარგში, ტექნიკური პროგრესის დარგში, წარმოების რაციონალიზაციის დარგში, ამასთან ყოველივე ამას მოჰყვა უდიდესი ტრესტების შემდგომი გაძლიერება და ახალი მძლავრი მონოპოლისტური კარტელების შექმნა.

აი ფაქტები, ამხანაგებო, რომლებიც უნდა აღინიშნოს და რომლებიც მხედველობაში უნდა გვქონდეს.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ ამით კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მტკიცე, მყარი გახდა? რა თქმა უნდა, არა! ჯერ კიდევ XIV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში[71] იყო ნათქვამი, რომ კაპიტალიზმმა შეიძლება მიაღწიოს ომამდელ ნორმას, შეიძლება გადააჭარბოს კიდევაც ამ ომამდელ ნორმას, შეიძლება მოახდინოს თავისი წარმოების რაციონალიზაცია, მაგრამ რომ ეს კიდევ არ ნიშნავს, — სრულიადაც არ ნიშნავს, — რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ამის გამო შეიძლება მტკიცე გახდეს, რომ კაპიტალიზმმა შეიძლება დაიბრუნოს თავისი ყოფილი ომამდელი სიმყარე. პირიქით, თვითონ სტაბილიზაციიდან, იქიდან, რომ წარმოება იზრდება, იქიდან, რომ ვაჭრობა იზრდება, იქიდან, რომ ტექნიკური პროგრესი და საწარმოო შესაძლებლობანი იზრდებიან, მაშინ როცა მსოფლიო ბაზარი, ამ ბაზრის ფარგლები და ცალკეული იმპერიალისტური ჯგუფების გავლენის სფეროები მეტად თუ ნაკლებად სტაბილურნი რჩებიან, — სწორედ აქედან გამომდინარეობს მსოფლიო კაპიტალიზმის უაღრესად ღრმა და უაღრესად მწვავე კრიზისი, რომელიც გამოიწვევს ახალ ომებს და ემუქრება ყოველგვარი სტაბილიზაციის არსებობას.

ნაწილობრივი სტაბილიზაციიდან გამომდინარეობს კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერება, მზარდი კრიზისი ძირს უთხრის სტაბილიზაციას — ასეთია კაპიტალიზმის განვითარების დიალექტიკა ახლანდელ ისტორიულ მომენტში.

ბ) მსოფლიო კაპიტალიზმის წარმოებისა და ვაჭრობის ამ ზრდას ყველაზე მეტად ახასიათებს ის ფაქტი, რომ განვითარება **უთანაბროდ** მიმდინარეობს. განვითარება ისე კი არ ხდება, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ერთიმეორეს მისდევდნენ, მწყობრად და თანაბრად, ერთმანეთისათვის ხელის შეუშლელად და ერთმანეთის წაუქცევლად, არამედ პირიქით, — ეს ხდება ზოგიერთი ქვეყნის გამოდევნისა და დაცემის გზით, სხვა ქვეყნების დაწინაურებისა და აღმავლობის გზით, ბაზარზე პირველობისათვის კონტინენტებისა და ქვეყნების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გზით.

სამეურნეო ცენტრი ევროპიდან გადადის ამერიკაში, ატლანტის ოკეანიდან დიდ ოკეანეში. ამით დიდდება ამერიკისა და აზიის ხვედრითი წონა მსოფლიო საქონელბრუნვაში ევროპის ხარჯზე.

ზოგიერთი ციფრი: თუ ევროპის წილი მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში 1913 წელს შეადგენდა 58,5 პროცენტს, ამერიკის წილი — 21,2 პროცენტს, ხოლო აზიის წილი — 12,3 პროცენტს, სამაგიეროდ 1925 წელს ევროპის წილი დაეცა 50 პროცენტამდე, ამერიკის წილი გადიდდა 26,6 პროცენტამდე, ხოლო აზიის წილი გაიზარდა 16 პროცენტამდე. კაპიტალიზმის იმ ქვეყნების გვერდით, რომლებიც სწრაფად მიიწევენ წინ (ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები და ნაწილობრივ იაპონია), ჩვენ ვხედავთ მეურნეობის მხრივ დაქვეითების გზაზე მდგარ ქვეყნებს (ინგლისი). მზარდი კაპიტალისტური გერმანიისა და უკანასკნელ წლებში აღმავლობის გზაზე შემდგარი, დაწინაურებული ქვეყნების გვერდით (კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ჩინეთი, ინდოეთი) ჩვენ ვხედავთ სტაბილიზაციის გზაზე მდგომი კაპიტალიზმის ქვეყნებს (საფრანგეთი, იტალია). იზრდება გასაღების ბაზრების პრეტენდენტთა რიცხვი, იზრდება საწარმოო შესაძლებლობანი, იზრდება მიწოდება,

ხოლო ბაზრების სიდიდე და გავლენის სფეროთა საზღვრები მეტად თუ ნაკლებად სტაბილურნი რჩებიან.

ასეთია თანამედროვე კაპიტალიზმის შეურიგებელ წინააღმდეგობათა ზრდის საფუძველი.

გ) ეს წინააღმდეგობა საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასა და ბაზრების შედარებითს სტაბილურობას შორის საფუძვლად დაედო იმ ფაქტს, რომ ბაზრების პრობლემა ახლა კაპიტალიზმის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. გასაღების ბაზრების პრობლემის გამწვავება საერთოდ, საგარეო ბაზრების პრობლემის გამწვავება განსაკუთრებით, კაპიტალის გატანის ბაზრების პრობლემის გამწვავება კერძოდ — ასეთია კაპიტალიზმის ახლანდელი მდგომარეობა.

არსებითად სწორედ ამით აიხსნება, რომ ქარხნებისა და ფაბრიკების დაუტვირთველობა ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. საბაჟო დაბრკოლებათა გაძლიერება მხოლოდ ნავთს ასხამს ცეცხლზე. კაპიტალიზმი ვეღარ ეტევა ახლანდელი ბაზრებისა და გავლენის სფეროების ჩარჩოებში. ბაზრების პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის ცდებიც უშედეგონი გამოდგნენ და ვერც გამოიღებდნენ შედეგებს. ბანკირების 1926 წლის ცნობილი დეკლარაცია ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, როგორც ვიცით, კრახით დამთავრდა [72]. კრახით დამთავრდა აგრეთვე ერთა ლიგის 1927 წლის ეკონომიური კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა კაპიტალისტური ქვეყნების «ეკონომიურ ინტერესთა გაერთიანებას». ბაზრების პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზა კაპიტალიზმისათვის კვლავ დახშულია. კაპიტალიზმს რჩება **ერთადერთი** «გამოსავალი»: კოლონიებისა და გავლენის სფეროების **ახალი** გადანაწილება ძალით, სამხედრო შეტაკებათა გზით, ახალი იმპერიალისტური ომების გზით.

სტაბილიზაციიდან წარმოიშობა კაპიტალიზმის კრიზისის ზრდა.

2. კაპიტალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა და ახალი იმპერიალისტური ომების მომზადება

ა) ამასთან დაკავშირებით საკითხი, რომ ხელახლა გაიყონ მსოფლიო და გავლენის სფეროები, რომლებიც საგარეო ბაზრების საფუძველს წარმოადგენენ, ახლა მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკის ძირითად საკითხს შეადგენს. მე უკვე ვილაპარაკე, რომ კოლონიებისა და გავლენის სფეროების ახლანდელი განაწილება, უკანასკნელი იმპერიალისტური ომის შედეგად დადგენილი, უკვე მოძველდა. ეს განაწილება ახლა არ აკმაყოფილებს არც ჩრდილოეთ ამერიკას, რომელიც არ სჯერდება სამხრეთ ამერიკას და ცდილობს დამკვიდრდეს აზიაში (უწინარეს ყოვლისა ჩინეთში), არც ინგლისს, რომელსაც ხელიდან ეცლება დომინიონები და აღმოსავლეთის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ბაზრები, არც იაპონიას, რომელსაც ძალიან ხშირად «ხელს უშლიან» ჩინეთში ინგლისი და ამერიკა, არც იტალიასა და საფრანგეთს, რომლებსაც უამრავი «საკუთარი საგნები» აქვთ როგორც დუნაისპირა ქვეყნებში, ისე ხმელთაშუა ზღვაზე, არც, მით უმეტეს, გერმანიას, რომელიც ჯერ ისევ უკოლონიებოდ რჩება.

აქედანაა «საერთო» მისწრაფება — ხელახლა გაიყონ ბაზრები და ნედლეულის წყაროები. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აზიის ბაზრები და მათკენ მიმავალი გზები ბრძოლის მთავარ სარბიელს შეადგენენ. აქედანაა მთელი რიგი საკვანძო პრობლემები, რომლებიც ახალ შეტაკებათა მთელ კერებს წარმოადგენენ. აქედანაა ეგრეთწოდებული წყნარი ოკეანის პრობლემა (ამერიკა-იაპონია-ინგლისის ანტაგონიზმი), როგორც აზიაში და მისკენ მიმავალ გზებზე პირველობისათვის ბრძოლის წყარო. აქედანაა ხმელთაშუა ზღვის პრობლემა (ინგლის-საფრანგეთ-იტალიის ანტაგო-

ნიზმი), როგორც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ბატონობისათვის ბრძოლის წყარო, როგორც აღმოსავლეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზებისათვის ბრძოლის წყარო. აქედანაა ნავთის პრობლემის გამწვავება (ინგლის-ამერიკის ანტაგონიზმი), ვინაიდან ომი უნავთოდ არ შეიძლება, ხოლო ვისაც ნავთის საქმეში უპირატესობა აქვს, მას მომავალ ომში გამარჯვების შანსებიც აქვს.

ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა ჩემბერლენის «უკანასკნელი» გეგმა ხმელთაშუა ზღვის პრობლემის «მოგვარებისა». ამ გეგმის სინამდვილისათვის მე პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ. მაგრამ პრესაში ჩემბერლენის გეგმის გამოქვეყნება რომ სიმპტომს წარმოადგენს, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ეს გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ სირიის «მანდატი» საფრანგეთის ნაცვლად იტალიას უნდა გადაეცეს, ტანჟერი გადაეცემა საფრანგეთს, სამაგიეროდ ესპანეთი ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს, გერმანიას დაუბრუნდება კამერუნი, იტალია ვალდებული ხდება თავი დაანებოს ბალკანეთში «შფოთის გამოწვევას» და ა. შ.

ყოველივე ეს ხდება საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლის დროშით. ცნობილია, ახლა საზოგადოდ არც ერთ სისაძაგლეს არ სჩადიან ისე, რომ საბჭოები ბინძურ საქმეში არ გარიონ.

მაგრამ რა არის ამ გეგმის ნამდვილი აზრი? გეგმის აზრი ის არის, რომ გააძევონ საფრანგეთის ბურჟუაზია სირიიდან. სირია ძველთაგანვე წარმოადგენდა აღმოსავლეთის, მესოპოტამიის, ეგვიპტისა და სხვათა კარებს. სირიიდან შეიძლება ზიანი მიაყენო ინგლისს სუეცის არხის რაიონშიც და მესოპოტამიის რაიონშიც. და აი ჩემბერლენს, ეტყობა, სურს ბოლო მოუღოს ამ არასასიამოვნო გარემოებას. ზედმეტია იმაზე ლაპა-

რაკი, რომ პრესაში ამ გეგმის გამოქვეყნების ფაქტი შემთხვევითად ვერ ჩაითვლება. ამ ფაქტის ღირებულება ის არის, რომ იგი მკაფიოდ ახასიათებს იმ კინკლაობას, იმ კონფლიქტებსა და სამხედრო შეტაკებებს, რაც გამომდინარეობს ეგრეთწოდებულ «დიდ სახელმწიფოთა» ახლანდელი ურთიერთობიდან.

რაც შეეხება ნავთის პრობლემის ახლანდელ მდგომარეობას და მის გარშემო ბრძოლას, ამაზე საკმაოდ მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს თავის ოქტომბრის ნომერში ცნობილი ამერიკული ჟურნალი «უორლდ'ს უორკი» [73]:

«არსებობს ფრიად რეალური საფრთხე ანგლო-საქსურ ხალხთა მშვიდობიანობისა და ურთიერთგაგებისათვის... ამერიკელ საქმის კაცებს სამინისტრო გარდუვალად უფრო და უფრო ძლიერად დაუჭერს მხარს იმისდაკვალად, რაც უფრო გაიზრდება ამის საჭიროება. თუ ბრიტანეთის მთავრობა გააიგივებს თავის თავს ბრიტანეთის **ნავთის** მრეწველობასთან, მაშინ ამერიკის მთავრობაც ადრე თუ გვიან გააიგივებს თავის თავს ამერიკის **ნავთის** მრეწველობასთან. ბრძოლა არ შეიძლება მთავრობათა სფეროში გადავიდეს ისე, რომ უაღრესად არ გაიზარდოს **ომის საფრთხე**».

ეჭვი შეუძლებელია: საქმე ეხება სახელმწიფოთა ახალი კოალიციების მოწყობას იმ მიზნით, რომ მოამზადონ ახალი ომები საგარეო ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, მათკენ მიმავალი გზებისათვის.

ბ) იყო თუ არა ცდები, რომ «მშვიდობიანად მოეგვარებინათ» მომწიფებული სამხედრო კონფლიქტები საანგარიშო პერიოდში? დიახ, იყო. ასეთი ცდები მეტი იყო, ვიდრე შეიძლებოდა მოლოდინი გვქონოდა. მაგრამ ამ ცდებს არავითარი, სრულიად არავითარი ნაყოფი არ გამოუღიათ. უფრო მეტი, ეს ცდები მხოლოდ საფარი აღმოჩნდნენ ახალი ომებისათვის სახელმწიფოთა მოსამზადებელი მუშაობისა, საფარი, რომელიც მიზნად ისახავს

ხალხის მოტყუებას, «საზოგადოებრივი აზრის» მოტყუებას.

ავიღოთ ერთა ლიგა, რომელიც, მატყუარა ბურჟუაზიული პრესის და არა ნაკლებ მატყუარა სოციალ-დემოკრატიული პრესის აზრით, მშვიდობის იარაღს წარმოადგენს. რა მოიტანა ერთა ლიგის ლაყბობამ მშვიდობის, განიარაღების, შეიარაღების შემცირების საკითხზე? კარგი არაფერი, გარდა მასების მოტყუებისა, გარდა შეიარაღების ახალი გამოდევნებისა, გარდა მზარდი კონფლიქტების ახალი გამწვავებისა. განა შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სამი წელია ლაყბობს ერთა ლიგა მშვიდობასა და განიარაღებაზე, სამი წელია მხარს უჭერს ამ ცრუ ლაყბობას ეგრეთწოდებული II ინტერნაციონალი, ხოლო «ერები» სულ იარაღდებიან და იარაღდებიან, აფართოებენ ძველ კონფლიქტებს სახელმწიფოთა შორის, ქმნიან ახალ კონფლიქტებს და, ამრიგად, ძირს უთხრიან მშვიდობის საქმეს?

რას მეტყველებს საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხზე მოწვეული სამთა (ინგლისი, ამერიკა და იაპონია) კონფერენციის [74] ჩაშლა, თუ არა იმას, რომ წყნარი ოკეანის პრობლემა ახალი იმპერიალისტური ომების წყაროს წარმოადგენს, რომ სახელმწიფოებს არც განიარაღება სურთ, არც შეიარაღების შემცირება? რა გააკეთა ერთა ლიგამ იმისათვის, რომ აეცილებინა ეს საფრთხე?

ან ავიღოთ, მაგალითად, საბჭოთა დელეგაციის ამასწინანდელი გამოსვლა ჟენევაში ნამდვილი (და არა დეკორაციული) განიარაღების საკითხზე [75]. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამხ. ლიტვინოვის პირდაპირმა და პატიოსანმა დეკლარაციამ სრული განიარაღების შესახებ თავზარი დასცა ერთა ლიგას და რომ ეს დეკლარაცია მისთვის «სრულიად მოულოდნელი» აღმოჩნდა? განა არ მეტყვე-

ლებს ეს ფაქტი იმას, რომ ერთა ლიგა მშვიდობისა და განიარაღების იარაღი კი არ არის, არამედ ახალ შეიარაღებათა დაფარვისა და ახალი ომების მომზადების იარაღია?

მოსყიდული ბურჟუაზიული პრესა ყველა ქვეყნისა, იაპონიიდან მოკიდებული ინგლისამდე, საფრანგეთიდან — ამერიკამდე, რაც ძალა და ღონე აქვს გაჰყვირის, საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ «არაგულწრფელიაო». თუ ასეა, რატომ არ შეამოწმებენ საბჭოთა წინადადებების გულწრფელობას და ახლავე პრაქტიკულად არ შეუდგებიან განიარაღებას ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების სერიოზულ შემცირებას? რა უშლის ამას ხელს?

ან, მაგალითად, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა «მეგობრობის ხელშეკრულებათა» ახლანდელი სისტემა, საფრანგეთის ხელშეკრულება იუგოსლავიასთან, იტალიის ხელშეკრულება ალბანეთთან, პოლონეთისა და ლიტვის «მეგობრობის ხელშეკრულება», რასაც პილსუდსკი ამზადებს, «ლოკარნოს სისტემა»[71], «ლოკარნოს სული» და ა. შ., — რა არის ეს, თუ არა ახალი ომების მომზადებისა და მომავალ სამხედრო შეტაკებათათვის ძალთა დაჯგუფების სისტემა?

ან ავიღოთ, მაგალითად, შემდეგი ფაქტები: 1913 წლიდან 1927 წლამდე საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის **არმიათა რიცხობრივი შემადგენლობა** გაიზარდა 1 883 ათასიდან 2 262 ათას კაცამდე; ამავე პერიოდის განმავლობაში იმავე ქვეყნების **სამხედრო ბიუჯეტები** გაიზარდა 2 345 მილიონი ოქროს მანეთიდან 3 948 მილიონამდე; **ამ ხუთი ქვეყნის სამწყობრო თვითმფრინავების** რიცხვი 1923 წლიდან 1927 წლამდე გაიზარდა 2 655-დან 4 340-მდე; ამ ხუთი სახელმწიფოს **კრეისერთა** ტონაჟი გაიზარდა 1922

წლის 724 ათასი ტონიდან 1926 წლის 864 ათას ტონამდე; **სამხედრო-ქიმიური** საქმის მდგომარეობას ასურათებს ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-ქიმიური სამსახურის უფროსის, გენერალ ფრეისის ცნობილი განცხადება: «450 კილოგრამი წონის ერთ აერო-ქიმიურ ბომბს, ლუიზიტით აღჭურვილს, შეუძლია უდაბური გახადოს ნიუ-იორკის ათი უბანი, ხოლო 50 თვითმფრინავით ჩამოყრილ 100 ტონა ლუიზიტს შეუძლია უდაბური გახადოს მთელი ნიუ-იორკი, ერთი კვირით მაინც».

რას მეტყველებენ ეს ფაქტები, თუ არა იმას, რომ ახალი ომის მომზადება გამალებით მიმდინარეობს?

ასეთია საზოგადოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოების, განსაკუთრებით ერთა ლიგის «სამშვიდობო პოლიტიკის» და «განიარაღების» პოლიტიკის, კერძოდ კი კაპიტალის წინაშე სოციალ-დემოკრატიული ლაქიობის შედეგები.

წინათ შეიარაღების ზრდას იმით ამართლებდნენ, რომ გერმანია თავით ფეხებამდე შეიარაღებულიაო. ახლა ეს «გამართლება» მოხსნილია გერმანიის განიარაღების გამო.

განა ცხადი არ არის, რომ შეიარაღების ზრდა ნაკარნახევია სახელმწიფოთა შორის ახალი იმპერიალისტური ომების გარდუვალობით, რომ «ომის სული» წარმოადგენს «ლოკარნოს სულის» ძირითად შინაარსს.

მე ვფიქრობ, რომ ახლანდელი «მშვიდობიანი ურთიერთობა» შეიძლება შევადაროთ ძველ გაცვეთილ პერანგს, რომელიც შესდგება ერთმანეთთან წვრილი ძაფით შეკოწიწებული ნაფლეთებისაგან. საკმარისია მხოლოდ ცოტაოდენი ძალით გამოსწიო ეს ძაფი და რომელსამე ადგილას გაწყვიტო, რომ მთელი პერანგი დაირღვეს, რომ მისგან, გარდა ნაფლეთებისა, აღარაფერი დარჩეს. საკმარისია შეანჯღრიო ახლანდელი «მშვიდობიანი ურთიერთობა» სადმე

ალბანეთში თუ ლიტვაში, ჩინეთში თუ ჩრდილოეთ აფრიკაში, რომ დაინგრეს მთელი ეს «მშვიდობიან ურთიერთობათა შენობა».

ასეთ მდგომარეობაში იყო საქმე უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინ, როცა სარაევოში ჩადენილმა მკვლელობამ [77] ომი გამოიწვია.

ასეთ მდგომარეობაშია საქმე ახლაც.

სტაბილიზაციიდან წარმოიშობა ახალი იმპერიალისტური ომების გარდუვალობა.

3. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობა და ახალი რევოლუციური აღმავლობის ნიშნები

ა) ომი რომ აწარმოო, საკმარისი არ არის შეიარაღების ზრდა, საკმარისი არ არის ახალი კოალიციების მოწყობა. ამისათვის აუცილებელია კიდევ ზურგის განმტკიცება კაპიტალიზმის ქვეყნებში. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია აწარმოოს სერიოზული ომი, თუ მან წინასწარ არ განამტკიცა თავისი საკუთარი ზურგი, თუ არ ალაგმა «თავისი» მუშები, თუ არ ალაგმა «თავისი» კოლონიები. აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიულ მთავრობათა პოლიტიკის თანდათანობითი ფაშიზაცია.

შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საფრანგეთში ახლა ბატონობს მემარჯვენე ბლოკი, ინგლისში — ჰიქს-დეტერდინგ-ურკვარტის ბლოკი, გერმანიაში — ბურჟუაზიული ბლოკი, იაპონიაში — სამხედრო პარტია, იტალიასა და პოლონეთში — ფაშისტური მთავრობანი.

აქედან წარმოსდგება დაწოლა მუშათა კლასზე, კანონი პროფკავშირების შესახებ ინგლისში [78], «ერის შეიარაღების» კანონი საფრანგეთში [79], 8-საათიანი სამუშაო დღის ლიკვიდაცია მთელ რიგ ქვეყნებში, ბურჟუაზიის შეტევა პროლეტარიატზე ყველგან.

აქედან წარმოსდგება გაძლიერებული დაწოლა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებზე, ამ ქვეყნებში იმპერიალისტური ჯარების შემადგენლობის გაძლიერება, რომელთა რაოდენობა მილიონს აღწევს, ამასთან მათგან 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაბანაკებულია ბრიტანეთის «გავლენის სფეროებსა» და «სამფლობელოებში».

ბ) ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ფაშიზირებულ მთავრობათა ამ მხეცურ ძალადობას არ შეიძლებოდა კოლონიების ჩაგრულ ხალხთა და მეტროპოლიების მუშათა კლასის საპასუხო მოძრაობა არ გამოეწვია. ისეთ ფაქტებს, როგორიცაა რევოლუციური მოძრაობის ზრდა ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში და ა. შ., არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეთ მსოფლიო იმპერიალიზმის ბედისათვის.

თვითონ განსაჯეთ. **მთელი დედამიწის** 1 905-მილიონიანი მოსახლეობიდან კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ცხოვრობს 1 134 მილიონი, 143 მილიონი ცხოვრობს სსრ კავშირში, 264 მილიონი — შუათანა ქვეყნებში და მხოლოდ 363 მილიონი — დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც ჩაგრავენ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს.

ცხადია, რომ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების რევოლუციური გამოფხიზლება მსოფლიო იმპერიალიზმის აღსასრულს მოასწავებს. იმ ფაქტს, რომ ჩინეთის რევოლუციას ჯერ კიდევ არ მოჰყოლია პირდაპირი გამარჯვება იმპერიალიზმზე, ამ ფაქტს რევოლუციის პერსპექტივების აზრით არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. დიდი სახალხო რევოლუციები საერთოდ არასოდეს არ იმარჯვებენ ბოლომდე თავიანთი გამოსვლების პირველ ტურში. ისინი იზრდებიან და მტკიცდებიან მოზღვავება-უკუქცევის გზით. ასე იყო ყველგან, მათ შორის რუსეთშიც. ასე იქნება ჩინეთში.

ჩინეთის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი არის ის ფაქტი, რომ მან საუკუნეობრივი ძილისაგან გამოაფხიზლა და აამოძრავა ასეული მილიონობით ექსპლოატირებული და დაჩაგრული, სავსებით ამხილა გენერალთა ხროვის კონტრრევოლუციურობა, ნიღაბი ჩამოგლიჯა კონტრრევოლუციის გომინდანელ დამჭაშებს, განამტკიცა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი ხალხის ქვედაფენებში, მოძრაობა მთლიანად აიყვანა უფრო მაღალ საფეხურზე, ახალი იმედები გაუღვიძა ინდოეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების ჩაგრული კლასების მილიონობით ადამიანს. მხოლოდ ბრმებსა და სულმოკლეებს შეუძლიათ დაეჭვდნენ იმაში, რომ ჩინელი მუშები და გლეხები ახალი რევოლუციური აღმავლობისაკენ მიდიან.

რაც შეეხება ევროპის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას, აქაც, ამ დარგშიც, ჩვენ გვაქვს მუშათა ქვედაფენების გამემარცხენებისა და რევოლუციური გამოცოცხლების აშკარა ნიშნები. ისეთი ფაქტები, როგორიცაა საყოველთაო და ქვანახშირის მრეწველობის მუშების გაფიცვები ინგლისში, მუშების რევოლუციური გამოსვლები ვენაში, რევოლუციური დემონსტრაციები საფრანგეთსა და გერმანიაში საკოსა და ვანცეტის მკვლელობასთან დაკავშირებით, გერმანიისა და პოლონეთის კომპარტიების საარჩევნო წარმატებანი, მუშათა მოძრაობის აშკარა დიფერენციაცია ინგლისში, რის გამოც მუშები მარცხნივ მიდიან, ხოლო ბელადები — მარჯვნივ, აშკარა სოციალ-იმპერიალიზმის წიაღისაკენ, II ინტერნაციონალის გადაგვარება იმპერიალისტური ერთა ლიგის აშკარა დანამატად, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ავტორიტეტის დაცემა მუშათა კლასის ფართო მასებში, კომინტერნისა და მისი სექციების გავლენისა და ავტორიტეტის საყოველთაო ზრდა ყველა ქვეყნის პროლეტარებში, სსრ კავშირის ავტორიტეტის ზრდა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებში, «სსრ კავში-

რის მეგობართა კონგრესი»[80] და ა. შ., — ყველა ეს ფაქტი უდავოდ მოწმობს, რომ ევროპა რევოლუციური აღმავლობის ახალ ხანაში შედის.

თუ ისეთი ფაქტი, როგორიცაა საკოსა და ვანცეტის მკვლელობა, შეიძლებოდა მუშათა კლასის დემონსტრაციების საბაბი გამხდარიყო, ეს უეჭველად მოწმობს, რომ მუშათა კლასის წიაღში დაგროვდა რევოლუციური ენერგია, რომელიც ეძებს და შემდგომაც მოძებნის საბაბს, შემთხვევას, ზოგჯერ გარეგნულად სრულიად უმნიშვნელო შემთხვევას, რათა გადმოხეთქოს და თავს დაატყდეს კაპიტალისტურ რეჟიმს.

ჩვენ ვდგავართ ახალი რევოლუციური აღმავლობის წინ როგორც კოლონიებში, ისე მეტროპოლიებში.

სტაბილიზაციიდან წარმოიშობა ახალი რევოლუციური აღმავლობა.

4. კაპიტალისტური სამყარო და სსრ კავშირი

ა) ამრიგად, არსებობს მსოფლიო კაპიტალიზმის უღრმესი კრიზისისა და მზარდი უმყარობის ყველა ნიშანი.

თუ 1920 — 1921 წლების **დროებითი** ომისშემდგომი ეკონომიური კრიზისი, რომელსაც ახასიათებდა ქაოსი კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით და კავშირურთიერთობის გაწყვეტა გარეთ, შეიძლება განვლილად ჩაითვალოს, რის შედეგადაც დადგა ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდი, სამაგიეროდ კაპიტალიზმის **საერთო** და **ძირითადი** კრიზისი, რაც დაისახა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემისაგან სსრ კავშირის ჩამოშორების შედეგად, არა თუ არ არის დაძლეული, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ღრმავდება და არყევს მსოფლიო კაპიტალიზმის არსებობის თვით საფუძვლებს.

სტაბილიზაციამ არა თუ არ შეუშალა ხელი ამ საერთო და ძირითადი კრიზისის განვითარებას, არამედ, პირიქით, ნიადაგი და წყარო შეუქმნა მის შემდგომ განვითარებას. მზარდი ბრძოლა ბაზრებისათვის, მსოფლიოს და გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების აუცილებლობა, ბურჟუაზიული პაციფიზმისა და ერთა ლიგის კრახი, გამძლებული მუშაობა ახალი კოალიციების შესაქმნელად და ძალთა დასაჯგუფებლად შესაძლებელი ახალი ომის გამო, შეიარაღების გამალებული ზრდა, მხეცური ძალდატანება მუშათა კლასსა და კოლონიურ ქვეყნებზე, რევოლუციური მოძრაობის ზრდა კოლონიებსა და ევროპაში, კომინტერნის ავტორიტეტის ზრდა მთელ მსოფლიოში, ბოლოს, საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცება და მისი ავტორიტეტის გაძლიერება ევროპის მუშებში და კოლონიების მშრომელ მასებში, — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებმაც არ შეიძლება არ შეარყიონ თვით საფუძვლები მსოფლიო კაპიტალიზმისა.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია სულ უფრო და უფრო დამპალი და უმყარო ხდება.

თუ ორი წლის წინათ შეიძლებოდა და საჭიროც იყო გველაპარაკნა რევოლუციური ტალღების უკუქცევაზე ევროპაში, ახლა ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ **ევროპა აშკარად შედის ახალი რევოლუციური აღმავლობის ხანაში.** აღარაფერს ვამბობ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებზე, სადაც იმპერიალისტების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კატასტროფული ხდება.

ბ) დაიმსხვრა კაპიტალისტების იმედები, რომ სსრ კავშირი მოთვინიერდებოდა, კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გადაგვარდებოდა, მისი ავტორიტეტი დაეცემოდა ევროპის მუშებში და კოლონიების მშრომელ მასებში. სსრ კავშირი იზრდება და ვითარდება სწორედ როგორც სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა. მისი გავლენა მთელი

მსოფლიოს მუშათა და გლეხთა შორის იზრდება და მტკიცდება. სსრ კავშირის, როგორც სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის, თვით არსებობა არის ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი მსოფლიო იმპერიალიზმის რღვევისა და მისი სიმტკიცის შერყევისა როგორც ევროპაში, ისე კოლონიებში. სსრ კავშირი აშკარად ხდება ევროპის მუშათა კლასისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა დროშად.

ამიტომ, რათა ნიადაგი გაუწმინდონ მომავალ იმპერიალისტურ ომებს, რაც შეიძლება მაგრად შებოჭონ «თავისი» მუშათა კლასი და ლაგამი ამოსდონ «თავის» კოლონიებს კაპიტალისტური ზურგის განსამტკიცებლად, — საჭიროა, ბურჟუაზიული მესვეურების აზრით, აილაგმოს უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირი, რევოლუციის ეს კერა და გამავრცელებელი, რომელიც ამასთან წარმოადგენს გასაღების ერთ-ერთ უდიდეს ბაზარს კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. აქედან წარმოსდგება ინტერვენციონისტული ტენდენციების გაცხოველება იმპერიალისტებს შორის, სსრ კავშირის იზოლაციის პოლიტიკა, სსრ კავშირის გარემოცვის პოლიტიკა, სსრ კავშირთან ომისათვის პირობების მომზადების პოლიტიკა.

ინტერვენციონისტული ტენდენციების გაძლიერება იმპერიალისტთა ბანაკში და ომის საფრთხე (სსრ კავშირის მიმართ) არის ახლანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

კაპიტალიზმის მზარდი კრიზისის ვითარებაში ყველაზე უფრო «საშიშ მდგომარეობაში მყოფ» და «დაზარალებულ» მხარედ ითვლება ინგლისის ბურჟუაზია. და სწორედ მან იკისრა ინიციატივა ინტერვენციონისტული ტენდენციების გაძლიერების საქმეში. ცხადია, რომ საბჭოთა მუშების დახმარებას ინგლისელი ქვანახშირის მთხრელებისადმი და სსრ კავშირის მუშათა კლასის თანაგრძნობას ჩინეთის რევოლუციური მოძრაობისადმი არ შეეძლოთ

ნავთი არ დაესხათ ცეცხლზე. ყველა ამ გარემოებამ განსაზღვრა ინგლისის მიერ სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გაუარესება.

გ) ორი ტენდენციის ბრძოლა კაპიტალისტური სამყაროს და სსრ კავშირის ურთიერთობაში, სამხედრო აგრესიის ტენდენციისა (უწინარეს ყოვლისა ინგლისი) და მშვიდობიანი ურთიერთობის განგრძობის ტენდენციისა (მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნები), წარმოადგენს ამის გამო ძირითად ფაქტს ჩვენი საგარეო ურთიერთობის სისტემაში ამჟამად.

ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მშვიდობიანი ურთიერთობის ტენდენციას საანგარიშო პერიოდში: ხელშეკრულება თურქეთთან თავდაუსხმელობის შესახებ; საგარანტიო ხელშეკრულება გერმანიასთან; საბაჟო შეთანხმება საბერძნეთთან; შეთანხმება გერმანიასთან კრედიტების შესახებ; საგარანტიო ხელშეკრულება ავღანეთთან; საგარანტიო ხელშეკრულება ლიტვასთან; საგარანტიო ხელშეკრულების პარაფირება ლატვიასთან; სავაჭრო ხელშეკრულება თურქეთთან; კონფლიქტის მოწესრიგება შვეიცარიასთან; ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება სპარსეთთან; ურთიერთობის გაუმჯობესება იაპონიასთან; ეკონომიური კავშირურთიერთობის ზრდა ამერიკასთან და იტალიასთან.

ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სამხედრო აგრესიის ტენდენციას საანგარიშო პერიოდში: ინგლისის ნოტა გაფიცული ქვანახშირის მთხრელებისადმი ფულადი დახმარების გამო; თავდასხმა საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებზე პეკინში, ტიანძინსა და შანხაიში; თავდასხმა არკოსზე; ინგლისის მიერ ურთიერთობის გაწყვეტა სსრ კავშირთან; ვოიკოვის მკვლელობა; ინგლისის დაქირავებული აგენტების ტერორისტული აქტები სსრ კავშირში;

ურთიერთობის გამწვავება საფრანგეთთან რაკოვსკის გადმოწვევის საკითხის გამო.

თუ ორი წლის წინათ შეიძლებოდა და საჭიროც იყო გველაპარაკნა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთგვარი წონასწორობისა და «მშვიდობიანი თანაცხოვრების» პერიოდზე, ახლა ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ **«მშვიდობიანი თანაცხოვრების» პერიოდი წარსულს ჩაბარდება** და ადგილს უთმობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური გამოხდომებისა და ინტერვენციის მომზადების პერიოდს.

მართალია, ინგლისის ცდები, რომ შეექმნა ერთიანი ფრონტი სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჯერჯერობით მარცხით დამთავრდა. ამ მარცხის მიზეზები: ინტერესთა წინააღმდეგობა იმპერიალისტების ბანაკში, ზოგიერთი ქვეყნის დაინტერესებულობა სსრ კავშირთან ეკონომიური ურთიერთობით, სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა, ევროპის მუშათა კლასის წინააღმდეგობა, იმპერიალისტების შიში — ვაი თუ სსრ კავშირთან ომმა ჩვენში რევოლუცია გამოიწვიოსო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ინგლისი ხელს აიღებს თავის მუშაობაზე სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის მოსაწყობად, რომ იგი ვერ შესძლებს ასეთი ფრონტის შექმნას. ომის საფრთხე ძალაში რჩება, მიუხედავად ინგლისის ცდების დროებითი მარცხისა.

აქედან გამომდინარეობს ამოცანა — გავითვალისწინოთ იმპერიალისტთა ბანაკის წინააღმდეგობანი, გადავწიოთ ომის დაწყების ვადა კაპიტალისტებისათვის «სასყიდლის» მიცემით და მივიღოთ ყოველი ღონისძიება მშვიდობიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ლენინის სიტყვები, რომ ძალიან ბევრი რამ ჩვენი მშენებლობის საქმეში დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ გადავდოთ კაპიტალისტურ სამყაროსთან ომი, რომელიც გარდუვალია,

მაგრამ რომელიც შეიძლება გადადებულ იქნას ან იმ მომენტამდე, სანამ არ მომწიფდება პროლეტარული რევოლუცია ევროპაში, ან იმ მომენტამდე, სანამ სავსებით არ მომწიფდება კოლონიური რევოლუციები, ან, ბოლოს, იმ მომენტამდე, სანამ კაპიტალისტები ერთმანეთს არ დაეტაკებიან კოლონიების გაყოფის გამო.

ამიტომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება ჩვენთვის სავალდებულო ამოცანაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს ორი მოპირდაპირე სისტემის თანაარსებობის დაშვება. პრაქტიკამ სავსებით გაამართლა იგი. დამაბრკოლებელ გარემოებას ზოგჯერ წარმოადგენს ვალებისა და კრედიტების საკითხი. ჩვენი პოლიტიკა აქ ნათელია. იგი ემყარება ფორმულას: «იძლევი — მოგცემ». იძლევი კრედიტებს ჩვენი მრეწველობის გასანაყოფიერებლად — მიიღებ ომამდელი ვალების განსაზღვრულ წილს, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია კრედიტების დამატებით პროცენტად. არ მოგვცემ — ვერ მიიღებ. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი წარმატებანი სამრეწველო კრედიტების მიღების საქმეში. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს არა მარტო გერმანია, არამედ ამერიკაც, ინგლისიც. რაშია აქ საიდუმლოება? იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდეს ბაზარს წარმოადგენს მოწყობილობის შემოსაზიდად; ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებს ესაჭიროებათ სწორედ ამგვარი პროდუქტების გასაღება.

5. დასკვნები

შედეგად ჩვენ გვაქვს:

ჯერ-ერთი, წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტური გარემოცვის შიგნით; ომის გზით მსოფლიოს ახალი გადანაწილების აუცილებლობა კაპიტალიზმისათვის; ინტერვენცი-

ონისტული ტენდენციები კაპიტალისტური სამყაროს ერთი ნაწილისა ინგლისის მეთაურობით; სსრ კავშირთან ომის საქმეში ჩაბმის უნდომლობა კაპიტალისტური სამყაროს მეორე ნაწილში, რომელიც ამჯობინებს ჩვენთან სამეურნეო კავშირურთიერთობის მოგვარებას; ამ ორი ტენდენციის ბრძოლის არსებობა და ერთგვარი შესაძლებლობა, რომ სსრ კავშირმა გაითვალისწინოს ეს წინააღმდეგობანი მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მეორეც, ჩვენ გვაქვს სტაბილიზაციის რღვევა; კოლონიური რევოლუციური მოძრაობის ზრდა; ახალი რევოლუციური აღმავლობის ნიშნები ევროპაში; კომინტერნისა და მისი სექციების ავტორიტეტის ზრდა მთელ მსოფლიოში; აშკარა ზრდა ევროპის მუშათა კლასის სიმპათიებისა სსრ კავშირისადმი; სსრ კავშირის მზარდი ძლიერება და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ავტორიტეტის უფრო და უფრო განმტკიცება მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებში.

აქედან პარტიის ამოცანებია:

1) საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ხაზით:

ა) **ბრძოლა კომუნისტური პარტიების განვითარებისათვის მთელ მსოფლიოში;**

ბ) **ბრძოლა რევოლუციური პროფკავშირებისა და მუშათა ერთიანი ფრონტის განმტკიცებისათვის კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ;**

გ) **ბრძოლა სსრ კავშირის მუშათა კლასისა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მეგობრობის განმტკიცებისათვის;**

დ) **ბრძოლა სსრ კავშირის მუშათა კლასსა და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის კავშირის გაძლიერებისათვის.**

2) სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ხაზით:

ა) **ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომების მომზადების წინააღმდეგ;**

ბ) ბრძოლა ინგლისის ინტერვენციონისტულ ტენდენციებთან და სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება;

გ) მშვიდობის პოლიტიკა და მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება კაპიტალისტურ ქვეყნებთან;

დ) გარეშე მსოფლიოსთან ჩვენი საქონელბრუნვის გაფართოება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცების საფუძველზე;

ე) დაახლოება ეგრეთწოდებულ «სუსტ» და «არასრულუფლებიან» სახელმწიფოებთან, რომლებიც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას განიცდიან.

II

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა

ნება მომეცით, ამხანაგებო, გადავიდე ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე, პროლეტარიატის დიქტატურის ბედის, მისი განვითარების, მისი განმტკიცების საკითხზე.

ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა — ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმე წარემართა შემდეგი ძირითადი ამოცანების თვალსაზრისით:

ჯერ-ერთი, რომ ჩვენს პოლიტიკას ხელი შეეწყო საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის წარმოების უფრო და უფრო ზრდისათვის;

მეორეც, რომ პარტიის პოლიტიკას ხელი შეეწყო ინდუსტრიის განვითარების ტემპის დაჩქარებისა და მთელ სახალხო მეურნეობაში ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფისათვის;

მესამეც, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობაში უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის, მეურნეობის სოციალისტური ფორმების სულ უფრო და უფრო მზარდი ხვედრითი წონა კერძო-სასაქონლო და კაპიტალისტური სექტორების ხარჯზე;

მეოთხეც, რომ მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარება მთლიანად, ინდუსტრიის ახალი დარგების ორგანიზაცია, ნედლეულის გარკვეული დარგების განვითარება და ა. შ., — წარმართულიყო ისეთი ხაზით, რომ საერთო განვითარებას უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაქცეულიყო მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დანამატად;

მეხუთეც, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასისა და გლეხთა მასების ბლოკი და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამ ბლოკში განმტკიცებულიყო და,

მეექვსეც, რომ მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა განუხრელად ამაღლებულიყო.

რა გააკეთა ამ ამოცანების შესრულების საქმეში ჩვენმა პარტიამ, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში?

1. სახალხო მეურნეობა მთლიანად

პირველი საკითხი — სახალხო მეურნეობის განვითარება მთლიანად. მე აქ მომყავს ზოგიერთი ძირითადი ციფრი საანგარიშო პერიოდში მთლიანად სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის საკითხზე. ვიღებ ამ ციფრებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობილი გამოანგარიშებიდან. მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1927/28 წლის სა-

კონტროლო ციფრები და ხუთწლიანი გეგმის წინასწარი მონახაზი.

ა) სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის წარმოების ზრდა ორი წლის განმავლობაში. თუ 1924/25 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალი გამოანგარიშებით, შეადგენდა ომამდელი დონის 87,3 პროცენტს, ხოლო მთელი მრეწველობის პროდუქცია — ომამდელი დონის 63,7 პროცენტს, ახლა, ორი წლის შემდეგ, 1926/27 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენს უკვე 108,3 პროცენტს, მრეწველობის პროდუქცია კი — 100,9 პროცენტს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1927/28 წლის საკონტროლო ციფრებით ნავარაუდევია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი გადიდება ომამდელი დონის 111,8 პროცენტამდე, მრეწველობისა კი — 114,4 პროცენტამდე.

სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვის ზრდა ჩვენს ქვეყანაში ორი წლის მანძილზე. თუ 1924/25 წლის ბრუნვის სიდიდეს (14 613 მილიონი ჩერვ. მანეთი) მივიღებთ 100-ად, 1926/27 წელს გვაქვს ზრდა 97 პროცენტით (28 775 მილიონი მან.), ხოლო 1927/28 წლისათვის ნავარაუდევია შემდგომი ზრდა 116 პროცენტზე მეტით (33 440 მილიონი მან.).

ჩვენი საკრედიტო სისტემის განვითარება ორი წლის განმავლობაში. თუ ყველა ჩვენი საკრედიტო დაწესებულების ნაკრებ ბალანსებს 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის 100-ად მივიღებთ (5 343 მილიონი ჩერვ. მანეთი), მაშინ 1927 წლის 1 ივლისისათვის გვაქვს ზრდა 53 პროცენტით (8 175 მილიონი მან.). საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ 1927/28 წელს გვექნება ჩვენი ნაციონალიზებული საკრედიტო სისტემის შემდგომი ზრდა.

რკინიგზის ტრანსპორტის განვითარება ორი წლის განმავლობაში. თუ 1924/25 წელს მთელი ჩვენი რკინიგზის ქსელის ტვირთბრუნვა უდრიდა ომამდელი დონის 63,1

პროცენტს, ახლა, 1926/27 წელს, ჩვენ გვაქვს 99,1 პროცენტი, 1927/28 წელს კი გვექნება 111,6 პროცენტი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი რკინიგზების ქსელი გაიზარდა 74,4 ათასი კილომეტრიდან 76,2 ათას კილომეტრამდე, რაც შეადგენს 30,3 პროცენტით ზრდას ომამდელ დონესთან შედარებით და 8,9 პროცენტით ზრდას 1917 წელთან შედარებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა ორი წლის განმავლობაში. თუ ჩვენი ნაკრები ბიუჯეტი (ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი პლუს ადგილობრივი ბიუჯეტები) 1925/26 წელს შეადგენდა ომამდელის 72,4 პროცენტს (5 024 მილიონ მანეთს), ახლანდელი მომენტისათვის, ე. ი. 1927/28 წლისათვის, ნაკრები ბიუჯეტი უნდა უდრიდეს ომამდელის 110 — 112 პროცენტს (7 მილიარდ მანეთზე მეტს). ორი წლის განმავლობაში მატება უდრის 41,5 პროცენტს.

საგარეო ვაჭრობის ზრდა ორი წლის განმავლობაში. თუ 1924/25 წელს ჩვენი საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1 282 მილიონ მანეთს შეადგენდა, ე. ი. ომამდელი ბრუნვის 27 პროცენტამდე, ახლა, 1926/27 წელს, იგი უდრის 1 483 მილიონ მანეთს, ე. ი. ომამდელი დონის 35,6 პროცენტს, ხოლო 1927/28 წელს ნავარაუდევია გვქონდეს 1 626 მილიონი მანეთი, ე. ი. 37,9 პროცენტი ომამდელთან შედარებით.

საგარეო ვაჭრობის ნელი ტემპით განვითარების მიზეზები:

ჯერ-ერთი, ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩვენს საგარეო ვაჭრობას ხშირად დაბრკოლებებს უქმნიან, რაც ზოგჯერ ფარულ ბლოკადად იქცევა ხოლმე;

მეორეც, ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ ვივაჭრებთ ბურჟუაზიული ფორმულის მიხედვით: «საჭმელს დავიკლებთ, გატანით კი გავიტანთო».

აქ პლუსს წარმოადგენს 1926/27 წლის აქტიური სალდო — 57 მილიონი მანეთი — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით. ეს პირველი წელიწადია 1923/24 წლის შემდეგ, როცა საგარეო ვაჭრობის ბალანსი პლუსით დამთავრდა.

ამრიგად, ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს მთელი ნაციონალური შემოსავლის საერთო ზრდის შემდეგი სურათი: თუ მივიღებთ, რომ 1924/25 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 15 589 მილიონ ჩერვ. მანეთს შეადგენდა, მაშინ 1925/26 წელს ჩვენ გვქონდა 20 252 მილიონი მანეთი, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში 29,9 პროცენტით მატება, ხოლო 1926/27 წელს — 22 560 მილიონი მანეთი, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში 11,4 პროცენტით მატება. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით, 1927/28 წელს ჩვენ გვექნება 24 208 მილიონი მანეთი, ე. ი. 7,3 პროცენტით მატება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შეერთებული შტატების ნაციონალური შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა 3 — 4 პროცენტს არ აღემატება.(მხოლოდ ერთხელ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, შეერთებულ შტატებს ჰქონდათ ნაციონალური შემოსავლის ზრდის დაახლოებით 7 პროცენტი), ხოლო სხვა ქვეყნების, მაგალითად, ინგლისისა და გერმანიის, ნაციონალური შემოსავლის ყოველწლიური ზრდა 1 — 3 პროცენტს არ აღემატება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ **სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი უკანასკნელი წლების განმავლობაში სარეკორდოა** ევროპისა და ამერიკის დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

დასკვნა: ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა სწრაფი ტემპით იზრდება.

პარტიის ამოცანა: შემდგომ წასწიოს წინ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოების ყველა დარგში.

ბ) ჩვენში სახალხო მეურნეობის განვითარება ხდება არა ბრმად, არა პროდუქციის უბრალო რაოდენობრივი ზრდის წესით, არამედ გარკვეული, ზუსტად განსაზღვრული მიმართულებით. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტ ფაქტორებს ორი ძირითადი გარემოება წარმოადგენს.

ჯერ-ერთი, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოებს ქვეყნის **ინდუსტრიალიზაციის ნიშნით,** სოფლის მეურნეობის მიმართ მრეწველობის მზარდი როლის ნიშნით.

მეორეც, სახალხო მეურნეობის განვითარება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობს **იმ მიმართულებით, რომ გადიდდეს მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონა და მბრძანებელი როლი** როგორც წარმოების დარგში, ისე საქონელბრუნვის დარგში, კერძო-სასაქონლო და კაპიტალისტური სექტორების ხარჯზე.

ციფრები სახალხო მეურნეობის სისტემაში (ტრანსპორტისა და ელექტროფიკაციის გამოკლებით) მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდის შესახებ. თუ მრეწველობის საერთო პროდუქციის წილი სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის მიმართ 1924/25 წელს ომამდელი ფასებით შეადგენდა 32,4 პროცენტს, სოფლის მეურნეობის წილი კი — 67,6 პროცენტს, 1926/27 წელს მრეწველობის წილი გაიზარდა 38 პროცენტამდე, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა 62 პროცენტამდე. 1927/28 წელს მრეწველობის წილი უნდა გაიზარდოს 40,2 პროცენტამდე, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი უნდა შემცირდეს 59,8 პროცენტამდე.

ციფრები ინდუსტრიის ძირითადი ღერძის — **წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოების** ხვედრითი წონის ზრდისა **მთელი** მრეწველობის მიმართ ორი წლის განმავლობაში: 1924/25 წელს წარმოების საშუალებათა წარმოების წილი უდრიდა 34,1 პროცენტს, 1926/27 წელს — 37,6 პროცენტს, ხოლო 1927/28 წელს ნავარაუდევია აყვანილ იქნას 38,6 პროცენტამდე.

ციფრები წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის ზრდისა **სახელმწიფო** მსხვილ მრეწველობაში ორი წლის მანძილზე: 1924/25 წელს — 42,0 პროც., 1926/27 წელს — 44,0 პროც., ხოლო 1927/28 წელს ნავარაუდევია აყვანილ იქნას 44,9 პროცენტამდე.

რაც შეეხება მრეწველობის **სასაქონლო** პროდუქციას და მის ხვედრით წონას საქონლის მთელ მასაში, მრეწველობის წილი ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 53,1 პროცენტიდან 1924/25 წელს 59,5 პროცენტამდე 1926/27 წელს, ხოლო 1927/28 წელს მან უნდა მიაღწიოს 60,7 პროცენტს, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წილი 1924/25 წელს შეადგენდა 46,9 პროცენტს, 1926/27 წელს შემცირდა 40,5 პროცენტამდე, 1927/28 წელს კი უნდა შემცირდეს 39,3 პროცენტამდე.

დასკვნა: ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიული ქვეყანა ხდება.

პარტიის ამოცანა: ყოველი ღონისძიებით შემდგომ წასწიოს წინ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ციფრები მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონის და მბრძანებელი როლის ზრდისა კერძო-სასაქონლო და კაპიტალისტური სექტორების ხარჯზე ორი წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის (სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობა, ტრანსპორტი, ელექტროფიკაცია და ა. შ.) **კაპიტალური დაბანდებანი** გაიზარდა 1 231 მილიონი მანეთიდან 1924/25 წელს 2 683 მილიონ მანეთამ-

დე 1926/27 წელს, ხოლო 1927/28 წელს დაბანდებანი უნდა გაიზარდოს 3 456 მილიონ მანეთამდე, რაც შეადგენს დაბანდებათა ზრდას 43,8 პროცენტიდან 1924/25 წელს 65,3 პროცენტამდე 1927/28 წელს, — სახალხო მეურნეობის არაგანსაზოგადოებული სექტორის დაბანდებანი შედარებით მუდამ კლებულობდა და მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდებოდა აბსოლუტური ციფრებით: 1 577 მილიონი მანეთიდან 1924/25 წელს 1 717 მილიონ მანეთამდე 1926/27 წელს, 1927/28 წელს კი უნდა ავიდეს 1 836 მილიონ მანეთამდე, რაც იძლევა არაგანსაზოგადოებული სექტორის დაბანდებათა ხვედრითი წონის **დაცემას** 56,2 პროცენტიდან 1924/25 წელს 34,7 პროცენტამდე 1927/28 წელს.

იმ დროს როცა **მრეწველობის** განსაზოგადოებული სექტორის **საერთო პროდუქცია** 81 პროცენტიდან 1924/25 წელს გაიზარდა მთელი მრეწველობის პროდუქციის 86 პროცენტამდე 1926/27 წელს, ხოლო 1927/28 წელს უნდა გაიზარდოს 86,9 პროცენტამდე, — მრეწველობის არაგანსაზოგადოებული სექტორის როლი წლითი-წლობით ეცემოდა: მთელი მრეწველობის პროდუქციის 19 პროცენტიდან 1924/25 წელს 14 პროცენტამდე 1926/27 წელს, ხოლო 1927/28 წელს უნდა შემცირდეს 13,1 პროცენტამდე.

რაც შეეხება კერძო კაპიტალის როლს **მსხვილ** (ცენზიან) მრეწველობაში, ის ეცემა არა მარტო შედარებით (3,9 პროც. 1924/25 წელს და 2,4 პროც. 1926/27 წელს), არამედ აბსოლუტურადაც (169 მილიონი ომამდელი მანეთი 1924/25 წელს და 165 მილიონი ომამდელი მანეთი 1926/27 წელს).

კერძო-კაპიტალისტური ელემენტების ასეთივე უკანდაწევა გვაქვს ჩვენი ქვეყნის **საქონელბრუნვის** დარგში. იმ დროს როცა განსაზოგადოებული სექტორის წილი

მთელ სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვაში 1924/25 წელს შეადგენდა 72,6 პროცენტს, საბითუმო ვაჭრობაში — 90,6 პროცენტს, საცალო ვაჭრობაში კი — 57,3 პროცენტს, 1926/27 წელს განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა მთელ ბრუნვაში გაიზარდა 81,9 პროცენტამდე, საბითუმო ვაჭრობაში — 94,9 პროცენტამდე, საცალო ვაჭრობაში — 67,4 პროცენტამდე, მაშინ როცა კერძო სექტორის წილი ამავე ხნის განმავლობაში დაეცა მთელ სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვაში 27,4 პროცენტიდან 18,1 პროცენტამდე, საბითუმო ვაჭრობაში — 9,4 პროცენტიდან 5,1 პროცენტამდე, საცალო ვაჭრობაში — 42,7 პროცენტიდან 32,6 პროცენტამდე, ამასთან 1927/28 წელს ნავარაუდევია კერძო სექტორის ხვედრითი წონის შემდგომი შემცირება ყველა სახის ვაჭრობაში.

დასკვნა: ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და სწრაფად მიდის წინ, სოციალიზმისაკენ, უკან სწევს და თანდათან აძევებს სახალხო მეურნეობიდან კაპიტალისტურ ელემენტებს.

ეს ფაქტი ააშკარავებს ჩვენს წინაშე საკითხის — «ვინ — ვის» საფუძველს. ეს საკითხი დააყენა ლენინმა 1921 წელს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ. შევძლებთ თუ არა ჩვენი სოციალიზებული ინდუსტრიის დაკავშირებას გლეხურ მეურნეობასთან, კერძო ვაჭრის, კერძო კაპიტალისტის განდევნას და ვაჭრობის შესწავლას, თუ კერძო კაპიტალი დაგვძლევს, ჩამოაგდებს განხეთქილებას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, — აი როგორ იდგა მაშინ საკითხი. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად ამ დარგში ჩვენ უკვე გვაქვს გადამწყვეტი წარმატებანი. ამის უარყოფა მხოლოდ ბრმებს ან ჭკუაზე გადამცდართ თუ შეუძლიათ.

მაგრამ ახლა საკითხი «ვინ — ვის» უკვე სხვა ხასიათს იღებს. ახლა ეს საკითხი ვაჭრობის დარგიდან გადადის წარ-

მოების დარგში, შინამრეწველური წარმოების დარგში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, სადაც კერძო კაპიტალს აქვს თავისი გარკვეული ხვედრითი წონა და საიდანაც საჭიროა მისი სისტემატურად განდევნა.

პარტიის ამოცანა: გააფართოოს და განამტკიცოს ჩვენი სოციალისტური მბრძანებელი მაღლობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ამასთან კურსი ეჭიროს სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისაკენ.

2. ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობის განვითარების ტემპი

ა) იზრდება პროდუქცია მსხვილი ნაციონალიზებული მრეწველობისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის **მთელი** მრეწველობის 77 პროცენტზე მეტს შეადგენს. თუ 1925/26 წელს მსხვილი ნაციონალიზებული მრეწველობის პროდუქციის მატება (ომამდელი მანეთებით), წინა წელთან შედარებით, შეადგენდა 42,2 პროცენტს, 1926/27 წელს — 18,2 პროცენტს, 1927/28 წელს კი უნდა შეადგინოს 15,8 პროცენტი, მაშინ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი და მნიშვნელოვნად შემცირებული ხუთწლიანი ვარაუდით, პროდუქცია ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 76,7 პროცენტით, ამასთან პროდუქციის საშუალო-არითმეტიკული ყოველწლიური ზრდა მიაღწევს 15 პროცენტს და სამრეწველო პროდუქცია 1931/32 წელს **ერთიორად** გადიდდება ომამდელ დონესთან შედარებით.

თუ ავიღებთ ჩვენი ქვეყნის მთელი მრეწველობის, როგორც მსხვილი (სახელმწიფო და კერძო), ისე წვრილი მრეწველობის, საერთო პროდუქციას, მაშინ პროდუქციის ყოველწლიური საშუალო-არითმეტიკული მატება, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი ვარაუდით, შეად-

გენს დაახლოებით 12 პროცენტს, რაც 1931/32 წელს მოგვცემს მთელი სამრეწველო პროდუქციის თითქმის 70 პროცენტით გადიდებას ომამდელ დონესთან შედარებით.

ამერიკაში მთელი სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა შეადგენდა ხუთწლედების მიხედვით: 1890 — 1895 წლებში — 8,2 პროცენტს, 1895 — 1900 წლებში — 5,2 პროცენტს, 1900 — 1905 წლებში — 2,6 პროცენტს, 1905 — 1910 წლებში — 3,6 პროცენტს. რუსეთში ათი წლის მანძილზე — 1895 — 1905 წლებში — საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 10,7 პროცენტს, რვა წლის განმავლობაში — 1905 — 1913 წლებში — 8,1 პროცენტს.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის, აგრეთვე მთელი მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური ზრდის პროცენტი არის სარეკორდო პროცენტი, როგორიც არა აქვს არც ერთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანას მთელ მსოფლიოში.

და ეს — მიუხედავად იმისა, რომ როგორც ამერიკის მრეწველობა, ისე, განსაკუთრებით, რუსეთის ომამდელი მრეწველობა უხვად ნაყოფიერდებოდა უცხოეთის კაპიტალის მძლავრი მოზღვავებით, მაშინ როდესაც ჩვენი ნაციონალიზებული მრეწველობა იძულებულია დაეყრდნოს თავის საკუთარ დაგროვებას.

და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაციონალიზებული მრეწველობა უკვე შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში, როცა ძველი ქარხნების ხელახლა მოწყობას და ახალი ქარხნების მშენებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სამრეწველო პროდუქციის ზრდისათვის.

თავისი განვითარების ტემპით ჩვენი მრეწველობა საერთოდ, ჩვენი სოციალისტური მრეწველობა განსაკუთრებით, წინ უსწრებს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარებას.

ბ) რით აიხსნება ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარების ეს არაჩვეულებრივი ტემპი?

ჯერ-ერთი, იმით, რომ ის არის ნაციონალიზებული მრეწველობა, რის გამოც იგი თავისუფალია კერძო-კაპიტალისტური ჯგუფების ანგარებითი და ანტისაზოგადოებრივი ინტერესებისაგან და შესაძლებლობა აქვს განვითარდეს მთლიანად საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით.

მეორეც, იმით, რომ ის არის ყველაზე უფრო მსხვილი და ყველაზე უფრო კონცენტრირებული მრეწველობა მსოფლიოში არსებულ ყველა მრეწველობათა შორის, რის გამოც მას აქვს ყველა შესაძლებლობა — დაამარცხოს კერძო კაპიტალისტური მრეწველობა.

მესამეც, იმით, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ხელთ უპყრია ნაციონალიზებული ტრანსპორტი, ნაციონალიზებული კრედიტი, ნაციონალიზებული საგარეო ვაჭრობა, საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი, აქვს ყველა შესაძლებლობა — გეგმიანი წესით უხელმძღვანელოს ნაციონალიზებულ მრეწველობას, როგორც ერთიან სამრეწველო მეურნეობას, რაც უდიდეს უპირატესობას იძლევა ყოველგვარი სხვა მრეწველობის წინაშე და რაც ბევრად უფრო აჩქარებს მისი განვითარების ტემპს.

მეოთხეც, იმით, რომ ნაციონალიზებულ მრეწველობას, როგორც ყველაზე უფრო მსხვილსა და ყველაზე უფრო მძლავრ მრეწველობას, აქვს ყველა შესაძლებლობა — გაატაროს თვითღირებულების განუხრელად შემცირების, გასაცემი ფასების დაკლებისა და თავისი პროდუქციის გაიაფების პოლიტიკა, რითაც იგი აფართოებს ბაზარს თავისი პროდუქციისათვის, ადიდებს საშინაო ბაზრის ტევადობას და ქმნის თავისთვის მუდმივად მზარდ წყაროს წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

მეხუთეც, იმით, რომ ნაციონალიზებულ მრეწველობას, მრავალი მიზეზის გამო, სხვათა შორის იმიტომაც, რომ იგი ადგას ფასების დაკლების პოლიტიკას, შეუძლია განვითარდეს ქალაქსა და სოფელს შორის, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის თანდათანობითი დაახლოების პირობებში, წინააღმდეგ კაპიტალისტური მრეწველობისა, რომელიც ვითარდება ისეთ პირობებში, როცა იზრდება მტრობა გლეხობის მყვლეფავ ბურჟუაზიულ ქალაქსა და გაჩანაგების გზაზე შემდგარ სოფელს შორის.

ბოლოს, იმით, რომ ნაციონალიზებული მრეწველობა ეყრდნობა მუშათა კლასს, როგორც მთელი ჩვენი განვითარების ჰეგემონს, რის გამოც მას შესაძლებლობა აქვს უფრო ადვილად განავითაროს ტექნიკა საერთოდ, შრომის ნაყოფიერება კერძოდ, და გაატაროს მრეწველობისა და მმართველობის რაციონალიზაცია, რადგან მას მხარს უჭერენ მუშათა კლასის ფართო მასები, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს მრეწველობის კაპიტალისტური სისტემის დროს.

ყოველივე ამას უდავოდ მოწმობს ჩვენი ტექნიკის სწრაფი ზრდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და მრეწველობის ახალი დარგების სწრაფი განვითარება (მანქანათმშენებლობა, დაზგათმშენებლობა, ტურბინმშენებლობა, ავტო-ავიამშენებლობა, ქიმია და სხვ.).

ამას მოწმობს აგრეთვე წარმოების რაციონალიზაცია, რომელიც ჩვენში ტარდება ისეთ პირობებში, **როცა** მცირდება სამუშაო დღე (7-საათიანი სამუშაო დღე) და **როცა** განუხრელად უმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დროს.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების უმაგალითო ტემპი აშკარად და უდავოდ ადასტურებს წარ-

მოების საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ლენინი მართალი იყო, როცა ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღებამდე, ამბობდა, რომ ჩვენ, დავამყარებთ რა პროლეტარიატის დიქტატურას, შეგვიძლია და უნდა «დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ **აგრეთვე ეკონომიურადაც**» (ტ. XXI, გვ. 191).

პარტიის ამოცანა: განამტკიცოს სოციალისტური მრეწველობის განვითარების მიღწეული ტემპი და გააძლიეროს იგი უახლოეს მომავალში, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

3. ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი

ა) სოფლად, პირიქით, ჩვენ გვაქვს პროდუქციის შედარებით ნელი ზრდა. თუ 1925/26 წელს საერთო პროდუქციის მატება (ომამდელი მანეთებით), წინა წელთან შედარებით, შეადგენდა 19,2 პროცენტს, 1926/27 წელს — 4,1 პროცენტს, 1927/28 წელს მიაღწევს 3,2 პროცენტს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი და მნიშვნელოვნად შემცირებული ხუთწლიანი ვარაუდით პროდუქციის მატება ხუთი წლის განმავლობაში უნდა გამოიხატოს 24 პროცენტით, ამასთან პროდუქციის ყოველწლიური საშუალო-არითმეტიკული მატება — 4,8 პროცენტით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა 1931/32 წელს — 26 — 30 პროცენტით ომამდელ პროდუქციასთან შედარებით.

ეს არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მეტად თუ ნაკლებად მისაღები ყოველწლიური ზრდა. მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს არც სარეკორდოდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, არც

საკმარისად იმისათვის, რომ მომავალში შევინარჩუნოთ საჭირო წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და ჩვენს ნაციონალიზებულ მრეწველობას შორის.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა უდრიდა ათწლედების მიხედვით: 1890 — 1900 წლებში — 9,3 პროცენტს, 1900 — 1910 წლებში — 3,1 პროცენტს, 1910 — 1920 წლებში — 1,4 პროცენტს. ომამდელ რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყოველწლიური ზრდა ათწლედში — 1900 — 1911 წლებში — უდრიდა 3,2 — 3,5 პროცენტს.

მართალია, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა ხუთი წლის — 1926/27 — 1931/32 წლების განმავლობაში უნდა გამოიხატოს 4,8 პროცენტით, ამასთან, როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატების პროცენტი საბჭოთა პირობებში გაიზარდა კაპიტალისტური რუსეთის პერიოდში მიღწეულ მატებასთან შედარებით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, მაშინ როდესაც ნაციონალიზებული მრეწველობის საერთო პროდუქცია 1931/32 წელს **ერთიორად** გადიდდება მრეწველობის ომამდელ პროდუქციასთან შედარებით, ხოლო მთელი მრეწველობის პროდუქცია 1931/32 წელს გადააჭარბებს ომამდელ დონეს დაახლოებით **70** პროცენტით, — სოფლის მეურნეობის პროდუქცია იმავე დროისათვის გადააჭარბებს ომამდელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მხოლოდ 28 — 30 პროცენტით, ე. ი. **მესამედზე ნაკლებით.**

ამის გამო ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი არ შეიძლება საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ბ) რით უნდა აიხსნას სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი შედარებით ნელი ტემპი ჩვენი ნაციონალიზებული მრეწველობის განვითარების ტემპთან შედარებით?

ეს აიხსნება როგორც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მეტისმეტი ჩამორჩენილობით და სოფლის კულტურული მდგომარეობის ერთობ დაბალი დონით, ისე, განსაკუთრებით, იმით, რომ ჩვენს დაქსაქსულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არა აქვს ის უპირატესობანი, რომლებიც აქვს ჩვენს მსხვილ გაერთიანებულ ნაციონალიზებულ მრეწველობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოება, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალიზებული და გაერთიანებული კი არ არის, არამედ დაქსაქსული და გაფანტულია ნაკუწებად. მისი გაძღოლა არ ხდება გეგმიანი წესით და ჯერჯერობით იგი უმეტესად ემორჩილება წვრილი წარმოების სტიქიას. ის გაერთიანებული და გამსხვილ-ერთეულებული არ არის კოლექტივიზაციის ხაზით, რის გამოც ჯერ კიდევ წარმოადგენს ხელსაყრელ სარბიელს ექსპლოატაციისათვის კულაკური ელემენტების მხრივ. ეს გარემოებანი უსპობენ დაქსაქსულ სოფლის მეურნეობას მსხვილი, გაერთიანებული და გეგმიანი წესით მოწყობილი წარმოების იმ კოლოსალურ უპირატესობებს, რომლებიც აქვს ჩვენს ნაციონალიზებულ მრეწველობას.

სად არის გამოსავალი სოფლის მეურნეობისათვის? იქნებ, გამოსავალია საერთოდ ჩვენი მრეწველობის და კერძოდ ჩვენი ნაციონალიზებული მრეწველობის განვითარების ტემპის შენელება? არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა უაღრესად რეაქციული, ანტიპროლეტარული უტოპია. (ხ მ ე ბ ი: «მართალია!»). ნაციონალიზებული მრეწველობა უნდა განვითარდეს და განვითარდება დაჩქარებული ტემპით. ეს არის გარანტია ჩვენი წინსვლისა სოციალიზმისაკენ. ეს არის გარანტია იმისა, რომ, ბოლოს და

ბოლოს, ინდუსტრიალიზებული იქნება თვით სოფლის მეურნეობაც.

მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალია წვრილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნა მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საფუძველზე, გადასვლა მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე ახალი, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

გამოსავალი ის არის, რომ წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობანი თანდათან, მაგრამ განუხრელად, არა იძულებით, არამედ მაგალითის ჩვენებით და დარწმუნების წესით, გავაერთიანოთ მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი, ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, ამასთან გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები, გამოვიყენოთ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხები.

სხვა გამოსავალი არ არსებობს.

უამისოდ ჩვენი სოფლის მეურნეობა ვერც დაეწევა და ვერც გაუსწრებს სოფლის მეურნეობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს (კანადა და სხვ.).

ყველა ჩვენი ღონისძიება, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა, სოფლად სოციალისტური ელემენტების განვითარება, გლეხური მეურნეობათა მოქცევა კოოპერაციული განვითარების კალაპოტში, სახელმწიფოს გეგმიანი ზემოქმედება სოფელზე როგორც მომარაგებისა და გასაღების, ისე წარმოების მხრივ გლეხური მეურნეობის მოსაცავად, — ყველა ეს ღონისძიება, მართალია, გადამწყვეტი ხასიათისაა, მაგრამ მაინც წარმოადგენს მოსამზადებელ ღონისძიებებს კოლექტივიზმის რელსებზე სოფლის მეურნეობის გადასაყვანად.

გ) რა გააკეთა პარტიამ ამ მიმართულებით ორი წლის განმავლობაში? ამ მხრივ ცოტა რამ არ არის გაკეთებული

ძაგრამ მაინც ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის, ასე ვთქვათ, **გარედან** მოცვას — საჭირო ნაწარმით სოფლის მეურნეობის მომარაგებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების მხრივ, ჩვენ აქ გვაქვს შემდეგი მიღწევები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ახლა აერთიანებს ყველა გლეხური კომლის დაახლოებით ერთ მესამედს; სამომხმარებლო კოოპერაციამ სოფლის მომარაგება გაადიდა 25,6 პროცენტიდან 1924/25 წელს 50,8 პროცენტამდე 1926/27 წელს; კოოპერაციულმა და სახელმწიფო ორგანიებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება გაადიდეს 55,7 პროცენტიდან 1924/25 წელს 63 პროცენტამდე 1926/27 წელს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის, ასე ვთქვათ, **შიგნიდან** მოცვას — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხაზით, ამ დარგში ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ამჟამად იძლევიან მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 2 პროცენტზე ცოტა მეტს და სასაქონლო პროდუქციის 7 პროცენტზე ცოტა მეტს.

მიზეზი აქ, რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური. საქმისადმი უხეირო მიდგომა, არასაკმარო ყურადღება ამ საქმისადმი ჩვენი მუშაკების **მხრით**, გლეხების კონსერვატიზმი და ჩამორჩენილობა, იმ საშუალებათა ნაკლებობა, რაც საჭიროა მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გლეხთა გადაყვანის საქმის დასაფინანსებლად, და სხვ. აქ კი ცოტა საშუალებანი როდია საჭირო.

ლენინი X ყრილობაზე ამბობდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ფონდები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სოფ-

ლის მეურნეობა სახელმწიფოებრივ ან კოლექტიურ საწყისს დავუქვემდებაროთო. მე ვფიქრობ, რომ ეს ფონდები ახლა გვექნება, და ისინი დროთა განმავლობაში უნდა გაიზარდოს. ამავე დროს კი საქმე ისეთ მიმართულებას იღებს, რომ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაუერთიანებლად, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე მათ გადაუყვანლად შეუძლებელია სერიოზულად წავწიოთ წინ როგორც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ისე მანქანიზაცია, შეუძლებელია საქმის ისე დაყენება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა თავისი განვითარების ტემპით დაეწიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა, მაგალითად, კანადა.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ჩვენი სოფლის მუშაკების მთელი ყურადღება მივაპყროთ ამ მნიშვნელოვან საქმეზე.

მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანოებთან არსებულმა გასაქირავებელმა პუნქტებმა უდიდესი როლი უნდა შეასრულონ.

აი ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ ზოგჯერ როგორ ეხმარებიან საბჭოთა მეურნეობანი გლეხებს მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე გადასვლაში, რაც უაღრესად ხელსაყრელია გლეხებისათვის. მე მხედველობაში მაქვს ის დახმარება, რაც აღმოუჩინა უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებამ ოდესის რაიონის გლეხებს ტრაქტორებით, და გაწეული დახმარებისათვის ამ გლეხების სამადლობელი წერილი, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა «იზვესტიაში». ნება მომეცით წავიკითხო წერილის ტექსტი. (ხმები: «გთხოვთ!»).

«ჩვენ, **შევჩენკოს, კრასინის, კალინინის სახელობის, «ჩერვონა ზირკას» და «ვოსხოდიაშჩეე სოლნცეს»** ხუტორებში დასახლებულნი, უღრმეს მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხელისუფლებას იმ უდიდესი

დახმარებისათვის, რაც აღმოგვიჩინეს ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში. უმრავლესობა ჩვენგანი ღარიბია, უცხენო და უინვენტარო, — ჩვენ არ შეგვეძლო დაგვემუშავებინა ჩვენთვის გამოყოფილი მიწა და **იძულებული ვხდებოდით მიწა იჯარით გვეძლია მკვიდრი მცხოვრები კულაკებისათვის მოსავლის წილში.** მოსავალი ძალიან ცუდი მოდიოდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მოიჯარე კარგად არ დაამუშავებს სხვის მიწას. იმ მცირე კრედიტებს, რასაც სახელმწიფოსაგან ვიღებდით, კვებაზე ვხარჯავდით და წლითი-წლობით უფრო და უფრო ვღარიბდებოდით.

წელს ჩვენთან მოვიდა უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების წარმომადგენელი და წინადადება მოგვცა, რომ, ფულადი კრედიტის ნაცვლად, ტრაქტორებით დაამუშავებდა ჩვენს მიწას. ყველა ახალი მოსახლე, გარდა ცალკეული კულაკებისა, დათანხმდა, თუმცა ნაკლებად სჯეროდათ, რომ სამუშაო რიგიანად იქნებოდა შესრულებული. ჩვენდა დიდად სასიხარულოდ და კულაკების გულის **გასახეთქად, ტრაქტორებმა** მოხნეს მთელი ყამირი და ნასვენი ანეული, 5 — 6-ჯერ გადახნეს და დაფარცხეს სარეველა ბალახებისაგან გასაწმენდად და, ბოლოს, მთელ მინდორზე დათესეს სუფთა ჯიშის ხორბალი. ახლა კულაკები ველარ დასცინიან ტრაქტორების რაზმის მუშაობას. წელს ჩვენს რაიონში გლეხებს უწვიმობის გამო თითქმის არ დაუთესიათ შემოდგომის ხორბალი, იმ მიწებზე კი, სადაც დაითესა, ჯერ კიდევ არ ამოსულა. **ხოლო ჩვენს, ახლად დასახლებულთა მინდვრებში ასეული დესეტინობით ანეულზე მწვანედ ბიბინებს საუცხოო ჯიშის ჯეჯილი, როგორიც არ არის გერმანელთა არც ერთ უმდიდრეს კოლონიაში.**

შემოდგომის ხორბლის დათესვის გარდა, ტრაქტორებმა მზრალად მოხნეს მთელი ფართობი საგაზაფხულო პურეულის დასათესად. **ახლა ჩვენ არა გვაქვს არც ერთი დესეტინა მიწა, რომელიც გამოუყენებელი ან იჯარით გაცემული იყოს. ჩვენში არ არის არც ერთი ღარიბი გლეხი, რომელსაც არ ჰქონდეს რამდენიმე დესეტინა ანეულზე ნათესი საშემოდგომო ხორბალი.**

ტრაქტორების იმ მუშაობის შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ, ჩვენ აღარ გვინდა მივდიოთ ღარიბულ წვრილ მეურნეობას, და **გადავწყვიტეთ მოვაწყოთ განსაზოგადოებული სატრაქტორო მეურნეობა, რომელშიც აღარ იქნება გლეხთა ცალკეული პაწაწა ნაკვეთი ნათესები.** ჩვენთვის სატრაქტორო მეურნეობის მოწყობა უკვე იკისრა ტარას

შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელთანაც დავდებით ხელშეკრულება». («იზვესტია» № 267, 1927 წლის 22 ნოემბერი).

ასე წერენ გლეხები.

უფრო და უფრო მეტი ასეთი მაგალითი, ამხანაგებო, და მაშინ შეიძლება სოფლის კოლექტივიზაციის საქმე დიდად წავწიოთ წინ.

პარტიის ამოცანა: უფრო ფართოდ იქნას მოცული გლეხური მეურნეობა კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის გასაღებისა და მომარაგების ხაზით და სოფლად ჩვენი მშენებლობის მთრიგ პრაქტიკულ ამოცანად დაისვას დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გადაყვანა გაერთიანებულ, მსხვილ მეურნეობათა რელსებზე, მიწის საზოგადოებრივ, კოლექტიურ დამუშავებაზე მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისა და მანქანიზაციის საფუძველზე, იმ ანგარიშით, რომ განვითარების ასეთი გზა არის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებისა და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

*

ასეთია მთლიანად შედეგები და მიღწევები სამეურნეო მშენებლობის დარგში.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ამ დარგში ყველაფერი რიგზე გვქონდეს. არა, ამხანაგებო, ჩვენ ბევრი რამ არა გვაქვს რიგზე.

ჩვენ გვაქვს, მაგალითად, საქონლის დიდი ნაკლებობის ელემენტები. ეს მინუსია ჩვენს მეურნეობაში. მაგრამ მინუსი ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, გარდუვალი. ვინაიდან ის ფაქტი, რომ ჩვენ წარმოების იარაღთა და საშუალებათა წარმოებას ვავითარებთ უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მსუბუქ მრეწველობას, — ეს ფაქტი თავისთავად წინასწარ

განსაზღვრავს, რომ ჩვენ საქონლის ნაკლებობის ელემენტები ჯერ კიდევ გვექნება მთელი რიგი უახლოესი წლების განმავლობაში. მაგრამ ჩვენ სხვანაირად არ შეგვიძლია მოვიქცეთ, თუ გვინდა ყოველნაირად წინ წავწიოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

არიან ადამიანები, მაგალითად, ჩვენი ოპოზიცია, რომლებიც მასალებს თავიანთი იდეოლოგიისათვის აგროვებენ სპეკულანტთა კუდებში, გაჰყვირიან საქონლის დიდ ნაკლებობაზე და ამავე დროს მოითხოვენ «ზეინდუსტრიალიზაციის» პოლიტიკის გატარებას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, ამხანაგებო. ასე მხოლოდ უვიცებს შეუძლიათ ილაპარაკონ. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა შევკვეცოთ მძიმე ინდუსტრია მსუბუქი მრეწველობის ყოველნაირად განვითარების გულისთვის. თანაც, მსუბუქი მრეწველობის საკმაოდ განვითარება შეუძლებელია ისე, თუ არ დაჩქარდა მძიმე ინდუსტრიის განვითარება.

შეიძლებოდა გაგვედიდებინა მზა საქონლის შემოტანა და ამრიგად შეგვემსუბუქებინა საქონლის დიდი ნაკლებობა, რასაც ერთ დროს დაჟინებით მოითხოვდა ოპოზიცია. მაგრამ ეს ისეთი სისულელეა, რომელზედაც ოპოზიცია იძულებული გახდა უარი ეთქვა. სხვა საკითხია, თუ რამდენად უნარიანად ვუძღვებით ჩვენ იმ საქმეს, რომ შევამსუბუქოთ საქონლის დიდი ნაკლებობის ელემენტები, რაც სავსებით შესაძლებელია ჩვენს პირობებში და რასაც ყოველთვის დაჟინებით მოითხოვდა პარტია. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ დარგში არ არის ჩვენში ყველაფერი რიგზე.

შემდეგ, არის ისეთი ფაქტი, როგორიცაა კაპიტალისტების შედარებით არამცირე რაოდენობა როგორც მრეწველობის დარგში, ისე ვაჭრობის დარგში. ამ ელემენტების ხვედრითი წონა არც ისე მცირეა, როგორც ეს ზოგჯერ წარმოდგენილი აქვს ზოგიერთ ამხანაგს. ესეც მინუსია ჩვენი მეურნეობის ბალანსში.

ამას წინათ წავიკითხე ამხ. ლარინის ყოველმხრივ საინტერესო წიგნი: «კერძო კაპიტალი სსრ კავშირში». ვურჩევ ამხანაგებს წაიკითხონ ეს წიგნი. თქვენ ამ წიგნიდან დაინახავთ, თუ როგორ მარჯვედ და მოხერხებულად ეფარება კაპიტალისტი სარეწაო კოოპერაციის დროშას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დროშას, ამა თუ იმ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოს დროშას. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ შევზღუდოთ, შევკვეცოთ და განვდევნოთ, ბოლოს და ბოლოს, კაპიტალისტური ელემენტები სახალხო მეურნეობის სფეროდან? ვფიქრობ, რომ ყველაფერი არ კეთდება. მე ვიცი, მაგალითად, რომ შინამრეწველობის დარგში საერთოდ, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობის დარგში კერძოდ, ცოტანი როდი არიან ახალი მილიონერები, რომლებიც იმონებენ შინამრეწველებს და საერთოდ წვრილ მწარმოებლებს. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ გარშემოვერტყათ და განვდევნოთ ეკონომიურად ეს ექსპლოატატორული ელემენტები და შევაკავშიროთ შინამრეწველნი კოოპერაციასთან ან სახელმწიფო ორგანოებთან? არა მგონია საეჭვო იყოს, რომ ამ დარგში სრულიადაც არ კეთდება ყველაფერი. ამავე დროს კი ამ საკითხს ჩვენთვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ, ჩვენ ვხედავთ კულაკობის ერთგვარ ზრდას სოფლად. ეს მინუსია ჩვენი მეურნეობის ბალანსში. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ შევზღუდოთ და გავაცალკევოთ ეკონომიურად კულაკობა? ვფიქრობ, რომ ყველაფერი არ კეთდება. მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კულაკს შეიძლება და საჭიროცაა ბოლო მოვუღოთ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა წესით, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საშუალებით: ბრძანე, ბეჭედი დაასვი, მორჩა და გათავდა. ეს იოლი საშუალებაა, მაგრამ სრულიადაც არ არის ნამდვილი საშუალება. კულაკი უნდა დავძლიოთ ეკონომიური ხასიათის ღო-

ნისძიებებით და საბჭოთა კანონიერების საფუძველზე. საბჭოთა კანონიერება კი ცარიელი ფრაზა როდია. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს კულაკის წინააღმდეგ ზოგიერთი აუცილებელი ადმინისტრაციული ზომის გამოყენებას. მაგრამ ადმინისტრაციულმა ზომებმა არ უნდა დაიჭირონ ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა ადგილი. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი კოოპერაციული ორგანოების პრაქტიკაში პარტიული ხაზის დამახინჯებებს კულაკობასთან ბრძოლის დარგში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით.

შემდეგ, ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტი, როგორიც არის მრეწველობაში თვითღირებულების, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების და, განსაკუთრებით, ქალაქის საქონლის საცალო ფასების დაკლების უაღრესად ნელი ტემპი. ესეც მინუსია ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ბალანსში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქ ჩვენ ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას აპარატის, როგორც სახელმწიფო და კოოპერაციული, ისე პარტიული აპარატის მხრივ. ჩვენს ამხანაგებს, ალბათ, არ ესმით, რომ სამრეწველო საქონლის ფასების დაკლების პოლიტიკა არის ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესების, ბაზრის გაფართოებისა და თვით იმ წყაროს გაძლიერების ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი, რომლის ბაზაზე შეიძლება მხოლოდ გაიშალოს ჩვენი ინდუსტრია. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ მხოლოდ ულმობელი ბრძოლით აპარატის ამ უძრაობასთან, აპარატის ამ წინააღმდეგობასთან ფასების დაკლების პოლიტიკის გატარების საქმეში შევძლებთ ჩვენ ამ მინუსის აღმოფხვრას.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს ისეთი მინუსები, როგორიც არის არაყი ბიუჯეტში, საგარეო ვაჭრობის განვითარების მეტად ნელი ტემპი და რეზერვების ნაკლებობა. მე ვფიქრობ, შეიძლება დავიწყოთ არაყის გამოშვების თანდათანი შეკვეცა და, არაყის ნაცვლად, შემოსავლის ისეთი წყაროების გამოყენე-

ბა, როგორიცაა რადიო და კინო. მართლაც, რატომ არ უნდა ავიღოთ ხელში ეს უმნიშვნელოვანესი საშუალებანი და არ მივუჩინოთ ამ საქმეს დამკვრელი ადამიანები ნამდვილ ბოლშევიკთაგან, რომლებსაც შეეძლებოდათ წარმატებით გაეშალათ საქმე და, ბოლოს, მოეცათ შესაძლებლობა — შეგვეკვეცა არაყის გამოშვება?

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, მე მგონია, რომ მთელი რიგი სიძნელენი, რომლებიც მეურნეობის დარგში გვაქვს, აიხსნება ექსპორტის ნაკლებობით. შეგვიძლია თუ არა წავწიოთ წინ ექსპორტის საქმე? ვფიქრობ, რომ შეგვიძლია. კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ რაც შეიძლება გავაფართოოთ ექსპორტი? ვფიქრობ, რომ ყველაფერი არ კეთდება.

იგივე უნდა ითქვას რეზერვების შესახებ. მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ხან მოუფიქრებლობის გამო, ხან კიდევ საქმის გაუცნობლობის გამო ამბობენ, ჩვენ რეზერვები არა გვაქვსო. არა, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ზოგი რამ რეზერვი. ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანო, დაწყებული სამაზრო და საგუბერნიო ორგანოებით და გათავებული საოლქო და ცენტრალური ორგანოებით, ცდილობს შემოინახოს ზოგი რამ შავი დღისათვის. მაგრამ ეს რეზერვები ცოტაა. ეს უნდა ვაღიაროთ. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ გავადიდოთ რეზერვები რამდენადაც შესაძლოა, ხანდახან თუნდაც ზოგიერთი მიმდინარე მოთხოვნილების შემცირების გზითაც კი.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ჩრდილოვანი მხარეები, რომელთაც უნდა მივაქციოთ ყურადღება და რომელნიც უნდა აღმოვფხვრათ ყოველ მიზეზს გარეშე, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს უფრო ჩქარი ტემპით გავემართოთ წინ.

4. კლასები, სახელმწიფო აპარატი, ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარება

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის საკითხებიდან გადავიდეთ პოლიტიკური მდგომარეობის საკითხებზე.

ა) **მუშათა კლასი.** ციფრები მუშათა კლასისა და საერთოდ დაქირავებული შრომის პირთა რაოდენობრივი ზრდისა. დაქირავებული შრომის პირი (უმუშევართა გარდა) 1924/25 წელს იყო 8 215 ათასი, 1926/27 წელს — 10 346 ათასი. მატება უდრის 25 პროცენტს. მათ შორის ფიზიკური შრომის მუშა, სასოფლო-სამეურნეო და სეზონური მუშების ჩათვლით, იყო: 1924/25 წელს — 5 448 ათასი, 1926/27 წელს — 7 060 ათასი. მატება უდრის 29,6 პროცენტს. აქედან მსხვილი მრეწველობის მუშა იყო: 1924/25 წელს — 1 794 ათასი, 1926/27 წელს — 2 388 ათასი. მატება უდრის 33 პროცენტს.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა. დაქირავებული შრომის პირთა წილი ნაციონალურ შემოსავალში 1924/25 წელს შეადგენდა 24,1 პროცენტს, 1926/27 წელს კი ეს წილი გაიზარდა 29,4 პროცენტამდე, რაც დაქირავებული შრომის პირთა ომამდელ წილს ნაციონალურ შემოსავალში აღემატება 30 პროცენტით, მაშინ როდესაც სხვა სოციალური ჯგუფების წილი ნაციონალურ შემოსავალში, მათ შორის ბურჟუაზიისა, შემცირდა ამ პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, ბურჟუაზიის წილი 5,5 პროცენტიდან დაეცა 4,8 პროცენტამდე). მუშების რეალური ხელფასი მთელ სახელმწიფო მრეწველობაში, დანარიცხების გამოკლებით, 1924/25 წელს შეადგენდა 25,18 მოსკოვურ პირობითს მანეთს თვეში, 1926/27 წელს — 32,14 მანეთს, რაც იძლევა 27,6 პროცენტით ზრდას ორი წლის განმავლობაში და 5,4 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს. ანარიცხებიანად (სოცდაზღვევა, კულტურული საჭიროებანი, კომუნალური მომსახურება და სხვა) ხელფასი 1924/25

წელს შეადგენდა ომამდელი დონის 101,5 პროცენტს, ხოლო 1926/27 წელს — ომამდელი დონის 128,4 პროცენტს. სოციალური დაზღვევის ფონდები გაიზარდა 461 მილიონი მანეთიდან 1924/25 წელს 852 მილიონამდე 1926/27 წელს, ე. ი. 85 პროცენტით, რამაც შესაძლებელი გახადა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გაგზავნა 513 ათასი კაცი, უზრუნველგვეყო დახმარებით 460 ათასი უმუშევარი და 700 ათასი პენსიონერი (შრომისა და სამოქალაქო ომის ინვალიდები) და გვეძლია ავადმყოფი მუშებისათვის სრული ხელფასი ავადმყოფობის განმავლობაში.

მუშათა საბინაო მშენებლობის ხარჯები ორი წლის წინათ, 1924/25 წელს, შეადგენდა 132 მილიონ მანეთზე მეტს, 1925/26 წელს — 230 მილიონზე მეტს, 1926/27 წელს — 282 მილიონს, 1927/28 წელს კი იქნება 391 მილიონზე მეტი, იმ 50 მილიონის ჩათვლით, რაც გადადებულია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მანიფესტით. სულ გასული სამი წლის განმავლობაში მუშათა საბინაო მშენებლობაზე, ინდივიდუალური მშენებლობის გამოკლებით, დაიხარჯა მრეწველობის, ტრანსპორტის, აღმასკომებისა და კოოპერაციის ხაზით 644,7 მილიონი მანეთი, ხოლო 1927/28 წლის ასიგნობასთან ერთად — 1 036 მილიონი მანეთი. ამ ასიგნობამ სამი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახადა აგვეგო 4 594 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი და დაგვეკმაყოფილებინა 257 ათასი ბუშა, ოჯახებთან ერთად კი — 900 ათასამდე კაცი.

უმუშევრობის ხაკითხი. უნდა ვთქვა, რომ აქ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატის ცნობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მე ვიღებ შრომის სახალხო კომისარიატის ციფრებს იმიტომ, რომ ისინი მოიცავენ ნამდვილ უმუშევარ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია შრომის ბირჟებთან. შრომის სახალხო კომისარიატის მონაცემებით,

უმუშევართა რიცხვი ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 950 ათასიდან 1 048 ათასამდე. მათ შორის ინდუსტრიული მუშები შეადგენენ 16,5 პროცენტს, ხოლო ინტელიგენტური შრომის პირნი და არაკვალიფიციური მუშები — 74 პროცენტს. ამრიგად, ჩვენი უმუშევრობის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის ჭარბი მოსახლეობა და ჰხოლოდ მეორეხარისხოვან წყაროს — ჩვენი მრეწველობის რამდენადმე შეუვსებლობა ინდუსტრიული მუშების განსაზღვრული მინიმალური შემადგენლობით.

შედეგი: გვაქვს მთლიანად აღებული მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის უეჭველი აღმავლობა.

პარტიის ამოცანა: განაგრძოს მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების, მუშათა კლასის ხელფასის შემდგომი გადიდების ხაზი.

ბ) **გლეხობა.** მე ვფიქრობ, რომ გლეხობის დიფერენციაციის საკითხზე საჭირო არ არის ციფრების მოყვანა, რადგან ჩემი მოხსენება ისედაც გაჭიანურდა, ციფრები კი ყველასათვის ცნობილია. უეჭველია, რომ დიფერენციაცია პროლეტარული დიქტატურის პირობებში არ შეიძლება გავაიგივეთ კაპიტალისტური წესწყობილების დროის დიფერენციაციასთან. კაპიტალიზმის დროს იზრდება უკიდურესობანი: ღარიბი გლეხობა და კულაკობა, ხოლო საშუალო გლეხობა მცირდება. ჩვენში კი, პირიქით, იზრდება საშუალო გლეხობა ღარიბი გლეხობის განსაზღვრული ნაწილის ანგარიშზე, რომელიც საშუალო გლეხობად იქცევა, იზრდება კულაკიც, ღარიბი გლეხობა კი მცირდება. ეს ფაქტი მოწმობს, რომ მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად, როგორადაც იყო, ისევ საშუალო გლეხი რჩება. მასთან ბლოკს, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მშენებლობის ბედისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

მატერიალური მდგომარეობის საერთო ზრდა სოფლად. ჩვენ გვაქვს გლეხი მოსახლეობის შემოსავლის ზრდის ციფრები. გლეხი მოსახლეობის შემოსავალი ორი წლის წინათ, 1924/25 წელს, უდრიდა 3 548 მილიონ მანეთს, 1926/27 წელს ეს შემოსავალი გაიზარდა 4 792 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 35,1 პროცენტით, მაშინ როცა გლეხი მოსახლეობა ამ პერიოდის განმავლობაში გაიზარდა სულ 2,38 პროცენტით. ეს უეჭველი მაჩვენებელია იმისა, რომ სოფლად მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლეხობამ თავისი მატერიალური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში გაიუმჯობესა. ცნობილია, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ზოგიერთ ადგილებში ჭრელი მოსავალი იყო, ხოლო 1924 წლის მოუსავლობის შედეგები ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრილი. აქედან — სახელმწიფო დახმარება მშრომელ გლეხობას საერთოდ და ღარიბ გლეხობას კერძოდ. სახელმწიფოს დახმარება მშრომელი გლეხობისადმი 1925/26 წელს უდრიდა 373 მილიონ მანეთს, 1926/27 წელს — 427 მილიონ მანეთს. სპეციალური დახმარება ღარიბ გლეხობას 1925/26 წლის განმავლობაში: უღარიბეს მეურნეობათათვის ასიგნობის ხაზით — 38 მილიონი მან., ღარიბ მეურნეობათა საგადასახადო შეღავათები — 44 მილიონი მან., უღარიბესი გლეხობის სადაზღვევო შეღავათები— 9 მილიონი მან., სულ 91 მილიონი მანეთი. სპეციალური დახმარება სოფლის ღარიბებს 1926/27 წლის განმავლობაში იმავე რუბრიკების მიხედვით: 39 მილიონი მან., 52 მილიონი მან., 9 მილიონი მან., სულ 100 მილიონ მანეთამდე.

შედეგი: გლეხობის ძირითადი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პარტიის ამოცანა: განაგრძოს გლეხობის ძირითადი მასების და, უწინარეს ყოვლისა, ღარიბი გლეხობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმ-

ჭობესების ხაზი, განამტკიცოს მუშათა კლასის კავშირი-გლეხობასთან, აამაღლოს მუშათა კლასისა და მისი პარტიის ავტორიტეტი სოფლად.

გ) **ახალი ბურჟუაზია. ინტელიგენცია.** ახალი ბურჟუაზიის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მას, მუშათა კლასისა და გლეხობის საპირდაპიროდ, საფუძველი არა აქვს კმაყოფილი იყოს საბჭოთა ხელისუფლებით. მისი უკმაყოფილება არ არის შემთხვევითი. ამ უკმაყოფილებას თავისი ფესვები აქვს ცხოვრებაში.

ზემოთ მე ვილაპარაკე ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდაზე, ვილაპარაკე ჩვენი მრეწველობის ზრდაზე, სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდაზე, კერძო კაპიტალის ხვედრითი წონის დაცემაზე, წვრილი ვაჭრების გამოდევნაზე. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სავაჭრო ორგანოები იზრდებიან, მაშინ წვრილი და საშუალო კაპიტალისტი ათიათასობით ჩანაგდება. რამდენი წვრილი და საშუალო დუქანი დაიკეტა ამ წლების განმავლობაში? მრავალი ათასი. რამდენი წვრილი მრეწველი გაპროლეტარდა? მრავალი ათასი. რამდენი მოსამსახურე ელემენტი განთავისუფლდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის შტატების შემოკლების დროს? ასობით და ათასობით.

ჩვენი მრეწველობის წინწაწევა, ჩვენი სავაჭრო და კოოპერაციული ორგანოების წინწაწევა, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება არის წინსვლა და გაუმჯობესება, პლუსით მუშათა კლასისათვის, პლუსით გლეხობის ძირითადი მასებისათვის, მაგრამ მინუსით ახალი ბურჟუაზიისათვის, მინუსით საშუალო ფენებისათვის საერთოდ, ქალაქის საშუალო ფენებისათვის განსაკუთრებით. განა უნდა გვიკვირდეს, რომ ამ ფენებში იზრდება საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილება? აქედან გამომდინარეობს კონტრრევოლუციური განწყობილება ამ წრეში. აქედან გამომდი-

ნარეობს «სმენავეხური» იდეოლოგია, როგორც მოდური საქონელი ახალი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბაზარზე.

მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მთელი მოსამსახურეობა, მთელი ინტელიგენცია განიცდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უკმაყოფილების მდგომარეობას, დრტვინვის ან მღელვარების მდგომარეობას. ახალი ბურჟუაზიის წიაღში უკმაყოფილების ზრდასთან ერთად ჩვენ გვაქვს ინტელიგენციის დიფერენციაციის ფაქტი, «სმენავეხელობისაგან» ჩამოშორების ფაქტი, საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე მშრომელი ინტელიგენციის ასობით და ათასობით გადმოსვლის ფაქტი. ეს ფაქტი, ამხანაგებო, უდავოდ დადებითი ფაქტია, რომელიც უნდა აღინიშნოს.

აქ მოთავეა ტექნიკური ინტელიგენცია, ვინაიდან იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების პროცესთან და ამიტომ არ შეიძლება არ ხედავდეს, რომ ბოლშევიკებს ჩვენი ქვეყნის საქმე მიუყვათ წინ, უკეთესისაკენ. ისეთმა უზარმაზარმა წამოწყებებმა, როგორიც არის ვოლხოვშენი, დნეპრშენი, სვირშენი, თურქესტანის გზა, ვოლგა-დონი, მთელი რიგი ახალი ქარხანა-გიგანტები, რომელთა ბედთანაც დაკავშირებულია ტექნიკური ინტელიგენციის მთელი ფენების ბედი, არ შეიძლება ერთგვარი კეთილისმყოფელი გავლენა არ მოახდინონ ამ ფენებზე. ეს მათთვის არა მარტო ლუკმა პურის საკითხია. ეს ამავე დროს ღირსების საქმეა, შემოქმედების საქმეა, რომელიც ბუნებრივად აახლოებს მათ მუშათა კლასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან.

აღარას ვამბობ სოფლის მშრომელ ინტელიგენციაზე, მეტადრე სოფლის მასწავლებლობაზე, რომელმაც დიდი ხანია პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და რომელსაც არ შეუძლია არ მიესალმოს სასკოლო საქმის განვითარებას სოფლად.

ამიტომ, ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენებში უკმაყოფილების ზრდასთან ერთად, ჩვენ გვაქვს მუშათა კლასთან მშრომელი ინტელიგენციის დაკავშირების ფაქტი.

პარტიის ამოცანა ის არის, რომ განაგრძოს ახალი ბურჟუაზიის იზოლაციის ხაზი და განამტკიცოს მუშათა კლასის კავშირი ქალაქისა და სოფლის მშრომელ საბჭოთა ინტელიგენციასთან.

დ) **სახელმწიფო აპარატი და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა.** ბიუროკრატიზმის შესახებ ისე ბევრს ლაპარაკობენ, რომ საჭირო არ არის მასზე სიტყვის გაგრძელება. ბიუროკრატიზმის ელემენტები რომ მოიპოვებიან ჩვენს სახელმწიფო აპარატშიც, კოოპერაციულ აპარატშიც და პარტიულ აპარატშიც, ეს უეჭველია. ბიუროკრატიზმის ელემენტებთან ბრძოლა რომ აუცილებელია და ეს ამოცანა რომ ჩვენს წინაშე მუდამ იდგომება, ვიდრე ჩვენში არის სახელმწიფო ხელისუფლება, ვიდრე არსებობს სახელმწიფო, — ესეც ფაქტია.

მაგრამ მაინც საჭიროა საზღვარი იცოდე. სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმის მიყვანა იქამდე, რომ მოსპო სახელმწიფო აპარატი, სახელი გაუტეხო სახელმწიფო აპარატს, ეცადო მის დამსხვრევას, — ეს იმას ნიშნავს, რომ წახვიდე ლენინიზმის წინააღმდეგ, ეს ნიშნავს დაივიწყო, რომ ჩვენი აპარატი საბჭოთა აპარატია, რომელიც, ქვეყნად არსებულ ყველა სახელმწიფო აპარატთან შედარებით, თავისი ტიპით უმაღლეს სახელმწიფო აპარატს წარმოადგენს.

რაში მდგომარეობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ძალა? იმაში, რომ იგი საბჭოებს საშუალებით აკავშირებს ხელისუფლებას მუშებისა და გლეხების მილიონიან მასებთან. იმაში, რომ საბჭოები მმართველობის სკოლაა ათეული და ასეული ათასობით მუშისა და გლეხისათვის. იმაში, რომ სახელმწიფო აპარატი კი არ იმიჯნება ხალხის მილიონიანი

მასებისაგან, არამედ შეერწყმის მათ უამრავი მასობრივი ორგანიზაციების, ყოველგვარი კომისიების, სექციების, თათბირების, დელეგატთა კრებების და სხვათა საშუალებით, რომლებიც გარს არტყიან საბჭოებს და ამრიგად ხელისუფლების ორგანოთა დასაყრდენს წარმოადგენენ.

რაშია ჩვენი სახელმწიფო აპარატის სისუსტე? იმაში, რომ სახელმწიფო აპარატში მოიპოვებიან ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც აფუჭებენ და ამახინჯებენ მის მუშაობას. იქიდან რომ ბიუროკრატიზმი განვდევნოთ, — ხოლო მისი განდევნა არ შეიძლება ერთი-ორი წლის განმავლობაში, — საჭიროა კი არ დავამსხვრიოთ სახელმწიფო აპარატი, კი არ გავუტეხოთ მას სახელი, არამედ სისტემატურად ვაუმჯობესოთ იგი, დავუახლოოთ მასებს, განვაახლოთ იგი ახალი, მუშათა კლასის საქმის ერთგული ადამიანებით, გარდავქმნათ იგი კომუნიზმის სულისკვეთებით. ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როცა ამბობდა: **«„უაპარატოდ» ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. აპარატის გაუმჯობესებისათვის სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლის გაუწევლად ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე»**[81].

სიტყვას არ გავაგრძელებ ჩვენს სახელმწიფო აპარატში არსებულ იმ ნაკლთა შესახებ, რომლებიც ისედაც გვეცემა თვალში. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს «ძველი ნაცნობი» — საქმის გაჭიანურება. მე ხელთ მაქვს მთელი გროვა მასალები საქმის გაჭიანურების შესახებ, რომლებიც ამხილებენ მთელი რიგი სასამართლო, ადმინისტრაციული, დამზღვევი, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების დანაშაულებრივ დაუდევრობას.

აი, მაგალითად, გლეხი, რომელიც 21-ჯერ მისულა ერთ დამზღვევ დაწესებულებაში, რათა აღედგინა სიმართლე, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარა.

აი მეორე გლეხი, 66 წლის მოხუცი, რომელსაც 600 ვერსი გამოუვლია ფეხით, რომ გამოერკვია საქმე სოციალური უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებაში, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვია.

აი კიდევ მოხუცი, 56 წლის გლეხი-ქალი, რომელსაც სახალხო სასამართლოს გამოწვევით 500 ვერსი გაუვლია ფეხით, 600 ვერსზე მეტი ცხენით მოუვლია, მაგრამ მაინც ვერ მიუღწევია სიმართლისათვის.

ასეთი ფაქტები აუარებელია. მათი ჩამოთვლა არა ღირს. მაგრამ ეს სამარცხვინოა ჩვენთვის, ამხანაგებო! როგორ შეიძლება ასეთი საზიზღრობის მოთმენა?

ბოლოს, ფაქტები «დაქვეითებულთა» შესახებ. თურმე, დაწინაურებული მუშების გარდა, არსებობენ აგრეთვე «დაქვეითებულნი», რომელთაც უკანა რიგში აყენებენ მათივე ამხანაგები არა მუშაობის უნარის უქონლობისა ანდა საქმის უცოდინარობისათვის, არამედ კეთილსინდისიერი და პატიოსანი მუშაობისათვის.

აი მუშა, ზეინკალი-მეინსტრუმენტე, რომელიც დაწინაურებულ იქნა განსაზღვრულ თანამდებობაზე ქარხანაში, როგორც ნიჭიერი და უანგარო კაცი. იგი მუშაობს ერთი-ორი წელი, მუშაობს პატიოსნად, ამყარებს წესრიგს, სპობს უყაირათობასა და მფლანგველობას. მაგრამ ამგვარი მუშაობით ის ლახავს «კომუნისტების» ერთი შეხმატკბილებული კომპანიის ინტერესებს, არღვევს მათს მყუდროებას. და რა ხდება? «კომუნისტების» შეხმატკბილებული კომპანია ყოველნაირად ხელს უშლის მას და, ამრიგად, აიძულებს «დაქვეითდეს». «მოინდომე ჩვენზე ჭკვიანი ყოფილიყავ, არ გვაძლევ საშუალებას მშვიდად ვიცხოვროთ და ხელი მოვითბოთ, — მაშ ჩამოქვეითდი, ძმობილო!»

აი მეორე მუშა, ესეც ზეინკალი-მეინსტრუმენტე, ჭანჭიკმჭრელი დაზგების ამწყობი, დააწინაურეს ქარხანაში განსაზღვრულ თანამდებობაზე. მუშაობს გულმოდგინედ

და პატიოსნად. მაგრამ ასეთი მუშაობით არღვევს ზოგიერთთა მყუდროებას. და რა ხდება? იპოვეს შემთხვევა და თავიდან მოიშორეს «მოუსვენარი» ამხანაგი. როგორ წავიდა ეს დაწინაურებული ამხანაგი, რა გრძნობით? აი რა გრძნობით: «ყველგან, სადაც მნიშნავდნენ, ვცდილობდი გამემართლებინა ჩემდამი გაწეული ნდობა. მაგრამ არასოდეს არ დამავიწყდება ეს დაწინაურება, რომელმაც ასეთი ცუდი საქმე მიყო. ტალახში გამთიხნეს. ჩემი სურვილი, რომ მზის სინათლეზე გამომეტანა ყველაფერი, სურვილადვე დარჩა. არც საქარხნო კომიტეტს, არც ქარხნის მმართველობას და არც უჯრედს ჩემი მოსმენაც კი არ სურდათ. დაწინაურებისათვის მე უკვე მკვდარი ვარ და, ოქროშიც რომ ჩამსვან, — არსად არ წავალ» («ტრუდ» № 128, 1927 წ. 9 ივნისი).

მაგრამ ეს ხომ სამარცხვინოა ჩვენთვის, ამხანაგებო! როგორ შეიძლება ასეთ უმსგავსობათა მოთმენა?

პარტიის ამოცანა ის არის, რომ აწარმოოს ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, გახურებული შანთით ამოწვას ჩვენს პრაქტიკაში ისეთი უმსგავსობანი, რომელთა შესახებაც ეს არის ახლა ვილაპარაკე.

ე) **ლენინის ლოზუნგზე კულტურული რევოლუციის შესახებ.** უაღრესად უტყუარ საშუალებას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს მუშებისა და გლეხების კულტურული დონის ამაღლება. შეიძლება ავად ვახსენოთ და ვკიცხოთ ბიუროკრატიზმი სახელმწიფო აპარატში, შეიძლება გავამათრახოთ და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ბიუროკრატიზმი ჩვენს პრაქტიკაში, მაგრამ თუ მუშათა ფართო მასებში არ არის კულტურულობის განსაზღვრული დონე, რომელიც ქმნის იმის შესაძლებლობას, სურვილსა და უნარს, რომ სახელმწიფო აპარატს კონტროლი გაეწიოს ქვევიდან, თვით მუშათა მასების ძალებით, —

ბიუროკრატიზმი მაინც იცოცხლებს, მიუხედავად ყველაფრისა. ამიტომ მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების კულტურული განვითარება არა მარტო წერა-კითხვის ცოდნის შეძენის მხრივ, თუმცა წერა-კითხვის ცოდნა წარმოადგენს ყოველი კულტურულობის საფუძველს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მმართველობის საქმეში მონაწილეობის მიღების უნარისა და ჩვევების შეძენის მხრივ, — წარმოადგენს სახელმწიფო და ყოველი სხვა აპარატის გაუმჯობესების ძირითად ბერკეტს. ამაშია აზრი და მნიშვნელობა ლენინის ლოზუნგისა კულტურული რევოლუციის შესახებ.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1922 წლის მარტში, ჩვენი პარტიის XI ყრილობის გახსნის წინ, თავის წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ ამხ. მოლოტოვის სახელზე:

«მთავარი, რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტურულობა, მმართველობის ცოდნა... ეკონომიურად და პოლიტიკურად ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას *. საქმე «მხოლოდ» პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია» [83].

ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება, ამხანაგებო. (ხმები: «მართალია!»).

აქედან — პარტიის ამოცანა: გააძლიეროს ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი ფენების კულტურული აღმავლობისათვის.

* * *

როგორია შედეგი ჩვენი ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის ხაზით?

შედეგი ისეთია, რომ **საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო მტკიცე ხელისუფლებას მსოფლიოში**

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

არსებულ ყველა ხელისუფლებათა შორის. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

მაგრამ თუ მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათა შორის საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე მტკიცე ხელისუფლებას, რომლის მდგომარეობა შეიძლება შეჰშურდეს ყოველ ბურჟუაზიულ მთავრობას, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დარგში ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. არა, ამხანაგებო, ჩვენ მოგვეპოვება მინუსები ამ დარგშიც, რის დაფარვა არ შეგვიძლია და არც უნდა დავფაროთ, როგორც ბოლშევიკებმა.

ჯერ-ერთი, ჩვენში არის უმუშევრობა. ეს სერიოზული მინუსია, რომელიც უნდა დავძლიოთ ან, ყოველ შემთხვევაში, დავიყვანოთ მინიმუმამდე რადაც უნდა დაგვიჯდეს.

მეორეც, ჩვენ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი მუშათა საბინაო მშენებლობაში, საბინაო კრიზისი, რომელიც აგრეთვე უნდა დავძლიოთ ან, ყოველ შემთხვევაში, დავიყვანოთ მინიმუმამდე უახლოეს წლებში.

ჩვენში არის ანტისემიტიზმის ერთგვარი ყლორტები არა მარტო საშუალო ფენების განსაზღვრულ წრეებში, არამედ მუშათა განსაზღვრულ ნაწილშიც და ჩვენი პარტიის ზოგიერთ რგოლშიც კი. ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ, ამხანაგებო, მთელი ულმობელობით.

ჩვენ გვაქვს კიდევ ისეთი მინუსი, როგორიცაა ანტირელიგიური ბრძოლის შესუსტება.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს საშინელი კულტურული ჩამორჩენილობა არა მარტო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არამედ მისი ვიწრო მნიშვნელობითაც, ელემენტარული წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი სსრ კავშირში ჯერ კიდევ მცირე როდია.

ამხანაგებო, ყველა ეს და ამის მსგავსი მინუსები უნდა აღმოიფხვრას, თუ გვსურს წინსვლა ცოტად თუ ბევრად დაჩქარებული ტემპით.

რომ დავასრულო ჩემი ანგარიშის ეს ნაწილი, ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ყველაზე უფრო დამახასიათებელ დანიშვნებზე საანგარიშო პერიოდში. მე არ შევეხები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა დანიშვნას. არ შევეხები აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისრების დანიშვნას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ხაზით. მე მინდა შევეხო სამ დანიშვნას, რომელთაც დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვთ. თქვენ იცით, რომ რსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ლობოვი. ეს არის მუშა-მელითონე. თქვენ იცით, რომ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარედ, კამენევის ნაცვლად, არჩეულია უხანოვი, მუშა-მელითონე. თქვენ იცით აგრეთვე, რომ ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარედ, ზინოვიევის ნაცვლად, არჩეულია კომაროვი, ესეც მუშა-მელითონე. მაშასადამე, ორივე დედაქალაქის «ლორდ-მერებად» ჩვენში არიან მუშა-მელითონეები. (ტ ა შ ი). მართალია, ისინი წარმოშობით აზნაურები არ არიან, მაგრამ დედაქალაქების მეურნეობას ყოველ აზნაურზე უკეთესად უძღვებიან. (ტ ა შ ი). თქვენ იტყვით, რომ ეს არის ტენდენცია ლითონიზაციისაკენ. მე ვფიქრობ, რომ ამაში არაფერია ცუდი. (ხ მ ე ბ ი: «პირიქით, ძალიან კარგია»).

ვუსურვოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვუსურვოთ ლონდონს, ვუსურვოთ პარიზს, რომ ისინი, ბოლოს, დაგვეწიონ ამ საქმეში და წამოაყენონ «ლორდ-მერებად» თავიანთი საკუთარი მელითონეები. (ტ ა შ ი).

III

პარტია და ოპოზიცია

1. პარტიის მდგომარეობა

მე არ შევჩერდები, ამხანაგებო, ჩვენი პარტიის რიცხობრივ და იდეურ ზრდაზე, არ მოვიყვან ციფრებს, რადგან ამის შესახებ დაწვრილებით მოგახსენებთ კოსიორი.

არ ვილაპარაკებ აგრეთვე ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობაზე და ამასთან დაკავშირებულ ციფრებზე, რადგან ამის შესახებ ამომწურავ ცნობებს მოგაწვდით კოსიორი თავის ანგარიშში.

მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობითი მუშაობის ამაღლებაზე, ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე მეურნეობის დარგში, ისევე როგორც პოლიტიკის დარგში. იყო დრო, ამხანაგებო, ორი-სამი წლის წინათ, როცა ამხანაგების ერთი ნაწილი, მგონი, ტროცკის მეთაურობით (ს ი ც ი ლ ი, ხ მ ე ბ ი: «მგონი?»), ჩვენს საგუბერნიო კომიტეტებს, ჩვენს საოლქო კომიტეტებს, ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს უსაყვედურებდა და ამტკიცებდა, რომ პარტიული ორგანიზაციები კომპეტენტური არ არიან და ტყუილად ერევიან ქვეყნის სამეურნეო საქმეებშიო. დიახ, იყო ასეთი დრო. ახლა კი ძნელად თუ მოუბრუნდება ენა ვინმეს იმისათვის, რომ ამგვარი ბრალდება წამოისროლოს პარტორგანიზაციების მიმართ. საგუბერნიო კომიტეტები და საოლქო კომიტეტები რომ დაეუფლნენ სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმეს, პარტორგანიზაციები რომ სამეურნეო მშენებლობის სათავეში დგანან და არა მის კუდში, — ეს ისეთი აშკარა ფაქტია, რომლის უარყოფა მხოლოდ ბრმებს ან გიჟებს თუ შეუძლიათ. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ყრილობაზე დაგვესვა სახალხო მეურნეობის მშენებლობის ხუთწლიანი

გეგმის საკითხი, მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ პარტიამ ძალიან წაიწია წინ როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში ჩვენი სამეურნეო მშენებლობის გეგმიანი ხელმძღვანელობის საქმეში.

ზოგი ფიქრობს, რომ აქ არაფერია განსაკუთრებული. არა, ამხანაგებო. ეს არის რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, რომელიც უნდა აღინიშნოს. ხანდახან მიგვითითებენ ამერიკულ, გერმანულ სამეურნეო ორგანოებზე, რომლებიც ვითომდა ასევე გეგმიანი წესით ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობას. არა, ამხანაგებო, ამისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ და ვერც მიაღწევენ იქ, სანამ იქ კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს. გეგმიანი წესით რომ უხელმძღვანელო, საჭიროა გქონდეს მრეწველობის სხვაგვარი, სოციალისტური, და არა კაპიტალისტური სისტემა, საჭიროა გქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ნაციონალიზებული მრეწველობა, ნაციონალიზებული საკრედიტო სისტემა, ნაციონალიზებული მიწა, სოციალისტური კავშირი სოფელთან, მუშათა კლასის ძალაუფლება შენს ქვეყანაში და სხვ.

მართალია, მათაც აქვთ რაღაც გეგმების მსგავსი. მაგრამ ეს არის გეგმები-პროგნოზები, გეგმები-ვარაუდები, რომლებიც არავისთვის არ არიან სავალდებულონი და რომელთა საფუძველზე შეუძლებელია ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობა. ჩვენში კი სხვაგვარი მდგომარეობაა. ჩვენი გეგმები არის არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-ვარაუდები, არამედ გეგმები-**დირექტივები**, რომელნიც **სავალდებულონი** არიან ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც **განსაზღვრავენ** ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას **მომავლისათვის მთელი** ქვეყნის მასშტაბით.

თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ აქ **პრინციპული** განსხვავება გვაქვს.

აი რატომ ვამბობ მე, რომ თვით ის უბრალო ფაქტი, რომ ყრილობაზე დასმულია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის საკითხი, თვით ეს ფაქტი წარმოადგენს ჩვენი გეგმიანი ხელმძღვანელობითი მუშაობის ხარისხობრივი ამაღლების ნიშანს.

სიტყვას არ გავაგრძელებ არც შინაპარტიული დემოკრატიის ზრდაზე ჩვენს პარტიაში. მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ შინაპარტიული დემოკრატია, ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატია, პარტიული მასების აქტივობის ნამდვილი აღმავლობა, — იზრდება და ვითარდება ჩვენში. ლაყბობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია პარტიაში? დემოკრატია ვისთვის? თუ დემოკრატია ესმით როგორც რევოლუციისაგან მოწყვეტილი თითო-ოროლა ინტელიგენტის თავისუფლება — დაუსრულებლად ილაყბონ, იქონიონ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო და სხვ., ასეთი «დემოკრატია» ჩვენ არ გვესაჭიროება, ვინაიდან იგი არის დემოკრატია სრულიად უმნიშვნელო უმცირესობისათვის, რომელიც არღვევს უდიდესი უმრავლესობის ნებას. და თუ დემოკრატია გვესმის როგორც პარტიული მასების თავისუფლება — გადაწყვიტონ ჩვენი მშენებლობის საკითხები, გვესმის როგორც პარტიული მასების აქტივობის აღმავლობა, მათი ჩაბმა პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, მათში იმ გრძნობის განვითარება, რომ ისინი არიან ბატონ-პატრონნი პარტიაში, — მაშინ ასეთი დემოკრატია ჩვენში არის, იგი ჩვენ გვესაჭიროება, და ჩვენ მას განუხრელად განვავითარებთ, მიუხედავად ყველაფრისა. (ტ ა შ ი).

სიტყვას არ გავაგრძელებ, ამხანაგებო, აგრეთვე იმაზე, რომ შინაპარტიულ დემოკრატიასთან ერთად ჩვენში თანდათან იზრდება ხელმძღვანელობის კოლეგიალობაც. აღვნიშნავ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია. ისინი ერთად წარმოადგენენ 200 — 250 ამხანაგისაგან შემდგარ ხელმძღვანელ ცენტრს, რომე-

ლიც რეგულარულად იკრიბება და წყვეტს ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეს არის ერთი ყველაზე დემოკრატიული და კოლეგიალურად მოქმედი ცენტრთაგანი, როგორიც კი ჩვენს პარტიას როდისმე ჰქონია. მერე რა? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა უფრო და უფრო გადადის ვიწრო ზედაფენის ხელიდან ამ ფართო ცენტრის ხელში, რომელიც მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული მშენებლობის ყველა დარგთან და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა რაიონთან?

სიტყვას არ გავაგრძელებ აგრეთვე ჩვენი პარტიული კადრების ზრდაზე. უდავოა, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ძველ კადრებს შეემატნენ ალმავალი ახალი კადრები, რომლებიც უმთავრესად მუშებისაგან შესდგებიან. თუ წინათ ჩვენს კადრებს ასობით და ათასობით ვითვლიდით, ახლა ისინი ათეული ათასობით უნდა დავითვალოთ. ვფიქრობ, რომ, თუ დავიწყებთ სულ ძირეული ორგანიზაციებიდან, საამქროების, რგოლების ორგანიზაციებიდან, და ავალთ თავამდე მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენი პარტიული კადრები, რომელთა დიდი უმრავლესობა მუშები არიან, შეადგენენ ახლა სულ ცოტა 100 000 კაცს. ეს არის ჩვენი პარტიის უდიდესი ზრდა. ეს არის ჩვენი საკადრო შემადგენლობის უდიდესი ზრდა, მისი იდეურ-ორგანიზაციული გამოცდილების ზრდა, მისი კომუნისტური კულტურის ზრდა.

ბოლოს, არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის, მაგრამ უნდა აღინიშნოს კი. ეს არის საკითხი პარტიის ავტორიტეტის ზრდისა ჩვენი ქვეყნის უპარტიო მუშებსა და საერთოდ მშრომელ მასებს შორის, მთელი მსოფლიოს მუშებსა და საერთოდ ჩაგრულ კლასებს შორის. არა მგონია ახლა საეჭვო იყოს, რომ ჩვენი პარტია იქცევა მთელი მსოფლიოს მშრო-

მელი მასების განთავისუფლების დროშად, ხოლო ბოლშევიკის სახელწოდება — მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების საპატიო სახელწოდებად.

ასეთია, ამხანაგებო, საერთოდ, ჩვენი მიღწევების სურათი პარტიული მშენებლობის დარგში.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამხანაგებო, რომ ჩვენს პარტიაში ნაკლოვანებანი არ იყოს. არა, ნაკლოვანებანი არის, და სერიოზული ნაკლოვანებანიც. ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ ნაკლოვანებათა შესახებ.

ავიღოთ, მაგალითად, საქმე სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა პარტიული ორგანიზაციების მხრით. ყველაფერი რიგზე გვაქვს ამ დარგში? არა, ყველაფერი არა გვაქვს რიგზე. ჩვენში ხშირად, არა მარტო ადგილებზე, არამედ ცენტრშიც, საკითხები წყდება, ასე ვთქვათ, ოჯახური წესით, შინაურულად. მაგალითად, ამა და ამ• ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზედაფენის წევრმა, ივანე ივანეს-ძემ, ჩაიდინა, ვთქვათ, მეტად უხეში შეცდომა და წაახდინა საქმე. მაგრამ ივანე თედორეს-ძეს არ უნდა გააკრიტიკოს იგი, გამოამჟღავნოს მისი შეცდომები, გამოასწოროს მისი შეცდომები. არ უნდა, რადგან არ სურს «მტრები გაიჩინოს». შეცდომა ჩაიდინეს, საქმე წაახდინეს, — დიდი რამე მომხდარა! განა რომელი ჩვენგანი არა ცდება? დღეს მას, ივანე თედორეს-ძეს, დავინდობ. ხვალ ის მე, ივანე ივანეს ძეს, დამინდობს. მართლაც, რა გარანტია მაქვს, რომ მეც არ შევცდები? ყველაფერი რიგიანად და წესიერად არის. მშვიდობა და სათნოება სუფევს. რაო, უყურადღებოდ მიტოვებული შეცდომა ჩვენი დიადი საქმის წახდენაა? არა უშავს! როგორმე ფონს გავალთო.

აი, ამხანაგებო, ზოგიერთი ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკის ჩვეულებრივი მსჯელობა.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? თუ კი ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებიც ვაკრიტიკებთ მთელ მსოფლიოს, რომლებსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზეცაზე მიგვაქვს იერიში, თუ კი ჩვენ ამა თუ იმ ამხანაგის სიმშვიდის გულისთვის ხელს ავიღებთ თვითკრიტიკაზე, — განა აშკარა არ არის, რომ აქედან, გარდა ჩვენი დიადი საქმის დაღუპვისა, არაფერი გამოვა? (ხმები: «მართალია!». ტაში).

მარქსი ამბობდა: პროლეტარული რევოლუცია, სხვათა შორის, სწორედ იმით განსხვავდება ყოველგვარი სხვა რევოლუციისაგან, რომ ის თავის თავს თვითონვე აკრიტიკებს და თავისი თავის გაკრიტიკებით მტკიცდებაო[84]. ეს მარქსის მეტად მნიშვნელოვანი მითითებაა. თუ ჩვენ, პროლეტარული რევოლუციის წარმომადგენლები, ჩვენს საკუთარ ნაკლოვანებებზე თვალს დავხუჭავთ, თუ საკითხებს შინაურულად გადავწყვეტთ, ერთმანეთის შეცდომებს მივჩქმალავთ და მუწუკებს ჩვენი პარტიული ორგანიზმის შიგნით მოვაქცევთ, — მაშინ ვინღა გამოასწორებს ამ შეცდომებს, ამ ნაკლოვანებებს?

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ პროლეტარული რევოლუციონერები აღარ ვიქნებით და უეჭველად დავიღუპებით, თუ ჩვენს წრეში არ ამოვწვავთ ამ ობივატელობას, ამ შინაურულობას ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის დროს?

განა ცხადი არ არის, რომ, თუ ხელს ავიღებთ პატიოსან და გულახდილ თვითკრიტიკაზე, თუ უარს ვიტყვით ჩვენი შეცდომების პატიოსან და აშკარა გამოსწორებაზე, მაშინ ჩვენ ამით დავიხშობთ წინსვლის, ჩვენი საქმის გაუმჯობესების, ჩვენი საქმის ახალ წარმატებათა მოპოვების გზას?

ჩვენი განვითარება ხომ შეუფერხებელი, დაუბრკოლებელი აღმავლობის წესით არ მიემართება წინ. არა, ამხანაგებო, ჩვენში არიან კლასები, ჩვენ გვაქვს

წინააღმდეგობანი ჩვენი ქვეყნის შიგნით, ჩვენ გვაქვს წარსული, გვაქვს აწმყო და მომავალი, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობანი მათ შორის, და არ შეგვიძლია ვიაროთ წინ ისე, რომ არხეინად გავუვეთ ცხოვრების ტალღებს. ჩვენი წინსვლა წარმოებს ბრძოლის გზით, წინააღმდეგობათა განვითარების გზით, ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით, ამ წინააღმდეგობათა გამოაშკარავებისა და ლიკვიდაციის გზით.

ჩვენ არასოდეს არ გვექნება, ვიდრე კლასები არსებობენ, ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეიძლებოდეს თქმა: აი, მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი კარგად არისო. ასეთი მდგომარეობა არასოდეს არ გვექნება, ამხანაგებო.

ჩვენში ყოველთვის რაიმე კვდება ცხოვრებაში. მაგრამ იმას, რაც კვდება, არ სურს მოკვდეს უბრალოდ, არამედ ის იბრძვის თავისი არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს.

ჩვენში ყოველთვის იბადება ახალი რამ ცხოვრებაში. მაგრამ ის, რაც იბადება, იბადება არა უბრალოდ, არამედ ჭიპის, კივის, იცავს თავის არსებობის უფლებას. (ხმები: «სწორია!». ტაში).

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და ახლადწარმოშობილს შორის, — აი ჩვენი განვითარების საფუძველი. თუ ჩვენ აშკარად და პატიოსნად არ აღვნიშნავთ და არ გამოვააშკარავებთ, როგორც ეს შეეფერება ბოლშევიკებს, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, ამით ჩვენ დავიხშობთ წინსვლის გზას. ჩვენ კი გვსურს წინ ვიაროთ. და სწორედ იმიტომ, რომ გვსურს წინ ვიაროთ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დავისახოთ პატიოსანი და რევოლუციური თვითკრიტიკა. უამისოდ არ არსებობს წინსვლა. უამისოდ არ არსებობს განვითარება.

მაგრამ სწორედ ამ ხაზით ჩვენში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს საქმე. კიდევ მეტი, საკმარისია ზოგიერთი წარმატება,

რომ დაგვავიწყდეს ნაკლოვანებანი, დავმშვიდდეთ და გავყოყოჩდეთ. ორი-სამი დიდი წარმატება, — და უკვე ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედამიწა ქალამნად. კიდევ ორი-სამი დიდი წარმატება, — და ყოყოჩობას ვიწყებთ: «კუდით ქვას ვასროლინებთო»! მაგრამ შეცდომები რჩება, ნაკლოვანებები კვლავ არსებობს, მუწუკები ჩვენი პარტიული ორგანიზმის შიგნით მოექცევა, და პარტია ავადმყოფობას იწყებს.

მეორე ნაკლი. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრირების მეთოდი გადააქვთ პარტიაში, დაჯერების მეთოდს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიაში, ცვლიან ადმინისტრირების მეთოდით. ეს ნაკლი არა ნაკლებ დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე პირველი ნაკლი. რატომ? იმიტომ, რომ ის ქმნის იმის საფრთხეს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თვითმოქმედ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, ფუჭ საკანცელარიო დაწესებულებებად გადაიქცევიან. თუ ჩავთვლით, რომ ჩვენ გვყავს სულ ცოტა 60 ათასი უაღრესად აქტიური მუშაკი, რომლებიც გაფანტული არიან ყოველ სამეურნეო, კოოპერაციულ და სახელმწიფო დაწესებულებებში და ებრძვიან იქ ბიუროკრატიზმს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მათი ნაწილი, როცა ბიუროკრატიზმს ებრძვის ამ დაწესებულებებში, ზოგჯერ თვითონაც სნეულდება ბიუროკრატიზმით და გადმოიტანს ხოლმე მას პარტიულ ორგანიზაციაში. ეს, ამხანაგებო, დანაშაული კი არა, ჩვენი უბედურებაა, ვინაიდან, სანამ არსებობს სახელმწიფო, ეს პროცესი მეტად თუ ნაკლებად გაგრძელდება. და სწორედ იმიტომ, რომ ამ პროცესს ერთგვარი ფესვები აქვს ცხოვრებაში, სწორედ ამიტომ აუცილებელია შევიარაღდეთ ამ ნაკლთან საბრძოლველად, გავაძლიეროთ პარტიული მასების აქტივობა, ჩავაბათ ისინი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების გადაწყვეტაში, სისტემატურად ვნერგოთ შინაპარტიული დემოკრატია და არ დავუშვათ დარწმუნების მეთოდის შე-

ცვლა ადმინისტრირების მეთოდით ჩვენს პარტიულ პრაქტიკაში.

მესამე ნაკლი. ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მთელ რიგ ჩვენს ამხანაგებს სურთ იცუროონ დინების მიმართულებით, ნელა და წყნარად, უპერსპექტივოდ, მომავლის გაუთვალისწინებლად, ისე, რომ ირგვლივ იგრძნობოდეს სადღესასწაულო და საზეიმო განწყობილება, რომ ყოველდღე იმართებოდეს ჩვენში საზეიმო სხდომები, რომ ყველგან გაისმოდეს ტაში, და რომ ყოველი ჩვენგანი რიგრიგად მოხვდეს ყოველგვარი პრეზიდიუმების საპატიო წევრად. (სიცილი, ტაში).

აი ეს თავშეუკავებელი სურვილი, რომ ყველგან იხილონ სადღესასწაულო განწყობილება, ეს მისწრაფება დეკორაციებისადმი, ყოველგვარი საჭირო და არასაჭირო იუბილეებისადმი, ეს სურვილი — იცურო განუსჯელად და არ მიმოიხედო, თუ საითკენ მიგაქანებს ტალღა (სიცილი, ტაში), — აი, ყოველივე ეს შეადგენს ჩვენი პარტიული პრაქტიკის მესამე ნაკლის არსებას, ჩვენს პარტიულ ყოფაცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების საფუძველს.

გინახავთ თუ არა მენიჩბეები, რომელნიც კეთილსინდისიერად, ხვითქმოდენილნი, უსვამენ ნიჩაბს, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, თუ საითკენ მიაქანებს მათ მდინარება? მე ასეთი მენიჩბეები მინახავს ენისეიზე. ესენი არიან პატიოსანი და დაუღალავი მენიჩბეები. მაგრამ მათი უბედურება ისაა, რომ ისინი ვერ ხედავენ და არც უნდათ დაინახონ, რომ შეიძლება ისინი ტალღამ მიაჯახოს კლდეს, სადაც მათ დაღუპვა მოელით.

ასევე ემართება ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს. ისინი ნიჩაბს კეთილსინდისიერად, შეუსვენებლივ უსვამენ, მიცურავენ უშფოთველად, მდინარებაზე მინდობილნი, მაგრამ საითკენ მიაქანებს მათ მდინარება, არა თუ არ იციან, არამედ არც კი

სურთ იცოდნენ. მუშაობა უპერსპექტივოდ, მუშაობა უსაჭეოდ და უიალქნოდ — აი საითკენ მივყავართ იმ სურვილს, რომ ვიცუროთ აუცილებლად მდინარების მიმართულებით.

შედეგები კი? შედეგები ცხადია: ჯერ მათ ედებათ ობი, შემდეგ ისინი უფერული ხდებიან, მერე თანდათან ეფლობიან ობივატელობის წუმპეში და, ბოლოს, იქცევიან ჩვეულებრივ ობივატელებად. სწორედ ეს არის ნამდვილი გადაგვარების გზა.

აი, ამხანაგებო, ჩვენი პარტიული პრაქტიკისა და ჩვენი პარტიული ყოფაცხოვრების ზოგიერთი ნაკლი, რის შესახებაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის რამდენიმე მწარე სიტყვა.

ახლა კი ნება მომეცით გადავიდე დისკუსიისა და ჩვენი ეგრეთწოდებული ოპოზიციის საკითხებზე.

2. დისკუსიის შედეგები

აქვს თუ არა რაიმე აზრი, რაიმე ღირებულება პარტიულ დისკუსიას?

ზოგჯერ ამბობენ: რა ჯანდაბისათვის გაბერეთ ეს დისკუსია, ვის ესაჭიროება იგი, განა უკეთესი არ იქნებოდა გადაგვეჭრა სადავო საკითხები შინაური წესით და ჭოხიდან ნაგავი გარეთ არ გამოგვეტანა? ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. დისკუსია ზოგჯერ აბსოლუტურად აუცილებელია და უთუოდ სასარგებლოა. მთელი საკითხი ის არის, თუ როგორია ეს დისკუსია. თუ დისკუსია მიმდინარეობს ამხანაგურ ფარგლებში, პარტიულ ფარგლებში, თუ იგი მიზნად ისახავს პატიოსან თვითკრიტიკას, პარტიულ ნაკლოვანებათა კრიტიკას, თუ იგი, მაშასადამე, აუმჯობესებს ჩვენს საქმეს და აიარაღებს მუშათა კლასს, მაშინ ასეთი დისკუსია საჭირო და სასარგებლოა.

მაგრამ არის სხვაგვარი დისკუსია, რომელიც მიზნად ისახავს არა ჩვენი საერთო საქმის გაუმჯობესებას, არამედ

მის გაუარესებას, არა პარტიის განმტკიცებას, არამედ მის დაშლას, მისთვის საზელის გატეხას. ჩვეულებრივ ასეთი დისკუსია პროლეტარიატის შეიარაღებას კი არ იწვევს, არამედ მის განიარაღებას. ჩვენ ასეთი დისკუსია არ გვესაჭიროება. (ხმები: «მართალია!». ტაში).

როდესაც ოპოზიცია მოითხოვდა სრულიად საკავშირო დისკუსიის გახსნას ყრილობამდე სამი თვით ადრე, ცენტრალური კომიტეტის თეზისების შემუშავებამდე, ამ თეზისების გამოქვეყნებამდე, ის ცდილობდა თავზე მოეხვია ჩვენთვის იმგვარი დისკუსია, რომელიც აუცილებლად გააადვილებდა ჩვენი მტრების საქმეს, მუშათა კლასის მტრების საქმეს, ჩვენი პარტიის მტრების საქმეს. სწორედ ამიტომ წინააღუდგა ცენტრალური კომიტეტი ოპოზიციის გეგმებს. და სწორედ იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტი წინააღუდგა ოპოზიციის გეგმებს, შევძელით ჩვენ სწორ რელსებზე დაგვეყენებინა დისკუსია, მიგვეცა მისთვის ბაზა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული და ყრილობისათვის წარსადგენი თეზისების სახით. ახლა ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკუსიამ მთლიანად პლუსი მოგვცა.

რაც შეეხება ქოხიდან ნაგვის გარეთ გამოტანას, ეს არაფერია, ამხანაგებო. ჩვენ არასოდეს არ გვეშინოდა და არც შეგვეშინდება აშკარად გავაკრიტიკოთ ჩვენი თავი და ჩვენი შეცდომები მთელი პარტიის წინაშე. ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაშია, რომ მას კრიტიკისა არ ეშინია და რომ იგი თავის ნაკლოვანებათა კრიტიკაში იკრებს ენერგიას შემდგომი წინსვლისათვის. ამრიგად, ახლანდელი დისკუსია არის ჩვენი პარტიის ძლიერების ნიშანი, მისი ძლევამოსილობის ნიშანი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ დიდ პარტიაში, განსაკუთრებით ისეთ პარტიაში, როგორიც ჩვენი პარტიაა, რომელიც დგას ხელისუფლების სათავეში და სადაც არის

გლეხებისა და მოსამსახურე ელემენტის განსაზღვრული ნაწილი, გარკვეული დროის განმავლობაში გროვდებიან ერთგვარი ინდიფერენტული, პარტიული პრაქტიკის საკითხებისადმი გულგრილი ელემენტები, რომლებიც ხმას თვალდახუჭულნი აძლევენ და მიჰყვებიან მდინარებას. ასეთი ელემენტების დიდი რაოდენობით არსებობა ბოროტებაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. ეს ელემენტები ჩვენი პარტიის ჭაობს შეადგენენ.

დისკუსია არის აპელაცია ამ ჭაობისადმი. ჭაობს აპელაციით მიმართავენ ოპოზიციონერები იმისათვის, რომ ჩამოაცილონ მას განსაზღვრული ნაწილი. და ისინი მართლაც ახერხებენ ამ ჭაობისაგან უარესი ნაწილის ჩამოცილებას. აპელაციით მიმართავს მას პარტიაც, რომ ჩამოაცილოს მას საუკეთესო ნაწილი და ჩააბას აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში. შედეგად ჭაობი იძულებულია თვითგამოერკვეს, მიუხედავად მთელი თავისი ინერტულობისა. და ის, მართლაც, ახდენს თვითგამორკვევას ამ აპელაციების შედეგად, თავისი რიგების ერთ ნაწილს აძლევს ოპოზიციას, მეორეს კი — პარტიას და, ამრიგად, წყვეტს თავის არსებობას, როგორც ჭაობი. ჩვენი პარტიული განვითარების საერთო ბალანსში ეს არის პლუსი. ახლანდელი დისკუსიის შედეგად ჭაობი ჩვენში შემცირდა, მან ან სავსებით შეწყვიტა არსებობა ან წყვეტს არსებობას. ესაა დისკუსიის პლუსი.

დისკუსიის შედეგები? შედეგები ცნობილია. გუშინდლამდე პარტიის სასარგებლოდ ხმა მიუცია, თურმე, 724 ათას ამხანაგს, ოპოზიციისათვის — 4 ათასზე ცოტა მეტს. აი შედეგი. ჩვენში ოპოზიციონერები გაჰყვიროდნენ: ცენტრალური კომიტეტი მოსწყდა პარტიას, პარტია მოსწყდა კლასს, ასე და ასე რომ ყოფილიყო და სასწაული მომხდარიყო, მაშინ ჩვენ, ოპოზიციონერებს, 99 პროცენტი უეჭველად ჩვენს მხარეზე გვეყოლებოდაო. მაგრამ რადგან

სასწაულები არ ხდება, ისე გამოვიდა, რომ ოპოზიციას 1 პროცენტიც კი არა ჰყავს. ასეთია შედეგი.

როგორ მოხდა, რომ მთელმა პარტიამ მთლიანად და მასთან ერთად მუშათა კლასმაც ასე სასტიკად გარიყეს ოპოზიცია? იქ ხომ, ოპოზიციის სათავეში, დგანან ცნობილი, სახელგანთქმული ადამიანები, ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თავისი თავის რეკლამირება (ხმები: «მართალია!»), ადამიანები, რომელთაც არ ახასიათებთ თავმდაბლობა (ტაში), რომელთაც შეუძლიათ თავისი თავის ქება და საქონლის შნოიანად ჩვენება.

მოხდა ეს იმიტომ, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელი ჯგუფი აღმოჩნდა ჯგუფი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც მოწყვეტილი არიან ცხოვრებას, მოწყვეტილი არიან რევოლუციას, მოწყვეტილი არიან პარტიას, მუშათა კლასს. (ხმები: «მართალია!». ტაში).

მე ამას წინათ ვლაპარაკობდი ჩვენი მუშაობის წარმატებებზე, ჩვენს მიღწევებზე მრეწველობის დარგში, ვაჭრობის დარგში, მთლიანად მეურნეობის დარგში, საგარეო პოლიტიკის დარგში. მაგრამ ოპოზიციას არაფრად ესაქმება ეს მიღწევები. ის ამ მიღწევებს ვერ ხედავს, ან არ სურს მათი დანახვა. არ სურს დანახვა ნაწილობრივ თავისი უვიცობის გამო, ნაწილობრივ კი ცხოვრებას მოწყვეტილი ინტელიგენტების ცნობილი ჯიუტობის გამო.

3. ძირითადი უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის

თქვენ იკითხავთ, რაში მდგომარეობს, ბოლოს და ბოლოს, უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის, რა საკითხებს ეხება ეს უთანხმოებანი?

ყველა საკითხს, ამხანაგებო. (ხმები: «მართალია!»).

ამას წინათ მე წავიკითხე განცხადება ერთი მოსკოველი უპარტიო მუშისა, რომელიც შედის ან უკვე შევიდა პარ-

ტიაში. აი როგორ აყალიბებს ის პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებულ უთანხმოებათა საკითხს:

«წინათ ჩვენ ვეძებდით, რაშია უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის. ახლა კი ვერ მონახავ, რაში ეთანხმება იგი პარტიას. (სიცილი, ტაში). ოპოზიცია წინააღმდეგია პარტიისა ყველა საკითხში, ამიტომ, მე რომ ოპოზიციის მომხრე ვყოფილიყავი, პარტიაში არ შევიდოდი». (სიცილი, ტაში). (იხ. «იზვესტია» № 264).

აი როგორ მოსწრებულად და ამასთან ერთად მოკლედ შეუძლიათ ზოგჯერ მუშებს გამოთქვან თავიანთი აზრი. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე მოსწრებული და ყველაზე სწორი დახასიათება ოპოზიციის დამოკიდებულებისა პარტიისადმი, მისი იდეოლოგიისადმი, მისი პროგრამისადმი, მისი ტაქტიკისადმი.

სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიცია შორდება პარტიას ყველა საკითხში, სწორედ ამიტომ ოპოზიცია არის ჯგუფი, რომელსაც აქვს თავისი იდეოლოგია, თავისი პროგრამა, თავისი ტაქტიკა, თავისი ორგანიზაციული პრინციპები.

ყველაფერი, რაც კი საჭიროა ახალი პარტიისათვის, ყველაფერი ეს აქვს ოპოზიციას. აკლია მხოლოდ «წვრილმანი», აკლია ძალა ამისათვის. (სიცილი. ტაში).

მე შემეძლო დამესახელებინა შვიდი ძირითადი საკითხი, რომელთა გამოც არსებობს უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის.

პირველი. ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის საკითხი. მე არ დავიმოწმებ ოპოზიციის დოკუმენტებსა და განცხადებებს ამ საკითხის შესახებ. მათ ყველა იცნობს და განმეორება ზედმეტია. ყველასათვის აშკარაა, რომ ოპოზიცია უარყოფს ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობას. ხოლო უარყოფს რა ასეთ შესაძლებლობას, ის პირდაპირ და აშკარად ექანება მენშევიკების პოზიციაზე.

ოპოზიციის ასეთი თვალსაზრისი ამ საკითხზე ახალი არ არის მისი ახლანდელი ხელმძღვანელებისათვის. ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდნენ კამენევი და ზინოვიევი, როცა მათ უარი თქვეს წასულიყვნენ ოქტომბრის აჯანყებაზე. ისინი მაშინ პირდაპირ ამბობდნენ: აჯანყებას რომ ვიწყებთ, ჩვენ დაღუპვისაკენ მივდივართო, საჭიროა დავუცადოთ დამფუძნებელ კრებასო, პირობები სოციალიზმისათვის არ მომწიფებულა და არც მალე მომწიფდებაო.

ამავე თვალსაზრისიდან გამოდიოდა ტროცკი, როცა ის აჯანყებაზე თანხმდებოდა. ვინაიდან იგი პირდაპირ ამბობდა: თუ დასავლეთში ძლევამოსილმა პროლეტარულმა რევოლუციამ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში არ მოგვისწრო დასახმარებლად, სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპასო.

მართლაც, როგორ მიდიოდნენ მაშინ აჯანყებაზე კამენევი და ზინოვიევი, ერთი მხრით, ტროცკი — მეორე მხრით, და ლენინი პარტიასთან ერთად — მესამე მხრით? ეს მეტად საინტერესო საკითხია, რომელზედაც ღირს, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვის თქმა.

თქვენ იცით, რომ კამენევი და ზინოვიევი იძულებით მიდიოდნენ აჯანყებაზე. ლენინი მათ მიერეკებოდა ჯოხით, ემუქრებოდა რა პარტიიდან გარიცხვით (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი), და ისინი იძულებული იყვნენ წაჩანჩალებულიყვნენ აჯანყებაზე. (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი).

ტროცკი აჯანყებაზე ნებაყოფლობით მიდიოდა. მაგრამ ის მიდიოდა არა უბრალოდ, არამედ შენიშვნით, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ აახლოებდა მას კამენევთან და ზინოვიევთან. საინტერესოა, რომ სწორედ ოქტომბრის წინ, 1917 წლის ივნისში, ტროცკიმ საჭიროდ სცნო ხელახლა გამოეცა პეტროგრადში თავისი ძველი ბროშურა «ზავის პროგრამა», თითქოს სურდა ამით ეთქვა, რომ აჯანყებაზე ის

მიდის თავისი საკუთარი დროშით. რას ამბობს ტროცკი ამ ბროშურაში? იქ იგი ეკამათება ლენინს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხზე, ლენინის ამ აზრს შემცდარად თვლის და ამტკიცებს, რომ ძალაუფლების აღება საჭირო იქნება, მაგრამ თუ ვერ მოგვისწრო დახმარებამ დასავლეთ ევროპის გამარჯვებული მუშების მხრით, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი, რომ რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპასო, ხოლო ვისაც არა სწამს ტროცკის კრიტიკა, ის დაავადებულია ნაციონალური შეზღუდულობითო.

აი ადგილი ტროცკის მაშინდელი ბროშურიდან:

«არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი, — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც, — რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას»... «სოციალური რევოლუციის პერსპექტივების განხილვა ნაციონალურ ჩარჩოებში ნიშნავს სწორედ იმ ნაციონალური შეზღუდულობის მსხვერპლად გახდომას, რომელიც სოციალ-პატრიოტიზმის არსს შეადგენს». (ტროცკი, «1917», ტ. III, ნაწ. 1, გვ. 90).

აი, ამხანაგებო, ტროცკისტული შენიშვნა, რომელიც ბევრს გვეუბნება კამენევთან და ზინოვიევთან ტროცკის ახლანდელი ბლოკის ფესვებისა და ქვენიადაგის შესახებ.

ხოლო როგორ მიდიოდა ლენინი აჯანყებაზე, როგორ მიდიოდა პარტია? ასევე, შენიშვნით? არა, ლენინი და მისი პარტია აჯანყებაზე მიდიოდნენ უშენიშვნოდ. აი ამონაწერი ლენინის ერთ-ერთი შესანიშნავი სტატიიდან — «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა», რომელიც გამოქვეყნდა საზღვარგარეთ 1917 წლის სექტემბერში:

«ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს ერთბაშად ყველა ომს საერთოდ. პირიქით, იგი ამ ომებს

გულისხმობს. კაპიტალიზმის განვითარება უაღრესად უთანაბროდ ხდება სხვადასხვა ქვეყანაში. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმი ერთსა და იმავე დროს ვერ გაიმარჯვებს **ყველა** ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, დანარჩენი ქვეყნები კი ერთ ხანს დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო შეხლა-შემოხლა, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც — გაანადგუროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ასეთ შემთხვევებში ომი ჩვენის მხრით კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისთვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხთა განთავისუფლებისთვის». **(ლენინი, «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა», «ლენინის ინსტიტუტის მოამბე», ნაკვ. II, გვ. 7 [85]).**

თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ აქ სრულიად სხვაგვარი თვალსაზრისი გვაქვს. თუ ტროცკი აჯანყებაზე მიდიოდა შენიშვნით, რომელიც მას აახლოებდა კამენევთან და ზინოვიევთან, როცა ამტკიცებდა, რომ თავისთავად პროლეტარული ხელისუფლება არ შეიძლება რაიმე განსაკუთრებულს წარმოადგენდეს, თუ თავის დროზე არ მოგვისწრო დახმარებამ გარედანო, ლენინი, პირიქით, აჯანყებაზე მიდიოდა უშენიშვნებოდ და ამტკიცებდა, პროლეტარული ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში უნდა გახდეს **ბაზა** იმისათვის, რომ დავეხმაროთ სხვა ქვეყნების პროლეტარებს განთავისუფლდნენ ბურჟუაზიის უღლისაგანო.

აი როგორ მიდიოდნენ ბოლშევიკები ოქტომბრის აჯანყებაზე, და აი რატომ გამონახეს საერთო ენა ტროცკიმ, კამენევმა და ზინოვიევმა ოქტომბრის რევოლუციის მეათე წელს.

შეიძლებოდა გამოგვეხატა დიალოგის ფორმით საუბარი, ერთი მხრით, ტროცკისა და, მეორე მხრით, კამენევსა და ზინოვიევს შორის, ოპოზიციური ბლოკის შექმნის დროს.

კამენევი და ზინოვიევი ტროცკის: «აი ხედავთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩვენ ბოლოს და ბოლოს მართალნი აღმოვჩნდით, როცა ვთქვით, რომ არ უნდა მოგვეხდინა ოქტომბრის აჯანყება, რომ უნდა დაგვეცადა დამფუძნებელი კრებისათვის და სხვ. ახლა ყველა ხედავს, რომ ჩვენი ქვეყანა გადაგვარებას განიცდის, ხელისუფლება გადაგვარებას განიცდის, ჩვენ დაღუპვისაკენ მივდივართ, და არავითარი სოციალიზმი ჩვენ არ გვექნება. არ უნდა მოგვეხდინა აჯანყება. თქვენ კი აჯანყებაზე ნებაყოფლობით წახვედით. თქვენ დიდი შეცდომა ჩაიდინეთ».

ტროცკი მათ უპასუხებს: «არა, ძვირფასო კოლეგებო, თქვენ უსამართლობას იჩენთ ჩემს მიმართ. აჯანყებაზე თუმცა წავედი, მაგრამ როგორ წავედი, თქვენ ამის თქმა დაგავიწყდათ. მე ხომ აჯანყებაზე მივდიოდი არა პირდაპირ, არამედ შენიშვნით. (სა ე რ თო სი ცი ლი). და რამდენადაც ახლა გამოირკვა, რომ გარედან დახმარებას არსაიდან უნდა ველოდეთ, ცხადია, საქმე დაღუპვისაკენ მიდის, როგორც თავის დროზე ვიწინასწარმეტყველე «ზავის პროგრამაში»».

ზინოვიევი და კამენევი: «ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ჩვენ დაგვავიწყდა შენიშვნა. ახლა ნათელია, რომ ჩვენი ბლოკი იდეურად დასაბუთებულია». (სა ე რ თო სი ცი ლი. ტა ში).

აი როგორ ჩამოყალიბდა ოპოზიციის თვალსაზრისი ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფაზე.

მაგრამ რას ნიშნავს ეს თვალსაზრისი? იგი ნიშნავს კაპიტულანტობას. ვის წინაშე? ცხადია, ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე. კიდევ ვის წინაშე? მსოფლიო ბურჟუაზიის წინაშე. ხოლო მემარცხენე ფრაზები, რევოლუციური ჟესტიკულაციები, — სად გაქრნენ ისინი? ისინი გაცამტვერდნენ. კარგად შეანჯღრიეთ ჩვენი ოპოზი-

ცია, შორს გადააგდეთ რევოლუციური ფრაზეოლოგია, — და თქვენ დაინახავთ, რომ ფსკერში იქ მათთან ზის კაპიტულანტობა. (ტ ა შ ი).

მ ე ო რ ე. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. გვაქვს ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა თუ არა გვაქვს? საკითხი რამდენადმე უცნაურია. (ს ი ც ი ლ ი). მიუხედავად ამისა, ოპოზიცია სვამს ამ საკითხს ყოველ თავის განცხადებაში. ოპოზიცია ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს თერმიდორული გადაგვარება. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არა გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა, რომ ჩვენში იფუშება და უკან მიდის ეკონომიკაც და პოლიტიკაც, რომ ჩვენ მივდივართ არა სოციალიზმისაკენ, არამედ კაპიტალიზმისაკენ. ეს, რა თქმა უნდა, უცნაურობაა და სისულელე. მაგრამ ოპოზიცია თავისას გაიძახის.

აი, ამხანაგებო, კიდევ ერთი უთანხმოება. სწორედ ამას ემყარება ტროცკის ცნობილი თეზისი კლემანსოს შესახებ. თუ ხელისუფლება გადაგვარდა ან გადაგვარების გზაზეა, განა ღირს მისი დაზოგვა, დაცვა, შენარჩუნება? ცხადია, არა ღირს. თუ კი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნება ასეთი ხელისუფლების «ჩამოსაგდებად», თუ, ვთქვათ, მტერი 80 კილომეტრის მანძილზე მოუახლოვდება მოსკოვს, — განა ცხადი არ არის, რომ უნდა გამოიყენო ვითარება, რათა აღგავო ეს ხელისუფლება და დააყენო ახალი, კლემანსოსებური, ე. ი. ტროცკისტული ხელისუფლება.

ცხადია, ამგვარ «გეზში» არაფერია ლენინური. ეს არის წმინდა წყლის მენშევიზმი. ოპოზიცია მენშევიზმამდე დაეჭანა.

მ ე ს ა მ ე. საკითხი მუშათა კლასის ბლოკისა საშუალო გლეხთან. ოპოზიცია ყოველთვის მალავდა თავის უარყოფითს დამოკიდებულებას ასეთი ბლოკის იდეისადმი. მისი პლატფორმა, მისი კონტრთეზისები შესანიშნავია იმდენად არა იმით, თუ რა არის იქ ნათქვამი, რამდენად იმით, თუ

რის დამალვას შეეცადა ოპოზიცია მუშათა კლასისაგან. მაგრამ აი აღმოჩნდა ერთი ადამიანი, ი. ნ. სმირნოვი, ისიც ოპოზიციის ერთი ლიდერთაგანი, რომელსაც ეყო ვაჟკაცობა — ეთქვა სიმართლე ოპოზიციის შესახებ, გამოეტანა იგი მზის სინათლეზე. და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ჩვენ «მივდივართ დაღუპვისაკენ» და, თუ გვინდა «თავი გადავირჩინოთ», უნდა წავიდეთ იმაზე, რომ განხეთქილება ჩამოვაგდოთ საშუალო გლეხთან. არც თუ ისე ჭკვიანურია. სამაგიეროდ ნათელია.

და აქ ოპოზიციის მენშევიკური ყურები გამოჩნდა, ბოლოს, ყველას დასანახად.

მ ე ო თ ხ ე. ჩვენი რევოლუციის ხასიათის საკითხი. თუ უარვყოფთ სოციალიზმის ძლევამოსილი აშენების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში, თუ უარვყოფთ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას, თუ უარვყოფთ გლეხობასთან მუშათა კლასის ბლოკის აუცილებლობას, — მაშინ რაღა რჩება ჩვენი რევოლუციისაგან, მისი სოციალისტური ხასიათისაგან? ცხადია, არაფერი, სრულიად არაფერი. პროლეტარიატმა ხელთ იგდო ძალაუფლება, ბოლომდე მიიყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია, გლეხობას ახლა აღარ ესაჭიროება რევოლუცია, ვინაიდან მან უკვე მიიღო მიწა,— მაშასადამე, პროლეტარიატს შეუძლია წავიდეს და ადგილი დაუთმოს სხვა კლასებს.

აი ასეთია ოპოზიციის თვალსაზრისი, თუ ჩავწვდებით ოპოზიციურ შეხედულებათა ფესვებს.

აი ჩვენი ოპოზიციის კაპიტულანტობის ყველა ფესვი. ტყუილად კი არ აქებს ოპოზიციას ბუნდელი კაპიტულანტი აბრამოვიჩი.

მ ე ხ უ თ ე. საკითხი ლენინის გეზისა კოლონიური რევოლუციების ხელმძღვანელობის დროს. ლენინი ემყარებოდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს იმპერიალის-

ტურ ქვეყნებსა და ჩაგრულ ქვეყნებს შორის, იმპერიალიზმის ქვეყნებში კომუნიზმის პოლიტიკასა და კოლონიურ ქვეყნებში კომუნიზმის პოლიტიკას შორის. ემყარებოდა რა ამ განსხვავებას, ლენინი ჯერ კიდევ ომის დროს ამბობდა, რომ სამშობლოს დაცვის იდეა, რომელიც მიუღებელი და კონტრრევოლუციურია კომუნიზმისათვის იმპერიალიზმის ქვეყნებში, სავსებით მისაღები და სამართლიანია ჩაგრულ ქვეყნებში, რომლებიც განმათავისუფლებელ ომს აწარმოებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ ლენინი განსაზღვრულ სტადიაზე და განსაზღვრული ვადით შესაძლებლად ცნობდა ბლოკს და კავშირსაც კი კოლონიური ქვეყნების ნაციონალურ ბურჟუაზიასთან, თუ კი ის ომს აწარმოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ და თუ კი ის ხელს არ უშლის კომუნისტებს — აღზარდონ მუშები და ღარიბი გლეხობა კომუნიზმის სულისკვეთებით.

ოპოზიციის შეცოდება აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი საბოლოოდ წყვეტს კავშირს ლენინის ამ გეზთან და ექანება II ინტერნაციონალის გეზისაკენ, იმ ინტერნაციონალისა, რომელიც უარყოფს იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიური ქვეყნების რევოლუციური ომების მხარდაჭერის მიზანშეწონილობას. სწორედ ამით აიხსნება მთელი ის ბედუკუღმართობა, რაც განიცადა ჩვენმა ოპოზიციამ ჩინეთის რევოლუციის საკითხში.

აი კიდევ ერთი უთანხმოება.

მეექვსე. საკითხი ერთიანი ფრონტის ტაქტიკისა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. ოპოზიციის შეცოდება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ის კავშირს წყვეტს ლენინის ტაქტიკასთან იმ საკითხში, რომელიც შეეხება მუშათა კლასის მილიონიანი მასების თანდათან გადმოყვანას კომუნიზმის მხარეზე. მუშათა კლასის მილიონიანი მასების გადმოყვანა კომუნიზმის მხარეზე ხდება არა მარტო იმ პირო-

ბით, რომ პარტია სწორ პოლიტიკას ატარებს. პარტიის სწორი პოლიტიკა დიდი საქმეა, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. იმისათვის, რომ მუშათა კლასის მილიონიანი მასები კომუნიზმის მხარეზე გადმოვიდნენ, ამისათვის საჭიროა, რომ მასები საკუთარი გამოცდილებით თვითონ დარწმუნდნენ კომუნიზმის პოლიტიკის სისწორეში. ხოლო მასები რომ დარწმუნდნენ, ამისათვის საჭიროა დრო, ამისათვის საჭიროა პარტიის ოსტატური და ხერხიანი მუშაობა თავის პოზიციებთან მასების მისაყვანად, პარტიის ოსტატური და ხერხიანი მუშაობა მილიონიანი მასების დასარწმუნებლად თავისი პოლიტიკის სისწორეში.

ჩვენ გავსებით მართალნი ვიყავით 1917 წლის აპრილში, ვინაიდან ვიცოდით, რომ საქმე მიდიოდა ბურჟუაზიის დამხობისა და საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისაკენ. მაგრამ ჩვენ მაშინ მუშათა კლასის ფართო მასებს ჯერ კიდევ არ მოვუწოდებდით აჯანყებისაკენ ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ. რატომ? იმიტომ, რომ მასებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ ჩვენი უეჭველად სწორი პოლიტიკის სისწორეში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა საბოლოოდ შეირცხვინეს თავი რევოლუციის ძირითად საკითხებში, მხოლოდ მაშინ, როდესაც მასებმა იწყეს დარწმუნება ჩვენი პოლიტიკის სისწორეში, მხოლოდ მაშინ წავიყვანეთ ჩვენ მასები აჯანყებისაკენ. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დროზე წავიყვანეთ მასები აჯანყებისაკენ, სწორედ ამიტომ მოვიპოვეთ ჩვენ მაშინ გამარჯვება.

აი რაშია ერთიანი ფრონტის იდეის ფესვები. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა სწორედ იმიტომ აამოქმედა ლენინმა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მილიონიანი მასებისათვის, რომლებიც მოწამლული იყვნენ სოციალ-დემოკრატიული შემთანხმებლობის ცრურწმენით,

გაეადვილებინა გამოეცნოთ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით კომუნისტების პოლიტიკის სისწორე და გადმოსულიყვნენ კომუნიზმის მხარეზე.

ოპოზიციის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის სავსებით უარყოფს ამ ტაქტიკას. ერთ დროს გატაცებული, სულელურად და უგუნურად გატაცებული ერთიანი ფრონტის ტაქტიკით, ოპოზიცია ყოველნაირად მიესალმებოდა ინგლისის გენერალურ საბჭოსთან შეთანხმების საქმეს და ფიქრობდა, რომ ეს შეთანხმება წარმოადგენს «მშვიდობიანობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ გარანტიას», «ინტერვენციის წინააღმდეგ ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ გარანტიას», «ევროპაში რეფორმიზმის უვნებელყოფის» ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ საშუალებას (იხ. ზინოვიევის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე). მაგრამ ოპოზიცია, როცა მას სასტიკად გაუცრუვდა იმედები, რომ პერსელებისა და ჰიქსების შემწეობით შეიძლებოდა რეფორმიზმის «უვნებელყოფა», შემდეგ გადავარდა მეორე უკიდურესობაში და ახლა სავსებით უარყოფს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის იდეას.

აი, ამხანაგებო, კიდევ ერთი უთანხმოება, რომელიც ცხადყოფს ოპოზიციის სრულ დაშორებას ერთიანი ფრონტის ლენინური ტაქტიკისაგან.

მ ე შ ვ ი დ ე. საკითხი ლენინური პარტიულობისა, ლენინური ერთიანობისა საკავშირო კომპარტიაში (ბ) და კომინტერნში. ოპოზიცია აქ სავსებით წყვეტს კავშირს ლენინურ ორგანიზაციულ გეზთან და დგება მეორე პარტიის შექმნის გზაზე, ახალი ინტერნაციონალის შექმნის გზაზე.

აი შვიდი ძირითადი საკითხი, რომელნიც მეტყველებენ, რომ ყველა ამ საკითხში ოპოზიცია მენშევიზმამდე დაეჭანა.

შეიძლება თუ არა ოპოზიციის ეს მენშევიკური შეხედულებანი შეუთავსდეს ჩვენი პარტიის იდეოლოგიას, ჩვენი პარტიის პროგრამას, მის ტაქტიკას, კომინტერნის ტაქტიკას, ლენინიზმის ორგანიზაციულ გეზს?

არავითარ შემთხვევაში, არც ერთ წუთს!

თქვენ იტყვით: როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ასეთი ოპოზიცია ჩვენში, სად არის მისი სოციალური ფესვები? მე ვფიქრობ, ოპოზიციის სოციალური ფესვები მარხია იმ ფაქტში, რომ ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენები ჩანაგდებიან ჩვენი განვითარების პირობებში, მარხია იმ ფაქტში, რომ ეს ფენები უკმაყოფილონი არიან პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, რომ ეს ფენები მიისწრაფიან შეცვალონ ეს რეჟიმი, «გააუმჯობესონ» იგი ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარების სახით.

მე უკვე ვთქვი ზემოთ, რომ ჩვენი წინწაწევის შედეგად, ჩვენი მრეწველობის ზრდის შედეგად, მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონის ზრდის შედეგად წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით ქალაქის ბურჟუაზიის, ერთი ნაწილი ჩანაგდება და იძირება. ოპოზიცია გამოხატავს ამ ფენების დრტვინვასა და უკმაყოფილებას პროლეტარული რევოლუციის რეჟიმის მიმართ.

ასეთია ოპოზიციის სოციალური ფესვები.

4. შემდეგ რა?

როგორ უნდა მოვეჭცეთ შემდეგ ოპოზიციას?

ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდე, მინდა გიამბოთ ისტორია ტროცკისთან ერთად მუშაობის ერთი ცდისა, რომელიც მოახდინა კამენევმა 1910 წელს. ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მით უმეტეს, რომ მას შეუძლია ერთგვარი გასაღები მოგვცეს, რათა სწორად მივუდგეთ დასმულ საკითხს. 1910 წელს საზღვარგარეთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იყო. პლენუმზე ირჩეოდა

საკითხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკების ურთიერთობა მენშევიკებთან, კერძოდ ტროცკისთან (ჩვენ მაშინ მენშევიკებთან ერთი საერთო პარტია გვქონდა, მის ნაწილს შევადგენდით და ჩვენს თავს ფრაქციას ვუწოდებდით). პლენუმმა, ლენინის აზრის საპირისპიროდ, წინააღმდეგ ლენინისა, მხარი დაუჭირა შერიგებას მენშევიკებთან და, მაშასადამე, ტროცკისთანაც. ლენინი უმცირესობაში დარჩა. კამენევი როგორღა მოიქცა? კამენევმა იკისრა ტროცკისთან თანამშრომლობის განხორციელება. და ის ახორციელებდა ამ თანამშრომლობას, ამასთან ისე, რომ ლენინმა ეს იცოდა და მისი საამისო თანხმობაც იყო, ვინაიდან ლენინს უნდოდა გამოცდილებით დაემტკიცებინა კამენევისათვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ტროცკისთან თანამშრომლობის მავნებლობა და შეუწყნარებლობა.

მოუსმინეთ, რას გვიამბობს ამის შესახებ კამენევი:

«1910 წელს ჩვენი ფრაქციის უმრავლესობამ სცადა შერიგებოდა და შეთანხმებოდა ამხ. ტროცკის. ვლადიმირ ილიას-ძე ამ ცდას სასტიკად უარყოფითად უყურებდა და, თითქოს ჩემს «დასასჯელად» იმის გამო, რომ მე დაჟინებით ვცდილობდი ტროცკისთან შეთანხმების მიღწევას, მან გაატარა წინადადება, რომ ცენტრალურ კომიტეტს სწორედ მე გავეგზავნე თავის წარმომადგენლად ამხ. ტროცკის გაზეთის რედაქციაში. 1910 წლის შემოდგომისათვის — ამ რედაქციაში რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ — მე დავრწმუნდი, რომ ვლადიმირ ილიას-ძე მართალი იყო, როდესაც უარყოფითად უყურებდა ჩემს «შემარიგებლურ» ხაზს, და მისი თანხმობით მე გამოვედი ამხ. ტროცკის ორგანოს რედაქციიდან. ჩვენს მიერ მაშინ ურთიერთობის გაწყვეტა ამხ. ტროცკისთან აღინიშნა მთელი რიგი მკაცრი სტატიებით პარტიის ცენტრალურ ორგანოში. სწორედ მაშინ ვლადიმირ ილიას-ძემ მომცა წინადადება — დამეწერა ბროშურა, რომელიც შეჯამებდა ჩვენს უთანხმოებებს ლიკვიდატორ-მენშევიკებთანაც და ამხ. ტროცკისთანაც. «თქვენ მოახდინეთ ცდა ანტიბოლშევიკურ დაჯგუფებათა ყველაზე უფრო მემარცხენე (ტროცკისტულ) ფრთასთან შეთანხმებისა, თქვენ დარწმუნდით შეთანხმების შეუძლებლობაში, და თქვენვე უნდა დასწეროთ ბროშურა, რომელიც ყოველივე ამას შეაჯამებსო», — მეუბნებოდა ვლადიმირ ილიას-ძე. ბუნებრივია, ვლადიმირ ილიას-ძე

განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდა იმას, რომ სწორედ ბოლშევიზმსა და იმას შორის, რასაც ჩვენ მაშინ ტროცკიზმს ვუწოდებდით, ურთიერთობის დარგში ყველაფერი თქმული ყოფილიყო... ბოლომდე». (ლ. კამენევის წინასიტყვაობა მისი ბროშურისათვის: «ორი პარტია»).

რა შედეგები მოჰყვა ამას? მოუსმინეთ შემდეგ:

«ტროცკისთან ერთად მუშაობის ცდამ, — ვბედავ ვთქვა, ჩემს მიერ გულწრფელად მოხდენილმა ცდამ, რასაც მოწმობს ტროცკის მიერ ახლა ექსპლოატირებული ჩემი წერილები და კერძო საუბრები, — ცხადყო, რომ შემარიგებლობა შეუჩერებლად ექანება ლიკვიდატორობის დაცვისაკენ, გადაჭრით დგება უკანასკნელის მხარეზე». (ლ. კამენევი, «ორი პარტია»).

და შემდეგ:

«ოო, «ტროცკიზმს» რომ გაემარჯვნა, როგორც განწყობილებას პარტიაში, — რა გასაქანი ექნებოდა ლიკვიდატორობას, ოტზოვიზმს, პარტიის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა მიმდინარეობას» (იქვე).

აი, ამხანაგებო, ტროცკისთან ერთად მუშაობის ცდა. (ხმა: «ჭკუის სასწავლებელი ცდა»). ამ ცდის შედეგები გამოხატა მაშინ კამენევმა სპეციალურ ბროშურაში, რომელიც გამოვიდა 1911 წელს სახელწოდებით «ორი პარტია». მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ბროშურამ დიდი სარგებლობა მოუტანა ყველა იმ ამხანაგს, რომელთაც კიდევ ჰქონდათ ილუზიები ტროცკისთან თანამშრომლობის შესახებ.

და აი მე მაქვს ასეთი კითხვა: ხომ არ შეეცდებოდა კამენევი დაეწერა კიდევ ერთი ბროშურა, იმავე სახელწოდებით — «ორი პარტია», ტროცკისთან მისი თანამშრომლობის ახლანდელი ცდის შესახებ? (საერთო ხარხარი. ტაში). შესაძლებელია, ეს უსარგებლო არ იქნებოდა. რასაკვირველია, მე არ შემიძლია მივცე კამენევს იმის გარანტია, რომ ტროცკი ახლაც, ისე როგორც მაშინ, არ გამოიყენებს მის წერილებს და ინტიმურ საუბრებს მის წინააღმდეგ. (საერთო სიცილი). მაგრამ არა მგონია ეს საშიში იყოს. ყოველ შემთხვევაში, აქ საჭიროა

არჩევანი: ან შიში იმისა, რომ ტროცკი გამოიყენებს კამენევის წერილებს და საქვეყნოდ გამოიტანს მის საიდუმლო საუბრებს ტროცკისთან, და მაშინ პარტიის გარეთ დარჩენის საფრთხე, ან ყოველივე შიშის უკუგდება და პარტიაში დარჩენა.

ასე დგას ახლა საკითხი, ამხანაგებო: ან ერთი, ან მეორე.

ამბობენ, ოპოზიციას განზრახვა აქვს შემოიტანოს ყრილობის სახელზე რაღაც განცხადება იმის შესახებ, რომ ის, ოპოზიცია, ემორჩილება და დაემორჩილება პარტიის ყველა გადაწყვეტილებას (ხმა: «ისე, როგორც 1926 წლის ოქტომბერში?»), დაშლის თავის ფრაქციას (ხმა: «ჩვენ ეს ორჯერ მოვისმინეთ!») და დაიცავს თავის შეხედულებებს, რომლებსაც ის არ უარყოფს (ხმები: «ოჰო!». «არა, უმჯობესია, ისევ ჩვენ თვითონ დავშალოთ ისინი!»), პარტიის წესდების ჩარჩოებში. (ხმები: «შენიშვნებით». «ჩვენ რეზინის ჩარჩოები კი არა გვაქვს»).

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამ ოინიდან არაფერი გამოვა. (ხმები: «მართალია!». ხანგრძლივი ტაში). ჩვენც გვაქვს, ამხანაგებო, განცხადებების ერთგვარი გამოცდილება (ტაში), ერთგვარი გამოცდილება ორი განცხადებისა (ხმები: «მართალია!»), 1926 წლის 16 ოქტომბრისა და 1927 წლის 8 აგვისტოსი. რა ნაყოფი გამოიღო ამ გამოცდილებამ? თუმცა მე არ ვაპირებ დავწერო ბროშურა «ორი პარტია», მაგრამ ნებას ვაძლევ თავს განვაცხადო, რომ ამ გამოცდილებას მოჰყვა უაღრესად უარყოფითი შედეგები (ხმები: «მართალია!»), პარტიის მოტყუება ორჯერ, პარტიული დისციპლინის შესუსტება. რა საფუძველი აქვს ახლა ოპოზიციას მოგვთხოვოს, რომ ჩვენ, დიდი პარტიის ყრილობამ, ლენინის პარტიის ყრილობამ, ასეთი გამოცდილების შემდეგ დავუჯეროთ მათს

სიტყვას? (ხმები: «ეს სისულელე იქნებოდა». «ვინც დაუჯერებს, იმას მოხვდება»).

ამბობენ, ისინი აყენებენ აგრეთვე საკითხს, რომ გარიცხულნი დაბრუნებულ იქნენ პარტიაში. (ხმები: «არ გაუვათ». «დაე წავიდნენ მენშევიკურ ჭაობში»). მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ არც ეს გამოვა. (ხანგრძლივი ტაში).

რატომ გარიცხა პარტიამ ტროცკი და ზინოვიევი? იმიტომ, რომ ისინი ანტიპარტიული ოპოზიციის მთელი საქმის ორგანიზატორები არიან (ხმები: «მართალია!»), იმიტომ, რომ მათ მიზნად დაისახეს პარტიის კანონების დარღვევა, იმიტომ, რომ მათ თავს გაუვიდათ და ეგონათ — ვერ გაბედავენ და ხელს ვერ გვახლებენო, იმიტომ, რომ მათ მოინდომეს შეექმნათ თავისთვის პარტიაში აზნაურული მდგომარეობა.

მაგრამ განა ჩვენ გვინდა გვყავდეს პარტიაში პრივილეგიების მქონე აზნაურები და ამ პრივილეგიებს მოკლებული გლეხები? ნუთუ ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებმაც ძირფესვიანად მოვსპეთ აზნაურთა წოდება, ახლა შევუდგებით ამ წოდების აღდგენას ჩვენს პარტიაში? (ტაში).

თქვენ გვეკითხებით: რატომ გავრიცხეთ პარტიიდან ტროცკი და ზინოვიევი? იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა პარტიაში გვყავდეს აზნაურები. იმიტომ, რომ პარტიაში ჩვენ ერთი კანონი გვაქვს, და პარტიის ყველა წევრი თანასწორია თავისი უფლებებით. (ხმები: «მართალია!». ხანგრძლივი ტაში).

თუ ოპოზიციას სურს ჩვენს პარტიაში იცხოვროს, დაე დაემორჩილოს იგი პარტიის ნებას, მის კანონებს, მის მითითებებს უშენიშვნებოდ, მიუკიბ-მოუკიბავად. თუ მას არ უნდა ეს, — დაე წავიდეს, სადაც მეტი თავისუფლება ექნება. (ხმები: «სწორია!». ტაში). ახალი, ოპოზიციი-

სათვის შეღავათიანი, კანონები ჩვენ არ გვინდა, და არც შევქმნით. (ტ ა შ ი).

გვეკითხებიან პირობების შესახებ. პირობა ჩვენ გვაქვს ერთი: ოპოზიცია მთლიანად და სავსებით უნდა განიარაღდეს იდეურადაც და ორგანიზაციულადაც. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მან აშკარად და კეთილსინდისიერად, მთელი მსოფლიოს წინაშე, უნდა უარყოს თავისი ანტიბოლშევიკური შეხედულებები. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მან აშკარად და კეთილსინდისიერად, მთელი მსოფლიოს წინაშე, უნდა დაგმოს მის მიერ ჩადენილი ყველა შეცდომა, ის შეცდომები, რომლებიც გადაიქცნენ პარტიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

მან უნდა გადმოგვცეს თავისი უჯრედები იმისათვის, რომ პარტიას შესაძლებლობა ჰქონდეს ძირბუდიანად დაშალოს ისინი. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ან ასე უნდა მოიქცნენ, ანდა უნდა გავიდნენ პარტიიდან. და თუ არ გავლენ — გავაძევებთ. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ასეა საქმე, ამხანაგებო, ოპოზიციის მიმართ.

IV

საერთო შედეგი

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

როგორია საანგარიშო პერიოდის საერთო შედეგი? შედეგი ასეთია:

1) ჩვენ შევინარჩუნეთ მშვიდობიანობა გარემომცველ სახელმწიფოებთან, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, მიუხედავად «დიდ სახელმწიფოთა» ბურჟუაზიის პროვოკაციული გამოსვლებისა;

2) ჩვენ განვამტკიცეთ სსრ კავშირის მუშათა კლასის კავშირი იმპერიალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მუშებთან, მიუხედავად აურაცხელი დაბრკოლებებისა, მიუხედავად მოსყიდული, ასპიროვანი ბურჟუაზიული პრესის მიერ გადმონთხეული ზღვა ცილისწამებისა;

3) ჩვენ ავამაღლეთ პროლეტარული დიქტატურის ავტორიტეტი მშრომელთა მილიონიან მასებს შორის ქვეყნიერების ყველა ნაწილში;

4) ჩვენ, როგორც პარტია, დავეხმარეთ კომინტერნს და მის სექციებს განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში;

5) ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეუძლია ერთ პარტიას, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და დაჩქარებისათვის;

6) ჩვენ ავამაღლეთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, დავადგინეთ რა მისი განვითარებისათვის სარეკორდო ტემპი და განვამტკიცეთ მისი ჰეგემონია მთელ სახალხო მეურნეობაში;

7) ჩვენ დავამყარეთ სოციალისტური ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან;

8) ჩვენ განვამტკიცეთ მუშათა კლასის კავშირი საშუალო გლეხობასთან, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის პირობებში;

9) ჩვენ განვამტკიცეთ პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად მტრული საერთაშორისო გარემოცვისა, და დავანახეთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომ პროლეტარიატს შეუძლია არა მარტო დაანგრიოს კაპიტალიზმი, არამედ აშენოს სოციალიზმიც;

10) ჩვენ განვამტკიცეთ პარტია, დავიცავით ლენინიზმი და სასტიკად დავამარცხეთ ოპოზიცია.

ასეთია საერთო შედეგი.

როგორია დასკვნა? დასკვნა ერთია: ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორია. (ხ მ ე ბ ი: «მართალია!». ტ ა შ ი).

აქედან კი ის გამოდის, რომ, თუ ამ გზით ვივლით, ჩვენ უთუოდ მივალთ სოციალიზმის გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვებამდე ყველა ქვეყანაში. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აღარ გვექნება სიძნელეები ჩვენს გზაზე. სიძნელეები იქნება. მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია, ვინაიდან ჩვენ ვართ ბოლშევიკები, რევოლუციის ცეცხლში გამობრძმედილნი.

სიძნელეები იქნება. მაგრამ ჩვენ მათ დავძლევთ, ისე როგორც დღემდე ვძლევდით, ვინაიდან ჩვენ ვართ ბოლშევიკები, ლენინის რკინისებური პარტიის მიერ გამოჭედილნი იმისათვის, რომ ვებრძოლოთ სიძნელეებს და ვძლიოთ ისინი, და არა ვიწუწუნოთ და ვიტიროთ.

და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ბოლშევიკები ვართ, ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ.

ამხანაგებო! წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ ჩვენს ქვეყანაში, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მთელ მსოფლიოში! (მ ქ უ ხ ა რ ე და ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. ყ ვ ე ლ ა ნ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ი ა ნ და ო ვ ა ც ი ა ს უ მ ა რ თ ა ვ ე ნ ა მ ხ. ს ტ ა ლ ი ნ ს. მ ღ ე რ ი ა ნ «ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს»).

საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო

7 დეკემბერი

ამხანაგებო! მთელი რიგი დელეგატების სიტყვების შემდეგ მე ბევრი აღარაფერი დამრჩენია სათქმელი. ევდოკიმოვისა და მურალოვის სიტყვების შესახებ არაფერი მაქვს სათქმელი არსებითად, რადგან ისინი ამისათვის მასალას არ იძლევიან. მათ შესახებ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლებოდა: მიუტევოს მათ ალაჰმა შეცოდებანი მათნი, რამეთუ თვითონ არ უწყიან, რას ლაყბობენ. (სიცილი, ტაში). მე მინდა შევჩერდე იმ სიტყვებზე, რაც წარმოთქვეს რაკოვსკიმ და, განსაკუთრებით, კამენევმა, რომლის სიტყვა ყველაზე უფრო ფარისევლურია და ყველაზე უფრო ყალბია ოპოზიციონერთა ყველა სიტყვიდან. (ხმები: «მართალია!»).

I

რაკოვსკის სიტყვის შესახებ

ა) **საგარეო პოლიტიკის შესახებ.** მე ვფიქრობ, რომ რაკოვსკი აქ ტყუილად შეეხო ომისა და საგარეო პოლიტიკის საკითხს. ყველამ იცის, რომ რაკოვსკიმ მოსკოვის კონფერენციაზე სისულელე მოჩმახა ომის საკითხზე. მოვიდა აქ

და სიტყვა აიღო, ალბათ, იმისათვის, რომ გამოესწორებინა სისულელე. მაგრამ მეტი სისულელე გამოუვიდა. (სიცილი). ვფიქრობ, რაკოვსკისათვის უმჯობესი იქნებოდა გაჩუმებულიყო საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ბ) **მემარცხენისა და მემარჯვენის შესახებ.** რაკოვსკი ამტკიცებს, რომ ოპოზიცია ჩვენი პარტიის მემარცხენე სექტორია. ეს, ამხანაგებო, სასაცილოდაც არავის ეყოფა. ასეთ განცხადებებს, ალბათ, იმიტომ აკეთებენ, რომ პოლიტიკურმა კოტრებმა თავი ინუგეშონ. დამტკიცებულია, რომ ოპოზიცია ჩვენი პარტიის მენშევიკური ფრთაა, რომ ოპოზიცია მენშევიზმამდე დაეჭანა, რომ ოპოზიცია ობიექტურად ბურჟუაზიული ელემენტების იარაღად გადაიქცა. ყველაფერი ეს ათასჯერ არის დამტკიცებული. როგორ შეიძლება ამის შემდეგ ოპოზიციის მემარცხენეობაზე ლაპარაკი? სად გაგონილა, რომ მენშევიკური ჯგუფი, რომელიც ობიექტურად გადაქცეულა «მესამე ძალის» იარაღად, ბურჟუაზიული ელემენტების იარაღად, — რომ ასეთი ჯგუფი უფრო მემარცხენე იყოს, ვიდრე ბოლშევიკები? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიცია არის მემარჯვენე, მენშევიკური ფრთა საკავშირო კომპარტიაში (ბ)?

რაკოვსკი, ცხადია, საბოლოოდ დაიბნა და მარჯვენა მარცხენაში აურია. ხომ გახსოვთ გოგოლის სელიფანი: «ეჰ, შენ, შავფეხავ... არ იცის, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა!».

გ) **ოპოზიციის დახმარების შესახებ.** რაკოვსკი აცხადებს, რომ ოპოზიცია მზად არის მხარი დაუჭიროს პარტიას, თუ იმპერიალისტები თავს დაგვესხმიანო. დიდი წყალობა კია, თქვენმა მზემ! ისინი, პატარა ჯგუფი, რომელიც ჩვენს პარტიაში ნახევარ პროცენტსაც ძლივს წარმოადგენს, მოწყალედ გვპირდებიან დახმარებას, თუ ჩვენს ქვეყანას იმპერიალისტები დაესხმიან თავს. არ გვჯერა თქვენი დახმარება, და არც გვესაჭიროება იგი! ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს

გთხოვთ: ნუ გვიშლით ხელს, თავი დაანებეთ ჩვენთვის ხელის შეშლას! ყოველივე დანარჩენს თვითონ გავაკეთებთ, შეგიძლიათ ამაში დარწმუნებული იყოთ. (ხმები: «მართალია!». ტაში).

დ) **«სიგნალიზატორების» შესახებ.** შემდეგ, რაკოვსკი აცხადებს, რომ ოპოზიცია სიგნალს გვაძლევს საშიშროების, სიძნელეების, ჩვენი ქვეყნის «დაღუპვის» შესახებ. «სიგნალიზატორებიც» ასეთი უნდა: ისინი პარტიის ხსნას აპირებენ «დაღუპვისაგან», ამავე დროს კი თვითონ იღუპებიან და ნამდვილად საჭიროებენ შველას! თვითონ ძლივს დგანან ფეხზე და სხვების შველას ლამობენ! განა სასაცილო არ არის ეს, ამხანაგებო? (სიცილი).

წარმოიდგინეთ პატარა ნავი, რომელიც ძლივძლივობით ტივტივებს ზღვის ზედაპირზე და საცაა დაიღუპება, და წარმოიდგინეთ საუცხოო გემი, რომელიც მძლავრად მიაპობს ტალღებს და გაბედულად მიექანება წინ. რას იტყოდით თქვენ, ამ პატარა ნავმა რომ მოინდომოს უზარმაზარი გემის გადარჩენა? (სიცილი). ხომ მართალია, ეს სასაცილოზე სასაცილო იქნებოდა? სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან ახლა ჩვენი «სიგნალიზატორები» ოპოზიციიდან. ისინი სიგნალს გვაძლევენ საშიშროების, სიძნელეების, «დაღუპვისა» და, რაც გნებავთ, ყველაფრის შესახებ, თვითონ კი იძირებიან და ვერც კი ამჩნევენ, რომ უკვე ფსკერზე ჩაეშვნენ.

როდესაც ოპოზიციონერები ლაპარაკობენ თავიანთ თავზე, როგორც «სიგნალიზატორებზე», ისინი ამით პრეტენზიას აცხადებენ პარტიის, მუშათა კლასის, ქვეყნის ხელმძღვანელობაზე. საკითხავია — რა საფუძვლით? განა მათ, ოპოზიციონერებმა, საქმით დაამტკიცეს, რომ საერთოდ უნარი შესწევთ რაიმეს უხელმძღვანელონ, პარტიის, კლასისა და ქვეყნის ხელმძღვანელობას რომ თავი დავანებოთ? განა ფაქტი არ არის, რომ ოპოზიცია, ისეთი ადამიანების

მეთაურობით, როგორიც არიან ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი, აი უკვე ორი წელიწადია ხელმძღვანელობს თავის ჯგუფს, და რომ ოპოზიციის ლიდერებმა, თავიანთ ჯგუფს რომ ხელმძღვანელობენ, საბოლოო კრახამდე მიიყვანეს იგი? განა ფაქტი არ არის, რომ ოპოზიციას თავისი ჯგუფი ამ ორი წლის განმავლობაში დამარცხებიდან დამარცხებისაკენ მიჰყავდა? რას მეტყველებს ეს, თუ არა იმას, რომ ოპოზიციის ლიდერები უმწეონი გამოდგნენ, რომ მათი ხელმძღვანელობა აღმოჩნდა არა გამარჯვების, არამედ დამარცხების ხელმძღვანელობა? მაგრამ თუ ოპოზიციის ლიდერები უმწეონი აღმოჩნდნენ პატარა საქმეში, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ძლიერნი აღმოჩნდებიან დიდ საქმეში? განა ცხადი არ არის, რომ ადამიანებს, რომელნიც პატარა ჯგუფის ხელმძღვანელობის საქმეში გაკოტრდნენ, ვერავინ გაბედავს მიანდოს ისეთი დიდი საქმის ხელმძღვანელობა, როგორიც არის პარტია, მუშათა კლასი, ქვეყანა?

აი რის გაგება არ უნდათ ჩვენს «სიგნალიზატორებს».

II

კამენევის სიტყვის შესახებ

გადავდივარ კამენევის სიტყვაზე. ეს სიტყვა არის ყველაზე ყალბი, ყველაზე ფარისევლური, ყველაზე თაღლითური და გაიძვერული ყველა ოპოზიციური სიტყვიდან, რომლებიც კი აქ, ამ ტრიბუნიდან წარმოითქვა. (ხმები: «მართალია!». ტაში).

ა) **ორი სახე ერთ ბუნებაში.** პირველი, რაც კამენევმა თავის სიტყვაში მოიხდომა, იყო კვალის დაფარვა. პარტიის წარმომადგენლები აქ ლაპარაკობდნენ ჩვენი პარტიის მიღწევებზე, ჩვენი მშენებლობის წარმატებებზე, ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებაზე და სხვ. შემდეგ, ისინი ლაპარაკობდნენ ოპოზიციონერების მენშევიკურ ცოდვებზე, იმაზე, რომ

ისინი მენშევიზმამდე დაექანენ და უარყოფენ სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში, უარყოფენ პროლეტარული დიქტატურის არსებობას სსრ კავშირში, უარყოფენ საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ავრცელებენ ცილისწამებას თერმიდორის შესახებ და სხვ. პარტიის წარმომადგენლები, ბოლოს, ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ოპოზიციის ასეთი შეხედულებები შეუთავსებელია ჩვენი პარტიის წევრობასთან, რომ, თუ ოპოზიციას სურს ჩვენს პარტიაში დარჩენა, მან უნდა უკუაგდოს ეს მენშევიკური შეხედულებანი.

მერე რა? კამენევმა უკეთესი ვერაფერი გამონახა, გარდა იმისა, რომ ეს საკითხები მიეჩქმალა, კვალი დაეფარა და გვერდით ჩაევლო. მას ეკითხებიან ჩვენი პროგრამის, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ის კი გვერდს უვლის ამ საკითხებს, თითქოს მას ეს არც კი ეხებოდეს. შეიძლება თუ არა კამენევის ასეთ ქცევას ეწოდოს საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება? რით აიხსნება ოპოზიციის ასეთი ქცევა? ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი რამით: სურვილით, რომ მოატყუოს პარტია, მიაძინოს მისი სიფხიზლე, ერთხელ კიდევ თვალი აუხვიოს პარტიას.

ოპოზიციას ორი სახე აქვს: ერთი — ფარისევლურ-ალერსიანი, მეორე — მენშევიკურ-ანტირევოლუციური. იგი პარტიას უჩვენებს თავის ფარისევლურ-ალერსიან სახეს მაშინ, როდესაც პარტია აწვება მას და მოითხოვს მისგან ხელი აიღოს ფრაქციულობაზე, გათიშვის პოლიტიკაზე. იგი თავის მენშევიკურ-ანტირევოლუციურ სახეს გვიჩვენებს მაშინ, როდესაც აპელაციით მიმართავს არაპროლეტარულ ძალებს, როდესაც აპელაციით მიმართავს «ქუჩას» პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ახლა

მოგვმართავს ჩვენ, როგორც ხედავთ, თავისი ფარისევლურ-ალერსიანი სახით, რადგან სურს კიდევ ერთხელ მოატყუოს პარტია. აი რატომ შეეცადა კამენევი დაეფარა კვალი, გვერდი აევლო ჩვენი უთანხმოების უმნიშვნელოვანესი საკითხებისათვის. განა შეიძლება კიდევ მოვითმინოთ ეს ორპოფობა, ეს ორპირობა?

ორში ერთი: ან ოპოზიციას სურს პარტიასთან სერიოზულად ლაპარაკი, — და მაშინ მან უნდა მოიხსნას ნიღაბი; ან ის ფიქრობს კვლავაც შეინარჩუნოს ორი სახე, მაგრამ მაშინ მას მოუხდება პარტიის გარეთ დარჩენა. (ხმები: «მართალია!»).

ბ) **ბოლშევიზმის ტრადიციების შესახებ.** კამენევი გვარწმუნებს, რომ ჩვენი პარტიის ტრადიციებში, ბოლშევიზმის ტრადიციებში არ არის ისეთი რამ, რომ პარტიის წევრს მოეთხოვოს უარი თქვას ზოგიერთ შეხედულებაზე, რომელიც შეუთავსებელია ჩვენი პარტიის იდეოლოგიასთან, ჩვენს პროგრამასთან. მართალია ეს? რა თქმა უნდა, არ არის მართალი. უფრო მეტიც, — ეს სიცრუეა, ამხანაგებო!

განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ყველანი, კამენევთან ერთად, პარტიიდან ვრიცხავდით მიასნიკოვს და მიასნიკოველებს? რატომ ვრიცხავდით მათ? იმიტომ, რომ მათი მენშევიკური შეხედულებანი შეუთავსებელი აღმოჩნდა პარტიის შეხედულებებთან.

განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ყველანი, კამენევთან ერთად, პარტიიდან ვრიცხავდით «მუშათა ოპოზიციის» ერთ ნაწილს? მერე რატომ ვრიცხავდით მას? იმიტომ, რომ მისი მენშევიკური შეხედულებანი შეუთავსებელი აღმოჩნდა ჩვენი პარტიის შეხედულებებთან.

რატომ გამოვრიცხეთ პარტიიდან ოსოვსკი, დაშკოვსკი? რატომ გამოვრიცხეთ კომინტერნიდან მასლოვი, რუთ ფიშერი, კაცი და სხვები? იმიტომ, რომ მათი შეხედულებები

შეუთავსებელი აღმოჩნდა კომინტერნის იდეოლოგიასთან, საკავშირო კომპარტიის (ბ) იდეოლოგიასთან.

ჩვენი პარტია ლენინური პარტია არ იქნებოდა, მას რომ დასაშვებად მიაჩნდეს ანტილენინური ელემენტების არსებობა ჩვენი ორგანიზაციების შემადგენლობაში. ასე რომ არ იყოს, რატომ არ უნდა შევიყვანოთ ჩვენს პარტიაში მენშევიკები? რა ვუყოთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს პარტიაში არიან, მაგრამ მენშევიზმამდე დაქანდნენ და თავიანთ ანტილენინურ შეხედულებათა პროპაგანდას ეწევიან? რა შეიძლება იყოს საერთო ლენინურ პარტიასა და ასეთ ადამიანებს შორის? კამენევი ცილს სწამებს ჩვენს პარტიას, კავშირს წყვეტს ჩვენი პარტიის ტრადიციებთან, კავშირს წყვეტს ბოლშევიზმის ტრადიციებთან, როცა ამტკიცებს, რომ პარტიის შემადგენლობაში შეიძლება მოვითმინოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც მენშევიკურ შეხედულებებს აღიარებენ და ქადაგებენ. და სწორედ იმიტომ, რომ კამენევი, და მასთან ერთად მთელი ოპოზიციაც, ფეხქვეშ თელავენ ჩვენი პარტიის რევოლუციურ ტრადიციებს, — სწორედ ამიტომ პარტია აყენებს ოპოზიციის მიერ თავის ანტილენინურ შეხედულებებზე უარის თქმის საკითხს.

გ) **ოპოზიციის მოჩვენებითი პრინციპულობა.** კამენევი ირწმუნება, რომ მისთვის და სხვა ოპოზიციონერებისათვის ძნელია თავიანთ შეხედულებებზე უარის თქმა, რადგან შეჩვეული ვართ ჩვენი შეხედულებების ბოლშევიკურად დაცვასო. ის ამბობს, ოპოზიციის მხრივ უპრინციპობა იქნებოდა, მას რომ თავის შეხედულებებზე უარი ეთქვაო. ამრიგად გამოდის, რომ ოპოზიციის ლიდერები დიდად პრინციპული ადამიანები არიან. მართალია თუ არა ეს, ამხანაგებო? მართლა ასე უფრთხილდებიან და აფასებენ ისინი, ოპოზიციის ლიდერები, თავიანთ პრინციპებს, თავიანთ შეხედულებებს, თავიანთ რწმენას? რაღაც არ წააგავს

ამას, ამხანაგებო! არ წააგავს, თუ მხედველობაში გვექნება ოპოზიციური ბლოკის შექმნის ისტორია. (ს ი ც ი ლ ი). საქმის ვითარება სრულიად საწინააღმდეგოა. ისტორია მოწმობს, ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ არავინ ისე ადვილად არ გადამხტარა ერთი პრინციპებიდან სხვა პრინციპებზე, ჯერ არავის ისე ადვილად და თავისუფლად არ გამოუცვლია თავისი შეხედულებანი, როგორც ამას ჩვენი ოპოზიციის ლიდერები სჩადიოდნენ. რატომ არ უნდა უარყონ მათ თავიანთი შეხედულებანი ახლაც, თუ ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები?

აი რამდენიმე მაგალითი ტროცკიზმის ისტორიიდან.

ცნობილია, რომ ლენინმა, როცა ის კრებდა პარტიას, 1912 წელს პრაღაში მოიწვია ბოლშევიკების კონფერენცია. ცნობილია, რომ ამ კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, ვინაიდან მან მიჯნა გაავლო ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის და გააერთიანა ბოლშევიკური ორგანიზაციები მთელ ჩვენს ქვეყანაში ერთიან ბოლშევიკურ პარტიად.

ცნობილია, რომ იმავე 1912 წელს მოხდა აგვისტოს ბლოკის მენშევიკური თათბირი ტროცკის მეთაურობით. შემდეგ, ცნობილია, რომ ამ თათბირმა ომი გამოუცხადა ბოლშევიკურ კონფერენციას და მოუწოდა მუშათა ორგანიზაციებს ლენინური პარტიის ლიკვიდაციისაკენ. რაში სდებდა ბრალს მაშინ ტროცკის აგვისტოს ბლოკის თათბირი პრაღის ბოლშევიკურ კონფერენციას? ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში. აბრალებდა უზურპატორობას, სექტანტობას, პარტიაში «სახელმწიფო გადატრიალების» მოწყობას და ვინ იცის კიდევ რას.

აი რას ამბობდა მაშინ აგვისტოს ბლოკის თათბირი პრაღის ბოლშევიკური კონფერენციის შესახებ თავის განცხადებაში II ინტერნაციონალის მიმართ:

«თათბირი აცხადებს, რომ ეს კონფერენცია (ბოლშევიკების პრაღის 1912 წლის კონფერენცია. **ი. სტ.**) წარმოადგენს **იმ პირთა ჯგუფის აშკარა ცდას**, რომელთაც სავსებით შეგნებულად მიჰყავდათ პარტია გათიშვისაკენ, **უზურპაცია უყონ პარტიის დროშას,** და თავის ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ **მოტყუების** მსხვერპლი გახდა პარტიის რამდენიმე ორგანიზაცია და ამხანაგი, რომლებმაც ამით ხელი შეუწყვეს **ლენინის სექტის** გამთიშველ და უზურპატორულ პოლიტიკას. თათბირი გამოთქვამს თავის რწმენას, რომ რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა პარტიული ორგანიზაცია **პროტესტს** განაცხადებს **მოხდენილი სახელმწიფო გადატრიალების** წინააღმდეგ, **არ ცნობს** კონფერენციის მიერ არჩეულ ცენტრალურ ინსტანციებს და ყოველი საშუალებით შეუწყობს ხელს პარტიის ერთიანობის აღდგენას ნამდვილი საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის გზით». (ავგისტოს ბლოკის განცხადებიდან II ინტერნაციონალის მიმართ, რაც გამოქვეყნებული იყო «ფორვერტსში» 1912 წლის 26 მარტს).

თქვენ ხედავთ, რომ აქ ყველაფერია: ლენინის სექტაც, უზურპაციაც, «სახელმწიფო გადატრიალებაც» პარტიაში.

მერე რა? გავიდა რამდენიმე წელიწადი, — და ტროცკიმ უარყო ეს თავისი შეხედულებანი ბოლშევიკურ პარტიაზე. და არა მარტო უარყო, არამედ მუცლით მიხოხდა ბოლშევიკურ პარტიასთან და შევიდა მასში როგორც მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი. (ს ი ც ი ლ ი).

რა საფუძველი გვაქვს ყოველივე ამის შემდეგ ვიფიქროთ, რომ ტროცკი და ტროცკისტები კიდევ ერთხელ ვერ მოახერხებენ უარყონ თავიანთი შეხედულებები თერმიდორულ ტენდენციებზე ჩვენს პარტიაში, უზურპაციაზე და სხვ.?

მეორე მაგალითი იმავე სფეროდან.

ცნობილია, რომ 1924 წლის დამლევს ტროცკიმ გამოსცა ბროშურა «ოქტომბრის გაკვეთილების» სახელწოდებით. ცნობილია, რომ ამ ბროშურაში ტროცკი ახასიათებდა კამენევსა და ზინოვიევს, როგორც ჩვენი პარტიის მემარჯვენე, ნახევრად-მენშევიკურ ფრთას. ცნობილია, რომ ტროცკის ბროშურამ გამოიწვია მთელი დისკუსია ჩვენს პარტიაში.

და მერე? გავიდა სულ რაღაც ერთი წელიწადი, — და ტროცკიმ უარი თქვა თავის შეხედულებებზე და განაცხადა, რომ ზინოვიევი და კამენევი წარმოადგენენ ჩვენი პარტიის არა მემარჯვენე, არამედ მემარცხენე, რევოლუციურ ფრთასო.

კიდევ მაგალითი, უკვე ზინოვიევის ჯგუფის ისტორიიდან. ცნობილია, რომ ზინოვიევსა და კამენევს უამრავი ბროშურა აქვთ დაწერილი ტროცკიზმის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1925 წელს ზინოვიევმა და კამენევმა, მთელ პარტიასთან ერთად, გამოაცხადეს ტროცკიზმის შეუთავსებლობა ლენინიზმთან. ცნობილია, რომ ზინოვიევსა და კამენევს, მთელ პარტიასთან ერთად, როგორც ჩვენი პარტიის ყრილობებზე, ისე კომინტერნის V კონგრესზე, გაჰყავდათ რეზოლუციები ტროცკიზმის წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ. და მერე? არ გასულა ერთი წელიწადიც კი ამის შემდეგ, რომ მათ უარი თქვეს თავიანთ შეხედულებებზე, უკუაგდეს ისინი და განაცხადეს, რომ ტროცკის ჯგუფი ჩვენი პარტიის შემადგენლობაში ნამდვილად ლენინური და რევოლუციური ჯგუფიაო. (ხ მ ა: «ურთიერთი ამნისტია!»).

ასეთია, ამხანაგებო, ფაქტები. კიდევ ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, თუ სურვილი გვექნებოდა.

განა ცხადი არ არის აქედან, რომ ოპოზიციის ლიდერების მაღალი პრინციპულობა, რის შესახებაც აქ კამენევი ლაპარაკობს, მხოლოდ ზღაპარია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან?

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში ჯერ ვერავინ ისე ადვილად და თავისუფლად ვერ ახერხებდა თავის პრინციპებზე ხელის აღებას, როგორც ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი? (ს ი ც ი ლ ი).

ისმება კითხვა: რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოპოზიციის ლიდერები, რომლებმაც რამდენჯერმე თქვეს

უარი თავიანთ პრინციპებზე, თავიანთ შეხედულებებზე, კიდევ ერთხელ ვერ მოახერხებენ მათს უარყოფას?

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი მოთხოვნები — უარი თქვას ოპოზიციამ თავის მენშევიკურ შეხედულებებზე — არც თუ ისე მძიმეა ოპოზიციის ლიდერებისათვის, როგორც კამენევი ცდილობს ეს დაგვიხატოს? (ს ი ც ი ლ ი). მათ ხომ პირველად არ უხდებათ თავიანთ შეხედულებებზე უარის თქმა, — რატომ არ შეუძლიათ მათ კიდევ ერთხელ თქვან უარი ამ შეხედულებებზე? (ს ი ც ი ლ ი).

დ) **ან პარტია, ან ოპოზიცია.** კამენევი გვარწმუნებს, რომ არ შეიძლება მოეთხოვოთ ოპოზიციონერებს უარი თქვან ზოგიერთ თავიანთ შეხედულებაზე, რომლებიც შეუთავსებელი გახდნენ პარტიის იდეოლოგიასა და პროგრამასთან. მე უკვე ვთქვი, თუ რამდენად არასერიოზულია კამენევის ეს სიტყვები, თუ მხედველობაში მივიღებთ ოპოზიციური ბლოკის წარსულსა და აწმყოს. მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ კამენევი მართალია. მერე, რა გამოვა მაშინ? შეუძლია თუ არა პარტიას, ჩვენს პარტიას, ხელი აიღოს თავის შეხედულებებზე, რწმენაზე, პრინციპებზე? შეიძლება თუ არა მოეთხოვოს ჩვენს პარტიას, რომ მან ხელი აიღოს თავის შეხედულებებზე, თავის პრინციპებზე? პარტიას შეექმნა გარკვეული რწმენა, რომ ოპოზიციამ უარი უნდა თქვას თავის ანტილენინურ შეხედულებებზე, რომ უამისოდ იგი გაძევებული იქნება პარტიიდან. თუ ოპოზიციას არ შეიძლება მოეთხოვოს თავის შეხედულებებზე უარის თქმა, მაშინ რატომ შეიძლება მოეთხოვოს პარტიას უარყოს თავისი რწმენა და შეხედულებები ოპოზიციაზე? კამენევის აზრით კი გამოდის, რომ ოპოზიციას არ შეუძლია ხელი აიღოს თავის ანტილენინურ შეხედულებებზე, პარტიამ კი უარი უნდა თქვას თავის შეხედულებებზე იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ოპოზიციის დატოვება ჩვენს პარტიაში, თუ ოპოზიციამ არ უარყო თავისი

ანტილენინური შეხედულებები. სად არის აქ ლოგიკა? (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი).

კამენევი გვარწმუნებს, რომ ოპოზიციონერები მამაცი ადამიანები არიან, რომლებიც ბოლომდე იცავენ თავიანთ შეხედულებებს. მე ნაკლებად მწამს ოპოზიციის ლიდერების მამაცობა და პრინციპული სიმტკიცე. განსაკუთრებით ნაკლებად მწამს მამაცობა, მაგალითად, ზინოვიევისა ან კამენევისა (ს ი ც ი ლ ი), რომლებიც გუშინ მიწასთან ასწორებდნენ ტროცკის, დღეს კი ეამბორებიან მას. (ხ მ ა: «დაჩვეული არიან ოთურმის თამაშს»). მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ მამაცობისა და პრინციპული სიმტკიცისა ცოტა რამ კიდევ შერჩათ ჩვენი ოპოზიციის ლიდერებს. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პარტიას ნაკლები მამაცობა და პრინციპული სიმტკიცე ახასიათებს, ვიდრე, ვთქვათ, ზინოვიევს, კამენევს ან ტროცკის? რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პარტიისათვის უფრო ადვილი იქნება ხელის აღება თავის შეხედულებებზე ოპოზიციის შესახებ, იმის შესახებ, რომ ოპოზიციის მენშევიკური შეხედულებები შეუთავსებელია პარტიის იდეოლოგიასა და პროგრამასთან, ვიდრე ოპოზიციის ლიდერებისათვის — ხელის აღება თავიანთ შეხედულებებზე, რომლებსაც ეს ლიდერები ხშირ-ხშირად, ხელთათმანებივით იცვლიან? (ს ი ც ი ლ ი).

განა აქედან ცხადი არ არის, რომ კამენევი მოითხოვს პარტიისაგან, რათა მან უარი თქვას თავის შეხედულებებზე ოპოზიციისა და მისი მენშევიკური შეცდომების შესახებ? ძალიან შორს ხომ არ მიდის კამენევი? ხომ არ დათანხმღება იგი აღიაროს, რომ ასე შორს წასვლა სახიფათოა?

საკითხი ასე დგას: ან პარტია, ან ოპოზიცია. ან ოპოზიცია უარს იტყვის თავის ანტილენინურ შეხედულებებზე, ან იგი არ იზამს ამას, — და მაშინ პარტიაში მისი ხსენებაც აღარ დარჩება. (ხ მ ე ბ ი: «მართალია!». ტ ა შ ი).

ე) **ოპოზიციამ კავშირი გაწყვიტა ბოლშევიზმის ტრადიციებთან.** კამენევი ამტკიცებს, ბოლშევიკურ ტრადიციებში არ არის ისეთი რამ, რომ პარტიის წევრებს მოეთხოვოს თავიანთ შეხედულებებზე უარის თქმაო. ორატორებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ ეს სწორი არ არის. ფაქტები ადასტურებენ, რომ კამენევი პირდაპირ სიცრუეს ამბობს.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: განა არის ბოლშევიკურ ტრადიციებში ისეთი რამ, რის ნებასაც აძლევდა და დღესაც აძლევს თავის თავს ოპოზიცია? ოპოზიციამ შექმნა ფრაქცია და გადააქცია იგი პარტიად ჩვენი ბოლშევიკური პარტიის შიგნით. მაგრამ სად გაგონილა, რომ ბოლშევიკური ტრადიციები ნებას აძლევდნენ ვინმეს ჩაიდინოს ასეთი სისაძაგლე? როგორ შეიძლება ბოლშევიკურ ტრადიციებზე ლაპარაკი და ამავე დროს პარტიაში გათიშვის მოხდენა, პარტიაში ახალი, ანტიბოლშევიკური პარტიის შექმნა?

შემდეგ. ოპოზიციამ მოაწყო არალეგალური სტამბა, შეკრა ბლოკი ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ბლოკში აღმოჩნდნენ აშკარა თეთრგვარდიელებთან. კითხვა ისმება: როგორ შეიძლება ლაპარაკი ბოლშევიზმის ტრადიციებზე და ამავე დროს ასეთი სისაძაგლის ჩადენა, რომელიც ესაზღვრება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აშკარა ღალატს?

ბოლოს, ოპოზიციამ მოაწყო ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა დემონსტრაცია და აპელაციით მიმართა «ქუჩას», აპელაციით მიმართა არაპროლეტარულ ელემენტებს. მაგრამ როგორ შეიძლება ლაპარაკი ბოლშევიკურ ტრადიციებზე და ამავე დროს აპელაციით მიმართო «ქუჩას» თავისი პარტიის წინააღმდეგ, თავისი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? სად გაგონილა, რომ ბოლშევიკური ტრადიციები დასაშვებად თვლიდნენ ასეთ სისაძაგლეს, რომელიც პირდაპირ კონტრრევოლუციურობას ესაზღვრება?

განა ცხადი არ არის, რომ კამენევი ბოლშევიზმის ტრადიციებზე ლაპარაკობს იმიტომ, რომ მიჩქმალოს მის მიერ კავშირის გაწყვეტა ამ ტრადიციებთან თავისი ანტიბოლშევიკური ჯგუფის ინტერესებისათვის?

«ქუჩისადმი» აპელაციით მიმართვიდან არაფერი არ გამოუვიდა ოპოზიციას, რადგან იგი სრულიად უმნიშვნელო ჯგუფი აღმოჩნდა. მაგრამ ეს მისი დანაშაული კი არა, უბედურებაა. რა მოხდებოდა, ოპოზიციას რომ ცოტა მეტი ძალა აღმოჩენოდა? განა ცხადი არ არის, რომ «ქუჩისადმი» აპელაციით მიმართვა გადაიქცეოდა პირდაპირ პუტჩად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? განა ძნელი გასაგებია, რომ ოპოზიციის ეს ცდა, არსებითად, არაფრით არ განირჩევა მემარცხენე ესერების 1918 წლის ცნობილი ცდისაგან? (ხმები: «მართალია!»). წესისამებრ, ასეთი ცდებისათვის ოპოზიციის აქტიური მოღვაწენი უნდა დაგვეპატიმრებინა 7 ნოემბერს. (ხმები: «მართალია!». ხანგრძლივი ტაში). ჩვენ ეს მხოლოდ იმიტომ არ ჩავიდინეთ, რომ შევიბრალეთ ისინი, გამოვიჩინეთ სულგრძელობა და გვინდოდა მიგვეცა მათთვის შესაძლებლობა გონს მოსულიყვნენ. მათ კი ჩვენი სულგრძელობა სისუსტედ მიიჩნიეს.

განა ცხადი არ არის, რომ კამენევის ლაპარაკი ბოლშევიკური ტრადიციების შესახებ ფუჭი და ყალბი ლაყბობაა, რომლის მიზანია მიჩქმალოს ოპოზიციის მიერ კავშირის გაწყვეტა ბოლშევიზმის ტრადიციებთან?

ვ) **მოჩვენებითი ერთიანობისა და ნამდვილი ერთიანობის შესახებ.** კამენევი აქ ერთიანობაზე გალობდა. ის პირდაპირ ჰანგად დნებოდა და თხოვდა პარტიას დახმარებოდა მათ და შეექმნა ერთიანობა «რადაც უნდა დამჯდარიყო». ისინი, ოპოზიციის ლიდერები, თურმე, ორი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგი არიან. ისინი, თურმე, მომხრენი არიან პარტიის ერთიანობისა «რადაც უნდა დაჯდეს». ამავე

დროს კი ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ სწორედ იმ მომენტში, როცა კამენევი აქ პარტიის ერთიანობაზე გალობდა, მის თანამოაზრეებს თავიანთ არალეგალურ კრებებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები იმის შესახებ, რომ ოპოზიციის განცხადება ერთიანობის შესახებ არის მანევრი, რომლის მიზანია თავისი ძალების შენარჩუნება და თავისი გამთიშველი პოლიტიკის განგრძობა. ერთი მხრით — ოპოზიციონერების სიმღერა პარტიის ერთიანობის შესახებ ლენინური პარტიის ყრილობაზე. მეორე მხრით — ოპოზიციონერების არალეგალური მუშაობა პარტიის გასათიშავად, მეორე პარტიის შესაქმნელად, პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოსათხრელად. ამას უწოდებენ ისინი ერთიანობას «რადაც უნდა დაჯდეს». განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ამ დანაშაულებრივ, ყალთაბანდურ თამაშს?

კამენევი ლაპარაკობდა ერთიანობაზე. ერთიანობა ვისთან? ერთიანობა პარტიასთან თუ შჩერბაკოვთან? განა დრო არ არის შეიგნოთ, რომ არ შეიძლება ერთიან პარტიაში შეაერთო ლენინელები და ბატონი შჩერბაკოვები?

კამენევი ლაპარაკობდა ერთიანობაზე. ერთიანობა ვისთან? მასლოვთან და სუვარინთან თუ კომინტერნთან და საკავშირო კომპარტიასთან (ბ)? განა დრო არ არის შეიგნოთ, რომ არ შეიძლება ლაპარაკი საკავშირო კომპარტიასთან (ბ) და კომინტერნთან ერთიანობაზე, როცა რჩები მასლოვთან და სუვარინთან ერთიანობაში? განა დრო არ არის შეიგნოთ, რომ შეუძლებელია შეაერთო ლენინური შეხედულებები ოპოზიციის მენშევიკურ შეხედულებებთან?

შეაერთო ლენინი აბრამოვიჩთან? არა, ამხანაგებო! დროა ბოლო მოეღოს ამ ყალთაბანდურ თამაშს.

აი რატომ ვფიქრობ, რომ კამენევის ლაპარაკი ერთიანობაზე «რადაც უნდა დაჯდეს» — ფარისევლური თამაშია, რომლის მიზანია პარტიის მოტყუება.

ჩვენ გვესაჭიროება ნამდვილი ერთიანობა, და არა ერთიანობის თამაში. გვაქვს თუ არა ჩვენ ნამდვილი, ლენინური ერთიანობა ჩვენს პარტიაში? დიახ, გვაქვს. თუ ჩვენი პარტიის 99% ხმას აძლევს პარტიის სასარგებლოდ და ოპოზიციის წინააღმდეგ, ეს არის ისეთი ნამდვილი და ჭეშმარიტი პროლეტარული ერთიანობა, როგორიც ჯერ არ ყოფილა ჩვენს პარტიაში. აი პარტიის ყრილობა, რომლის შემადგენლობაში არც ერთი ოპოზიციური დელეგატი არ არის. (ტ ა შ ი). რა არის ეს, თუ არ ჩვენი ლენინური პარტიის ერთიანობა? აი ამას ეწოდება ჩვენში ბოლშევიკური პარტიის ლენინური ერთიანობა.

ზ) **«ოპოზიციას აღსასრული დაუდგა!»** პარტიამ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, რათა ოპოზიცია ლენინურ გზაზე დაეყენებინა. პარტიამ გამოიჩინა მაქსიმუმი ლმობიერება და სულგრძელობა, რათა ოპოზიციისათვის მიეცა გონს მოსვლისა და თავისი შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა. პარტიამ წინადადება მისცა ოპოზიციას აშკარად და პატიოსნად, მთელი პარტიის წინაშე, უარეყო თავისი ანტილენინური შეხედულებები. პარტიამ წინადადება მისცა ოპოზიციას ეღიარებინა თავისი შეცდომები და დაეგმო ისინი, რათა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო ამ შეცდომებისაგან. პარტიამ წინადადება მისცა ოპოზიციას სავსებით განიარაღებულიყო როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად.

რა სწადია ამით პარტიას? მას სწადია ბოლო მოუღოს ოპოზიციას და გადავიდეს დადებით მუშაობაზე. მას სწადია ლიკვიდაცია უყოს, ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციას და მიიღოს შესაძლებლობა — ჯეროვნად მოჰკიდოს ხელი ჩვენს დიად აღმშენებლობით საქმეს.

ლენინი X ყრილობაზე ამბობდა: «საჭირო არ არის ახლა ოპოზიცია... ოპოზიციას ახლა აღსასრული დაუდგა, ბოლო მოეღო, გვეყოფა ახლა ოპოზიცია!» [44].

პარტიას სურს, რომ ლენინის ეს ლოზუნგი, ბოლოს და ბოლოს, განხორციელდეს ჩვენი პარტიის რიგებში. (ხანგრძლივი ტაში).

განიარაღდება ოპოზიცია — ხომ კარგი. თუ არ სურს მას განიარაღება — მაშინ ჩვენ თვითონ განვაიარაღებთ. (ხმები: «სწორია!». ტაში).

III

დასკვნა

კამენევის სიტყვიდან ჩანს, რომ ოპოზიციას განზრახვა არა აქვს სავსებით განიარაღდეს. ოპოზიციის 3 დეკემბრის განცხადება ამასვე მეტყველებს. როგორც ჩანს, ოპოზიცია ამჯობინებს პარტიის გარეთ დარჩეს. რა გაეწყობა, — დარჩეს პარტიის გარეთ. ისინი რომ ამჯობინებენ პარტიის გარეთ დარჩენას, ისინი რომ თვითონ შორდებიან პარტიას, — ამაში არაფერია არც საშინელი, არც განსაკუთრებული, არც გასაკვირველი. თუ ჩვენი პარტიის ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ყოველთვის, ჩვენი პარტიის გარკვეულ სერიოზულ მობრუნებათა დროს, ძველი ლიდერების განსაზღვრული ნაწილი ვარდებოდა ბოლშევიკური პარტიის ურმიდან და გზას უთმობდა ახალ ადამიანებს. მობრუნება სერიოზული საქმეა, ამხანაგებო. მობრუნება საშიშია იმათთვის, ვინც მაგრად არა ზის პარტიულ ურემზე. მობრუნების დროს ყველას როდი შეუძლია წონასწორობა შეინარჩუნოს. მოაბრუნებ ურემს, გაიხედავ — და ზოგი ვინმე გადმოვარდნილა იქიდან. (ტაში).

ავიღოთ 1903 წელი, ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის პერიოდი. ეს იყო პერიოდი პარტიის მობრუნებისა ლიბერალებთან შეთანხმებიდან ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომზადებიდან — მის

წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისაკენ ცარიზმისა და ფეოდალიზმის სრული განადგურებისათვის. პარტიის სათავეში მაშინ იდგა ექვსეული: პლეხანოვი, ზასულიჩი, მარტოვი, ლენინი, აქსელროდი, პოტრესოვი. მობრუნება საბედისწერო აღმოჩნდა ამ ექვსეულის ხუთი წევრისათვის. ისინი გადმოვარდნენ ურმიდან. ლენინი დარჩა მარტოდმარტო. (ტ ა შ ი). გამოვიდა ისე, რომ პარტიის ძველი ლიდერები, პარტიის დამაარსებელნი (პლეხანოვი, ზასულიჩი, აქსელროდი) პლუს ორი ახალგაზრდა (მარტოვი, პოტრესოვი) აღმოჩნდნენ ერთის, ასევე ახალგაზრდის, ლენინის წინააღმდეგ. რომ იცოდეთ, რამდენი გოდება, ტირილი და ღრიალი იყო მაშინ იმის გამო, რომ პარტია დაიღუპება, პარტია ვერ გასძლებს, რომ ძველი ლიდერების გარეშე არაფერი არ გამოვაო. მაგრამ გოდება და ჩივილი გაქრა, ფაქტები კი დარჩა. ფაქტები კი ისეთი იყო, რომ სწორედ ხუთეულის ჩამოშორებით მოახერხა პარტიამ გზაზე გამოსვლა. ახლა ყოველი ბოლშევიკისათვის ცხადია: ლენინს რომ გადამწყვეტი ბრძოლა არ გამოეცხადებინა ხუთეულისათვის, ხუთეული რომ გამოდევნილი არ ყოფილიყო, ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა შემჭიდროებულიყო როგორც ბოლშევიკების პარტია, რომელსაც შესწევს უნარი წაიყვანოს პროლეტარები რევოლუციისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»).

ავიღოთ შემდგომი პერიოდი, 1907 — 1908 წლების პერიოდი. ეს იყო პერიოდი ჩვენი პარტიის მობრუნებისა ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა რევოლუციური ბრძოლიდან ბრძოლის შემოვლითი გზებისაკენ, ყველა და ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებისაკენ — დაწყებული დამზღვევი სალაროებით და გათავებული სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნით. ეს იყო პერიოდი უკანდახევისა მას შემდეგ, რაც ჩვენ ღამარცხებული აღმოვჩნდით 1905 წლის რევოლუციაში.

ეს მობრუნება მოითხოვდა ჩვენგან ბრძოლის ახალი მეთოდების შეთვისებას, იმისათვის, რომ მოგვეკრიბა ძალღონე და ისევ დაგვეწყო აშკარა რევოლუციური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მობრუნება საბედისწერო აღმოჩნდა მთელი რიგი ძველი ბოლშევიკებისათვის. გადმოვარდა ურმიდან ალექსინსკი. ერთ დროს ის სრულებით არ იყო ცუდი ბოლშევიკი. გადმოვარდა ბოგდანოვი. იგი იყო ჩვენი პარტიის ერთი ფრიად სერიოზული ლიდერთაგანი. გადმოვარდა როჟკოვი — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი. და ასე შემდეგ. გოდება და ღრიალი პარტიის დაღუპვის შესახებ მაშინ, შეიძლება ითქვას, ნაკლები არ იყო, ვიდრე 1903 წელს. მაგრამ გოდება გაქრა, ფაქტები კი დარჩა. ფაქტები კი იმას მეტყველებდნენ, რომ ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა გზაზე გამოსვლას ბრძოლის ახალ პირობებში, თუ არ გაიწმინდებოდა მერყევი და რევოლუციის საქმის შემფერხებელი ადამიანებისაგან. რა სწადდა მაშინ ლენინს? მხოლოდ ერთი რამ: რაც შეიძლება მალე გაეთავისუფლებინა პარტია მერყევი და მოწუწუნე ელემენტებისაგან, რომ ისინი ფეხებში არ გაგვბლანდებოდნენ. (ტ ა შ ი).

აი როგორ იზრდებოდა, ამხანაგებო, ჩვენი პარტია.

ჩვენი პარტია ცოცხალი ორგანიზმია. როგორც ყოველ ორგანიზმში, მასშიც ხდება ნივთიერებათა ცვლა: ძველი, დრომოჭმული — ქრება (ტ ა შ ი). ახალი, მზარდი, — ცოცხლობს და ვითარდება. (ტ ა შ ი). გვშორდებიან ერთნი, ზემოთაც და ქვემოთაც. იზრდებიან ახლები, ზემოთაც და ქვემოთაც, და წინ სწევენ საქმეს. ასე იზრდებოდა ჩვენი პარტია. ასევე განაგრძობს იგი ზრდას მომავალშიც.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი რევოლუციის ახლანდელ პერიოდზე. ჩვენ ახლა განვიცდით მობრუნების პერიოდს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენიდან მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისაკენ, მისი ახალ

ტექნიკურ ბაზაზე გარდაქმნისაკენ, როდესაც სოციალიზმის მშენებლობა უკვე მარტო პერსპექტივას კი აღარ წარმოადგენს, არამედ ცოცხალ პრაქტიკულ საქმეს, რომელიც მოითხოვს შინაური და გარეშე ხასიათის უაღრესად სერიოზულ სიძნელეთა დაძლევას.

თქვენ იცით, რომ ეს მობრუნება საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ოპოზიციის ლიდერებისათვის, რომლებსაც შეეშინდათ ახალი სიძნელეებისა და რომლებმაც განიზრახეს პარტიის შებრუნება კაპიტულანტობისაკენ. და თუ ახლა ურმიდან გადავარდება ზოგიერთი ლიდერი, რომლებსაც არა სურთ ურემში მაგრად ჯდომა, ამაში არაფერი არ არის გასაკვირველი. ეს მხოლოდ გაათავისუფლებს პარტიას ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მას ფეხებში ედებიან და ხელს უშლიან წინსვლაში. როგორც ჩანს, მათ სერიოზულად უნდათ განთავისუფლდნენ ჩვენი პარტიული ურმისაგან. რა გაეწყობა, თუ კი ზოგიერთ ძველ ლიდერთაგანს, რომლებიც ძველმანად იქცევიან, განზრახული აქვთ გადავარდნენ ურმიდან, — მათი გზაც სწორედ იქითკენაა! (მ ქ უხარე ხანგრძლივი ტაში. მთელი ყრილობა ფეხზე დგება და ოვაციას უმართავს ამხ. სტალინს).

განცხადება უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისადმი სტალინის ყალბი «სტატიების» შესახებ

პასუხად უცხოეთის პრესის (ასოშიეიტედ პრესის, ვოლფის სააგენტოს, «ნეიე ფრეიე პრესეს»[87] და ა. შ.) მოსკოველი წარმომადგენლების შეკითხვისა სტალინის ყალბ «სტატიებთან» დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი.

არა მგონია ახლა საჭირო იყოს გაბათილება «ნიუ-იორკ ამერიკენში»[88], უაიდ უორლდ ნიუსის ან ანგლო-ამერიკენ ნიუს პეიპერ სერვისის სააგენტოში მოკალათებული ფალსიფიკატორებისა, რომლებიც ავრცელებენ ყოველგვარ ჭორს, თითქოს იყოს ბუნებაში არარსებული «სტატიები სტალინისა» სსრ კავშირის «საჰაერო ძალების» შესახებ, «მართლმადიდებელ ეკლესიასთან» საბჭოთა ხელისუფლების «შერიგების» შესახებ, კაპიტალისტებისათვის სსრ კავშირში «ნავთის მფლობელობის» «დაბრუნების» შესახებ და სხვ. საჭირო არ არის გაბათილება, რადგან ეს ვაჟბატონები თვითონ ამხილებენ საკუთარ თავს პრესაში სწორედ როგორც პროფესიონალი ფალსიფიკატორები, რომლებიც ნაყალბევის ვაჭრობით ცხოვრობენ. საკმარისია გადავხედოთ

ამ ვაჟბატონების მიერ ამას წინათ პრესაში მოცემულ «ახსნა-განმარტებას», სადაც ისინი ცდილობენ «გაამართლონ» თავიანთი თაღლითური ოინები, რათა მივხვდეთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა პრესის წარმომადგენლებთან, არამედ კალმის ავაზაკებთან.

მიუხედავად ამისა, მზად ვარ პრესის წარმომადგენელთა შეკითხვაზე განვაცხადო, რომ:

ა) არავითარი «გერმან გოტფრეი» ან სხვა ვინმე უცხოეთის პრესის წარმომადგენელთაგანი, რომლებსაც ვითომ ინტერვიუ ჰქონოდეთ ჩემთან, არასოდეს თვალითაც არ მინახავს;

ბ) არავითარი ინტერვიუ არ მიმიცია არც ამ ვაჟბატონებისათვის, არც უცხოეთის პრესის რომელიმე სხვა წარმომადგენლისათვის უკანასკნელი წლის განმავლობაში;

გ) არავითარი სიტყვა არც «მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმში», არც პარტიის «მოსკოვის კომიტეტში» არ წარმოთქმულა არც კაპიტალისტებისათვის სსრ კავშირში «ნავთის მფლობელობის» «დაბრუნებაზე», არც «მართლმადიდებელ ეკლესიაზე», არც სსრ კავშირის «საჰაერო ძალებზე»;

დ) არავითარი «სტატია» თუ «შენიშვნა» ამგვარი ხასიათისა არ გამომიქვეყნებია პრესაში.

«ნიუ-იორკ ამერიკენში», უაიდ უორლდ ნიუსსა და ანგლო-ამერიკენ ნიუს პეიპერ სერვისში მოკალათებული ვაჟბატონები ატყუებენ მკითხველებს, როცა არწმუნებენ, რომ ყალბი «სტატიები სტალინისა» არ ყოფილა მოსკოვიდან თავის დროზე გაბათილებულიო. ყალბი «სტატიები» სსრ კავშირის «საჰაერო ძალებზე» და «მართლმადიდებელ ეკლესიასთან» «შერიგებაზე» ცნობილი გახდა მოსკოვში 1927 წლის ნოემბრის დამლევს. ისინი მაშინვე უარყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, როგორც ნაყალ-

ბევი, რაც ეცნობა ასოშიეიტედ პრესის მოსკოველ წარმომადგენელს, ბატონ რეზვიკს. ამის საფუძველზე ბ-მა რეზვიკმა მაშინვე. 1 დეკემბერს, გაუგზავნა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს შემდეგი დეპეშა:

«დღეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში განმიცხადეს, რომ აქ სერიოზულად იხილავენ საკითხს — აღძრან სასამართლო წესით დევნა ნიუ-იორკში გაზეთ «ნიუ-იორკ ამერიკენისა» და საერთოდ ჰერსტის გაზეთების წინააღმდეგ, რათა ბოლო მოუღონ სტალინის ხელმოწერით სტატიების გავრცელებას. ხელისუფალნი განსაკუთრებით ძლიერ ილაშქრებენ იმ შენიშვნის წინააღმდეგ, რომელიც მოთავსებულია 6 ნოემბრის «ნიუ-იორკ ამერიკენში» სათაურით: «ეკლესიის გამოყენება საბჭოების მხარდასაჭერად», რაც ვითომ წარმოადგენს სტალინის საიდუმლო მოხსენებას მოსკოვის პრეზიდიუმის სხდომაზე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მითითებით, სტატიები მთლად ვონაჭორს წარმოადგენენ. რეზვიკი, 1927 წ. 1 დეკემბერი».

დაიბეჭდა თუ არა ეს დეპეშა ამერიკის შეერთებულ შტატებში? და თუ არა, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ბ-ნ რეზვიკის დეპეშის გამოქვეყნება ძირს გამოუთხრიდა ამერიკელი უნგრელის თუ უნგრელი ამერიკელის ბ-ნ კორდას შემოსავლის წყაროს?

«ნიუ-იორკ ამერიკენი» პირველად კი არ ცდილობს ხელი მოითბოს სტალინის არარსებული «ინტერვიუებისა» და «სტატიების» შეთხზვის გზით. მე ვიცი, მაგალითად, რომ 1927 წლის ივნისში «ნიუ-იორკ ამერიკენმა» გამოაქვეყნა ყალბი «ინტერვიუ სტალინისა», ვითომ მიცემული ვიღაც სესილ ვინჩესტერისათვის, ინგლისთან «ურთიერთობის გაწყვეტის» გამო, «მსოფლიო რევოლუციაზე» უარის თქმის შესახებ, არკოსის გაჩხრეკის შესახებ და ა. შ. ამონაჭრების ბიურო არგუსმა ამასთან დაკავშირებით მაშინ გამომიგზავნა თხოვნა — დამედასტურებინა «ინტერვიუს» ნამდვილობა და მისი კლიენტი გავმხდარიყავი. მე ეჭვი არ შემპარვია, რომ საქმე მქონდა თაღლითურ ოინთან და მაშინვე გა-

ვუგზავნე ნიუ-იორკის «დეილი უორკერს» [*] შემდეგი უარყოფა:

«პატივცემულო ამხანაგებო! ამონაჭრების ბიურო არგუსმა გამომიგზავნა გაზეთ «ნიუ-იორკ ამერიკენის» (1927 წ. 12 ივნისისა) ამონაჭერი, რაც შეიცავს ინტერვიუს, რომელიც მე ვითომ მიმიცია ვიღაც სესილ ვინჩესტერისათვის. ამით ვაცხადებ, რომ არავითარი სესილ ვინჩესტერი არასოდეს თვალითაც არ მინახავს, არავითარი ინტერვიუ არ მიმიცია არც მისთვის, არც სხვა ვინმესთვის და აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს «ნიუ-იორკ ამერიკენთან». თუ ამონაჭრების ბიურო არგუსი თაღლითთა ბიურო არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შეცდომაში შეუყვანიათ თაღლითებსა და შანტაჟისტებს, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ «ნიუ-იორკ ამერიკენთან». ი. სტალინი. 1927 წ. 11 ივლისი».

მიუხედავად ამისა, ბ-ნ კორდას ორგანიზაციაში მოკალათებული ფალსიფიკატორები განაგრძობენ თავიანთ თაღლითურ ოინებს...

რა არის ამ ოინების აზრი? რის მიღწევა სურთ თავისი ყალბისმქნელობით კორდასა და კომპანიას? იქნებ, სენსაციისა? არა, არა მარტო სენსაციისა. მათი მიზანი ის არის, რომ გააქარწყლონ ის ეფექტი, რომელსაც მიაღწია სსრ კავშირის დელეგაციამ ჟენევაში თავისი დეკლარაციით სრული განიარაღების შესახებ.

მიაღწევენ თუ არა ისინი თავიანთ მიზანს? რა თქმა უნდა, ვერა! სიყალბე მხილებული იქნება (იგი უკვე მხილებულია), ხოლო ფაქტები დარჩება. ფაქტები კი იმაში მდგომარეობენ, რომ სსრ კავშირი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ატარებს ნამდვილად სამშვიდობო პოლიტიკას, რომ სსრ კავშირი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც პატიოსნად დააყენა ნამდვილი განიარაღების საკითხი.

ის ფაქტი, რომ კაპიტალის აგენტები იძულებული არიან სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკასთან ბრძოლაში მიმართონ ყოველგვარ საეჭვო პირთა და კალმის სხვადასხვა ჯურის ავაზაკთა დახმარებას, — ეს ფაქტი საუკეთესოდ ცხადყოფს იმ პოზიციის მორალურ ძლიერებასა და პრინციპულ ძალას, რომელიც ჟენევაში დაიკავა სსრ კავშირის დელეგაციამ განიარაღების საკითხში.

ი. სტალინი

1927 წ. 16 დეკემბერი.

«პრავდა» № 290,
1927 წ. 18 დეკემბერი.

შენიშვნები

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი მიმდინარეობდა 1927 წლის 29 ივლისიდან 9 აგვისტომდე. პლენუმმა. განიხილა საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 1927/28 წლის სამეურნეო დირექტივების შესახებ, ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშა-გლეხური ინსპექციის მუშაობის შესახებ, პარტიის XV ყრილობის შესახებ, ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ. პლენუმის 1 აგვისტოს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა სიტყვით «საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის თავდაცვა». 2 აგვისტოს პლენუმმა ი. ბ. სტალინი აირჩია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის წევრად. პლენუმმა აღნიშნა საბჭოთა კავშირზე ახალი სამხედრო თავდასხმის საშიშროების გაძლიერება, დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის დამარცხებითი პოზიცია და დასახა საბჭოთა კავშირის თავდაცვის ყოველნაირად განმტკიცების ამოცანა. პლენუმმა მოგვცა სამეურნეო დირექტივები 1927/28 წლისათვის და აღნიშნა ეკონომიური პოლიტიკის დარგში ოპოზიციის კაპიტულანტური ხაზის სრული გაკოტრება. გადაწყვეტილებაში ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშა-გლეხური ინსპექციის მუშაობის შესახებ პლენუმმა დასახა სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამა. ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების განხილვისას, პლენუმის 5 აგვისტოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა. 6 აგვისტოს პლენუმმა ი. ბ. სტალინი აირჩია გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში. პლენუმმა ამხილა ტროცკისტულ-

ზინოვიევური ბლოკის ლიდერების დანაშაულებრივი საქმიანობა და დასვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის საკითხი. მხოლოდ ამის შემდეგ, 8 აგვისტოს, შეიტანეს ოპოზიციის ლიდერებმა პლენუმში «განცხადება», რომელშიც ისინი თვალთმაქცურად გმობდნენ თავიანთ მოქმედებას და უარს ამბობდნენ ფრაქციულ საქმიანობაზე. პლენუმის 9 აგვისტოს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა ოპოზიციის «განცხადების» გამო. პლენუმმა ტროცკისა და ზინოვიევს გამოუცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, დააკალდებულა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერები — დაუყოვნებლივ დაეშალათ ფრაქცია, და მოუწოდა პარტიის ყველა ორგანიზაციასა და ყველა წევრს დაეცვათ ერთიანობა და რკინისებური დისციპლინა პარტიაში. (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 170 — 194). — **1**.

2 ნაგულისხმევია შეიარაღებული გადატრიალება პოლონეთში, რაც მოახდინა პილსუდსკიმ 1926 წლის მაისში. გადატრიალების შედეგად დამყარდა პილსუდსკისა და მისი ხროვის დიქტატურის რეჟიმი, რომლებიც ახორციელებდნენ ქვეყნის ფაშიზაციას. (პილსუდსკის გადატრიალების შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 184 — 188). — **4**.

3 ლაპარაკია ვენის პროლეტარიატის 1927 წლის 15 — 18 ივლისის რევოლუციურ გამოსვლაზე. გამოსვლის საბაბი შეიქნა ის, რომ ვენის ბურჟუაზიულმა სასამართლომ გაამართლა ფაშისტების ჯგუფი, რომლებმაც მოკლეს რამდენიმე მუშა. გამოსვლა, რომელიც სტიქიურად წარმოიშვა, აჯანყებად გადაიქცა; ქუჩებში წარმოებდა ბრძოლები პოლიციისა და ჯარების წინააღმდეგ. აჯანყება ჩახშობილ იქნა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადთა გამცემლობის შედეგად. — **5**.

4 ნაგულისხმევია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის «მემარცხენე» ფრთა, რომელიც წარმოიშვა 1916 წელს და რომელსაც მეთაურობდნენ ფ. ადლერი და ო. ბაუერი. სოციალ-დემოკრატიული

«მემარცხენე» ფრთა რევოლუციური ფრაზით ინიღბებოდა, ნამდვილად კი გამოდიოდა მუშათა ინტერესების წინააღმდეგ და ამიტომ წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიის ყველაზე საშიშარ ნაწილს. — **6.**

5 საყოველთაო გაფიცვა და მაღაროელთა გაფიცვა ინგლისში გამოწვეული იყო მეწარმეთა შეტევით მუშათა კლასის საარსებო დონეზე. პასუხად ლოკაუტისა, რაც გამოაცხადეს შახტმფლობელებმა იმასთან დაკავშირებით, რომ მაღაროელებმა უარი თქვეს დათანხმებულიყვნენ ხელფასის დაკლებას და სამუშაო დღის გადიდებას, მაღაროელებმა 1926 წლის 1 მაისს გაფიცვა გამოაცხადეს. მაღაროელებთან სოლიდარობის ნიშნად 3 მაისს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ტრანსპორტის რამდენიმე მილიონი ორგანიზებული მუშა. 12 მაისს, როცა მუშების ბრძოლა გაჩაღებული იყო, ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალური საბჭოს ლიდერებმა გასცეს გაფიცული მუშები, — დამთავრებულად გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. მაგრამ მაღაროელთა ბრძოლა გრძელდებოდა. მხოლოდ მთავრობისა და მეწარმეთა რეპრესიებმა და მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ აიძულეს მაღაროელები შეეწყვიტათ გაფიცვა 1926 წლის ნოემბერში და დათანხმებულიყვნენ შახტმფლობელთა პირობებს. (ინგლისში მომხდარი საყოველთაო გაფიცვის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 170 — 184). — **6.**

6 გენერალური საბჭო — ინგლისის ტრედ-უნიონების აღმასრულებელი ორგანო; პირველად არჩეულ იქნა 1921 წელს. — **6.**

7 **«კომუნისტური ინტერნაციონალი»** — ჟურნალი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა 1919 წლის მაისიდან 1943 წლის ივნისამდე რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. გამოცემა შეწყდა იმასთან დაკავშირებით, რომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა 1943 წლის 15 მაისს გამოიტანა დადგენილება კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლის შესახებ. — **8.**

8 ბრანდლერელობა — მემარჯვენე-ოპორტუნისტული მიმდინარეობა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. სახელწოდება მიიღო ბრანდლერის გვარის მიხედვით, რომელიც 1922 — 1923 წლებში გერმანიის

კომპარტიის ხელმძღვანელობის სათავეში იდგა და მეთაურობდა მემარჯვენეთა ჯგუფს. ბრანდლერელთა კაპიტულანტურ პოლიტიკას და მათს თანამშრომლობას სოციალ-დემოკრატიის ზედაფენასთან შედეგად მოჰყვა გერმანიის მუშათა კლასის დამარცხება 1923 წლის რევოლუციაში. 1929 წელს ფრაქციული ანტიპარტიული საქმიანობისათვის ბრანდლერი გარიცხულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. — **9.**

9 ვ. ი. ლენინი. «პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ახლანდელ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 87 — 90). — **15.**

10 ჩინელი მუშების გაფიცვა ჰონკონგში, რაც დაიწყო 1925 წლის 19 ივნისს, 16 თვეს გრძელდებოდა. გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო უცხოეთის იმპერიალიზმის უღლის წინააღმდეგ. — **16.**

11 გომინდანი — პოლიტიკური პარტია ჩინეთში, დაარსებულია სუნ იატ-სენის მიერ 1912 წელს რესპუბლიკისათვის და ქვეყნის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ჩინეთის კომუნისტური პარტიის შესვლამ გომინდანში (1924 წ.) ხელი შეუწყო გომინდანის გადაქცევას მასობრივ სახალხო-რევოლუციურ პარტიად. ჩინეთის რევოლუციის განვითარების პირველ ეტაპზე, 1925 — 1927 წლებში, როდესაც იგი გაერთიანებული საერთო-ნაციონალური ფრონტის ანტიიმპერიალისტური რევოლუცია იყო, გომინდანი პროლეტარიატის, ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის და მსხვილი ნაციონალური ბურჟუაზიის ნაწილის ბლოკის პარტიას წარმოადგენდა. მეორე ეტაპზე, აგრარული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, მას შემდეგ, რაც ნაციონალური ბურჟუაზია კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდა, გომინდანი, წარმოადგენდა რა პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბლოკს, ანტიიმპერიალისტურ რევოლუციურ პოლიტიკას ატარებდა. აგრარული რევოლუციის გაშლამ და ფეოდალების ზემოქმედებამ გომინდანზე, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — იმპერიალისტების ძალდატანებამ, რომელნიც გომინდანისაგან მოითხოვდნენ კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტას, დააფრთხეს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია (მემარც-

ხენენი გომინდანში), რომელმაც კონტრრევოლუციისაკენ იბრუნა პირი. როდესაც დაიწყო მემარცხენე გომინდანელთა ჩამოშორება რევოლუციისაგან (1927 წ. ზაფხული), კომუნისტები გავიდნენ გომინდანიდან, ხოლო ეს უკანასკნელი გადაიქცა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად. (გომინდანის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 9, გვ. 258 — 268, 361 — 370). — **17.**

12 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 401 — 402, 405 — 406. — **20.**

13 ნაგულისხმევია კონტრრევოლუციური გადატრიალება ჩინეთში, რაც მოახდინეს მემარჯვენე გომინდანელებმა ჩან კაი-შის მეთაურობით 1927 წლის 12 აპრილს. გადატრიალების შედეგად ნანკინში შეიქმნა კონტრრევოლუციური მთავრობა. (ჩან კაი-შის გადატრიალების შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 9, გვ. 241 — 243). — **21.**

14 ვ. ი. ლენინი. «პირვანდელი მონახაზი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 285 — 290). — **22.**

15 რეზოლუცია ჩინეთის საკითხზე, შემუშავებული კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის აღმოსავლეთის კომისიის მიერ, მიღებულ იქნა 1926 წლის 13 მარტის პლენარულ სხდომაზე (იხ. «კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმი. თეზისები და რეზოლუციები». მ. — ლ., 1926, გვ. 131 — 136). — **23.**

16 ერთ-ერთ სტატიაში ჩინეთის 1925 — 1927 წლების რევოლუციის განვითარების საკითხზე ა. მარტინოვმა (ყოფილი მენშევიკი, მიღებული რკპ(ბ) რიგებში პარტიის XII ყრილობის მიერ) წამოაყენა დებულება, რომ შესაძლებელია ჩინეთში რევოლუციის მშვიდობიანი გადასვლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზეო. ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტისაბჭოთა ბლოკი ცდილობდა კომინტერნისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა მარტინოვის ამ მცდარი დებულებისათვის. — **24.**

17 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 9, გვ. 381. — **32.**

18 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 91 — 93. — **32.**

19 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 33 — 38. — **36.**

20 ინგლის-საბჭოთა კავშირის, ანუ ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტი (დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის პროფესიული მოძრაობის გაერთიანებული სათათბირო კომიტეტი) შეიქმნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ინგლის-რუსეთის პროფკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1925 წლის 6 — 8 აპრილს ლონდონში. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს წარმომადგენლები. კომიტეტმა თავისი არსებობა შეწყვიტა 1927 წლის შემოდგომაზე ინგლისის ტრედ-უნიონთა რეაქციული ლიდერების გამცემლური პოლიტიკის გამო. (ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 200 — 209, 212 — 222). — **39.**

21 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 165 — 250. — **41.**

22 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 4, გვ. 273 — 274. — **46.**

23 ნაგულისხმევია უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების მიერ სსრ კავშირში შემოგზავნილი 20 მონარქისტი თეთრგვარდიელის დახვრეტა ტერორისტული, დივერსიული და ჯაშუშური მოქმედებისათვის სსრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგიის 1927 წლის 9 ივნისის განაჩენით. დახვრეტილთა შორის იყვნენ ყოფილი რუსი თავადები და აზნაურები, მსხვილი მემამულენი, მრეწველნი, ვაჭრები და მეფის არმიის გვარდიელი ოფიცრები. — **48.**

24 კერზონის ულტიმატუმი — ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის 1923 წლის 8 მაისის ნოტა, რომელიც შეიცავდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მუქარას. — **51.**

25 **«სოციალისტიჩესკი ვესტნიკ»** — მენშევიკ-თეთრემიგრანტების ჟურნალი; 1921 წლის თებერვლიდან 1933 წლის მარტამდე გამოდიოდა გერმანიაში, შემდეგ — საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» რეაქციული თეთრი ემიგრაციის რუპორს წარმოადგენს. — **61.**

26 **«რულ»** — კადეტ-თეთრემიგრანტების გაზეთი; გამოდიოდა ბერლინში 1920 წლის ნოემბრიდან 1931 წლის ოქტომბრამდე. — **61.**

27 ი. ბ. სტალინი. «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 146 — 168). — **74.**

28 ვ. ი. ლენინი. «ევროპას შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVII, გვ. 232 — 233 და გამოც. მე-4, ტ. 21, გვ. 311). — **75.**

29 ნაგულისხმევია რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით», მიღებული რკპ(ბ) XIV კონფერენციის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1925 წლის 27 — 29 აპრილს (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 25 — 31). — **75.**

30 ლაპარაკია რეზოლუციაზე ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, რაც მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1925 წლის 18 — 31 დეკემბერს (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 47 — 53). — **75.**

31 ნაგულისხმევია რეზოლუცია «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)», მიღებული საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 148 — 155). — **75.**

82 ნაგულისხმევია რეზოლუცია რუსეთის საკითხზე, მიღებული კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 22 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე (იხ. «კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებული პლენუმის თეზისები და რეზოლუციები». მ. — ლ., 1927, გვ. 60 — 70). — **76.**

83 ლაპარაკია რეზოლუციაზე რუსეთის საკითხის გამო, რაც მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის V კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობდა 1924 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისამდე (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალის V მსოფლიო კონგრესი. თეზისები, რეზოლუციები და დადგენილებანი», მ., 1924, გვ. 175 — 186). — **79.**

84 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 391 — 397. — **82.**

85 «ოსოვსკელობა» — კონტრრევოლუციური «თეორია», რომელიც ცდილობდა დაესაბუთებინა ტროცკისტული პარტიის შექმნა სსრ კავშირში. ამ «თეორიის» ავტორი ტროცკისტი ოსოვსკი გარიცხულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან 1926 წლის აგვისტოში. — **87.**

86 ნაგულისხმევია რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ», მიღებული რკპ(ბ) X ყრილობის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 8 — 16 მარტს (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 364 — 366). — **89.**

87 ჯგუფი «მუშათა სიმართლე» — კონტრრევოლუციური არალეგალური ჯგუფი; წარმოიშვა 1921 წელს. ამ ჯგუფის წევრები გარიცხულ იქნენ რკპ(ბ) რიგებიდან. — **90.**

88 გენუის კონფერენცია — საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია; მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე გენუაში (იტალია). კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, მეორე მხრივ — საბჭოთა რუსეთი. კონფერენციის გახსნისას საბჭოთა დელეგაციამ გადაშალა ევროპის

აღდგენის ფართო პროგრამა და წამოაყენა საყოველთაო განიარაღების პროექტი. საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი უარყოფილ იქნა. კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა წაუყენეს საბჭოთა დელეგაციას მოთხოვნები, რომელთა შესრულება იქნებოდა საბჭოთა ქვეყნის გადაქცევა დასავლეთ ევროპის კაპიტალის კოლონიად (ყველა სამხედრო და ომამდელი ვალის გადახდა, ნაციონალიზებული საკუთრების დაბრუნება უცხოელ მფლობელთათვის და სხვ.). საბჭოთა დელეგაციამ უკუაგდო უცხოელი კაპიტალისტების პრეტენზიები. — **131.**

39 ლაპარაკია რეფორმისტული პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებაზე, რომელიც შეიქმნა 1919 წლის ივლისში ამსტერდამის (ჰოლანდია) კონგრესზე. ამსტერდამის ინტერნაციონალი რეფორმისტულ პოლიტიკას ატარებდა, აშკარად თანამშრომლობდა ბურჟუაზიასთან, იბრძოდა რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ და მტრულად ეკიდებოდა საბჭოთა კავშირს. მეორე მსოფლიო ომის დროს ამსტერდამის ინტერნაციონალმა ფაქტიურად შეწყვიტა თავისი საქმიანობა; ოფიციალურად ლიკვიდირებულ იქნა 1945 წლის 14 დეკემბერს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით. — **137.**

40 ამერიკის შრომის ფედერაცია — ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კავშირთა ნაწილის გაერთიანება, დაარსებული 1881 წელს. ფედერაციის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურას ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირულ მოძრაობაში და ეწევიან გამთიშველ საქმიანობას მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. — **137.**

41 1925 წლის 10-დან 21 ივლისამდე ტენესის შტატში (ამერიკის შეერთებული შტატები) მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, რომელიც ფართოდ გახმაურდა. მასწავლებელი ჯონ სკოპსი, რომელიც სასამართლო პასუხისგებაში მისცეს კოლეჯში დარვინის ევოლუციის თეორიის სწავლებისათვის, ამერიკელმა რეაქციონერ-ბნელეთისმოციქულებმა დამნაშავედ სცნეს შტატის კანონის დარღვევაში და ჯარიმა მიუსაჯეს. — **141.**

42 ი. ბ. სტალინი. «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 153 — 154). — **158.**

43 ი. ბ. სტალინი. «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 152). — **158.**

44 ვ. ი. ლენინი. «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 40 და გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 135). — **159.**

45 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი შესდგა 1927 წლის 21 — 23 ოქტომბერს. პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი პროექტები თეზისებისა საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის დღის წესრიგის საკითხებზე: სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივებისა და სოფლად მუშაობის შესახებ; პლენუმმა დაამტკიცა მომხსენებლები, მიიღო გადაწყვეტილება დისკუსიის შესახებ და დაადგინა გამოექვეყნებინა თეზისები XV ყრილობისათვის მათ განსახილველად პარტიულ კრებებზე და პრესაში. იმასთან დაკავშირებით, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერებმა გაილაშქრეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მანიფესტის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად, და განსაკუთრებით შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის პუნქტის წინააღმდეგ, პლენუმმა განიხილა ეს საკითხი და სპეციალური დადგენილებით სწორად სცნო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ინიციატივა მანიფესტის გამოცემის საქმეში და თვით მანიფესტი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. პლენუმმა მოისმინა ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მოხსენება ტროცკისა და ზინოვიევის ფრაქციული საქმიანობის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აგვისტოს (1927 წ.) პლენუმის შემდეგ. ამ საკითხის განხილვისას პლენუმის 23 ოქტომბრის სხდომაზე ი. ბ. სტალინმა წარმოთქვა სიტყვა «ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა». მოტყუებისა და ფრაქციული ბრძოლისათვის პარტიის წინააღმდეგ პლენუმმა გარიცხა ტროცკი და ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და დაადგინა წარედგინა პარტიის XV ყრილობის განსახილველად მთელი მასალა ტროცკისტულ-

ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერების გამთიშველი საქმიანობის შესახებ. (პლენუმის რეზოლუციები და დადგენილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 195 — 220). — **183.**

46 ვ. ი. ლენინი. «წერილი ბოლშევიკების პარტიის წევრებს» და «წერილი რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 350 — 352, 353 — 356). — **188.**

47 ვ. ი. ლენინი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის ანგარიში 1921 წლის 8 მარტს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 207 — 208). — **195.**

48 ვ. ი. ლენინი. საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო 1921 წლის 9 მარტს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 222, 228). — **195.**

49 «ნოვაია ჟიზნ» — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან; დახურულ იქნა 1918 წლის ივლისში. — **203.**

50 მიასნიკოვის ჯგუფი — კონტრრევოლუციური არალეგალური ჯგუფი, რომელიც თავის თავს «მუშათა ჯგუფს» უწოდებდა. ჯგუფი შექმნილი იყო 1923 წელს მოსკოვში რკპ(ბ) რიგებიდან გარიცხული გ. მიასნიკოვისა და სხვების მიერ და მონაწილეთა უმნიშვნელო რიცხვს აერთიანებდა. იმავე წელს ჯგუფი ლიკვიდირებულ იქნა. — **203.**

51 «ფორვერტს» («Vorwärts») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან 1933 წლამდე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «ფორვერტსი» წარმოადგენდა ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთ ცენტრს. — **209.**

52 ნაგულისხმევია საქართველოში 1924 წლის 28 აგვისტოს მომხდარი კონტრრევოლუციური აჯანყებანი, მოწყობილი განადგურებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთებისა და ნ. ჟორ-

დანიას ემიგრანტული მენშევიკური «მთავრობის» მიერ იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და I,I' ინტერნაციონალის ლიდერების დირექტივითა და ფინანსური დახმარებით. აჯანყებანი ლიკვიდირებულ იქნა მეორე დღეს, 29 აგვისტოს, ქართველი მუშებისა და მშრომელი გლეხობის აქტიური ხელშეწყობით. — **210.**

53 ნაგულისხმევია ჩინელი ჯარისკაცებისა და პოლიციის რაზმის შეიარაღებული თავდასხმა პეკინის (ბეიპინის) საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე 1927 წლის 6 აპრილს, მოწყობილი უცხოელი იმპერიალისტების დავალებით ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის სამხედრო კონფლიქტის გამოწვევის მიზნით. — **213.**

54 ნაგულისხმევია ინგლისის პოლიციის თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობასა და არკოსზე (ინგლისთან ვაჭრობის საბჭოთა საზოგადოება) ლონდონში, მოწყობილი 1927 წლის 12 მაისს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ. — **213.**

55 ნაგულისხმევია ანტისაბჭოთა კამპანია საფრანგეთში 1927 წლის შემოდგომაზე. საფრანგეთის მთავრობა, რომლის მიერაც ინსპირირებული იყო ეს კამპანია, ხელს უწყობდა ყოველგვარ ანტისაბჭოთა მუშაობას, დევნიდა ოფიციალურ საბჭოთა წარმომადგენლებსა და დაწესებულებებს პარიზში და თანაგრძნობით ეკიდებოდა ინგლისის მიერ სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. — **213.**

56 «სმენავეხელები» — წარმომადგენლები ბურჟუაზიული პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც წარმოიშვა 1921 წელს საზღვარგარეთ რუს თეთრგვარდიელ ინტელიგენციაში. «სმენავეხელობას» მეთაურობდა ნ. უსტრიალოვის, ი. კლიუჩნიკოვის და სხვათა ჯგუფი, რომელიც სცემდა ჟურნალს «სმენა ვეხ». «სმენავეხელები» გამოხატავდნენ საბჭოთა რუსეთის იმ ახალი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეხედულებებს, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით, საბჭოთა წყობილება თანდათან გადაგვარდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართულებით. («სმენავეხელებზე» იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 242 — 243, და ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 374 — 375 და ტ. 9, გვ. 75 — 79). — **215.**

57 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. VI, გვ. 155—336 და გამოც. მე-4, ტ. 7, გვ. 185 — 392 (რუს. გამოც.). — **218.**

58 **«ფოსიშე ცეიტუნგ»** (**«Vossische Zeitung»**) — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა ბერლინში 1704 წლიდან 1934 წლის აპრილამდე. — **228.**

59 საკო და ვანცეტი — იტალიელი მუშები, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებულნი. საკო და ვანცეტი, რომლებსაც წაუყენეს აშკარად ყალბი ბრალდება მკვლელობასა და გაძარცვაში, დააპატიმრეს 1920 წლის 5 მაისს ბროკტონში (მასაჩუსეტსის შტატი), ხოლო 1921 წელს ამერიკის რეაქციულმა სასამართლომ მათ სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები, მიტინგები, გაფიცვები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელებმა. 1927 წლის 23 აგვისტოს საკო და ვანცეტი სიკვდილით დასაჯეს. — **230.**

60 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი მეფის მთავრობის სახელმწიფო სესხთა გაუქმების შესახებ მიღებულ იქნა 1918 წლის 21 იანვარს. — **246.**

61 პოლ ლაფარგი. «რევოლუციის მეორე დღეს» (იხ. თხზულებანი, ტ. I, 1925, გვ. 329 — 330). — **257.**

62 ვ. ი. ლენინი. «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 77 და გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 182). — **267.**

63 მოსკოვის სამხედრო ოლქის VII საოლქო პარტიული კონფერენცია მიმდინარეობდა 1927 წლის 15 — 17 ნოემბერს. ი. ბ. სტალინის მისალმება გამოქვეყნებულ იქნა კონფერენციის 17 ნოემბრის დილის სხდომაზე. — **268.**

64 საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XVI საგუბერნიო კონფერენცია მიმდინარეობდა 1927 წლის 20-დან 28 ნოემბრამდე. კონფერენციამ მოისმინა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენებანი, განიხილა მოს-

კოვის გუბერნიის სამეურნეო მშენებლობის პერსპექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო გეგმასთან დაკავშირებით, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის ანგარიშები, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და სხვა საკითხები. ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა კონფერენციის 23 ნოემბრის დილის სხდომაზე. რეზოლუციაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო კონფერენციამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა და მისი გადაწყვეტილებანი ტროცკისტული ოპოზიციის შესახებ. კონფერენციამ ი. ბ. სტალინი აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატად. — **269**.

65 ვ. ი. ლენინი. «გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 313). — **272**.

66 ვ. ი. ლენინი. მოხსენება რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ 1921 წლის 5 ივლისს კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 460). — **275**.

67 ვ. ი. ლენინი. სიტყვა რკპ(ბ) VIII ყრილობის გახსნისას 1919 წლის 18 მარტს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIV, გვ. 114). — **275**.

68 ვ. ი. ლენინი. «არჩევნები პეტერბურგში და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. X, გვ. 303 — 315 და გამოც. მე-4, ტ. 12, გვ. 17 — 27). — **285**.

69 საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1927 წლის 2-დან 19 დეკემბრამდე. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის, კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ანგარიშები, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივები, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, მოისმინა ოპოზიციის საკითხზე ყრილობის შიერ გამოყოფილი კომისიის მოხსენება და აირჩია პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი. ი. ბ. სტალინი გამოვიდა 3 დეკემბერს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და 7 დეკემბერს საბოლოო სიტყვით. 12 დეკემბერს ყრილო-

ბამ ი. ბ. სტალინი აირჩია კომისიაში, რომელსაც უნდა შეემუშავებინა რეზოლუცია კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. ყრილობამ მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და დაავალა მას შემდგომაც გაეტარებინა მშვიდობიანობისა და სსრ კავშირის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცების პოლიტიკა, შეუნელებელი ტემპით განეგრძო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, გაეფართოებინა და განემტკიცებინა სოციალისტური სექტორი ქალაქად და სოფლად და აეღო კურსი კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისა სახალხო მეურნეობაში. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველნაირად გაშლის შესახებ, დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაფართოების გეგმა და მოგვცა მითითებანი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საშუალებათა შესახებ. საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც კოლექტივიზაციის ყრილობა. ყრილობამ მოგვცა დირექტივა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ. თავის გადაწყვეტილებებში ოპოზიციის შესახებ, რაც მიმართული იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიკვიდაციისაკენ, ყრილობამ აღნიშნა, რომ უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის გადაიზარდნენ პროგრამულ უთანხმოებებად, რომ ტროცკისტული ოპოზიცია დაადგა ანტისაბჭოთა ბრძოლის გზას, და გამოაცხადა, რომ ტროცკისტული ოპოზიციის წევრობა და მის შეხედულებათა პროპაგანდა შეუთავსებელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან. ყრილობამ მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული კრების (1927 წლის ნოემბერი) დადგენილება პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ და დაადგინა გაერიცხა პარტიიდან ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ყველა აქტიური მოღვაწე. (საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 375 — 377. ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 222 — 262). — **287.**

70 ნაგულისხმევია მარცვლეული კულტურები: ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია და სიმინდი. — **200.**

71 ი. ბ. სტალინი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობას, 1925 წლის 18 დეკემბერი (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 287 — 385). — **202.**

72 ნაგულისხმევია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ბანკირთა, მრეწველთა და კომერსანტთა დეკლარაცია, გამოქვეყნებული 1926 წლის ოქტომბერში. დეკლარაცია მოითხოვდა ევროპის სახელმწიფოთა მიერ შემოღებულ საბაჟო შეზღუდვათა გაუქმებას და არსებითად წარმოადგენდა ინგლის-ამერიკის ფინანსური კაპიტალის ცდას — დაემყარებინა თავისი ჰეგემონია ევროპაში. — **294.**

73 **«უორლდ'ს უორკ»** («World's Work») — ჟურნალი, გამოხატავდა ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი ბურჟუაზიის მმართველი წრეების შეხედულებებს; გამოდიოდა ქ. გარდენ-სიტიში (ნიუ-იორკის შტატი) 1899 წლიდან 1932 წლამდე. — **297.**

74 სამთა კონფერენცია საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხზე მიმდინარეობდა ჟენევაში (შვეიცარია) 1927 წლის 20 ივნისიდან 4 აგვისტომდე. — **298.**

75 1927 წლის 30 ნოემბერს ჟენევაში გაიხსნა ერთა ლიგის მიერ განიარაღების მომავალი კონფერენციის მოსამზადებლად შექმნილი კომისიის IV სესია. საბჭოთა დელეგაცია კომისიაში გამოვიდა დეკლარაციით, რომელშიც წინადადებას იძლეოდა განეხორციელებინათ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა. განიარაღების საბჭოთა პროექტი უარყოფილ იქნა. — **298.**

76 «ლოკარნოს სისტემა» — სისტემა ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა, რაც დადებულ იქნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ ლოკარნოს (შვეიცარია) 1925 წლის 5 — 16 ოქტომბრის კონფერენციაზე ვერსალის საზავო ხელშეკრულებით ევროპაში დადგენილი წესების განსამტკიცებლად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის გამოსაყენებლად. (ლოკარნოს კონფერენციის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 298 — 300). — **299.**

77 ნაგულისხმევია სერბიელი ნაციონალისტის მიერ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ფრანც-ფერდინანდის მოკვლა სარაევოში (ბოსნია) 1914 წლის 28 ივნისს, რაც 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღების გარეგანი საბაბი გახდა. — **301.**

78 კანონი პროფკავშირების შესახებ, მიღებული ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ 1927 წელს, აქეზებდა შტრეიკბრეხერობას, ზღუდავდა პროფკავშირებს პოლიტიკური მიზნებისათვის სახსრების შეგროვების საქმეში, უკრძალავდა სახელმწიფო მოსამსახურეებს ტრედ-უნიონების კონგრესისა და ლეიბორისტული პარტიის მომხრე პროფკავშირებში შესვლას. კანონი უფლებას ანიჭებდა მთავრობას უკანონოდ გამოეცხადებინა ყოველგვარი გაფიცვა. — **301.**

79 «ერის შეიარაღების» კანონი, მიღებული საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მიერ 1927 წლის მარტში, წარმოადგენდა საფრანგეთის იმპერიალიზმის სამხედრო მანქანის რეორგანიზაციისა და ახალი ომის მომზადების საერთო გეგმის ნაწილს. კანონი ითვალისწინებდა: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მილიტარიზაციას, ომის შემთხვევაში როგორც მეტროპოლიის, ისე კოლონიების მთელი მოსახლეობის მობილიზაციას, პროფკავშირებისა და სხვა მუშათა ორგანიზაციების მილიტარიზაციას, გაფიცვების უფლების გაუქმებას, კადრის არმიის გადიდებას და მის გამოყენებას საფრანგეთის პროლეტარიატისა და კოლონიების ჩაგრული ხალხების რევოლუციური გამოსვლების დასათრგუნავად. — **301.**

80 სსრ კავშირის მეგობართა მსოფლიო კონგრესი შესდგა მოსკოვში 1927 წლის 10 — 12 ნოემბერს. კონგრესი მოწვეულ იქნა უცხოელ მუშათა დელეგაციების ინიციატივით, რომელნიც ჩამოსული იყვნენ საბჭოთა კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. კონგრესს ესწრებოდა 947 დელეგატი 43 ქვეყნიდან. კონგრესის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი სსრ კავშირში ათი წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის შედეგებზე და ომის საშიშროებისაგან მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის შესახებ. კონგრესის მიერ მიღებული მოწოდება თავდებოდა მიმართვით მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი: «იბრძოლეთ, დაიცავით ყველა საშუალებით, ყოველი ხერხით სსრ კავშირი, მშრო-

მელთა სამშობლო, მშვიდობიანობის დასაყრდენი, განთავისუფლების კერა, სოციალიზმის ციხე-სიმაგრე!». — **304.**

81 ვ. ი. ლენინი. «გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 312). — **343.**

82 **«ტრუდ»** — ყოველდღიური გაზეთი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ორგანო, გამოდის 1921 წლის 19 თებერვლიდან მოსკოვში. — **345.**

83 ვ. ი. ლენინი. წერილი ვ. მ. მოლოტოვს პარტიის XI ყრილობაზე გასაკეთებელი პოლიტმოხსენების გეგმის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 207). — **346.**

84 კ. მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 215 რუს. გამოც.). — **354.**

85 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 324 — 325 და გამოც. მე-4, ტ. 23, გვ. 67. — **365.**

86 ვ. ი. ლენინი. საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) X ყრილობისათვის წარდგენილი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო 1921 წლის 9 მარტს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 228). — **395.**

87 **«ნეიე ფრეიე პრესსე»** («Neue Freie Presse») — ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთი; გამოდიოდა ვენაში 1864 წლიდან 1939 წლის იანვრამდე. — **400.**

88 **«ნიუ-იორკ ამერიკენ»** («New York American») — ამერიკელი რეაქციონერის ჰერსტის გაზეთი; გამოდიოდა ნიუ-იორკში 1882 წლიდან 1937 წლამდე. თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში გაზეთს პროფაშისტური პოზიცია ეკავა. — **400.**

89 **«დეილი უორკერ»** («The Daily Worker») — გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა (კომუნისტური) პარტიის ცენტრალური ორგანო. 1922 წლიდან გაზეთი გამოდიოდა ჩიკაგოში ერთხელ კვირაში «უორკერის» სახელწოდებით, 1924 წლიდან გამოდის როგორც ყოველდღიური გაზეთი «დეილი უორკერი». 1927 წლიდან გაზეთი გამოდის ნიუ-იორკში. — **403.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1927 წლის აგვისტო — დეკემბერი)

29 ივლისი — 9 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობას.

1 აგვისტო. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით «საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის თავდაცვა».

2 აგვისტო. ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე ირჩევენ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის პროექტის სარედაქციო კომისიაში.

5 აგვისტო. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო.

6 — 9 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც დაკისრებული აქვს შეიმუშაოს პროექტი რეზოლუციისა ზინოვიევის და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ.

9 აგვისტო. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით «ოპოზიციის 1927 წლის 8 აგვისტოს «განცხადების» გამო».

11 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ესწრება საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენების განხილვის დროს.

4 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება ახალგაზრდობის დემონსტრაციას წითელ მოედანზე, მოსკოვში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის XIII წლისთავზე.

9 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ამერიკელ მუშათა პირველ დელეგაციას.

16 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს მ. ი. ულიანოვას.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება ფრანგ მწერალს ანრი ბარბიუსს.

27 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის გა-

ერთიანებულ სხდომაზე ამბობს სიტყვას «რუსული ოპოზიციის პოლიტიკური ფიზიონომია».

30 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის წევრთა ჯგუფს და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს — ე. ტელმანს.

21 — 23 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობას.

23 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა».

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ი. ბ. სტალინს ამტკიცებს მომხსენებლად ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის საკითხზე საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე.

26 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საავიაციო მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ქარხნის მუშათა დელეგაციას.

ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი წერს კონსპექტს სტატიისა «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი».

3 ნოემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) კრასნაია პრესნიას VIII რაიონული კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XVI საგუბერნიო კონფერენციის დელეგატად.

5 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება უცხოეთის მუშათა დელეგაციებს, რომლებიც ჩამოსული იყვნენ სსრ

კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის დღესასწაულზე.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მისასალმებელ სიტყვას ამბობს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის დღესასწაულს.

6 — 7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. ოქტომბრის ათი წლისთავისათვის» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 255-ში.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად.

8 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მისალმებით გამოდის მოსკოვის დიდ თეატრში სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავს და საბჭოთა კავშირის საავიაციო მშენებლობის შედეგებს.

10 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება სსრ კავშირის მეგობართა მსოფლიო კონგრესის პირველ სხდომას კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.

16 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სამხედრო მუშაკთა — მოსკოვის სამხედრო ოლქის VII პარტიული კონფერენციის დელეგატთა ჯგუფს.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება მოსკოვის სამხედრო ოლქის VII პარტიული კონფერენციისადმი გამოქვეყნდა გაზეთ «კრასნაია ზვეზდას» № 263-ში.

19 ნოემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის I საოლქო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის წევრად.

23 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XVI საგუბერნიო კონფერენციაზე ამბობს სიტყვას «პარტია და ოპოზიცია».

28 ნოემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XVI საგუბერნიო კონფერენცია ირჩევს ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატად.

2 — 10 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის მუშაობას.

8 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე.

7 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის საბოლოო სიტყვით საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობისათვის წარდგენილი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო.

12 დეკემბერი. პარტიის XV ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს კომისიაში, რომელსაც დაკისრებული აქვს რეზოლუციის შემუშავება კომინტერნის აღმასკომში წარგზავნილი საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო.

16 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი წერს პასუხს სტალინის ყალბი «სტატიების» შესახებ უცხოეთის პრესის მოსკოველ წარმომადგენელთა შეკითხვის გამო.

17 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის იმ კომისიის სხდომაში, რომელსაც დაკისრებული აქვს კომინტერნის აღმასკომში წარგზავნილი საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტის შემუშავება.

19 დეკემბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს XV ყრილობაზე არჩეული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრთა მონაწილეობით, ი. ბ. სტალინს ირჩევს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ორგბიუროს და სამდივნოს წევრად და ამტკიცებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

შინაარსი

წინასიტყვაობა VII

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. 1927 წ. 29 ივლისი — 9 აგვისტო . . . . . 1 — 97

საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის თავდაცვა. 1 აგვისტოს სიტყვა . . . . . 3 — 63

I. ოპოზიციის გამოსვლები კომინტერნის სექციების წინააღმდეგ 3

II. ჩინეთის შესახებ 10

III. ინგლის-საბჭოთა ერთიანობის კომიტეტის შესახებ 39

IV. ომის საფრთხისა და სსრ კავშირის თავდაცვის შესახებ 44

5 აგვისტოს სიტყვა 64

ოპოზიციის 1927 წ. 8 აგვისტოს «განცხადების» გამო. 9 აგვისტოს სიტყვა 91

საუბარი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან. 1927 წ. 9 სექტემბერი . . . . . 98 — 157

I. დელეგაციის კითხვები და ამხ. სტალინის პასუხი 98

II. ამხ. სტალინის კითხვები და დელეგატების პასუხი 144

ამხანაგ მ. ი. ულიანოვას. პასუხი ამხანაგ ლ. მიხელსონს 158

რუსული ოპოზიციის პოლიტიკური ფიზიონომია. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან. 1927 წ. 27 სექტემბერი. 162

კონსპექტი სტატიისა «ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი» 178

ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე. 1927 წ. 23 ოქტომბერი . . 183—219

I. ზოგიერთი წვრილმანი საკითხი 183

II. ოპოზიციის «პლატფორმის» შესახებ . . . 189

III. ლენინი საერთოდ დისკუსიისა და ოპოზიციის შესახებ 194

IV. ოპოზიცია და «მესამე ძალა» 195

V. როგორ «ემზადება» ოპოზიცია ყრილობისათვის 201

VI. ლენინიზმიდან ტროცკიზმისაკენ 205

VII. უკანასკნელი წლების პარტიული პოლიტიკის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი შედეგის შესახებ 209

VIII. უკან — აქსელროდისაკენ 215

საუბარი უცხოელ მუშათა დელეგაციებთან. 1927 წ. 5 ნოემბერი 220

ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. ოქტომბრის ათი წლისთავისათვის 255

მოსკოვის სამხედრო ოლქის პარტიულ კონფერენციას 268

პარტია და ოპოზიცია. სიტყვა მოსკოვის XVI საგუბერნიო პარტკონფერენციაზე. 1927 წ. 23 ნოემბერი . . . . . 269 — 286

I. დისკუსიის მოკლე შედეგები 269

II. მუშათა კლასი და გლეხობა 272

III. პარტია და პროლეტარიატის დიქტატურა . 278

IV. ჩვენი რევოლუციის პერსპექტივები . . . 282

V. შემდეგ რა? 285

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა. 1927 წ. 2 — 19 დეკემბერი . . . . . 287 — 399

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში. 3 დეკემბერი . . . . . 289 — 379

I. მსოფლიო კაპიტალიზმის მზარდი კრიზისი და სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა . 289 — 311

1. მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიკა და საგარეო ბაზრებისთვის ბრძოლის გამწვავება. 290

2. კაპიტალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა და ახალი იმპერიალისტური ომების მომზადება 295

3. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობა და ახალი რევოლუციური აღმავლობის ნიშნები 301

4. კაპიტალისტური სამყარო და სსრ კავშირი 304

5. დასკვნები 309

II. სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა . 311 — 348

1. სახალხო მეურნეობა მთლიანად . . . 312
2. ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობის განვითარების ტემპი 320
3. ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი 324
4. კლასები, სახელმწიფო აპარატი, ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარება . . . 336

III. პარტია და ოპოზიცია . . . . . 349 — 377

1. პარტიის მდგომარეობა 349
2. დისკუსიის შედეგები 358
3. ძირითადი უთანხმოებანი პარტიასა და ოპოზიციას შორის 361
4. შემდეგ რა? 372

IV. საერთო შედეგი 377

საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო. 7 დეკემბერი . . 380 — 399

I. რაკოვსკის სიტყვის შესახებ 380
II. კამენევის სიტყვის შესახებ. 383
III. დასკვნა 396

განცხადება უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისადმი სტალინის ყალბი «სტატიების» შესახებ 400

შენიშვნები 405

ბიოგრაფიული ქრონიკა (1927 წ. აგვისტო — დეკემბერი) . . 423

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 11/X.— 1949.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III — 1950.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 27,75.
შეკვ. № 1587.
ფასი 6 მან.

•

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული
მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.